ი. გრიშაშვილი

ლიტერატურული ნარკვევები

1957
სახელგამი
თბილისი

ავტორისაგან

წიგნი „ლიტერატურული ნარკვევები" შეიცავს ქართული ლიტერატურული ცხოვრების შესახებ ჩემს მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნაწერების მხოლოდ ერთ ნაწილს.

წიგნში არ შემიტანია მონოგრაფიები: „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა" (1927წ.), „სიათნოვა" (1914—1918), არც ის განმარტებანი და შენიშვნები, რომლებიც ხშირად სტილდება ბიბლიოგრაფიული ხასიათის ტვირგლებს და დართული აქვთ ჩემი რედაქტორობით გამოცემულ ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას (1940 წ.), ავქსენტი ცაგარლის კომედიებს (1936 წ.), აკაკი წერეთლის მესამე და მეხუთე ტომებს (1940,1949 წ.წ.).

ამ წიგნში არ შესულა აგრეთვე პერიოდულ პრესაში გაბნეული რამდენიმე რეცენზია და მცირე შენიშვნები, რომლებიც, ახალი მასალების აღმოჩენის გამო, დაზუსტებასა და გავრცობას მოითხოვს.

წერილები ამ კრებულში ისტამბება პირველი დაბეჭდვის თარიღის მიხედვით, ზოგიერთი მათგანი ოდნავ შევსებული და შესწორებულია.

ქართული რომანტიზმის სათავეებთან

ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

თავი პირველი

მგრძნობელობა ჰსჯობს ყოველთ თვისებათ ცით მოელენილთა,
შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786—1846) პოეტურ სამყაროში „მგრძნობელობას“ პირველი ადგილი აქვს მინიჭებული.

იგი იყო დიდი გრძნობის მომღერალი, უხვი, ლაღი, ჭარბი, გულდოლათიანი. მისი ლექსების ჯავარი—ეს არის გრძნობა.

ლერმონტოვის თქმა: „Для чувств он жизни не щадил“—ზედგამოჭრილია ჩვენს პოეტზე. „გრძნობა ყეელაფერიაო“—ამბობდა გოეთე. რუსეთის დიდმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ თქვა: „Чем глубже чувство, тем глубже и мысль“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, უპირველეს ყოვლისა, გრძნობის პოეტია:

შენი გონების სხივნი ესრედ ბრწყინვენ ძლიერად,
შვენებაც გინა არა გკონდეს, მით იმნათობებ;
შვენება შენი ესრედ მძლევლობს ამ ქვეყნიერად,
რომელ გონების უმწეოდაც ნამდვილ იმფლობებ.

მაგრამ რას ხელ-ჰყრი, მარქვი, მაგა ნიჭთა კეთილთა,
თუ გული შენი სიყვარულსა არ მიიკარებს?
მგრძნობელობა ჰსჯობს ყოველთ თვისებათ ცით მოელენილთა,
შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს.

„გრძნობის პოეტი“ ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც, გაეცნო რა ევროპულ პოეზიას, შეითვისა მისი საუკეთესო ტრადიცია და სცადა ქართული ლექსის კიდევ უფრო გამდიდრება. მაგრამ მისი ძირითადი მოტივი მაინც ფოლკლორს ენათესაება.

ა. ორბელიანი ასე გადმოგვცემს პოეტთან ინტერვიუს (1840 წ.):

„ერთხელ—მოგვითხრობს ალექსანდრე ორბელიანი — ვკითხე ალექსანდრე ჭავჭავაძეს:

— კნიაზო, თქვენი ლექსები რომ ასე განასხვავეთ და სხვა სუბუქი ანუ ლბილი წყობილება რომ მიეცით, საიდგან შემოიღეთ ამგვარი მოლექსეობა?

იმან სიამოვნით გაღიმებულმა მიპასუხა:

— სწორედ გეტყვი, ჩვენი ბლიაძეებისაგან შემოვიღე (მესტვირეებისაგან). კარგად იცით, მე ბევრს ფრანციცულს წიგნებს ვკითხულობ, ჩვენი მესტვირეების მარტივს ყბედობას ევროპიული სიამოვნება მივეცი და აქედგან გაკეთდა ისეთი ლექსები. აი, ეს არის მიზეზი, სხვა არაფერი“ (იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, ხელთ. 90/2).

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის ლექსებს მისცა ხალხური იერი, ხალხური ლექსთწყობის სისადავე და უბრალოება, ამას ადასტურებს მისი პოემა „მართას ავადმყოფობა“, „კავკასია“, „გოგჩა“ და ლაფონტენის იგავ-არაკების შესანიშნავი თარგმანები. პოეტის ლექსებში ჩაქსოვილია ადამიანის ბედნიერების შუქი და გულწრფელი განწყობილების ტრადიციები. მისი სიმღერების ძალა და მაღალი განცდა ხალხურს უახლოვდება.

ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი: დიდი გვარის ჩამომავალი, დესპანის ვაჟი, აღზრდილი ევროპულად, ეკატერინე მეორის ნათლული, სამი აჯანყების მონაწილე, გადასახლებული, შენდობილი და ნაპატიები, მიღწეული გენერალლეიტენანტის ხარისხამდე, დიდი მემამულე, პურადი, მეჩონგურე, პირველი მთარგმნელი პუშკინისა და სხვ. იგი გარემომცველ სინამდვილეს საღი გონების თვალით შესცქეროდა.

გრიგოლ ორბელიანი ალექსანდრე ჭავჭავაძეს „ბულბულს“ უწოდებს („და ჭავჭავაძე მისი ბულბული“), აკაკი წერეთელი—„ტკბილპოეტს“ („ტკბილო პოეტო, ნათლისა სვეტო“), 23 წლის ილიამ პავლოვსკში ყოფნის დროს მშვენიერი ლექსი უძღვნა ჩვენს რომანტიკოსს:

მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან მეჯლისში შეფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ლაღობს, ხარობს,
გამღერებს და ამღერდება.

ხან ღონდება ნაზ-ჭალსავით,
უიშვიო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჭაბუკსავით
და განდევნის სევდას გულით.

ხან ბუჩქებში მიმალული
ზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყურებს ვარდსა გულსაკლავად
ტრფობის ისრით განაწონი.

ხან რბის ველად, მარტო გალობს
უდაბნოში ვითა მწირი,
შეჰკვნესს შავ-ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი.

ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუნდობელ დროთ ბრუნვასა.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ზოგიერთმა განმჭიქებელმა (კრიტიკოსმა) უმართებულო ბრალი დასდო, თითქოს იგი მარტო სატრფიალო ჰანგების მომღერალი იყოს. ერთი შეხედვით შეიძლება დაეთანხმოთ ამ ბრალდებას, მაგრამ არავინ არ დაჰკვირვებია იმას, თუ რაოდენი სევდაა ჩამარხული ამ „ტკბილი პოეტის“ გულის შინასკნელში. ამ შემთხვევაში ალექსანდრეს ლექსები გვაგონებს იმ გაუქმებულ მონასტერს, რომლის ნანგრევებსაც ყველა დიდი სიამოვნებით ათვალიერებს, მაგრამ შიგ კი არავინ არა რჩება საცხოვრებლად.

პოეტის სევდა—ეს არის სევდა მამულისადმი. პოეტის სევდა ეს არის ერეკლესეული „ქართლის ბედის“ შებრუნება, მისი აწმყო, მისი მომავალი. იგი მთელ რიგ ლექსებში დაჰკვნესის „ცრემლით მდუღარით“ თავის გაცრუებულ იმედებს 17 წლის ჭაბუკს რომ მიეზღო აჯანყებულ მთიელებთან მონაწილეობისათვის.

ამის ნათელ მაგალითს იძლევა ჩვენს მიერ პირველად გამოტანილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი („დიმიტრი ე.“).

ამ უცნობ ლექსს, რომელიც „კავკასიის“ შესავალს წარმოადგენს, მთლიანად მოვიყვანთ. იგი დაწერილია ქართული ლექსისთვის უჩვეულო წყობით ყაზალის (გაზელას) ყაიდაზე:

მხოლოობის და მოცლის ნაყოფს კალმითა მდარით
მგზობარს გიძღვნი, გთხოვ მიიღო პირით მღიმარით.

მსგავსება ფიქრთა, ხასიათთა და შემთხვევათა
შობს კაცთა შორის შეკრულებას კავშირით მყარით.

მათ შეგვაერთეს სიყრმით ვიდრე დღევანდელადმდე,
ერთადრე ხშირად მონარბედნი მზით თუ მთოვარით.

განცხრომა გულის, შეშლა ჟამის, ღალატი ბედის
ერთხელ ჩვენც ერთად განვიცადეთ და განვატარით,

გახსოვს, ოდეს მე გულის ცეცხლის განმცდელი ახლად,
აღგიარებდი წყლულსა ჩემსა ცრემლით მდუღარით?

არცა შენ იყავ უგრძნობელად ტკბილთა პირებთა,
იდუმალ კვნესდი დაკოდილი მითვე ისარით.

გახსოვს, როს გული აღბორგვილი, უფროსთ უსმენი,
ღრღნიდა აღვირსა განსაჭრომლად მაბრკოლის გრკალით!

ორნივ ერთ ჟამად აღვიმსთვენით ქმნად კეთილისა,
გარნა ვაჰ, რაბამ ვშორევედით მას ჭკვა მიუმხვდარით.

თანამდებობის უმეცარნი და შემჭვალულნი,
ვალსა საღმთოსა ვეძიებდით გზითა შემცდარით.

ოჰ, სიჭაბუკევ განუსჯელო, თუცაღა ტკბილო,
ვინ დაგსაჭიმოს, რა აღიძვრი სურვა მედგარით.

გახსოვს, მის ჟამის ღელვა, ხელმან როს მიგვცა არმურს,
ხვირთთა ვებრძოდით განსასვლელად შრომა უხმარით.

ვითარ განკვეთდენ მკლავნი სუსტნი მას ხღვასა? მარამ
ცთომა ცოდვად არ მიგვითვალა მხედმან ჴენარით.

ჟამის ბორბალი დაუდგრომი ცვლილების მყვარე
მიგვყრის და მოგვყრის სად ვით ნებავს დამჭროლი ქარით.

აწცა იგივე არს მიზეზი შორს ქმნისა ჩვენის,
კავკასს შენ მანდით შესცქერი და მე ვმხერ ამ მხარით.

ამა მთის სახე დიდებული მსურს დაგიხატო,
თუ არ შემიკრთა გლახ კალამი მისითა ხარით.

ჩვენი პოეტის ლირიკა არ არის ვიწროდ შემოზღუდული. მისი გონების კიდეგანი ერცელია და მრავალფეროვანი. გარდა ინტიმურ-სატრფიალო მოტივებისა, მას ახასიათებს მოქალაქეობრივ ჰანგზე აყვერებული ლექსებიც. პოეტმა გასაოცარი წინასწარმეტყველებით ისიტყვა:

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად უსამართლოდ მონებას,
მოულოდეთ მათთან თანასწორებას.
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ეს არის სოციალური თანასწორობის იდეებით შთაგონებული ერთ-ერთი პირველი ლექსი ქართულ ლიტერატურაში...

ალექსანდე ჭავჭავაძე განსაკუთრებული ნიჭის და საკუთარი ხმის პოეტია. იგი სიცოცხლის, სიხარულის, სიყვარულის, სილამაზის, მხნეობისა და ახალგაზრდობის ტრუბადურია.

ალექსანდრე ჭავჭავაძე!
გრიგოლ ორბელიანი!
ნიკოლოზ ბარათაშვილი!

— აი, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ის სამება, რომელთა ბეჭებზედაც ამოიზიდა და დამშვენდა ქართული პოეზიის ახალი მწვერვალები.

ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ მღელვარე და დაუწყობელი დღეების პირველი ყარიბი ბულბულია.

თავი მეორე

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოჭალაქის მართავს აწ ხელი!

ნ. ბარათაშვილი

მშვიდობით, ჩემო მეგობარო, მე ველარ გნახავ, გკვდები არა ჭრილობისაგან, არამედ მოსკოვის დარდისაგან.

პეტრე ბაგრატიონი

ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გარდაუცია... გაჰირვების დროს ქართული დროშა, რუსეთის დროშასთან ერთად, არაერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია სისხლი რუსებთან ერთად.

ილია ჭავჭავაძე

ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა, ქართული რომანტიზმის მამამთავარია.

იგი აღიზარდა ძველ და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბრძოლის ქარტეხილში.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეგნებული ცხოვრება ორი საუკუნის მიჯნაზე დაიწყო.

მისი მამა, გარსევან ჭავჭავაძე (1757—1811) მეფე ერეკლეს დესპანი იყო რუსეთის მეფეთა კარზე. თუ გენეალოგიას დაეუჯერებთ, ჭავჭავაძეთა წინაპარნი მთიელები ყოფილან. „კალმასობის“ ავტორი გარსევან ჭავჭავაძეს ერთ ადგილას ათქმევინებს: „მე მთის შვილი ვარო“.

ჩვენი ისტორიული საბუთების მიხედვით ჭავჭავაძეთა გვარი მე-15 საუკუნიდან მოდის. სახელგანთქმული და დიდებული ბოლოდ ორი გარსევან ჭავჭავაძე მოჩანს: ერთი მე-17 საუკუნეში — თეიმურაზ პირველის სარდალი გარსევან გულბათის-ძე ჭავჭავაძე, რომლის შესახებაც პოეტმა და მეფემ თეიმურაზ პირველმა ასე თქვა: „იმ ტოლი კაცი იმ დროსა მე აღარ მყვანდა მისთანა“, ხოლო მეორე გარსევან ჭავჭავაძე, მამა ჩვენი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მოღვაწეობდა მე-18 საუკუნეში.

ჭავჭავაძენი პირველად გლეხები ყოფილან, გრიგოლ ყიფშიძის სიტყვით, დღესაც გლეხკაცებად ცხოვრობენ ქართლში.

ჭავჭავაძეთა გვარის წარმომადგენლებმა თავადობა მიიღეს ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში და მოხსენებულნი არიან იმ „აღწე-

რაში", რომელიც დაერთო რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებულ ხელშეკრულებას.

აი, რას ვკითხულობთ ამ საბუთში:

„თავადი ჰავჰავაძე არიან ორ გვარად, პირველნი, რომელნიცა საბლობენ გაღმა მხარს ყვარელსა შინა. იგინი არიან ძველადგანვე დროსა მეფესა ლეონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1529. ესენი იყვნენ ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდნენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა ადგილნი, რომელნიცა აწ არიან: 1. გლახასშვილები და ძმათა ამისისა, 2. მელქისადეგისა შვილები, ხოლო მეორე ჰავჰავაძენიც არიან მუნვე ადგილიდან მოსრულნი; რომელნიც ამბობდნენ მონათესაობასა მათსა, გარნა არ აქვნდათ მათთან მამულნი და ამათ მსახურეს ერეკლესა მეფესა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ერეკლე პირველი წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა, შემდგომად მსახურებისათვის დაასახლნა ადგილსა წინანდელსა და მიიღო აზნაურად. შემდგომად მეფემან თეიმურაზ აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემან ერეკლემ დაუმტკიცა ჰავჰავაძეობა და არიან მუნიდგან წოდებულნი, რომელნი პირველ იწოდებოდნენ მამუჩის შვილებად და რომელიცა ახლაცა იწოდებიან მამუჩის შვილებად: 1. ივანეს შვილები, 2. ბერი ნაზირის შვილები, 3. გარსევანის შვილები და სხვანი" (იხ. „აღწერა თავადთა და აზნაურთა გვარებისა" — „ივერია", 1884 წ., № 5—6, გვ. 40)*.

ჰავჰავაძეთა გვარის ამ სიიდან ჩვენთვის საინტერესოა გარსევან ჰავჰავაძე, რომლის ნამდვილი სახელიც ყოფილა დავით.

მის დესპანობაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ალექსანდრე ჰავჰავაძის დედა იყო მარიამ (მაია) ივანეს ასული ავალიშვილი, ღვიძლი დაჲ ცნობილი ქართველი დრამატურგისა და მოგზაურის გიორგი ავალიშვილისა.

ალექსანდრეს დედა (1758—1836) განათლებული ქალი იყო, იშვიათი გულის პატრონი, ერთადერთი შვილის მოყვარული და კეთილი აღმზრდელი.

პატარა ალექსანდრეს ქართული ენა პირველად დედამ შეასწავლა ხელთნაწერი წიგნების საშუალებით. შემდეგ თავის ბიძას, გ. ავალიშვილს, დაემოწაფა.

* ა. დიუმა წერს (საიდან სადაო?), რომ „ჰავჰავაძენი არიან ანდრონიკაშვილები და წარმოიშენენ ბიზანტიის სახელმწიფოდანო" („Кавказ", ტ. II, გვ. 434).

აქტებში წერია, რომ მარიამ ჭავჭავაძე მეტად ჭკვიანი ბანოვანია და დიდ გავლენას ახდენს თავის თანამემამულეებზეო („Акты", ტ. I, გვ. 323).

მარიამს (ანუ მაიას) ლამაზი ქალის სახელი ჰქონია დარხეული. იგი აღიარებული ყოფილა პოეტების ხოტბის საგნად *.

მაია ჭავჭავაძე დაჟით რექტორმა ასე შეამკო თავისი ორი აკროსტიხით (—კიდურწერილობა):

1

მთოვარე მაშვენებელი საწუთროდ შემომწყრალია,
აფროდიტ ცისა მენაკით ხაოიფად გამომკრთალია,
ჲას თავმოხრით მგლოვარეს, ჰბურავნ ხილფთაგან ღალია,
არია ისართ ირისით მჭვრეტთა ჰწყლავს არა მცხრალია.

2

მტილთა ვარჯთა ნარდიონი ჭუფრ-შროშანებ მოგლვარე,
ასაროვნებს ლერწმის სრათა საფირონით იამდგარე,
ირისითა მოგოხვილი ისარს ისვრის ტბითა მთვარე,
.აცისკროვნებს ვარდის ველთა ბაგე ლალთა მოცინარე.

მარიამ ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1836 წელს, 19 მაისს. დასაფლავებულია შუამთის მონასტერში. მისი საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა: „ეკლესიასა ამასა შინა მდებარებს მარიამ თავადის გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე, ასული ავალიშვილის თავადის იოანესი. შობილი აპრილს 1. წელსა 1758 და გარდაცვლილი 19 მაისს 1836 წ. ეკალთაზედა ამის სოფლისათა აღსრულებული, ყვავილთა შორის სასუფეველისა შენისათა ღირს მყავ მე განღვიძებად უფალო!"

ალექსანდრე ჭავჭავაძე ვერ დაესწრო დედის გარდაცვალებას, იგი ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა. ეს ჩანს ალექსანდრეს იმ კერძო ბარათიდან, რომელიც მოუწერია ნიკოლოზ იოსების-ძე ფალავანდიშვილისათვის:

„მოწყალეო ხელმწიფევ თავადო ნიკოლოზ იოსების ძევ,—წერს ალექსანდრე ჭავჭავაძე ფალავანდიშვილს, — პარასკოვა ნიკოლაევნასგან ** ვსცან გუშინ ჩემზედ მოწევნილი უბედურება, რომლისც გაგონებას ყოველ დღე მოველოდი; და თქვენი წიგნიც იმისგანვე მივიღე. რასაც ხანში დედაჩემი იყო, იმ წელიწადებში მყოფი რა ერთხელ სნეულებისაგან დასუსტდება, მობრუნება ძნელიღაა.

* მისი პორტრეტი დახატული აქვს ცნობილ მხატვარს გრ. გაგარინს (1810—1893) და მოთავსებულია „Caucase Pitoresque"-ში, 1846 წ., პარიზი.

** პოსკოვი ნიკოლაევნა იყო არსენიევის ასული, მეუღლე გენერალ-მაიორის თეოდორე ისაიას-ძე ახვერდოვისა,—მეტად განათლებული ადამიანი. მასთან იზრდებოდა ჩვენი პოეტის ქალი ნინო (გრიბოედოვის მეუღლე).

ჯაბადლობ ყოველის შენოკმედს,—კაცისათვის სიკვდილი რა გასაკვირველია!—ეს არის ჩემთვის სანამეტნაოდ სამწუხარო, რომ ჯანმაკვნეტ დღეებში დედაჩენის მოვლა და სამსახური არ მეღირსა და ვერც პირდაპირ კურთხევა და მიტევება მივიღე იმისგან, რომლისაც წინაშე რა გზა გაკვს მრავალი ბრალი არა მქონდეს ზ. ივკერ ნებით და უნანეტნავის გზის უნებლიეთად მწუხარების ჯიქნეებით". სხვებრ თქვენმა მონაწილეობამ (ჯერ ყოფილა „მზრუნველობაც", ნაგრამ წაუშლია და დაუწერია „მონაწილეობამ" — ი. გ). და მართებულების სიყვარულმა უჩემობა არ დაატყო. მირწმუნეთ, არ ვიცი, რა მადლობა მოგახსენოთ გარდაცვალებულის დამარ! ჯაზე თქვენგან მიღებულის ზრუნის და მზრუნველობისათვის; მაგრამ ყოთილი არსადა დაიკარგვის.—მანანას წინანდალში ყოფნა დიდად მიხარიან. დარწმუნებული ვარ, რომ დიდს ნუგეშად ექმნებათ ჯალოწესაც და ქალებსაც **. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულითადი აღმსარებლობა და პეშმარიტი პატივისცემა თქვენის ბრწყინვალების უცორჩილესის მსახურის თავადის ალექსანდრე ჭავჭა ძის. 22 ივნისს 1836. ს. ჰ.".

ჩვენი პოეტის მამა გარსევან ჭავჭავაძე თავის დროისათვის განვითარებულ კაცად ითვლებოდა. იგი იყო ირაკლი მეორის „პირველი სანდო და საყვარელი კაცი" და მისი მარჯვენა ხელი საზოგადო საქმეებში. ჩვენი მეფე გარსევანს თავის შვილად იხსენიებს.

გარსევანი, როგორც გონიერი, გამჭრიახი და მამულის ერთგული, არც შესახედაოდ იყო ურიგო—ბრგე, ახოვანი ვაჟკაცი და წვინდა ქართული სახის ნაკეთთა მქონე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებელზე.

როცა 1803 წელს თბილისში თავადაზნაურთა არჩევნები მოხდა, საქართველოს გუბერნიის წინამძღოლად დამტკიცებულ იქნა „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი" გარსევან ჭავჭავაძე (ბუტკოვი, ტ. 2, გვ. 493). იგი იყო ამ საკრებულოს პირველი წინამძღოლი. მან, ჯერ კიდევ 26 წლის ჰაბუკმა, ხელი მოაწერა იმ ტრაქტატს, რომლის საფუძველზედაც 1783 წელს 24 ივლისს საქართველომ რუსეთის მფარველობა ^ნიიღო.

გარსევან ჭავჭავაძე 1784 წ. 23 მაისს მეფე ერეკლემ პირვე-

---

* აქ იგულისხმება ალ. ჭავჭავაძის მიერ მონაწილეობის მიღება 1832 წლის შეთქმულებაში.

** სალომე — ცოლი პოეტისა. ქალებში იგულისხმება შვილები — ნინო და ეკატერინე.

ლად წარგზავნა რუსეთს იმპერატრიცა ეკატერინე მეორესთან შემდეგი მანდატით: „მომრთმელი წიგნისა ამის კნიაზ გარსევან ჭაჭავაძე თქვენის იმპერატორების დიდებულებისადმი წარმოვეგზავნეთ სამყოფლად უმაღლესსა კარსა ზედა თქვ. იმპ. დიდ-სა ძალითა ყოვლად მოწყალებითისა, ტრაქტატისათა მეხუთე არტიკულისა, რომელსაცა შეევედრებ მოწყალებითსა მფარველობასა თქვ. იმპ. დიდ-სა ვითარცა შვილსა ჩემსა და სარწმუნოსა ყოველსა საქმესა შინა, რომელსაცა აქვს რწმუნებულ ყოველნი საქმენი ჩვენნი მოსახსენებელნი უმაღლესისადმი კარისა თქვ. იმპ. დიდ-სა" („Грамоты", ტ. II, ნაწ. I, გვ. 111).

ამ მანდატით აღჭურვილი გ. ჭავჭავაძე ოთხი თვის მგზავრობის შემდეგ წარუდგა იმპერატრიცას 20 სექტემბერს.

გარსევან ჭავჭავაძემ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის მეფეთა კარზე. წინასწარ, ორი დღით ადრე, შედგენილი იყო წესი აუდენციისა: წირვის შემდეგ ცერემონმეისტერი წაიყვანდა გარსევანს მისაღებ დარბაზში, თან იახლებოდა თავადი მოურავოვი *, რომელსაც თარჯიმანობა ჰქონდა დავალებული; დესპანს სამჯერ მუხლმოყრის შემდეგ ეძლეოდა სიტყვის წარმოთქმის უფლება; ეს სიტყვა იქვე უნდა გადაეთარგმნა თარჯიმანს. დესპანის სიტყვისთვის პასუხი უნდა გაეცა ვიცეკანცლერს, რომლის პასუხიც აგრეთვე უნდა გადათარგმნილიყო ქართულად. ამის შემდეგ დესპანი გადასცემდა იმპერატრიცას საქართველოს მეფის მიწერილობას, რომლის შემდეგაც გ. ჭავჭავაძეს ეძლეოდა წყალობა იმპერატრიცას ხელზე მთხვევისა. მაგრამ იმპერატრიცამ გასცა განკარგულება, რათა გადაეცათ ჭავჭავაძისათვის, რომ იგი განთავისუფლებულია მუხლმოყრისაგან.

ამ პირველმა დარბაზობამ რუსეთის კარზე ქართველებში ერთგვარი ნუგეში დაბადა, მაგრამ ცარიზმი არა ჩქარობდა დადებითი პასუხის გაცემას ქართველი მეფის თხოვნაზე.

18 წელიწადს იდესპანა გარსევან ჭავჭავაძემ და ამ ხნის განმავლობაში ჩვენს მამულიშვილს არა ერთი დამცირება გადაუტანია. ხშირად, როგორც უბრალო შიკრიკს, ისე უხდებოდა ქაღალდების მიტან-მოტანა რუსეთიდან საქართველოში, მაგრამ საქმე მაინც წინ არ მიდიოდა **. მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრე გიორგი ისე

---

* მოურავოვი—ქართველი თავადიშვილია: თარხან-მოურავი (თარხნიშვილი).

** გარსევანის ელჩად მოღვაწეობის შესახებ იხ. ზოგიერთი ცნობა იასე ციცაძის წერილში: „რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვისა და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში" (კუთ. პედინსტიტუტის „შრომები", II, 1941 წ., გვ. 83—96)

ჩაიდნენ საფლავში, რომ თავიანთი სამშობლოს ბედიღბალი მათთვის გამოურკვეველი დარჩა.

ებრაების რუსთ ხელმწიფე,
აღუთქვამს ექმნეს მწყე,—

ბესიკის ეს ლექსი დამახასიათებელია ეკატერინე მეორის რუსეთისათვის, საიდანაც „აღთქმებისა“ და „კეთილზრახვების“ მეტი სხვა არაფერი მოდიოდა.

გარდაიცვალა ეკატერინე მეორეც. მისი შვილი პაველიც. გამეფდა ალექსანდრე პირველი და 1801 წლის ცნობილი მანიფესტით აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიაში შემავალ ნაწილად გამოცხადდა.

„კალმასობის“ ავტორი დესპანობას ასე განმარტავს:

„დესპანი პირველად უნდა იყოს მტკიცე თვისსა სარწმუნოებასა ზედა და ფიცსა. მეორე—უნდა იყოს ერთგული მამულისა და მეპატრონისა თვისისა. მესამე — არ იყოს ანგარი და ქრთამის მოყვარე, ხოლო მეოთხე — ჰსწავლული, ჭკვიანი და მდიდარი, რომ სხვის ხელს არ შესთხოვდეს“.

გარსევანს არც ერთი ეს თვისება არ აკლდა.

მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოს სამეფო კარზე არსებულ დასთა ჰიდილის შედეგად, გარსევანი სრულიად დაუმსახურებლად საქართველოს გამცემად და მოღალატედ იქნა აღიარებული.

დავით ბატონიშვილი. დამკარგველი ტახტისა და გვირგვინისა, გარსევანს „მამულის ორგულად“ იხსენიებს (იხ. „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, გვ. 97); ალექსანდრე ორბელიანს გარსევან ჭავჭავაძე მიაჩნია „რუსეთის აგენტად საქართველოს მიტაცებისათვის“ (იხ. წ. კ. საზ. ხელთ. №№ 1662, 1656). ამასვე იმეორებს ზაქარია ჭიჭინაძე მთელ რიგ თავის ყურმოკრულ დაბეჭდილ თუ დაუბეჭდავ ამბებში. ანტონ ფურცელაძეს მოჰყავს ვითომც გარსევან ჭავჭავაძის მიერ სიკვდილის დროს თქმული სიტყვები: „მოღალატე ვარ, საქართველო მე გავყიდეო!“ (პოემა „ბაგრატიონების დიდება“, „ივერია“, 1881 წ., № 8). ყველა ეს ბრალდება უმართებულოა და შეთხზული.

გარსევანი ეწეოდა დიპლომატურ მოღვაწეობას ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის სამეფო კარზე. იგი იყო სრულუფლებიანი წარმომადგენელი რუსეთის იმპერატორთან და რუსეთზე ორიენტირების მომხრედ ითვლებოდა. როგორც ქვევით დავინახავთ, ეს იყო ერთადერთი გზა და საუკეთესო გამოსავალი დაუძლურებული საქართველოს გადასარჩენად. შეიძლება გარსევანის

გულში სულ სხვა ცეცხლი ტრიალებდა და მისი პოლიტიკური იდეალიც სულ სხვა იყო, მაგრამ ის უპირველეს ყოვლისა თავისი ქვეყნის რეალურ ვითარებას უწევდა ანგარიშს და შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან უკეთეს გამოსავალს ეძებდა. გ. ჭავჭავაძე ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკის განუხრელად გამტარებელი იყო; „და შენ ჩვენი დავალება ისე შეასრულე, როგორც ეს ჩვენ გვსურდა“,—წერდა ერეკლე მეფე გარსევან ჭავჭავაძეს (დ. ფურცელაძე: „Грузинск. дворянск. Грамоты“, გვ. 30).

გარსევან ჭავჭავაძის მოღვაწეობას უფრო სწორი შეფასება მისცა პლატონ იოსელიანმა.

იგი შემდეგი სიტყვებით თითქოს უპასუხებს ამ ისტორიული პიროვნების მოშურნეებსა და ცილისმწამებლებს: „გარსევან, უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა, მეტის მნახავი და უკეთ მზრახველი იყო მტკიცედ და შეურყეველად თვისსა მოვალეობასა ზედა. ჰაზრი მისი იყო ემსახურნა მამულისათვის, ჰფიქრობდა მეფისთვის და დამშვიდებისათვის აღრეულთა ქართველთა... ვიტყვი გარსევანისათვის, რომელ დროთა ამად იყო იგი სვეტად მტკიცედ მეფობისა, ერთგულად მეფისა და მამულისა, მგმობელი მისი ჰსცოდავს!“ („ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1895 წ., გვ. 186).

მეთვრამეტე საუკუნე — ირაკლი მეორის მეფობის ხანა — ერთი გრძელი ისტორიაა, „სათქმელად ძნელი“. ისედაც იავარქმნილი საქართველო ყიზილბაშთა ურდოების სათარეშოდ იყო გადაქცეული. ოდესღაც მჭიდროდ დასახლებული კახეთი თითქმის გაეერანდა. ამას ზედ დაერთო ლეკების შემოსევა: „საქართველოს ორი-სამი მტერი მუდამ ადგა კარზე, რომელთაც უნდა გამკლავებოდა. დაინახავდნენ ლეკები თუ არა, საქართველო მტრისგან გაპირებულ მდგომარეობაშია, შემოესეოდნენ ქურდულად და ანადგურებდნენ ჩვენს მამულს“ („ივერია“, 1891 წ., № 153). „ლეკთა გაალაგეს საქართველო!“ — წერდა გულდამწვარი მეფე ერეკლე იმპერატრიცა ეკატერინეს (პლ. იოსელიანი: „Путевые записки по Дагестану“, გვ. 63).

ხელთ ჩაგვივარდა ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი— დიალოგი გარსევან ჭაჭავაძესა და ომან ხერხეულიძეს შორის. შეიძლება ეს იყოს მეფე ერეკლეს სახელმწიფო საბჭოს ოქმი! სამწუხაროდ, ხელთნაწერი დეფექტიანია.

მოგვყავს მთლიანად:

„...(სი)კვდილისგან გამოუხსნია, რომ საუკუნოდ სახსოვრად დარჩება აზნაურობა და ეს მცირე სოფელი, რა სახსენებელი არის, ამაზედ მეტი ჯილდოც რო მებოძებინა, ღირსი იყო.

გარსევან—ყოველ კაცს ვალად აძევს მეფისა და ერის ერთგულობა. დღესაც, როგორც მე ეხედავ, ჩვენ თუ ერთმანეთს მხარი არ მივეცით და ერთ პირზედ არ დავდექით, მგონია უარესს დღეს უნდა მოველოდეთ... წუხელაც ყეენის ელჩი მოვიდა და სასახლეში საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდათ, ჯერ ხმა კი არა გამოსულა-რა, მაგრამ იმის მოსვლა უსაგნო არ უნდა იყოს.

ომან—დიახ, ეგ მეც გავიგე და რა მიზეზია, ჯერ არ ვიცი..

გარსევან—ისა, ბატონო, რომ ურჯულოებას ბრმად მოუძღურებულნი დაუმონაებივართ და ხელს აღარ ვიქნევთ...

ომან—საქართველოს ეტლი უკუღმა ტრიალებს, ჩვენი ძალა და ღონე თანდათან დასუსტდა და კლებულობს..." (ხელნაწერი აქ წყდება—ი. გ.) *.

*

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა—მაჰმადიანთა უკანასკნელი თარეში იყო საქართველოში.

აღა-მაჰმად-ხანი, რომელიც ნადირ-შაჰმა დაასაპურისა, 18 წელიწადს იბრძოდა ირანის ტახტის დასაპყრობად. მან სულ 20 წელს იმეფა და ამ ხნის განმავლობაში სადაც მიდიოდა, ზურგზე ბოლს ადენდა თავის მოწინააღმდეგეებს, ცეცხლსა და მახვილში სწმენდდა მტერსა და მოყვარეს. შურისძიება აწვალებდა. იგი, როგორც საპურისი, თავის თაუზე იყო გაბრაზებული. როცა თბილისის დაპყრობის დროს ჩვენს აბანოებში განიბანა, „რა ვერ ემკურნალა წყალი იგი", ძირიანფესვიანად დაანგრია ჩვენი აბანოები. მისი სურვილი იყო მთელი კაცობრიობა ერთ კუბოში მოექცია.

დასაპურისებული და ბრაზმორეული ხოჯა ლალის ქვებს დაჰყრიდა მიწაზე და ამ ძვირფას წითელ ქვებზე გორაობდა შიშველ-ტიტველი,—ისე სწყუროდა სისხლი! დაპყრობილ მეფეთა გვამებს თავის ეზოში ამარხვინებდა, რომ ყოველდღე ზედ ევლო და ელახა,—ისე იყო შურისძიებით აღსავსე! მტრის დათხრილ თვალებს ძაფზე აასხმევინებდა და კრიალოსნად ხმარობდა,—ისე იყო ბოროტი, მესისხლე და ღვარძლით ალეწილი!

და აი, ამ სისხლისმწყურვალმა მხეცმა თვალი დაადგა საქართველოს და 1795 წ., 12 სექტემბერს ჩვენი უძველესი დედაქალაქი მოაოხრა და ნაცარტუტად აქცია.

გარსევან ჰავუპავაძე ამ დროს რუსეთში იმყოფებოდა და დაჟინებით მოითხოვდა ტრაქტატით აღთქმული ორი ბატალიონის გაგზავნას საქართველოში. მაგრამ ჩვენი დესპანის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მმართველი წრეები რატომღაც აჭიანურებდნენ...

* იხ. საქ. ცენტრალური არქივი, ხელთნ. № 506.

თბილისის განადგურების მესამე დღეს მეფე ერეკლე წერს გ. ჰავჰავაძეს: „გარსევან, დადგა დრო, რომ ყოველი ღონე იღონოთ სამშობლოს, ეკლესიის და ქრისტეან ერის დასაცავად,—აღარაფერი აღარ გაგვაჩნია, ყოველივე განადგურდა, შენ თითონ კარგად იცი, ჩვენ ჩვენის ფიცით რომ არ ვყოფილიყავით დაკავშირებული რუსეთთან და აღა-მაჰმად-ხანთან კეთილგანწყობილება გექონოდა, ამ უბედურებას ავცდებოდით“ (ალ. ცაგარელი: „Грамоты“, ტ. 2, вып. II, გვ. 106).

მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობა, როგორც ერთ ხალხურ პოემაშია აღნიშნული, „იმედებით“ ჰკვებავდა ფიცით შეკრულ საქართველოს:

სულგამელილი ირაკლი,
გასცქერის რუსის გზებსაო,
მოელის რუსის ჯარებსა,
გაწყობილ ხარბაზნებსაო;
მოელის, ღამე არ სძინავს,
წლათა სთვლის თითო დღესაო,
ჯავრით და მწუხარებითა
იგლეჯდა თმას და წვერსაო...
ხელმწიფე ჯარის მაგივრად
გზავნიდა იმედებსაო.

(„ივერია“, 1861 წ., № 8).

„აღა-მაჰმად-ხანი თუმცა მალე და საჩქაროდ გაბრუნდა ჩვენის ქვეყნიდან, მაგრამ შორს არ წასულა,—მუდარით წერს მეფე ერეკლე ეკატერინე დედოფალს,—მუღანის საშვალს ადგილსა დგას, რომელიც ჩვენიდამ იქამდინ სამასამდინ ვერსი იქმნება და იქიდამ კიდევ სათუოდ არ არის ჩვენზედ იმისი მოსვლა. ჩვენი სასოება თქვენზედ არის დადებული... ხმა ისმის, სპარსეთი დაღესტნელებთან მოლაპარაკებას აწარმოებსო და თუ ამავ ზამთარს თქვენი უძლეველი და იმის მოპირდაპირე კმასაყოფელი მხედრობა არ გვებოძება, უიქოდ წაგვახდენს“. ეს წერილი დათარიღებულია 1796 წლის იანვრის 8.

გარსევან ჰავჰავაძე, შეწუხებული საქართველოს ასეთი უკიდურესი მდგომარეობით („უბედურებითისა შემთხვევისა თბილისის ქალაქისა“), ოფიციალურად თხოულობს საქართველოში დაბრუნების ნებართვას, რათა ინახულოს სამშობლო „ჟამსა განსაცდელისასა, მამულისა თვისისა, აწიწდელთა გარემოებითთა ჟამთა მიერ დახმარებად საქმესა შინა“.

იმპერატრიცა ეკატერინემ ანგარიში გაუწია გარსევან ჰავჰავაძის პატრიოტულ გრძნობას და საკუთარი ხელით წააწერა გარსევანის თხოვნას: „Быть по сему!“

გარსევანის ღელვა არ იყო უმიზეზო. აღა-მაჰმად-ხანი მაინც არ უსვენებდა აოხრებულ საქართველოს. მისი პირველი შემოსევა, რომელიც ერთ დიდ თარეშად არის ცნობილი, მხოლოდ შურისძიება იყო ირაკლი მეფისადმი რუსეთთან შეკავშირებით გამოწვეული.

სწორედ წლის თავზე ერეკლემ მიიღო აღა-მაჰმად-ხანისაგან ულტიმატუმი, „რათა საქართველო რუსეთს დახსნოდა სამუდამოდ".

ჩვენი ქვეყნის უმწეო მდგომარეობის ნათელსაყოფად და გართულებული საერთაშორისო სიტუაციის გასაშუქებლად, მთლიანად მოგვყავს აღა-მაჰმად-ხანის ეს ნაკლებად ცნობილი ფირმანი:

„ბრძანებასა ამას ჩვენსა გამოუცხადებთ მისს სიმაღლეს საქართველოს მეფეს. მომლოდინესა წყალობისა ჩვენისა ვითარმედ ესრედ გეუწყოს:

„სამეოცდაათისა წლისა უწინარეს, რომელიცა საქმე ყანდაარს ქართველთა დაიპირეს და ერანის ნამუსი წაახდინეს, ის საქმე, რომელიც აწ გამოცხადებულია რომელ შაჰსულთან უსეინიც მომკვდარი არის და აღარც არის.

„ახლა თქვენმა უმაღლესობამ იცის, რომ ეს ასი თაობა არის რომე ერანისანი ჰყოფილხართ, ახლა განკვირვებით ვჰბრძანებთ, ვითამც რუსებს მოჰკიდებიხართ, რომელთაცა ამის გარდა სხვა არა არის-რა, რომ ერანში ივაჭრონ, რომელთაც საქმე სოვდაგრობა არის.

„ოთხმოცდაათი წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს შერები, რომ ურჯულონი მოგიყვანია და მათთან შეერთებულხართ, ნება მიგიცია.

„თუმცა თქვენი ჰსჯული და ჩვენი ჰსჯული სხვადასხვა არის და განთვისება აქვს, მაგრამ ყოველთვის ერანთან შეერთება გქონიათ.

„ერანში თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და მრავლის ჰსჯულის სხვანიცა არიან; ამისთვის ჰხამს, რომ ყოველისაე სირცხვილი შენ გასწიო და ეს საქმე არა ჰქმნა.

„შარშანდელს დროსა რამდენიმე ქართველნი მე გამაფუჭებინე. მეტადრე ჩვენი ნება არ იყო, რომ ჩვენნი ყმანი ჩვენის ხელით წამახდენინე. ახლა ჰსწორე ეს არის: ჩვენ ღვთის მოწყალებით, რომლისაცა ძლიერებითა ამას დიდებასა შინა აღვედით, ახლა ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ, ამგვარი საქმეები განიშოროთ, რომ ქვეყნის თასლიბი არის და რუსების შეერთებულება დაჰხსნა.

„თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია — ამ ცოტა ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთ სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მჰსგავსად მდინარეთა გავაკეთებთ.

„რადგანაც ამის შეტყობინება საჭირო იყო, ამისთვის ეს ფირმანი მოგწერეთ. ჩვენს ბრძანებას არ გადახვიდე და შენი მდგომარეობა იცნა“ (იხ. „Сб. мат. для описания местн. и племен Кавказа“, ტ. 29. გვ. 146; შდრ ალექსანდრე ცაგარელი: „Грамоты“, ტ. 2, вып. II, გვ. 146).

მაგრამ აღა-მაჰმად-ხანს აღარ დასცალდა საქართველოს ხელმეორედ აოხრება, იგი მოკლულ იქნა 63 წლის ასაკში ქ. შუშაში 1797 წელს მისივე შინამოსამსახურისაგან; ისტორიკოსნი ჰგონებენ, მკვლელი გათათრებული ქართველი იყოო*.

მოჭირნახულე გარსევან ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1811 წელს პეტერბურგს (54 წლისა იყო), წყალმანკით. დასაფლავებულია პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრაში. მისი საფლავისათვის ეპიტაფია დაწერა მისმა ცოლისძმამ გიორგი ავალიშვილმა (იხ. ბროსე: „Описание древних памятников“, გვ. 34):

არ არსია არსად მომცველმან, მოქმედმან,
ათას შვიდას ხუთ ათ შვიდს დმერთ-მამამან,
ოცსა იელისსა მშვა, მაბრწყინვა მყისვე ცამან,
თანამდებად მყო წარმბდომ საწუთრომან
მიცემად მისდა აწ ესთა ხარკისა მან.

მიმცვალა კვალად ათასს რვა-ას ათ ერთ მეტს,
აპრილის [მ]შვიდსა ბრწყინვალეს პარასკევს დღეს,
შემდგომ შუადღის ჟამს ნახევარ მეხუთეს.
მიოხედ ღმრთისად, მხილველნო, ჰსჳრიტეთ რა ეს,
ვინათ ყოველთად ხვედრი ესე არს ნაწეს.

ჩვენმა ერმა უცხო დამპყრობლებისაგან მრავალი დამცირება განიცადა, მაგრამ ქართველი ხალხი მაინც გულს არ იტეხდა, შეჰხაროდა მომავალს და გმირული სულისკვეთებით აღტურვილი მღეროდა თავის სამშობლოზე:

ოთხმოცჯერ წახდენილია,
ოთხმოცჯერ აღშენებულა!

1801 წ. თვითმპყრობელობამ აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოაქცია, გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და ქვეყნის რუსეთთან შეერთება საბოლოოდ გააფორმა. საქართველოს შეერთება რუსეთთან უდაოდ დადებითი და პრო-

* იხ. „დროება“, 1877 წ., № 10; „ივერია“, 1891 წ., № 135; ალმანახი „Зурна“, 1853 წ., გვ. 253; პოტტოს წიგნი „Кавказская война“, ტ. I, გვ. 269 და ზ. ჭიჭინაძის ბროშურა: „აღა-მაჰმად-ხანის მკვლელი სადიხა“.

გრესული მოვლენა იყო. ამ ფაქტმა საშუალება მისცა ქართველ ხალხს თავი დაეცვა სპარსეთისა და ოსმალეთის განუწყვეტელი შემოსევისაგან და მშვიდობიან პირობებში განეგრძო ცხოვრება. „1801 წლიდან მოყოლებული, საქართველო თანდათანობით გაერთიანდა რუსეთის მფლობელობაში და მშვიდობიანი განვითარების გზაზე გამოვიდა... შემდგომმა ისტორიულმა პირობებმა ნათლად დაადასტურა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა... სწორედ ასე ესმოდა ეს აქტი, როგორც იმ დროის, ისე შემდგომი ხანის ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა პროგრესულ ნაწილს. რუსეთთან შეერთება, საქართველოსათვის იმ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი იყო. და მართლაც, ეს რომ არ მომხდარიყო, ჩვენს ქვეყანას ირანის ან ოსმალეთის სახელმწიფოები დაიპყრობდნენ და ორსავე შემთხვევაში საქართველოს ეროვნული გადაშენება ელოდა“ (ნიკ. ბერძენიშვილი).

ახლა ჩვენთვის საცნაურია, რომ რუსეთთან ურთიერთობამ გადაარჩინა საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან, რუსეთის მეშვეობით დაუკავშირდა ქართველი ხალხი მოწინავე კულტურას და ჩაება იმ სამეურნეო და კულტურული განვითარების ფერხულში, რომლის შედეგადაც ქართველმა ხალხმა დიდ რუს მშრომელ ხალხთან ერთად და მისი მეთაურობით საბოლოო განთავისუფლებას და აღორძინებას მიაღწია.

განიხსნა გზა და ეშვათ იველელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

ალექსანდრე ჭავჭავაძე
(ლექსიდან—„კავკასია“)

თავი მესამე

ვიდრე ამ წიგნს გადავშლიდე,
მინდა ჩემი გული გადავშალო.
ემილ ზოლა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფია ასე წარმოგვიდგება:

1786 წელს დაიბადა პეტერბურგში, სადაც მისი მამა—გარსევან ჭავჭავაძე—1784 წლიდან საქართველოს ელჩად იყო წარგზავნილი. იგი რუსეთში ცხოვრობდა „სახლობით და ფამილიით“.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიმრქმელი იყო ეკატერინე მეორე, რომლის სახელიც, ნათლიის პატივსაცემად, ეწოდა პოეტის შუათანა ქალს (შემდეგში „მთავრინა" ეკატერინე დადიანი).

დედისერთა პოეტის აღზრდის დასაწყისი მშობლების მზრუნველობის ქვეშ მიმდინარეობდა.

1795 წელს, როცა ცხრა წლისა შესრულდა, პატარა ალექსანდრე მიაბარეს ბამანის კერძო პანსიონში (პეტერბურგში). აქ სწავლობდა 4 წელიწადს—1795 წლიდან 1799 წლამდე.

1799 წელს ჩამოიყვანეს თბილისში და სწავლას განაგრძობდა სახლში—მამის ზედამხედველობით.

1804 წ. 3 სექტემბერს, ჩარიცხეს კამერპაჟად სამეფო კარზე.

1804 წელს, 14 სექტემბერს, გაიპარა ფარნაოზ ბატონიშვილთან და შეუერთდა მთიელ აჯანყებულებს, რომელთა საერთო მისწრაფება იყო საქართველოს სამეფოს აღდგენა და ცარიზმის აგენტების განდევნა დედაქალაქიდან.

ფარნაოზ ბატონიშვილი და ამბოხების სხვა ხელმძღვანელები შეიპყრეს და ყველას, თავისდა შესაფერისად, სასჯელი მიეზღო... ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მამის დამსახურების და ახალგაზრდობის გამო, სასჯელი შეუმსუბუქდა და 30 ნოემბერს 1805 წელს იგი ტამბოვში გადაასახლეს სამი წლის ვადით.

მაგრამ პოეტი ტამბოვში დიდხანს არ დარჩენილა: გარსევან ჭავჭავაძემ თავისი შვილის—ალექსანდრე ჭავჭავაძის გადასახლების გამო ასეთი თხოვნა მიართვა იმპერატორ ალექსანდრე პირველს:

„ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფევ!

უწყის დიდებულება თქვენი სიყვარულსა მშობელთასა ძისადმი თვისისა. ჩვენ ორთა მობუცებულთა მშობელთა გვიეის მხოლოდ ერთი ოდენ ძე და იგიცა ვნებული სნეულებისაგან, რომელიცა იმყოფების აწ ტამბოვისა ქალაქსა შინა, რომლისათვისცა შემსჭვალულთა არა გეიშრებიან ცრემლნი; არა ძალმიძს განმართლება მისი ვითარცა მამასა, არამედ მიმთხვევასა, შთამგდებსა ესევითარსა უბედურებასა შინა, ვიკადნიერებ წარმოუდგინო კეთილად განმსინჯველობასა თქვენის დიდებულებისასჲ.

წარვგზავნე ძე ჩემი ტფილისით კახეთად ქორწილსა შინა ცოლის ძმისა ჩემისასა, სადაცა მიმთხვეოდა მეფის ძე ფარნაოზ და შიშისა გამო იძულებული შესდგომოდა მას, რომლითაცა სურიოდათ მათ ბიწიერყოფა ჩემი წინაშე დიდებულებისა თქვენისა; განმწარებული ესევითარისა უბედურებისა ჩემისაგან მარად ვეძიებდი მიმთხვევასა ესევითარსა, რომლითაცა უკმომექცია ძე ჩემი; ვსცან

რომელ იგი მეფისძითურთ მისულიყნენ ყაზახსა შინა, სადაცა რაოდენიმე წელი ბრძანებითა მეფის ირაკლისა და გიორგისათა ვიყავ მოხელედ; მივსწერე მყის, ოდესცა მეუწყა, კეთილთა კაცთა მის ადგილისათა, რათა არა წარწყმინდნონ დროი და აღიპარონ ძე ჩემი ხსენებულისა მეფისძისაგან, რომელთაცა აღასრულის სურვილისამებრ ჩემისა და მოსცეს წარგზავნილთა კაცთა მთავართაგან.

დიდო ხელმწიფევ! ძესა ჩემსა აროდეს ძალუცდა კადნიერებით ესევითარი ქცევა და არცა თუ მოგონებად შემძლებელ იყო, უწყოდა იგი, რომელ იყო ნათლული იმპერატრიცასი და აღზრდილი რუსეთსა შინა და მამაცა მისი შეწყალებული გაბედნიერებითა თქვენის იმპერატორების დიდებულებისაგან და ჰეშმარიტი ერთგული და ყმა რუსეთისა; ესე ყოველმან წარმოებულჰყო ჩემ შორის კადნიერება ჩვენებად თქვენის დიდებულებისად, რომელ მხოლოდ შიშმან მეფის ძისამან შთააგდო ძე ჩემი ესევითარისა უბედურებასა შინა, რომლისა დედა-მამაი განცვიფრებულად რაცხვენ ამას და შემსუბუქებისათვის სიმწარისა კადნიერებენ შევრდომასა მასა კვარცხლბეკისადმი ყოვლად მოწყალისა ერთმთავრისასა და განთავისუფლებისათვის ძისა მათისა, ვითარცა შეცდომილისა სიყრმისაგან.

მამაო მამულისა ჩემისაო, ინებეთ განშორება და აღხოცა ცრემლთა ჩვენთა, მამისა უბედურისა და დედისა, განმწარებულისა განგებისაგან, ნუ მიუშვებ უბედურებისადმი მოხუცებულებასა ჩვენსა დადნობად სიმწარისა გამო ძისა ჩვენისა.

ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფევ, თქვენის იმპერატორების დიდებულების ყოვლად უქვეშევრდომილესი თავადი.

გარხევან ჭავჭავაძე.

თებერვლის კ
წელსა ჩყვ (28.II, 1806)“ *.

1806 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე უმაღლესი ბრძანებით გაწვეულ იქნა პეტერბურგში და იმპერატორ ალექსანდრე პირველის განკარგულებით რამდენიმე ხნის შემდეგ ჩარიცხეს პაჟთა კორპუსში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთ თავის ავტობიოგრაფიაში (რომელიც დაწერილია რესულად 1832 წლის პატიმრობის დროს) ფარნაოზთან გაქცევის თაობაზე შემდეგსა წერს:

* ეს დოკუმენტი, რომელიც ლენინგრადის არქივში ინახება, გადმოგვიწერა მაკსიმე ბერძნიშვილმა, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

„...მიეატოვე მშობლები და გავიქეცი... ეს იყო მგონი 1803 წელს*. ზოგიერთი გზააბნეული ახალგაზრდის ცუდი გავლენით მიეემხრე ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც იმ დროს მთიულეთში იმყოფებოდა, არაგვის ხეობაში. მე მოწადინებული ვიყავი ბატონიშვილ ფარნაოზს გავყოლოდი სპარსეთში. მაგრამ ჩემს იღბალზე მეც დამიჭირეს და ბატონიშვილთან ერთად ჩამომიყვანეს თბილისში.

„ნეტარ ხსენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს-ძემ ეს ჩემი საქციელი მიაწერა ჩემს ახალგაზრდობას და სასჯელი შემიმცირა ხანმოკლე გადასახლებით ქალაქ ტამბოვში.

„მალე ტამბოვიდან გამიწვიეს პეტერბურგში. 1806 წელს შევედი პაჟთა კორპუსში. მე პირდაპირ მიმიღეს კამერპაჟად მამიჩემის ნამსახურობის საპატივსაცემოდ და ჩამრიცხეს სახელმწიფო ხარჯზე“ (ცენტრ.-არქივი — შეთქმულების საქმე, რვეული 8, გვ. 1368).

1809 წელს ალექსანდრე ჰავჰავაძემ დაამთავრა პაჟთა კორპუსი და გადაყვანილ იქნა ლეიბგვარდიის ჰუსართა პოლკში. მიიღო პოდპორუჩიკის ჩინი 1809 წ. 19 დეკემბერს.

1810 წლის 31 ოქტომბერს მიიღო პორუჩიკობა.

1811 წლის 22 სექტემბერს ალექსანდრე ჰავჰავაძე ბრუნდება საქართველოში ჰუსართა პოლკის პორუჩიკის ხარისხით და ინიშნება მთავარსარდალ მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად.

იმავე წლის (1811) 27 ოქტომბერს პაულუჩმა ალექსანდრეს მიანდო მეტად „სერიოზული და საპასუხისმგებლო“ დავალებანი: მან ჰავჰავაძე მიაველინა ერევანში გენერალ-მაიორ ლისანევიჩთან, რომ შეეკრიბა ყველა ცნობა ლისანევიჩის მიერ სპარსელების წინააღმდეგ ჩატარებული ექსპედიციის შესახებ.

1812 წლის იანვარში ალექსანდრე ჰავჰავაძის მონაწილეობით გაიმართა მოლაპარაკება შირვანელ მუსტაფა-ხანთან, რომელსაც პაულუჩი აბრალებდა საიდუმლო ურთიერთობას ირანელ ტახტის მემკვიდრე აბას მირზასთან. პაულუჩს სურდა მუსტაფა-ხანის თავისკენ გადაბირება... დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ალ. ჰავჰავაძე დაჯილდოებულ იქნა ბრილიანტის ბეჭდით.

იმავე წელს (1812), მარტში, ჰავჰავაძე მონაწილეობს პაულუჩის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში კახეთის აჯანყების ჩასაქრობად. მიიღო ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენი ბანტით.

იონა მეუნარგიას გადმოცემით: „ალექსანდრემ ჯერ მოინდომა

---

* პოეტი ცდება: ეს იყო 1804 წელს.

კახეთის დამშვიდება ტკბილის ქართულით, მაგრამ, რომ ვერა გააწყო-რა, საქმე ძალაზე და სროლაზე მიდგა. ამ შებმაში მთავარობის მხარემ გაიმარჯვა. ალექსანდრე სწუხდა, რომ საკუთარ ძმებთან უნდა ეომა, მაგრამ მოვალეობისა და სამხედრო დისციპლინის მონა, ის შეება კახელებს და ცდილობდა საქმე ისე გაეთავებინა, რომ ბევრი უბედურება მაინც არ მომხდარიყო".

ბევრი უბედურება, მართალია, არ მომხდარა,—განაგრძობს მემატიანე,—მაგრამ თითონ პოეტი ლამის იმსხვერპლა ამ აჯანყებამ. ერთმა გლეხკაცმა ის დაჭრა ფეხში*. ამ ჭრილობას ძლიერ ცუდი შედეგი ექნებოდა პოეტისათვის. რომ დროზე არ მიშველებოდათ ქუთათური თურმანიძეები, რომელნიც იმ დროშიაც თურმე შესანიშნავი ექიმები იყვნენ" (ი. მეუნარგია: „ალ. ჭავჭავაძე" გვ. 29).

თვითონ პოეტი რუსულად დაწერილ ავტობიოგრაფიაში ამ ლაშქრობის შესახებ შემდეგსა წერს:

„...აქ აჯანყების დროს ტყვიით დამჭრეს ფეხში. ეს მოხდა 1812 წლის დასაწყისში, სწორედ იმ დროს, როცა მარკიზ პაულუჩი რუსეთში გადაიყვანეს და მის ნაცვლად გენერალ-ლეიტენანტი რტიშჩევი დაინიშნა...

მძიმე ჭრილობამ, ცოტას გაწყდა, ჭლექად ჩამაგდო. ისე დავსუსტდი, რომ წლის ბოლომდე სამსახურის შესრულება ვერ შევიძელი.

ღენერალი მარკიზ პაულუჩი ამ დროს იმყოფებოდა რიგაში და მე პეტერბურგზე გავლით წაველ მასთან 1813 წლის დასაწყისში.

13 და 14 წლების კამპანიის შემდეგ [აქ იგულისხმება ომები ნაპოლეონის წინააღმდეგ. ი. გ.] დავბრუნდი ისევ პეტერბურგში.

ჩემი ჭრილობა ხელმეორედ გაიხსნა უკანასკნელ ბრძოლის შემდეგ და დიდხანს არ შეხორცებულა".

1813 წლის 23 თებერვალს ალექსანდრემ მიიღო შტაბროტმისტრობა, წინანდელ თანამდებობაზე დატოვებით.

1813—1814 წლებში ა. ჭავჭავაძე ევროპაშია ე. წ. „სამამულო ომში" მონაწილეობის მისაღებად.

მოქმედ არმიათა მთავარსარდლის ბარკლაი დე-ტოლის განკარგულებაში მყოფი ა. ჭავჭავაძე (1813 წ. 21 სექტემბრიდან 1814 წ. 6 იელისამდე) მონაწილეობდა ბრძოლებსა და ლაშქრობაში

---

* პოეტი დაიჭრა მარცხენა ფეხში 1 მარტს, სოფ. ჩუმლაყთან, ხოლო ამავე ბრძოლაში მოკლულ იქნა ვახტანგ ორბელიანი, ერეკლე მეორის ასულის თეკლას შეუღლე და მამა—ვახტანგ, ალექსანდრე და დიმიტრი ორბელიანებისა.

ფრანგი ჯარების წინააღმდეგ. იყო საქსონიაში, ლაიპციგში, 1814 წელს 18 მარტს იბრძოდა საფრანგეთის დედაქალაქთან.

პარიზში შესვლისას ა. ჭავჭავაძეს ბარკლაი დე-ტოლის ადიუტანტის ადგილი ეჭირა.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ალექსანდრე ისევ საქართველოში ჩამოვიდა და განაგრძობდა სამხედრო სამსახურს. ალექსანდრე ჭავჭავაძე წერს:

„... 1814 წლის მიწურულში მივიღე სახლში დაბრუნების ნებართვა ჰრილობის სამკურნალოდ და ჩამოვედი თბილისს [ლაპარაკია 1812 წლის ჰრილობაზე. ი. გ.] აქ გადავირიცხე ადგილობრივ კორპუსში და ამის შემდეგ არც მოსკოვში, არც პეტერბურგში აღარ ვყოფილვარ“ (1832 წლის ჩვენებიდან).

1816 წ. 7 მარტს მიიღო როტმისტრობა.

1817 წელს ალ. ჭავჭავაძემ მიიღო პოლკოვნიკის ხარისხი (14 ნოემბერს) და 1818 წ. 18 თებერვალს ლეიბ-ჰუსართა პოლკიდან გადაყვანილ იქნა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც თავის სამშობლო კახეთში, წინანდალთან ახლოს იდგა. „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩამოსვლამ—წერს ისტორიკოსი პოტტო—ახალი სხივი შეიტანა მის ცხოვრებაში, იგი აქ დაუახლოვდა ქართველ საზოგადოებას“. და მართლაც ჭავჭავაძე აქ გვეელინება, როგორც შემაერთებელი რგოლი რუსებისა და ქართველების დაახლოების საქმეში.

1818 წელს 13 ივლისიდან 20 სექტემბრამდე მიელინებული იყო ბაქოში. აქ ა. ჭავჭავაძემ საიდუმლო ძიების შედეგად აღმოაჩინა ასტრახანიდან უკანონოდ შემოზიდული 9264 მანეთის და ერთი უზალთუნის სპილენძის ფული, რომელიც უნდა გატანილიყო ბოროტგამზრახველების მიერ სპარსეთში გასაყიდად.

1822 წლის 18 თებერვალს ნიჟეგოროდის პოლკის უფროსის კლიმოვსკის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი, ა. პ. ერმოლოვის ბრძანებით, დაიჭირა ალექსანდრე ჭავჭავაძემ და პოლკს მეთაურობდა 1822 წლის მარტამდე.

ამ დროს მოხდა ფრიად დამახასიათებელი ფაქტი, რომელიც ალ. ჭავჭავაძის პატიოსნებას და პოლიტიკას სულ სხვაგვარ იერს აძლევს: როდესაც თბილისში ბრძანება მოვიდა დეკაბრისტ ნ. რაევსკის დაპატიმრების და მისი სალდათად ჩამოქვეითების შესახებ, ამის შესრულება ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაევალა. მაგრამ ჭავჭავაძემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და ეს უმართებულო განკარგულება სისრულეში არ მოიყვანა (იხ. „Архив Раевских“, ტ. II, გვ. 1—აქვეა მოთავსებული ალექსანდრე ჭავჭავაძის კერძო ბარათი, მინაწერი რაევსკისადმი).

იმ ხანებში, საბერძნეთის გამოიხობით რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოსალოდნელი ომის ხმებთან დაკავშირებით, ჰარელ ლეკებშიაც დაიწყო ღელვა და ნერვიულობა. ალ. ჰაქჰავაძეს მოუხდა მონაწილეობის მიღება იმ საომარ ექსპედიციაში, რომელიც ჰარელების წინააღმდეგ გაემგზავრა.

კახეთში მდგომ რუსის ჯარის მთავარსარდალმა თავადმა ერისთავმა შეაგროვა რაზმი, რომელშიაც ნიჟეგოროდელთა დივიზიონიც შედიოდა ალ. ჰაქჰავაძის უშუალო მეთაურობით. ექსპედიცია წარმატებით დამთავრდა და ალექსანდრე ჰაქჰავაძემ თავისი დივიზიონით თავი ისახელა 1822 წლის 3 მარტს, სოფ. კატეხის მახლობლად. აქ ჩვენმა პოეტმა, ავანგარდში ყოფნისას, იერიშით აიღო ის სანგრები, რომელიც სოფელს იცავდა.

ექსპედიციიდან დაბრუნებისას ალექსანდრე ჰაქჰავაძე იძულებული იყო პოლკის უფროსის პოსტი დაეტოვებინა.

აი, როგორ იყო საქმე: როცა კლიმოვსკი გარდაიცვალა, ერმოლოვმა მის ადგილას დანიშნა ნიჟიერი და გამოცდილი მეომარი ალ. ჰაქჰავაძე, მაგრამ პეტერბურგმა არ დაამტკიცა ჰაქჰავაძე ნიჟეგოროდის პოლკის უფროსის თანამდებობაზე. მიზეზად მის ახალგაზრდობას ასახელებდნენ, სინამდვილეში კი ჰაქჰავაძის ადგილზე კომანდირად გამოგზავნეს ჰასაკისა და სამსახურის მხრივ მასზე უფრო ახალგაზრდა პოლკოვნიკი შაბელსკი.

1822 წლის 10 ივნისს ამ ამბით შეურაცხყოფილმა პოეტმა დასტოვა ნიჟეგოროდელთა პოლკი და გრენადერთა ქართულ პოლკში გადავიდა.

1823 წ. 24 აპრილს დანიშნულ იქნა ინფანტერიის გენერალ ერმოლოვთან საგანგებო დავალებათათვის.

1826 წ. 6 დეკემბერს მიიღო გენერალ-მაიორობა.

1827 წ. 8 მარტს მთავარი შტაბის უფროსის ნებით დანიშნულ იქნა ულანთა მეორე დივიზიის პირველი ბრიგადის სარდლად.

1827 წ. 22 ოქტომბერს გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის ნებით დანიშნულ იქნა აზერბაიჯანის დროებითი მთავრობის წევრად და თავმჯდომარედ—თავრიზის ოლქის შემოსავალთა ცნობაში მოსაყვანი კომისიისა.

1828 წ. 17 თებერვალს დანიშნულ იქნა სომხეთის ოლქის მმართველად* და ამ მხარის ჯარების სარდლის თანამდებობის ამსრულებლად. ხოლო იმავე წლის (1828) 21 მარტს, როცა ერევნის და ნახჩევანის სახანოებისაგან ჩამოყალიბდა ერთი მთლიანი

---

* ა. გრიბოედოვი პასკევიჩისადმი მინაწერ ერთ წერილში (1828 წ.30 ოქტომბერი) წერს: „ჩემმა სიმამრმა (ალექსანდრე ჰაქჰავაძემ ი. გ.) ბაიახეთში დავლად მიიღო რამოდენიმე მანუსკრიპტი".

სომხეთის ოლქის მმართველობა, ალექსანდრე ჭავჭავაძე დამტკიცებულ იქნა ამ მხარის უფროსად და ერევნის საოლქო მმართველობის თავმჯდომარედ.

ამ ახალ თანამდებობაზე მცირე ხანს დარჩა პოეტი და აქაც დიდი სახელი მოიხვეჭა თავისი სტრატეგიული ნიჭით და გულადობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლაშქრობა ბაიაზეთის საფაშალიყოზე: 1828 წლის 25 აგვისტოს ოსმალეთთან ომის დაწყებისთანავე ის თავისი პატარა რაზმით შეიჭრა ოსმალეთის საზღვრებში და სამი კვირის შემდეგ ბრძოლით აიღო ბაიაზეთი, დაიკავა სამი მთავარი ქალაქი: თოფრაჰკალე, ხამური და დიადინი.

22 სექტემბერს პასკევიჩმა, როცა გაიგო ბაიაზეთის აღება, წამოიძახა: „ყოჩაღ, ჭავჭავაძე!“

ამ გამარჯვებისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძეს ებოძა წმინდა ანნას ორდენი პირველი ხარისხისა*.

ამის შემდეგ ალექსანდრე ისევ საქართველოშია. რუსეთის ადმინისტრაცია სარგებლობს მისი გავლენიანი სახელით და მის ავტორიტეტს იყენებს სხვადასხვა მოჯანყე პატარა ერის აღრეულობათა დასამშვიდებლად.

1829 წ. 15 მაისს დაინიშნა კახეთის მოსაზღვრეთა უფროსად.

1829 წელს 8 ივლისს ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაითანხმა ჭარელები და მათი თემის უფროსებს სიტყვა ჩამოართვა, რომ დაწყნარდებოდნენ და მთავრობისადმი ურჩობას თავს დაანებებდნენ.

იმავე წლის (1829) 4 ნოემბერს თელავის მაზრაში დაიწყო მცირე უკმაყოფილება. თურქეთთან ომის მოახლოებისას პასკევიჩმა გასცა განკარგულება ქართული მილიციის შესადგენად. ხალხმა კი ეს განკარგულება სამხედრო ბეგარის მსგავს გადასახადს მიაწერა...

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ეს შეოთიც დააწყნარა.

1830 წლის 24 აპრილს ალექსანდრე ჭავჭავაძე ითვლებოდა თავ-

---

* ამ რიგად ა. ჭავჭავაძეს დაუმსახურებია: ანას ორდენები, პირველი და მეორე ხარისხისა, პრუსიული ორდენი („პურლემერიტ“), საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი, ოქროს ხმალი წარწერით—„გულადობისათვის“,“ ვლადიმერის ვერცხლის და ოქროს მედლები მე-2, 3, 4 ხარისხისა, პატიოსან თვალთა ბეჭდები, ფულადი საჩუქარი და სხვადასხვა ხასიათის უამრავი ჯილდო და ნიშნები.

გარდა ამისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ნამსახურობის სიაში ნათქვამია, რომ ყოველგვარ დავალებას უმწიკვლოდ ასრულებდა, არ შეხვედრია მთავრობის შენიშვნები და საყვედურები. სისუსტე სამსახურის მოვალეობათა შესრულებისას არ შემჩნევია; უწესობანი და ურიგობა ქვეშევრდომთა შორის არ დაუთმენია. დახრახული ან მხილებული ცუდს საქციელში არ ყოფილა, ტყვედ არ ჩავარდნილა (იხ. ლენინგრადის ცენტრ. ისტორიული არქივი, საქმე № 330|1842).

პოეტის განსწავლულობისათვის ასე იტყვიან: ალექსანდრე ჭავჭავაძემ ხედმიწევნით იცოდა: ქართული, რუსული, ფრანგული, გერმანული და თურქული.

მჯდომარედ იმ კომისიისა, რომელსაც დაევალებული ჰქონდა ხევსურთა საჩივრების გარჩევა; ამის გამო სტრეკალოვის რაპორტში ნათქვამი იყო ჭავჭავაძეზე: „აი ადამიანი, რომელიც ცნობილია თავისი ერთგულებით და რომელსაც ხალხი ენდობა და პატივსა სცემს". ამავე წელს (1830) 28 მარტს ა. ჭავჭავაძეს სამსახურიდან განთავისუფლება მოუთხოვია, მიუღია ხანგრძლივი შვებულება.

1832 წლის 15 ივლისს მას დააკისრეს იმ რაზმის უფროსობა, რომელსაც დავალებული ჰქონდა კახეთის დაცვა დაღესტნის იმამის ყაზი-მოლას თანამზრახველის ჰამზად-ბეგის თარეშისაგან.

ამის შესახებ ა. ჭავჭავაძე ავტობიოგრაფიაში წერს:

„... ეს ექსპედიცია ბელაქანის ბლოკადისაგან გასანთავისუფლებლად წარიგზავნა ღენერალ როზენის განკარგულებით. ის ამ დროს ასრულებდა ამიერკავკასიის ჯარების სარდლის მოვალეობას, ვინაიდან კორპუსის კომანდირი აქ არ იმყოფებოდა".

1832 წელსვე, ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ჭავჭავაძეც დააპატიმრეს. 1832 წლის 9 დეკემბერს იასე ფალავანდიშვილის გაცემით შეთქმულება გამოაშკარავდა, „მონაწილენი აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარეს". ალექსანდრე ჭავჭავაძე გადაასახლეს ქ. ტამბოვში ოთხი წლის ვადით, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ხელმწიფემ დაიბარა „სანქ-პეტერბურღს", დაუყვავა და ნაპატიები პოეტი ისევ თბილისს დააბრუნა.

1838 წ. 4 აპრილს დანიშნულ იქნა ამიერკავკასიის მხარის მთავარი მმართველობის საბჭოს წევრად.

1838 წელს, როცა ახალციხეში შავი ჭირი გაჩნდა, გენერალ გოლოვინმა მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო მოვალეობა მიანდო ალექსანდრე ჭავჭავაძეს. იგი დაინიშნა საკარანტინო ზონების უფროსად. ალ. ჭავჭავაძეს დიდი შრომა დასჭირდა იმისათვის, რომ ამიერკავკასია გადაერჩინა გადამდები სენის გავრცელებისაგან. ეპიდემია გაგრძელდა 1840 წლამდე და ჩვენმა პოეტმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა:

იგი თვითონ ათვალიერებდა ყველა საკარანტინო ზონას არტანუჯიდან შავი ზღვის ნაპირებამდე და მართლაც ყველგან, თვით გოლოვინის ცნობით, ა. ჭავჭავაძე ისე თადარიგიანად იქცეოდა, რომ მიუხედავად ამ ჭირიანობის ხანგრძლივობისა, სხვა ახლომახლო სოფელ-ქალაქებს არ მოსდებია ეს მძვინვარე ავადმყოფობა.

1841 წ. დაინიშნა უფროსად ერევნის მაზრაში გაჩენილი შავი ჭირის შემწყვეტი კომისიისა.

1841 წ. 4 ივლისს ა. ჭავჭავაძეს ებოძა გ ე ნ ე რ ა ლ-ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი ს ხარისხი.

1842 წელს, 23 დეკემბერს, ის დანიშნეს ამიერკავკასიის საფოსტო ნაწილის უფროსად.

1843 წლის 15 სექტემბერს ალ. ჭავჭავაძეს დაეკალა ახალი ექსპედიციის მოწყობა მთაში შამილის ქვეშევრდომი ტომების წინააღმდეგ. იგი იმავე წლის 21 ოქტომბერს ახლად ჩამოყალიბებული კახეთის მილიციის რაზმით დაიძრა მთისკენ და დაიპყრო დიდოეთი.

1845 წ. იგი იყო აგრეთვე წევრი ახლად დაარსებული სათეატრო კომიტეტისა.

1846 წ. 6 ნოემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძე გარდაიცვალა სრულიად მოულოდნელად: გაქანებული ეტლიდან გადმოვარდა და თავი დაჭკრა ქუჩის ფილაქანს. დასაფლავებულია კახეთში, შუამთის მონასტერში, თელავის მახლობლად *.

აი, ჩვენი სახელოვანი პოეტის ცხოვრების გზა. ა. ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება განუყრელად დაკავშირებულია მის საყვარელ ხალხთან და სამშობლოსთან. ჰეშმარიტად მას შეეძლო თავის თავზე ეთქვა შემდეგი სიტყვები: „მრავალ გზის მბრძოლეს მე და ვერა მერეოდეს მტერი“.

ამ ბიოგრაფიული ეპიზოდებიდან, აშკარაა, ჩვენ გამოვყოფთ, რაც თვალსაჩინო და დამახასიათებელი თარიღებია პოეტის სულიერი განწყობილების გასაშუქებლად (1804, 1812, 1832 წ. და სხვ.). ამ მომენტებს ჩვენ ცალკე თავებს მივუძღვნით.

---

* ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ორ ძმა დონდუებს—კარპეზს და ვარლამს, რომლებმაც ჯერ კიდევ 1935 წელს დრო არ დაიშურეს და ლენინგრადის არქივებიდან მომაწოდეს ბიოგრაფიული მასალები. პირგელმა ცნობები—პაეთა კორპუსის საქმეებიდან, ხოლო მეორემ – ალექ. ჭავჭავაძის „ფორმულარული სია“ ლენინგრადის ცენტრალური ისტორიული არქივიდან ამონარიდი.

გარდა ამისა გამოვიყენეთ ნ. პავლოვ-სილვანსკის წერილი (იხ. „Русский биографический словарь“, 1905 წ., გვ. 5); არქეოლოგიური აქტები (ტომები: 1, 2, 5. 6, 7, 8, 9); პოტოს „История нижегородск. драгунского полка“, ტ. II და IV; ნ. დუბროვინის „ისტორია რუსების ომისა და მფლობელობისა კავკასიაში“ (რუსულად); ბუტკოვის სამივე ტომი (რუსულად), შერბათოვის შრომა პასკევიჩზე (რუსულად); ა. სოკოლოვის ფრიად საინახო წიგნი—„მოგზაურობა იმერეთში... (რუსულად); ვეიდენბაუმის არქივი, ალ. ჭავჭავაძის ჩუნება (შეთქმულების საქმე. რვეული 8). იონა მეუნარგია: „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, 1937 წ., მისივე წერილი რუსულად (გადმოგვცა იაკობ ფანცხავამ. ხელთნაწერი ჩვენთან ინახება); სამ. ცომაია: „ქართველები სამამულიშვილო ომში“ (განათლება“, 1915 წ., № 1); ი. ენიკოლოფოვის წერილი—„მნათობი“, 1933 წ., № 6—7 და გ. გოზალიშვილის შრომა: „1932 წლის შეთქმულება“.

„ნუ გათათრდები—ეგვიპტის მტრედია, მომცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა, მისირში და შირაზში ცხოვრობს. ვსენი ოდეს მგზავრს კაცს ნახვენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: „ნუ გათათრდები“ და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ „გიაურუყუშს“, ეითომც უსჯულო ფრინველიაო“.

სულხან-ხაბას ლექსიკონი (1928. გვ. 260).

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ლექსების წერა იმ დროს დაიწყო, როცა საქართველოში რუსული ბიუროკრატიული მმართველობა მტკიცდებოდა.

მისი პოეტური თვალის გახელა და თბილისში ცარიზმის ჯარის ფეხის შედგმა ერთ დროს მოხდა. ასე რომ ჩვენი პოეტი მოწმე იყო იმისა, „თუ როგორ აღსდგა საქართველო, როგორ დაეცა“ (ვახტ. ორბელიანი)

ეს ის დრო იყო, როცა 1804 წელს მთიელ ხალხს მოთმინების ფიალა აევსო და ანანურთან აჯანყების დროშა აფრიალდა!

ისტორიკოს ნ. დუბროვინის თქმით: „რუსის მოხელეთა ბოროტმოქმედება უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. თვითნებობა სათემო პოლიციისა, მოუფიქრებელი და ერის ზნისა და ხასიათის შეუფერებელი განკარგულება იყო მიზეზი, რომ საქართველოს მორჩილი მთის ხალხი და თვით საქართველოც სრულიად აღელდა და ამბოხება მოხდა“ („Закавказье“, გვ. 360; ალ ფრონელი—„მთიულეთი“, გვ. 103). „სასამართლოში ქართველებს ლანძღავდნენ, აგინებდნენ და ხშირად მომჩივან-მოპასუხეს სცემდნენ კიდეც, საკმარისი იყო ვისმეზე მცირე ეჭვი შეეტახათ, მაშინვე დაატუსაღებდნენ, ხელებს ზურგზე თოკით შეუკრავდნენ, კისერზე საბელს წააბამდნენ და ამ გვარად ტუსაღს ატარებდნენ ერთის ქალაქიდან მეორემდე. ამასაც არა სჯერდებოდნენ,—განაგრძობს შემატიანე,—მოხელენი სოფლებიდან ქალებს იტაცებდნენ და აუპატიურებდნენ“ („მთიულეთი“, გვ. 27).

ტყუილად კი არ არის „კალმასობაში“ ნათქვამი: „ცუდის მოხელეებისაგან არის ქვეყანა ნაკლულევანებაში!“

კაპიტან-ისპრავნიკების აღვირაშვებულობას ზედ დაერთო გლეხების შევიწროება სხვადასხვა აუტანელი გადასახადით.

ხალხის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როცა დაიწყო მართვა-გამგეობის და სასამართლოს მთლიანი რეორგანიზაცია, დაწესდა ბიუროკრატიული რეჟიმი და შემოღებულ იქნა რუსული ენა, რაც მოსახლეობას არ ესმოდა.

ერთი ძველი ხელთნაწერი ამაოდ ჰგოდებს ამ მდგომარეობის გამო: „მშვიდობით, ძველო ქართულო ენავ და მშვიდობით, სრულიად საქართველოს მდგომარეობაო,—აწ ჩვენ ვართ კოლონისტები და არა თუ მკვიდრნი საქართველოსანი“ (ფ. ციციშვილი, „იევრია“, 1891 წ., № 122).

ხალხმა ვეღარ გაუძლო მეფის ადმინისტრაციის მოხელეთა თვითნებობას და მოხდა პირველი აჯანყება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ჩვენმა პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემაც. ახალგაზრდა ალექსანდრეს თავისი ტოლებისაგან სულ ის ესმოდა, რომ „მამაშენი მოღალატეა“, „მამაშენმა გაგვყიდა“, „შენც მოღალატის შვილი ხარ!“—ჰაბუკი ალექსანდრეც, როგორც წარმოშობით მთიელი, აჰყვა ბატონიშვილ ფარნაოზს და პატრიოტული გრძნობით აგზნებული მთიელ აჯანყებულებს შეუერთდა.

ეს იყო 1804 წელს.

თუ რა აუტანელ ტანჯვასა და მწუხარებაში იყო ჩავარდნილი მთიულეთი, თუ „რა უსამართლობასა და უკანონობას იტანდა ლაღი მთის შვილი“— ამას გვიხატავს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი, რომელიც საჩივრის სახით წარუდგენიათ თავად ერისთავისათვის უმაღლესი მთავრობისადმი მოსახსენებლად.

აი, მთიელების ეს საჩივარიც, რომელიც ქართულად შემონახულა („Акты. ტ. 2 გვ. 11).

აქ აშკარად მოჩანს 1804 წლის ამბოხის მიზეზები:

„1. კაცისაგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში სტეფან-წმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გაგვსწმინდეთ.

2. ჩვენგან გაკეთებულ ამავ გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს; ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოჰკლეს, ერთი გუდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაგათხეველი ჯაუნარის-ძე.

3. მოვიდა თოვლი და აღმოივსო ჩვენგან გაკეთებული გზა; ასეთს დროს მიგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს; წამოვიდა. ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიმოთემ ხმლის ცემით მიგვყარა, წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი იქ გაიჭყლიტა.

4. მოვიდნენ ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხენოსანი ყაზახი. ამათ უნდებოდათ დღეში სალდათს ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი, ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს.

5. ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუციათ ჭირა; ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი, — ესეც მოვითმინეთ.

6. ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდნენ.

7. გვიბრძანეს და ოთხი საკირე დავსწვით, ერთი ზაქათ კარს, მეორე ბურდულის კარს, მესამე ნადიმაძის კარს, და მეოთხე ამირიძის კარზე.

8. თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს ერთობით ჯარში უნდა წახვიდეთო, და იქიდან გავიგონეთ, წინ ჩვენ უნდა წაეყვანეთ, ჩვენთან მოდევნებით ქსნის ჯარი და ჩვენს უკან სალდათი და შემწყედეულნი ცემით რუსეთს უნდა გადავერეკენით. დედაკაცნი და რომელნიც წვრილნი შინ დარჩებიან, ხიდების საკეთებლად კირი იმათ უნდა ვახიდვინოთო, — ესეები იმათგან გავიგონეთ.

9. დაგვიდეს ფიცი შვიდის წლის სითარხნე, არც ერთი წელი დაგვაცალეს: წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსა და სხვისაც დებულებისა მაგიერათ სულ თეთრი გამოგვართვეს ორის წლისა, რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო და ვერსად ვიშოვეთ და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვტანინეს თეთრი და წაიღეს. გამოგვართვეს ცხვარზე ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი, ერბოზე ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთ ლიტრა ქერზე და ერთ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი.

10. ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეთაც არა ჰკითხეს.

11. ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ-ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ; ჩაფარიც თავიანთის ცხენით უნდა მიეყვანათ და მოეყვანათ. ქერსა და თივას უფასოდ გვართმეედენ და ცხენსაც უქირაოდ და კურიელიც ჩვენის ცხენით დაჰყვანდათ.

ჩვენ ამ ზემოხსენებულის მწუხარებისაგან, რომელნიც ყოელად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში გაძლიერებას ღმერთს ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთ. ჩვენ ძალს არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვეველინა-რა განსაცდელი ამ მოუთმენლის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ, ცოლშვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ, და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწე-

ზოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ, — მარტო მთიულეთში ცემით ოც-და-სამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა.

თქვენს ბრწყინვალებას ვსთხოვთ, რადგან ჩვენის საქმის შესატყობლად საქართველოს მმართებელისაგან წარმოგზავნილი ბრძანდებით, ეს ჩვენი წერილი მათსვე ბრწყინვალებას წარუდგინოთ.

ერთობით მთიულთაგან წარმოგზავნილი მოციქულნი, რომელთაც ერთობის პირით ეს წერილი მოგვცეს, სახელით არიან ესენი: ბურდული მღვდელი ათანასე, ნაზღაიძის სახელო ბერი, ბურდულის სახელო ბუჩუკური ფადიური, ნაზღაიძე დათუნა, ციხის-თავის შვილი გიორგი, ბენიაძე გამახარე" („მთიულეთი", 1896 წ., გვ. 103).

მთიელებმა ხუთ თვეს გაუწიეს ურჩობა რუსეთის ჯარს.

აჯანყების ჩასაქრობად რუსეთის მთავრობამ შანშე ერისთავის მეთაურობით ექსპედიცია გაგზავნა. მეამბოხეებმა ერისთავს ასე უთხრეს: მთავრობამ უკიდურესობამდე მიგვიყვანა, შეგვავიწროვა, უზომო გადასახადი და ბეგარა დაგვაკისრა; ვეღარ ვუძლებთ და გადაეწყვიტეთ საქართველოში არც ერთი რუსი აღარ შემოვუშვათო (ივ. ჯავახიშვილი, „Политич. и соц. движение в Грузии в XIX в.").

ასეთ აჯანყებებს ხშირად ზოგიერთი თავადი თავისი პრივილეგიების აღსადგენად იყენებდა, ხოლო უტახტო ბატონიშვილები ცდილობდნენ ამგვარ მოძრაობას სათავეში ჩასდგომოდნენ.

მეფე ერეკლეს შვილებს შორის, ცარიზმის მიმართ ყველაზე პროტესტანტი და დაუდგრომელი იყო ორი ძმა: ალექსანდრე და ფარნაოზი.

ალექსანდრე ბატონიშვილი, როგორც ირანის აგენტების მიერ გადაბირებული, ცარიზმის დამყარებისთანავე გადავარდა ირანში და იქიდან აპირებდა შაჰის ჯარებით საქართველოს მიდამოებში გამოჩენას, მაგრამ მოხეტიალე ბატონიშვილი ვერ ელირსა თავისი სამშობლოს ხილვას. იგი გარდაიცვალა 1844 წელს, 73 წლისა, და დაკრძალულია თეირანში („Акты", ტ. 5, გვ. 8).

ფარნაოზ ბატონიშვილიც (1777—1852) ასევე შეურიგებელი იყო მტრებისადმი. სხვათა შორის, იგი მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას და თავის მეამბოხე სულს აქაც ამეღავნებდა. მას ნათარგმნი აქვს „აზრნი ჟანეაკ რუსოსანი სხვადასხვა საგანთათვის" („არქეოლოგიური მოგზაურობანი", ტ. I, გვ. 277.) რა თავისი ლექსებით ძირითადში აგრძელებდა მუხამბაზური პო-

ეზიის ტრადიციებს და საკუთარი აშულიც ჰყავდა — შამჩი-მელქო.

ჩვენ აქ ნიმუშად მოვიყვანთ ფარნაოზის ერთ ლექსს, რომელიც მაშინდელი სევდიანი განწყობილების მიხედვით არის დაწერილი. ამ ლექსში ფარნაოზ ბატონიშვილი დასტირის თავის სამშობლოს ბედს:

იგონეთ დრონი ყოველთ წინარე,
გინა თვისნი ხართ ანუ ვინარე,
ოდეს სუფევდით ყოვლნი შინარე,
ჟამყოველ განცხრომით მოსალხინარე,
დღენი არ გესხნესთ მოსაწყინარე,
იშვებდით თავთა გამომჩინარე,
აწცა გიხმს გლოვა მოუთმინარე.
ისმინეთ პირნი მოუსმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე:

შემოკრბით ერთად სმენად ხმისანი,
მგლოვარედ ლექსთა აღმოთქმისანი,
იხილეთ მჭსგავსნი ედემისანი
გარმოცვით ღრუბელთ სიბნელისანი;
ოდეს ჰკრთებოდა ელვა მხისანი,
შარავანდები ნათლად დღისანი,
ქვეყნად მომფენნი სხვა და სხვისანი,
თვალთშეუდგამი სხივმომფინარე.
ისმინეთ პირნი მოუსმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე.

ეს ყოველი წახდა ცვალებით,
მოუცავს ნისლსა მისა თვალებით,
შვიდნი ცოომილნი მსრბოლნი მალებით,
განჰხმა წალკოტი ვარდის კვალებით,
თვალთა მნახველთა შესაბრალებით,
მიგვეღო ყოველი სწორი ძალებით,
შეგვექმნა ბედი, ვითა მძინარე.
ისმინე პირნი მოუხმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე.

სოფლის სიმუხთლემ ჟამთა ქცევითა
მიგვცა პირებსა დღე დალევითა,
ბედკრულობითა, თავთა წყევითა,
უწყალოდ ლახვართ გულთა ხვევითა,
მიუნდობელად, პირად-თნევითა,
არ არს ნუგეში, არცა მწე ვითა,
ნაცვალ-მომგები უკუნ ხლეევითა,
მისთვის ვიქმენით მტირალ საცინარე.
ისმინეთ პირნი მოუსმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე.

ფიქრთა მომიცველ ყოვლნი გრძნობანი,
აღარა ძალუძს ენას თხრობანი,
მისთვის შემეკრა თვალთა ცნობანი,
ამათ იცვალა სხეულთ მკობანი,
ვაი, ვით გექმნა ლახვარსობანი,
ხარი გაჰხდების ქვეყნად თხრობანი,
საუკუნომდე საბაეთობანი,
აჰა, სიცოცხლე გავაწყინარე,
ისმინეთ პირნი მოუსმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე.

(საქ. მუზ. ხელთ. № 1512—S).

ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავისი ახალგაზრდული მშფოთვარე სულის თანამოსაგრედ სწორედ ეს ფარნაოზი აირჩია. იგი მისი პოეზიის დიდ გავლენას განიცდიდა.

ჯერ კიდევ 17—18 წლის ჭაბუკი იყო, როცა იგი ჩუმად, მამის დაუკითხავად გაიპარა სახლიდან და მთიელ აჯანყებულებს შეუერთდა.

ეს იყო მისი პირველი პოლიტიკური ნათლობა.

ამ აჯანყების მეთაურობდა ფარნაოზ ბატონიშვილი.

პოეტი იქ დარჩა სამ თვემდე.

1804 წლის აჯანყება ჩააქრო მთავრობის გაწვრთნილმა ჯარმა.

აჯანყების მონაწილე სამოცდაათი კაცი სამართალში მისცეს. მეთაურნი ცივ ქვეყნებში გაისტუმრეს. ფარნაოზი გადაასახლეს ვორონეჟში, იულონი — ტულაში, ხოლო ალექსანდრე ჭავჭავაძე— ტამბოვს.

ალექსანდრე ორბელიანის თქმით, ჩვენს პოეტს თურმე „თავი გადაუპარსეს“ და ისე გაამგზავრეს დანიშნული ადგილისკენ. თვით გამგზავრებაც, რომელიც მომხდარა 1805 წლის 30 ნოემბერს, სხვანაირი ყოფილა: მკაცრი და უჩვეულო. თან გააყოლეს ცხენოსანი ჯარი—ეშინოდათ, რომ გუდამაყრის გზაზე მთიელებს არ გაეტაცნათ ახალგაზრდა პოეტი. ხოლო ტამბოვის გუბერნატორს შეუთვალეს, როცა ტყვეს ჩაიბარებ — მყისვე გვაცნობეო.

პატიმარ ა. ჭავჭავაძეს მამა თან გაჰყვა.

ბოლოს მამის შუამდგომლობით („მაჩუქეთ შვილი, აპატიეთ დანაშაული, სიყმაწვილით მოუვიდაო“) და მისი ნამსახურობის პატივსაცემად, ალექსანდრე ჭავჭავაძეს სამი წლის გადასახლება შეუცვალეს სულ რამდენიმე თვით და შენდობილი პოეტი უმაღლესი ბრძანებით განწესებულ იქნა პეტერბურგის პაჟთა კორპუსში სასწავლებლად.

ნათქვამია, თუ არ დამარცხებულხარ, ვერ გაიმარჯვებო. ალექ-

სანდრე, როგორც პოლიტიკოსი, დამარცხდა. ალექსანდრემ, რო გორც პოეტმა, გაიმარჯვა. ამ დამარცხებამ პოეტს ერთი სიკეთე მაინც მოუტანა: ყველა ის ცნობილი მუხამბაზი, ყველა ის მკვნესარე ლექსი, რომელიც შეცდომით „ყაზარმობის დროინდელ ლექსებად" არის ცნობილი, დაწერილია ჭაბუკობისას, პირველი პატიმრობის დროს, 1804, 1805 წლების ფარგლებში და არა 1832 წელს.

დავაკვაცებული ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების სხვადასხვა პოლიტიკურ ნიუანსს რომ თავი დავანებოთ, ჩემ მიერ ორი თარიღის (1804 წ. 1832 წ.) შენაცვლებას ისიც ადასტურებს, რომ დავით რექტორის (1745—1824) დავთარი, სადაც ალ. ჭავჭავაძის ანტიცარისტული და პესიმისტური სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსებია მოთავსებული, გადაწერილია 1823 წელს. აშკარაა, 1832 წლის დროინდელი ლექსები აქ ვერ მოხვდებოდნენ...

ალექსანდრემ ციხეში ყოფნის დროსაც კი ვერ დაიყუჩა თავისი გულის „ტკბილი ჰირები". მან ლექსების წერის გარდა, თარგმნა ერთი ფრიად საყურადღებო ნაწარმოები (პროზა), რომელიც აჯანყებულთა პროკლამაციად შეიძლება ჩაითვალოს.

ამ თხზულებას ეწოდება „ახლოით განჩხრეკილი კაცი", ე. ი. დაახლოებით, ანუ დაწვრილებით გარჩევა კაცის ბუნებისა.

ამ ნაწარმოებში დაპირისპირებულია წინააღმდეგობა კაცსა და ბუნებას შორის.

ეს სოციალური აზრით გამთბარი ნაწარმოები ა. ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნია ფრანგულიდან თბილისის ციხეში ყოფნის დროს, 1804 წელს. 8 დეკემბერს.

პოეტი ამ თარგმანს საკუთარი ლექსით ამთავრებს:

პყრობილის შრომა ვნახე პყრობილმან.
ამად შევიქენ მხიარულადა,
ჰაზრი ჰსჯობს თხზვათა, მისგან ნათქვამთა
ყოველად წყვდიადებს დაფარულადა,
მსურს განმარტება, ჰირთა მატება,
რადგან მისგან ვართ გამომხულადა,
საკვდავ წყლულადა, ისარ-სმულადა
მისის ხედვისგან შორვებულადა.

ეს საგულისხმო ნაწარმოები, რომლის ავტორიც ვერ გავიგეთ. პოეტს უთარგმნია იმ მოსაზრებით, „რათა შიგ მბუდარნი ბრძნულნი

და ჭეშმარიტნი ჰაზრნი ცუდ თხზულებათა დამბურველი ყოფილიყო".

ტყუილად კი არ უძღვნა მთარგმნელმა ეს ნაწარმოები თავის მასწავლებელს ფარნაოზს, 1804 წლის აჯანყების ორგანიზატორს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის გამოსარკვევად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თარგმანს. აქედან ჩანს, თუ რა აწვალებდა ახალგაზრდა მამულიშვილს და რა წიგნები აძლევდნენ პოეტს შთაგონებას.

„კაცი შობილი ღარიბად,—ვკითხულობთ ამ თარგმანში,—არა თუ ოდენ იძულებულ არს მიცემად მდიდრისადმი ყოვლისა მუშაკობისა თვისისა ნაყოფთა კნინლა უფასოდ, არამედ სულიცა მისი ვერ განირინების მის მიერ განმზადებულისა მისთვის რკინისა საგდებელისაგან"... „აწ ეთრიე პირსა ზედა ამა ქვეყნისასა, უბედურო მოკვდაო, ყოვლად წრფელნი ბუნებითნი თვისებანი შენნი ეჩვენებიან ტირანთა შენთა ბოროტებად".

ან ავიღოთ ასეთი თამამი აზრები ამ თარგმანიდან:

„ბედნიერნო ცხოველნო, თქვენ არა უწყით დამამხობელნი ესე განრჩევანი... ბულბულსა არაოდეს უთქვამს თვისთა მობუდართა სხვათა ბულბულთათვის: ყოველნი ხენი ამა ტყისანი ჩემნი არიან და ყოველნი მათზედა მბუდარნი მფრინველნი ჯერ-არს დამემორჩილნენ მე".

„ჰია, დაბადებული ფურცელსა ზედა, სუნთქავს თავისუფლებით, ხოლო კაცი ვერა სადა ჰპოვებს თავისუფალსა ადგილსა. თვით ქვაცა იგი, რომელსა ზედა სდებს იგი თავსა თვისსა, თვის ეყვის ვიეთსამე პატრონსა".

მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალი ყოფილა! ამ აზრების მიმდევარი ადამიანი, ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტი, პირველი პატიმრობის შემდეგ მამის მიერ თითდაქნეული ალექსანდრე შედის სამხედრო სამსახურში... 1811 წ. პორუჩიკის ჩინით აღჭურვილი ბრუნდება საქართველოში და ბინიშნება მთავარსარდალ პაულუჩის ადიუტანტად.

აქ იგი მონაწილეობას იღებს კახეთის ცნობილი აჯანყების ჩაქრობაში. 1 მარტს მეამბოხე რაზმთან შეტაკებისას ალექსანდრე ჭავჭავაძე თანამემამულეთაგან ფეხში დაიჭრება...

როცა ალ. ჭავჭავაძეს ასახლებდნენ ტამბოვს, იმპერატორი ალექსანდრე იმედს არა ჰკარგავდა, რომ „კეთილგონიერებით და კარგის ყოფაქცევით ელჩის შვილი და ეკატერინეს ნათლული ალექსანდრე ჭავჭავაძე დანაშაულს გამოისყიდდა და არა თუ ხელახ-

ლად დაიბრუნებდა ძველ წყალობას, არამედ ახალსაც მრავალს შეიძენდა". (Акты, ტ. 2, გვ. 334; შდრ. ა. ფრონელი, „მთიულეთი", გვ. 356).

ცბიერი იმპერატორი არ მოტყუებულა!

ნათქვამია:

შფოთვის მტვერს უნდა მიუშვა
გამოცდილების მდინარე.

თვით პოეტს თავისი სულის გაორება ასე აქვს გამოხატული თავის ერთ ლექსში:

მომესია სევდათ გუნდი,
შემომერტყა ბნელი ბუნდი,
ჯაჭვი დამსდეა მონებისა,—
კისრად ვიღე და დავდუმდი!

თავი მეხუთე

მე არაფერს არა ვწერ. ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ გაკირა ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვიღარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ, ამ აჩრდილს თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია, მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა სჩანს.

ილია ჭავჭავაძე.

ცუდის მოხელეებისაგან არი კვეყანა ნაკლულევანებაში.

კალმასობა.

მიყვარხარ, ტკბილო კახეთო, დიდი ალახნის ჭალაო,
ირემო იალაღზედა, ივრის პირებზე ჩალაო;
ბარდებში მძროომო ხობობო, ტურფაო ხარისთვალაო,
შირაქო, ცხვრების დედაო, ზედ ჯეირნების ფარაო.

ხალხური.

რამ გამოიწვია კახეთის ამბოხება, რომლის დროსაც, მარკიზ პაულიჩის სიტყვით, გლეხებმა საფრანგეთის მსგავსი სისასტიკე გამოიჩინეს? ა. ფრონელის თქმით, 1811—1812 წლებში კახეთში პურის ცუდი მოსავალი იყო. კახეთში დაბანაკებულ რუსეთის ჯარების მეთაურს პარტნიაგინს ბრძანება მიეცა აეღო გადასახადი ნატურით და აგრეთვე წინაწლების ხარკი, რომელიც მოსახლეობაზე ირიცხებოდა. როდესაც მოსახლეობამ ვერ შესძლო ხორბ-

ლეულის გადახდა, მიმართეს სასტიკ ეგზეკუციას. ამას თან მოჰყვა ჯარისკაცების მიერ ქალთა უმანკოების შელახვა, რაც იწვევდა უნაპირო მღელვარებას.

ხალხმა დაიწყო ჩივილი და დრტვინვა.

ერთხელ სოფელ თიანეთში, სადაც ეკლესიის მახლობლად ხალხი იყო შეკრებილი, შემოვარდა სასოწარკვეთილი და გააფთრებული დედაკაცი, მივარდა ქმარს, მოჰხადა ქუდი, თითონ დაიხურა, თავისი ლეჩაქი ქმარს მოახვია თავზე და მიაძახა: ეხლა შენ ცოლი ხარ და მე ქმარი. ჯარისკაცებმა ნამუსი ამხადეს და შენს მაგივრად მე უნდა ვიძიო შურიო! გამოართო ქმარს ხანჯალი და გაიქცა დაბლობისკენ. მთელი ხალხი უკან გაჰყვა... ოფიცერი მოჰკლეს, ხოლო მისი რაზმი მთლად გაანადგურეს (დავით ბებუთოვი, გვ. 13; „ივერია“, 1891 წ., № 70).

ამბოხი სოფლიდან სოფელს მოედო. მთელი კახეთი ფეხზე დადგა. ორი დღის განმავლობაში თელავსა და სიღნაღს ალყა ერტყა. თელავი, როგორც იყო, მაგრობდა, ხოლო სიღნაღის მდივანბეგი, მოხელენი და მთელი ჯარი ამოწყვეტილ იქნა. ესეთივე ხვედრი ეწია მეხუთე ესკადრონის პოლკს, რომელიც სოფელ კაკაბეთში იდგა.

უკმაყოფილება აშკარა აჯანყებად გადაიქცა.

„ამ დროს ჩვენ, — წერს თავის მოგონებაში ოფიცერი დავით ბებუთოვი, — ვიდექით საგარეჯოში. სულ 150 კაცი·ღა გვყვანდა. გარეჯელნი თუმცა ჩვენი მომხრენი იყვნენ, მაგრამ ძალიან ჰღელავდნენ, იგინი მთლად აღშფოთებულნი იყვნენ სამხედრო წესისამებრ და ყოველ წამს კახეთის თავადების მოსვლას ელოდნენ. მეორე დღეს პარტნიაგინთან მოვიდა საგარეჯოს მამასახლისი და კახეთის მეამბოხეთა მოთავის ქობულაშვილის წერილი მიართვა. წერილში ქობულაშვილი აუწყებდა ხალხს, თუ გარეჯელნი მეამბოხეებს არ მიემხრობიან, სოფელს გადავწვამთო. მამასახლისი სთხოვდა პარტნიაგინს, მოგვშორდით, მოგვერიდენითო. პარტნიაგინმა ჯავაბუხა, რომ ფეხსაც არ მოვიცვლი და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებ, რომ დაგიფარ·თო, მაგრამ სიტყვა არ შეასრულა.

პარტნიაგინის სახლის წინ ვრცელი მოედანი იყო. ამ მოედნის ირგვლივ საცხე საცალოები შემოაწყობინა და ამგვარ სახელდახელოდ აგებულ ბანაკში გამაგრება მოიწადინა. მაგრამ მეამბოხენი ვენახებიდან ისროდნენ თოფებს და არ გვასვენებდნენო“, — წერს ბებუთაშვილი.

ამავე დღის საღამო ჟამს, — განაგრძობს მემუარისტი, — თბილი-

სიდან მოვიდნენ თავადი ანდრონიკაშვილი და ბოქაული ჯანდიერი, რომელნიც მთავრობას გამოეგზავნა მეამბოხეთა დასაშოშმინებლად. გენერალმა ამათგან შეიტყო, რომ მის დასახმარებლად მოდის მაიორი ბუხვოსტოვი ორი როტა ჯარით და ორი ზარბაზანით. ანდრონიკაშვილი და ჯანდიერი სიღნაღს მიეშურებოდნენ, მაგრამ გენერალმა ჯანდიერს სთხოვა, რომ მაშველი ჯარის მოსვლამდე აქ დარჩიო. ჯანდიერი დასთანხმდა და მოურავის სახლში ჩამოხდა.

მემატიანის სიტყვით, მთელ ხალხს მოჰქონდა ამ თავადებისთვის ყოველგვარი სანოვაგე: მოხარშული დედლები, კვერცხი, ყველი, შემწვარი ბატკანი, გოჭი, ღვინო და ხილი. ვინც რას მოიტანდა, ამას გზირი ხმამაღლა აუწყებდა იქ მყოფთ. ყოველ უწყებაზე სტუმრები ერთხმივ იძახოდნენ:

— ააშენოს! დაბრძანდი!

მომტანი იქვე ჩამოჯდებოდა და თავის მოტანილს სუფრაზე დაალაგებდა. ნახევარ საათში სახლი სტუმრებით გაიესო. საუბარი იმ დღის ამბებს არ გასცილებია. ჭამა-სმა რომ გაჩაღდა და აზარფეშა ხელიდან ხელში გადადიოდა, ოთახში შემოვიდა ორი გლეხი წერილით, რომელიც მოურავს გადასცეს, მოურავმა წაიკითხა ჩუმად და გადასცა ჯანდიერს, ამანაც საიდუმლოდ წაიკითხა და ისევე მოურავს დაუბრუნა შემდეგი სიტყვებით: შეატყობინეთ ქობულაშვილს (წერილი იმისგან იყო), რომ ამაღამ ნუ დაეცემა პარტნიაგინს. იგი ხვალ აქედან წასვლას აპირებს. მერე მე მომიბრუნდა,— წერს იგივე ბებუთაშვილი,—და ყურში მითხრა: „დროა, წახვიდე და გააფრთხილო ღენერალი; ქობულოვს მე კარგად ვიცნობ, ის მე არ გამიგონებს და ღამე დაეცემა მტერს. მას აქაური ხალხის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ისინი მეამბოხეთა წინააღმდეგ არ გამოვლენ, პირიქით მათ მიემხრობიან.

ღენერალს ყოველივე შევატყობინე. ცოტახნის შემდეგ „ლაზარეთს“, რომელიც ის-ის იყო დავცალეთ, ცეცხლი წაუკიდეს და დაგვიწვეს. ვენახებიდან და გორებიდან დაგვიწყეს თოფის სროლა, მაგრამ ვერ დაგვაზარალეს, რადგან ბნელოდა.

განთიადისას სროლა გახშირდა. მეამბოხენი გამრავლდნენ. გარეჯელნი მონაწილეობას არ იღებდნენ. დილაზე ჯანდიერმა გენერალი ინახულა. იგი რამდენჯერმე გავიდა და მეამბოხეებს ურჩევდა, სროლა მოესპოთ. რჩევა არ გაუგონეს. ქობულაშვილმა არც კი ინახულა ჯანდიერი.

მზე შუადღეს გადასცილდა. შეელა არსაიდან ჩანდა. ამ დროს 20 კაცი დაჭრილი გვყვანდა. დაგვეჭრა აგრეთვე მრავალი ცხენი.

ბოლოს მესამე საათზე ზარბაზნის ხმა გავიგონეთ. ეს იყო ბუხვისტოვის მოსვლის ნიშანი. სროლა მოისპო.

სამხედრო თათბირზე გადავწყვიტეთ, რომ თბილისისკენ დაეხიათ, რადგან ამბავი მოვიდა, რომ „მაიორი ესიპოვი, რომელიც თელავს იყო წარგზავნილი 200 ქვეითის დრაგუნით ციხის საშველად, თუმცა ციხეში შევიდა, მაგრამ დიდათ დაზარალდა და თითონაც მოკლულ იქმნა; გარდა ამისა ხუთმეტი ათასი მეამბოხე უკვე მზად არის, რომ მეორე დღეს დაეცეს პარტნიაგინს, ამოსწყვიტოს მისი ლაშქარი და მერე თბილისზე მიიტანოს იერიშით“.

იმავე წამს, რაც კი მძიმე რამ გვქონდა, დავწვით და შუაღამისას წამოველით თბილისისაკენ. დიდ შარა გზას ავუქციეთ, რადგან მეამბოხეებს შეეკრათ, და აზამბურის მხრით წამოველით. მიუხედავად ამისა, მეამბოხენი მაინც არ გვასვენებდნენ და საკმაოდ დაგვაზარალეს. ამგვარად ძლივს მოვაღწიეთ თბილისამდე.

მეამბოხეთა დასახვედრათ შეჰკრიბეს ჯარი და უფროსობა მიანდვეს ზაგრიაჭსკის.

მეამბოხეთა შესაკრები ადგილი იყო სოფელი ლილო, ჯარი გაჰიდა ლილოსაკენ. მეამბოხეებმა მარტყოფისაკენ დაიხიეს და მერე გადავიდნენ ხაშმს.

მეორე დღეს ზაგრიაჭსკიმ ერთი მღვდელი გაჰგზავნა მეამბოხეთა დასაშოშმინებლად. პასუხი იყო: „ვიდრე ცოცხალნი ვართ, იორს აქეთ ვერ გადმოხვალთო“. მაგრამ ჯარი გადავიდა იორზე და ხაშმს მიაშურა. ეს სოფელი ფრიად გამაგრებული იყო, მიუხედავად ამისა, აღებულ იქმნა მალე.

ხაშმზე იერიშის მიტანის დროს,—განაგრძობს ბებუთაშვილი,—ჯვრით ხელში გამოვიდა მონასტრის არქიმანდრიტი და ეეედრებოდა ზაგრიაჭსკის, მონასტერი არ გაეოხრებინა. ზაგრიაჭსკიმ მრისხანედ მიიღო იგი და ისეთი უწმაწური პასუხების თქმა მიბრძანა, რომ მათი გადაცემა პატიოსან მოხუცისთვის შეუძლებელი იყო. მე იმის მეტი ვერა ვუთხარი-რა, რომ არქიმანდრიტს მოვახსენე, პოლკოვნიკი ქრისტიანი არ არის მეთქი. არქიმანდრიტი გაბრუნდა თავის მონასტერში და იქ ჩაიკეტა.

განთიადისას მობრძანდა მთავარმართებელი პაულუჩი. მას თან მოჰყვნენ მრავალნი წარჩინებულნი თავადნი, სხვათა შორის: ვახტანგ ორბელიანი, სიძე საქართველოს მეფის ირაკლისა (მამა პოეტ ვახტანგ ორბელიანისა), მოურავი ორბელიანი და ჩვენი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

მთელი დღეები მზადებაში გავიდა. დაჭრილნი და ავადმყოფნი თბილისს გაგზავნეს. ჯარის წინამძღოლობა იკისრა თვით მთავარ-

მარჯებელმა. ნოემბრის დასაწყისამდე, მრავალი შებრძოლების შემდეგ, „კახეთი დამშვიდებულ“ იქმნა.

მეამბოხენი უფრო მედგრად იბრძოდნენ ველისციხეში. აქ მოკლულ იქმნა ვახტანგ ორბელიანი და დაიპყრა ალექსანდრე ჭავჭავაძე. მეამბოხეთაგან რიგი ჩამოაღჩვეს, რიგი დააპატიმრეს და რიგი გადაასახლეს. ამავე დროს ფშავში ცხოვრობდა იოანე ბატონიშვილის ერთი ძეთაგანი, ეგრეთწოდებული კოკლი გრიგოლ. ისიც შეიპყრეს და წაიყვანეს რუსეთს. მისი გაცილება მიანდეს ვასილ ბებუთაშვილს“ („ივერია“, 1891 წ., № 69, 70; გ. წერეთლის თხზულებანი, ტ. I, 1931 წ., გვ. 173; „დროება“, 1868 წ; № 2).

ალექსანდრე ფრონელის (1862—1916) თქმით, „კახეთის ამბოხებამ სამუდამოდ ბოლო მოუღო ბატონიშვილ გრიგოლს. ერთი თვით მეფობის გულისათვის თორმეტი თვე პეტრეზავოდის ციხეში ბრძანდებოდა... ბატონიშვილ გრიგოლის გადასახლებით რუსეთს, ბაგრატიონთა გასაგისი სამუდამოდ ამოვარდა საქართველოში“ („კახეთის ამბოხება“, 1907 წ., გვ. 174).

ალექსანდრე ჭავჭავაძეს დარჩა ისტორიული ნაშრომი: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. ეს ნარკვევი პოეტმა მოხსენების სახით წარუდგინა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს. ალექსანდრე ჭავჭავაძის წერილი შესანიშნავი დოკუმენტია მეცხრამეტე საუკუნის ამ ჟანრის ლიტერატურისა. იგი, კაცმა რომ თქვას, უფრო ცარიზმის პოლიტიკის კრიტიკაა საქართველოში, ვიდრე თარიღების მშრალი ჩამოთვლა*.

პირველი 9 გვერდი მოწმობს, რომ ალ. ჭავჭავაძეს მშვენივრად სცოდნია საქართველოს ისტორია და მაშინდელი მისი წყაროები. იგი კარგად ერკვეოდა აგრეთვე იმ საკითხში, თუ რა შედეგი

* ეს ნაშრომი, როგორც კონტექსტიდან ჩანს, ავტორს დაუწერია 1837-38 წლებში და წარუდგენია იმპერატორ ნიკოლოზ პირველისათვის. ალ. ჭავჭავაძის ამ ნარკვევს თავისებური ქუდბედი დაჰყვა: ჯერ იყო და ხაქარია ჭიჭინაძემ ეს ისტორიული თხზულება ლუკა ისარლოვს მიაკუთვნა. (იხ. „Письма о Грузии“, 1899 წ., გვ. 297). მერე კიდევ „Кавказский сборник“-ის რედაქტორმა ესეც მოხსენება პოეტის მამის გარსევანის სახელით დაბეჭდა—„Из записок князя Гарсевана Чавчавадзе“, მაშინ როცა გარსევანი გარდაიცვალა 1811 წელს, ამ მიმოხილვაში კი 1826 წლის ამბებზეა ლაპარაკი (იხ. „Кавказский сборник“, 1902 წ., ტ. 23); შდრ ჩვენს ახალ რედაქციას, „ალ. ჭავჭავაძე“, 1940. გვ. 241.

მოჰქონდა ჩვენთვის სპარსეთ-ოსმალეთის ქიშპობას და ცალკე ერისთავთა ურთიერთშორის ბრძოლას.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს რუსეთთან შეერთება აუცილებელ და სასარგებლო საქმედ მიაჩნია, მაგრამ აკრიტიკებს ადგილობრივ მთავრობის მოქმედებას: ისე უცბად არ უნდა შემოეტანათ რუსის კანონები, სასამართლოში რუსული ენაო და სხვ. („თუ რუსეთის კანონები შემოგაქვთ, კარგი იქნება, მაგრამ აუცილებლად ქართულად უნდა ითარგმნოსო").

პოეტის აზრით, რუსეთს სიკეთე სურდა, მაგრამ სიშორის გამო საქმის ვითარებაში ვერ ერკვეოდაო. მაგ., მთიელები 1804 წელს ერთმა კაპიტან-ისპრავნიკმა ძალიან შეაწუხა, იგი მოჰკლეს. ციციანოვმა ეს აჯანყებად მიიჩნია, ჯარი გაგზავნა სალაშქროდ, ამბავი სპარსელების გავლენას მიაწერა და მართლა ამბოხება გამოვიდაო.

ალ. ჭავჭავაძე საესებით სწორად ასწერს ცარიზმის სამოქ. წყობილების ჩვენში უცბად დამყარებას და აქედან გამომდინარე უარყოფითს შედეგებს (ბეგარა, მექრთამეობა, რუსულის უცოდინარობა და სხვ.). პოეტი ამ სიჩქარეს გენერალ კნორინგს აბრალებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე,—რომელმაც 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობა მიიღო,—თავის ნარკვევში მღელვარების მიზეზს მეფის რუსეთის მოხელეთა მოქმედებაში ეძიებს.

აი, უდისციპლინო ჯარისკაცებზე რა აზრისა იყო ჩვენი პოეტი:

„ზოგიერთი პოლკები,—ამბობს ალ. ჭავჭავაძე,—თავად ციციშვილის სიკვდილის შემდეგ, იმისთანა სასტიკს თვითნებობასა და თავხედობას იჩენდნენ, რომ სრულიად გაანადგურეს და მოაოხრეს სოფლები, სადაც ბინასა სდებდნენ. განა მარტო ის სოფლები, ახლომახლო სოფლებიც თავს ვერ იცავდნენ გაონავრებულ პოლკებისაგან. საკუთრება აღარა შერჩათ-რა გაოხრებულ და გატიალებულ სოფლებს. მკვიდრთა ღვინოს, ბოსტან-ბაღებსა, ფრინველსა და საქონელს, ცხენსა და ურემს ისე ხმარობდნენ, როგორც მოისურვებდნენ. ყაზარმების გასათბობად ვენახების ღობეებს არღვევდნენ და სწვავდნენ. აშკარად, დაუსჯელად იქცეოდნენ. დაშლელი და დამტუსაი არავინ იყო. რომ ეჩივლათ, უარესი დღე დაადგებოდათ: სცემდნენ, დასჯიდნენ და დაემუქრებოდნენ,—ეგ თუ ცოტაა, მაშ აბა იცოდეთ, შემდეგ უკეთეს დღეს დაგაყენებთო" („კახეთის ამბოხება", გვ. 24, 25).

როცა კახეთის ამბოხების დროს მარკიზ პაულუჩს შეუთვლია

მეამბოხეთათვის, შეინანეთ და გაპატიებთო, ერთ მეამბოხეთაგანს მკაცრი და თამამი პასუხი მიუცია მოციქულებისათვის. ალექსანდრე ჭავჭავაძე მეამბოხეთა პასუხს ასე გადმოგვცემს თავის ნარკვევში:

„ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ცოტანი ვართ რუსებთან შედარებით, არ გვაქვს იმედი მათი დამარცხებისა, მაგრამ გვინდა მათ გაგვეღიტონ. ჩვენ რუსის მეფის მფარველობას ვეძიებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა; მაგრამ მის მსახურთა უსამართლოებამა და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. ჩვენ დიდხანს ვითმენდით, ხოლო ახლა, როდესაც უფალმა ეს საშინელი შიმშილი დაგვატეხა თავს, როდესაც ჩვენ თვითონ ბალახ-ბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და საკვებს მოითხოვენ! ჩვენ საკუთარი სახლებიდან გამოგვერეკეს. ხელებს აფათურებდენ და სჩხრეკდენ ჩვენს ზანდუკებს, ორმოებს, მარნებს გვიტეხავდენ, ღვინით ილეშებოდენ, ხოლო დანარჩენს აფუჭებდენ, ქვევრებში სიბინძურეს გვიყრიდენ. ბოლოს ჩვენ თვალწინვე ჩვენს ცოლებს და ქალებს შეურაცყოფდენ. განა ოჯახის ამისთანა შერცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენთვის ფასი-ღა ექნება? ჩვენ ცოდვილნი ვართ ღვთისა და რუსის მეფის წინაშე, რომ ქრისტეანთა სისხლში ხელი გავისვარეთ, მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ რუსთა ღალატი არასოდეს ფიქრად არა გვქონია. ჩვენ ეს ძალდატანებამ გვაიძულა და გადავწყვიტეთ აქვე დავიხოცოთ. შენდობის იმედი არა გვაქვს: ვინ ამცნობს ხელმწიფეს ჩვენს მდგომარეობას? განა დაგვიწყებია თუ რას გვიპასუხებდენ ხოლმე თქვენებური უფროსები, როდესაც ხელმწიფეს ვახსენებდით: „До бога высоко, до царя далеко“-ო. წადით ისევ მათთან. ვერც თქვენ, ვერც ისინი ვეღარ მოგვატყუებთო“ (იხ. ჩემი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, გვ. 250).

დასასრულს ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ თავის პატარა ნარკვევში ერთ მეტად საინტერესო საგანსაც ეხება. ეს არის ქართველი ხალხისათვის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების და მისი გაევროპიელების გზაზე დადგომის მნიშვნელობის საკითხი. ჭავჭავაძის აზრით, ამაერკავკასიაში ისეთი ბუნებითი სიმდიდრეა, დამუშავება რომ იყოს, რუსეთს უფრო მეტი შემოსავალი ექნება, ვიდრე ინგლისს თავისი კალონიებიდანო.

საერთოდ ამ ნაშრომის გაცნობით ჩანს, რომ ა. ჭავჭავაძე პოლიტიკურად მომზადებული პიროვნება ყოფილა. იგი თავისი მდგომარეობის მიხედვით, ახლად გაბატონებული მმართველობის პირობებში, თამამად და გაბედულად ესარჩლება თავის ქვეყანას და გულწრფელად სურს მისი წინსვლა, თუმცა მაშინდელ ხელისუფლე-

ბას, რასაკვირველია, სრულ ლოიალობას უცხადებს, და. თითქოს აინუშში არ აგდებს იმ ტყვიას, რომელიც პირველად თავისმა სამშობლომ მიუზღო ჩუმლაყში, ცნობილი „კახეთის აჯანყების“ ჩაქრობის დროს.

თავი მეექვსე

დარეჯან დედოფალს რუსეთში ყოფნის დროს ეყიდა ჩიტები ყაფაზაში დამწყვდეული და გაუშვა ყველა ამ სიტყვებით: „წადით, საწყალო ჩიტებო, თქვენს მამულში; თქვენ მაინც განთავისუფლდით უბედურის ქართველების მაგივრად“.

ალექსანდრე ორბელიანი
(საქ. მუზ. ხელთნ. № 1656).

საქართველოს თავადაზნაურობა, რომელმაც საქართველოს რუსეთთან შეერთებით სახელმწიფოებრივი პრივილეგიები დაჰკარგა, იბრძოდა თავისი ძალაუფლებისათვის; თავადაზნაურული ინტელიგენცია, ვითომდა ქვეყნის დამოუკიდებლობის ინტერესებისათვის, ყოველნაირად ცდილობდა რუსეთს გამოჰყოფოდა და საქართველოში ძველებურად საკუთარი პოლიტიკური ბატონობა დაემყარებინა. ამ ნიადაგზე ოციანი წლების დასასრულს ისახება შეთქმულთა ფარული ორგანიზაცია. ეს თავადაზნაურული შეთქმულება ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთთან შეერთებით უკმაყოფილო თავადაზნაურულ ინტელიგენციას ერთგვარი იმედები გაუღვიძა დეკაბრისტულმა მოძრაობამ. მართალია, ამ მოძრაობასთან ქართველ შეთქმულებს საერთო არა ჰქონდათ-რა, პირიქით, რადიკალურად საწინააღმდეგო მიზნებს ისახავდნენ. მაგრამ დეკაბრისტების მაგალითმა ქართველ თავადებს და ბაგრატიონის დინასტიის ზოგიერთ წარმომადგენელს, ერთგვარი ბიძგი მისცა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. რუსეთთან შეერთებით უკმაყოფილო ქართველი თავადაზნაურობა და ტახტის დამკარგავი ბატონიშვილები ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის რეჟიმის განმტკიცებას, მაგრამ რადგანაც მათი მიზნები რეაქციული და პოლიტიკური მიზანდასახულობით შეზღუდული იყო, ვერაფითარი გავლენა ვერ მოახდინეს ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

აკადემიის მიერ გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ქართველ ფეოდალთა რეაქციული ბანაკი თავიდანვე იბრძოდა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილე-

ბისათვის. ამ ბანაკს საკუთარი ვიწრო-კლასობრივი ინტერესები ამოძრავებდა. იგი რუსეთისა და საქართველოს მტერ სახელმწიფოთა დახმარებით ფიქრობდა ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების აღდგენას. რეაქციონერთა საერთო ხელმძღვანელი ირანის შაჰის კარზე მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო. თავიანთი ფარული მიზნების განსახორციელებლად აქტიური შეთქმულები ფართო მოსამზადებელ მუშაობას ატარებდნენ. ისინი ფიქრობდნენ საქართველო-ამიერკავკასიაში ერთდროული აჯანყების მოწყობას, რუსეთის აქაური ჯარის სარდლობის გაჟლეტას და რუსეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, საქართველოში მეფის ხელისუფლების აღდგენას. შეთქმულთა უმრავლესობა ძველი თავადური საქართველოს წესწყობილების აღდგენისათვის იბრძოდა. ისინი არ სვამდნენ მშრომელთა მასების განთავისუფლების საკითხს. ასეთ შეთქმულებს გლეხები მხარს არ დაუჭერდნენ და მათ აკი ვერც მოიპოვეს ფართო მასების თანაგრძნობა. ამიტომ შეთქმულთა დამარცხება გარდუვალი იყო" (გვ. 418, 419).

1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ისე ჰქონდათ მოწყობილი, როგორც ეს „ფარულ საზოგადოებას" შეეფერებოდა, მათ შედგენილი ჰქონდათ საკუთარი წესდებაც („აქტი გონიური"), სადაც, სხვათა შორის, ასეთი ადგილებიც არის:

— „ჯერ არს რათა მეგობარმან მეგობრისათვის სული თვისი დასდვას" (სახარება იოანესი).

— „ყოველმან მპოვნელმან წევრმან უნდა იხმაროს სიფრთხილე, რათა არა შემოეპაროსთ კაცი ვნებული, ზნემოშლილი, დადეღლებული და დახლილი".

— „ყოველთა ერთა აიღებენ დაუგრეხელსა ნამჯასა ყანისასა, და გასწყვეტენ მეტყველნი: გასწყდეს ესე წელი და გული მისი, რომელმან ჩვენს შორის ულალატოს ერთმანეთსა ვიდრე სიკვდილამდე" და სხვ.

შეთქმულების ყოველ წევრს თავისი საიდუმლო ნიშანიც ჰქონდა: „მარჯვენა ხელის ნეკით შუბლის მოფხანა".

ქმნიდნენ ეზოპის ენით საკუთარ თხზულებებს, ავრცელებდნენ მხატვრულად დაწერილ პროკლამაციებს; მღვდელ-მონაზონი ფილადელფოს კიკნაძე ადგენს „ფარული და განუწყვეტელი მეგობრობის აქტს" და წერს: „იერემიას გოდებას იეერიის აწინდელი მდგომარეობის გამო"; სოლომონ რაზმაძე თხზავს პოლიტიკურ იგავს „დათვი და ცხვარი" და თარგმნის საფრანგეთის 1830 წლის მთავრო-

ბის დეკრეტებს; დოდაშვილი იწყებს ქართული გაზეთის გამოცემას; დიმიტრი ერისთავი კომენტარიებს უკეთებს საქართველოს რუსეთთან შეერთების 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს და ადგენს „ამბოხების პირველი ღამის განკარგულებას“ (იხ. „საქართველოს არქივი“, 1927 წ., წიგნი 2, გვ. 110). „1832 წელს თბილისში უნდა შემდგარიყო თავადაზნაურთა კრება, გაემართათ დიდი მეჯლისი, მოეწვიათ ცარიზმის მოხელენი და ყველანი ერთად გაეწყვიტათ. ეს უნდა ყოფილიყო სიგნალი: აქედან უნდა დაეწყოთ საერთო აჯანყება. მაგრამ ოცნება ვერ განხორციელდა. ხალხი თავადებს არ გაჰყვა“ (ივ. ჯავახიშვილი, „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში მე-19-ე საუკუნეში“—რუსულად).

ამ შეთქმულებაში, გარდა ბატონიშვილებისა, მონაწილეობას იღებდნენ მწერლები და პოეტებიც: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, მისი ძმა ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი და სხვ.

როგორი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის როლი ამ შეთქმულებაში?

უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემ იცოდა შეთქმულების ამბავი, თუმცა მისი ეფექტიანობის იმედი არა ჰქონდა.

ამ შეთქმულებაში ჭავჭავაძის აზრი ასეთი იყო: „თუმცა შეიძლება რუსების საქართველოდან გაყვანა, მაგრამ ძნელი იქნება შემდგომში მათთან ბრძოლა. რუსები შოისყიდიან ჩვენს აზნაურებს, დაურიგებენ ჩვენს მამულებს და ჩვენივე ხალხი ისევ ჩვენს წინააღმდეგ გამოეყო“ (ჩოლოყაშვილის ჩვენებიდან ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ).

როგორც საგამომძიებლო კომისიის მასალებიდან ჩანს,—ეკითხულობთ გ. გოზალიშვილის წიგნში,—ამ დროს ყველაზე უფრო დიდ ფიგურა საქართველოში ალ. ჭავჭავაძე ყოფილა. ამიტომ მის მონაწილეობას შეთქმულებაში ყველანი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. ელიზბარ ერისთავის მოწმობით, „არ ერთ შეთქმულს არ უნდოდა მონაწილეობის მიღება ღენერალ ჭავჭავაძის გარეშე“ (საქმე VII, გვ. 1156).

— „პირველი დიახ ჭკვიანი კაცი არის ჭავჭავაძე [ალექსანდრე] და განათლებული, და ჩვენის გულისთვისაც ადრე დატყვევებული იყო რუსეთში, ამისი ნდობა შეიძლება და კარგს განკარგულებას მოახდენს და უცხო ზაგოვორს გააკეთებს“,—ამბობს ალ. ორბელიანი თავის მიმოწერაში.

როგორც ვხედავთ, შეთქმულთა უმრავლესობას კარგად ესმო-

და შეთქმულებაში ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობის დიდი მორალური და პრაქტიკული მნიშვნელობა. პატივსა სცემდნენ რა სახელოვან პოეტსა და მოღვაწეს, მათ არ უნდოდათ ხიფათში ჩაეგდოთ იგი და ცდილობდნენ მისი მონაწილეობა საიდუმლოდ შეენახათ, ყველასთვის შესამჩნევი არ გაეხადათ. ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი ასეთი სიყვარულითა და საქართველოსათვის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შეგნებით უნდა აიხსნას ისიც, რომ შეთქმულების გამომძღავნების შემდეგ შეთქმულთა ერთი ნაწილი გულმოდგინედ ცდილობს პოეტი გადაარჩინოს ბრალდებისაგან და მოსალოდნელი სასჯელი აცილოს თავიდან. ამით აიხსნება, რომ შეთქმულების მასალებში იშვიათად გეხვდება დოკუმენტები, რომლებიც პირდაპირ მიგვითითებენ ა. ჭავჭავაძის მონაწილეობაზე შეთქმულებაში. მასალების გულმოდგინე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ პოეტმა არა მარტო იცოდა შეთქმულება, არამედ მონაწილეობასაც იღებდა მასში.

ზაქარია ჩოლოყაშვილი თავის ჩვენებაში პირდაპირ და გადაჭრით აღიარებს: „თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ მიმიწვია ელიზბარ ერისთავის საშუალებით ნაშუადღევის 5 საათზე. მასთან რომ მივედი, იქ დამხვდა მისი ცოლის ძმა ლუარსაბ ორბელიანი. ნახევარი საათის შემდეგ თ. ჭავჭავაძემ შემიწვია ცალკე ოთახში, სადაც ლუარსაბიც შემოგვყვა. თავად ჭავჭავაძემ შესვლისთანავე მითხრა: „თავადო ზაქარია დიმიტრის-ძევ, მიპასუხეთ, რას ფიქრობთ ჩვენს საქმეზე?“ და შეუნიშნე, რომ აღელვებული იყო. „მე ვფიქრობ-მეთქი, ეუთხარი განგებ (притворно), რომ თქვენმა ბრწყინვალებამ რაკი ამისთანა საქმეზე მიმიღო, ალბათ ბევრი რამ უკვე მოიფიქრა-მეთქი. მე გეტყვით თავადო, რომ თქვენს ერთს სიტყვას მთელი საქართველოს შეიარაღება შეუძლიან, რადგან ყველანი მხოლოდ თქვენს ბრძანებას ელიან და ყველანი მზად არიან თქვენ დაგემორჩილონ მეთქი!“ (1,40).

ამას ზედ ერთვის მისი ცოლისძმის ლუარსაბ ორბელიანის ეს ქვემორე მ ი ნ ა წ ე რ ი ალექსანდრე ჭავჭავაძის ჭართულად დაწერილ უკანასკნელ ჩვენება-განმარტებაზე (1833 წ. 2 აგვისტოს). ლუარსაბი კვლავ მტკიცედ დგას თავის აზრზე. „ღმერთსა ვფიცავ და ჩემს სარწმუნოებას, — აცხადებს ლუარსაბ ორბელიანი, — რომელიც ჩემგან ნაჩვენებია კომისიაში ღენერალ ჭავჭავაძეზედ, არც ერთი სიტყვა ტყუილი არ არის და სწორედაც მიჩვენებია კომისიისათვის და არც ჩემს სიძეს ტყუილს მოუგონებ და არც ვარ ტყუილის თქმას ჩვეული. მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანი“.

მკითხველი რომ ადვილად დარწმუნდეს ა. ჭაუჭავაძის თავის მართლებაში, მოგვყავს მისი პასუხები, რომელიც პოეტს მიუცია კომისიისთვის 1833 წელს, 6 თებერვალს.

აი, ეს პასუხებიც:

„1. ამ შეთქმულებაზე პირველად მის მაღალ-აღმატებულებისაგან, საქართველოს მთავარმართებელ ბარონ როზენისაგან გავიგონე თავად ორბელიანების და ერისთავების დაპატიმრების პირველ დღესვე. ღენერალმა მითხრა, არ მახსოვს ვისი თანადასწრებით, რომ ეს ახალგაზრდები აპირებდნენ ხაზინაზე დაცემას და გაძარცვას. აი, პირველი ცნობა, რომელიც მე მიველე ამ უცნაურ და საზიზღარ (гнусном) საქციელზე.

ამ საგნის შესახებ, ვიდრე კომისიამ არ გამომიწვია, დანამდვილებით არავისგან არაფერი არა მსმენია. ეს იყო 15 იანვარს და ისიც მოკლე შეკითხვით. ამ დრომდე ამ განზრახვის და შეთქმულების შესახებ არავისაგან არაფერი არა მსმენია და მაშასადამე შეუძლებელი იყო სხვის მიერ ჩემი ამ საქმეში ჩათრევა.

2. რა მაიძულებდა მიმეღო მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ, იმ მთავრობის, რომლის წყალობით საქართველო თავდაცულია გარეშე მტრებისაგან და უზრუნველყოფილია მშვიდობიანობით. იმ მთავრობის, რომელმაც საქართველოში შემოიტანა განათლება, მრეწველობა, აღადგინა ვაჭრობა, გაგვიორკეცა შემოსავალი და მოგვანიჭა თავისუფალი სარგებლობა ჩვენი საკუთარი ქონებით!

3. შეკითხვა, თუ რის საშუალებით უნდოდათ განეხორციელებინათ შეთქმულების წარმატება — უნდა მიეცეს შეთქმულებაში მონაწილეთ და არა მე.

4. რაც შეეხება იმას, ვიცნობ ბატონიშვილებს თუ არა, უნდა ვაღიარო, რომ ყველას ვიცნობ, გარდა ბატონიშვილ ალექსანდრესი, რომელიც სპარსეთშია გაქცეული. ბატონიშვილები: ირაკლი გიორგის-ძე და დიმიტრი იულონის-ძე მინახავს მხოლოდ მცირე წლოვანები,—პირველი მოსკოვში და მეორე—პეტერბურგში... დანარჩენ ბატონიშვილებს ვხვდებოდი რუსეთშიაც და საქართველოშიაც, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში არც ერთთან არა მქონია საქმიანი ურთიერთობა, გარდა ბატონიშვილ ფარნაოზისა, რომელთანაც ვიმყოფებოდი სამი თვის განმავლობაში, როცა ჯერ კიდევ 16 წლისა არც კი ვიყავი *. რაც შეეხება ბატონიშვილ ბაგრატს,

---

* შეიძლება პოეტი ცდებოდეს ან განზრახ იპატარავებდეს თავს სასჯელის შესამსუბუქებლად. თვითონვე წერს ამავე ჩვენებაში, რომ დაიბადა 1786 წელს, რფანაოზთან კი გაიქცა 1804 წელს. მაშასადამე, იგი ამ დროს იქნებოდა 18 წლისა.

რომელიც პეტერბურგში სენატორად არის, მე მისთვის მიმიწერია რამდენიმე სრულიად უმნიშვნელო წერილი და პასუხიც ასეთივე მიმიღია. მას ცოლად ჰყავდა ჩემი ნათესავი ქალი და მოსკოვში ყოფნის დროს 1810—1812 წლებში მე ბინას იმის ოჯახში დავიდებდი ხოლმე. ჩამოთვლილ ბატონიშვილებს ჩემზე არავითარი გავლენა არა ჰქონია, გარდა მათდამი ჩემი პატივისცემისა, რომელიც სავალდებულო იყო მათი ჩამომავლობის წინაშე. რაც შეეხება შეთქმულებას, მე არავითავი ცნობა არა მაქვს, ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე გავლენა შეთქმულების წევრებზე. ამის შესახებ პირველად კომისიისაგან შევიტყე.

5. ფრანგი ლეტელიე გავიცანი 1829 წელს თბილისში. მისი შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ არაფერი არ ვიცი. ჩვენ ერთმანეთს ოშვიათად ვხვდებოდით. 1830 და 31 წლების განმავლობაში ის რამდენჯერმე იყო ჩემთან. მიჩვენებდა თავის თარგმანებს ქართულ დიალექტზე.

6. ყოფილ გუბერნატორ ზაველეისკის ჰარგად ვიცნობ. ჩვენი პირველი შეხვედრა მოხდა კარანტინის დროს, აბანოების ალაყაფის კარების გადაღმა. ზაველეისკი მე გამაცნო საუკეთესო დახასიათებით ფელდმარშალ თავად ვარშავსკიმ გრაფ პასკევიჩ-ერევანსკიმ. შემდეგში როცა დავუახლოვდი და მასში აღმოვაჩინე ნამდვილი, ადამიანური ღირსება, კეთილშობილება, კეთილი ზრახვები—მე მას სავსებით დავუმეგობრდი. ვერ წარმომიდგენია, რომ ასეთი გრძნობებით და აზრებით აღჭურვილ ადამიანს,—როგორიც იყო ზაველეისკი, რომელიც დღენიადაგ მთავრობის სასარგებლოდ იღწოდა,—შეეძლო მიეღო მონაწილეობა ასეთ ბოროტ განზრახულებაში! არავისაგან არასოდეს ამის შესახებ არაფერი გამიგია. ასე რომ ყოფილიყო, ჩვენ შორის ყოველგვარი მეგობრული ურთიერთობა მაშინვე შეწყდებოდა.

7. მე ვერავის ვერ ჩავთვლიდი შეთქმულების მთავარ პირად, ვინაიდან ამ შეთქმულების შესახებ სრულიად არაფერი არ ვიცოდი. მხოლოდ მთავარმართებელმა გამომიცხადა, რომ წარსულის წლის 13 დეკემბერს დაპატიმრებულ პირებმა თავიანთ ჩვენებაში განაცხადეს, თითქოს მე შეთქმულებაში პირველი ადგილი მეჭირა.

კომისიაც ამასვე ადასტურებს და უმატებს, რომ ყველა პატიმარი ჩემდამი დიდის სიყვარულით და პატივისცემით არის განწყობილი. ყოფილი სოეტნიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანი თითქოს ჩემის ბრძანებით ასრულებდა ყველაფერს, რასაც თ-დი ლუარსაბ ორბელიანი დაავალებდა; ხოლო გვარდიის კაპიტანი თ-დი ჩოლოყაშვილი თავის ჩვენე-

ბაში აღიარებს, თითქოს, ჩემი ერთი სიტყვა საკმარისი ყოფილიყოს, რომ მთელ საქართველოს იარაღი აესხა“.

[ალ. ჭავჭავაძე, ჩოლოყაშვილის საპასუხოდ, თავის პირველ ჩვენებაში, ამბობს]:

„...ჩოლოყაშვილი ჩემი ცოლის ბიძაშვილია... მე პირადად მასთან სადაო საქმე მქონდა ქახეთის მთების გამო... ამასთანავე მესმოდა თ. ლ. ორბელიანოვისაგან, რომ ჩოლოყაევს ჩემი ნახვა უნდოდა. ბოლოს მოვიდნენ ისინი ჩემთან საღამოს 7 საათზე, როდესაც ჩვენთან სტუმრად რამდენიმე კაცი იყო... ჩოლოყაევს და ორბელიანოვს ვსთხოვე შევსულიყავით ცალკე ოთახში... ჩვენი საუბარი შეეხო იმ ბოროტ-მოქმედებებს, რომლებიც მაზრებში ხდება; მე მას ვუმტკიცებდი, რომ ეს მთავრობას უნდა ეცნობოსმეთქი, რომ ამ საგანზე ბევრი სხვაც მყავს მომზადებული, რათა გუბერნიის წინამძღოლის საშუალებით ვაცნობოთ მთავარმართებელს ყველა ის გადასახადები, რომელიც ხალხს მძიმე ტვირთად აწვება. ვეუბნებოდი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოველოდეთ დიდ უსიამოვნებას... ღმერთმა დაიფაროს, კიდევ აჯანყებამდე რომ მიდგეს საქმე, რაც ძალიან საშიშია, რომ რუსეთს, რომელსაც დღემდე ჩვენგან სრულებით არავითარი სარგებლობა არა აქვს, არ მოვებეზრდეთ და არ მიგვატოვოს-მეთქი“ („1832 წლის შეთქმულება“, გვ. 273).

სწორედ ასეთმა უცნაურმა ამბებმა საბაბი მომცეს, — განაგრძობს ა. ჭავჭავაძე,—ჩემი თავისთვის ირონიულად აჯანყების მეთაურის სახელი მეწოდებინა.

[ამ „მეთაურობის“ შესახებ ალ. ჭავჭავაძე თავის მეორე ჩვენებაში გვაუწყებს:]

„...ამბობენ, რომ ჩემთვის 1831 წლიდან გამოეცხადებინოთ იგი ჯოჯოხეთური განზრახვა. ისედაც კი, რომ ეყოფილიყავ მთავარი მეამბოხეთა შორის. ყველას მოეხსენება, რომ მე იმ დროიდან ხან თბილისში ვიმყოფებოდი, ხან კი სოფელში. როგორ მოხდა, რომ პატიეცემული მეთაური (როგორც მაცხადებს კომისია), რომლის ბრძანებითაც მოქმედებდა ყოფ. სოვეტნიკი თ. ალ. ორბელიანოვი, მიატოვა იმანაც და სხვა მის თანამზრახველებმა ორი წლის განმავლობაში ისე, რომ არაფერი მოუხსენებიათ დიპლომატურ ურთიერთობათა წარმატების შესახებ და, მათი აზრით, ხალხის სამშობლოსათვის კეთილგანწყობის შესახებ? რა მიზეზმა შეაჩერა თ. ალ. ორბელიანოვი, მოეხსენებინა ჩემთვის გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან ხანგრძლივი მიმოწერის შესა-

ხებ, რასაც ეხლა მაცნობებენ ბ. ბ. კომისიის წევრნი?... მე, რომელმაც ასე კარგად ვიცი საქართველოს ყველა გარემოებანი, როგორ გამოძინელდებოდა მეშოვა ალექსანდრე ორბელიანოვზე უკეთესი აგენტი"... და სხვ. („1830 წლის შეთქმულება", გვ. 280).

საერთოდ, ვინც აჯანყებას ამზადებს,—განაგრძობს ალექსანდრე ჰაქჰაძე,—ცდილობს ყოველგვარ საშუალებით თავის მხარეზე გადაიბიროს ყოველი გონიერი ადამიანი.

მე კი, პირიქით, ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ჩემს წინააღმდეგ ავამხედრე თითქმის ორმოც კომლზე მეტი ჩემი საკუთარი გლეხკაცობა. ამ გლეხებმა საჩივარიც კი აღძრეს ჩემზე ბატონ სენატორის და მთავარმართებელის წინაშე თავისუფლების მოსაპოებლად. ნამდვილად კი იმათი უკმაყოფილება იმით იყო გამოწვეული, რომ მე მინდოდა თავი დაეღწიათ თავიანთ წარმოუდგენელ სიზარმაცისათვის და მოვითხოვდი მათგან კუთვნილ სამუშაოს შესრულებას როგორც ჩემთვის, ისე სოფლის სასარგებლოდ.

ჩემს მოქმედებაში ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ისეთ საქციელს, რომელიც მე მეწინააღმდეგებოდეს.

იმ პასუხების ნაცვლად, რომელსაც მე გაძლევთ კომისიის სხვადასხვა შეკითხვებზე, მართებული იქნებოდა გადაჰრით მეთქვა: კეთილინებეთ და გადახედეთ ჩემს მოღვაწეობას ჩემი საქართველოში ყოფნის დროს!

მიუხედავად იმისა, რომ სინიდისი წმინდა მაქვს და ყოველივე ჩემი მოქმედება უმწიკვლოა, მაინც ვხედავ, რომ უდანაშაულოდ ვისჯები.

თითქმის ერთი თვეა, რაც ბოროტ-მომქმედთა შორის ვიმყოფები და ამისთანა შეკითხვებს ვუპასუხებ. ხანდახან მოხდება ხოლმე, სხვადასხვა გარემოების და მიზეზის გამო, მთავრობა შეცდომაში შეჰყავთ, მაგრამ ასეთი შემთხვევები შეუძლებელია იმ კეთილმოწყობილ სახელმწიფოში, სადაც კანონი ამჯობინებს შვიდ დამნაშავის პატიებას, ვიდრე ერთ უდანაშაულოს დასჯას.

კანონის მიხედვით, თითქოს საჭიროა დამნაშავეს მისცენ ყოველგვარი საშუალება თავის გასამართლებლად. მე კი, პირიქით, ჩემს თავს ყოველმხრივ შეზღუდულად ვგრძნობ.

ჩემთვის დაფარულია შეთქმულების ყოველივე წვრილმანი და არც ვიცი დანამდვილებით რა დანაშაული მიმიძღვის.

დასასრულს გულახდილად უნდა მოვახსენო კომისიას, რომ მთავრობის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის და ზედმეტად მიმაჩნია თავის მართლება, ან რაიმე ზომების მიღება ამ მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

კომისიის შეკითხვებზე ჩემი პასუხი ყოველთვის გულახდილი და პეშმარიტი იყო.

იმ შემთხვევაში, თუ ჩემი პასუხები საკმარისად არ მიგაჩნიათ, უმორჩილესად გთხოვთ მომთხოვოთ დამატებითი ცნობები.

ვინაიდან მე შავად დაწერილ ჩვენებებს არ ვინახავ და ზოგიერთი რამ შეიძლება უცაბედად არ გამახსენდეს, ამიტომ უფლება მაქვს მოვითხოვო, რომ ჩემი წინანდელი ჩვენებები არ დააშოროთ ამ ჩვენებას.

ჩემს წინანდელ განმარტებებში მე მოვათავსე, თუ სავსებით არა, მეტ წილად ვრცელი და სწორი საბუთები. გთხოვთ ის ცნობებიც იქონიოთ მხედველობაში, ვინაიდან შემდეგში შესაძლებელია ზეპირად ყოველივე არ გამახსენდეს, რადგან შავად დაწერილ ჩვენებებს არ ვინახავ.—

თბილისი, 6 თებერვალი, 1833 წ. გენერალ-მაიორი თავადი ჭავჭავაძე" *

მიუხედავად ამ „გულწრფელ და ხელოვნურად" აღიარებულ პასუხისა, სადაც პოეტი ცდილობს გამოიყენოს თავისი სამსახურებრივი ერთგულება და ყველაფერზე უარობს, მაინც ა. ჭავჭავაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და ქ. ტამბოვში გადაასახლეს, სადაც ის 28 წლის წინათაც (1804 წ.) იხდიდა სასჯელს.

დავით ბატონიშვილი აღნიშნავს: „ჭავჭავაძე ალექსანდრე, ძე გარსევანისა, თანაზიარი მათი (შეთქმულებისა—ი. გ.) წარავლინეს ექსორიად ტ ა მ ბ ო ვ ს ა ქალაქსა შინა თვისისა სახლეულობითა" **

---

* იხ. შეთქმულების საქმე. მერვე რეული. გვ. 1369.

ამ მასალაზე თავის დროს—1928 წ., 29 თებერვალს,—მიგვითითა გ. გ ო ხ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა (მაშინ ცენტრ-არქივის თანამშრომელმა).

ეს მასალა გიორგი გოხალიშვილმა ჩვენზე ადრე გამოაქვეყნა „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში".

ა. ჭავჭავაძის ეს რუსულად დაწერილი ჩვენება აქ იბეჭდება პოეტი ქალის—მ ა რ ი ჯ ა ნ ი ს თარგმანით.

აქვე დავსძენ ინფორმაციისათვის რომ ა. ჭავჭავაძის სხვა ოთხი ჩვენება მოთავსებულია გ. გოხალიშვილის წიგნში: „1832 წლის შეთქმულება", 1935 წ., გვ. 272, 278, 308, 489 (ეს უკანასკნელი „განმარტება" ქართულად არის დაწერილი, დანარჩენი ჩვენებები—რუსულად).

** დავით ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი: „მასალები საქართველოს ისტორიისათვის", 1906 წ., გვ. 183.

ხოლო ზოგიერთი მემატიანე ამ გადასახლების ადგილსამყოფელობას სხვანაირად ასახელებს. ასე, მაგ., იონა მეუნარგია ვ ო რ ო ნ ე ჟ ს („ალექსანდრე ჭავჭავაძე", 1937 წ., გვ. 32); ერიცოვ-ალავერდიანი—კ ო ს ტ რ ო მ ი ს გუბერნიას („რუსსკაია სტარინა", 1910 წ., № 9, გვ. 432); არჩილ ჯორჯაძე—პირდაპირ ც ი მ ბ ი რ ს ასახელებს („სახალხო გაზეთი", 1913 წ., № 794). ჩვენ ტ ა მ ბ ო ვ ი დავტოვეთ. ასე აქვს გ. გოხალიშვილსაც (იხ. „ლიტ. მემკვიდრეობა", გვ. 615).

ა. ბერჟეს ცნობით, „ჭავჭავაძე გაიგზავნა ტამბოვს 1834 წელს, 18 იანვარს, ყაზახთა ჯარის იასაულ გრუდაევის თანგაყოლებით“. ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ დროს 48 წლისა იყო.

მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში საქართველოს ალექსანდრე ჭავჭავაძეზე თვალსაჩინო კაცი არა ჰყოლია!

ამიტომ ხომ არ იყო, რომ თვით შეთქმულებაში მონაწილენიც კი, ორიოდეს გამოკლებით, ფრთხილად იქცევიან და ალექსანდრე ჭავჭავაძეს წარამარად არ ასახელებენ თავიანთი ჩვენების დროს!

ამ შეთქმულებაში ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობა ბევრ რუსის მოხელეს როდი სჯეროდა.

ბარონი ტორნაუ პირდაპირ ამბობს: „ალექსანდრე ჭავჭავაძე სრულიად უდანაშაულო იყო. იგი ტყუილ-უბრალოდ გარიეს ამ ტუტუცურ საქმეშიო“ („Русск. вестник“, 1869 წ., № 4, გვ. 702).

სამხედრო პირი ე. ბრიმერი თავის მოგონებაში ირონიით წერს: „Тут, в Тифлисе, мы узнали о каком-то заговоре между грузин. Грузины заговорщики! Многих взяли, и между прочим г.-м. князья А. Чавчавадзе. Ну если князя глупят, то добрый грузинский народ, право, не виноват“ (იხ. „Кавк. сборник“, ტ. 16, გვ. 170).

ხოლო ნიკოლოზ პირველის და პასკევიჩის მიმოწერაში ჩვენი პოეტი ასეა დახასიათებული: „ღენერალ-მაიორმა ჭავჭავაძემ ყველაფერი იცოდა (შეთქმულებაზეა ლაპარაკი—ი. გ.) და მგონი ამ საქმეში მან ისეთივე როლი შეასრულა, როგორც მიხეილ ორლოვმა 14 დეკემბრის შეთქმულების საქმეში“ („Русск. архив“, 1897 წ., № 1, გვ. 9; შდრ. М. О. Гершензон—„История молодои России“, 1923 წ., გვ. 172).*

მაგრამ ცნობილია, რომ თუ შეთქმულება სასურველად დაგვირგვინდებოდა, ალექსანდრე ჭავჭავაძე სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრად უნდა ყოფილიყო.

შეთქმულება დამარცხდა!

გაცემულ იქნა 9 დეკემბერს ერთ-ერთი მონაწილე იასე ფალავანდიშვილის მიერ*.

---

* არსებობს ს. ვ. მაქსიმოვის (1831—1901) ერთი მეტად საინტერესო წიგნი. ავტორი 1855 წელს ციმბირში ყოფილა, იქ შეხვედრია იასე ფალავანდიშვილი—უკვე მოხუცებული. იასე ფალავანდიშვილის ნაამბობი 1832 წლის აჯანყების შესახებ ს. ვ. მაქსიმოვს ჩაწერილი აქვს თავის დიდტანიან წიგნში („Год на Севере“, 1890 წ., გვ. 406—430).

10 დეკემბერს ღამე დაიწყო დაპატიმრება. 11 დეკემბერს დანიშნეს საგამომძიებლო კომისია, ხოლო 1833 წლის 20 სექტემბერს კომისიამ გამოძიება დაამთავრა.

პროფ. მ. პოლიევქტოვის ცნობით: „პასუხისგებაში მისცეს 145 კაცი. უმრავლესობა მათგანი დასჯილ იქნა ადმინისტრატიული წესით. სასამართლოში მიცემულ იქნა სულ 13 კაცი. სასამართლოს პირვანდელი განაჩენი იმ დროს, სამხედრო წესდების თანახმად, მეტად მკაცრი იყო: 10 კაცს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; დასჯა უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: ჯერ უნდა მოეჭრათ ხელები, ფეხები და მხოლოდ შემდეგ თავი. ცხადია, რომ 1832 წელში თვით ნიკოლოზ პირველის მთავრობისთვისაც კი შეუძლებელი იყო ასეთი სანახაობის მოწყობა ერევნის მოედანზე. შემდეგ მოხდა განაჩენის შემსუბუქება—ისინი დააქვეითეს ჯარისკაცის მდგომარეობამდე და თითქმის ყველანი გადაასახლეს საქართველოდან“ („კომუნისტი“, 1927 წ; 20 თებერვალი).

ნაოცნებარი შეთქმულება განწირული აღმოჩნდა.

„ამბოხების სუნით გაჟღენთილი ჰაერი ჩრდილოს გრიგალმა ერთი შებერვით გაჰფანტა“.

შემდგომ: გარემოსთან შეგუება, ახალი ფიცი რუსეთის ტახტის წინაშე, ჩინი, წარჩინება, მანანას სალონი, „ხახვის ფრანტები“, შამილის დამორჩილებაში ქართველი ოფიცრების ღვაწლი და სხვ.

ასე დაემხნენ „რაყიფნი დიდ-კაცნი“—როგორც იტყოდა „ყაზარმობის“ პოეტი გრიგოლ ორბელიანი.

თავი მეშვიდე

ბატონობას რა დიდი ჰირი უნდა—სჯოდე და სთქმოდე.

კახელი გლეხის თქმა.

იმ ხალხს ხალხობა არ ეთქმის,
როშელსაც ენა აქვს თავისებური დროსგატარება.

ილ. მაჩაბელი.

არავის გაუგონია ჩვენი ძველებისაგან ქართულს ენას რას ღირსებას აძლევდნენ? ომში ძლიერიო, შეყრილობაში უცხო შემაქცევარიო, საქმეში კარგი გამგებელიო და ქვეშაგებში მეტი დამატკბობელიო.

ალ. ორბელიანი.

ყაფლან ამბობს, ეს ქვეყანა არის დედაკაცისა!

გრ. ორბელიანი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე კახეთის პირველი მემამულე იყო. მომეტებული ნაწილი მისი მამულებისა მდებარეობდა კახეთში,—თელავის და სიღნაღის მაზრაში.

მთელ კახეთში „კნიაზიანთ“ ოჯახს მარტო ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს ეძახდნენ.

„ფარული საზოგადოების“ დროინდელ ერთ-ერთ ჩვენებაში პოეტი ამბობს: „...აქ ყველამ იცის, რომ მე პირველი მემამულეთაგანი ვარ საქართველოში. ჩემი სახლი და მამული კახეთშია, სადაც მუდმივად ვცხოვრობ. მე ყოველმხრივ უფრო მეტი გავლენა მაქვს იქ, ვიდრე ქართლში, სადაც ჩემდა სამარცხვინოდ არც კი ვყოფილვარ“.

ალ. ჭავჭავაძის შემოსავალი იყო სოფლებიდან. მას ეკუთვნოდა აგრეთვე ერთი პატარა თათრის სოფელი, რომელიც თბილისის მაზრაში იმყოფებოდა. მისი შემოსავლის მთავარი წყარო იყო პური და ღვინო. მისი წლიური შემოსავალი, თვით პოეტის სიტყვით, 1832 წელს „აღემატებოდა ექვსი ათას მანეთს“. იგი ყოველწლიურად დიდ თანხას აბანდებდა მეურნეობის უკეთესად დაყენების საქმეში. იგი ერთ წერილში აღნიშნავს: „ჩემი შემოსავალი ამ მოკლე ხანში უნდა გაორკეცდეს, ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს მე დიდი თანხა დავხარჯე მეურნეობის გასაუმჯობესებლად“.

იგი სრულიადაც არ ჰგავდა იმ მებატონეებს (თუნდ ავიღოთ მისი შვილი დავითი), რომელნიც მამის დანატოვარ საგვარეულო დოვლათს არამც თუ უფრთხილდებოდნენ, არამედ სოდაგრებზე ჰყიდდნენ და საუკეთესო მამულ-დედული ქორვაპრებს უვარდებოდათ ხელში. ტყუილად კი არ ამბობდა ალექსანდრე სარაჯიშვილი: „საქართველო ჰარიარალემ გაჰყიდაო!“

ლენინგრადის საისტორიო არქივში დაცულ „ფორმულარულ სიაში“ აღნიშნულია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულში მუშაობდა „600 სული მამრობითი სქესის გლეხი“.

ამ გლეხებთან ა. ჭავჭავაძეს არ ჰქონია სხვა მებატონეებივით მუდმივი აყალმაყალი... თუ ხანდახან გამოერეოდა ასეთი რამ, ყოველთვის მორიგებით თავდებოდა ხოლმე, რადგან, თვით პოეტის თქმით, იგი მუდამ „იზიარებდა თავისი მეზობელი ხალხის ყველა გასაჭირს“ („1832 წლის შეთქმულება“, გვ. 311).

აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ალექსანდრე ჭავჭავაძის დამოკიდებულება ერთ თავის ყმა-გლეხთან. როცა პოეტმა ამ გლეხს, გვარად გრიგოლ მაისურაძეს (1814—1885) შეამჩნია მხატვრობისადმი მიდრეკილება, გაათავისუფლა იგი და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში გაგზავნა სასწავლებლად. ალექსანდრე ჭავჭავაძის პიროვნების დასახასიათებლად ეს პატარა ამბავი ბევრ რამეს ამ-

ბობს პოეტის „პატრიოტულ—სოციალური შეხედულებათა დასახასიათებლად“*.

მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ პოეტი ხშირად ჩაეწერებოდა გლეხკაცებში და... იწყებოდა გაშაირება! ერთი ასეთი სცენა გამართულა პაპანაქება სიცხეში: გლეხები მუშაობენ. ამ დროს ყანაში გამოჩნდება პოეტი თავისი ცოლით. ალექსანდრე, მუშების წასახალისებლად, მიმართავს ერთ გლეხს, რომ შაირები წამოიწყოს.

1-ლი გლეხი

სამოცდა სამი ცოლი ჰყავს
ივანე ჭიშბერდიანსა,
დადის და კიდევ დაეძებს
გონიერსა და ჭკვიანსა...

2-რე გლეხი

უჩამ ცოლი არ გვაჩვენა
არც დარში, არც ავდარშია,
მაშინ მაინც დავინახავთ,
როცა წავლენ საყდარშია.

3-მე გლეხი

უსამართლობით არ ისხამს
ეს კარალული კაკლები,
იასაული არ მოვა
თორმეტ-თორმეტზე ნაკლები.

მე-4 გლეხი

დასაქცევი მებატონე
ჩამოიელის ვარიანსა,
წიოკობას აუყენებს
ქათამსა და ვარიანსა.

ასეთი იყო ეს თავადური დროს გატარება, მუშების შესვენებისთვის გამოგონილი. გორკიმ კარგად თქვა: „მუშები მხიარულ ადამიანს უფრო მიუხვდებიანო“**.

---

* იხ. მამია დუდუჩავას ნაშრომი: „ახალი ქართული ხელოვნება“. 1950 წ. გვ. 17. შდრ ირაკლი ხმალაძის წერილს („კოლმეურნის ხმა“, 1954 წ. № 33) და შ. კვასხვაძის პირველ ნაშრომს ამ საკითხის გარშემო („საბჭოთა ხელოვნება“ 1938 წ., № 4).

** აქ ერთ მახვილაკ გლეხს, თვით პოეტის დაჟინებული მოთხოვნით, „კნეინა ჰავჰავაძისთვის“ უთქვამს ერთი შაირი („ბატონო, თქვენი კნეინა, ნეტავი...“), რომლის მოყვანა უხერხულად მიგვაჩნია.

თბილისში მყოფი საფრანგეთის კონსული გამბა, რომელიც სტუმრად ყოფილა წინანდალში, აღტაცებულია ქართველური სტუმართმოყვარეობით და თავის „მოგზაურობაში“ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლს ევროპის სასახლეებს ადარებს. სხვათა შორის, გამბა ეხება ალ. ჭავჭავაძის დამოკიდებულებას გლეხებთან და პოეტის მეურნეობის შესახებ შემდეგსა წერს:

„თავადი ჭავჭავაძე,—გვიამბობს თავის შთაბეჭდილებას კონსული გამბა,—გულმოდგინეთ ეწევა მევენახეობასა და ღვინის დამზადებას. ეს არის მისი შემოსავლის უმთავრესი წყარო—კარგი მოსავლის დროს მას მოსდის 30 ათას თუნგ ღვინომდე (ერთი ვედრო უდრის 3 თუნგს). ჭავჭავაძეს პურის ყანებიც მოეპოება და მეზობლად მცხოვრებ ლეკების მსგავსად, მისი გლეხებიც, რიცხვით 1.500 სულამდე, წარმატებით იწყებენ თუთის ხის გაშენებასა და აბრეშუმის ჭიის მოვლას...

მის მიწებს ამუშავებენ მისივე გლეხები და ცოტაოდენი იმერლებიც. პირველნი ვალდებულნი არიან კვირაში ერთი დღე ბატონისათვის იმუშაონ. დანარჩენ დღეებს გლეხები თავისთვის მუშაობენ ბატონის მიერ იჯარით მიცემულ მიწებზე, რისთვისაც ბატონს მოსავლის ერთ მეშვიდედ ნაწილს უხდიან მაშინ, როდესაც, გამოსაღების ერთისა და იმავე სისტემის მიუხედავად, რუსი ყმაგლეხები თავისი ბატონებისათვის კვირაში 3 დღეს მუშაობენ.

თავადი ჭავჭავაძე თავის მოჯამაგირეებს წელიწადში უხდის 30 მანეთს ვერცხლით და აძლევს სარჩოს. იმერლებს 20 მანეთზე მეტს არ აძლევს, რაგინდ კარგი მუშებიც იყვნენ ისინი. მიუხედავად ამისა თავადი იმერლებს შორის მრაველად შოულობს მოჯამაგირეებს. თუმცა მას შემდეგ, რაც სამეგრელოსა და იმერეთის მემამულეებმა საჩივარი აღძრეს თავისი გლეხების ხშირი გაქცევის შესახებ, იმერლებს საქართველოში უკვე აღარ იღებენ. ასეთი ზომები გამოწვეულია შიშით, რომ ეს ორი პროვინცია, ჯერ კიდევ დღესაც ასე სუსტად დასახლებული, სრულიად არ დაიცალოს და არ გაუკაცრიელდეს“*.

ძველად ყველა მოქალაქეს საკუთარი მამულ-დედული ჰქონდა. ირაკლი მეორე თითქმის აიძულებდა საქართველოს ყველა მკვიდრს, რომ მამული შეეძინათ და საქონელი გაემრავლებინათ, თუ არა და უქნარას და უოჯახოს ერთი თვე დაპატიმრება ელოდა. მეფე ერეკლეს ხელმოწერილ ერთ „მორიგი ჯარის განჩინებაში“ ეს გარემოება ასეთი სიმკაცრითაა ნაბრძანები:

---

* „მნათობი“ 1933 წ., № 6—7, გვ. 326, ი. ენიკოლოფოვის პუბლიკაცია.

„რომელსაც თავადისშვილს მამულისა და საქონლის ილაჯი არა ჰქონდეს, ის სატუსაღოში ერთი თვე დაებას ბორკილით და ცარიელის პურისა, წყლისა და ღვინის მეტს ნურას მიაღებინებენ“ (მუხლი იᲔ).

ამ კანონს ბოლოში ასეთი ზმა აქვს მიწერილი:

მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე.

ჭავჭავაძეს „ბრძანება“ არ უნდოდა. მან თავისი მევენახეობა ისე გააუმჯობესა, რომ მისი ღვინო ევროპაშიაც იყო განთქმული. ელიზა რეკლიუ ამბობს: „კახურ ღვინოს შეუძლიან ტოლობა გაუწიოს დასავლეთის ღვინოებსო“. ხოლო მეორე ცნობის მიხედვით, ჭავჭავაძიანთ მამულში ერთგვარი ჯიშის ყურძენი ყოფილა, რომლიდგანაც შამპანსკის გაკეთებას აპირებდნენ თურმე*.

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდინაო,
მუხრან ბატონი ყმად მომცა,
კახის ბატონის ბინაო,
მომცა ყაინის ულური,
ხონთკართან გამადინაო
და ღვინო ჭავჭავაძისა
მილით შინ მამიდინაო.—

ამბობს ჩვენი ხალხი.

---

* იხ. „ივერია“, 1886 წ., № 118, შდრ. ძუბენკოს წერილს, „მოამბე“, 1896 წ. № 6, გვ. 147.

ძუბენკოს წერილის პარალელად დავასახელებ აგრეთვე ერთ უცნობ წიგნსაც, სადაც ჩვენი ვენახების დოვლათიანობის შესახებ ასეთი აზრებია გამოთქმული:

„Главное богатство Кавказа составляет виноград. Виноградная лоза достигает здесь изумительных размеров в толщину и высоту. В 1848 г. в Тифлисе показывали виноградную кисть весом в 14 фунтов. В последнее время в некоторых из русских провинций начали заниматься разведением тутовых дерев, хлопчатника и сахарного тростника. Первые опыты оказались удачными и теперь надо только желать, чтобы русские скорее окончательно утвердились на Кавказе. Тогда разовьется там и земледелие и промышленность, и торговля“ („Эропейская Россия в физическом и этнографическом отношениях“. Составил В. Лядов. Санкт-Петербург, 1861 г., стр. 35).

„ქართული ღვინო“ თვით თემურლანგსაც შეუსვამს თავისი ძლევამოსილობის“ სადღეგრძელოდ. აი, რას ამბობს მემატიანე: „На юге мы видим, что Тамерлан разорив Азов, завоевав землю Черкасскую и взяв самыя непристуoption крепости в Грузии, у подошвы Закавказских гор, при звуке шумных мусикийских орудий пил вино грузинское, желая здравия и дальнейших побед своим неутомимым сподвижникам“ (см. „О виноделии и винной торговле России“, Сочинение Петра Концова, С.-П., 1832 г., стр. 5).

ჰავჰავაძიანთ ღვინო ყველგან ისმოდა... ჰავჰავაძიანთ ღვინის ქება შაირებშიც ისმოდა:

ჰავჰავაძემ დამპატიჟა,
ღვინო მასვა ტკბილი,
აშკავედზე წამოვედი,
მომეკიდა ძილი,
საცა კარგი ჯაგი იყო
იქ წავყავი ცხვირი...
ჩემი სტვირის მომპარავსა
დაუსივდეს ცხვირი,
იმისი ცოლი მენახოს
დღეის სწორზე ქვრივი,
ჩემი ძმისთვის მომეყვანოს
გამეწიოს ლხინი;
მხიარულში გამომყოლოდეს
ჩემი გრძელი სტვირი *.

რასაკვირველია, ამოდენა მამული თავისთავად ხელგაშლილ ცხოვრებისკენ იწვევდა მის მეპატრონეებს. „ბატონობას რა დიდი ჭირი უნდა, სჯობდე და სთქმოდეო“—იტყოდნენ გლეხები. ალბათ ამ უდარდელობის ბრალი იყო, რომ ყმებს შორის ხშირად ხდებოდა კინკლაობა, რაც შემდეგში ბატონთან ბეზღობაში გადადიოდა ხოლმე. ყველა ამათ აშაქრობას, ხელმრუდობას, მომჩივანთა დაოკებას, ტკბილსიტყვას თუ მუქარას თავი უნდოდა თუ არა? პოეტს ყველასთვის ანგარიში უნდა გაეწია...

ხელთ ჩაგვივარდა ერთი „მოხსენება“, საიდანაც ჩანს, რომ ა. ჰავჰავაძის მეწისქვილე პეტრე ზანტიელაშვილი და მეზვრენი ერთმანეთში უმძრახად ყოფილან. აი, ეს დოკუმენტიც:

. „მათს მაღალს ბრწყინვალებას უფალს
პოლკოვნიკს და კავალერს ალექსანდრე ჰავჰავაძეს.
თქვენის მეზვრების როსტომა გ ი ვ ი ძ ი ს ა და ბერო კ ა ხ ი ძ ი ს
მიერ და გოგია გ ი ო რ გ ა ძ ი ს უმდაბლესი

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

გახლავართ თქვენის მაღალბრწყინვალების მიერ დადგინებული თქვენ ზვარში საბითა ამით რომე ყაელამდე უნდა გხლებოდით თქვენს ერთგულებასა და მორჩილებასა შინა და ჩვენ გარდა გახლდათ თქვენს „წისქვილზედ მიჩენილი მეწისქვილეთ თქვენი ყმა

* ცენტრ-არჭივის ხელთ. № 57. შდრ. „თეატრი“, 1886 წ., № 5.

პეტრე ზანტიელაშვილი, არა თუ იმოქმედა მან ხსენებულმან პეტრე ზანტიელაშვილმა თქვენი ერთგულება, არამედ წაელო დღენი თვისნი სიბოროტესა ქურდობასა, და თქვენს ორგულობასა შინა რომელნიცა თვითეულად აღირიცხვიან ქვემორე ამისა.

ამ წამთარ მოგვპარა ჩვიდმეტი აბაზი, ამას გარდა არ შეგვარჩინა ქათამი და არც თქვენგნით ნაბოძები ულუფის ღვინო. ჩვენ თქვენს სამსახურში გახლდებოდით და ის თურმე ტიკით შინ მიეზიდებოდა. და რადგანაცა ხელმრუდობა დავატყევით, ჩვენს სადგომს კლიტე დავადევით და ისიც გაგვიტეხა და რეა მინალთუნი ფული მოგვპარა. ამისი მოწამე გვყავს ტამპულაშვილი გოგია. ამას გარდა ეელისციხურს გოგია კურატაშვილს ორი კოდი პური მოჰპარა და იმის მიზეზით დაგვიფთხვა მუსტარი და საფქვავი არავინ მოიტანა და ორი თვე წისქვილი უქმად იყო. ამას გარდა თქვენის ზვრის პიგო გაყიდა, ამას გარდა რაც იმ წისქვილში გახლავსთ არც მუშაკობითა და არც სხვა გარჯილობითა თქვენის ზვრისათვის არაფერი შეუმატნია-რა რაც არა დაუკლია-რა, რომელნიცა არიან მრავალნი, რომელნიცა არა დაგვიწერია წიგნსა ამას შინა. ამისათვის ვითხოვთ თქვენის მაღალბრწყინვალების მიერ, რათა ჰქმნათ ამა საგანსა ზედა გამოძიება და კანონიერი ქმაყოფილება გვიბოძოთ.

რადგანაც ამ ზემო ხსენებულთ მოჩივართ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ კოლლეგსკის რეგისტრატორი: მიხეილ ტატარ... (გაურკვეველია).

[მინაწერი]

ამას გარდა გაყიდა ზვრის თავი და ჭიტუაშვილს სვიმონს მიჰყიდა. კიდევ გაყიდა ზვრის წყალი, კიდევ გაყიდა ორი ურეში თივა და თქვენი საქონელი შიმშილით იხოცებოდა. ამისი მოწამე გახლავსთ ქამურაანთ დათია და ანდრიანთ გიგლა, რომელთაცა მოესწრათ ღამე რომ თივა მიჰქონებოდათ და როიცა შევიტყვეთ, უთხარით და მრავალიც გაგვლანძღა, რომ თქვენ რა ჩემი მკითხავი ხართო.

ამას გარდა გთხოვთ რომ ერთი თქვენი ერთგული კაცი გვიბოძოთ და ჩვენი ჰირნახული ნახონ და ჩვენს ერთგულებას ისინი მოგახსენებენ. აპრილის კვ [26] დღესა ჩყკდ [1824] წელსა* *.

---

* გადმოგვცა დედანი ს. იორდანიშვილმა. კახეთში ეპოვნა ერთი გლეხის ოჯახში.

*

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ოთხი შვილი ჰყავდა — სამი ქალი და ერთი ვაჟი.

უფროს ქალს ერქვა ნინო (1812—1857), რომელიც მისთხოვდა რუსეთის ცნობილ პოეტს ა. ს. გრიბოედოვს.

მეორე ქალი ეკატერინე (1816—1882) ცოლად გაჰყვა სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს დავით დადიანს*.

მესამე შვილი იყო დავითი (1818—1889), რომლის ოჯახობაც შამილის ნაიბებმა გაიტაცეს წინანდლიდან 1854 წ.**.

ხოლო სულ ნაბოლარა სოფიო (1833—1862) მიათხოვეს ალექსანდრე პავლეს-ძე ბარონ ნიკოლაის, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ცოლად ჰყავდა სარდალ იოანე ორბელიანის ასული სალომე (გარდაიცვალა ხოლერით 1847 წ.), დაჲ ლუარსაბ ორბელიანისა. ეს სწორედ ის „სალომეა", რომელსაც გრ. ორბელიანმა თავისი ცნობილი ლექსი უძღვნა: „არავისთვის მე დღეს არა მცალიან, სალომესთან სადილათ მეძახიან".

მისი სახე, ვით მთვარე გაბადრული,
ბროლის მკერდზე მზის შუქი მოფენილი,
„ჩემო ბეჟან!"—მისგან სინაზით თქმული,
როს მაგონდეს, როგორ არ მოკვდეს გული,
ესდენ ხანი მისთვისა დადაგული?
ამიტომ დღეს არავისთვის მცალიან,
სალომესთან სადილათ მეძახიან***.

ჭავჭავაძიანთ ქალებს თითქოს ოდიდან დაეკვებათ ოდების შესხმა! ჯერ იყო და ალ. ჭავჭავაძის დედას მარიამს უძღვნიდნენ ლექსებს (გახსენეთ დავით რექტორის აკროსტიხები), მერე მისი მეუღლის სალომეს „ბროლის მკერდი" და „მთვარესავით გაბადრული სახე" გახდა ქების მიზეზი. ხოლო მისმა ორმა ქალიშვილმა ხომ პირდაპირ რეკორდი დაამყარეს ამ მხრივ. არ ყოფილა არც ერთი პოეტი, რომელსაც ლექსი არ ეძღვნას ნინოსთვის და ეკატერინესათვის.

---

* „კაცს მეტად ჭკვიანსა და განგებიანს"—როგორც იტყოდა შალვა დადიანი, ხოლო ბარონ ტორნაუს დახასიათებით, „დავითი განებივრებული ჭაბუკის შთაბეჭდილებას სტოვებდა, იგი სიბლის დანაწას ვერ იტანდაო" („Русский вест.", 1869 წ., მარტი, გვ. 150). დავითი იყო მწიგნობარი და იშვიათი ბიბლიოფილი.

** ამ თავდასხმის ისტორია კარგად აქვს აწერილი რუს მწერალს ე. გერდერუვსკის (იხ. „Отечеств. записки", 1856 წ., № 1, 2, 3—ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა. იხ. აგრეთვე დრანსეს ქალის მოგონებანი: „Плененицы Шамиля", 1858 1859 წ. წ.).

*** სალომე ჭავჭავაძე გამოყვანილი ჰყავს ცნობილ რუს მწერალს დ. მორდოვცევს თავის რომანში: „Жолевом и кровью".

ნინოს (გრიბოედოვისას) პატარა, მაგრამ შესანიშნავი ლექსი უძღვნა გ. ერისთავმა. ლექსის სათაურია „თოვლი“:

ნახეთ, ნინას, როს სპეტაკ გულს, ვით დაეცა თოვლი ჭულად:
მას ეგონა სითეთრითა ჰყოფდა ტურფას დაჩაგრულად, —
მაგრამ რა ნახა მალიად ეს თვისი შეცდომილება,
დადნა შეტისა სირცხვილით და ცრემლად იწყო დინება.

გრიგოლ ორბელიანმა იგივე ნინო ასე შეამკო:

სააშო არს სახილველად,
ოდეს ვარდი ნინას ეპყრას,
მაგრამ ვინ ჰსცნას, ვინა სუნავს
ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას.

ხოლო ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის შვილს, ჯერ ისევ ნუგბარ ნინოს, ამ სიტყვებს ათქმევინებს:

არც მამასავით მაქვს მე სხვადასხვა ფიქრები,
არც დედასავით მტანჯავს უსაფუძვლო იქვები,
ჩემს შუბლს ჰმუხვილს ვინ ნახავს? სულ მიცინის კიპები,
გავიზრდები, მეკნება უკეთესი ნიქები*.

გაიზარდა ნინო და მართლაც გამოიჩინა ნიჭი ენების ცოდნისა, მხატვრობისა, მუსიკისა,—იგი შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოს. მან ზეპირად იცოდა თავისი ქმრის—გრიბოედოვის რამდენიმე პიესა და ხშირად მასთან ერთად მეცადინეობდა მუსიკაში. პირველი როიალი, პირველი ბილიარდი წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეიტანა თავისი ქალების გასართობად. მაგრამ ნინოს ახალგაზრდული სიცილი და გაშლილი შუბლი („ჩემს შუბლს ჰმუხვილს ვინ ნახავს? სულ მიცინის კიპები“), მალე მწუხარებად შეეცვალა. ჯერ 17 წლისა არც კი იყო, რომ საყვარელი ქმარი ტრაგიკულად დაეღუპა. ამ ელდამ ისე იმოქმედა ნინოზე, რომ ფეხმძიმეს უდღეო ბავშვი შეეძინა და... რუსეთის დიდი პოეტი გრიბოედოვი უმემკვიდროდ გადაეგო. ეს იყო ორი უბედურება საბრალო ნინოსთვის!

ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მჭნელია!

---

* გარდა ამისა, ნინო ჭავჭავაძეს ლექსები უძღვნეს შემდეგმა პოეტებმა: ნ. ბარათაშვილმა—„ფორტოპიანოზედ მომღერალი“, რ. ვახვახიშვილმა—„ნინას დაბადებაზედ“ (საქ. მუზ. ხელთ. № 101, გვ. 112), ლუკა ისარლოვმა (იხ. მისი „ლექსნი“, გვ. 48), დ. ბერიევმა (იხ. „ცისკარი“, 1861 წ., № 10), ი. კერესელიძემ („ლექსები“, გვ. 4, პირველი გამოცემა) და სხვა.

· რუსი პოეტებიდან ლექსი დაუწერა პოლონსკიმ (იხ. მისი თხზულებანი, 1896 წ, ტ. 2, გვ. 272); ბერეემ ცალკე გამოსცა წიგნი „ნინო გრიბოედოვი“; ნინოს კარგად ახასიათებს კ. ბოროზდინი თავის მოგონებაში (ქართულადაც არის, თ. საბოკიამ სთარგმნა). ერთი სიტყვით, ნინოზე არსებობს მეტად დიდი ლიტერატურა...

ქმრის ანდერძის თანახმად ჰაქპავაძის ასულმა თავისი მეუღლის ნეშტი მიაბარა მთაწმინდის კალთებს. ძეგლზე ნინომ ასეთი სიტყვები ამოაკვეთინა: „Ум и дела твои безсмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя“.

ნინო გრიბოედოვისა აღარ გათხოვილა, თუმცა არაერთ შეყვარებულს გაუწვდია მისთვის ერთგული ხელი. იგი დეკაბრისტების ცოლების მსგავსად დარჩა ქვრივად და... ეს ყველასთვის საყვარელი არსება, ეს უნაზესი ქალი ქალთა შორის, რომელიც, გ. ლეონიძის თქმით,—„მკერდზე ვარდსაც რომ ძლივს იკარებდა“, გარდაიცვალა ხოლერით 1857 წელს, 28 იელისს.

მისი ნეშტიც მამადავითმა მიიბარა!*

ისე ცოტა აქვს კერძო წერილები დარჩენილი ნინო გრიბოედოვას, რომ ყოველი მისი ბწკარის აღმოჩენა აღტაცებას იწვევს მკვლევარში.

ჩვენს ხელთაა ნინო ჰაქპავაძის რამდენიმე ბარათი. აქ, ამ რკალის შესაესებად მოვიყვანთ ერთ მის უცნობ ბარათს, რომელიც მიწერილია პოეტ გრიგოლ ორბელიანთან ბეთანიით ბარონ ნიკოლაის აგარაკიდან. წერილი დაწერილია 1855 წლის, 22 იელისს, სწორედ ორი წლით ადრე, ვიდრე გარდაიცვლებოდა ნინო.

„...თქვენც დარწმუნებული უნდა იყოთ,—წერს ნინო ჰაქპავაძე გრიგოლ ორბელიანს,—უსაკუთრეს ძმაო კნიაზო გრიგოლ, რომ ჩემთვისაც ყოველთვის სასიამოვნო არის თქვენი ლაზათიანი წიგნის მიღება. ნამეტნავად ამ უკანასკნელმა ბევრი გვაცინა მე და სონიჩკა**.

„ძალიან გახარებული ვარ ჩემი ძმის დავითის წიგნის მიღებით მოსკოვიდან, რომელიც [დაწერილ] არს ამ თვის 11-სა, ვმადლობ ღმერთს იმდენის წერილის ყმაწვილებით ასე კეთილად შეასრულეს თავიანთი მგზავრობა. ადვილათ წარმოიდგენთ რა დღე იქნებოდა იმათთვის ერთად შეყრისა, ამდენი ხნის უნახავად და ამასთან იმისთანა უბედურების შემდეგ***.

„...დავითის მოწერილობით ახლა პეტერბურს უნდა იყვნენ, ბბა იქიდამ იქნება იმათი წიგნი ინტერესნი.

„თუმცა დავბერდი, მაგრამ მაინც თბილისის ჰორებს და სიცხეებს გამოვექეც. ეს ხუთი კვირაა რაც აქ, ბეთანიას გახლავარ

---

* მამადავითის ეკლესიაში ასაფლავია ალ. ჰაქპავაძის მეუღლე ს ა ლ ო მ ე, რომელიც აგრეთვე ხოლერით გარდაიცვალა 1847 წელს.

** სონიჩკა ანუ სოფიო ნინოს უმცროსი და იყო.

*** ლაპარაკია იმ უბედურებაზე, რომელიც შეემთხვა ნინოს ძმას—პოლკოვნიკ. დავით ჰაქპავაძეს, შამილის მიერ მისი ოჯახის გატაცების გამო 1854 წ.

ჩემის სიძის ბარონის სოფელში, სადაც მოსვენებულ და მომყუდროებულ ცხოვრებას ვატარებ. საუცხოო მდებარეობა ჰქონია, გრილი ჰაერი. მე დიდათ მომიხდა ეს სოფელი. ციებამ სრულიად თავი მანება. სახლი და ბაღიც მოსაწონია. ერთის სიტყვით მთლად, თავის პატარა ხაზაიკით, რომელიც რაც შეუძლიან ცდილობს სტარუხის დის მოსვენებას და სიამოვნებას.

„...ეკატერინეს წიგნიც ხშირად მამდის, მშვიდობით იმყოფება თავისის შვილებით. ამ ცოტახანში ლეჩხუმს ყოფილიყო ნიკოთი*, სადაც პატარა მთავარი დიდის დიდებით მიულიათ. ამჟამად ისევ გორდს დაბრუნებულან.

„რასაკვირველია, გაზეთით შეიტყობდით ჩვენის საყვარლის გრაფინია ოპერმანის დაქერივებას**. აბა, საყვარელო ძმაო, ახლა უნდა ქვრივის და ობლის ნუგეში, ეხლა იამება თქვენგან წიგნის მიწერა და მოგონება, მაგრამ მგონია სტარუხასთან მიწერაში ის ვედახნავენია და გრძნობა აღარ წარმოდგნენ, როდესაც უწინ, ყოველი იმისი კაბინეთის კუთხე და ალბომები აღვსილი იყო თქვენის სხვადასხვა ლექსით და პასლანიით. ოხ, სიბერევ, რა ძნელი რამ ყოფილხარ!

„ოლონდაც ბარონ ნიკოლაისგან დავალებულნი ვართ ერთობრ. ასეთი მეგობრობა და მოყვრობა გეიჩვენა იმ ჩვენს საშინელს უბედურებაში! ღმერთი გადაუხდის მაგიერს. მაინც საკურველნი კაცნი არიან ორნივ ძმები***, ყოველთვის ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ სონიჩკას ამისთანა ნუგეში გამოუჩინა. ჰეშმარიტად ობლის მამა ღმერთია... კნ. ვორონცოვას და ანეტას ადრესი ამასთანავე მოვირთმევია.

„გთხოვ, უძვირფასესო ძმაო, კვლავაც თქვენის მშვიდობის აზრით ასიამოვნებდეთ მარად თქვენი პატივისმცემელ

ნინა გრიბოედოვისა“.

ალ. ჰავჰაძის მეორე ასული ეკატერინე სულ სხვანაირი იყო. იგი სილამაზით ბევრად მაღლა იდგა თავის უფროს დაზე, მაგრამ ამბობენ, სულიერი სილამაზე ნინოს უფრო მეტი ჰქონდაო.

ეკატერინე ამაყობდა თავისი „გრაციით“ (გრ. ორბელიანის გა-

---

* „პატარა მთავარი“ ამ დროს იყო 8 წლისა. ნიკო დავითის-ძე დადიანი (მინგრელსკი) დაიბადა 1847 წ. 4 იანვარს, გარდაიცვალა 1903 წ. 24 იანვარს (იხ. „Историческ вестник“, 1903 წ., № 3, გვ. 1223).

** ლრაფინია ოპერმანს—ამ სათაურით გრ. ორბელიანმა ლექსიც უძღვნა.

*** მეორე ძმას ერქვა ლეონტი, გენერალ-ადიუტანტი იყო.

მოთქმაა) და სამართლიანადაც! ერთხელ პროფ. ალ. ცაგარელმა გადმომცა, თითქოს ეკატერინე დადიანს ეთქვას მისთვის: „გრიბოედოვს მე უფრო მოვწონდიო!“

ახალგაზრდობაში ეკატერინე ჰავჰავაძე ყოფილა ცელქი, კვიმატი, ონავარი, კეკლუცი (კეკელა), კარგი მომღერალი და მოლეკურე (შემდეგ ხომ ევროპულ ცეკვებში ბადალი არა ჰყავდა!). გრ. ორბელიანი სალომესადმი მიწერილ ერთ წერილში ასე იგონებს ეკატერინეს ლეკურს: „...ყოველთვის ახალის სიამოვნებით ვიგონებ დღეს მას, როდესაც ეკატერინა ქუდჩაკეცილი დაღისტნელ ლეკსავით ლეკურს თამაშობდა და იმღერიდა: ბროლის ფიცარი, აფიცარი გულს დაგეკონოს“.

ჰავჰავაძეების მუდმივი სტუმარი ბარონ ტორნაუ ასე ახასიათებს ორივე დას—ნინოს და ეკატერინეს: „...მე ჯერაც ვერ გამოვრკვეულვარ, ნამდვილად რომელი და უფრო მომწონდა. თუ ეკატერინეს სხივოსანი თვალები და მომხიბლავი ღიმილი გულს მჭვავდა, ნინოს მიბნედილი სილამაზე და ანგელოზური ხასიათი გულზე მალამოდ მედებოდა. თუ ერთისკენ მიისწრაფოდა თვალები და გრძნობა, მეორე — დაუძლეველი ძალით იზიდავდა სულს“*.

არ ვიცი, ამ სულიერი თვისების ბრალი იყო თუ მისი ტანადობა ხიბლავდა ყველას,—ეს კი ცხადია, რომ ერთხელ ნინოს მოტაცებაც კი სდომნიათ. მურავიოვ-ყარსკი თავის მოგონებაში გადმოგვცემს: „როგორც მერე გავიგე, აბას-მირზას შეუკრებია ცნობები თბილისის ლამაზი ქალების შესახებ და განზრახვა ჰქონია გაეტაცა ჩემი ცოლი და თავადის ქალი ნინო ჭავჭავაძე“**.

ეკატერინე კი, პირიქით, თვითონ იტაცებდა შეყვარებულთა გულებს და ქურდი ყოველთვის მის თვალებში იმალებოდა. ნინო მორიდებული იყო, კეთილი, ნაზადმჭცეველი; ეკატერინეს სინაზესთან ერთად უგლიმი სითამამეც ჰქონდა! ვინ არ „მოექნა ფეხქვეშ“ ეკატერინეს – ლექსებით, მაგრამ იგი თავისი სილამაზით გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის ლექსებში დარჩა მხოლოდ უკვდავი. აი, ნიკო ბარათაშვილის ერთი შედევრი—ეკატერინეს საყურეზე თქმული:

ვითა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

---

* იხ. „Русский вестник“, 1869 წ., მარტი—აპრილი.

** იხ. „Русский архив“, 1891 წ., ტ. 3, გვ. 26.

ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენის შერხევით,
სიოს მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!

ჰე საყურეო,
გრძნებით ამრეო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკუდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

ნიკო ბარათაშვილის გარდა, ეკ. ჭავჭავაძის სილამაზით გატაცებული იყვნენ პოეტები გრიგოლ ორბელიანი*, გ. ერისთავი**, ივ. კერესელიძე*** და სხვანი. ხოლო რუსი ოფიცრობა ხომ დღენიადაგ მათ დარბაზებში ატარებდა დროს და სტკბებოდნენ ქართული ლხინით, ქართული ღვინით, ქართული სილამაზით.

ქართველი ქალის სილაძაზე, რომელიც ჯერ კიდევ ოდიდან იყო განთქმული, ამ რუს თაყვანისმცემელთა შორის რაღაც ზღაპრულ ფერადებში იხატებოდა. რასაკვირველია, მათ წაკითხული ექნებოდათ მარკო პოლო, შარდენი, დელაპორტი და სხვა მოგზაურები, რომელნიც წარმტაცი სიტყვებით ამკობდნენ ჩვენს ქალებს.

გრიგოლ ორბელიანი ერთ თავის კერძო წერილში წერს: „ვ ი ნ ც ა რ უ ო ფ ი ლ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, ი მ ა ნ ა რ ი ც ი ს, თ უ რ ა ა რ ი ს კ რ ა ს ა ვ ი ც ა“.

თვით ჩვენი კარის მეზობლებიც ქართველ ქალებს დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ. მირზა ფატალი ახუნდოვს ჩაწერილი აქვს ერთი აზერბაიჯანული ხალხური ლექსი, სადაც ყარაბაღის ხანი სადედოფლოს საქართველოში ეძებს (იხ. ალმანახი „Зурна“, 1855 წ., გვ. 151). „ლამაზი ქალი გურჯისტანშია!“—ეკითხულობთ

---

* იხ. მისი ლექსი „წინანდლის ვარდო“ და პატარა პროზაული ნაკვთი („ჩვენი თაობა“, 1939 წ., № 5).

** იხ. მისი კერძო წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი: „ქალაქის ამბავი ეს არის,—წერს გ. ერისთავი,—ივანე მუხრანსკის დადიანის ქალი შეურთავს, იმაზედაც ჯავრობენ, ნათესავიაო; ღმერთო, იქნება კ ა ტ ი ნ კ ა მე მერგოს. მესამე და მეოთხეები ვართ. რო წახვალ, შენ აგებ მომიხერხო“ (გ. ერისთავის „თხზულებანი“, 1936 წ., გვ. 364).

*** „მთავრინა ეკატერინას“ („ლექსნი“, 1859 წ., გვ. 28). სხვათა შორის, ბ. ჭავჭავაძის ქალებმა, რომლებსაც მხატვრობა ეხერხებოდათ, დახატეს ივანე კერესელიძის სურათი.

სომხურ ეპოსშიც (იხ. „დავით სასუნცი“, გვ. 16, ქართული გამოცემა).

ხოლო მე-17 საუკუნის აშუღი ი ო ნ ა თ ა ნ ი ასე მღერის „საქართველოს ტურფებზე“:

მინდა ვაქო მხიარულის გულითა,
ქამანჩითა, სიმღერითა, კულითა,—
მშვენიერობენ სილამაზით სრულითა
საქართველოს მშვენიერი ქალები.

იქ წიკწიკებს თბილ გოგირდის ჰამამი
ბანაობენ ხათუნები თამამი.
სურნელობენ ისე, როგორც შამამი,—
საქართველოს მშვენიერი ქალები.

ყალამ-წარბი შვილდობს, როგორც კამარი,
თვალში მზე აქვთ—ვახ, რა კარგი რამ არი
შემოუკრავთ ტანს მურასა ქამარი,
საქართველოს...

ტანთ ჩაცმაში მათ იციან ფარეზი.
უკან დასდევთ მოახლე და ფარეში,
კეკლუცობენ მწვანე არემარეში,—
საქართველოს და სხვ...

(თარგმანი ი. გრიშაშვილისა).

ეკ. ჭავჭავაძე ძველი ტრადიციული სილამაზის განსახიერება იყო. ბარონ ტორნაუ ეკატერინე ჭავჭავაძეს „საქართველოს მზეს“ უწოდებს. მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, ეკატერინე დადიანისა „თვით ხანში შესული, მწუხარების დროსაც კი მშვენიერი იყოო“.

ქალურ მიმზიდველობასთან ერთად მასში შეერთებული იყო მამაკაცური ჭკუა და ხასიათი. ეს ნათლად დამტკიცდა მაშინ, როცა ეკატერინე თავისი ქმრის გარდაცვალების შემდეგ სამეგრელოს „მთავრინა“ გახდა და სახელმწიფო საქმეების ასრულებას შეუდგა (1854 წ., 8 ოქტ.).

კ. ბოროზდინი წერს: „...საზოგადოთ ეკ. დადიანისამ ისტორიული პირის სახელი მოიხვეჭა. ოსმალეთის გენერალმა ომერ-ფაშამ და მასთან შეყოფ ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა შეუთვალეს კნეინას მისულიყო ზუგდიდში და დაეწყო მართვა სამეგრელოისა, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი უნდა გამხდარიყო ევროპის სახელმწიფოებისაგან; მაგრამ კნეინამ მათ პასუხი არ გასცა. ეკატერინე ალექსანდრეს ასული სხვაფრივ არც მოიქცეოდა, რადგან იგი ეკუთვნოდა ჭავჭავაძეების გვარს და ამ გვარში არ შეიძლება მოღალატე იყოს ვინმე...“ (იხ. „დროება“, 1885 წ., № 50).

ჩვენ აქ აღარ ვეხებით სამეგრელოს პოლიტიკური ვითარების სხვადასხვა მხარეებს ეკ. დადიანის დედოფლობის დროს: სასახლის ინტრიგებს, დიმიტრი ყიფიანის ოპეკუნობას, მჭედელ მიქავას გამოსელებს, დადეშქელიანის მიერ ქუთაისის გუბერნატორის გაგარინის მოკვლას (1857 წ.) და სხვ. ეს ცნობილი ამბები ერთი კარგი რომანის ღირსია*.

ეკატერინე ბოლომდე პოეტურ დედოფლად დარჩა. სხვადასხვა მოგზაურობის დროსაც კი (მაგ., 1860 წ. პეტერბურგში, 1862 წელს პარიზში) არ იშორებდა ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებულს. მან ზეპირად იცოდა აგრეთვე თავისი მამის მუხამბაზები და ლხინსა თუ მეჯლისებში საუცხოოდ მღეროდა. ეს ჯერ კიდევ ნ. ბარათაშვილმა აღნიშნა: „ხმით მშვენიერით, ტკბილი სიმღერით, ჰაეროვანო, სულს ელხინები“. ეკატერინეს სალონში, „მშვენიერ ბანოვანთა“ შორის, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ეს სასიმღერო ლექსი—

მშვენიერთა ხელმწიფავ,
მკლავს სიშორე შენითა.
კვნესის გული საკვდავათ
მსწრაფლ მჩივარის ენითა.
შენ გამშორდი, მკურნალო,
ვითარ მექნას შვებანი,
ნაცვლად შენსა ეინ ვპოვო,
მომცეს ჰმუნვის ვსებანი.
შორით მჰვრეტელს მოსწრაფე
სული შენკენ მფრინვალებს,
ოდეს თვალი შენ განახვე,
ყოველად გაგვაბრწყინვალებს.
შენთან ყოფნა მცირე ხანს
მომცემს რასმე ლხენასა,
შენ მტანჯავ და მე გაქებ,
რისთვის იხშავ სმენასა?**

ალ. ჭავჭავაძე, თავის თანამედროვე პოეტთა შორის, უფრო იღბლიანი გამოდგა იმ მხრივ მაინც, რომ მისი ზოგიერთი ლექსი

* ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა ბელეტრისტმა კირილე წუთისოფლელმა, გვარად ჯავახიამ (გარდაიცვალა 1940 წ.). მის რომანს ეწოდება „მოჯალაბე“ (იხ. გაზ. „სახალხო ფურცლის“ დამატება, 1914 წ., № 7—21); ამავე თემაზე შალვა დადიანმა გამოაქვეყნა რომანი „გვირგვილიანების ოჯახი“ („მენჯი რობუს“ ციკლიდან). ახლო ხანში გამოვა აგრეთვე დარია გელოვანის (ლაჯანელი ბანოვანი) შესანიშნავი რომანი „შორეული ლანდები“, რომელიც ასახავს სამეგრელოს მაშინდელ ეპოქას.

** „მშვენიერთა ხელმწიფავ“ შემდეგში ნოტებზე გადაიღო კომპოზიტორმა ია კარგარეთელმა (ნახეთ: 1897 წ. გამოსული ნოტი და თვით ია კარგარეთელის მიერ ჩანაწერი ფირფიტა. ი. კარგარეთელს იშვიათი ლამაზი ტენორი ჰქონდა).

მისმა ქალიშვილებმა შემოგვინახეს, მაშინ როცა ნ. ბარათაშვილის დებმა, კ. ყიფიანის გადმოცემით, თავიანთი ძმის ლექსებიდან არც ერთი სტრიქონი არ იცოდნენ ზეპირად. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს „მღეროდნენ, ვიდრე კითხულობდნენ“ და ამ გაფენობის პირველი ავტორები მისი ორი ქალიშვილი იყო — ნინო და ეკატერინე.

ეკატერინემ შემოგვინახა აგრეთვე ის ჟოლოსფერი ბალიში, რომელზედაც ახლად მონათლული პატარა ალექსანდრე (სანდრო) ეკატერინე მეორემ მიიღო ემბაზიდან ამოყვანის დროს. ი. მეუნარგიას გადმოცემით ეს ბალიში მის შვილიშვილს ჰქონია სამეგრელოში. ბალიშზე ამოქარგული ყოფილა ეს სიტყვები: „На сей подушке Ея Вел. Гос. Имп. ЕК. П восприяла от купели младенца Кн. Ал. Гар. Чавч. родившагося в С-Петербурге в 1786 году“ (იხ. ჩემთან დაცული ი. მეუნარგიას რუსულად დაწერილი სტატია).

ეს თავი სრული არ იქნება, თუ არ გავიხსენებთ ალ. ჭავჭავაძის ქალების ნინოს და ეკატერინეს ახალგაზრდობას წინანდალში.

ამ მხრივ ზოგიერთ საინტერესო ცნობას იძლევა ის კერძო წერილი, რომელსაც ჩვენ აქ პირველად ვაქვეყნებთ.

წერილის ადრესატია ისევ ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ასე უყვარდა კერძო წერილების წერა.

1835 წელს გრ. ორბელიანი გადასახლებაში იმყოფებოდა... 1832 წლის შეთქმულების საქმის გამოძიების შემდეგ პოეტი განაწესეს „კავკასიის ხაზზე“. აქედან 1833-34 წ. დაინიშნა ნევის საზღვაო პოლკში, რომელსაც ვილნოში ჰქონდა ადგილ-სამყოფელი, ამ ქალაქებიდან გრ. ორბელიანს მიწერ-მოწერა ჰქონდა ბევრ თავის ნაცნობ-მეგობართან. პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ალ. ჭავჭავაძის ოჯახი, რომელთანაც პოეტი სიკვდილამდე კარგ განწყობილებაში იყო...

ეს წერილი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ნინო გრიბოედოვისა რ უ ს უ ლ ა დ წერს ბარათს; რამდენადაც გეახსოვს, ნინოს რუსულად დაწერილი ბარათები არც ისე ბევრია დარჩენილი.

გარდა ამისა, აქ ყველაზე „დიდი“ წერილი ეკუთვნის ეკ. ჭავჭავაძეს. იგი ამ დროს ჯერ 19 წლისა არც კი იყო და გვაკვირვებს მისი თამამი კილო და გაბედული, დამცინავი სტრიქონები. აქვეა ჭავჭავაძის ცოლის—სალომეს მინაწერი, სადაც პირველად ვეცნობით ა. ჭავჭავაძის მესამე ქალის პატარა სოფიოს სილამაზის აღწერას. ამ წერილიდანვე ჩანს, რომ გრ. ორბელიანს დაწერილი თუ ნათარგმნი ჰქონია „ჩერქეზის ქალი“.

გრიგოლ ორბელიანს, როცა ეს წერილი მიულია, ქიმზე მიუწერია: „Получено 5 июля, сел. Олей, ответ 25 июля Рига“.

სამივე პირის ბარათი (სალომესი, ნინოსი და ეკატერინესი) დაწერილია ერთ მთლიან ფურცელზე.

ეს უცნობი წერილები მოგვყავს მთლიანად:

I

„საყვარელო ძმაო გრიგოლ!

ჩემთვის უძვირფასესი შენი წიგნი ლამაზის ლაპარაკით სავსე მომივიდა. შენუ მომიკვდები, ძმაო, არ შემიძლიან მოწერა როგორსაც სიამოვნეს მიმცა. ვმადლობ ღმერთს შენის მშვიდობისთვის. მანდაურს ქებასა მწერ, რასაკვირველია, რომ ყოველისფრით განათლებული იქნება, აგრეთვე ქალნიც, რომელიც შენთვისაც მიხარიან, რომ მწუხარე კაცისათვის მაგისთანა ხალხში და ქალებში ყოფნა კარგი არის. ეს კი ძნელი იქნება შენთვის, მანდ დაჩვეული აქ მოხვალ [მოყვრებში]...* შენი განათლებული ძმაც აგრე დაგვცინოდა, ქართველი ქალები გაუნათლებელნი ხართო, მაგრამ თითონაც გაუნათლებელი ქართველი ქალი შეირთო**. როგორ მოგწონს იმისი ვკუსი?

ახლა უნდა ჩემი სოფიოს ქება მოგწერო, რომელსაც შორიდამ ლექსებით ეხუმრები***. საკვირველი შავი თმა აქვს, ლამაზი შუბლი, ამასთან უცხო შავი წარბები, თვალებიც აგრეთვე შავის წამწამით სავსე, თეთრი და წითელი ლამაზი პატარა ტუჩები, თეთრის წვრილის კბილებით გაწყობილი, ამისი გაღიმება კაცს გრძნობაში მოიყვანს, ტანად ხომ სწორედ—ჩინარი. მართლათ თავის ხანზე საკვირველი გონიერი.

ძმაო, შენ ნატრობ როდის იქნება, შენს ბაღში ლელეებზე ავსულიყო[ო]. შენუ მომიკვდები, ჩემთვისაც სანატრელი მინუტი არის რომ კიდევ გნახო, რომ დამცინოდე: გაიქეცი[თ] შვილებ[ო]. ნეტავი. იმ დღეს ცოფიანი ძაღლი რომ შემოვარდა ბაღში, მე ქალებს ვეძახდი: გაიქეცით, შვილებო.

---

* გაურკვეველია.

** აქ იგულისხმება ზაქარია ორბელიანი—ძმა გრიგოლისა. ზაქარიამ 1835 წელს შეირთო ანჩისხატის დეკანოზის, დიმიტრი მესხიშვილის ასული ქეთევან. როგორც ირკვევა, ზაქარია ორბელიანს პირველ ხანებში ნინო გრიბოედოვას შერთვა სდომნია... (აკ. გაწერელია, წერილები გრიგოლ ორბელიანისა, ტ, I, გვ. 227).

*** ა. ჭავჭავაძის მესამე ქალი სოფიო ამ დროს ორი წლისა იქნებოდა. სოფიოს დაბადებაზე გრიგოლ ორბელიანს ლექსიცა აქვს 1834 წელს დაწერილი ვილნოში შემდეგი სათაურით „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“.

საწყალ ბეჟანას* მკვდარს მაინც დაეხსენ, ერთი წელიწადი არის მოშორდა ყოველს თავის ენერეებს.

შენი პირიმე, ძმაო, ყოველთვის გახსოვდე შენის ლამაზი ლაპარაკით, შენმა გარდამ დიდათ სასიამოვნო არის ჩემთვის შენი ლაპარაკი.

შენი ბედნიერების მოსურნე

შენი და სალომე ჭავჭავაძისა".

[მინაწერი] „დიდედამ ხსოვნის მადლობა განგიცხადა. იმედი გქონდეს, რომ თავის ლოცვაში არ გივიწყებს".

II

„ჩემო უძვირფასესო ძმაო გრიგოლ,

ვმადლობ. ღმერთს, ძლივ მოგვიგონე. შენის წიგნით გაგვახარე, ღმერთს ერწმუნე ასე ვისიამოვნეთ შენის წიგნით, როგორადაც დავითისაგან გვიამება ხოლმე. ყოველთვის ჩვენც სიამოვნით ვიგონებთ იმ დროს, როდესაც აქ იყავ.

Когда Бог приведет видеть Вас опять в Цинондали, каждое местечко и уголок здесь напоминает Вас. როცა მე და კატინა ვთამაშობთ ბილიერს, მაშინვე ფუცკ მოგვაგონდება.

მომილოცავს ზაქარიას დაქორწინება. არასდროს არ მეგონა იმის ამპარტავნობისაგან, გულს ისე დაიმდაბლებდა, დეკანოზის ქალს შაირთამდა. Ах! Ветер, ветер!

მართლა, სოფიოს გამდელი ვარ, ასეთი გოგო არის, право прелесть, совершенная ангел на земле. Мы проводим время довольно приятно, занимаемся чтением, рукоделием и ездим часто верхом. Прощайте любезный братец, желаю Вам всего лучшаго в мире.

Нина Грибоедова".

III

„ჩემო საყვარელო ძმაო გრიგოლ,

შენ მაინდამაც ხუმრობასა მწერ, გონია რომ გამაჯავრო, მაგრამ ახლა დიდათ გამოცვლილი ვარ, სრულებით ვეღარ იცნობ ჩემს ხასიათს რო მნახო.—შენი სოფიოს წიგნი მამივიდა ამას წინად თავრიზიდამ**. საწყალი ძალიანა სწუხს, ბეზარს მოსვლია იქ

* ბეჟანა, გრ. ორბელიანის ლექსების პერსონაჟი. გარდაიცვალა 1834 წელს.

** აქ იგულისხმება სოფიო ორბელიანი, რომელიც გრიგოლის საცო-

ცხოვრება. მეც მივწერე წიგნი, რომელშიაც მივწერე, გრიგოლ გახსოვს თუ დაიივიწყე მეთქი. ეხლა რასაც მომწერს, შეგატყობინებ. ნუ გეშინიან, შენ დაგრჩება შენმა გარდამა.

გენაცვალე, წიგნი მოგვწერე ხშირად. სასაცილოები ძალიან გვიამება.—შენი კუნჭულა ძმა ზაქარია აღარავის კადრულობს, რაც ცოლი შაირთო. თავათ რა იყო და ახლა უფრო ატაცებულა.—დღეს თელავს ვიყავით, სადაც ენახეთ შენი დეიდაშვილი ნინო, რომელიცა ცხოვრობს კნიაზ ივან ერისთოვთან თელავის მარშალთან, დიდის სიყვარულით მოკითხვა მოგახსენა და გეშდურის რო ერთხელ წიგნით არ ახსენებ.

გახსომს, საწყალი ფარესოვი, როგორ გაგიჟებული იყო ნინასთვის, ცოლი შაირთო რუსის ქალი და უწინდელს დღეობას და შაქცევებს სიზმარივით იგონებს.—სხვა რაღა მოგწერო, ვარ წინანდალში და ვატარებთ დროს როგორც სოფელს შაეფერება.

ნეტა როდის იქნება რო შენც მოსულიყავ საქართველოში და ჩვეულებრივ გაგვეტარებინოს ერთათ სიამოვნით დრო.

მშვიდობით ჩემო საყვარელო ძმაო, ღმერთმა ასე გაბედნიეროს, როგორც შენი გული სთხოვდეს.—რამინ ყარაღაიში არის, ასე დაბერდა რო გროშად აღარა ღირს.

შენი ბედნიერების მოსურნე და

ქ ა ტ ე რ ი ნ ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე"

[მინაწერი]

დამავიწყდა ვერ მოგწერე. შენგან დაწერილი ჩერქეშინკას ქება ჩვენა გვაქვს. ბევრი ვიცინეთ პირველად რო წავიკითხეთ.—მიჩკალოდოვმა შაირთო*, ძალიან კარგი საქმე ქნა, როგორც უნდოდა, ისე გაზარდა და თითონვე შაირთო.—შვილებიცა ჰყავთ.—

იმედომ და მარინე გამდელმა თავი დაგიკრეს. გრიგოლ, გახ-

ლედ ითვლებოდა, შემდეგ გაჰყვა კავკ. მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრს ნიკ. პავლეს-ძე ბ ე ზ ა კ ს.

ამ სოფიოს შესახებ 1835 წელს შანანა ორბელიანი შემდეგსა წერს გრ. ორბელიანს: „სასიამოვნო შენი სოფიკო აქ არის და ვნახე; კიდეც დაველაპარაკეთ მე და ე კ ა ტ ე რ ი ნ ე შენზედ. ის უარს არ ამბობს, კიდეც შევირთამო, ოღონდ ენახოო. აბა სადა ხარ, ჩემო სიცოცხლე, რომ ერთ საათს ჯვარს გადაგწერდით და იქნებოდი ბედნიერი!—აბა ეხლა, ჩემო კურკავ, ცადე რომ მოხვიდე მალე, თორემ რვა თვეზე წამოველენ პეტერბურგში და დარჩები ცალიერი" (გრ. ორბელიანის წერილები, აკ. გაწერელიას რედაქციით, ტ. I, გვ. 230).

* აქ, ალბათ, გამორჩენილი უნდა იყოს სახელი იმ ქალისა, რომელიც მიჩკალოდოვს შეურთავს.

სომს? ნეტავი იმ დღეს, ჩილაევი რომ გაგვიგიჟდა და იძახოდა, კნეინას პერანგი მომიტანეთო.

შენი საყვარელი უსუფის ანბავს თუ ინებებ, გლეხური ანდაზა მართალია, იზრდება და ვირდება, სწორეთ ის არის. ქართულის მეტი აღარა იცის-რა და გაჰირევებაში მაია-თვაიაც იცის.—თვალები მტკივა შენმა გარდამ, თორემ უფრო ბევრს მოგწერდი, მაგრამ შენ ფიქრში კი იტყვი, ამაზე ბევრი რაღა იქნებაო.—

22 мая 1835 года Цинондали"*.

ეკატერინე ჭავჭავაძე გარდაიცვალა გულის ავადმყოფობისაგან 1882 წელს, სოფ გორდში, 66 წლისა. დამარხულ იქნა მარტვილის მონასტერში თავისი ქმრის გვერდით.

გრ. ორბელიანი ტასო ოგლობჟიოსადმი მიწერილ წერილში ასე დასტირის ეკატერინეს დაკარგვას:

„კნეინა ეკატერინა მენგრელიისა გარდაიცვალა გორდსა 13 აგვისტოს. წავიდა ესეცა წარსულის დროისა საქართველოს მშვენიერება, დედუფლად დაბადებული. ვინც შეხედავდა, მაშინვე უნდა მდაბლად თავი დაეკრა. ესეთნი იყვნენ: ანნა, მანანა, მაია, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინო გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩვენი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხვანიცა: აბა ახლა თვალი გადაავლე ჩვენს საზოგადოებას, ვინ არის მათი მაგიერი? ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო" (საქ. მუზ. № 2660 – S).

ამის შემდეგ გრ. ორბელიანს დიდხანს აღარ უცოცხლია. ერთი წლის შემდეგ, 1883 წელს, ავადმყოფი და „წარსულის დიდებაზე" მგოდებელი პოეტი თავის „წინანდლის ეარდს" სამუდამოდ ესამარა.

*

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე განთქმული იყო იშვიათი სტუმართმოყვარეობით და ევროპული სალონით. აღ. ჭავჭავაძესთან იკრიბებოდა ყველა მაშინდელი გამოჩენილი მწერალი, მოღვაწე. პოეტის სახლი წარმოადგენდა

---

* გრიგოლ ორბელიანის პირველი წერილი, რომელსაც ჭავჭავაძეების ეს, ჩვენ მიერ აღმოჩენილი, წერილი ესიტყვა, მოთავსებულია აკ. გაწერელიას მიერ გამოცემულ „გრიგოლ ორბელიანის წერილებში" (ტ. I, გვ. 24). ხოლო გრიგოლ ორბელიანის პასუხი ამ წერილზე მოთავსებულია (იქვე გვ. 32).

ასე რომ წინამდებარე წიგნში მოთავსებულ ჭავჭავაძეების წერილების გამოტანით გრიგოლ ორბელიანის და ჭავჭავაძის ოჯახის მიწერ-მოწერა 1835 წელში—რიგ.-წინანდალი—მთლიანად აღდგენილად უნდა ჩაითვალოს.

ქართველი და რუსი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეების შემაკავშირებელ ცენტრს. „ჩვენი სახლი 40 წლის განმავლობაში ღია იყო ყველასათვის, ჩვენი თანამემამულენი იქ უმეგობრდებოდნენ რუსებს“—აღნიშნავდა 1846 წ. თავის ერთ-ერთ განცხადებაში ა. ჭავჭავაძის ქვრივი.

საქართველო ჯადოსნურ მხარედ ეხატებოდა ყველა მოგზაურს, ყველა პოეტს. პუშკინმა და ლერმონტოვმა თავიანთი შედევრები საქართველოს ფონზე შექმნეს; ყველა დიდი არტისტის გასტროლები თბილისშიაც უნდა შემდგარიყო; აქ იყო ა. დიუმა, აქ ეპირებდა ჩამოსვლას ბალზაკი: „ჩვენ გვინდა ვიმოგზაუროთ ყირიმში, კავკასიაში და ჩავიდეთ თბილისში, ეს მოგზაურობა ჩემთვის ხელსაყრელია“,—ასე წერდა ბალზაკი ერთ კერძო წერილში 1847 წ.

მაგრამ უფრო „ხელსაყრელი“ იყო საქართველოში ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის გაცნობა... თბილისში ჩამოსული ყველა უცხოელი თითქოს თავის თავს აუცილებლად გაეცნო ალ. ჭავჭავაძე და მისი სტუმართმოყვარეობით დამტკბარიყო!

ერთი მისი მუდმივი სტუმართაგანი ბარონ ტორნაუ ასე გადმოგვცემს პოეტის დარდიმანდობას:

„მათ სადარბაზო ოთახში სტუმარი არ ილეოდა, დილიდანვე დაიწყებოდა დენა მისი ქართველი ნათესაებისა. მერე კი, სამსახურიდან განთავისუფლებისთანავე, ერთიმეორეს მოჰყვებოდა რუსობა. სადილობის დროს სუფრას შემოუსხდებოდნენ, გარდა ოჯახის წევრებისა, ოცამდე შემოსწრებული და მოულოდნელი სტუმარი *.

ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე კიდევ მისდევდა რუსულ-ქართულ სტუმართმოყვარეობის ადათებს. ყველას, ვინც კი სადილობამდე მივიდოდა, ალ. ჭავჭავაძე სადილად სტოვებდა ხოლმე. ამის გამო გულუხვ მასპინძელს საგრძნობლად ეფლანგებოდა საკუთარი ქონება“.

ეს ამონაწერი ეკუთვნის 1832 წელს **.

---

* კონ. დადიანიც ადასტურებს: ალ. ჭავჭავაძის ოჯახში სადილობის დროს ყოველდღიურად 20 სულის სადილი გაიშლებოდაო (ი. მეუნარგიას ხელთნაწერებიდან).

** „Р. В.“, 1869 წ., აპრილი, გვ. 696—ბარონ თეოდორე თეოდორეს-ძე ტორნაუ (თავის წერილებს ბეჭდავდა ინიციალით „Т“) რუსეთის არმიის ოფიცერი იყო. მისი ბიოგრაფიიდან აღსანიშნავია ერთი ფაქტი: 1836 წელს ბარონ ტორნაუს დაავალეს დაეთვალიერებინა შავი ზღვის სანაპიროები სოჭიდან გელენჯიკამდე. ყუბანის ოლქის უფროსმა გენერალმა ხასმა მეგზურებად გააყოლა გამოქცეული კატორღელები... ამ „მცველებმა“ ბარონ ტორნაუ შეიტყუეს შავი ზღვის სანაპი-

ალექსანდრე ჭავჭავაძე ზაფხულობით ცხოვრობდა წინანდალში, ზამთრობით — თბილისში. ჭავჭავაძენი პირველ ხანებში ბინადრობდნენ მადათოვის მოედნის მახლობლად ექიმ დეპნერის სახლში.

მაშინდელი თბილისი ტორნაუს ასე აქვს აღწერილი:

„...იმ დროს [1832 წ.] ქალაქში არ იყო ქვაფენილები. მათი უქონლობა მშრალ ამინდში ისე არ იყო საგრძნობი, მაგრამ საკმარისი იყო ცოტა წამოეწვიმა, რომ მთელი ქუჩები გაუვალ ლაფით გავსილიყო. ამ ქუჩებში ადამიანი უეტლოდ და უცხენოდ ვერ გაივლიდა. იმ დროს თბილისში სულ 8 თუ 10 კარეტა და კალიასკა იყო. ესენიც ეკუთვნოდა მთავრობის წარმომადგენლებს და ორიოდე მდიდარ ქართველ ოჯახს. თვით საქართველოში თავადაზნაურობა, კაცი თუ ქალი, უმეტეს შემთხვევაში მოგზაურობდნენ ცხენებით, იშვიათად ურმით, ან-და ტახტრევანებით (ეს იყო ორ ცხენსა თუ ორ ჯორს შუა ჩაკიდული საკაცე).

მოქალაქენი და რუსის ოფიცრობა უპირატესობას აძლევდა ცხენებით მოგზაურობას. იშვიათ შემთხვევაში ქირაობდნენ დროშკებს. ეს დროშკები ჩვეულებრივად გამწკრიენებულნი იდგნენ ხოლმე შუაბაზარში, მადათოვის მოედანზე და ერევნის მოედანზე *, თბილისის მედროშკენი ძალიან ჩქარა მიაქროლებდნენ თავიანთ ცხენებს. დიდად ხახიფათო იყო შიგ ჩაჯდომა. თუ გვერდელად დაჯდებოდი, პირველ მოსახვევშივე გადაგისვრიდა და ლაფში ამოიგანგლებოდი, ან არა-და პირდაპირ ყირამალა გადაგარდებოდი. ამ დროშკებზე იმ შემთხვევაში შეიძლებოდა თავის შეკავება, თუ ეტლს ცხენივით გადაალაჯებდი. მიუხედავად ამისა, თბილისის ქართველი და სომხის ქალები, რომელნიც ჯერ კიდევ ატარებდნენ კაბებ ქვეშ სპარსულ წითელ შეიდიშებს, ახერხებდნენ თავიანთი გამოგონილი ხერხით ოთხ-ოთხი ერთად მგზავრობას... მათ უკან მოსამსახურე ბიჭი ჰყავდათ ჩამოკონწიალებული. როგორ შეიძლებოდა მარტოდ გარედ გამოსვლა... მაშინდელ ქართველ ქალისთვის მეტად საძრახისი იყო უთანამხლებლოდ სიარული.

რაც შეეხება ქალაქის განათებას, ამაზე ხომ ზედმეტია ლაპა-

როების ტყეში და გადასცეს იქაურ მთიელებს. მისი გამოხსნისათვის მოითხოვეს ხუთი ჩანახი ვერცხლი ან იმდენი ოქრო, რამდენსაც ტყვე იწონიდა. ორი წელიწადი გრძელდებოდა ეს მოლაპარაკება მთავრობასა და მთიელებს შორის. ამ ხნის განმავლობაში ტორნაუ ავადაკებს მღვიმეში ჰყავდათ მიჯაჭვული. ბოლოს ტორნაუს მეგობარს თავად თემბულატ ყარამურზიევს გამოუხსნია ტყვეობიდან (იხ. Ист. вестник", 1897 წ., № 1, გვ. 50).

* მაშინ ერევნის მოედანს უწოდებდნენ „შტაბის მოედანსაც".

რაკი! მთავარ ქუჩაზე, მარჯვნივ და მარცხნივ, მხოლოდ მთავარმართებელის სახლთან ბეუტაედა ორი ფარანი. ერთიც ერევნის მოედანზე, პოლიციის მახლობლად. დანარჩენი ქუჩები, როგორც ძველი, ისე ახალი, თუ მთვარე არ ანათებდა— თბილისის უკუნეთ წყვდიადში იყო ჩაფლული. ძალიან ძნელი იყო ღამით ამ ქუჩებში გზის გაგნება და სახიფათოც: ყველგან უამრავი თხრილები იყო.

რაც შეეხება ძველ თბილისს, უეჭველად ეს ნაწილი იყო ყველაზე სანიაზო და მხატვრული მხარე, მიუხედავად იმისა, რომ იქ აუარებელი სიბინძურე სუფევდა და თავმოსატეხი ვიწრო ქუჩები იყო ქვაყრილით სავსე, ამ ოღროჩოღრო ქუჩებში დილიდან საღამომდე ვაჭარ-ხელოსანთა შორის ათასნაირ კილოკავს და შეძახილებს გაიგონებდა კაცი. ქართველები, სომხები, თათრები, ლეკები, ირანელები, იმერლები, ყაბარდოელები, რუსები, გერმანელები,— ყველანი თავიანთ ეროვნულ ტანთსაცმელში გამოწყობილნი წარმოადგენდნენ რაღაც აჭრელებულ ხალხს, მიუხედავად იმ ხანჯლისა, რომელსაც კავკასიელი წელიდან არასოდეს არ იშორებს. ქურდობა და მკვლელობა ბაზარზე არ გაგონილა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ქართველი, რაც უნდა ღარიბი იყოს, ულვინოთ პურს არ გასტეხს, მე მათ შორის იშვიათად შევხვედრივარ ლოთებს. ქართველი ხალხი კეთილია, გულაბდილი, გამბედავი, უდარდელი, არ არის კარჩაკეტილი, უყვართ ქეიფი და მეომრობა. მრეწველობა და ვაჭრობა ქართველების საქმე არ არის...

თბილისის მახლობლად, მტკვართან გერმანული ახალშენები პირველად ერმოლოვის დროს გაშენდა... მათი წყალობით გაჩნდა თბილისის ბაზარზე შინაური ფრინველი, რძე, კარაქი, ნაღები, კარტოფილი და თეთრი პური. პირველი ლუდხანა თბილისში გერმანელმა ზალცმანმა გახსნა, სადაც, ხალხის მისაზიდათ, თვით ერმოლოვიც დაიარებოდა.

ამავე წელს მთელ ქალაქში იყო მხოლოდ ერთადერთი რუსი მებულკე, რომელიც ფრანგული ბულკის ცხობას ვერ ასდიოდა.

1832 წელს კლუბები არ იყო. ტრაქტირებში სადილობას ოფიცრები ერიდებოდნენ. ყველა მათგანი ცდილობდა საკუთარ ბინაში თავისებური მეურნეობა მოეწყო...

მაშინ თბილისში ცხოვრება ძლიერ იაფი იყო...

ქუჩა, რომელიც ჩადიოდა ერევნის მოედნიდან სამხრეთისაკენ, იმ მთისკენ, სადაც ძველი ციხის ნანგრევებია, მხოლოდ ჩემი ჩამოსვლის შემდეგ შეკეთდა... 1832 წელს სახლები მხოლოდ მარცხენა მხარეს იყო აგებული. მთელი მარჯვენა მხარე ეკავა დიდ ვენახს,

ე. ი. ბაღს, სადაც ვაზის ჩრდილში ჰყვაოდა ბროწეული, ატამი, ნუში და სხვ.

ეს ხეხილები თითქოს თავს იფარავდნენ უზარმაზარ კაკლის ხეებსა და ცადაზიდულ ალვებში.

ძველი თბილისის სახლები ისე იყო აგებული, რომ ადამიანს შეეძლო ქუჩაში გამოუსვლელად, ბანიდან ბანზე გადასვლით მთელი უბანი მოევლო.

ქართველებს უყვართ ჯირითი და ბაღებში სადილი, რასაც არც რუსები გაურბოდნენ.

თბილისში მთვარიან ღამეს არაფერი არ სჯობია. ივნისში იწყება ოდნავი სიცხე... მხოლოდ საღამოობით შეიძლება დროს გატარება, როცა მთებიდან სიო დაიძვრის. მაშინ ცარიელი ქუჩები ხალხით ივსება, ისმის სიმღერა, ჩონგური, დაირა და განთიადს სადმე ქალაქგარეთ ვეგებებოდით ხოლმე.

ქართველი ქალები, ახალგაზრდები და მოხუცები, ძალიან კოხტად და ნაზად იბურებიან ჩადრით. მხოლოდ თვალები უჩანთ. თუმცა უნდა •თქვას, რომ ახალგაზრდები და ლამაზები მაინცა და მაინც არა სცდილობენ ჩადრში გახვევას. ხშირად მამაკაცის შეხვედრისას, ჩადრი ოდნავ აეხსნებათ ხოლმე და ეს ერთი წუთიც კმაროდა იმისთვის, რომ მამაკაცი დარწმუნდეს ჩადროსანის ავკარგიანობაში.

უმაღლესი წოის ქართველი ქალები, რომელნიც თითქოს შეეჩვივნენ რუსულ ადათებს, მაინც მოწყენილად ისხდნენ სახლში, ანდა ამშვენებდნენ იმ ოფიციალურ საღამოებს, რომელნიც არც თუ ისე ხშირად იმართებოდა.

ქალაქის საშუალო წოდების ოჯახის ქალები კი ძველებურად საღამ-საღამოობით მართავდნენ ხოლმე ლხინს ბანებზე, ანდა დროს ატარებდნენ თბილისის აბანოებში. ხუთშაბათობით მთელი ქალაქის ქალთა მარაქა დილაადრიან შეუდგებოდნენ ხოლმე მამადავითის აღმართს ეკლესიაში სალოცავად. ქართველი ქალები შეუთქვამდნენ ფეხშიშველა ასვლას მამადავითის აღმართზე: გასათხოვარი ქალები შესაფერ საქმროსა სთხოვდნენ, უშვილონი — შვილს, ფეხმძიმენი—ბედნიერ მშობიარობას, მიტოვებულნი—ახალ ბედნიერებას. ეს ქალები —ასეთი ჩვეულება იყო—ეკლესიის ნესტიან საძირკველს პატარა კენჭს მიადებდნენ, თუ მიეკვრებოდა — ნატვრა აუსრულდებოდათ, თუ კენჭი ჩამოვარდებოდა, მაშინ ყოველი იმედი ამაო იყო". („P. B.", 1869 წ., № 2—4., გვ. 404-426).

ალ. ჭავჭავაძის ოჯახი ყოველმხრივ გაევროპიელებული იყო. მისი ოჯახი თანდათან ივიწყებდა აღმოსავლურ ადათ-ჩვეულებებს.

თვით ტანისამოსსაც კი უკანასკნელ მოდაზე იკერავდნენ, ჩონგურთან ერთად მათ ოჯახში ფორტეპიანოც იდგა და მამადავითის ეკლესიის კედლებზე კენჭაობის ნაცვლად ბილიარდის ბირთვებს ათამაშებდნენ. გარდა ამისა იცოდნენ რუსული ლაპარაკი და ყოველგვარი ევროპული ცეკვა.

ანდრეი ფადეევი წერს: „ჭავჭავაძე იყო ქართველი არისტოკრატი, იმდროინდელ მკვიდრთა შორის საკმარისად განათლებული და ძლიერ გავლენიანი თავის თანამემამულეთა შორის („Воспоминания, А. М. фадеева", 1897 წ., მეორე ნაწილი გვ. 4).

როცა ეგრეთ წოდებული გარეთუბანი — დღევანდელი რუსთაველის გამზირი — გაიზარდა, მაშინ ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავი დაანება წინანდელ საცხოვრებელ ბინას — მადათოვის მოედანზე და განზე გაიწია ახლად გაკეთებულ გოლოვინის პროსპექტისკენ.

ჭავჭავაძემ თავის სამოსახლო ადგილად აირჩია ის კუთხე, სადაც ამჟამად პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოა,— რუსთაველის, გრიბოედოვის და ჭავჭავაძის ქუჩების ქიმი. *

მაშინ ეს ადგილი ქალაქის განაპირად ითვლებოდა, ჭავჭავაძის სახლის ახლომახლო არც ერთი შენობა არ იყო აგებული. ალბათ, პოეტი გრძნობდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ეს არემარე თბილისის ცენტრად გადაიქცეოდა.

ცენტრარქივის საქმეებში დაცულია ერთი დოკუმენტი **, საიდანაც ჩანს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს 1835 წელს ხაზინიდან სესხად გამოუთხოვია 300 ათასი მანეთი ასიგნაციებად *** 26 წლის ვადით და მამულის გირავნობით.

როგორც ირკვევა მას დაუგირავებია თავისი მამული ყმებითურთ, რომელნიც მაშინ 1137 „მამრობითი სქესის სულად" ირი-

---

* ძველად გრიბოედოვის ქუჩას ერქვა „კომენდანტის ქუჩა", ხოლო ახლად გაპრილ გზას ჭავჭავაძის (ალექსანდრეს) ქუჩა ეწოდა, 1842 წელს — პოეტის სიცოცხლეშივე (გარდაიცვალა 1846 წელს, 60 წლის ასაკში).

„კომენდანტის ქუჩა" მოხსენებული აქვს ჩვენს ცნობილ ბელეტრისტს ლავრენტი არდაზიანს თავის „მეუღლეუაშვილში": „გამოვედი შინიდან ფაიტონით... მოვატრიალებინე კუჭერსა და მარცხნივ ცხენი დავაყენებინე ორეტაჟიან სახლთან კამენდატის ქუჩაში" („სოლომონ ისაკიჩ მეუღლეუაშვილი", თავი 14).

** ფონდი № 3522 და ფონდი 158, № 210 — მიგვითითა ივ. ენიკოლოფოვმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. გარდა ამისა, პატივცემულმა მკვლევარმა ხელთნაწერის სახით გაგვაცნო ამავე საკითხზე დაწერილი ის სტატია, რომელიც შემდეგ „საბჭოთა ხელოვნებაში" დაბეჭდა, 1940 წ., № 5 — ჩვენი მასალა შედგენილია ამ წერილის მიხედვით.

*** იმ დროს ვერცხლის ერთი მანეთი უდრიდა ასიგნაციით სამ მანეთს და 60 კაპ.

ცხებოდნენ; პეტერბურგში ყოფნის დროს, 1835 წელს, ეს სესხი დაუმტკიცებია მინისტრთა კაბინეტს იმავე წლის 30 მაისის და 27 აგვისტოს სხდომებზე. საქმიდან ჩანს, რომ ა. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1835 წელს ოქტომბერში თბილისში არ ყოფილა.

როდესაც ორი წლის გასვლის შემდეგ მოსთხოვეს მას ვალის მორიგი ნაწილის გადახდა ნარჩენითურთ, „მოხსენებითი წერილიდან“ გამოირკვა მისი მეურნეობის მდგომარეობა...

1841 წლის 20 სექტემბერს იგი სწერს თბილისიდან. რომ საქონლის ჭირის გამო კარანტინების დაწესება ავიწროებს მას და დამღუპველ გავლენას ახდენს მის მეურნეობაზე. როგორც ჩანს, ალ. ჭავჭავაძეს მოუწყვია „ორთქლის არაყსახდელი“, დაუწყია ღვინის გატანა რუსეთში, გაუმართავს ღვინის სარდაფები თბილისსა და სტავროპოლში. ეს მიზეზები ხელს უშლიან ვალის პირნათლად გადახდაში. მაგრამ ვალის გადახდის ვადის გადადებაზე მას უარი ეთქვა ფინანსთა სამინისტროდან. 1842 წლის 9 ივლისს ა. ჭავჭავაძე კვლავ თხოულობს (მთავარმართებელ გოლოვინის მეშვეობით) გადასახდელის ვადის გადადებას, რადგანაც ამ წელს ყურძნის და პურის მოსავალი მცირე იყოო. მაგრამ ამ რიგობაზედაც ფინანსთა სამინისტრომ უარი უთხრა... იმავე წელს, კვლავ მიმართულ შუამდგომლობაზე, ალ. ჭავჭავაძეს ნარჩენის გადახდა „უმაღლესის ნებადართვით“ ეპატია.

როგორც ჩანს, ალ. ჭავჭავაძეს ამ ფულის ნაწილი წინანდლის მამულების გაუმჯობესებისათვის დაუხარჯავს, დიდი ნაწილით კი შესდგომია დიდ საამშენებლო სამუშაოებს.

მის ნაკვეთზე, ახლად გაყვანილი გოლოვინის პროსპექტის პირად რომ გამოდიოდა, 1841 წლისთვის აღიმართა ალ. ჭავჭავაძის მშვენიერი შენობა.

პირველ სართულში იყო 8 ქვიტკირის დუქანი, მათ ქვევით — სარდაფი ხიმინჯებზე; აქ ალ. ჭავჭავაძე ინახავდა თავისი მამულის ღვინოს, აქვე იყო მთლიანად საამისო საჭირო მოწყობილობაც.

ზემო სართული ამ სახლში დანიშნული იყო გასაქირავებლად. აქ მოთავსებული იყო 18 ოთახი ერთ რიგზე ტალანით მათ გასწვრივ, სადგომს ასე მართავდნენ მარტოოდენ სასტუმროსათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს დანიშნულებაც ჰქონდა მას. აქვე მოშორებით მოთავსებული იყო ცალკე სამზარეულო და სარაია. თვითონ ა. ჭავჭავაძე ცხოვრობდა კომენდანტის ქუჩაზე (ახლა გრიბოედოვის ქუჩა), სადაც ჰქონდა დიდი ორსართულიანი ბინა: ქვემო სართულში—6 ოთახი ნამშრალებით (საბუფეტო, წინა.

ოთახი, საჯალაბო და სხვ.), ხოლო ზემო სართულში დარბაზი და 4 ოთახი. ამ ბინას მშვენიერი ბისავალი (მთავარი კარი) ჰქონდა ქუჩიდან.

ამ ორ სახლს შუა ა. ჭავჭავაძეს მესამე სახლიც ჰქონდა, აქვე — ბაღი ორანჟერეით; აუზიც იყო, რომლისათვისაც მან წყალი მთა-წმინდიდან გამოიყვანა.

ამნაირად, ა. ჭავჭავაძის შენობებს მთელი კვარტალი ეჭირა.

ქუჩა, რომელიც ახლა ჭავჭავაძის სახელს ატარებს, 1842 წელს გაიხსნა და იმთავითვე, ალ. ჭავჭავაძის სიცოცხლეშივე, ამ ქუჩას ოფიციალურად მისი სახელი ეწოდა.

ალ. ჭავჭავაძის დროს „შპალიერის ხმარება არ იცოდნენ, კედლებს ფერადი საღებაებით ხატავდნენ" („საქართველო", 1917 წ., № 153). ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი პირველი სახლი იყო საქართველოში, რომლის ოთახებსაც ამშვენებდა საუცხოო შპალიერი, რომელზედაც გამოხატული ყოფილა სხვადასხვა მითოლოგიური სცენები. ამბობენ, თითქოს ეს შპალიერი იმპერატრიცა ეკატერინეს ეჩუქებინოს პოეტის მამისთვის, როგორც საქართველოს სამეფო დესპანისთვის რუსეთის კარზე (ა. ფადეევი)*.

იონა მეუნარგიას გადმოცემით, ქართული მუდმივი თეატრის შექმნის იდეა პირველად ალ. ჭავჭავაძის ოჯახში ჩასახულა.

შემდგარა სცენისმოყვარეთა პატარა წრეც, სადაც სულ წარჩინებულთა ქალ-ვაჟები ყოფილან მსახიობებად.

ხელმძღვანელობდა თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ალ. ჭავჭავაძეს სწორედ ამ ხანებში უთარგმნია კორნელის ტრაგედია „სინნა". განუზრახავთ ამ პიესის წარმოდგენა და რეპეტიციებიც კი გაუმართავთ ალ. ჭავჭავაძის ცნობილ დარბაზში. იონა მეუნარგიას სიტყვით, „სინნას" როლები ასე ყოფილა განაწილებული: ა გ ვ ი ს ტ ო — ალექსანდრე ჭავჭავაძე, ს ი ნ ნ ა — გრიგოლ დადიანი, მ ა ქ ს ი მ ე — დიმიტრი ყიფიანი. ერთ-ერთი როლი უნდა ეთამაშნა პოეტს ნ. ბარათაშვილსაც, მაგრამ წარმოდგენა ჩაშლილა. მეუნარგიას თქმით, ალბათ როლები კარგად არ იცოდნენო.

შემდეგში გრიგოლ დადიანი, თვით მოხუცობის ჟამსაც კი,

---

* ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, თითქოს ამ სახლში იქორწილა ა. ჭავჭავაძის ორივე ქალმა. საიდან სადაო? ნინომ ჯვარი დაიწერა 1828 წელს, ეკატერინემ — 1839 წელს (დაიწინდა 1838 წ., 18 დეკემბერს), სახლი კი აშენდა 1841 წელს!!!

თურმე ზეპირად ამბობდა სინნას ცნობილ მონოლოგებს არტისტული გადმოცემით *.

ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ეს შესანიშნავი შენობა განსვენებულის შვილმა დ ა ვ ი თ მ ა 1848 წელს მიჰყიდა თავის ნათლიმამას — შუშელ მოქალაქეს ნიკიტა შახმურადოვს, 32.000 მანეთად ვერცხ. ბანკის ვალის 9.000 მან. მიღებით.

და „ჭავჭავაძის გასტინიცა“ მოიჯარადრე ვარშავსკის მეოხებით. „პარიზის ნომრებად“ გადაიქცა. მალე შახმურადოვი შესცვალა სოდაგარ არაფელოვმა და ახალი ბურჟუაზიის „გემოვნებამ“ ძირფესვიანად ამოაგდო პოეტის ძვირფასი ნაგებობანი.

დღეს იმ ალაგას ჭავჭავაძეების შენობიდან არაფერი აღარ არის დარჩენილი. არაფელოვმა ააგო სულ სხვა სახლი, რომელიც დღესაც გამოიყურება (პროფსაბჭოს ახლანდელი შენობა).

სრულიად მოულოდნელი იყო ა. ჭავჭავაძის სიკვდილი.

იონა მეუნარგია ასე გადმოგვცემს მის გარდაცვალებას:

— 6 ნოემბერს, 1846 წელს, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ჯანმრთელობა საუკეთესო მდგომარეობაში იყო, უცებ ქალაქში ხმა გაისმა, ჭავჭავაძე მოკვდაო. მთელი ქალაქი მოაწყდა პოეტის სახლს, ყველას უნდოდა შეეტყო, ასე უცებ რა დაემართა სიცოცხლით და ჯანმრთელობით სავსე პოეტს.

სამწუხაროდ, ქალაქში გავრცელებული ხმა მართალი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე, გაემზადა ვორონცოვთან წასასვლელად. რაღაც დღეობა იყო და მისალოცად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ.

მშვენიერი ყარაბაღული ცხენი შეაბა მის „ადინაჩქას“ ქუჩერმა და ალექსანდრე პარადის ფორმით მორთული დაეშვა ჭავჭავაძის ქუჩით. როცა ის დაუახლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრივ ერთმა დედაკაცმა სახლიდან საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა, სწორედ იმ დროს, როდესაც მას ალექსანდრეს ეტლი გაუსწორდა, ცხენი დაფრთხა, წაართვა თავი ქუჩერს, შეშინებულმა ქუჩერმა მოსძახა ალექსანდრეს: კნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლიან, თავს უშველეო. ალექსანდრემ იფიქრა ქუჩრის მიშველება, წამოიწია და რომ უნდა სწვდომოდა აღვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედ

* იხ. იონა მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს რუსულად დაწერილი სტატია ალ. ჭავჭავაძეზე (გადმოგვცა იაკობ ფ ა ნ ც ხ ა ვ ა მ, ინახება ჩვენთან).

დაეხვია, ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდო. ეს გადმოვარდნა სასიკვდილო შეიქმნა, დაეცა თავით. გრძნობამიხდილი ალექსანდრე შეიყვანეს სახლში, საცა ცოტახანს იცოცხლა. ის მოკვდა იმავე ღამეს *.

„თავგატეხილი ჭავჭავაძე ესვენა მაგიდაზე, იმ დარბაზში, სადაც პირველი შემთხვევა იყო, რომ ამ დარბაზის სიმხიარულე მწუხარებით და ცრემლებით შეიცვალა“ (ფადეევი).

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისმა დიდი პატივისცემით დაკრძალა პოეტი. „მთელი მოქალაქობა თავის ამჟრებით და ბაირაღებით გაჰყვა მას საუკუნო განსასვენებელთან“. ნეშტი განსვენებულისა დაკრძალულია კახეთს. შუამთის მონასტერში, რომელიც აგებულია მე-16 საუკუნეში კახთა მეფის მეუღლის თინათინისაგან.

მ. ს. ვორონცოვი სწერდა ვ. ო. ბებუთოვს: „თქვენ ალბათ დაგამწუხრათ თავად ჭავჭავაძის საშინელმა ამბავმა. ჩვენ ყველანი თავზარდაცემულნი ვართ და მთელი ქალაქი მწუხარებაშია. საწყალი კნეინა დადიანი, ფრიად საშინელ მდგომარეობაშია. ღმერთმა ჰქნას, ამან მის მშობიარობას ხელი არ შეუშალოს“ („რუსსკაია სტარინა“, 1873 წ., ტ. 7, გვ. 107).

პოეტი დაკრძალულია საგუარეულო აკლდამაში. ტაძრის შიგნით, სამხრეთის მხრივ კედელთან; კედლის ძირს ადევს ფიქალი, შემდეგი წარწერით: „მარად საუვიწყოსა სიმამრისა სამარესა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“.

ფიქალის ასწვრივ კედელში ჩასმულია მარმარილო ზედწარწერით: „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიცვალა ჲ წლისა ვ ნოემბერსა ჩყმვ წელსა. მწუხრსა განუსვენოს ტირილმან და ციკარსა სიხარულმან (ფსალ. ვთ)“.

ეს ფსალმუნიდან ამოღებული სიტყვები მიუწოდებია მონასტრების დასათვალიერებლად გამოგზავნილ ა. ნ. მურავიოვს, „Грузия и Армения“-ს ცნობილ ავტორს. ის წერს: „უწინ, დედოფლის (თინათინის, მამია გურიელის ქალის) პატივისცემით არავინ იმარხებოდა მის სავანეში სამეფო გვარეულობისაც კი. პირველად ამ პატივს ეღირსა კნეინა ჭავჭავაძე (ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა), რომელსაც მისმა მოსიყვარულე შვილმა შემდეგი გულისამაჩუყებელი ეპიტაფია წააწერა: „ეკალთა ზედა ამის სოფლისათა აღსრულებული, ყვავილთა შორის სასუფეველსა შენისათა ღირს მყავ მე განღვიძებად უფალო“. როცა მე, — განაგრძობს მურავიოვი,—

* იხ. იონა მეუნარგია — „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, 1837 წ., გვ. 39.

ამ წარწერას ვკითხულობდი, იმედი მქონდა მალე გავიცნობდი მის წამწერს; მაგრამ ამის მაგიერ მე მომთხოვეს სიტყვები მისი საფლავის ქვისათვისაც; მე მივუთითე 29 ფსალმუნის სიტყვებზე, რომელნიც საესებით შეესაბამებიან მის საკუთარ სიტყვებს: „მწუხრსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“ *.

მე კი მგონია ალექსანდრე ჭავჭავაძის სამარის ქვას უფრო შეეფერებოდა მისივე სიტყვები, რომელიც მან მანანას ბეჭედზე წააწერა:

უდროდ მზის დასვლით მაბნელა
სოფელმან ანახდეულად **.

მაშინდელი თბილისის ორი რუსული გაზეთი — „კავკაზი“ და „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“—თითქოს ამ წელს პირველად იმიტომ გამოვიდა, რომ გარდაცვალებული პოეტისთვის გულისდამწველი ნეკროლოგები ეძღვნა. პირველი წერილი ეკუთვნის დიმიტრი უიფიანს, ხოლო მეორე—პ. იოსელიანს ***.

მოგვყავს კუპიურებით ალ. ჭავჭავაძის ნეკროლოგი „ზაკავკაზსკი ვესტნიკიდან“, ქართულად „გადმოწერილი“ (ალბათ თვით რედაქტორის პლატონ იოსელიანის მიერ):

„წარსულსა კვირას 6 ნოემბერს მეცხრე საათს აღსრულდა თბილისსა შინა თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე...

„წინადღესა სიკვდილისა თვისისა იგი იყო სრულიად მთლად და გამობრძანდა ნამესტნიკის სანახავად; ცხენებს თავი წეერთმევინათ, მას ნდომოდა გადმოხტომა დროშკიდგან, გადმოვარდა, ქვასა ზედა თავი დაჰკრა, ყოველი მოცადინეობა და შემწეობა სამკურნალოსანი აღმოჩნდნენ ფუჭად. ცხრამეტი საათი თვით აღსრულებამდე თვისისა კნიაზი იყო უგონო.

„უნუგეშოდ სტირს რა მისთვის დაობლებული სახლობა მისი. უნუგეშოდ ჰმუნვარებს სრულიად საქართველოჲ, რომელმანცა დაკარგა ნიჭიერი მცოდინარე და სრულიად კეთილშობილთ თვისის წარმომადგინებელნნი, უკიდურესად სწუხან მისთვის და ყოველნი, ვინცა კი იცნობდა მას.

„ჩვენ მოვისმინეთ გლოვისა ხმა სამხედრო მუზიკის.—ჩვენ ვიხილეთ დროშა შავათ მოსილი. სამწუხარო ეტლი გარემოცული

---

* [ა. ნ. მურავიოვი], **Грузия и Армения**, ტ. I, გვ. 198, თავი: „იყალთო და შუამთა“, აგრეთვე გვ. 148 (იქვე).

** იხ. „დროება“, 1875 წ., № 105.

*** იხ. „**Кавказ**“, 1846 წ., № 45, აგრეთვე № 52 (იქვე) და „**Закавказский вестник**“, 1846 წ. № 23 (ამ უკანასკნელი გაზეთიდან ძველი ენით ნათარგმნი ქართული ტექსტი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტ. მუზეუმში № 235—5).

კელაპტრებითა დაყოენებულად იძროდა ქუჩასა შინა ქალაქისასა სიონის ეკლესიისაკენ გაცილებითა თითქმის მთლად ქალაქის ცხოვრებთაგან. მთლად ბალკონნი, მთლად ფანჯრები იყო აღსილი ხალხითა, თითქმის მთლად დუქნები იყო დაკეტილი.

„ეკლესიასა შინა მოასმენინეს პანაშვიდი განსვენების სულისა მისისათვის და ისრეთივე მწუხარების სასწაულითა გავაცილეთ კუბო მისი კახეთისაკენ. იქ, კახეთში ელიან მას საფლავი წინაპრისანი. მშვიდობით, კნიაზო. მშვიდობით! მოტირალნი შენთვის დიდხანს სტირიან და კვალად აღარ მოგელიან“ (ლიტ-მუზეუმი, № 235 – 5).

ასე უაზროდ გარდაიცვალა საქართველოს მოჭირნახულე პოეტი, მისი ლხინისა და ვარამის გამომხატველი რაინდი, კავკასიის ბრძოლების ძლევამოსილი სარდალი—ალექსანდრე ჭავჭავაძე.

მე-19 საუკუნის ორ ეპოქას ორი ჭავჭავაძე ჰყავდა ქართული აზროვნების მესვეურად—ალექსანდრე და ილია.

თითქოს ერთი იმიტომ ჩაეიდა საფლავს, რომ მეორე უფრო დიდებით ამობრწყინებულიყო თავისი ერის სახელის განმტკიცებისათვის.

მაგრამ ორიევეს ე ტ ლ ი ბედუკუღმართად გადატრიალდა: ორიევეს წერა—ე ტ ლ ი გამოდგა. ორიევენი ტრაგიკულად დაიღუპნენ და ტვინი დაღვარეს იმ მიწაზე, რომელიც მათი დედა-სამშობლო იყო.

თავი მეექვე

სიყვარულო! ძალსა შენსა ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეძრ.ხვის, რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს!

ალექსანდრე ჭავჭავაძე.

მიწათა ივერისათა შენებრ არვინ არს შობილი;
დავნატრი შენთა მშობელთა, ვითარ გყევეს აგრე ბრძნობილი,
გონება ვრცელი, მდაბალი, გულხმება მხეებრ ცნობილი,
არ ძალმიძს შენსა მჭვრეტელსა ქება შევიძლო მკობილი.

დავით რექტორი *.

საერთოდ აღიარებულია ის აზრი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე მხოლოდ ღვინოსა და ქალებს უმღეროდა! ასეთი შეფასება უეჭველად ცალმხრივია.

---

* დავით რექტორის ეს ხოტბა „ალექსანდრე ჭავჭავაძეზე“ დაცულია საქ. მუზ. ყოფილ საეკლესიო ფონდში (№ 70). აქვე დავსძენთ, რომ ეს ფრაგმენტი პირველად გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ (ფსევდონიმით „—ეგრი—“), იხ. „იევრია“, 1886 წ., № 128; შდრ ი. გრიშაშვილის მიერ გამოცემულ ალ. ჭავჭავაძის „თხზულებას“ 1940 წ., გვ 337.

ჯერ კიდევ პ. უმიკაშვილი აღნიშნავდა ამ უმართებულობას: „სამწუხაროდ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში,— წერდა ეს იშვიათი მოღვაწე,— დღევანდელ მოკრიტიკე მწერლებს სამიჯნურო სიმღერების მეტი ვერაფერი ესმით“ („მოამბე“, 1900 წ., № 1).

ჩვენი პოეტის ანაკრეონული რამდენიმე ლექსი, რომელიც, სხვათა შორის, ბატონიშვილ იულონის ასულს თამარს ეძღვნება, ადამიანის სულთაძერის ერთ-ერთი უდიდესი გამომხატველია, მაგრამ მას აქვს მეტად ღრმა სევდით გამსჭვალული ლექსებიც— მოქალაქური და მამულიშვილური. ასეთებია: „ოჰ, წარმავალნო გზასა ქალნო“, „ვისაც გსურთ“, „მწამებ ხსოვნისა“, „ოჰ, ვით გვემტყუნვა“, „პყრობილისაგან თანპყრობილთა მიმართ“, „გლახ თვალთა შენი“, „მსურდა ოხვრა“, „ისმინეთ. მსმენნო“, „თავსა უფლად“, „ვისაც გსურთ“, „მუხთალმან ამა სოფელმან“ და სხვ.

ყველა ეს ლექსი, რომელსაც დღემდე კრიტიკა არ შეჰხებია, „სიჭაბუკის ჟამს არის გადმომცემარე“, მისი პირველი პატიმრობის დროს, როცა პოეტი 18 წლისა იყო. ამ ლექსებში არის ახალგაზრდობის მოუსვენარი სულის ძახილი. მის ზოგიერთ ნაწერს ავტობიოგრაფიული სხივი დაჰკრავს.

ძველად ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის გამრჩეველნი (კიტა აბაშიძის და ი. ფანცხავას გარდა),— თითქოს აღთქმა დაედოთ,— ყველანი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „ბახუსელია“, „ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგია“, „ფრიველური პოეტია“, „სიყვარულის მომღერალია“ (თითქოს სიყვარული სათაკილო იყოს!) და სხვ. ხოლო ზოგიერთი უცხო მოგზაური— რიგი ანაქრეონს ადარებდა, რიგი ჰაფიზს... ერთი ფრანგი მწერალი, ე. ორსოლი, „კავკასიის ბერანჟესაც“ კი უწოდებს („დროება“, 1785 წ. № 83).

მ. ე ე ზ ი რ ი შ ვ ი ლ ი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლობელი და მისი პოეზიის თაყვანისმცემელი, ადარებს ნ. ბარათაშვილის სიყვარულს ა. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსებს და დასძენს: „ალ. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის სიყვარულს ატყვია უფრო პირადი ხასიათი, პირადი დანიშნულება. სიყვარულიო, ამბობენ ეს პოეტები, საჭიროა ბედნიერი ცხოვრებისათვის, ხოლო ეს ბედნიერება არის ბედნიერება კ ე რ ძ ო კაცისა, ცალკე აღებულის ადამიანისა. ნ. ბარათაშვილი უფრო შორს მიდის, იგი სიყვარულს მიაწერს ზოგად მნიშვნელობას“ („ივერია“, 1889 წ., № 240).

შეიძლება ასეთი პრიმიტიული აზრი იმიტომ გავრცელდა ჩვენს პოეტზე, რომ მისი ლექსების უმრავლესობა დიდხანს უცნობი იყო

ფართო საზოგადოებისათვის! ამ მხრივ სრულიად მართალია იონა მეუნარგია, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების გამოუცემლობის შესახებ შემდეგსა წერს: „ძნელია ლაპარაკი იმ კაცზე (იგულისხმება ალ. ჭავჭავაძე—ი. გ.), რომელზედაც ნამდვილი ცნობა არ გვაქვს. ამ შემთხვევაში ან აკლებ ამ კაცს მის ღირსებას, ან ისეთ ღირსებას აწერ, რომელიც იმას არ ეკუთვნის. ალ. ჭავჭავაძეზე საბოლოო აზრის შედგენა ლიტერატურაში,—განაგრძობს მეუნარგია,—სანამ მისი ნაწერი ყველა არ დაბეჭდილა და მკითხველ საზოგადოებას არ გაუცვნია, უცნობ კაცზე ლაპარაკსა ჰგავს“.

და მართლაც, ჩვენს გამოცემაში (1940 წ.) პირველად გამოვაქვეყნეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ბევრ უცნობ ლექსებთან ერთად, ერთი სრულიად ახალი ლექსიც—„შექცევათათვის“. ეს ლექსი ჰიმნია შრომისა: იგი მოუწოდებს ყველა „შრომის გამომჩენს“ ბედნიერებისაკენ, სიცოცხლისაკენ. აქ გატარებულია ის აზრი, რომ ადამიანი არ უნდა ეგდოს უქმად, რომ შრომა გვირგვინია შეებისა და განცხრომისა; აქ აწერილია სწორედ ის ეპიკურობა, რომელზედაც ლაპარაკობენ მისი აუგისმთქმელნი. მაგრამ როგორ არის აწერილი? ნება მომეცით ეს ლექსი მთლიანად მოვიყვანო:

შექცევათათვის

თქვენ, რომელნი ლხინთ მორევში დაფლულნი და უძლურ ქმნილნი,
უგონობას სიამეთ რაცხთ განუფხიზლად დათრობილნი,
სიამოვნე! თუცა გწადისთ ჯერარს გკონდესთ მისი ცნობა,
იგი მუნით გარდეგების, სად იხმარვის უხმობა.—
სიამოვნეთ! შექცევათა თვით ბუნება ზრდის, ახარებს,
ამა სოფლის ეკალთ შორის ყვავილებათ ამცნარებს.
მათ აქვსთ თვისი დრო და არე, და თუ ვექცეთ ბრძნულად, წყნარად,
წელთა ჩვენთა ზამთრამდეცა დავიცვავთ მათ დაუმკნარად.
მათსა მსთვლელსა უხამს ხელი რახმც მარჯვე ეგრეთ ფრთხილი,
არ შეშალოს მოკრეფაში სიკეკლუცე მათი ჩვილი.
ბევრთ მდელოთა სუნი ერთად გაბნეულ ჰყოფს გონებასა,
ჰყნოსდე იშვით, ჰყნოსდე სურვით, ზოგჯერ ვარდსა, ხან იასა.
ნუ ეძიებ ყველა ნახო, ყველა იგრძნო. ყველა გუსმას,
გულს აცალე თვით მოსწყურდეს, ნუ აძალებ ლხინის შესმას.
ზოგჯერ განგებ მოაშორეე და უძვირე, რომ დაუტკბეს,
თვარა სურვა სად არ იყოს, სიამოვნე მუნ გაცუდდეს.
სიმხნე არის სიამეთა განმაახლი, მაგრძნობელი,
ვაი მისდა, ვინ უქმობით დღე ღამეთა წოლით მთვლელი

იწვევს ლხინსა და ვერ იგემს, ვით ბრმა მდელოთ ფერთა მხირე,
სოფელს შინა უსყიდველი არა-რა არს არცა მცირე.
განცხრომაცა სავაჭროა ბუნებისგან განაჩენი,
მას აქვს ფასად გარჯა... მოდით, ვინც ხართ შრომის გამომჩენი.

ამ ლექსში „ერთი კაცის სიამოვნება“ როდია, როგორც ვეზირიშვილი ბრძანებს. აქ მთელი ფილოსოფიური მსჯელობაა შრომაზე, გარჯაზე, სიამოვნების სიმბოლოზე და საზოგადო ტკივილებზე—ნაყროვანების წინააღმდეგ.

საინტერესო და საგულისხმოა, რომ მე-19 საუკუნის ქართველი მგოსანი ალექსანდრე ჭავჭავაძე შრომასა და გარჯას აღიარებს ესთეტიკური სიამოვნების და მხატვრული შემოქმედების ერთერთ მთავარ საფუძვლად, სწორედ ისევე, როგორც სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ შრომა და მშრომელი აღიარა ლიტერატურის და ხელოვნების მთავარ ობიექტად.

თეიმურაზის და ბესიკის შემდეგ ალ. ჭავჭავაძე არის მაჯამის (ორონიმების) შესანიშნავი ოსტატი. აი, პატარა ლექსი, სადაც მაჯამა და ალიტერაცია გასაოცარის ვირტუოზობით არის ამეტყველებული ოთხ სტრიქონში:

სევმ მიწვიმა მანანა,
მომივლინა მან ანა,
მას თან მოჰყვა მანანა.
მინანავა მან ნანა.

შური კაცთა შორის უმდაბლესი გრძნობაა. საბა-სულხან ორბელიანის განმარტებით: „შური—არს მწუხარებაი სხვისა კეთილისა ზედა“; მაშასადამე „შური“ ადამიანისათვის „მწუხარება“ ყოფილა. ილია ამბობს: „კაცს სამოთხე ჯოჯოხეთად გადაექცევა, როცა შხამს ანთხევს მტრობა და შური“. აკაკიც აღნიშნავს თავის „ბაში-აჩუკში“: „გულში რომ შური შევა, მაშინ სულიც დასნეულდებაო“. „ქილილა და დამანაში“ ასეთი აფორიზმია: „სად შური შევა მუნ არის ზღვევა, იქ კეთილობა იყოს მხტომელად“.

თუ შექსპიროს დაეკუჟერებთ, შური „თანდაყოლილი თვისება ყოფილა ზოგიერთი ადამიანისათვის, იგი ამბობს: „წარჩინებულ კაცს უთუოდ უნდა შურის გესლი უკანა სდევდესო“ („იულიოს კეისარი“). ალექსანდრე ჭავჭავაძეს თავის ერთ ლექსში („სხვა და სხვა დროისათვის კაცისა“) ადამიანის ოთხი დრო აქვს აწერილი. პოეტი გვასწავლის, რომ შუახნის კაცისათვის საძრახისია შური, მით უმეტეს, როცა იგი, უნიჭობის გამო, „დიდებას“ ვერ მიაღწევსო.

აი, ეს შესანიშნავი სტრიქონებიც:

ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა,
არა ეკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი უხომ უხვ ა,
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა,
რა ვერ ვპოებთ საწადელსა, შეგვეკნების შ უ რ ი თ ქმუხვა.

მომხიბლავია მისი ეპიგრამული ლექსებიც. რამდენი გონება-მახვილობაა ამ ორსტრიქონიან ლექსში:

შენ მარადის მე მაძაგებ, მე ყოველთვის გაქებ შენა,
მაგრამ, რა ვქნა, ვინც რომ გვიცნობს—არც ერთისა არა ჰრწმენა*.

ყოველ სიყვარულს თან სდევს სიამოვნების ეშხი. თუ ეს არ არის, მაშინ სიყვარული სანტიმენტალურ ბოდვას ვერ გასცდება. „ვინ არ ყოფილა მიჯნური, სახმილი ვის არ სდებიან?"—ამბობს რუსთაველი, „ცუდია უეშხოდ ცხოვრება, ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტურო ხესა",—დასძენს გრ. ორბელიანი. ჯანსაღი სიყვარული იმითაა ჯანსაღი, რომ იგი სცილდება პოეტის ინდივიდუმს და ზოგადკაცობრიული ხდება.

ა. ჭაჭავაძე უაღრესად ლირიკოსი პოეტია: დააკვირდით, რამდენი სინაზეა ჩაქსოვილი ამ პატარა ლექსში „მ ე მ თ ვ რ ა ლ ი-ს ა დ მ ი":

შენ ნარგიზი ახალი ხარ, თავსა შენსა ჰსტრფობ და ჰყვარობ,
მაგრამ წყალში ქვრეტის ნაცვლად წითელ ღვინოს სარკედ ჰხმარობ;
სახე შენი მას ღვინოში ჰსჩანს, ვით ვარდი ხედა ხარობ,
მერე ეშხით აღნატაცი, თავსა შთანთქმად აღარ ხარობ.

ასევე კარგია მისი მეორე პატარა ლექსი—„მე შენ არ გეტყვი". აქ ჩახრუხაძის „დუმილის" შესანიშნავი გამოძახილია ადამიანის სულის მოძრაობის მხატვრულად გამოთქმისათვის:

მე შენ არ გეტყვი: გეტრფი! ვითა სხვანი გეტყვიან,
ბევრი გარწმუნებს—გეტრფი; გულით კი სხვაგან რბიან.
მხოლოდ ეს ლექსი: გეტრფი! ნეტა რას ძალსა მქონობს?
ცუდ არს: გეტრფი და გეტრფი, თუ გულიც არ მიმყოლობს.
ასეთი გეტყვის: გეტრფი, რომ ტრფობა არ იცოდეს;

---

* ეს მშვენიერი ეპიგრამა, მიძღვნილი „ცრუმეტყველისადმი", გვაგონებს ილია ჭავჭავაძის მოსწრებულ სიტყვა-პასუხს, რომელიც თავის დროს ჩაწერილი ჰქონია თავის უბის წიგნში იონა მეუნარგიას.

აი, ესეც:

ერთხელ ილიას ჰკითხეს თურმე:

— რატომ არის, რომ აკაკი სულ შენზე ძვირს ლაპარაკობს, შენ კი მას მუდამ აქებო?—ორიენი ვცდებითო,—ჩაულაპარაკნია დინჯად ილიას (იხ. „ნაკვესები", ს. ცაიშვილის რედაქციით, 1938 წ., გვ. 55).

სხვამ ნუთუ ვერ გრქვას: გეტრფი, და გულში კი იწოდეს.
ნუ ელი, მეც გრქვა: გეტრფი! დუმილს ვრაცხ უმჯობესად,
მარამ მერწმუნე, გეტრფი სახოშის უალრესად!*

პოეტს აქვს მოდერნისტული გამოთქმებიც: „როს მშვენიერნი მუხლნი შენნი აბალიშდენ თავსა ჩემსა“, ან ასეთი თამამი შედარებანი: „ვაქებ ბროლის ველს განათლებულსა, მართვესა ორსა მუნ ბუდებულსა უგავნ ნისკარტნი ლალის ბრწყენასა“. ამ ტაეპში ძალალი მხატვრული გემოვნებით და დიდი სიფაქიზით არის აწერილი ლამაზი ქალის გულმკერდი—„ბროლის ველი“ და „მუნ ბუდებული“ ორი მართვე (ბარტყები ლალის ნისკარტით). პოეტის სიყვარული არ არის ქვეყნური და მქისე. მისი სიყვარული ადამიანს ასპეტაკებს და აკეთილშობილებს.

ჩვენ აქ აღარას ვამბობთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ორიგინალურ ცნობილ ლექსებზე და მთელ რიგ შესანიშნავ თარგმანებზე (პუშკინი, ეოლტერი, კორნელი, რასინი). ჩვენ მიერ გამოცემულ პოეტის ერთტომეულის (1940 წ.) მიხედვით ალექსანდრე ჭავჭავაძე გვევლინება, როგორც თავისებური და უნიჭიერესი პოეტი. იგი არც ერთ მოვლენასთან ცარიელი გულით არ მიდის, პოეტმა კარგად იცის, რომ „როცა გული ცარიელია, შიგ ბევრი ჭვარტლი გროვდება“ (მ. გორკი).

ჭავჭავაძე, როგორც ადამიანი, ფრიად ნათელ ფერებში გვეხატება. იგი ყოფილა მეტად სათუთი და მგრძნობიერი გულის მქონე. თავაზიანი, თავდაჭერილი. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთ ომის ქარცეცხლში იყო გამოვლილი, არასოდეს არ უნატრია „მტრის სისხლით ჩექმების გაბანა“ (პ. ციციანოვი), ან ავაზაკების ასო-ასო დაჭრა,—როგორც ეს ზოგიერთმა სარდალმა იცოდა. იგი იყო ნამდვილი მეომარი და შორსმჭვრეტელი მთავარსარდალი. ამიტომ სადაც ხმალი ვერა ჭრიდა, იქ მმართველი წრეები მის „ჭკვიანურს საუბარს“ (დ. ყიფიანის გამოთქმაა) იყენებდნენ ხოლმე აჯანყებულთა მოსათვინიერებლად. მან დაიმორჩილა ჭარბელაქანის სახანოები, მოაშთო და მოაშორა სომხეთის საზღვრებს ოსმალთა ურდოები, იგი ბარკლაი დე-ტოლისთან ერთად ბრძოლით დაედევნა ნ ა პ ო ლ ე ო ნს და რუსეთის ძლევამოსილი ჯარით პარიზში შევიდა. არც ერთი უხამსი საქციელი, არც ერთი საყვედური არ არის აღნიშნული მის ფორმულარულ სიაში. ერთადერთი,

* ამ ლექსის რუსული ეგზემპლარი ლერმონტოვის ოჯახურ ალბომში აღმოჩენილა (იხ. Н. Бродский: „М. Ю. Лермонтов. Биография“, გვ. 12). ჩვენ ვერ ვიტყვით, ვინ ვის დაასწრო... მაგრამ საფიქრებელია, რომ ორივე ლექსის წყარო ფრანგული რომანსი უნდა იყოს.

რაც დანაშაულად ჩაეთვალა პოეტს, ეს ის იყო, რომ მან იცოდა 1832 წლის შეთქმულების ამბები და მთავრობას არ მოახსენა!

კორნეი ჩუკოვსკის კარგად აქვს ნათქვამი ო. უაილდზე: „მას ათასნაირი ტალანტი ჰქონდა, მაგრამ აკლდა ერთი ტალანტი: ტალანტი გულწრფელობისაო“. ა. ჭავჭავაძე კი. უპირველეს ყოვლისა, გულწრფელი იყო თავისი მამულის სიყვარულში. და თუ რამ „ცდომა“ მოეპოვებოდა. ჭავჭავაძე თავის შეცდომებს თვითეე აღიარებდა—„ცდომა ცოდვათ არ მიგვითვალა მხედმან ზენარით“, ამბობს ის ერთ ლექსში. ეს ღენერლის ფარ-ხმალი, ეს ჩინ-ორდენები ისტორიას ჩაბარდა. ხოლო მისი პოეზიის ჯავშანი დღესაც აცვია ქართულ ლიტერატურას...

ტყუილად კი არ უმღეროდა ჩვენი გლეხკაცობა:

ბატონია, თავადია კახისა,
გამკითხავი ღარიბისა, გლახისა,
ალექსანდრე ჭავჭავაძე ქებული,
ხელმწიფისგან სახელ-გადიდებული.

მასალების მიხედვით ირკვევა, რომ იგი ყველგან და ყოველთვის გამოდიოდა, როგორც თავისი ქვეყნის მედგარი დამცველი. ამას ადასტურებს პოეტის „ნარკვევი“, იმპერატორისადმი მოხსენების სახით წარდგენილი. ამას ადასტურებს მისი გულადი გამოსვლა მოხელე გ ა ნ ი ს საწინააღმდეგოდ ვახტანგის კანონების აბუჩად აგდებისათვის („Русская старина“, 1886 წ., სექტ., გვ. 616,—დიმ. ყიფიანის წერილი).

რომ მიგეშვათ, ვინ იცის, შეიძლება ეთქვა კიდეც: „დია მიჯობს განეშორო ხელმწიფისა სამსახურსა“ (ჭილილა და დამანა). მაგრამ ცარიზმის პოლიტიკა რომელ მოღვაწეს აძლევდა თავისუფლებას, რომ ჩვენი პოეტი ყოფილიყო გამონაკლისი? იგი ბოლომდე დარჩა თავისი „ფიცის“ ერთგული და გულმოდგინედ იღვწოდა ბიუროკრატიული რუსეთის სასარგებლოდ... ვინ იცის, იქნებ იმიტომაც, რომ ისტორიულად ქართველებს ჩვეულებად არა ჰქონდათ ომის დროს უკან დახევა და ვაჟკაცურად უნდა ებრძოლათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ა. ჭავჭავაძის პოეზიაც სისხლით არის დაწერილი. „არ გესმის ოხერა, ოხერის მიზეზო!“—ამბობს პოეტი ერთ ლექსში. იგი იყო „დაღუპულ იდეათა რომანტიკოსი“. მისი პოეზიის ძირითადი თემა პატრიოტიზმი და სიყვარულია. ა. ჭავჭავაძე თამამად ეუფლება ლექსის ტექნიკას, აქვს პოეტური ხერხის ყველა ნიუანსი და გაბედულად მიმართავს შედარებებს, მეტაფორებს. მის ლექსებში ბევრი მოულოდნელი რითმები და მაჯამებია.

ყოველი მისი ლექსი საგალობელის შთაბეჭდილებას სტოვებს. ილია ჭავჭავაძეს ასეთი გამოთქმა აქვს პოეტზე: „მან დაიგალობა თავისი ღვთიური ლექსები“. ვ. ბარნოვს ერთხელ ალექსანდრეს ლექსების გამოცემა ბურდა „საგალობელი ნიშნებით“, ივ. მაჩაბელი მის სტრიქონებს „წმინდა სანთელს“ ადარებს („წმინდა სანთლისავით მოქნილი ლექსები“).

ალ. ჭავჭავაძის ლექსები, განსაკუთრებით მისი მოღვაწეობის პირველი პერიოდისა, დაწერილია მუხამბაზის ფორმით.

შინაარსობრივად ალ. ჭავჭავაძის მუხამბაზი არ წარმოადგენს ერთიმეორისგან დამოუკიდებელ ფრაგმენტს, როგორც ეს ხშირად იცოდნენ ძველმა მემუხამბაზეებმა, მისი მუხამბაზი ერთი მთლიანი ჩუქურთმაა.

მუხამბაზი თუ კარგად არ არის დაწერილი, უბედი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს.

„მუხამბაზი“ („მუხაბაზი“) არაბულია, ჩვენში ირანის საშუალებით გადმოსული, და ნიშნავს ხუთსტრიქონიან ლექსს, ხოლო ის მუხამბაზი კი, რომელსაც შინაგანი რითმებიც აქვს, ხალხური წყობისაა და ფოლკლორის ოჯახის საკუთრებას შეადგენს*.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ უკანასკნელი მუხამბაზების ვირტუოზი იყო. იგი ჰქმნიდა თავის საკუთარ წყობას და ახალი ელემენტები შეჰქონდა ამ ტრადიციულ ფორმაში**. აღსანიშნავია პოეტის ერთი თავისებურებაც: ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი მუხამბაზების ბოლო სტრიქონში არსად არ ურთავს (არც რითმავს) საკუთარ გვარსა და სახელს, როგორც ეს ბესიკმა და საიათნოვამ იცოდა. ესეც ერთგვარი ახალი ნაპერწკალი იყო მუხამბაზურ ლექსებში შეტანილი. მუხამბაზში ავტორის მოუხსენებლობა შემდეგში დააკანონეს გრ. ორბელიანმა და აკაკი წერეთელმა (იხ. „გინდ მეძინოს“... „თავო ჩემო“ და სხვ.).

კალმასობის ავტორს ჩვენში მუხამბაზის შემომღებად

---

* აი, არაბულ-ირანული ლექსთწყობის სახელები: „მუსალას“—სამსტრიქონიანი ლექსი, „მურაბაჰ“—ოთხსტრიქონიანი ლექსი. „მუხამას“—ხუთეული, „მუსადას“—ექვსსტრიქონიანი, „მუშარაჰ“—ათ სტრიქონიანი, ხოლო „მუსტაზად“—მეორე სტრიქონი უსრული უნდა ჰქონოდა, ე. ი. მოკლე სტრიქონი, ჩამუხლებული. შემდეგში „მუსტაზადი“ „მუხამბაზი“-ს მსგავსად იწერებოდა.—აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ძველად ირანში „მუსტაზადი“-ს სახელწოდებით ჰქმნიდნენ მხოლოდ სამგლოვიარო შინაარსის ლექსებს.

** ამის ნათელ მაგალითს იძლევა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი—„დიმიტრი ვ.“ რომელიც თაეიდან ბოლომდე „გაზელის“ (ყაზალის) ყაიდაზეა დაწერილი ამ ფორმით დაწერილი ქართული ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძემდე არსად არა გვხვდება!

ცნობილი აშული საიათნოვა მიაჩნია. აი, რას ათქმევინებს „კალ მასობა“ საიათნოვას: „მე ვიცოდი ჩონგური კარგად და მასთან სპარსულ ხმებზე გავაკეთე ქართული ლექსები; ჯერ არ იყო შემოღებული, და როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჯლიში და მიგვიყვანეს მოსაკრავენი, მაშინ მე სპარსული ხმით ქართულად ვიმღერე; ბატონს დიდად იამა და ხალათიც მიბოძა. და მერე სხვათაც მრავალთა თქვეს და მომბაძეს“.

ალბათ ამ „მრავალთაში“ უნდა ვიგულისხმოთ ნაწილობრივად ბესიკი და ჩვენი ალექსანდრე.

მართლაც ამ სამმა მგოსანმა მუხამბაზის ფორმა უმაღლეს ხარისხამდე აიყვანა. კერძოდ ალ. ჭავჭავაძე მალე განთავისუფლდა ირანული ფორმის ზეგავლენისაგან და მან თვით ამ მუხამბაზებშიაც ახალი სიოს შეტანით და შემდეგში ევროპული ფორმების მომარჯვებით (ის ხომ პუშკინის პირველი მთარგმნელი იყო) ჩვენს ლიტერატურაში მაღალი და ბრწყინვალე ადგილი დაიჭირა.

ეს „ადგილი“ ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მისი ლექსები თითქოს დაივიწყეს კიდეც...

მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძე,—რომელიც მიდიოდა თავისი საკუთარი ყვავილების კვალზე, რომელსაც შარაგზის მტვერი ჯერ კიდევ არ დაჰფენოდა,—ახალი შესწავლის და ამღერების საგნად უნდა გადაიქცეს*.

სტენდალი წერდა: „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები იმიტომ უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ მისი ხელახალი გადაკითხვით კვლავ დატკბესო. ჩვენი პოეტის დავიწყებაც თითქოს იმიტომ ხდებოდა, რომ მისი ხელახალი გადაკითხვით დამტკბარიყო ჩვენი საუკუნის მკითხველი.

ერთადერთი დარდი, რომელიც საფლავში თან ჩაიტანა პოეტმა, ეს იყო საქართველოს ბედ-იღბალი, მისი სამშობლოს მდგომაოება...

მაგრამ პოეტს სწამდა, რომ ცარიზმის წნეხის ქვეშ მგმინავ ერს დაუდგებოდა „გულთ მაამი, ნეტარი ჟამი“, სწუხდა კი, რომ იგი ამ დღეს ვერ მოესწრებოდა:

---

* 1940 წელს ჩემი რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით გამოცემულ ალექსანდრე ჭავჭავაძის „თხზულებანის“ ბოლოთქმაში ვწერდი: „...ამ წიგნის გამოსვლით, ალექსანდრე ჭავჭავაძის გარშემო გაცოცხლდება ნიაზი [ინტერესი], მსჯელობა, კამათი, აღმოჩენები და სხვ.“ (გვ. 344), სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ეს ჩემი მოლოდინი გამართლდა. ბევრი ჩვენი ლიტერატურათმცოდნე მართლაც დაინტერესდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებითა და შემოქმედებით, ხოლო ნიჭიერმა ახალგაზრდებმა დისერტაციაც კი დაიცვეს ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების გარშემო.

ო. გ-

1952 წ. 18 ივლისი.

მე ამას ვსტირი, განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ,
თვარალა ჟამი გულთ მაამი კვლავცა იქნების.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები დაუბერებელი და მარადიულია თავისი ტანჯვითა და სიყვარულით. ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართული რომანტიული პოეზიის პირველი ტრუბადურია და ასეთი დარჩება მუდამ, ვინაიდან, ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, მან „სიყვარულიც იცოდა და ტანჯვაც“.

1940 წ. 26 აგვისტო
წ ა ღ ვ ე რ ი

ოდოევსკის „ვარდი და ბულბული“ პავჭავაძისეული თარგმანი

ეს სწორედ ის ლექსია, რომლის შესახებაც ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ერთ ლექსს ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ვარდი და ბულბული ლექსია სამღერაღო რუსულიდამ ნათარგმნი თ-ის პავჭავაძისაგან“.

ამ ლექსს დავარქვით: „ვარდი და ბულბული“.

სხვა გამოცემებში კი* ეწოდება: „საჭარის ხმაზე“ (ე. ი. დილის ხმაზე: საჭარი ანუ საარი დილას, განთიადს ნიშნავს). ზოგიერთ ხელთნაწერში ლექსის პირველი სტრიქონია სათაურად: „ვარდო, რათ ხარ თავდახრილი“ (საქართ. მუზ. № 1196-H; № 2056-H).

ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწერების 1881 წლის გამოცემაში ეს ლექსი პოეტის ორიგინალურ ნაწარმოებად არის მიჩნეული (გვ. 115). მაგრამ ჯერ ნ. ბარათაშვილის ცნობამ და შემდეგ ერთი სანდო ხელთნაწერის მიგნებამ** დაგვარწმუნა, რომ „ვარდი და ბულბული“ მართლაც ნათარგმნია რუსულიდან.

საკითხავია, ვინ უნდა ყოფილიყო ამ რუსული ლექსის ავტორი?

1937 წელს სოლომონ ცაიშვილის რედაქციით და წინათქმით გამოვიდა იონა მეუნარგიას პატარა წიგნი: „ალექსანდრე ჭავჭავაძე“. იონა მეუნარგიას მინაწერიდან (გვ. 65) გამოირკვა, რომ ამ ლექსის დამწერი ყოფილა ცნობილი რუსი პოეტი ალექსანდრე ივანეს-ძე ოდოევსკი (1802—1839).

ა. ი. ოდოევსკი—ავტორი ცნობილი სტრიქონისა: „Из искры возгорится пламя“—დეკაბრისტი იყო. დეკაბრისტების გამოსვლის ლიკვიდაციის შემდეგ, პოეტი, სხვა თანამოსაგრეებთან ერთად, გადაასახლეს ციმბირში... მაგრამ მისი ნება ვერ გაბზარეს. პატიმრობაში მყოფი პატრიოტი პოეტი მაინც „წმინდა რუსეთის“ თა-

* იხ. „სალხინო სახანდარი“, 1870 წ., გვ. 33; ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების 1881 წლის გამოცემა, გვ. 115.

** იხ. საქ. მუზ. ხელთნაწერი: № 1196-H. გვ. 322.—ამ კრებულში, ა. ჭავჭავაძის ლექსები პოეტის სიძის—დავით დადიანის ხელით არის ჩაწერილი.

ვისუფლებაზე ფიქრობდა. როცა სასჯელის ვადა შეუსრულდა, 1837 წელს, გადმოყვანილ იქნა საქართველოში; იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა თვით დააწერა არზას: „ჩაირიცხოს ჯარისკაცად კავკასიის კორპუსში. 1837, 20 ივნისი“. ამავე წლის სექტემბერში ოდოევსკი ჩამოდის თბილისში და, როგორც ნაციმბირალი (ვიდრე მაშაცობისთვის ოფიცრის ჩინს მიიღებდა), ირიცხებოდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში, რომელიც იდგა ყარაღაჯში*.

ოდოევსკი ძალიან მოკრძალებული ადამიანი იყო. იგი, მართალია, ლექსებს წერდა, მაგრამ თავის თავს პოეტს არ უწოდებდა. მისი ლექსები მხოლოდ მისმა მეგობრებმა იცოდნენ. თბილისში ყოფნის დროს ოდოევსკიმ დაწერა რამდენიმე ლექსი: „Брак Грузии с русским царством“, („საქართველოს დაქორწინება რუსეთის სამეფოსთან“), „Роза и соловей“ („ვარდი და ბულბული“) და სხვ. თბილისში იგი დაუახლოვდა ლიტერატორთა წრეს, კნეინების სალონებს. ოდოევსკიმ თვით მიხ. ლერმონტოვიც პირველად თბილისში გაიცნო და დაიმეგობრა. ოდოევსკი, როგორც გრიბოედოვის ნათესავი, კარგად მიიღეს გულუხვ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახშიც... ამ ლექსის თარგმნა და გაფენობა სწორედ ამ დროიდან იწყება.

აკი ამბობს იონა მეუნარგია: „ეს [ვარდი და ბულბული] მაზურკათ გადაკეთებული იყო და მაზურკის ხმით მღეროდნენო“**.

რასაკვირველია, ამ მომღერალთა შორის გამოირჩეოდა თბილისის ეშხი და ლაზათი, „ხახვის ფრანტების“ მუდმივი სანეტარო და საოცნებო, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ეკატერინე, რომელსაც 1839 წელს ნ. ბარათაშვილმა ასეთი ლექსი უძღვნა:

ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები;
თვალთ არონინებ,
გულს დააწყლულებ
და ღიმილითა ესალბუნები!
სადც ხარ, იმ არეს
მოჰფენ სიამეს,—

---

* 1839 წელს კი ოდოევსკი ირიცხებოდა გენერალ ნ. რაევსკის რაზმში შავი ზღვის სანაპიროზე. პოეტი ამბობდა თურმე: ან ჩერქეზის ტყვია მომკლავს, ან აქაური ციება მომიღებს ბოლოსო. მართლაც 1839 წელს 15 აგვისტოს ციებისაგან შეპყრობილი პოეტი გარდაიცვალა სოჭას მახლობლად. მისი საფლავი უკვალოდ დაიკარგა.

** ეტყობა, ეს ხმა გავრცელებული ყოფილა საქართველოში. აკაკისაც აქვს ლექსი ამ სათაურით: „მ ა ზ უ რ კ ი ს ხ მ ა ზ ე“ („გრძნობით აღვსილი დარია“).

უშენოდ მოჰსცდეს მხიარულება!
შენის ენითა,
სავსე ლხენითა,
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!

მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილის ხმით
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე*;
პირმცინარითა
სინარნარითა
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე".

ეკატერინე ჭავჭავაძე თავისი მამის მიერ ნათარგმნ ლექსს („ვარდი და ბულბული") კარგად მღეროდა, მაგრამ ბევრმა როდი იცოდა, რომ ეს ლექსი ოდოევსკის კალამს ეკუთვნოდა. ამიტომ ეს ჩემი შენიშვნები არ იქნება სანიაზო, თუ არ შევეხეთ ამ ლექსის პატარა ისტორიას და თარგმნის თარგმანებს... მაგრამ ჯერ თვით ოდოევსკის ლექსი მოვისმინოთ:

РОЗА И СОЛОВЕЙ

Что ты склонилась так печально,
Что не глядишь ты на меня?
Давно пою и славлю розу,
А ты не слушаешь меня!"

— Зачем мне слушать? слишком громко
Поешь ты про свою любовь.
Мне грустно; ты меня не любишь,
Поешь не для меня одной!

Но ты, как дева франкистана,
Не расточай души своей;
Мне одному отдай всю душу—
Тогда я тихо запою!

А. И. Одоевский**.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ასე სთარგმნის ამ ლექსს:

— ვარდო, რად ხარ თავდახრილი?
რად მარიდებ პირსა შენსა,

---

* ბულბული და ვარდი ლექსია სამღერალო, ნათარგმნი რუსულიდამ თავადის ჭავჭავაძისაგან (შენიშვნა ნ. ბარათაშვილისა).

** ეს ლექსი, დაწერილი 1838 წ. დაბეჭდილია მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ (იხ. „Отечеств. записки", 1841 წ., № 9, გვ. 189).

არ მომხედავ შენსა მღერალს,
მარად შენთვის აღნაგზნესა?

— რად მოგხედო მაღლად მომთქმელს,
მე გლახ თავსა ჩემსა ვბრალობ;
ვიცი, არც ნამდვილად მეტრფი,
არც საკუთრად ჩემთვის გალობ!

— მაშ მაგ შენს საამო სუნსა,
რად აყნოსებ ყოველ სულსა?
დაუსაკუთრე ბულბულსა
მაშინ ნახავ ჩემს უსულსა (ე. ი. სიმშვენიერეს. ო. გ.),

როგორ დაბლის ხმით დაგყეფდე,
შენს მეტს არავის ვისმენდე,
ხარკიც მხოლოდ შენ გაძლიო,
სულიც შენს ბუჩქზედ დავლიო.

ოდოევსკის ნაწარმოები ტექნიკურად არ არის გამართული. ა. ჭავჭავაძეს ალბათ მოეწონა ლექსის შინაარსი, მისი კოლორიტი. ალექსანდრეს თარგმანი გაცილებით მაღლა დგას ორიგინალზე. ოდოევსკის თავის ლექსში ნახმარი აქვს სიტყვა „франкистан", რაც ძველად ნიშნავდა ევროპას—საფრანგეთს. ოდოევსკი თავის ლექსში მიმართავს ვარდს (ალეგორიულად ქალს) და ურჩევს, ფრანგისტანის ასულივით ყველას გულს ნუ გაუშლის და მხოლოდ ბულბულს (ალეგორიულად ვაჟს) გაენდოს. ა. ჭავჭავაძეს ამოუღია ეს შედარება ფრანგისტანის ასულთან, სამაგიეროდ აზრი უფრო ნათელი და მძაფრი გამოსულა ამ სიყვარულის (ე. ი. ვარდის და ბულბულის) განსაკუთრებული გრძნობის დასახასიათებლად.

ზოგიერთ ლექსს რომ კურიოზი თან ახლავს, ეს დასტურდება შემდეგი მაგალითიდან.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების ზოგიერთმა მთარგმნელმა არ იცოდა, რომ „ვარდი და ბულბული" ოდოევსკიდან იყო ნათარგმნი. ისინი ამ ლექსს ხელმეორედ თარგმნიდნენ რუსულად.

აი ნიმუშიც:

Из Ал. Чавчавадзе

Соловей

Почему поникла, роза, ты головкою своей,
Почему ты отвернула венчик от меня душистый?
В честь твою я песнь слагаю, для тебя я оглашаю
Затихающия рощи трелью звонкой, серебристой...

Роза

Я взглянуть на верх не смею, я не знаю—для меня ли
Эти песни, что из рощи смолкнувшей так звучали...

Соловей

Но свое благоухание щедро всем ты расточаешь!
Сделай так, чтоб я один им опьянялся, дорогая,
И тогда одна ты будешь слышать звуки тихих песень,
Песень мук любви и неги... и тобой одной тогда я
Буду жить, тебе слагая эти песни, эти звуки
До последних вздохов жизни, до последней сердца муки.

пер с грузинск. Лев. Кипиани.

(„Кавказск. вестник", 1902 г., № 3) *.

ეხლა მოვისმინოთ ამავე ლექსის მეორე თარგმანი, რომელიც Б. რეულლოს (ნიკ. მზარეულოვს) ეკუთვნის:

Роза! голову склонила
Ты зачем передо мной,
Отвернулась, позабыла
Вдохновленного красой?"

— Для чего ж смотреть высоко,
Где ты, соловей, поешь,—
Ты не любишь и далеко
Песни многим раздаешь...

„А зачем благоуханье
Всем живущим ты даришь?
Будь моим ты достояньем
И красу мою почтишь.

Тихо, только над тобою
Мог бы я тогда запеть,
Дышах пред твоей красою
Под кустом же умереть.

(Н. Реулло, „Из грузинск. поэтов", ст. 182).

---

* მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ როცა ალექსანდრე ხახანაშვილი თავის რუსულ წიგნში ა. ჰაქქავაძესაც ეხება, ჩვენი პოეტის ორიგინალობის დასახასიათებლად, ლევან ყიფიანის მიერ ამ თარგმნილ ლექსსაც არჩევს (იხ. „Очерки"... ტომი 4, გვ. 41).

აღმოსავლეთიდან გადმოტანილი თემა, ოდოევსკის მიერ გარუსებული, ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ გაქართველებული—ისევ უკან უბრუნდება რუს მკითხველს. დაე, თვითონ საზოგადოებამ განსაჯოს—რომელი სჯობია: ორიგინალი, თარგმანი თუ თარგმნის თარგმანი?

დასასრულ ერთ საკითხსაც უნდა შევეხოთ:

სამწუხაროდ, ძნელია აღდგენა იმ ჰანგისა, რა ჰანგზედაც მღეროდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ მშვენიერ თარგმანს. ცნობილი მომღერალი სათარა „ვარდსა და ბულბულს“ განსაკუთრებული ეშხით მღეროდა თურმე. გაზეთი „კავკაზი“ აღტაცებულია მომღერლის მიერ ამ ლექსის შესრულებით (იხ. „Кавказ“, 1853 წელი, № 23).

ეს ლექსი თავისი ჰანგით ისე ყოფილა გავრცელებული, რომ ჩვენს მუზეუმებში დაცულ ხელთნაწერთა შორის, ასეთი სათაურიანი ლექსებიც გვხვდება: „იმღერება ვარდო რად ხარ თავდახრილის ხმაზე“; „ვარდო რად ხარ თავდახრილის ცალად“ (მსგავსად?—ი. გ.). „ვარდო რად ხარ თავდახრილი, რად მარიდებ პირსა შენსა—ამაზედ პასუხი დაუწერა ივანე ერისთავმა ჭავჭავაძეს“ და სხვ.

ასეთია ალექსანდრე ჭავჭავაძის და პოეტ ოდოევსკის ლიტერატურული თანამეგობრობა „ვარდ-ბულბულიანის“ პოპულარიზაციის საქმეში.

1940 წ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ვიქტორ ჰიუგოს ერთი ლექსის გარშემო

ამ რამდენიმე წლის წინათ ნინო ბარათაშვილის ოჯახში ვნახეთ ეკ. დადიანისეული ალბომი, რომელიც ზუგდიდიდან ყოფილა ჩამოტანილი მისი ნათესავების მიერ.

ამ ალბომში, სხვათა შორის, ჩაწერილი იყო ვ. ჰიუგოს ლექსი „ერთ ქალს“ (A une femme) სამ ენაზე—ფრანგულად, რუსულად, და ქართულად. ქართული ლექსის თარგმანი ალექსანდრე ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის. პოეტს ეს ლექსი უთარგმნია ს. გორდს 1843 წ.*

რუსულ ლექსს ქვეშ აწერია: Деларю. აშკარაა, ეს დელარიუ მთარგმნელია ამ ლექსისა. მიხეილ დანიელის-ძე დელარიუ (1811—1868) პუშკინის დროინდელი რუსი პოეტია. ეს ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „Библиотека для чтения“-ში 1834, № 12).

სხვათა შორის ამ ლექსის გამო მთარგმნელს უსიამოვნება შეემთხვა: მთარგმნელი დელარიუ, რომელიც სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში მსახურობდა, მოხსნეს სამსახურიდან და ცენზორი ნიკიტენკო, მიტროპოლიტის დასმენით, 8 დღით გადააყენეს თავისი თანამდებობიდან**. მიზეზი? როგორ შეიძლებაო, გაიძახოდნენ, ერთ ვილაც მიწიერ არსებას, ერთი კოცნის გულისთვის, ფეხქვეშ დაუფინო სამეფო გვირგვინი და ღმერთი მიწაზე ჩამოიყვანოო.

ანალოგიურად ჩვენთანაც ასე მოხდა, მაგრამ ამაზე ქვევით.

ეს ლექსი—„მეფე რომ ვიყო“, ალექსანდრე ჭავჭავაძის წყალობით, სწრაფად გავრცელდა საქართველოში.

ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდა იგი თარგმნა ბევრმა სახელოვანმა და უსახელო ქართველმა პოეტმა.

---

* ეს ლექსი იონა მეუნარგიას პუბლიკაციით დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ 1883 წ., № 1. შდრ ჩვენს გამოცემას გვ. 150.

** პ. გუგუშვილი,—„ჟურნალისტიკა“, 1941 წ., გვ. 39.

აი, ეს პატარა ექსკურსიაც.

ალ. ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი ლექსი ასე იწყება:

მეფე რომ ვიყო ესრეთი,
ხელთ მეპყრას მთელი ხმელეთი,
ფერხთ ქვეშ გიგებდი ყოვლს კეთილს,
რაც უვის ხელმწიფებასა... და სხვ.

(იხ. ალ. ჭავჭავაძის „თხზულებანი", 1940 წ., გვ. 150).

გიორგი ერისთავის თარგმანიდან (იხ. მისი „თხზულებანი", 1936 წ., გვ. 74). მოგვყავს პირველი ორი სტრიქონი:

ტურფავ! თუ ვიყო მეფე, მოგცემდი სამეფოსა,
ჩემსა საჯდომსა ეტლსა, სკიპტრას და ჩოქვით ერსა. და სხვ.

გრიგოლ აბაშიძე (იხ. მისი „თხზულებანი", 1901 წ., გვ. 47):

მეფე რომ ვიყო—მოგიძღვნიდი დიდებას ქვეყნის,
გვირგვინს მეფისას და ძვირფასთა ჩემთ სამკაულთა და სხვ.

სიმონ ქვარიანი (იხ. წიგნი „სუმბული", 1901 წ., გვ. 81):

რომ ვიყო მეფე ძლევამოსილი
ჩემსა სამეფოს შენ მოგართმევდი. და სხვ.

ვახტანგ ორბელიანი (იხ. მისი „ლექსები", 1884 წ., გვ. 33):

რად არ ვარ მეფე, რომ მივსცე მას დიდება ტკბილი,
ჩემი სამეფო, ჩემი ერი მუხლმოდრეკილი... და სხვ.

მამია გურიელი (იხ. მისი „თხზულებანი", 1897 წ., გვ. 75):

მეფე რომ ვიყო, ვუფლებდე სრულიად ცისა ქვეშეთსა,
უსაზღვრო ნებით ვსუფევდე, გიბატონებდი შენ ერთსა. და სხვ.

ვიქტორ ჰიუგოს ამ ლექსს მამია გურიელის წიგნში არ აწერია, რომ „ნათარგმნია", ალბად ეს იყო მიზეზი, რომ პოეტმა ტ. ბეკხანოვამ 1905 წელს რუსულად გადათარგმნა ეს ნაწარმოები და ავტორად მამია გურიელი გამოაცხადა:

На мотив из Мамии Гуриели

„О, если-б был я царь, и мир под небом мой,
И был я одарен безмерной царской властью,
Повелевать, владеть со всей безумной страстью
Я-бы хотел—одной тобой!" და სხვ.

(იხ. „Кавк. край", 1905 წ., № 8)*.

* კურიოზი მამია გურიელის გარშემო, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება: იგივე ლექსი მამია გურიელისა (ვიქტორ ჰიუგოდან, პოეტ ი. ვერბოვსკის მიერ ხელახლად ითარგმნა ქართულიდან რუსულად როგორც მამია გურიელის თხზულება (იხ. ქართული პოეზიის ანტოლოგია რუსულად „Поэзия Грузии" 1949 წ., გვ. 300, მოსკოვი).

ი. ბ. 1952 წ.

ნიკო ლორთქიფანიძეს ვ. ჰიუგოს ეს ლექსი თავისი მოთხრობის გმირის დასახასიათებლად ნათარგმნი აქვს პროზად (იხ. წიგნი „უიალქნოდ“, 1934 წ., გვ. 43).

აბელ კალატოზიშვილი წერს:

რად მინდა მძიმე ურვილი
ანუ პორფირი მეფისა,
მე მჭონდეს შენი სურვილი,
ღირსება შემობედვისა;

არ მინდა სკიპეტრი სრული,
არც ბაბინანი თემისა,
ოღონდ შენგნითა ბედკრული,
ღირს ვიყო შემობედვისა.

(ვარლ. თოფურიას ხელთნაწერ რვეულიდან)

ვლადიმერ მიქელაძის ლექსი თითქოს წინა ლექსების გამოძახილს წარმოადგენს:

არ მინდა მე ღმერთი ვიყო,
ზეცის სივრცეს ვფლობელობდე.

(„ივერია“, 1881 წ., № 6).

ვლადიმერ მიქელაძის ლექსს ხალხი ასე მღეროდა:

მე არ მინდა ღმერთი ვიყო,
მთელ ქვეყანას ვმფლობელობდე...

რუს-იმერელი (ვიქ. იურკევიჩი) ასე იწყებს თავის ერთ ლექსს:

მე რომ ვიყო ზეციერი,
ღმერთი ყოვლის შემძლებელი და სხვ.

(„სახალხო ფურც“. დამ, 1916 წ., № 86).

გ. შერვაშიძემ ვიქტორ ჰიუგოს მიბაძვით დაწერა მოზრდილი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

ღმერთი რომ ვიყო, ყოველს ღონესა
დასაბამისას შენთვის მოვფენდი და სხვ.

გიორგი შერვაშიძის ლექსი, რომელიც ზეპირად დადიოდა ხალხში, ორიგინალური ნაწარმოები ეგონათ და ამ ლექსის გამო, მამაკაცებზე გულმოსულმა პოეტმა ქალმა ქრისტინე დგებუაძემ (1856—1920) ასე უპასუხა გ. შერვაშიძეს:

ღმერთი რომ ვიყო, ეხლა მე მკითხეთ
კაცებს რა სასჯელს მოუვლინებდი,

მთვარეს-ვარსკვლავებს სულ გავაჭრობდი,
მზის სხივებს მათთვის დავაბნელებდი.
ყოველ საამო ცხოვრების წამებს
დამტანჯველ ფიქრად გადაუქცევდი,
მოვაბეზრებდი ქვეყნად სიცოცხლეს
და ჯოჯოხეთსა მოვანატრებდი...

. . . . . .

მაგრამ ვაიმე, ქალი ვარ, ქალი,
და ჩემს სურვილებს რა ეშველება,
ჩემი ბატონის შავი აჩრდილი
თვით ფიქრის ჟამსაც თავზე მეცლება.
და რალა ვუყო ამ ჩემს სურვილებს?
რით ვანუგეშო ბედი ქალისა?
მაგრამ შემხუთავ ქალის ბორკილებს
გასწყვეტს გრიგალი მომავალისა.*

ამ ლიტერატურულ პაექრობაში ჩაერია გიორგი აგიაშვილიც, რომელმაც თავის მხრივ ორიეს (გ. შერვაშიძის და ქრ. დგებუაძეს) ასეთი ლექსი დაუწერა:

უფლება მომცა ამას ვიზამდი
ორთავ დაგსჯიდით მაგა თქმისათვის,
რომ თქვენ ორნივეს დაგიწუნიათ
განკარგულება განგებისათვის.
ერთს გისურვიათ ყოვლად დიდება
ვინმე უძლური არსებისათვის
და მეორეს კი ცეცხლით, მახვილით
მეხთა დაცემა კაცებისათვის.

(ჩავიწერე კატო მიქელაძისაგან).

აი ასე გახდა ვიქტორ ჰიუგოს ერთი პატარა ლირიკული ლექსი საქართველოში თარგმნის, მიბაძვის და პაექრობის საგნად.

1940 წ.

---

* ქრისტინე დგებუაძის ლექსის სრული ტექსტი (აგრეთვე გ. შერვაშიძის ლექსიც) გადმოგვცა მწერალმა ქალმა ფუცუ დგებუაძემ, რისთვისაც მადლობას ვუძღვნი. გ. შერვაშიძის ლექსი დაიბეჭდა „დროებაში" (1870 წ., № 58), შევიდა აგრეთვე სიმონ ჯანაშიას ნაშრომში (იხ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", 1939 წ., ნაკვეთი III, გვ. 76). გ. აგიაშვილის და ქრისტინე დგებუაძის ლექსები ჯერ არ არის გამოქვეყნებული და ჩვენთან ინახება.

ნიკოლოზ გარათაშვილის „ცისა ფერს“ და ალექსანდრე ჭავჭავაძის „ფერსა გნელს“

მე-19 საუკუნის პირველ წლებში მეტად გავრცელებული იყო ერთი რუსული სიმღერა: „Черный цвет, мрачный цвет“... ყველა პესიმისტი პოეტი თავისი სულის განწყობილებას სამგლოვიარო ფერით ჰბურავდა. პუშკინის დროინდელ რუს პოეტ ვ. ბენედიქტოვს და ბევრ სხვასაც აქვს ასეთი სათაურიანი ლექსები: „Черный цвет“. ეს გახმაურება მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც თინათინობს. მაგალითად: ვინც მშვენიერ ელენეს ასრულებდა ამავე სახელწოდების ოპერეტაში, თითქოს ავალდებულებდა თავის თავს, რომ ამ ბერძნულ ამბავში წმინდა რუსული სული ჩაედგა და ემღერა „მოსკოვურ ყაიდაზე“ („Замоскворецкий лад“) ეს ჩვენი ნაცნობი რომანსი: „Черный цвет, мрачный цвет“...

ეს მოდა თბილისის სალონებშიც გადმოვიდა! პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის ქალს, ნინო გრიბოედოვისას, გადაუთარგმნა ეს ცნობილი ლექსი სასიმღეროდ, რომელიც ქართულად ასე გვედავრიშება:

ფერსა ბნელს, ფერსა შავს
მე ვეტრფი მარად ყამს.
აროდეს ფერსა სხვას
არ ვეტრფო, ვფიცავ ცას.

არას ძალს, არას გვამს
არ აქვს ეს უფლება,
აშორვოს ფერსა შავს
ჩემი ტრფიალება.

ნუ მკითხავთ, ფერსა შავს
რათ ვეტრფიალები?
ჰგიშრობგნ,—და რა ვჰყო,
საყვარლის თვალები!

გინდ მე მან სასურმან
მივიწყოს ამავ წამს,
მით ვტრფოდე უდრეკად,
ფერსა ბნელს, ფერსა შავს.

ფერებში ვილოც შავს,
ცხოველში მას საგანს,—
მას შევრთამ ჩემსა სულს
მარად მისს შეწირულს.

სოფლითაც განსვლის ჟამს
ვისუდრებ ფერსა შავს,
და ვიდრემდის ვცოცხლობ,
თვალს არ მოვაშორებ.

(იხ. ჩემი „ალ. ჭავჭავაძე", გვ. 152).

ნინო ჭავჭავაძის სულიერ განწყობილებას ეგუებოდა შავი ფერი. იგი, როგორც ცნობილია, თავისი ქმრის—გრიბოედოვის გარდაცვალების შემდეგ ქვრივად დარჩა და თალხს ატარებდა საყვარელი მეუღლის ერთგულების ნიშნად: „ის (ე. ი. შავი ფერი) მექნება მარად მის (ე. ი. გრიბოედოვის) საგნის სახსოვრად".

მოისმინეთ—

სოფლითაც განსვლის ჟამს,
ვისუდრებ ფერსა შავს,
და ვიდრემდის ვცოცხლობ,
თვალს არ მოვაშორებ.
ის მექნება მარად
მის საგნის სახსოვრად.

ეს ბოლო ორი სტრიქონი მთარგმნელმა ა. ჭავჭავაძემ თვითონ მიუმატა დედანს: რუსულში ეს ორი სტრიქონი არ არის და არც ჩვენ შეგვიტანია ა. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში...

როგორ გამოეხმაურა ნ. ბარათაშვილი ამ ლექსს? აშკარაა, ნიკომ იცოდა ამ ლექსის ორიგინალიც და მისი ქართული თარგმანიც. მაგრამ ახალგაზრდა პოეტი გამოეხმაურა არა დედანს, არამედ ჭავჭავაძის თარგმანს. ბარათაშვილმა „შავი ფერი" შესცვალა „ცისფერით", რომელიც ასე დამახასიათებელია თითქმის ყველა რომანტიკოსი პოეტისათვის. თუ ა. ჭავჭავაძემ „შავი ფერი" კაეშნიან ნინოს მიუძღვნა, ნ. ბარათაშვილმა თავისი ლექსი „ცისა ფერს" ლურჯთვალება ეკატერინეს ალბომში მოათავსა, სანაცვლოდ გრ. ორბელიანის იმ დაკარგული ლექსისა, რომელსაც ეკატერინე ასე ლამაზად მღეროდა ბარათაშვილის გამოსაჯავრებლად:

ბროლის ფიცარი...
აფიცარო
გულს დამეკონოს *.

პარალელისათვის გავიხსენოთ ნ. ბარათაშვილის ეს შესანიშნავი ლექსი:

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდან ვეტრფოდი.

და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებული,
ვფიცავ—არ ვეტრფო **
აროდეს ფერსა სხვას.

თვალებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს:
მოსრული იგი ცით
გამოკრთის სიამით.

ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქვდს,
რომ ეშხით დამდნ.რი
შევერთო ლურჯსა ფერს.

მოვკვდები—ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს,
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს.

სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცვას—
იგიცა შესწიროს
ციაგმა ლურჯსა ცას.

ალ. ჭავჭავაძის ლექსის—„ფერსა ბნელს, ფერსა შავს“—რუსული დედანი დღემდე არ იყო აღმოჩენილი. თვით ბარათაშვილის

---

* „ცისა ფერს“ ნ. ბარათაშვილის არც ერთ ხელთნაწერ კრებულში არ არის მოთავსებული. ეგი აღმოჩნდა მხოლოდ ეკ. ჭ.ჭავჭავაძის ალბომში, საიდანაც იონა მეუნარგიამ გადმოსწერა და დაბეჭდა კიდეც ილიას „ივერიაში“ (1882 წ., № 4—5, გვ. 53). თვით ეკ. ჭავჭავაძის ალბომი კი, რომელიც ნ. ბარათაშვილის ახლო ნათესავის ნინო ბარათაშვილის საკუთრებას წარმოადგენდა, ჩვენის წინადადებით, პატივცემულმა ნინომ დაუთმო საჯარო ბიბლიოთეკას და ამჟამად დაცულია ამ ბიბლიოთეკის იშვიათ ხელთნაწერთა განყოფილებაში (რარიტეტსაცავში).

** ამ სტრიქონს ერთი მარცვალი აკლია: უნდა იყოს ან „ვიფიცავ“, ან „ვფიცავ რომ“ ან „არა ვეტრფო“.

აკადემიურ გამოცემის შენიშვნებში, რომელიც 1922 წ. სხვათა შორის, ჩვენი უახლოესი თანამშრომლობით გამოვიდა, ვერ მოთავსდა რუსული ტექსტი მისი უპოვნელობის გამო. 1940 წელს ჩემს ალ. ჰაევჰაევაძის თხზულებათა შენიშვნებში ვწერდით: „სამწუხაროდ ამ ლექსის სრული რუსული ტექსტი ვერ აღმოვაჩინეთ. იმედი კი მაქვს ვიპოვნი და მეორე გამოცემისათვის წარვუდგენ მკითხველს“ (გვ. 330). ეს იმედი გამიმართლდა: შარშან ლენინგრადში ყოფნის დროს სიმღერების ერთი ხელთნაწერი კრებული ვნახე, სადაც სიმღერა „ჩორნი ცვეტ“ მთლიანად იყო მოთავსებული. იგი სიხარულით გადმოვიწერე, თუმცა სამწუხაროდ ზედ არ ეწერა ავტორის ვინაობა. აი ეს რუსული სიმღერაც:

Черный цвет

Черный цвет, мрачный цвет,
Ты мне мил навсегда,
Я клянусь в другой цвет
Не влюблюсь никогда.

Не принудят меня,
Не заставят меня
Разлюбить черный цвет,
Силы нет, власти нет.

От чего, спросит свет,
Я влюблен в цвет теней?
Я скажу—черный цвет
Цвет подруги моей.

И пусть вдруг милый друг
Позабудет меня,
Черный цвет, мрачный цвет
Все любить буду я.

У меня мысль одна,
Черный цвет и она,
В ней навек я солью
Мрачну душу свою.

Расставаясь с землей
Облечусь в черный цвет,
А пока в очках свет,
Я влюблен в черный цвет.*

* ბოლო დროს ამ ლექსის დაბეჭდილ ვარიანტსაც წავაწყდი (იხ. Полный русскии Песенник, содержащий в себе 500 русских, малороссийских цыганских, военных песен, романсов, шансонет и куплетов“. 1878 წ. გვ. 108, Москва).

როგორც მკითხველი ადვილად დაინახავს, ალ. ჭავჭავაძის ქართული ლექსი ამ რუსული ლექსის თითქმის პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს, ხოლო ბარათაშვილის „ცისა ფერს“ ალ. ჭავჭავაძის „შავი ფერის“ გამოძახილს.

ლექსები გარეგნულად ერთმანეთსა ჰგავს, თვითეული მათგანი ოთხსტრიქონიან ექვს სტროფს შეიცავს, სამივე ლექსი შინაგანი წყობით, მარცვალთა რაოდენობით და რიტმით წმინდა რუსული ფორმის სასიმღერო ლექსია (გაიხსენეთ ა. პუშკინის ზემფირა: „Старый муж, грозный муж“ და შეუფარდეთ: „Черный цвет, мрачный цвет“). ქართულ პოეზიაში ამ ზომისა და რიტმის ლექსი ალ. ჭავჭავაძემდე არსად არა გეხვდება, რაც ჩვენ წინათაც აღვნიშნეთ (იხ. „საიათნოვა“, 1918 წ., გვ. 24), ასე რომ ლექსის ამგვარ წყობასა და ფორმას „ალექსანდრე ჭავჭავაძური“ უნდა დაერქვას და არა „ბარათაშვილური“, როგორც ერთხელ ამის შესახებ წერდა განსვენებული სერგო გორგაძე (ჟ. „პრომეთე“, 1918 წ., № 2.—შდრ. „ნიკო ბარათაშვილის ლექსები“, 1922 წ., გვ. 221—222)*.

ნ. ბარათაშვილის ყველა ლექსიდან თავისი განსხვავებული ფორმით ორი რომანსი გამოირჩევა: „როს ბედნიერ ვარ“ და „ცისა ფერს“. გ. თუმანიშვილი და რაფ. ერისთავი აღნიშნავდნენ, რომ ბარათაშვილის დროს ეს ლექსები იყო სამღერალი ფორტეპიანოზე და რუსულად ასე იწყებაო:

Как счастлив я, коль с тобой бываю!

ბოლოს:

Ты не поверишь, ты не поверишь,
ты не поверишь, как ты мила

და

Черный цвет, мрачный цвет,
ты мне мил навсегда...

„ცვლილება იქნება იმაში იყოს მხოლოდ,—განაგრძობს ა. ჭავჭავაძის 1881 წლის გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი,—რომ შავი თვალები ცისფერ თვალებად გადაუქეთებია პოეტს. ეს ლექსები სრულიადაც რომ მოაკლდეს ბარათაშვილის ლექსთა კრებას, არას დაჰკარგავს პოეტის სახელი“**.

---

* ალექსანდრე ჭავჭავაძის „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“ ნოტებზე გადაიღო ცნობილმა ვიოლონჩელისტმა ივანე თევდორეს-ძე სარაჯიშვილმა და „იმერულ ხმაზე“ ასრულებდა რატილის გუნდი („ივერია“, 1890 წ., № 45).

** იხ. ალ. ჭავჭავაძის 1881 წლის გამოცემა; შდრ რაფ. ერისთავის წერილს—„დროება“, 1882 წ., № 121, 13 ივნისი.

ნ. ბარათაშვილის ლექსების ამ ძველი რედაქტორების მოსაზრებას, ცხადია, არ შეიძლება დაეთანხმოს ნ. ბარათაშვილის პოეზიის თანამედროვე მკვლევარი. ყოველ დიდ პოეტს მოეპოვება „მიბაძვა“ ანუ „თარგმანი“, მაგრამ რამდენადაც პოეტი მკვეთრ შემოქმედებითს ინდივიდუალობას წარმოადგენს, იმდენად თარგმნილი ლექსი მისი პოეტური ბუნების დამახასიათებელ შინაარსს და ღერადობას ღებულობს. ამიტომ ბუნებრივია თუ ხშირად ასეთი ძლიერი პოეტის მიერ თარგმნილი ლექსი თითქმის მის ორიგინალურ ქმნილებად ითვლება. გავიხსენოთ თუნდაც ლერმონტოვის „Горные вершины“, მით უფრო ეს შეიძლება ითქვას ლექსზე „ცისა ფერს“, რომელიც კი არ იმეორებს თავის პირველ წყაროს— „Черный цвет“-ს. არამედ არსებითად უპირისპირდება და შინაარსით ეწინააღმდეგება მას. „ცისა ფერს“ გამოხატავს რომანტიკოსი შემოქმედისათვის დამახასიათებელ ლტოლვას დაუსაბამო ლაჟვარდოვანი სივრცის შერთვისაკენ. „ცისა ფერს“-ში იმდენ უნაზეს გრძნობათა სიჭარბეა, იმდენი გულწრფელობაა, რომ ის თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენი პოეტის დამოუკიდებელ შემოქმედებას და ჩავთვალოთ იგი ბარათაშვილის მთელი პოეზიის ორგანულ კუთვნილებად.

უჩვეულო ფორმით დაწერილი ეს ლექსი ავსებს და ახალ შტრიხს ჰმატებს ბარათაშვილს, როგორც პოეტს, რომანტიკოსს. ამ პატარა ლექსით პოეტი რჩება ერთგული იმ სულისკვეთებისა, რაც მან ასეთი ექსპრესიით გამოხატა თავის ლექსებში და განსაკუთრებით თავის ორ შედევრში „მერანსა“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“.

1945 წ.

გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღი

გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღი დღევანდლამდე არ იყო დაზუსტებული. იყო ერთგვარი შაბლონური კლიშე, ან არადა აღრევა: კიტა აბაშიძე გრიგოლ ორბელიანის დაბადებას 1801 წელს აკუთვნებს (იხ. „ეტიუდები", ტ. I, გვ. 33); ალ. ხახანაშვილს ჩვენი პოეტის დაბადების თარიღი ხან 1800 წელი ჰგონია (იხ. „ქართ. სიტყვ. ისტორია", II, გვ. 24), ხან 1804 წელი (იხ. „Очерки"... IV, გვ. 24), ზოგჯერ კი ორივე თარიღს ერთად იხსენიებს: „წელიწადი, რომელსაც აკუთვნებენ გრიგოლ ორბელიანის დაბადებას,—წერს ა. ხახანაშვილი,—აქამდის არარის გამორკვეული, სამხედრო სამსახურის მოწმობით იგი დაიბადა 1800 წ., ხოლო თანამედროვეთა მოსაზრებით 1804 წელს" (იხ. „ნაკადული", 1910 წ., № 10, გვ. 40); ამასვე იმეორებს ია ეკალაძე: „გრ. ორბელიანის დაბადების წელი ნამდვილად არ არის გამორკვეული, მაგრამ მკვლევარების აზრით იგი დაბადებულა ან 1800, ან 1804 წლებში" (იხ. „ანთოლოგია", III, გვ. 252), მ. ზანდუკელს, ქ. კაპანელს და ზ. ჭიჭინაძეს გრ. ორბელიანის დაბადების თარიღად 1800 წელი მიაჩნიათ (იხ. პირველის—„ახალი ქართული ლიტერატურა", გვ. 174; მეორესი—„ქართული სული ესთეტიურ სახეებში", გვ. 255; მესამის—„ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი", 1886 წ., გვ. 40). ზოგი გამომცემი წინათქმაში მგოსნის დაბადებაზე არაფერს ამბობს, სდუმს. გრ. ორბელიანის დაბადების თარიღი მეც შეცდომითა მაქვს მოხსენებული (იხ. „საიათნოვა", გვ. 52); ასევეა აღნიშნული ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში (1922 წ., გვ. 153); ბ. ესაძეს კი პოეტის დაბადება მეთვრამეტე საუკუნეში გადააქვს, სახელდობრ, 1799 წელს, როცა რუსეთის ჯარი საქართველოში შემოდიოდაო (იხ. „Летопись Грузии", გვ. 286).

რა ამბავია! რა მოხდა! ნუ თუ პოეტის დაბადების წელი, რომელიც არც ისე შორეთს ეკუთვნის, მისმა თანამედროვეებმა ვერ

აღნიშნეს სისწორით? რად არის ამდენი განსხვაეება? საიდან მომდინარეობს ეს ნისლი?

ჩემის აზრით, ამ აღრევის საბაბი იონა მეუნარგიას ჩინებულად დაწერილი წიგნია („ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა"). იონა მეუნარგია გრ. ორბელიანთან დაახლოებული კაცი იყო, მას ისე მოწიწებით უყვარდა გრ. ორბელიანის პოეზია, რომ იგი ერთხელ რუსთველსაც გაუტოლა. „იშვიათი პოეტი,—ამბობს მეუნარგია ორბელიანზე,—ასეთი პოეტი, რომლის ზემოთ მარტო ერთი რუსთველი-ღა არის" (იხ. „დროება", 1883 წ., № 61). ი. მეუნარგიამ შეაგროვა თითქმის ყოველი წვრილმანიც კი, რაც გრ. ორბელიანის ცხოვრებას ეხებოდა... ამ დროსვე დაიბეჭდა ორბელიანების გვარის მთელი გენეალოგია (იხ. „Кавказ", 1883 წ., № 69), ხოლო პოეტის დაბადების წელი კი ბუნდოვნად დასტოვა. მაგრამ სჯობია თვით იონა მეუნარგია ვალაპარაკოთ: „ნამდვილად არავინ არ იცის, რა დროს დაიბადა გრიგოლ ორბელიანი,—წერს ორბელიანის მემატიანე მეუნარგია,—სრულ მის ნამსახურობის სიაში ის არის დანიშნული დაბადებულად 1800-ში, მისთა თანამედროვეთაგან კი რამდენიმე ამბობენ, რომ ის არის დაბადებული 1804 წელშიო"... ცოტა ქვევით ი. მეუნარგია განაგრძობს: „ამრიგად გრიგოლ ორბელიანი უნდა იყოს დაბადებული 1800-ს" (იხ. „მოამბე", 1904 წ., № 2, გვ. 58—არის ცალკე ამონაბეჭდიც, გვ. 4).

მაშასადამე, გრ. ორბელიანის დაბადების თარიღად გამოფენილია ოთხი სხვადასხვა წელი:

— 1799 წ., 1800 წ., 1801 წ. და 1804 წ., მაგრამ ყველაზე პოპულარული 1800 წელია, რომელსაც მწერალთა უმრავლესობა თითქმის აკანონებს.

ჩემი მუშაობის პროცესში ხელთ ჩამივარდა ორი, ბარათი საიდანაც ირკვევა, რომ გრიგოლ ორბელიანი დაბადებულია ქ. თბილისში 1804 წ., 2 ოქტომბერს. ეს წერილი ეკუთვნის გრ. ორბელიანის ბიძას—იოსებ ორბელიანს, რომლის ძმებიც მთავარმართებელ პ. დ. ციციანოვთან ერთად იბრძოდნენ ერევნის ასაღებად... იოსებ ორბელიანი თავის ძმებს თბილისიდან წერილსა სწერს და, სხვათა შორის, გრიგოლ ორბელიანის დაბადებასაც ატყობინებს ზურაბს. აი, ამ წერილის ეს ადგილიც:

„მის ბრწყინვალებას ორბელიანს ზურაბს, ასლანს, სოლომონს, მიერთოს ტფილისით საცა იმყოფებოდეს (ასეთი მისამართი აწერია დაკონვერტებულ ბარათს. ი. გ.). ზურაბს და ასლანს და სოლომონს ქ. ჱის ბრწყინვალებას ძმებს ბატონს ორბელიანს მათი

ძმა ორბელიანი იოსებ ჩემს სასურველს პირს გაკოცებ და შენს შვილიდობით ხილვას ღმერთს ვთხოვ. ჩვენს ანბაყს მოიხსენებ, მშვიდობით გახლავართ. ჩემი რძალი ღვთით მშვიდობით მორჩა და ვაჟი ჰყავს და გრიგოლ დავარქვით (ხაზი ჩემია, ი. გ.) დღეს რომ ამ თვის ცხრა არის, დღეის სწორია რომ დაწვა და მოგილოცამ. ღმერთმა მშვიდობით და ადრე გვაჩვენოს თქვენი თავი... ღვინობისთვის თ. ქკს უეგ" (ოქტომბრის 9, 1804 წ. ი. გ.).

ხოლო ზურაბის მეორე ძმა გიორგი ასე ახასიათებს პატარა გრიგოლს:

„ზურაბ, მომილოცავს ჩემი რძლის მორჩენა. შენმა გაზდამ ასეთი ბიჭი გყავს, რომ ახლავ გჯობს. ღმერთმან გაზარდოს. სახელათაც გრიგოლ დავარქვით... ოკდომბრის ია ქკს უეგ" [ოქტომბრის 11, 1804 წ. ი. გ.].*

დღეის შემდეგ უარყოფილ უნდა იქნას ყოველგვარი აზრთა სხვადასხვაობა გრ. ორბელიანის დაბადების თარიღის გარშემო და მხოლოდ ჩემ მიერ, ახლად აღმოჩენილი კერძო წერილების მიხედვით, დადგენილი თარიღი უნდა გავრცელდეს.

მაშასადამე:

— გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1804 წ. 2 ოქტომბერს.

— გარდაიცვალა 1883 წ. 21 მარტს.

ზემოთ მოყვანილი ორი კერძო წერილი, რომლებიც საქართველოს ცენტრ.-არქივში ინახება, საინტერესო თავგადასავალს შეიცავს: ცნობილია, რომ გრ. ორბელიანის მამა ზურაბი თავისი ძმებით ციციანოვის მხარეზე იყო და იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ... გრ. ორბელიანის მამა ზურაბი და მისი ძმები სპარსეთის მომხრე ალექსანდრე ბატონიშვილის გადმობირებასაც ლამობდნენ ციციშვილის რაზმში. სახელდობრ სად უნდა შეხვედროდნენ განდგომილ ალექსანდრე ბატონიშვილს მოსათვინიერებლად, ეს საბუთებში არა ჩანს, ვინაიდან ალექსანდრე ბატონიშვილი ქარიშხალივით დაჰქროდა ხან კახეთში, ხან მთიულეთში, ხან დაღესტანში, ხან სპარსეთის საზღვრებზე—და იბრძოდა დაკარგული ტახტის დასაბრუნებლად.

ამიტომაც არის, რომ ზემოთ მოყვანილ წერილს ასეთი მისა-

* ეს ორი დოკუმენტი ინახება ს. ც. არქივში (ძველი საბუთების განყოფილება, № 6292 და № 9284).

მართი აწერია: „მის ბრწყინვალებას ორბელიანს მ ი ე რ თ ო ს ს ა ც ა ი მ უ ო ფ ე ბ ო დ ეს“. ხოლო ზოგიერთ წერილს ასეთი წარწერებიც აქვს: „თუ ეს კაცი მკვდარი ნახოთ, ვისაც ჩაგივარდეთ, პატრონს უძიეთ“. მაშინდელი წერილების დამტარებლებად ჩქარმოარულ იფრინდებს და გულად შათირებს ირჩევდნენ და კარგ „ფეხის ქირასაც“ ჰპირდებოდნენ თუ წერილს დაუბრკოლებლად ჩააბარებდნენ პატრონს; მაგრამ ხშირად შიკრიკებს საზღვარზე მეფის მსტოვარები იპერდნენ და თბილისში ჩამოჰყავდათ: კაცს სატუსაღოში ამწყვდევდნენ, ხოლო წერილებს ჩამოართმევდნენ და „საქმე“-ში ჩააკერებდნენ ხოლმე.

ჩემ მიერ გამოქვეყნებული ამ წერილის ბედიც ასეთია: იგი დანიშნულებისამებრ არ მისულა და ვერც მივიდოდა, რადგან ადრესატი (ე. ი. ორბელიანები) სხვა ქართველებთან ერთად ერევნიდან თბილისში გამობრუნებულნი გზად ტყვედ ჩაიგდეს ყიზილბაშებმა და ბეგლარბეგს ჩაჰგვარეს თაერიზში.

1933 წ.

*

მ ი ნ ა წ ე რ ი: ეს ჩემი წერილი დაიბეჭდა „სალიტერატურო გაზეთში“ (1933 წელი, № 10, 29 აპრილი). მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა... მაგრამ გრ. ორბელიანის ლექსების არც ერთმა გამომცემელმა ეს ჩემი თარიღი არ მიიღო.

რატომ?

რა უფლება გვაქვს არ დავიჯეროთ გრ. ორბელიანის ბიძების მისალოც ბარათზე ო რ ჯ ე რ აღნიშნული (დიაღ, ორჯერ აღნიშნული) გრ. ორბელიანის დაბადების წელი? ჩემი თარიღის უარსაყოფად გამომცემლები იმიზეზებენ: პოეტის „ნამსახურობის სიას“ ან „მეტრიკულ ამონაწერს“ (იხ. „ზუგდიდის მუზეუმის შრომები“, 1947 წ., ტ. I, გვ. 346-48).

ცნობილია, რომ საქართველოში 1819 წლამდე მეტრიკული დაეთრები არ იწერებოდა (კ. მამაცაშვილი—„დროება“, 1881 წ.. № 237). მშობლები შვილის დაბადების თვესა და წელს ან რომელიმე საყვარელი წიგნის აშიებზე აღნიშნავდნენ, ან კერძო წერილებში მოიხსენიებდნენ, როგორც ამას ვხედავთ გრიგოლ ორბელიანის ბიძების ბარათების სახით.

ჩემი თარიღის გასამაგრებლად კიდევ ერთი მოსაზრება არსებობს, ეს ის არის, რომ ძველად სამხედრო სამსახურში მცირეწლოვანებს არ იღებდნენ და ზოგიერთებს დაბადების თარიღი ორიოდე წლით წინ გადაჰქონდათ ხნოვანების მოსამატებლად.

კერძოდ, გრ. ორბელიანის დაბადების თარიღის ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებათა შორის, სიამოვნებით გადავიკითხე დოც. შ. მესხიას წერილი, სადაც ჩემ მიერ აღძრულ თარიღს (1804) ავტორი მხარს უჭერს (იხ. ზუგდიდის გაზეთი „მებრძოლი“, 1947 წ., № 130).

1952 წ.

ქართველ და მოძმე ხალხთა
ლიტერატურული ურთიერთობანი

პუშკინის პირველი მთარგმნელები

ალექსანდრე ჭავჭავაძე და სოლომონ რაზმაძე

პუშკინის ცხოვრების რომანტიული წლები მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. თავის მრავალრიცხოვან ლექსებში, სადაც ნაქებია ჩვენი ხალხი და ბუნება, პოეტი სიყვარულით იგონებს აქაურ მეგობრებთან გატარებულ დღეებს. ჯერ კიდევ 1820 წელს ერთ-ერთი პოემის შენიშვნაში პუშკინმა თავის ხალხს ყურადღება მიაქცევინა ჩვენს ფოლკლორზე, ჩვენს ქართულ სიმღერებზე: „საქართველოს ბედნიერი ჰავა,—წერდა პოეტი,—ვერ აჯილდოებს ამ მშვენიერ ქვეყანას ყველა იმ უბედურების სანაცვლოდ, რომელსაც იგი მუდმივად განიცდის... ქართული სიმღერები საამოა და მეტწილად ნაღვლიანი“... საქართველოს ნაღვლიანი სიმღერები ახლო იყო ახალგაზრდა პუშკინის განწყობილებასთან.

ქართულად პუშკინის ლექსები ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე ითარგმნებოდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავისი პირველი გამოსვლა ბეჭდურ ლიტერატურაში თარგმნით დაიწყო. ასევე მოიქცა ჩვენი ორი დიდი პოეტი ილია და აკაკი. მათ თავიანთ სადებიუტოდ თარგმნითი პროდუქცია აირჩიეს (პირველმა თარგმნა უცნობის „ჩიტი“, მეორემ—ლერმონტოვის „რტო პალესტინისა“). ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ლექსი იხილა დაბეჭდილი და იმასაც—ბედი არ უნდა!—რატომღაც მთარგმნელის სახელგვარი არ ჰქონდა მოწერილი. თვით გაფორმებაც მანკიერი იყო, ლექსი აწყობილია პ რ ო ზ ა დ, თუმცა სათაურად აქვს: „ლ ე ქ ს ა დ თქმული პუშკინის ძილი“. ეს ლექსი დაიბეჭდა პუშკინის თბილისში ყოფნის მეორე წელს (იხ. 1830 წლის „თბილისის უწყებანი“, № 2).

პუშკინის თარგმნით ვარჯიშობდა აგრეთვე თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზრდობა: ნიკო ბარათაშვილი, ვარლამაშვილი, მიხ. თუმანიშვილი და სხვ.

დღემდის ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და დადგენილი ლიტერატურული ურთიერთობა პუშკინსა და მეცხრამეტე საუკუ-

ნის დასაწყისში რუსეთში მყოფ ქართველ პოეტებს შორის, ამიტომაც ძნელია პუშკინის მრავალ მთარგმნელთა შესახებ მსჯელობა, მაგრამ აუცილებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი მოწინავე პოეტები, ცარიზმის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლასთან ერთად, იმავე დროს პუშკინის მიერ აღორძინებული პოეზიის წინაშეც იხდიდნენ თავიანთ პოეტურ მოვალეობას.

პუშკინის პირველ მთარგმნელებად უნდა ჩაითვალოს ალექსანდრე ჭავჭავაძე და სოლომონ რაზმაძე. პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც ვიცით, პეტერბურგს დაიბადა, თავისი მამის გარსევანის დესპანობის დროს. სწავლობდა პეტერბურგის პაჟთა კორპუსში და უეჭველია, თუ ის პირადად არ იცნობდა პუშკინს, მისი ნაწერების მგზნებარე მოტრფიალე მაინც იქნებოდა. მის პოეტურ კალამს ეკუთვნის პუშკინის რამდენიმე ლექსის კარგი თარგმანი: „ქავკასიის ზვავი", „ანჩარი", „სპილენძის მხედარი", „სიზმარი", „ყვავილი" და სხვ. ამ თარგმანებმა მაშინვე მოიპოვეს საქართველოში დიდი პოპულარობა და მათ მღეროდნენ კიდეც ქუჩებსა და სალონებში. ამის შესახებ არსებობს უამრავი მასალა.*

მე მინდა ნიმუშად მოვიყვანო სწორედ ის ლექსი, „ძილი", რომელიც პირველად „თბილისის უწყებაში" დაიბეჭდა.

ამ ლექსის მეორე ვარიანტს ეწოდება „სიზმარი", ხოლო პუშკინით—„Пробуждение".

სიზმარი

სადა არიან, ოცნებაო, სიტკბონი შენნი?
სადა ბარ, ღამის სიხარულო, მსწრაფლ განასრბოლო?
მალიად განჰქრენ, ვაჰ, აჩრდილნი, სიზმრად მომჩვენნი,
და განაფხიზლი ბნელსა შინა ვშთომილვარ მხოლო.

საწოლი ჩემი ყრუსა ღამეს მოუცავს გარე:
მსწრაფლ განმეშორნენ ტრფიალების ოცნებათ დასნი;
გონება ჯერეთ სურვილისგან მთერალად მგებარე,
ეძებს იხელთოს მისვე სიზმრის ბატნი ძვირფასნი.

---

* კ. ბოროზდინი—„სამეგრელო" (თარგმანი თედო სახოკიასი), 1934 წ., გვ. 6; К. Дондуа—„Пушкин в грузинской литературе" (იხ. კრებული: „Пушкин в мировой литературе", 1926 წ., გვ. 207); ლევან ასათიანი, „პუშკინი და ქართული კულტურა" (იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება" 1949 წ., № 22); ანდრო აბრამიშვილი, „ალექსანდრე ჭავჭავაძის სიმღერა ბალაკირევის ნოტებზე" (იხ. „სახალხო განათლება", 1951 წ., № 29).

პუშკინის ლექსი—„სიზმარი" ნოტებზე გადაიღეს შემდეგმა რუსმა კომპოზიტორებმა: დარგომიჟსკიმ, დანაუროვმა, ბრისტიანოვიჩმა, ალიაბიევმა, რიმსკი-კორსაკოვმა, ემანუელმა და სხვ. (იხ. В. Корганов, „Пушкин в музыке", 1899 წ., გვ. 34). ჩვენში კი ამ ლექსს ქართველები უფარდებდნენ საკუთარ ჰანგს.

ჰე, სიყვარულო, სიყვარულო! მისმინე თხრობა:
მოვეაქციე ჩემდა მომართ ჩვენება ტკბილი!
მითვე ზმანებით კვლავ ერთგზისცა მაღირსე თრობა,
და გინდ სიკვდილად გარდამექცეს მე იგი ძილი!

(ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 140).

ეს შესანიშნავი ლექსი დღესაც, ასეულო წლის შემდეგ, პოეტური ნაპერწკლიანობით ჟღერს და დედანს ბრწყინვალედ ეხმატკბილება. მთარგმნელს ავტორის წყობა („Мечты, мечты, где ваша сладость? Где ты, где ты ночная радость") შეუცვლია 14-მარცვლოვანი ლექსით, რომელიც დედნის სულიერ განწყობილებასთან უფრო ახლო არის.

ესეც ლექსი თარგმნა სოლომონ რაზმაძემ, სულ სხვა წყობით და ძალიან მკრთალად. თუ რა დიდი განსხვავებაა ალ. ჭავჭავაძის და ს. რაზმაძის თარგმანს შორის, მოვიყვან. შესადარებლად რაზმაძის თარგმანიდან მხოლოდ დასაწყისს:

გ ა ნ ღ ვ ი ძ ე ბ ა

ჰოი, ზმანო, ზმანო, სადაა თქვენი სიტკბოებანი?
ჰოი, ღამისა სიამოვნებავ, სად მიმოჰფრინავ?
ვაი, საამონი იგი სიზმარნი წარხდეს ვით ქარნი,
და მე ღარიბსა უფსკრულს სიბნელეს
თვალნი აღმეხვენ ლოგინსა მწოლსა.

(„კომუნისტი", 1935 წ., № 229).

სადაა ან რითმა, ან მარცვლების მუსიკალურად აკინძვა?

ბჭნება ლუკა ისარლოემა თარგმნა კარგად? აი, ამ პოეტის თარგმანის ნაწყვეტიც:

გ ა ნ ღ ვ ი ძ ე ბ ა

ჰე, ოცნებავ, სად არის შენი სიამე!
სად წამიხვედ ღამისა სიხარულო,
ან სად განჰქერი უცებ სიზმარო ტკბილო?
მას წინ მარტოს გაღვიძებულს რა მაამე?

(იხ. მისი „ლექსნი", 1895 წ., გვ. 28).

ილია ჭავჭავაძე ისარლოვის ამ თარგმანზე ამბობს: „არ ეარგა" (ტომი 4, გვ. 438).

მართლაც—არც ერთი თარგმანი ჭავჭავაძისეულ თარგმანს არ შეედრება. მისი თარგმანის მიბაძვით კი ბევრმა ბიღო კალამი ხელში. ვინმე ივანე ციციშვილის ლექსი ასე თავდება:

მინდორთა მწუანეთ მათ მშვენიერთა
ვიდოდი ვით კაცი ველური,
წარმოვიდგენდი იმა ღამესა,
მაგრამ სად არის იგი წყეული!
კიდევ მეხელთა მე იგი ძილი,
და გინდ სიკვდილათ გადმექცეს მე იგი ძილი!

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ლექსების ერთგვარ გავლენას განიცდიდა ახალგაზრდობაში ილია ჭავჭავაძეც:

ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი?

(ილია ჭავჭავაძე).

სადა არიან, ოცნებაო, სიტკბონი შენნი?

(ალ. ჭავჭავაძე).

როგორ გეაგონებს „განდეგილის“ ერთი ადგილი ალექსანდრე ჭავჭავაძისეულ თარგმანს „კავკასიის ზვავიდან“:

სად მეუფება ჭექა-ქუხილთა
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია.

(ილია ჭ-ძე).

მუნ სადაც ეხლა ის არემარე
მხოლოდ ცივს ჰაერს და ქართ ჰშთენიათ.

(ალ. ჭ-ძე).

თუ რამდენად პასუხისმგებლობის გრძნობით თარგმნიდა ალექსანდრე ჭავჭავაძე პუშკინის ლექსებს, მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

ჩვენ ბედნიერება გეხვდა წილად აღმოგვეჩინა ალექსანდრე ჭავჭავაძის ავტოგრაფები, რომელიც ასე ენატრებოდა ილია ჭავჭავაძეს (იხ. ალ. ჭავჭავაძის „ლექსები“, 1881 წ., წინათქმა). ამ ავტოგრაფების შესწავლის დროს ბევრი რამ გამოიარკვა ჩვენთვის. პოეტი რომ დიდხანს ამუშავებდა ლექსს ამის ნათელ მაგალითს „კავკასიის ზვავის“ ავტოგრაფები იძლევა. „ზვავის“ ორი უკანასკნელი ხანა მთარგმნელს ასე უსწორებია.

ჯერ მოვიყვანოთ მთლიანად პოეტის მიერ დადგენილი უკანასკნელი რედაქცია:

შემდგომ ეს ზვავი კარად ღებული
ხანგრძლივ დებულა უნდობლად ზვავად,
და თერგი, მის კვე მდუღარედ მდენი,
შხაპსა და ქაფსა ჰსცემდისო კვალად.

ამ ლექსის პირველი სტრიქონითხ ვარიანტად „უწვალებია“ მთარგმნელს:

1. მერმე ეს ხვავი ესრედ განაგლჯი,
2. მერმე ეს ზვავი განსვრილ ღებული,
3. ხერმე ეს ზვავი განაღი კარად,
4. შემდგომ ეს ზვავი კარად ღებული.

ახლა მოვისმინოთ ამ ლექსის მესამე სტრიქონის სხვაობაც:

1. და თერგი მის ქვე შმაგად განმსრბოლი,
2. და თერგი შმაგი მის ქვე დენილა,
3. თერგი ბოროტი მის ქვე დენილა,
4. რა თერგი მის ქვე მდუღარედ მდენი.

ალ. ჭავჭავაძის ყოველი ლექსი, თარგმანი იქნება იგი თუ ორიგინალური, სიხარულით და ემოციურობით არის აღსავსე.

*

ეხლა გადავიდეთ სოლომონ რაზმაძის თარგმანებზე.

სოლომონ რაზმაძე პუშკინს თარგმნიდა მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში. ზოგიერთი თარგმანის დაბეჭდვას მოესწრო პოეტი. „ლხინი“ და „ღიშპანური სიმღერა“ მთარგმნელის სიცოცხლეში გამოქვეყნდა 1832 წ.

სამწუხაროდ ძალიან ცოტა ცნობებია დარჩენილი ამ მოკრძალებული მოღვაწის შესახებ:

სოლომონ რაზმაძის მამა იმერეთიდან ყოფილა გადმოსახლებული და ვაჟკაცობისათვის მეფე ერეკლეს აზნაურობა უბოძებია. 1811 წელს თეიმურაზ ბატონიშვილს ახალგაზრდა სოლომონი თან წაუყვანია პეტერბურგს და ლიცეუმში მიუბარებია... ლიტერატურულად გამოუზრდია. თავის მოგზაურობაზე თეიმურაზს დღიურებიც დარჩენია, სადაც თარიღის დაზუსტებისათვის შემდეგია ნათქვამი: „...წელსა 1810 დეკემბრის 14 წამოველით ერევნის მამულით არეზის და ყარასუს შესაყარით და მოველით პეტერბურგს წელსა 1811 იანვრის 22 კვირიაკეს“... (იხ. ლენინგრადის სააზიო მუზეუმის ხელთნაწერი, № 25).

სოლომონ რაზმაძე ისე გაიწაფა რუსულ ენაში, რომ მან თარგმნებსაც მიჰყო ხელი. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, სოლომონს უთარგმნია უცნობი ავტორის რომელიღაც რევოლუციური ხასიათის წიგნი, რომლისთვისაც ასეთი წინასიტყვაობა გაუკეთებია:

ვინა ვალია
თავის დადება
მამულისათვის
ყოვლის კაცისგან.
მის გამო მეცა
კადნიერქმნილმან
ვსთარგმნე ეს წიგნი
რუსთა ენისგან,
დაბეჭდვასაცა
არარა მრიდა,
რომ ივერიელთ
ისწავლონ მისგან
და მით მწე ექმნან
მამულსა თვისსა
და თავი იხსნან
სკვით დესპოტისგან.

სოლომონმა 22 წელი დაჰყო პეტერბურგში...

როცა 1831 წელს გრაფი სიმონიჩი დანიშნეს თავრიზში რუსეთის დესპანად, მაშინ თეიმურაზ ბატონიშვილის თხოვნით (სიმონიჩი ენათესავებოდა თეიმურაზს ცოლის მხრივ და კეთილგანწყობილებაში იყო მასთან) სიმონიჩმა სოლომონ რაზმაძე თავრიზში წაიყვანა. თავრიზში მიმავალნი გზად თბილისში გაჩერდნენ ოთხ თვეს. სწორედ ამ დროს სოლომონი გახადეს „ფარული საზოგადოების“ შეთქმულების წევრად, რომლის ერთი მუხლი ასე ღაღადებდა: „ყოველ წევრს უნდა აქვნდეს სიფრთხილე, რათა არა შემოეპაროთ კაცი ვნებული, ზნეშოშლილი, დადეღლებული და დახლილი“ (იხ. შეთქმულთა „აქტი გონიური“). ამ მხრივ სოლომონ რაზმაძე მეტად სანდო პიროვნება იყო.

სოლომონ რაზმაძეს დაეკალა კავშირის გაბმა სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან; ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილს კი წერილობით აცნობეს, რომ სოლომონ რაზმაძის საშუალებით ინგლისელებთან ჰქონოდა ურთიერთობა (სოლომონი რუსეთის ელჩის მეშვეობით ხშირად ხედებოდა ამ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებს).

როგორც ვიცით, ეს „ფარული საზოგადოება“ დამარცხებით დამთავრდა... სოლომონ რაზმაძე დააპატიმრეს თავრიზში 1833 წელს, ჩამოიყვანეს თბილისში, გაასამართლეს და მიუსაჯეს ქ. პენზაში სამუდამო გადასახლება. სოლომონი იქიდან აღარ დაბრუნებულა... იქ დაოჯახდა (რუსის ქალი შეირთო) და იქვე გარდაიცვალა 1862 წელს, დარჩა მხოლოდ ერთი ვაჟიშვილი—„Александр Соломонович Размадзев“ (1845—1896), რომელიც ცნობილი იყო,

როგორც კომპოზიტორი და თეორეტიკოსი. გამოცემული აქვს დიდტანიანი წიგნი „მიმოხილვა მუსიკის ისტორიისა“ (1888 წ.), რედაქტორობდა მოპასანის მოთხრობებს, იყო მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი და სხვ.*

სოლომონ რაზმაძეს საკუთარი ლექსებიც ბლომადა აქვს. შეთქმულთა საქმეებში ჩაკერებულია ერთი მისი პოლიტიკური არაკი „დათვი და ცხვარი“, რომელიც თავის დროს პროკლამაციის როლს ასრულებდა (გ. გოზალიშვილი: „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 98).**

გარდა პუშკინის ლექსებისა, სოლომონ რაზმაძემ თარგმნა მიცკევიჩის „ფარისი“, რომელიც აგრეთვე „ფარული საზოგადოების“ წევრებისათვის აღმაფრთოვანებელი წასაკითხი ყოფილა. ქართული „ფარისით“ თვით გრ. ორბელიანიც კი დაინტერესებულა: „ბრწყინვალე კნიაზო,—სწერს სოლომონი გრ. ორბელიანს,—ეს რეული ჩემგან გადმოჩმახვილი ფარისი არის, წაკითხვის ღირსი კი არ არის, მაგრამ რადგან ასე მწყალობ, რომ თავს იმდაბლებ ჩემი ნათარგმნის წასაკითხავად, ამათ მომირთმევია“.

ეს თარგმანიც შეთქმულთა საქმეებშია ჩაკერებული.

სოლომონ რაზმაძეს პუშკინიდან ნათარგმნი აქვს შემდეგი ლექსები: „ლხინი“, „ევგენი ონეგინი“ (მცირე ნაწყვეტი), „განლვიძება“, „დემონი“, „მელოდია“ (ღიშპანური სიმღერა), „წინასწარმეტყველი“, „ავაზაკები“ (ნაწყვეტი) და სხვ.

პუშკინის ეს ლექსებიც ლენინგრადში ინახება თეიმურაზ ბატონიშვილის ქაღალდებში (იხ. ლენინგრადის სააზიო მუზეუმი, № 25)***. იგი გადაწერილი უნდა იყოს თვით თეიმურაზის მიერ

---

* სხვათა შორის, ბაქარია ფალიაშვილის მასწავლებელი კომპოზიტორი ს. ი. ტანეევი ჩვენი სოლომონის შვილის ლექციებს ისმენდა ახალგახრდობაში.

** ერთი მისი საკუთარი ლექსი „დიანას მეჯლისი“ დაიბეჭდა 1858 წლის „ცისკარში“. ამ ლექსს თან ახლავს ალექსანდრე ორბელიანის საგულისხმიერო მინაწერი. მოგვყავს მთლიანად: „უფალო რედაქტორო ივანე კერესელიძე, მოწყალეო ხელმწიფევ! გთხოვთ ეს ლექსი დიანას მეჯლისში დაუბეჭდოთ სოლომონ რაზმაძეს „ცისკარში“ ყველასაგან დაივიწყებულს ჩვენგანით. იქნება ამ ლექსის შემდგომ, ეხლა მაინც მოვიგონოთ ის ყარიბი საწყალი. ჩემს მახლობელს ნათესავს ეპოვა მ. მ. ეს ლექსი თავის ქაღალდებში, რომელმაცა დასაბეჭდათ მამცა და მეც თქვენთვის გამამიგზავნია, თორემ ხშვენიერ ქართველზე დაწერილი რახმაძისაგან.

1832-სა წელსა უეცარმა საგანმა განალვიძა სული სოლომონ რახმაძისა და იმისათვის იგალობა ტკბილად, გაფურჩქვნილს გაზაფხულზე, მშვენიერ წალკოტის თალარს ქვეშ სადაც ამ დროს ემხიარულობდით ამხანაგები. თ. ალ. ვახ.—ძე ჯ. ორბელიანი“ („ცისკარი“, 1858 წ., № 12, გვ. 203).

*** ეს ლექსები პირველად 1935 წელს ჩამოვიტანე ლენინგრადიდან და მცირე წინათქმით დავბეჭდე გაზეთ „კომუნისტში“ (1935 წ., № 229) და „ლიტერატურულ საქართველოში“ (1937 წ., № 4).

(შიგ თეიმურაზის ერთი ლექსიცაა მოთავსებული პუშკინიდან თარგმნილი); დაწერილია სუფთა მხედრულის ხელით და წარმოადგენს ერთ რვეულს (რვა ფურცელს?); ზედ აწერია: „სტიხნი სოლომონ რაზმაძისაგან რუსულის ენით გადმოლექსულნი“ *.

ძველად ზოგიერთი პოეტი თავის თარგმანს უწოდებდა უბრალოდ: „მიბაძვა პუშკინისადმი“. ასეთი მიბაძვები აქვთ გრიგოლ ორბელიანს და ვახტანგ ორბელიანს. გარდა ამისა, ძველი თარგმანების მეტი წილი, ალექსანდრე ჭავჭავაძის გამოკლებით, მკრთალია და სუნმიღებული, არ არის დამუშავებული და ნათელი, ხოლო ზოგიერთი ქართველი მთარგმნელი მეტად თავისუფლად ეპყრობოდა რუსეთის გენიალურ პოეტს. ასე, მაგალითად: მთარგმნელს ს. გურგენიძეს, რომელმაც „კავკასიის პატიმარი“. თარგმნა, ერთ ადგილას სიტყვა „ტარიელი“ აქვს ნახმარი („მიჯნური მსგავსი ტარიელის“); მეორე მთარგმნელი (ლექსში „მხედარი“) მდინარე ნევას ცელის მდინარე რიონად, ხოლო ჩვენი სოლომონ რაზმაძე „ევგენი ონეგინში“ ქალაქ მოსკოვს თარგმნის—თბილისად.

პუშკინს აქვს:

У ночи много звезд прелестных,
Красавиц много на Москве,
Но ярче всех подруг небесных
Луна в воздушной синеве.

სოლომონ რაზმაძის თარგმანში ვკითხულობთ:

ღამეს უვიან მთიებნი ნახნი,
თბილისს სუფევენ მნათნი ლამაზნი,
ვითა ციურთა მნათთა ღამისა
აღმატების სხივი მთვარისა.

პუშკინს მეორე ლექსი ასე აქვს:

Веселый пир

Я люблю вечерний пир,
Где веселье председатель,
А свобода, мой кумир,
За столом законодатель,
Где до утра слово: „пей!“
Заглушает крики песен,
Где просторен круг гостей,
А кружок бутылок тесен.

* ამ ლექსებიდან 1832 წელს დაიბეჭდა პოეტის სიცოცხლეში მხოლოდ ორი ლექსი „მელოდია“ (ღიშპანური სიმღერა) და „ლხინი“ (იხ. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათაგანი“, 1832 წ., № 5, მარტი, გვ. 114 და 115).

სოლომონ რაზმაძე პუშკინის ამ ლექსს ასე აქართულებს:

ღ ხ ი ნ ი

ვეტრფი სალამოს ხადილობასა,
სადაცა სუფევს მხიარულება,
სადაცა მიჰფენს ამოვნებასა
ჩემი მიჯნური—თავისუფლება.
სადა სამს დღესა ვერვინ ისარგოს,
სადაცა სიტყვა,—„შესვი, შეგარგოს!"
და ჯახა-ჯუხი ჯამთა ჯიხვებთა
აღმატების სიმღერისა ხარს,
სადა ხალვათ არს სიმრგვალე მღლეველთა
და ჩაფებითა სუფრა სავსე არს! *

როგორც ვხედავთ, აქ ნამდვილი ქართული ქეიფია გამართული. ამ თარგმანს არ აკლია არც ჯიხვის რქა, არც ჯამი, არც ჩაფები და არც სამი დღის (ავტორს სულ არა აქვს „სამი დღე") გაჭიანურებული ლხინი!

მიუხედავად ამ ნაკლისა, სოლომონ რაზმაძის ზოგიერთი ლექსი, რომელსაც დღეს მხოლოდ ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მსუბუქია და მარტივი, მას აქვს პოეტური ალღო და, წარმოიდგინეთ, ალიტერაციებიც ეხერხება („და ჯახა-ჯუხი ჯამთა ჯიხვებთა"). სოლომონ რაზმაძის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად, პირველად აგრძნობინა ქართველ მკითხველს დიდი რუსი პოეტის ნიჭის ძალა და მისი შემოქმედების გასაცნობად გზა გაუკაფა თავის თანამემამულე პოეტებს. პუშკინის ლექსების ამ თარგმანით ერთი ახალი ხაზი (სულ პატარა ხაზი!) ემატება ს. რაზმაძის პატრიოტულ მოღვაწეობას.

ალექსანდრე პუშკინის პოეზიისადმი ინტერესი ქართველ მწერლებში თავიდანვე დიდი იყო. ქართველი მკითხველი გულსავსედ ეწაფებოდა მის მაღალ მხატვრულ შემოქმედებას. ილია ჭავჭავაძე პუშკინს რუსული ლიტერატურის „ვარსკვლავს" უწოდებს. მანანა ორბელიანი, ჯერ კიდევ 1835 წელს, რუსეთში მყოფ გრ. ორბელიანს სწერდა: „ახლა გთხოვთ, გრიგოლ, თუ ქისები და წინდები გინდა, დაპირება შემისრულე და მითარგმნე პუშკინის «რუსლან და ლიუდმილა»". ნიკო ლომოური (ფსევდონიმით „არბოელი") ასე ამთავრებს თავის სიტყვას პუშკინის მიმართ: „მხოლოდ პუშკინისთანა მწერლებს შეუძლიანთ წმინდა და შეურყეველი კავშირის,

* ეს ლექსი გრ. ორბელიანსაც აქვს ნათარგმნი.

ძმობისა და სიყვარულის დამკვიდრება. სხვადასხვა ერთა შორის, რომელიც სანატრელია ყოვლის აწინდელის ქართველისათვის. აღტაცებულის გრძნობით შორიდან ხელს ვუწვდით ჩვენს უფროს ძმას—რუსეთის ერსა და მასთან ერთად ვღაღადებთ: დიდება და უკვდავება პუშკინის სახელს" („ივერია", 1889 წ., № 109).

ამჟამად პუშკინის ნაწერები სსრ კავშირის ხალხთა 80 ენაზეა ნათარგმნი. მე 1936 წელს შევადგინე პუშკინის ლექსების ქართული ბიბლიოგრაფია, რაც ასი წლის განმავლობაში ითარგმნა*. აქედან ირკვევა, რომ თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ქართველი პოეტი (ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის გარდა), რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს პუშკინის პოეზიის თარგმნის საქმეში.

თუ წინათ მეფის სასტიკი ცენზურის პირობებში არ ხერხდებოდა პუშკინის ზოგიერთი ლექსი ეთარგმნათ მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის ცნობილ სახელებს, დღეს ამ საქმის დასაგვირგვინებლად მოვიდა საბჭოთა საქართველოს პოეტთა მთელი პლეადა, რომელმაც ხელი მოჰკიდა პუშკინის სისტემატურ თარგმნას. ალბათ, მალე ქართული ბიბლიოთეკის თაროებს დაამშვენებს პუშკინის რჩეული ნაწერების ტომები შოთას ენაზე ამეტყველებული.

1936 წ.

* იხ. კრებული: „პუშკინი საქართველოში", 1939 წ., გვ. 136 და 223.

ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში

კოკობი ულვაშები, გაბუტული ტუჩები, თმა გვერდზე გადავარცხნილი, სოთი ცხვირი, ლოყის თავზე აბიბინებული ქილვაში, მხრებზე ჩვენებური ნაბადი ქეშად წამოგდებული, თვალებში კი სევდა, ცრემლნარევი სევდა,—აი ასეთი მინახავს ლერმონტოვის სურათი თვით ლერმონტოვის მიერ დახატული მისი საქართველოში სტუმრობის დროს.

სევდა,—ეს მუდმივი თანამგზავრი ლერმონტოვის ლექსებისა,—არც საქართველოს პოეტებისათვის იყო უცხო ხილი. ალბათ ამიტომ იყო, რომ წარსულში,—და აქ მხოლოდ ძველ მთარგმნელებზეა ლაპარაკი,—არც ერთი პოეტი არ გვითარგმნია ისე უხვად. ისე ხელწაყრით, როგორც ლერმონტოვი. ლერმონტოვის წინაშე თავისი ხარკი მოიხადეს ისეთმა მწერლებმა, როგორიც არიან აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა*.

საინტერესოა ის გარემოება, რომ აკაკიმ თავისი პოეტური კარიერისთვის ლერმონტოვი აირჩია. ლერმონტოვი და აკაკი ერთად შემოვიდნენ ქართულ ლიტერატურაში. ეს იყო 1858 წელს. აკაკი ჯერ კიდევ 18 წლის ჭაბუკი იყო, როცა „ცისკარში“ ლერმონტოვის „რტო პალესტინისა“ გაგზავნა ფოსტით. ქვეშ ფსევდონიმი ჰქონდა მიწერილი: ს—ლი (ალბათ სხვიტორელი)· „ცისკრის“ რედაქტორს საზოგადოდ არ მოსწონდა ფსევდონიმიანი წერილები, მას დამწერის ვინაობის გაგებაც სურდა. აკაკი არ ამჟღავნებდა თავის გვარს. ივანე კერესელიძე ლერმონტოვის ამ ლექსის გამო „ფოსტის“ განყოფილებაში ასე მიმართავს აკაკის: „ზოგიერთი იმ გვარი თხზულება მოგვდის რედაქციაში, რომლისაც დაბეჭდვის უფლება არ გვაქვს, ასე უფლება, რომ ცენზურის კანონით ყოველ

* ალბათ, ამ „სევდის“ ბრალი იყო, რომ ჩვენს სამოციანი წლების მოღვაწეებს ლერმონტოვი და ნიკო ბარათაშვილი გაიგივებული ჰყავდათ: „ცისკრის“ გარჩევის დროს ასე წერდნენ: „უკანასკნელის თხზულებაებისაგან უნდა დავასახელოთ... ლექსები ზოგიერთის პოეტებისა, ჩ ვ ე ნ ი ს ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს—ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა და სხვ.“ („ცისკარი“, 1862 წ. № 9).

თხზულებას ქვეშ უნდა ეწეროს სახელი და გვარი ავტორისა... განუცხადებთ რა ამას თვითონ ავტორს „რტოს პალესტინისასაც“, ვთხოვთ გვაცნობოს: ვინ ბრძანდება ის უფალი და რა გვარი, მაშინ დიდის კმაყოფილებით დავბეჭდავთ იმ ჩინებულს ლექსებს რა ლექსებიც მივიღეთ ფოსტით ამ ახლოს დღეებში“.

ლერმონტოვის ეს „ჩინებული ლექსი“, როგორც ამას „ცისკრის“ რედაქტორი აღნიშნავს, არც ისე „ჩინებულად“ იყო ნათარგმნი და დაბეჭდილიც. რასაკვირველია, აქა-იქ მოსჩანს აკაკისებური ნათელი სტრიქონები:

მითხარი რტოვო პალესტინისა
'ადაც ჰყვავოდი? სად იზრდებოდი?

მაგრამ მომდევნო სტროფები ასეა დამძიმებული:

მომითხრი მე: ღუთის მოშიშ ხელით
ვინ მოგიტანა ამა მხარეთა?
ხშირად შენზედა იყო მოწყენით?
იცავდა კვალსა მწარეთა ცრემლსა [თუ „ცრემლთა მწარეთა“ ი. გ.]
და გზა იგი ჯერ კიდევ ცოცხალ არს?
ისევ მიიბირავს ჩვეულებით,
უდაბნოის გზათ იგი მიმავალს
ზაფხულში მისის ვრცელის ფურცლებით?

როგორც ჰხედავთ, ამ ლექსს არ აკლია ის ბრჯგუ და არქაული სიტყვები, რომლითაც დატვირთულია ლერმონტოვის ეს შესანიშნავი ლექსი. აქ, ჩემი აზრით, უფრო რედაქტორის—ივანე კერესელიძის სკალპელი მოჩანს თავისი ცნობილი ლექსით გომბორისადმი:

ავალ, ავალ, ავდივარ, ავალ, ამიხარიან,
ჩავალ, ჩავალ, ჩავდივარ, ჩავალ, ჩამიხარიან—

ვიდრე ამავე წელს დაწერილ „საიდუმლო ბარათოს“ კისკასა ავტორი:

საიდუმლო ბარათო,
გითხრეს: „ეჭმენ მარადო
სიხარულის მიმნიშვნელ
და სევდისა ფარადო!“

ერთი სიტყვით, ლერმონტოვის პირველ თარგმანს და აკაკის პირველ ნაბიჯს „ცისკარი“ უღიმღამო ამინდით შეხვდა; გარდა იმისა, რომ ლექსი აკაკისებურად არ იყო შესრულებული, ამ ლექსს მეორე კურიოზი მოჰყვა: ლერმონტოვის ლექსი რედაქციამ პუშკინს მიაკუთვნა, რაც შემდეგ ნომერში ასე იყო გასწორებული: „ლექსში წარსულსავე ნოემბრის თვეში ნაცვლად „ლერმონტოვით“ ტიპოგრაფიისვე შეცდომით მოგვსვლია—„პუშკინით“, გთხოვთ წა-

რიკითხოთ ლერმონტოვით". ეს ლექსი აკაკის არ შეუტანია თავის ლექსთა კრებულებში.

ასე და ამგვარად ლერმონტოვის ლექსის საქართველოში პირველი შემომტანი იყო აკაკი. ეს მოხდა 1858 წელს.

ლერმონტოვის მეორე მთარგმნელად უნდა მიეიღოთ ილია ჭავჭავაძე. ილიაც სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ლერმონტოვს დაენათესავა. ილიამ, პეტერბურგსა და პავლოვსკში ყოფნის დროს 1859 და 1860 წლებში, ლერმონტოვიდან თარგმნა ხუთი ნაწარმოები: „წინასწარმეტყველი", „ციცაბო კლდე", „სიზმარი", „მწირი" (არ დაუმთავრებია) და „ჰაჯი-აბრეკი". ილიას თარგმანები, „მწირის" გამოკლებით, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, უფრო ახლოა დედანთან. აქ არ არის ენის მოსატეხი გამოთქმები, ილიას თითქმის დაცული აქვს რიტმი, რითმა და პოეტური განწყობილება. ილია ჭავჭავაძის თარგმანიდან რაღაცა თბილი და სასიამო სურნელება მოჰქრის:

შუადღის გზასა სიცხის ქვეშე დაღესტნის ველად,
ტყვითა გულში ვეგდე უმწედ სიკვდილის მსხვერპლად...

ბოლოს:

და ესიზმრა მას ქვიშიანი დაღესტნის ველი,
ნაცნობი გვამი იმა ველზედ ეგდო უძრავად,
და იმის გულში მაორთქლავი ჩნდა წყლული ბნელი
და სისხლი სჩქეფდა გაცივებულ უწყვეტ ნაკადად.

ზუსტად და კეთილსინდისიერად აქვს ნათარგმნი ილიას „წინასწარმეტყველიც". ილიას თანამედროვე მწერლებს. მოსწონდათ ეს თარგმანი. გრ. ყიფშიძის ქალალდებში გვინახავს ამ ლექსის რამდენიმე ეგზემპლარი თვით გრიგოლის ხელით გადანაწერი. კიდევ მეტი: „იევრიის ფოსტაში" ასეთ ამბავს ეკითხულობთ: „ნ. ჩ-ძ ე ს. თქვენი ლექსი „აღდგომა" არ დაიბეჭდება, არც მეტრია დაცული, არც ცეზურა; არც მეორე ლექსი დაიბეჭდება „წინასწარმეტყველი" ლერმონტოვისა თარგმნილი თქვენ მიერ, უვარგისი თარგმანია. თუ გეგონათ, რომ ილია ჭავჭავაძეზედ უკეთესად გადათარგმნიდით, ძალიან შემცდარხართ" („იევრია", 1904 წ., № 79).

აი, ასეთი ავტორიტეტით სარგებლობდა ილია და ილიას თარგმანი.

ილიას დარჩა დაუმთავრებელი ლერმონტოვის ორი პოემა, „დემონი" და „მწირი". „დემონის" თარგმანიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ პირველი ხანა:

ბნელი დემონი, განგდების სული
დაჰფრენდა ცოდვილს ამ ქვეყანასა,
და უკეთესი მის დროს წარსული
გროვით წარუდგა მის მწუხარ თვალსა.

„მწირიდან“ ილიას ნათარგმნი აქვს მხოლოდ ოთხი თავი. პირველი თავის დასასრულს, სადაც ლაპარაკია „მეგობრულ ხიშტებზე“, ილია სცვლის დედნის აზრს და თარგმნის პროცესში თითქოს ეკამათება ავტორს; ბაგალითად, ლერმონტოვი ამბობს:

И божья благодать сошла
На Грузию! Она цвела
С тех пор в тени своих садов,
Не опасаясь врагов,
За гранью дружеских штыков.

ილიამ ასე შეცვალა ლერმონტოვის ეს სიტყვები:

მას აქეთ რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას მეფისა შტიკსა,
ღმერთმა იმ მეფეს ასკეცად მისცეს. *

ილია ცარიზმის საშინელი მტერი იყო. ერთ ჩემს წერილში— „ილია და ქართული თეატრი“—ვწერდი: მე-19 საუკუნეში იშვიათია ისეთი მწერალი, ვის ნაწერებსაც თავიდან ბოლომდე, ბალღობიდან სიბერემდე, გასდევდეს ერთი ხაზი. ერთი იდეა. ილიას თქმა რომ ვიხმაროთ, მას ყოველთვის თვალწინ ედგა, „იმა კირთების ბედშავნი დღენი“; ილია ჭავჭავაძეს „მგზავრის წერილებიდან“ დაწყებული უკანასკნელ ლექსამდე. „ბაზალეთის ტბამდე“. ერთი აზრი ასულდგმულებს: ეს არის ეროვნული იდეა, ცარიზმის ჭანგებისაგან თავის დახსნა... თუ გავითვალისწინებთ, თბილისის ჟანდარმერია როგორ სდევნიდა პოეტს, ან იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომელშიაც ცხოვრობდა ქართველი მოსახლეობა, მაშინ სავსებით გასაგები გახდება ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი მოღვაწისათვის, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ დაუცხრომლად მებრძოლი ილია ჭავჭავაძისათვის ასეთი, ერთი შეხედვით მიუღებელი, მოპყრობა დიდი რუსი პოეტის ტექსტისადმი.

გრ. აბაშიძემ კი, „მწირის“ მთლიანად მთარგმნელმა, ეს ადგილი, სადაც „ხიშტების მეგობრობაზეა“ ლაპარაკი, სულ მთლად

* იხ. ი. ჭავჭავაძის კრებული, ტ. I, 1951 წ., გვ. 263.

ამოაგდო ტექსტიდან. უფრო სწორად აქვს ნათარგმნი ახალგაზრდა პოეტს ა. სიჟინავას და მწერალ ქალს—ბაბიჯინას.

აი კიდევ ერთი გაუგებრობა: ლერმონტოვს აქვს ცალკე სათაურიანი ლექსი „ტამარა“. თავის დროზე ამ ლექსმა—„ტამარამ“—ერთგვარი ნისლი და გაუგებრობა შექმნა. ზოგიერთებს ეგონათ, თითქოს ლერმონტოვს მხედველობაში ჰყოლოდეს თამარ-მეფე და, მაშასადამე, ყალბად აესახოს თავის პოეზიაში ქართული ისტორიის ამ ბრწყინვალე პიროვნების ცხოვრება. ამას ადასტურებს ერთი წიგნი მარკიზ დე-სადის შესახებ გამოსული, სადაც თამარ-მეფე „სადისტად“ და „მტარვალად“ არის გამოყვანილი. იქ ვკითხულობთ: „ქალებს შორის ხშირად შეგვხვდება მტარვალები და სადისტები. ერთი ამათთაგანი იყო თამარ დედოფალი, რომელიც ახალგაზრდა ყმაწვილებს ინადირებდა თავის კოშკში, მთელ ღამეს მათთან ატარებდა, მერე ჰკლავდა და მათ გვამებს თერგში გადისვრიდაო“.

თავის დროზე ნიკო მარიც ვერ გაერკვია ამ ამბებში; იგი წერდა: „ქართველებს რომ რუსები არ იცნობენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ კავკასიის ბუნების საუკეთესო მომღერალმა ლერმონტოვმა ქართველთა დედოფალი თამარი მეძავად წარმოადგინა“.

ეს, რასაკვირველია, სრული გაუგებრობაა. თამარ მეფესთან არაფერი საერთო არა აქვს ლერმონტოვის ამ ლექსში ხსენებულ თამარს. ამ ლექსის სიუჟეტი კავკასიურ რომანტიულ ლეგენდას წარმოადგენს და არავითარი პრეტენზია ისტორიულ სინამდვილეზე მას არა ჰქონია.

სრულიად მართალი იყო სოლოვიოვი, როცა მან, პოლონსკის ლექსების გარჩევის დროს, ლერმონტოვის თამარს „ლეგენდარული“ უწოდა – „Легендарная Тамара“.

მოსე ჯანაშვილის აზრით: ლერმონტოვს თავის ლექსში ნაგულისხმევი უნდა ჰყავდეს მე-17 საუკუნის ქალები ან თეიმურაზ პირველის ასული ნესტან-დარეჯანი, ან, უფრო შაჰნაოზის (ვახტანგ V) ძმის შვილი თამარი, რომელიც „დასავლეთ საქართველოში მეფე-მთავართა ხელიდან ხელში გადადიოდა“ (იხ. მ. ჯანაშვილი: „Царица Тамара“, 1900 წ. გვ. 36. შდრ. კ. კეკელიძის წერილს „მნათობი“, 1944 წ., № 12. გვ. 94).

ლერმონტოვს გულწრფელად უყვარდა საქართველო, მისი ხალხი, მისი კულტურა. და არც შეეძლო არ ჰყვარებოდა... იგი სამჯერ იყო ჩვენს მხარეში და ყოველთვის აღტაცებული რჩებოდა საქართველოს ბუნებით—მისი ხალხით, მთებით და მდინარეებით. პოეტმა აქ შექმნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებნი: „მწირი“,

„დემონი“, „ჩვენი დროის გმირი“, „იზმაილ-ბეი“, „ჰაჯი-აბრეკი“, „თერგის საჩუქრები“, „აშულ-ყარიბი“, „მთების პაექრობა“ და მთელი ციკლი ამ ყაიდის ლექსებისა. ბელინსკის თქმისა არ იყოს, „კავკასია ლერმონტოვისათვის იყო პოეტური სამშობლო“. აი, რა აღტაცებით და გრძნობით გამთბარ წერილსა სწერს ლერმონტოვი საქართველოში ყოფნის დროს თავის ერთ-ერთ მეგობარს: „...აქ კარგი ბიჭები ბევრნი არიან! განსაკუთრებით თბილისში შეხვდები ძალიან პატიოსან ხალხს. აქ ჭეშმარიტ სიამოვნებას შეადგენს თათრის აბანოები. მე ჰაიჰარად გადავიღე ყველა ის ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელიც ვინახულე და თან მომაქვს მოზრდილი კოლექცია. ერთი სიტყვით, მე ვმოგზაურობ! როგორც კი გადავცდი მთაგრეხილს და გადავედი საქართველოში, მივატოვე ეტლი და შევჯექი ცხენზე. ავცოცდი ყველაზე მაღალ დათოვლილ ჯვარის მთაზე. ზედ წვერზე მოვექეცი, რაც არც ისე იოლი საქმე იყო. იქიდან ნახევარი საქართველო ისე მოსჩანს, როგორც ხელის გულზე. მართალი გითხრათ, მე ვერ ვბედავ აგიხსნა, ან აგიწეროთ ეს საოცარი გრძნობა. ჩემთვის მთის ჰაერი—ბალსამოსია, მოწყენამ თავი დამანება. გული მიძგერს. მკერდი თავისუფლად ისუნთქავს ჰავას. ამ წუთში ქვეყანაზე არაფერი მენატრება. მინდა მხოლოდ მთელი ჩემი სიცოცხლე ვიყო ასე და გადავცქეროდე საქართველოს ბუნებას“... მეორე წერილში წერს: „მთელი ლინია მოვარე ყიზლარიდან მოყოლებული თამანამდე, გადავლახე მთები, ვინახულე შუშა, ყუბა, შემახა, კახეთი, ვჭამ აქაურ პურს (ჩურეკ) და კახურსაც გიახლები“... შემდეგ: „თუ კავკასიაში წახვალ,— სწერს ლერმონტოვი თავის მეგობარ რაევსკის,—მე დარწმუნებული ვარ, შენ ეს „წასვლა“ ბევრ სარგებლობას მოგიტანს: შენ იქიდან დაბრუნდები, როგორც პოეტი და არა როგორც ეკონომისტ-პოლიტიკოსი“...

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ქართველ მთარგმნელთა შორის ლერმონტოვის „დემონმა“. იგი თარგმნა და დაბეჭდა 1896 წელს პოეტმა ვაჟა-ფშაველამ; „დემონი“ თარგმნა მამია გურიელმა; „დემონის“ თარგმნა დაიწყო ილია ჭავჭავაძემ; „დემონის“ ახალი თარგმანი გამოსცა კ. ჯაფარიძემ. „დემონი“ თარგმნა ქართული ლექსის ცნობილმა ოსტატმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ.

ამ მეტად საყურადღებო პოემაში, რომელიც საქართველოს ფონზეა გაშლილი, არის ერთი ადგილი, რომელსაც მთარგმნელები თვითნებურად ცვლიდნენ; მაგ., ლერმონტოვს აქვს:

И дикий крик, и стон глухой
Промчались в глубине долины...

Недолго продолжался бой:
Бежали робкие грузины.

მამია გურიელს ეს ადგილი ასე აქვს ნათარგმნი:

...და ყრუ შეკვნესა, კოვილი მწარი
გაისმა იმა ყრუ ხეობაში.
დიდხანს ომი არ გაგრძელებულა,
ფრთხალი ო ს ე ბ ი გაიქცნენ მთაში.

ვაჟა-ფშაველა გვერდავლით, ანუ, შალვა დადიანის თქმა რომ ვიხმაროთ, ასე „მოიარებით" თარგმნის:

მალე გათავდა ბრძოლა და ომი,
შემოეფანტნენ თავადს მხლებლები.

კონსტ. ჯაფარიძეს ასე აქვს:

დასრულდა ბრძოლა, მოულოდნელ მტერს
მექარავნებმა ველარ გაუძლეს
და ბრძოლის ველიც მალე დასტოვეს.

ელისაბედ ორბელიანმა ფრანგულად თარგმნა „დემონი", რომელიც აკადემიკოს ფრანსუა კოპეს წინათქმით გამოვიდა 1907 წელს, მაგრამ მთარგმნელი დაერიდა გადაკეთებას და ის, „ქართველებისთვის გამაწბილებელი", ადგილი სულ გამოსტოვა თავისი წიგნიდან.

კიდევ უფრო კურიოზულია შემდეგი ამბავი: ვუკ. ბერიძის ცნობით, ლენინგრადის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ლერმონტოვის ტომებში, სადაც „დემონია", დაბეჭდილი, ეს სტრიქონი, ალბათ, მკითხველების მიერ, ყველგან ასეა თურმე შესწორებული: „ბეჟალი ხ რ ა ბ რ ი ე გრუზინი".

რა მოხდა! ლერმონტოვის ფრაზა „ბეჟალი რობკიე გრუზინი" — არ არის მთელ ქართველ ერზე თქმული. თავადის თანამხლებელნი არ შეიძლება ქართველ ხალხად მივიღოთ, აქ ლერმონტოვი არ გაიმეორებდა კოვალენსკის მოხსენების იმ აზრს, რომელიც გამოსთქვა რუსეთში გაგზავნილ მოხსენებაში საქართველოში ცარიზმის დამყარების პირველ წლებში: „ქართველები ჩვეულებისამებრ მშიშრები არიანო". ქართველები რომ მშიშრები არ იყვნენ, ეს თვით ლერმონტოვმაც გამოსცადა, რომლებთანაც ერთად იბრძოდა დაღესტნის მთებში. ერთხელ ა. შანგირეიმ, ლერმონტოვის თანატოლმა და ნათესავმა, უსაყვედურა კიდეც ლერმონტოვს ამ თითქო „უმართებულო" თქმისათვის. ის წერდა: „ქართველები

მხდალები არ არიან, პირიქით, თუ რაიმე ესაყვედურებათ, მხოლოდ მეტისმეტი თავდავიწყებული სითამამე, რასაც დაადასტურებს მთელი კავკასიის არმია, რომელსაც კარგად ესმის, თუ რა არის სიმამაცე და ვაჟკაცობის გამოჩენა. ლერმონტოვს არ შეიძლება ეს არ სცოდნოდა, თითონვე არაერთხელ ყოფილა ქართველებთან ომის ჭარცეცხლში გახვეული! ალბათ გაიქცეოდნენ თავადის ყმები. ეს უმართებულო თქმაა".

კ. მამაცაშვილი, რომელთანაც ერთად იბრძოდა ლერმონტოვი ჩეჩენთა წინააღმდეგ, ლერმონტოვს ახასიათებს, როგორც მამაც მეომარს, რომელიც თავისი ვაჟკაცობით მოჯირითეებსაც აკვირვებდაო.

დიდი რუსი პოეტის დამოკიდებულება ქართველი ხალხისა და საერთოდ კავკასიური ხალხებისადმი არ შეიძლება შეფასებულ იქნეს ერთი თუ ორი ფრაზის საფუძველზე, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყო რაიმე შემთხვევითი გარემოებით და არავითარ შემთხვევაში არ შეეხება ქართველ ხალხს.

ლერმონტოვის პოეზია გამსჭვალულია ღრმა სიყვარულითა და თანაგრძნობით თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩვენი ხალხების მიმართ. იგი წარმტაც პოეტურ სახეებში ხატავდა ჩვენი ქვეყნის პეიზაჟებს. აქაურ მოტივებს და ლეგენდებს უხვად იყენებდა თავის საუკეთესო ქმნილებათა სიუჟეტებად. ლერმონტოვის პოეზია, ისე როგორც პუშკინისა, ყოველთვის იწვევდა და იწვევს დიდი რუსი ხალხის სიყვარულსა და ინტერესს კავკასიის ხალხებისადმი.

ამავე დროს თავისუფლებისა და სამართლიანობის მაღალი იდეებისათვის მებრძოლი პოეტის გენია თანაბრად უმღეროდა ყოველ ხალხს და, მაშასადამე, ქართველი ხალხის აღორძინებასა და განთავისუფლების მომავალსაც. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველი ხალხი, ჩვენი სამშობლოს ყოველ ხალხთან ერთად, მშობლიური სიყვარულით და მადლიერებით იხსენიებს ლერმონტოვის ბრწყინვალე სახელს.

ერთადერთი, რაც შეიძლება ვუსაყვედუროთ ლერმონტოვს— ეს არის სიტყვა „სინოდალის" შეტანა „წინანდლის" მაგივრად. ამან დიდი გაუგებრობა გამოიწვია კომენტატორთა შორის, თვით რუბინშტეინის ოპერაშიც თავადი, თამარის საქმრო (რომელსაც ლერმონტოვმა სახელი არ დაარქვა), ლიბრეტოს ავტორმა, ვინმე ვისკოვატოვმა, სინოდალად მონათლა:—ვინ მოდის!—მღერის გუნდი;—თავადი სინოდალი!—ისმის პასუხად.

აქვე დავსძენთ, რომ „დემონი" ლერმონტოვის სიცოცხლის დროს არ დაბეჭდილა. იგი გამოვიდა პოეტის სიკვდილის შემდეგ.

ნიკოლოზ პირველისათვის კავკასია „თბილ ციმბირს“ წარმოადგენდა—აქ ასახლებდნენ ყველა „გაუსწორებელს“ და აქ ხდებოდა მათი გადანათვლა პოეზიის ემბაზში. ლერმონტოვისათვისაც კავკასიაში გადმოსახლება შთაგონების და პოეტური ამეტყველების წყაროდ გადაიქცა. მის შემოქმედებაში ერთ მთავარ ძარღვად გაჰიმულია საქართველოს და მთელი კავკასიის ძლევამოსილი ხალხი და წარმტაცი ბუნება.

ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც არც ერთი სტრიქონი არ თარგმნა პუშკინიდან, შეიგრძნო და შეითვისა მეორე დიდი რუსი პოეტი ლერმონტოვი. მან იშვიათი ხერხით, მისთვის უჩვეულო წყობით (10-მარცვლიანი ლექსით) გადათარგმნა ლერმონტოვის „დემონი“, რომელსაც „ქაჯი“ უწოდა. (იხ. „საქ. კალენდარი“, 1896 წ.).

ვაჟა-ფშაველასა და ლერმონტოვს შორის უეჭველად რაღაც საერთო ძაფია გაბმული მთის ბუნების შეგრძნებაში. ჩვენ ვმუშაობთ ვაჟაზე, როგორც მთარგმნელზე, აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ლერმონტოვის ეს პოემა ვაჟა-ფშაველას იშვიათი ოსტატობით აქვს ნათარგმნი, ლერმონტოვის აზრი ჭართულად ნათელი სტრიქონებითაა გამოკვეთილი, ვაჟას თავისებური თქმები საოცრად ეთანხმება ლერმონტოვის ანკარა შემოქმედებას:

ქაჯი დევნილი, დაღონებული
თავს დაჰბრუნავდა ცოდვილ მიწასა,
და ბედნიერად განვლილ დღეთ ფიქრი,
გულს უქენჯნიდა ფრიად იმასა.

აი, მყინვარის და თერგის აწერა როგორა აქვს ნათარგმნი ვაჟას:

სამოთხიდამა დევნილი სული
მოსრიალებდა კავკასის ცაზე
და როგორც ელვა ღრუბლით მკრთომარე
დასტრიალებდა მყინვარსა თავზე.
გაჩებილ კლდეში,—ვეშაპის ბუდე,
მოსჩანდა ლაღი თეით დარიალი,
ამაშფოთარი მის არემარის
იყო ძუ-ლომის თერგის ღრიალი.

ჩვენ შევადგინეთ ლერმონტოვის ნაწარმოებთა სრული ბიბლიოგრაფია ქართული წყაროების მიხედვით. აქედან ირკვევა, რომ ლერმონტოვის ნაწარმოებთა თარგმნა უცდია თითქმის ყველა ქართველ პოეტს. აქ არის ილიას მიერ ყბადაღებული ცნობილი რევაზ ერისთავის თარგმნებიც. მას აქვს გადმოღებული

„ყაზბეგის მთას", ძალიან სუსტად და თავისუფლად, მაგალითად, დედანში ვკითხულობთ:

Тебе Кавказ, О страж Востока!

რევაზ ერისთავს აქვს:

ყაზბეგის მთაო, აღმოსავლეთის, ჰოი ჯაშუშო!

ჩვენ შეგვხვედრია აგრეთვე ლექსი, რომელსაც აწერია, თარგმანი ლერმონტოვით, მაგრამ ლერმონტოვის თხზულებაში ასეთი ლექსი არ შეგვხვედრია. ასეა ებია: „ვანდეგილი", „სიმღერა თესლის თესვაზედ" და „გლადიატორის სიმღერა". მეტად საყურადღებოა ამ უკანასკნელის ბედი. ამ ლექსის ქვეშ ერთი დავიწყებული პოეტის სახელი წერია,—ეს იყო ძველი მწერალი რაჟდენ ალისუბნელი (ჩიკვაიძე). აი ეს საინტერესო ლექსიც:

სიმღერა გლადიატორთა

(ლერმონტოვიდამ)

ბრძანებ: თავს მომჭრი—ეს კარგად მჯერა,
გებებავს დამკიდებ საღრჩობელაზე,
თვალებსა დამთხრი და მითი მხერა
დამეკარგება ამ ქვეყანაზე,
გინდა დამალპობ საპყრობილეში,
დამიძმობილებ ჰირთა და ვნებას—
ან სანთლად მიხმარ ბნელსა ღამეში,
თვალით იხილავ ჩემსა ვაებას;
არ შემიბრალებ—ეს კარგად ვიცი,
მრწამს, რომ ვედრებას არ გაიგონებ,
მაგრამ გჯეროდეს და გწამდეს ფიცი,
ამ ჩემს ამაყ სულს ვერ დაიმონებ!

(„თეატრი", 1886 წ., № 26).

ჩვენის აზრით აქ „ლერმონტოვიდან" ცენზურის თვალის ასახვევად არის გამოგონილი. ასეთი ამბები ხშირად ხდებოდა ძველი გაზეთების ფურცლებზე—ეს თემა ცალკე წერილს მოითხოვს... ასე მოექცნენ თვით ილიას ცნობილ ლექსსაც („მესმის-მესმის"). ეს ლექსი იაკობ გოგებაშვილმა თავის „დედა ენაში" გადაბეჭდა და ქვესათაურად მოაწერა: „თარგმანი ნეკრასოვიდან". არსებობს ერთი მოთხრობაც „წამალხანის (აფთიაქის) ნიხრი", რომლის ქვეშაც ანტონ ჩეხოვი აწერია. ამ მოთხრობაში ლაპარაკია წამლების სიძვირეზე, მაგრამ საწყალი კაცის გამკითხავი ვინ არისო; "მერე

მოყვანილია რაღაც ანეკდოტი ერთ კინტოზე, რომელსაც წესის დამცველებმა უბრალოდ სცემეს ეორონცოვის ძეგლთან. ნაცემმა კინტომ შეჰყვირა თურმე: „სად არის სამართალი, ღმერთი ძალიან მაღლაა, ხემწიფე შორსაა, ეს ვარანცოვი კი დგას დ› ხმას არ ღებსო“ (იხ. გაზ. „სინათლე“, 1911 წ.). აშკარაა. აქ ჩეხოვი და „ვარანცოვი“ არაფერ შუაშია და ესეც ცენზურის თვალის ასახვევად არის მოგონილი.

50-იანი და 70-იანი წლების ქართული მწერლობა მოექცა რუსეთის კლასიკოსების გავლენის ქვეშ და ამ ნაკადიდან ჩვენმა ძველმა მწერლობამ ბევრი რამ შეიქსოვა და შეიწოვა. ილიაც ამბობს: „ჩვენ რუსული ლიტერატურით გაზრდილნი და გაწვრთნილნი ვართო“.

აკაკის აზრით „მიბაძვა სათაკილო არ არის... ლერმონტოვი როგორც კავკასიის ბუნებისა და კავკასიელთა ზნე-ჩვეულების მღერალი, უფრო ხვდება ქართველი კაცის გულს და ჩვენი მწერლებიც ხშირად მიჰმართავენო“,—დასძენს აკაკი წერეთელი.

ბაჩანა ერთ თავის ლექსში ეკამათება ლერმონტოვის ლექსს. „საწყალი ლერმონტოვის სურვილი ის ყოფილა, რომ მას გრძნობა სამარეშიც არ წართმეოდა“. ლერმონტოვის ამ ლექსს ჰქვიან „Выхожу один я на дорогу...“—მოგვყავს გრიშა აბაშიძის (1866—1903) თარგმანით:

...თავდავიწყება... მსურს დაძინება,
მაგრამ სამარის ძილით კი არა
მე მსურს იმგვარი, მარადი ძილი,
რომ მკერდში სცემდეს სიცოცხლის ძალა
სულის ჩამდგმელი, მადლით აღვსილი.

ბაჩანას კი, პირიქით, სურს, რომ სხეულთან ერთად მგრძნობელობაც მოკვდეს, თორემ ჩემი გრძნობა ისეთია, რომ სამარეს ამოხეთქავდაო.

პოეტს ლერმონტოვს საწყალსა
ის ჰქონდა სანუკვარადა,
რომ მომკვდარიყო, მის ლეშსაც
გრძნობა ჰქონიყო მარადა.

მე კი რომ საფლავში ვიწვე,
ხედ ლოდი მედვას შავადა,
ღმერთმა დამიხსნას, რომ გრძნობა
მჭონდა ცხულსაკლავადა.

მერჩივნა ჩაბმობ-ჩალპობა
მგრძნობელს ტყუილად გდებასა—

თუ ველარ ვეღირსებოდი
სამშობლო მიწის ხედვასა.

დიახ! ჰკლავს დარჩეს სიკვდილსა
თავისი ულმობელობა,
და მკვდარსა მიწის წიაღში,
თავისი უგრძნობელობა,—

თორემ კუბოს და მიწაში
იმას რა გააჩერებდა?—
აკვნესდებოდა და ისეთს
ცოდვა-ბრალს დააყენებდა,
რომ მიწაც გულგახეთქილი
ზეზედვე ამოაგდებდა...

(„განათლება“, 1913 წ., № 8).

ლერმონტოვის გავლენა ქართულ პოეზიაზე უეჭველად უნდა აღინიშნოს,—თუმცა ესეც უნდა ითქვას, რომ ამ „გავლენას“ ნიადაგი ყოველთვის ქართული ჰქონდა... ასეთია გრ. ორბელიანის „მთანი მაღალნი“, რაფ. ერისთავის „მადლობა“ და აკაკის „დემონი და მტირალი ანგელოზი“, ი. ჭავჭავაძის ორ საუკეთესო ლექსს—„ვიცი, ვიცი“ და „ნანა“—ეპიგრაფად ლერმონტოვის სტრიქონები მიუძღვის, მაგრამ იგი სულ სხვანაირი ეშხით არის დამყნილი ქართველი პოეტის სულში. კ. მამაცაშვილი წერს: „თანამედროვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა რუსეთში ლერმონტოვი იყო, თითქმის ერთი ხნისა, იმათ აქვთ მსგავსება პატრიოტულ აღტაცებულ გრძნობაში და ერთი ლტოლვილება, რომ გამოეხატათ პოეზიაში თავიანთი სამშობლოს აწმყო“.

ახალგაზრდა ნ. ბარათაშვილისათვის ლერმონტოვის პოეზია არ იყო უცნობი. ეს აშკარად ჩანს მისი ერთი წერილიდან. სადაც თავის სულიერ ქენჯნას ლერმონტოვის ცნობილი სტრიქონებით ათავებს:

И скучно, и грустно! и некому руку подать
В минуту душевной невзгоды...

მამია გურიელმა ამაყი სტილით და ჭეშმარიტი შთაგონებით სთარგმნა „დემონი“, რომელიც ვერ დაათავა (ბოლო აკლია). მამია გურიელის ნაკლად უნდა ჩაითვალოს საზოგადოდ ტექსტისადმი თავისუფლად მოპყრობა. მან ერთხელ ბაირონის „გიაურის“ არასწორად თარგმნისათვის „კრებულის“ რედაქტორისაგან ასეთი შენიშვნა მიიღო: „...ეს ალაგები მამია გურიელს გამოცვლილი აქვს:

საცა საბერძნეთი უნდა იყოს, იმის მაგიერ თარგმანში საქართველოა მოხსენიებულიო"... ასეთი სილაღე მან „დემონის" თარგმნის დროსაც მოიქმედა... თუ გავლენაზე ვილაპარაკებთ, ჩემის აზრით, მ. გურიელმა ლერმონტოვს უფრო ძლიერად წაჰბაძა, ვიდრე ძლიერად თარგმნა. მხედველობაში გვაქვს მამიას „პოეტი და ჩვენება". აქაც იგივე პერსონაჟებია, იგივე აღნაგობა. მხოლოდ „დემონის" მაგივრად აქ „ჩვენება" ლაპარაკობს და „თამარის" ნაცვლად— „პოეტი". მამია გურიელის „ფიცი" უფრო პატრიოტულ გრძნობაზეა აგებული: „ეფიცავე, სამშობლოს ჩაბალახ-ახდილს" და სხვ.

„მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა" ჩვენ ვერ ვლაპარაკობთ ყველა თარგმანის ავკარგიანობაზე. აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთებს. ილიას, აკაკის, ვატას და მ. გურიელის გარდა, ლერმონტოვის თითო ლექსი თარგმნეს გ. ერისთავმა, დ. ერისთავმა და რაფ. ერისთავმა. გრიშა აბაშიძემ თარგმნა „მწირი" და მთელი რიგი წვრილი ლექსებისა („თერგის ძღვენი", „წყნარი ღამეა", „ოდეს ბიბინებს ოქროს პური მღელავი" და „მკვდრის სიყვარული"). ამ თარგმნებმა თავის დროზე დადებითი შეფასება მიიღო. აღტაცებული აკაკი წერდა: „არც ერთი თარგმანი შედარებით „მწირის" თარგმანთან სახსენებელი არ არის, ამის მთარგმნელს პოეტური ნიჭიც ეტყობა და ენის ცოდნაც". გრ. წინამძღვარიშვილმა 1864 წელს მთლიანად თარგმნა ლერმონტოვის პიესა „მასკარადი", რომელიც 1889 წელს დაიდგა კიდეც ჩვენს სცენაზე... ალ ყაზბეგსაც უთარგმნია, რუსეთში ყოფნის დროს, ლერმონტოვის ლექსი „შენ დამამშვიდე"... „Бегдец"-ი შიო მღვიმელმაც თარგმნა და რაქ. ალისუბნელმაც (რაქდ. ჩიკვაიძემ),—პირველმა „მხდალი" დაარქვა, მეორემ—„მეოტი"; ვ. მხარგრძელმა (გვარად ფალავანდიშვილმა) 1895 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ორშა"; დუტუ მეგრელს ეკუთვნის „ლოცვის" თარგმანი; მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანმა 1863 წლის „საქართველოს მოამბეში" მოათავსა „ჩვენი დროების გმირი" (ეს შესანიშნავი მოთხრობა მეორედ თარგმნა შ. დადიანმა, სახელგამი, 1936 წ.). ლერმონტოვის ლექსები თარგმნეს „ცისკრის" პოეტებმაც: რ. ბარათოვმა, მ. ფავლენიშვილმა, რევაზ ერისთავმა. მუშა პოეტმა მ. ბვალიანმა თარგმნა ერთი უსათაურო ლექსი (იხ. მისი ლექსთა კრებული „ვედრება", რომელზედაც ე. ნინოშვილმა იოხუნჯა თურმე, ამ წიგნს „ვედრება" კი არა „ყვედრება" უნდა ერქვასო (ნ. კურდღელაშვილის მოგონებიდან). იაძემ (ილია ჭყონიამ), ი. ევდოშვილმა და იოსებ გვანცელაძემ (ფსევდონიმით „ქნარი") თარგმნეს ერთი და იგივე სახელწოდების ლექსი—„აფრა"; 1939 წელს კ. ჯაფარიძემ ცალკე წიგნად გამოსცა მ. ლერმონტოვის სამი პოემა—

„დემონი“, „ბოიარინი ორშა“ და „ლექსი მეფე იოანე ვასილის ძეზე, ახალგაზრდა ოპრიჩნიკზე და მამაც ვაჭარ კალაშნიკოვზე“. ლერმონტოვის ლექსები და პოემები გადმოღებული აქვს: ი. მანსვეტაშვილს, ა. ახნაზაროვს, ივ. ახალშენიშვილს (ფსევდონიმით „დავიწყებული“), ი. ბაქრაძეს, გუცას (ფარქოსაძეს) და ბ. ახოსპირელს; „რტო პალესტინისა“ ხუთმა პოეტმა თარგმნა: აკაკიმ, ი. ფერაძემ, გ. ახველედიანმა, კ. ნადირაძემ და იესე სულხანიშვილმა (ინიციალებით: ე. ს.); „აშუღ-ყარიბი“-ს თარგმანი დაბეჭდილია ქ. „ცისკარში“ (1865 წ., № 1)... გ. შერვაშიძემ „თეატრსა და ცხოვრებაში“ მოათავსა ერთი ლექსი უსათაუროდ და უავტოროდ; ეს ლექსი ლერმონტოვისაა და წარმოადგენს „თურქის ჩიენილს“; ლერმონტოვის ლექსების თარგმნა უცდია ნიკო მარსაც. ვარლამ დონდუას ცნობით მარს სიჭაბუკეში (1884 წ.) უთარგმნია „კაზაკების ნანინა“, რომელიც მოთავსებული ყოფილა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფეთა ხელთნაწერ ჟურნალში—„ბედი“*.

ინტერესი ლერმონტოვისადმი დღემდე არ შენელებულა. თუ წარსულში პოეტის ნაწარმოებთა თარგმნას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი, დღეს თანამედროვე საბჭოთა მწერლები დიდის ხალისით და პასუხისმგებლობის გრძნობით თარგმნიან ლერმონტოვის შესანიშნავ ნაწერებს, რომელიც, აკაკის თქმისა არ იყოს, „უფრო ენათესავება ქართველი ხალხის სულსა და გულს“.

ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლებული ქართველი ხალხი არამც თუ ენათესაებება მოძმე რუსეთის უდიდეს მწერალს, არამედ მას მშობლიურ და თავის საყვარელ პოეტად სთვლის.

1939 წ.

---

* ეს რვეული, რომელიც ლენინგრადის არქივში ინახება, გაარჩია და მარის ზოგიერთი ლექსი გამოაქვეყნა ი. მეგრელიძემ (იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1936 წ., № 11—12).

კრილოვი და აკაკი წერეთელი

მეიგავე ივანე ანდრიას-ძე კრილოვი (1768—1844) თავისი სახელის გაფენობით არ ჩამოუვარდებოდა თავისავე თანამედროვე დიდ რუს მწერლებს—პუშკინს და გოგოლს.

ამიტომ იყო, რომ საქართველოში—მიუხედავად იგავ-არაკების ტრადიციისა და საბას „სიბრძნე სიცრუის“ პოპულარობისა—პუშკინთან ერთად უხვად ითარგმნებოდა კრილოვის არაკებიც*.

საქართველოში კრილოვის არაკების თარგმნა დაიწყო 1832 წლიდან, თვით კრილოვის სიცოცხლის დროს.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ როცა კრილოვი თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ფრანგ მეიგავე ლაფონტენით იყო გატაცებული, ჩვენს პოეტს ალექსანდრე ჭავჭავაძესაც უთარგმნია ფრანგულიდან ქართულად იმავე ლაფონტენის სამი შესანიშნავი იგავი: „ჭრიჭინასათვის“, „მგლისა და კრავისათვის“ და „თხისა და მგლისათვის“.

ივანე კერესელიძემ თავის „ცისკარში“ ეს ლექსები კრილოვს მიაკუთვნა, რაც აშკარა შეცდომა იყო! ეს ლაფსუსი გამოსწორებულია ჩვენს წიგნში (იხ. „ალ. ჭავჭავაძე“, გვ. 156 და 332)**.

---

* აქ არ ვეხებით „მელის წიგნის“ და ეზოპოსის იგავ-არაკების ქართულ თარგმანებს.

** ა. ჭავჭავაძის შემდეგ ლაფონტენი არავის უთარგმნია, მხოლოდ ერთმა მიმართა მას—ვინმე ექვთიმე ჩიხელიძემ და ორ პატარა წიგნაკადაც გამოსცა ლაფონტენის თარგმანები ქუთაისში, 1911 წელს... ე. ჩიხელიძე გატაცებული იყო ზუცხოეთის მეიგავეთა შემოქმედებით: მან ჯერ კიდევ 1892 წ. „ჯეჯილში“ გამოაქვეყნა არა ურიგო თარგმანი ფ ე დ რ ა ს შემდეგი არაკისა:

ეზოპესმა სთქვა: ყოველ კაცს
თითო ხურჯინი ჰკიდია,
ახლა ის კი არ გეგონოთ,
შიგ აქვს რამ გასაყიდია.
წინა თვალში ჰყრის ყველაფერს,
რასაც სხვა დააშავებსო,
უკანაში კი მას აწყობს,
რასაც თითონ იქმს აეებსო.
ამიტომ თვისი სიგლახე
კაცს უჭირს სანახავათა,
სხვისი თვალწინ აქვს ყოველთვის
საკილავ-საძრახავათა.

(„ჯეჯილი“, 1892 წ., № 2).

კრილოვის იგავ-არაკები ქართულად ბევრმა მწერალმა თარგმნა: გრიგოლ ორბელიანმა (1832), მიხ. თუმანიშვილმა (1833), ლუკა ისარლოვმა (1852), დ. მგალობლიშვილმა (1857), ივანე კერესელიძემ (1858), გიორგი ორბელიანმა (1863), აკაკი წერეთელმა 1862)*, ალ. აკოფაშვილმა (1869), ანტონ ფურცელაძემ (1873), მიხ. ბებუთაშვილმა (1876), რაფ. ერისთავმა (1876), პ. ცახელმა (თვალ-პრელიძემ), ფ. რუშაველმა (მგელაძემ), ზ. ხითარიშვილმა, დავით გივიშვილმა და იონა თლუღელმა (ბელიაშვილმა).

რაფ. ერისთავმა კრილოვიდან 50-მდე არაკი დაგვიტოვა. ამ არაკების პირველ გამოცემას (1878 წ.) ასეთი ვრცელი სათაური აქვს: „იგავ-არაკნი კრილოვისა გადმოთარგმნილნი და გადაკეთებულნი რუსულიდგან ქართულად და გალექსილნი, თავ. რაფიელ ერისთავისაგან“.

წიგნი იხსნება რაფიელ ერისთავის მშვენიერი წინასიტყვაობით. ჩვენ ამ პატარა წერილს მთლიანად მოვიყვანთ, როგორც ჩვენი ძველი მოღვაწეებისათვის დამახასიათებელ აზრს რუსული ლიტერატურის ქართულად გადმონერგვის შესახებ.

რაფიელ ერისთავი წერს: „მნიშვნელობა იგავ-არაკისა არის დეენა ბოროტ-მოქმედებისა და გასწორება ადამიანის მრუდის და უსაქციელო ზნეობისა. ქართულს ლიტერატურას აკლია ამგვარი იგავ-არაკი. მქონდა რა სახეში განსვენებულის ი. კრილოვისაგან შეკრებილნი საუკეთესო იგავ-არაკები: ეზოპისა, ლაფონტენისა და სხვათა ფილოსოფოსთა და ჩინებულად გალექსილნი მისგან რუსულს ენაზედ; აგრეთვე მრავალნი, ესე გვარნი, მისგანვე შეთხზულნი,—ვისარგებლე ამით და გამოვკრიბე მათგან ორმოცი ისეთი იგავ-არაკი, რომლებიც უფრო დაუახლოვდნენ ჩვენის ხალხის ნაკლულოვანების სურათებს და უფრო გამოიხატებოდნენ ქართულის ენაზედ მჭევრათ და მდაბიოთ. ზოგი მათგანი გადავთარგმნე და ზოგი გადავაკეთე, და ყველა კი გავლექსე მოსწავლეთა ყრმათათვის, იმ განძრახვით, რომ მათ სიყმაწვილითგანვე შეისწავლონ და გაივარჯიშონ ადვილად მიმოხვრა ქართული ენისა, დაინახონ მნიშვნელობა იგავ-არაკებისა და დაინერგონ გულში, თუ ვითარ სასაცილოა ადამიანში საკიცხავი ნაკლულოვანება და მრუდი და უსაქციელო ზნეობა, ან ვითარ საზიზღარია ბოროტული მოქმედება ბოროტისავე და უხასიათო კაცისა“.

---

* აკაკიმ კრილოვის ერთი ლექსი „მგზავრები და ძაღლები“ (პირველი რედაქცია) პირველად გამოაქვეყნა „ცისკარში“, 1862 წ. აგვისტოს ნომერში. ჩვენი პოეტი დიდი ინტერვალის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა კრილოვს (1889 წ.) უკანასკნელი კრებული წ. კ. გამ. საზ.-ებამ გამოსცა 1906 წელს (აკაკის სიცოცხლეში).

ამ წიგნისათვის რაფ. ერისთავმა აირჩია ისეთი იგავ-არაკები, რომლებიც ქართველ ყმაწვილს აღზრდიდა წესიერად და ზნეობრივად აამაღლებდა. ეს დიდაქტიკური მიზნები ჩ. ერისთავმა მშვენივრად შეასრულა...

საქართველოში კრილოვის სახელი პირველად გაგვაცნო ჩვენმა დიდმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა. მას სამი ლექსი აქვს ნათარგმნი: „ვირი და ბულბული", „სოფლელნი და მდინარე" და „ნადირთა ჟირი".

ეს არაკები გრიგოლ ორბელიანს უთარგმნია ახალგაზრდობის ხანაში, 1832—1833 წლებში, როდესაც ჩვენი პოეტი რუსეთში იმყოფებოდა (ქ. ნოვგოროდში).

გრ. ორბელიანს მოჰყვება ლუკა ისარლოვი. მის მიერ ნათარგმნი სამი არაკი დაიბეჭდა გ. ერისთავის „ცისკარში" (1852 წ., № 5) და ერთიც განახლებულ „ცისკარში" (1857 წ., № 10). ლუკა ისარლოვს კრილოვიდან ნათარგმნი აქვს სულ 33 ლექსი (იხ. მისი წიგნი, 1895 წ., გვ. 69—94). ლუკას თარგმანები ძალიან მდარე ხარისხისაა.

1876 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მიხ. ბებუთაშვილის მიერ ნათარგმნი კრილოვის 52 არაკი. მიხ. ბებუთაშვილი თავის თარგმანებს მოწიწებით უძღვნის დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც, ალბათ, ამ წიგნის რედაქცია ეკუთვნის. მიუხედავად ყიფიანის ავტორიტეტის, არც ეს თარგმანია მაღალი ღირსებისა.*

მძიმე და გაუჩორკნავი ლექსითაა შესრულებული ა. ფურცელაძის, დ. მგალობლიშვილის, ალ. აკოფაშვილის, და ი. კერესელიძის თარგმანებიც.

კრილოვის მთარგმნელთა შორის სრულიად განსხვავებული ადგილი უჭირავს სამ პოეტს: აკაკის, რ. ერისთავს და ცახელს.

ცახელის (პარმენ თვალჭრელიძის) თარგმანებს მხოლოდ სახელმძღვანელოებში თუ შეხვდება კაცი („ბუნების კარი", „ნერგი", „გუთანი" და სხვ.). ნიმუშად მოვიყვანთ ამ საინტერესო პოეტის მიერ მშვენივრად ნათარგმნ კრილოვის ერთ არაკს, რომელიც, ჩვენი აზრით, არ ჩამოუვარდება აკაკის მსუბუქფრთიან ლექსთწყობას:

გველი და გლეხი

გველი შეცოცდა გლეხთანა,
უთხრა: „ნუ მიცქერ მტრულადო,
აწ ჩემი შიში ნუღარ გაქვს,
ვიცხოვროთ მეგობრულადო,

---

* მიხეილ არსენის-ძე ბებუთაშვილი (1818—1882) ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი იყო.

შენც თვითონ ჰხედავ, აღარ ვარ
იგი, რაც წინად ვიყავი,
ამ გაზაფხულზე მე ძველი
გამოვიცვალე მთლად ტყავი!“
გლეხმა მიუგო: „ეერ მაცდენ,
ვხედავ, ხარ იგივ გველიო,
ტყავი თუმც გამოგიცვლია,
გული გაქვს ისევ ძველიო!“
უთხრა და გამეტებულად
ყუით დაარტყა მას ცული
და მატყუარა ცბიერსა
დაალევინა წამს სული.

აკაკის თარგმანები მაღალი პოეტური ღირსებებით არის აღბეჭდილი. ლექსთწყობის მრავალსახეობა აკაკის თარგმანებში თუმცაღა გამარტივებულია ორიგინალთან შედარებით, მაგრამ აზრის უბრალოდ გაშლასა და მკვეთრად გადმოცემაში აკაკის ბადალი არა ჰყავს. აქ გამოკრთის აკაკის პირადი ხასიათის სტიქია და მისი შემოქმედების თანამგზავრი—ნაზი ჰუმორი.

რა განსხვავებაა რაფიელ ერისთავის და აკაკის თარგმანებს შორის? რაფ. ერისთავის თარგმანები ფორმის მხრივ დედანს უფრო უახლოვდება. აქ ზუსტად არის დაცული კრილოვის ლექსთწყობის კანონი: იგივე სტრიქონების არათანაზომიერი გაშლა, რითმის ზუსტად დაცვა (ჯვარედინი თუ მოღვედილი), ერთი სიტყვით, ლექსის დედანთან მიახლოების მხრივ რაფიელ ერისთავის თარგმანებს აკაკის თარგმანებთან შედარებით უპირატესობა ეძლევა. მაგ., რაფიელს წუნდაუდებლად აქვს ნათარგმნი კრილოვის შემდეგი არაკები: „ყვავი და მელა“, „მაიმუნი და სარკე“ და განსაკუთრებით „კატა და ბულბული“. ვის არ უსწავლია ეს უკანასკნელი ლექსი? ვის არ წაუკითხავს ზეპირად მასწავლებლის წინაშე? ჩვენი ყრმობის მოსაგონებლად ნებას ვაძლევ ჩემს თავს კრილოვის ეს ლექსი, რაფ. ერისთავის მიერ ნათარგმნი, მთლიანად მოვიყვანო:

კატა და ბულბული

კატა ბულბულს მიეპარა, ისკუპა და დაიჭირა...
მას დაუწყო ალერსობა (თან კლანჭები გაუპირა):
„სუ ჩიტუნიავ,
ნუ გეშინიან,
მე არას გერჩი თავის დღეშია,
არა გიშავს-რა შენ ჩემს ხელშია,
არა მსურს შენი ტანჯვა და ცემა,
არც შენჯამ, ჩემი კნუტების მზემა...

ოღონდ იმღერე, გიჭებენ სტვენას,
პირველს მგალობელს გიდრიან ენას,
მე მიქო მელამ შენი გალობა,
მეც გამაგონე. მიყავ წყალობა,
შენი გულისა,
შენი სულისა!..
შენ ხმა თურმე გაქეს ისეთი ტკბილი,
რომ კაცს მოუვა ჟრჟოლა და ძილი...
მოჰყე, გენაცვა! რაღასა ნახობ?
რაღას წრიპინებ და არ მალხაზობ?“
მაგრამ ბულბული თრთოდა, კუთავდა,
კატის კლანჭებში ძლივს-ღა სუნთქავდა!..
„აღარ გაანძრევ მაშ მაგ ენასა?
— განიმეორა ხელახლა ციცამ,—
ბრიყვი ყოფილხარ, გამჩენსა ვფიცამ!..
მაგით ატყუებ შენ ჭეყანასა?..
მარტო წრიპინი, მარტო ჩხავილი?
ხომ კნუტებისაც მძაგს ეე კნავილი!
დავრჩი მელასგან მოცრუებული —
და ამან უფრო მომიკლა გული!
ვხედავ, სტვენაში არ ხარ ვარჯიში,
შენ გალობისა არ მოგდგამს ჯიში!..
რახან არ იცი მღერა საჩემო,
ვნახოთ როგორი გაქვს მაინც გემო!“
სთქვა და გამობრა ჩვენი ბულბული,
ნიშნად-ღა დარჩა მარტო ბუმბული!..

მაგრამ საერთოდ რაფ. ერისთავის თარგმნები უფრო მწიგნობრულია, ხშირად გაჭიანურებულიც (მაგ. „გედი, კიბო და თევზი“) და ამიტომ ზოგიერთი მისი ლექსი ხალხში ვერ გადავიდა...

აკაკის თარგმანები კი, თუმცა ფორმით არ არის კრილოვისებური თუგინდ ერისთავისებური, მაგრამ სამაგიეროდ გამთბარია შინაგანი ცეცხლით და სავსეა აკაკის ირონიის ნაპერწკლიანობით. აქ თავმოყრილია ჭართული ხალხური მეტყველების უამრავი ნიმუში... და ხალხმაც ორივე ხელით მიიღო აკაკის კრილოვი.

დამახასიათებელია აკაკის და რაფიელის ლიტერატურული ურთიერთობა კრილოვის ლექსების თარგმნის საქმეში: აკაკი, როგორც ჩანს, რაფიელის თარგმანებისადმი არ იყო უარყოფითად განწყობილი; ეს ნათლად გამოკრთის ამ ორი პოეტის თარგმანთა ნუსხიდან: აკაკი წერეთელს რაფიელის რომელი თარგმანიც მოსწონებია, იმ ლექსისთვის ხელი არ უხლია, მეორედ აღარ უთარგმნია, თუმცა ამას ბოლომდე ვერ იცავს.

აკაკი კრილოვის თარგმანზე ბევრს მუშაობდა. პოეტის სამუ-

რეხო ქაღალდებში ამ თარგმნების რამდენიმე ვარიანტია შემონახული. აკაკი ამ თარგმნებს დიდხანს ასწორებდა, მაგრამ წაკითხვის დროს ეს როდი მოჩანს! სწორედ ამაშია აკაკის თარგმნების ღირსება, აკაკის ზოგიერთს თარგმანს რომ აკვირდება კაცი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პოეტს „ერთი ამოსუნთქვით“ შეუქმნია თავისი შედევრები. და პოეზიის საიდუმლოებაც სწორედ ამაში მდგომარეობს: ის ლექსი გადადის ხალხში და ის ლექსი იკითხება, ასე ვთქვათ, „წყალივით“, რომელიც დიდხანს არის პოეტის შინასკნელში ღამენათევი, მერე ერთბაშად გადმოღვრილი ქაღალდზე და დიდხანს „ნატანჯი“, ე. ი. ნამუშევარი! ჩემი აზრი, რომ მარტივი იყოს, აი რას ვიტყვი: ლექსის დაწერასა და გამოქვეყნებას შუა ინტერვალია საჭირო მისი საბოლოო ჩამოძერწვასა და დამუშავებისათვის—მიუხედავად იმისა, ლექსი ერთბაშად ამოითქვა, თუ დიდხანს იწერებოდა. აკაკი თავისი ორიგინალური ლექსების შექმნის დროს ამ დისტანციას ყოველთვის არ იცავდა... ამას, ალბათ, ჰქონდა თავისი მიზეზები, რომელთაც ახლა ჩვენ აქ არ შევეხებით, ვიტყვით კი, რომ აკაკი კრილოვის არაკებს დიდხანს ამუშავებდა, ხშირად მას ერთი ლექსი ორჯერ აქვს ნათარგმნი. აკაკიმ თავისი სიცოცხლის დროს კრილოვი ხუთჯერ გამოსცა, და წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ლექსი ძველ გამოცემასთან შედარებით გაშალაშინებულიც აქვს! აკაკიმ კრილოვის ლექსების თარგმნისათვის აირჩია რვამარცვლოვანი შაირული ფორმა და სტრიქონებს მისცა სილბო და სინატიფე.

რაც შეეხება რუსული არაკების შინაარსის სისწორით გადმოცემას, ამ მხრივ ორივე პოეტი სცოდავს... რაფიელიც და აკაკიც მეტად თავისუფლად მოეპყრნენ რუსეთის გამოჩენილ მწერალს, მაგრამ ეს საძრახად როდი ჩაეთვლებათ. თარგმანი (მე ელაპარაკობ მხოლოდ ლექსებზე) ზოგჯერ უფრო ელასტიური გამოდის, როცა დედანს ოდნავ აცილებულია, მე ვამბობ „ოდნავ“, რადგან რითმა ყველა ენაზე ირაციონალურია და მისი თარგმნა არ შეიძლება. ჯერ კიდევ ცნობილმა მთარგმნელმა ჟუკოვსკიმ ისიტყვა: „პროზად მთარგმნელი მონაა ავტორისა, ხოლო ლექსად მთარგმნელი—ავტორის მეტოქეო“.

რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ მოსაზრებიდან, რომ მთარგმნელმა დედანი დაამახინჯოს, ლექსში მოხსენებულ „ქალაქს“ ადგილმდებარეობა შეუცვალოს და სხვ., როგორც ეს ჩაიდინა კრილოვის მეორე მთარგმნელმა მიხ. ბებუთაშვილმა:

ყოველთვის ღონიერთანა უღონო არის მტყუანი,
ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ხშირადა... და სხვ.
(იხ. მისი „იგავნი“ გვ. 11. „მგელი და ბატკანი“).

აშკარაა, აქ სიტყვა „საქართველო“ მთარგმნელის მიერ არის ჩამატებული!

ასევე „გაქართველებულია“ იმავე ბებუთაშვილის მიერ კრილოვის ლექსი „ორი ვაჟი“ („Два мальчика“):

ეხ! სასურველო, მე ვხედავ, რომ სრულად დაგვიწყებია:
ჩვენი ქართული ანდაზა, რაც ეხლა მომგონებია:
„ხერხი ჯობია ღონესა
თუ კაცი მოიგონებსა“ (გვ. 89).

რაფ. ერისთავი სულ სხვანაირად იქცევა. იგი შინაარსს ძირითადად არა ჰღალატობს. ლექსთწყობასაც რუსულს უახლოებს, ხოლო იგავის დასკვნითი ნაწილი, სადაც ზნეობრივი ელემენტი ტკრციალებს, ხშირად დასაწყისიდან დასასრულში გადმოაქვს და მას ქართული ანდაზებით და გამოთქმებით ავსებს... აკაკი წერეთელი კი კრილოვის არაკის თემას თავისებურად თხზავს, იგი ამ მხრივ მართლაც მონა კი არ არის ავტორისა, არამედ მოქიშპე. ერთი შეხედვით თითქოს აქ არის მეორე ავტორობის პრეტენზია. თუმცა ამაზე სრულიად არ უფიქრია ჩვენს პოეტს. მაგ., ლექსს „დათვის წვეულებას“ ქართული ნიადაგი ისე მოხდენილად აქვს გამონახული, რომ იგი თითქმის ორიგინალური ლექსის იერს ატარებს... ვის არ ახსოვს ეს ადგილი:

მელაკუდამ ტაში დაჰკრა
ამფერ, ჩემო დათუნაო! და სხვ.*

კრილოვის სტილი აკაკიმ გაათავისებურა და მისცა მას აკაკისებური ელფერი... აიღეთ, თუნდაც შემდეგი ნაწყვეტები:

— შენი ყივილის ჰირიმე,
რა კარგად ჰგალობ, მამალო,
ნეტავ, სულ შენთან მამყოფა,
ყური დაგიგდო მალმალო!
— შენ რაღა ჩემზე ნაკლე ხარ,
მაგას რას ამბობ, გუგულო,
ვინ დაგიწუნებს გალობას,
თუ არ უგრძნობი, უგულო!

(„გუგული და მამალი“).

---

* „დათვის წვეულების“ რუსული ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 1870 წ., ავტორის სიკვდილის შემდეგ (იხ. „Русская старина“, 1870 წ., № 7, გვ. 82). კრილოვის ერთს მკვლევარს ეს ლექსი არ მიაჩნია კრილოვის ლექსად და მას სადაოდ სთვლის (В. Кеневич: „Библиограф. и истор. примечания к басням Крылова“, 1878 г., стр 269). ეს ლექსი — Обед медведя — ბოლო გამოცემიდან ამოგდებულია...

ლექსი „პატარა მუხა“ (Дерево) აკაკის მიერ სრულიად გადასხვაფერებულია... ასევე ითქმის რუსული სახელების გადმოქართულებაზედაც:

ერთხელ თედომ უთხრა ილოს:
კლასში მისვლას კი მოვასწრებთ.
(„ორი ბავშვი“).

ან ეს თარგმანი ავიღოთ:

— გამარჯობა, ივანე!
— გაგიმარჯოს, გოგილო!
— როგორ ხარ, რასა იქ?
ხომ კარგად ხარ, ძმობილო?

(„გლეხების საუბარი“) *,

აქ რუსული სახელები შეცვლილია ქართული სახელებით. Федуша—თედო, Сеня—ილო, Фадей—ივანე, Степан—სისონა, Егор—გოგილო, Савва—გაბრიელ და მთელი დიალოგი აკაკის თარგმანში ისე მიმდინარეობს, თითქოს ქართველი გლეხები საუბრობენ (სახელების გაქართულებას არც რაფიელ ერისთავი ერიდება: Степанушка — თედუა, Федя — გიგო, Сеня — სანდრო და სხვ.).

აკაკის მიერ „პირველული თამადა“ (რუსულად — „Демьянова уха“) ისე ოსტატურადაა გადმოღებული, რომ მისი შინაარსი ქართული ქეიფის შთაბეჭდილებას სტოვებს (კრილოვი ჯამას აძალებს სტუმარს, აკაკი — ღვინის სმას). მკითხველმა რომ ნათლად წარმოიდგინოს, თუ როგორი ქართული ხასიათი მისცა აკაკიმ ამ რუსულ ლექსს, მოვიყვანთ ორივე ტექსტს:

Демьянова уха

„Соседушка, мой свет!
Пожалуйста, покушай!
— „Соседушка, я сыт по горло“,—„Нужды нет,
Еще тарелочку; послушай:
Ушица, ей-же-ей, на славу сварена!“
— „Я три тарелки с'ел!“—„И полно, что за счеты;
Лишь стало бы охоты,—
А то во здравье: ешь до дна!
Что за уха! Да как жирна:

---

* ამავე ლექსში „Два мужика“, სადაც ავტორს „лудо“ აქვს მოხსენებული, იქ მთარგმნელს „ნუნუა“ გაულიქსავს, ხოლო „საყინულე“ აკაკის შეცვლილი აქვს „მარანად“ („пошел в ледник за пивом“).

Как будто янтарем подернулась она!
Потешь же, миленький дружочек!
Вот лепик, потроха, вот стерляди кусочек!
Еще хоть ложечку! Да кланяйся, жена!"
Так подчивал сосед-Демьян соседа-Феку
И не давал ему ни отдыха, ни сроку;
А с Фоки уж давно катился градом пот.
Однако же еще тарелку он берет,
Собирается с последней силой,
И очищает всю. „Вот друга я люблю!"
Вскричал Демьян: „за то уж чванных не терплю.
Ну, скушай же еще тарелочку, мой милый!"
Тут бедный фока мой,
Как ни любил уху, но от беды такой,
Схватя в охапку
Кушак и шапку,—
Скорей без памяти домой,
И с той поры к Демьяну ни ногой.

Писатель, счастлив ты, коль дар прямой имеешь:
Но если помолчать во-время не умеешь,
И ближнего ушей ты не жалеешь:
То ведай, что твои и проза и стихи
Тошнее будут всем Демьяновой ухи.

ეხლა ქართულად მოვისმინოთ:

პირველი თამადა

— დალიე, ღმერთმა შეგარგოს!
გადაჭკარ, ჩეძო ძამია!
— დამაცა! რა დროსი არის,
ჯერ პურიც არ მიჭამია!
— რა ვუყოთ! ვერ მოესწრები?
წინ არ გიწყვია საქმელი?
ალავერდს მოვალ. დაიჭი,
ამ სასმისს მოჭიდე ხელი!
ოჰ, აგრე არ სჯობს? გაამოს!
ჩაყლურწე, შენი სულისა!
ახლა ეს თასიც დაცალე,
მაგანაც გამაგულისა!
— ასე ხედიხედ? რას ჩქარობ?
დამაცა, სული მოვითქვა,
უბმოხედ ღვინომ მიხამა,
გულხედ დამაწვა, როგორც ქვა!
— არა უშავს-რა, გადიღლის
„მოჭკლასო ხარი თივამო",

მასპინძლის სადღეგრძელოა
და ნუთუ გულით არ სვამო?
— არ შემიძლია და რა ვქნა?
— ეჰ, ნუ ხარ ჭირვეულიო!
ორივე ხელით იქმევა
ქადა, თუ გულობს გულიო!
აგრე არა სჯობს? შეგარგოს,
დაცალე, რისა გრცხვენია?
გწყალობდეს მაგის ზედაშე,
ხომ ხედავ ლალის წვენია!
ეს აზარფეშაც დასცალე,
შეკრული ნუ გაქვს კბილები!
უნდა დავლოცოთ მასპინძლის
კარგი ცოლი და შვილები!
— მოვკვდი, ბატონო!—რა გიშავს!
— რა ვქნა, რომ მეტს ვერ ავიტან!
— გაბედე! რა დროს ეგ არის,
მადაც მოგივა თანისთან!
რომ მოუწყინო მასპინძელს,
სირცხვილი არის ხომ იცი!
— კი, მაგრამ არ შემიძლია
არც ჯერი გადის, არც ფიცი?
ძალას ატანდა ამგვარად
ერთხელ სტუმარსა თამადა,
სტუმარს კი ნაძალადევი
ღვინო მიაჩნდა შხამადა.
არ იქნა, აღარ მოეშვა
და რომ არ მისცა საშველი,
ზე წამოვარდა სუფრიდან,
ქუდს მიატანა მან ხელი
და თავს უშველა, გაიქცა:
თავს ვერ შევსწირავ ღვინოსო,
მასპინძელიც და თამადაც
ღმერთმა კი შეარცხვინოსო!*

როგორც მკითხველი შეატყობს, აქ, გარდა ქართული შინაარსისა, ბევრი ანდაზები და გამოთქმებია ჩვენი ფოლკლორიდან ამოწარიდი: „მოჰკლასო ხარი თივამა“, „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იშმევა“... აკაკის ასეთი გამოთქმები თითქმის ყველა თარგმანში აქვს მოყვანილი: „მგელი წაიღებს ყოველთვის დედის წინ წასულ კვიცსაო“, „რა გაჩქარებდა, უტკივარს რისთვის იტკენდი თავსაო“, „შენ გეუბნები, რძალო და, მულო, შენ გაიგო-

* ეს ლექსი—„დემიანეს მასპინძლობა“—თარგმნა აგრეთვე მ. ბებუთაშვილმა (იხ. მისი კრებული, 1876 წ., გვ. 63) სათაურით „პეტრეს სადილი“, რომელიც წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ როგორ არ უნდა ითარგმნოს კრილოვი.

ნეო“, „სუყოველთვის ვერ მოიტანს კოკა წყალსო“... „საიდან საიდაო, წმინდა საბაო“. ზოგიერთ მის თარგმანს არ აკლია არც ჩვენებური „ლეკური“ და „დავლური“, არც „აზარფეშა“ და არც ქართული „მწვადები“. ერთ თარგმანში („პარნასი“) აკაკის კანდელაკების ცნობილი გალობაც აქვს გამოყენებული („ჰგონიათ რომ გალობენ ნამდვილ კანდელაკურებს“).

აკაკი, კრილოვის ლექსების თარგმნის დროს, ხშირად შოთას აფორიზმებსაც იშველიებს:

ყველას აქვს თავ-თავისი დრო,
სალხენს თუ სამწუხაროსა!
„ერთი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა“.

(„პატარა მუზა“).

ან კიდევ:

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უხის დიდი ღვარი“,
და მიტომაც გასაპირში
კაცს გაურბის მეგობარი.

(„გაპირვებაში ჩავარდნილი გლეხი“).

აკაკი რუსულ დედანს უფარდებს ჩვენს ქართულ შაირებსაც-მაგ., ვინ არ იცის ეს ხალხური შაირი:

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომც პიანურიაო—
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიაო.

ამ ლექსიდან აკაკიმ პირველი ორი სტრიქონი გადაიტანა კრილოვის არაკში და გამოვიდა ასე:

მგელი ფიქრობს: „მეც ეს მინდა
მათი სისხლი მწყურიაო!“
„გაუსვა და გამოუსვა,
ვითომ პიანურიაო“.

(„პრელი ცხვრები“).

აკაკი კრილოვის არაკების დასკვნით ნაწილს (მორალს) თავისებურად იყენებს... როგორც ცნობილია, კრილოვი ზოგჯერ ლექსის ფინალს სამ-ოთხ ხანაში ათავსებს. აკაკის ფინალი კი ყოველთვის მოკლეა (ერთი ხანა). აკაკი იგავ-არაკის მორალს ხშირად გვერდს

უელის, არ თარგმნის, ეს მაშინ, როცა არაკის აზრი ისედაც ნათელია და დასკვნას მკითხველის გონებას ანდობს. ხან კი, პირიქით, თვითონ უმატებს, თუ ასეთი ავტორს არ მოეპოება. მაგ., მშვენიერი ლექსი „ცხვრები და ძაღლები“ * ორიგინალში არ თავდება ისე, როგორც ეს მთარგმნელს—აკაკის აქვს. ამ ლექსის შინაარსი ასეთია: ერთმა მეცხვარემ მგლების შესაშინებლად ძაღლები გაიმრავლა. მართლაც, მსუნაგი მგლები ჩამოშორდნენ ცხვრის ფარას, მაგრამ იმ ძაღლებში ბევრი ავი ძაღლიც ერია და ჩვენს მეცხვარეს ფარა ნელ-ნელა შეუთხელეს. კრილოვის ლექსი აქ თავდება. მთარგმნელმა კი ამ იგავს ბოლო გაუკეთა, რომელიც ქართულად ასე ჟღერს:

და მაშინ კი სთქვა მეცხვარემ:
მგლებს რაღად ვდებდი ბრალსაო?
თ უ ნ დ ა მ გ ე ლ ს შ ე ვ უ კ ა მ ი ვ ა რ
დ ა თ უ ნ დ ა მ გ ლ ი ს ფ ე რ ძ ა ღ ლ ს ა ო.

კრილოვს ერთი არაკი აქვს „სამცოლიანი“, სადაც ავტორს ნამდვილი ამბავი ჰქონია გალექსილი. როცა ეს საქმე სასამართლოში გადასულა: დასაჯონ თუ არ დასაჯონ სამცოლიანი ყმაწვილი, ერთ მსაჯულს უთქვამს: „ჩვენ რაღა გვეთქმის. კრილოვმა ჩვენზე ადრე გამოუტანა განაჩენიო“. მართლაც, კრილოვს თავისებურად აქვს ეს საკითხი გადაჭრილი: „დამნაშავემ სამივე ცოლთან ერთად იცხოვროს და ეს იქნება მისი სასჯელიო“. როგორია ამ ლექსის დასკვნა?

И этот приговор такой надолал страх,
Что с той поры на трех женах
Никто в том царстве не женился.

აკაკიმ ეს ფინალი ასე გააკეთა:

ამ ამბავმა მთელი ხალხი
იმნაირად შეაშინა,
რომ არათუ სამი ერთად—
ძლივს მიჰყავდათ ერთიც შინა! **

რა თქმა უნდა, ამ ქართულ თარგმანში უფრო მეტი გონებამახვილობაა და წმინდა აკაკური ღიმილი.

---

* ეს არაკი ფ. რუშაველმაც გადმოიღო: „ძაღლი და ცხვრის ფარა“ („ჯეჯილი“, 1898 წ., № 3).

** ამ ლექსის ბოლო მ. ბებუთაშვილის ზუსტი თარგმნით ასე იკითხება:

„ამ განჩინებამ ასეთი შიში ჩაუგდო ერს გულში,
რომ ალარავის არ მოსდის სამი ცოლის შერთვა ფიქრში“.

ასევე ვირტუოზულად აქვს ნათარგმნი აკაკის კრილოვის „ორი ძაღლი"... ალბათ იმიტომ, რომ ამ ლექსის შინაარსი მთარგმნელს აგონებდა იმ დროინდელი ზოგიერთი მოღვაწის საქციელს, რომელნიც სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ წინწაწევას...

აკაკის გატაცება კრილოვის იგავებით არ არის შემთხვევითი მოვლენა. ორივე პოეტს ახასიათებს ნამდვილი იუმორი. ამ მხრივ ისინი გასაოცრად ენათესავებიან ერთმანეთს. მოიგონეთ აკაკის საკუთარი იგავ-არაკები (და განა მარტო იგავ-არაკები!?) „ღამურა", „კატა და ლომი", „დათვი და შინდი" და დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების სიმართლეში.

აკაკი კრილოვის არაკებს თარგმნიდა მოხასიათებით, არა სისტემატურად (1862 წ., 1889 წ., 1890 წ., 1901 წ. და 1904 წ.). კრილოვის არაკი „გამვლელი და ძაღლები" აკაკიმ პირველად თარგმნა 1862 წელს, როცა იგი 22 წლის ჭაბუკი იყო (დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" 1862 წ., № 8). 1889 წელს წერა-კითხვის საზოგადოების დავალებით და შემდეგში, 1904 წელს, იაკობ გოგებაშვილის თხოვნით აკაკიმ ხელი მოჰკიდა კრილოვის სხვა არაკების თარგმნასაც. ჟურნალი „კვალი" წერდა: „წ. კ. საზოგადოებამ შეიძინა აკაკის მიერ ნათარგმნი კრილოვის არაკები, პოეტს დაუსრულებია 300 ლექსის თარგმანი" („კვალი", 1902 წ., № 39). მაგრამ აკაკის, როგორც ვიცით, თარგმნილი აქვს არა სამასი, არამედ 152 იგავ-არაკი!.. (სამასი, იგავ-არაკი თვითონ კრილოვსაც არა აქვს შეთხზული!). აკაკის მიერ ნათარგმნი კრილოვის არაკები ცალკე წიგნად გამოვიდა რვაჯერ: 1891, 1893, 1898, 1901, 1906, 1918, 1937, 1941—და ყოველთვის დიდი ხალისით იკითხებოდა და დღესაც ისწავლება ჩვენი მოზარდი თაობის მიერ. ცნობილ პედაგოგს ილია ფერაძეს კარგად შეუნიშნავს, როცა გვიამბობს, რომ „აკაკის თარგმანს მოწაფეები ადვილად სწავლობენო" (იხ. „მწყემსი", 1895 წ., № 12).

კრილოვის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში აკაკი წერეთელმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა.

რა არის იგავ-არაკი? როგორც ცნობილია, იგავ-არაკი არის ჰატარა ფორმის სიუჟეტიანი პოემა, სადაც ალეგორიულ ხაზებში ასახულია მტკივნეული ვითარებანი იმ ეპოქისა, რომელშიაც პოეტი ცხოვრობს.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „იგავი, არაკი, ზღაპარი იმისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭურო და საზნეო პეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჰკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთ-

ში გასარჩევად... [ეს] მადლია, რომლითაც ასე გამოჩენილნი არიან ეზოპე, ლაფონტენი, გრიმმები—ძმანი, ანდერსენი, კრილოვი, საბა ორბელიანი და სხვანი,—ამ სახით მქადაგებელნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა".

იგავ-არაკების მწერალი ამისთვის იყენებს ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს, ალაპარაკებს მათ ადამიანურ ენაზე და ამრიგად, ეფარება ალეგორიის ხიღაბს.

იგავ-არაკების მამამთავრად ითვლება საბერძნეთის მწერალი ეზოპოსი, რომელიც ცხოვრობდა ჩვენს ერამდე მეექვსე საუკუნეში *.

საფრანგეთის მწერალმა ჟან ლაფონტენმა მშვენივრად გაიგო ეზოპის ენა და თავისი ეპოქის პერსონაჟები მკვეთრ სახეებში ჩამოაყალიბა.

დამსახურება კრილოვისა, როგორც იგავ-არაკთა მწერლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის იგავ-არაკებს ჩაჰბერა ეროვნული სული, მოუნახა მშობლიური ნიადაგი და გადაიქცა რუსეთის უდიდეს ნაციონალურ პოეტად.

მარტო ის რად ღირს, რომ დღეს კრილოვი ოც სხვადასხვა უცხო ენაზეა ნათარგმნი!

აკაკი წერეთელი არ არის კრილოვის ჩვეულებრივი მთარგმნელი. კრილოვს საქართველოში თხუთმეტზედე მთარგმნელი ჰყავ-

---

* საქართველოში ეზოპოსს ჩვენი ძველები კარგად იცნობდნენ (თარგმანები დარჩენილია ხელთნაწერებად). ეზოპოსის იგავ-არაკები ქართულ ენაზე პირველად დაიბეჭდა ვენეციაში. აი, ამ წიგნის სათაურიც: „იგავნი იეზებოს ფილოსოფოსისანნი, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა, ვენეტიკს, 1859 წელსა". ხოლო ეზოპოსის არაკები ლეკსად გარდათქვა ბ. დავითაშვილმა („ბენთის" ცნობილმა მთარგმნელმა) და დაბეჭდა კიდეც ქ. კავკაზში 1897 წელს (სხვათა შორის, ეს პირველი წიგნია კავკაზში ქართულ ენაზე დაბეჭდილი).

ეზოპოსის ერთი არაკი—„ქურდისა და ძაღლის ისტორია"—სთარგმნა ალექსანდრე ჭავჭავაძემაც (იხ. „ალექსანდრე ჭავჭავაძე", ი. გრიშაშვილის რედაქციით გამოცემული 1940 წ., გვ. 168).

უნდა ითქვას, რომ ეზოპოსის იგავ-არაკების ქართული თარგმანები პირველად „ჯეჯილში" იბეჭდებოდა. გარდა ზემორე მოხსენებულ ბ. დავითაშვილის თარგმანებისა, „ჯეჯილში" გამოქვეყნდა აგრეთვე მიხ. ლელაშვილის თარგმანები (იხ. „ჯეჯილი", 1893 წ., № 3), დ. მესხის თარგმანები („ჯეჯილი", 1896 წ., № 12) ა. შანშიაშვილის თარგმანები (იხ. „ნაკადული", მც. წლ., 1911 წ., № 24; და 1911 წ., № 6) და სხვ.

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" კრილოვის იუბილესთან დაკავშირებით, დაბეჭდა ეზოპოსის იგავ-არაკები, ძველი ხელთნაწერებიდან ამოკრეფილნი, ს. იორდანიშვილის რედაქციით და წინათქმით.

და, მაგრამ ვერც ერთი ვერ მიეიდა ხალხის გულამდე. შთამომავლობამ მხოლოდ აკაკი დაიმახსოვრა, შეიძლება პარალელის გაყვანაც: კრილოვამდე და მის შემდეგაც რუსეთში ბევრი მეიგავე იყო: სუმაროკოვი, ხემინცერი, დიმიტრიევი, იზმაილოვი, პუშკინის ბიძა ვ. ლ. პუშკინი და სხვა, მაგრამ რუსულ ლიტერატურას მხოლოდ კრილოვი შერჩა. კრილოვი და აკაკი განუყრელი სახელები არიან ჩვენში. ბელინსკი წერდა: „კრილოვმა შეჰქმნა ნაციონალური რუსული იგავ-არაკი და ამით პირველმა შეიტანა რუსულ ლიტერატურაში ხალხურობის ელემენტიო“. ასევე ითქმის აკაკი წერეთელზეც... მათი სიტყვების ძარღვი ანდაზებად გადავიდა ხალხში.

ორივე პოეტი ქართველ ხალხს ღირსეულად უყვარს.

1944 წ.

მ ი ნ ა წ ე რ ი:

1944 წელს იევანე კრილოვის გარდაცვალებიდან 100 წლის თარიღის აღსანიშნავად, სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა კრილოვის იგავ-არაკების ს რ უ ლ ი კრებული (რედაქტორი, ი. გრიშაშვილი, წინასიტყვაობა—პროფ. ს. დანელია, რუსული ტექსტისა და ქართული თარგმანების შედარებითი ხუსხის ავტორი — პ. ინგოროყვა), რადგან ამ საიუბილეო გამოცემაში საჭირო იყო კრილოვის ყველა იგავ-არაკის ქართულად მოთავსება, ამიტომ რაც ძველ მთარგმნელებს (გრ. ორბელიანი, აკაკი, რ. ერისთავი) გამორჩათ, ის შეასრულეს საბჭოთა მწერლებმა: კ. ჭიჭინაძემ, ალ. აბაშელმა, მარიჯანმა, ხ. ვარდოშვილმა, ი. მოსაშვილმა, იასამანმა, დ. გაჩეჩილაძემ, ვ. გორგაძემ, გრ. ცეცხლაძემ და ი. გრიშაშვილმა. ასე რომ დღევანდელ საბჭოთა მკითხველს ხელთა აქვს დიდი რუსი მწერლის კრილოვის 200 იგავ-არაკის სრული კრებული ქართულ ენაზე.

ა. ნ. ოსტროვსკი საქართველოში

ეს იყო მე-19 საუკუნის 80-იან წლებში.

1883 წლის დასაწყისში ა. ნ. ოსტროვსკი (1823 — 1886) უქეიფოდ შეიქნა. უჩიოდა ნერვების დაწეწვას და უძილობას. ექიმებმა ყირიმში წასვლა ურჩიეს, მაგრამ სწორედ ამ ხანებში ა. ნ. ოსტროვსკის უმცროსი ძმა მიხეილი (1827—1901), იმ დროს მაღალი თანამდებობის პირი—სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, სამსახურის გამო, თბილისში მოემგზავრებოდა და დრამატურგმაც ყირიმს თბილისი ამჯობინა.

ძმები 1883 წლის 27 სექტემბერს გამოვიდნენ მოსკოვიდან, 1 ოქტომბერს კავკაზში იყვნენ და იქიდან სამხედრო გზით ჩამოვიდნენ თბილისს. დრამატურგმა მთელი ოქტომბერი საქართველოში გაატარა. საქართველოს ჰავამ ოსტროვსკი მოასულიერა. „კავკასიაში მოგზაურობამ დიდად მასიამოვნა და დიდად მასარგებლაო",—წერდა ოსტროვსკი ერთ კერძო ბარათში. დრამატურგს აჩვენეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, დაათარეს მუზეუმები, გაასეირნეს ორთაჭალის ბაღებისაკენ, ცნობილ ფოტოგრაფ ერმაკოვთან გადაიღო სურათი. იყო მუხრანში და იგემა ქართული რთველის სინოყიერე (კახეთში წასვლა ვერ მოახერხა), შემდეგ გაემგზავრა ბათუმს, იყო ბაქოში იქაური ნავთის სამრეწველოების დასათვალიერებლად, მაგრამ თბილისმა და თბილისის არტისტებთან შეხვედრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მწერალზე.

ხმა ოსტროვსკის ჩამოსვლის შესახებ სწრაფად დაირხა საქართველოში. ყველაზე ადრე ოსტროვსკის ჩამოსვლას ქართული თეატრი გამოეხმაურა, მით უფრო რომ ქართველი საზოგადოება ამ დროს უკვე კარგად იცნობდა ოსტროვსკის, რომლის პიესებიც ჯერ კიდევ 1874 წელს იდგმებოდა ქუთაისის ქართულ სცენაზე. *

* ამ მხრივ კურიოზს წარმოადგენს 1937 წელს გამოცემული ერთი წიგნაკი: „Островский на сцене периферийного театра" აქ ჩამოთვლილია 14 სხვადასხვა ერი, რომელთა ენაზე იდგმებოდა და იდგმება ოსტროვსკის პიესები, მათ შორის არ არის მოხსენებული ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი, თუმცა შესაფერი მასალა საკმაოდ არსებობს რუსულ პრესაშიაც.

ქართველმა არტისტებმა ვასო აბაშიძის მეთაურობით 1883 წელს, 20 ოქტომბერს, ქართულ თეატრში (ამჟამად გრიბოედოვის თეატრში) მოაწყეს საზეიმო საღამო ოსტროვსკის შესახვედრად. მაშინდელი გაზეთები ასე აუწყებდნენ თავიანთ მკითხველებს: „ხუთშაბათს, 20 ოქტომბერს, ქართული დრამატიული დასი წარმოდგენას გამართავს, რომელზედაც მოწვეულია რუსეთის განთქმული დრამატურგი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკი, ამ საღამოს ღირსეული სტუმრის კომედიიდან „შეჭოსავლიანი ადგილი"—რამდენიმე სურათი იქნება წარმოდგენილი და აგრეთვე იმისთანა ორიგინალური სცენები, სადაც ოსტროვსკის შეეძლება ჩვენებური ტანთსაცმელებისა და თამაშობის ნახვა" *.

მართლაც, ამ საღამოს ჩვენმა დასმა დადგა ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი" (მეორე მოქმედება), ასიკო ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ" (პირველი მოქმედება) და გ. სუნდუკიანცის ვოდევილი „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია"; დასასრულ სტუმარს აჩვენეს ქართული ცეკვა („ლეკური").

საგულისხმო იყო ოსტროვსკის მიღების ზეიმიც. თეატრის კარმიდამო ყვავილებით და ღარადელათი იყო მორთული **. თეატრის შესავალთან მოეწყოთ „ტრანსპარანტი", რომელზედაც დიდი ასოებით ეწერა: „სალამი მხცოვანს დრამატურგს. 20 ოქტომბერი, 1883 წელი". თეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი... სრულ $7^1/_2$ საათზე დაუკრა ზურნამ. ჩირაღდნებით გაჩაღებულს კიბეზედ ავიდა ა. ნ. ოსტროვსკი და მისთვის მომზადებული ლოჟისკენ გაემართა. როცა ხალხმა ცნობილი დრამატურგი ლოჟაში დაინახა, ტაშით მიეგება. ორკესტრმა დაუკრა „ქართულ მარშად წოდებული მრავალჟამიერი", შემდეგ საზანდრებმა დაუკრეს „ჰეირანი" *** და ფარდაც აიხადა. სცენაზე იყო მთელი დასი ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ხოლო ვ. აბაშიძეს და ა. ცაგარელს ფრაკები ეცვათ, რადგან სიტყვით უნდა მიელოცათ სტუმრისათვის. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, ვასო აბაშიძემ მიმართა ოსტროვსკის რუსულად:

„ძვირფასო ჩვენო მოძღვარო!

ახალგაზრდა ამხანაგობა ქართულის დრამატიულის დასისა აღტაცებით დღესასწაულობს იმ დღეს, რა დღესაც რუსეთის ეროვნული დრამის შემომქმედმა ინება ქართულს თეატრში მობრძანება,

---

* იხ. „დროება", 1883 წ., № 207.

** ღარადელა—ყვავილების წნელი, გირლიანდი.

*** ჰეირანი—აღტაცების ჰიმნი.

როდესაც ჩვენ ვაცნობთ ჩვენს საზოგადოებას თქვენს უკვდავ ქმნილებათა, ჩვენ ვგრძნობთ, რომ იგი ტაშს გვიკრავს არა ჩვენ, ტაშს უკრავს არა ჩვენს ხელოვნებას, არამედ დიდს დრამატურგს, რომელმაც თავისი საკვირველი ნამოქმედარნი გააცხოველა და მოჰფინა ნათელი საზოგადო ჰუმანური დედა-აზრისა და სიმართლისა, ყველა ხალხთათვის ერთგვარად ძვირფასისა... ჩვენ, ხელოვნების აღმოსავლეთისაკენ გადმომრგველნი, დავრწმუნდით და სხვანიც დავარწმუნეთ, რომ თქვენს წმინდა რუსეთის სურათებს შეუძლიან აუღელვონ გული და გონება არა მარტო რუსეთის საზოგადოებას. თქვენი დიდი სახელი ისეთივე სასიქადულოა აქ, საქართველოში, როგორც იქ, რუსეთში; დიდად და დიდად ბედნიერი ყართ, რომ ჩვენ შეგეხვდა ვიყვნეთ თქვენთა ქმნილებათა მეოხებით შუამავალ ზნეობრივისა კავშირისა ამ ორ ხალხს შორის, რომელთაც ბევრი აქვთ საერთოდ მისაღწევი და რომელთა შორის არსებობს ერთმანეთისადმი სიყვარული და თანაგრძნობა" *.

ამ ადრესის წაკითხვის შემდეგ, როგორც „დროება" გადმოგვცემს, მთელი საზოგადოება ფეხზე წამომდგარა, ოსტროვსკის ლოჟისაკენ მიბრუნებულა და აღტაცებულის ტაშის კვრით განუცხადებია თავისი თანაგრძნობა მაღალნიჭიერი სტუმრისათვის.

ვასო აბაშიძის სიტყვის შემდეგ ახალგაზრდა დრამატურგ გ. ავქ. ცაგარელმა წაუკითხა საკუთარი ლექსი:

სათაყვანოთ მოგვეგებვის
ძვირფას სტუმარს ჩვენი დასი,
უანგარო მასწავლებელს
ქება გეძღვნის ასჯერ ასი.
სულის საზრდო მოგვანიჭე
ხორციელად უცხო ტომსა,
ქედმოდრეკით გულს გაგიშლით
ხალხის ნაღვლით შენაკრთომსა... და სხვ.

ამ ლექსის შემდეგ ორკესტრმა შეასრულა კომპოზიტორ დეკერ-შენსკის მიერ ნოტებზე გადაღებული „მრავალ-ჟამიერი," რომელსაც თვით მუსიკოსი ლოტბარობდა **.

ჩვენმა არტისტებმა ამ საღამოს ჩინებულად ითამაშეს პატივცემული სტუმრის „შემოსავლიანი ადგილის" ერთი მოქმედება,

---

* იხ. „დროება", 1883 წ., № 211, ვასო აბაშიძის მიერ რუსულად ნათქვამი ეს სიტყვა დაიბეჭდა გაზ. „კავკაზში", 1883 წ., №237. ქართული თარგმანი ეკუთვნის „დროების" რედაქციას.

** დეკერშენსკის ერთი ოპერა „ჰაჯი-მურადი" (ლიბრეტო. ოსეტროვისა) პეტერბურგში წარმოადგინეს 1887 წელს (იხ, „ივერია", 1887 წ., № 25).

მათ დაამტკიცეს თავიანთი ნიჭის სიმძლავრე და თარგმნილ პიესებშიაც გამოიჩინეს დიდი არტისტული უნარი.

პიესის გათაევების შემდეგ ავტორს მიართვეს დაფნის გვირგვინი. ანტრაქტის დროს ოსტროვსკი ეწვია კულისებს და ყველა მოთამაშეს მადლობა გადაუხადა...

ქართველი არტისტები და ქართული პიესები ისე ღრმად ჩარჩენია ოსტროვსკის გულში, რომ მას თავის დღიურშიაც აღუნიშნავს ეს ქართული ამბავი:

„... საღამოთი არწრუნის თეატრში ქართველებმა გამიმართეს წარმოდგენა,— წერს დრამატურგი 1883 წ. 20 ოქტომბრის თარიღით,—ქარვასლის შესავალი მთლად გაჩირაღდნებული იყო. შესაველის პირდაპირ ყვავილებით მორთულ ქარვასლის კედლებზე გამოეკიდათ ტრანსპარანტი ჩემი ვენზელით. ჭუჩაში, თეატრის შესავალთან, კიბეებზე და ქარვასლის ეზოში თავი მოეყარა აუარებელ ხალხს. როცა მე მივედი, ქარვასლის დერეფანი, საიდანაც თეატრში უნდა შევსულიყავი, განათებული იყო ბენგალის ჩირაღებით. ქართულმა ორკესტრმა დაუკრა რაღაც მარშის მსგავსი. ჩემთვის მოემზადებინათ შუა ლოჟა, რომელიც მთლად ყვავილებით იყო მორთული, გირლიანდები ლოჟიდან ძირს, იატაკამდე იყო ჩაფენილი. ლოჟაში გამოვჩნდი თუ არა, დავინახე, რომ მთელი ქართული დასი, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი, სცენაზე იდგა. დასის რეჟისორმა მეტად გულთბილი და ჰკვიანური ადრესი წაიკითხა ჩემდამი მოძღვნილი, ხოლო ქართველმა პოეტმა ცაგარელმა წარმოსთქვა საკუთარი ლექსი ქართულ ენაზე. შემდეგ, ორკესტრის აკომპანიმენტით, დასმა იმღერა ქართულად „მრავალჟამიერ“, მთელი საზოგადოება წამოდგა და ჩემს ლოჟისაკენ იბრუნა პირი, მრავალჟამიერი“, საზოგადოების თხოვნით, განმეორებულ იქნა. მე, რასაკვირველია, თავს ვუკრავედი და მადლობას ვუცხადებდი ყველას, როგორც დამსწრე საზოგადოებას, ისე არტისტებს... პირველად ითამაშეს, — განაგრძობს ოსტროვსკი, — „შემოსავლიანი ადგილის“ მეორე მოქმედება. ფელისატ გერასიმეს ასულის, პოლინას და იუსოვის როლები ძალიან კარგად შეასრულეს. პიესის გათაევების შემდეგ კვლავ ოვაცია გამიმართეს, ტაშის გრიალს დასასრული არა ჰქონდა, ასე რომ ბევრი თავის დაკვრისაგან თითქმის დავიღალე. ანტრაქტის დროს დასის წარმომადგენლებმა ლოჟაში შემომიტანეს წაკითხული ადრესი და დაფნის გვირგვინი ქართველ მსახიობთა სახელით. შემდეგ ითამაშეს ორი პატარა პიესა. ერთი მათგანი წმინდა საყოფაცხოვრებო პიესა იყო ქართული გლეხური სინამდვილიდან აღებული, რომელიც რაღაც

შეთანხმებას და გარიგებას გამოხატავდა ქართული მუსიკით, სიმღერით, ცეკვით და თავისებური ზნე-ჩვეულებით; ძალიან საინტერესო წარმოდგენა იყო (ლაპარაკია ა. ცაგარლის პიესაზე „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ი. გ.). დასასრულ დივერტისმენტის სახით ძვირფასად გამოწყობილმა ქალ-ვაჟმა იცეკვა ლეკური. წარმოდგენის გათავების შემდეგ, თეატრიდან რომ გამოვდიოდი, იგივე ოვაციები განმეორდა, როგორც პირველად, თეატრში შესვლისას“ *.

სამწუხაროდ, ოსტროვსკი თავის დღიურებში არ იხსენიებს იმ მოღვაწეთა გვარებს, რომელთა ინიციატივითაც გაიმართა ეს ზეიმი. ესენი იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, ვასო აბაშიძე, გიორგი თუმანიშვილი, დავით ერისთავი და სხვ. ხოლო ის სამი მსახიობი, რომელიც მოსწონებია დრამატურგს, იყვნენ: ნატო გაბუნია (ფელისატ გერასიმეს ასული კუკუშკინა), მაკო საფაროვ-აბაშიძისა (პოლინა) და ვასო აბაშიძე (იუსოვი).

აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ერთი ფაქტი, რომელიც მაშინდელ პრესაში ინციდენტად გასაღდა. ოსტროვსკის საღამოზე, ქართული პიესების წარმოდგენის დროს, დამსწრე საზოგადოება ოსტროვსკისთან ერთად, ჩვენს დრამატურგებსაც უკრავდა ტაშს. ესენი იყვნენ: ასიკო ცაგარელი და გ. სუნდუკიანცი. გაზ. „დროების“ რეცენზენტი აუგად იხსენიებს ამ მოვლენას. იგი წერს: „აქ ერთი გარემოება უნდა მოვიხსენიოთ, რომელიც თუმცა არ შეეხება ამ წერილის საგანს, მაინც შენიშვნის ღირსია. საღამო 20 ოქტომბერს სრულიად ოსტროვსკისა უნდა ყოფილიყო. საზოგადოების რომელიმე ნაწილი კი დიდის ტაშის კვრით იხმობდა გაბ. სუნდუკიანცს და ცაგარელს. ამათი გამოხმობა მეტი იყო, ჯერ იმისათვის, რომ საღამო იყო გამართული ოსტროვსკის პატივსაცემად, მეორე მისთვის, რომ სუნდუკიანცის და ცაგარლის პიესები არა ერთხელ უნახავს ჩვენ საზოგადოებას, მესამედ მისთვის კიდევ, რომ ამ ავტორების საუკეთესო პიესებად არ ჩაითვლებიან წარმოდგენილი პიესები; ეს გარემოება მით უფრო შესამჩნევი შეიქნა, რომ გ. სუნდუკიანცი მართებულად არ მოიქცა და საზოგადოებას მადლობა ოსტროვსკის ლოჟიდამ გადაუხადა, ესეთი შეუსაბამო საქციელი გ. სუნდუკიანცს ბევრმა უზრდელობაში ჩამოართვა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულიად სამართლიანადაც“. **

---

* იხ. „Юбилейный сборник“, 1923 წ., გვ. 13 ოსტროვსკისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს დასწრებია დრამატურგის ძმა მიხეილ ოსტროვსკი—სახელმწიფო ქონებათა მინისტრი და ბევრი სხვა წარჩინებული პირი.

** იხ. „დროება“, 1883 წ., № 213.

ჩემის აზრით, შენიშვნის ღირსი თვითონ ეს შენიშვნაა. ასეთი წერილი მომენტისათვის უეჭველად შეუფერებლი იყო. სხვა არა იყოს-რა, ამ საღამოს თამაშობდნენ ცაგარლის და სუნდუკიანცის პიესებსაც და ხალხს შეეძლო თავისი აღტაცება გამოეთქვა ჩვენი დრამატურგების მიმართაც. ამ დაუმსახურებელ ამბავს გ. სუნდუკიანცი ისე აუღელვებია, რომ მას საპასუხო წერილიც კი დაუწერია. აი მისი ქართული ბარათიც „დროების“ რედაქციის მიმართ:

„ბატონო რედაქტორო!

გაზეთ „დროების“ 213 ნომერში, თქვენ დაბეჭდეთ ა. ნა-ლის (ალექსანდრე ნანეიშვილი. ი. გ.) წერილი, რომელშიაც აწერილია 20 ოქტომბერს გამართული წარმოდგენა გამოჩენილი დრამატურგის ა. ნ. ოსტროვსკის პატივსაცემად. იმ წერილში ჩემს შესახებ სწერაა შემდეგი: „სუნდუკიანცი მართებულად არ მოიქცა და საზოგადოებას მადლობა ოსტროვსკის ლოჟიდან გადაუხადა. ესეთი შეუსაბამო საქციელი გ. სუნდუკიანცს ბევრმა უზრდელობაში ჩამოართვა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულიად სამართლიანადაც“.

მე მინდა მოგახსენოთ, ბატონო რედაქტორო, რომ ხსენებული წარმოდგენის დასაწყისში ნ. ნიკოლაძე, რომელიც ოსტროვსკის ლოჟაში ელაპარაკებოდა, ჩამოვიდა პარტერში, პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და მითხრა, რომ მე თვითონ ბ. ოსტროვსკის წინაშე უნდა წარგადგინოთო და ამისათვის, როდესაც განიშნოთ, იმავე წამს ავდგითო. მე მოვახსენე ბ. ნიკოლაძეს, რომ ბ. ოსტროვსკი უკვე მიცნობს და, მაშასადამე, სრულიად საჭირო არ არის ჩემი ხელახლად წარდგენა-მეთქი. ბ. ნიკოლაძე არ მომეშვა და მითხრა, რომ მართალია ბ. ოსტროვსკი, როგორც თითონა სთქვა, უკვე გიცნობთ, მაგრამ რადგანაც მე მას დაეპირდი, რომ აქაურ მწერლებს წარმოგიდგენთო, კარგი არ იქნება, რომ თქვენ იქ არ იყოთო. მეტი ღონე არა მქონდა, დაეთანხმდი. ჩემი პიესის დაწყებამდე ბ. ნიკოლაძე კიდევ მოვიდა ჩემთან, თავისი თხოვნა განიმეორა და თანაც დაუმატა, რომ როდესაც თქვენს პიესას მორჩებიან, უსათუოდ მოგელოდებითო. გათავდა თუ არა პიესა, მე მაშინვე ზევით ავედი და მინამ ბ. ნიკოლაძეს კარიდორში ველაპარაკებოდი, ა. ნ. ოსტროვსკი თავისი ლოჟიდან გამობრძანდა და დამინახა თუ არა, მიბრძანა: „პუბლიკა თქვენ გეძახით, მოდით მალე, მადლობა გადაუხადეთ“. და ამ სიტყვებით შემიყვანა თავის ლოჟაში, საიდანაც პუბლიკას მადლობა გადაეუხადე.

უმართებულოდ და უზრდელად მოვქცეულვარ თუ არა, ეს მკითხველისათვის მიმინდვია.

გაბრიელ სუნდუკიანცი“

(„დროება“, 1883 წ., № 219).

ქართული თეატრის ისტორიაში 1883 და 1884 წლები მაინც-დამაინც ბრწყინვალე სეზონად ვერ ჩაითვლება. დრამატიული საზოგადოება საქმეს ვერ უძღვებოდა. არტისტები კინკლაობდნენ, მსახიობებს ხელმძღვანელები არა ჰყავდათ. ლადო მესხიშვილი, კ. მესხი და კ. უიფიანი სცენაზე იშვიათად გამოდიოდნენ. დრამატურგმა ცაგარელმა რკინისგზაზე დაიწყო სამსახური. ბურთი და მოედანი მხოლოდ „ლეკურს“ დარჩა. თვით საზოგადოებასაც ჯერ კიდევ ვერ შეეგნო ჩვენი თეატრის დიდი როლი ქართული კულტურის საქმეში. ის არამც თუ ეხმარებოდა, პირიქით, გაურბოდა კიდეც. აი, რას ვკითხულობთ „დროებაში“:

„6 ოქტომბერს ქართულად წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და „მეჯლისი იტალიელებით“, ხალხი წარმოდგენაზე ბევრი არ დაესწრო, ასე, რომ ხარჯმა შემოსავალს ოთხი ათაზით აჯობა. ამბობენ, ხალხი იმიტომ იყო ცოტა, რომ ქმრები თავიანთ ცოლებს იქვიანობის გამო საზოგადო ყრილობებში არ უშვებენო“ („დროება“, 1883 წ., № 205).

ჩვენი მსახიობები ამ დროს სრულიად ახალგაზრდები იყვნენ. სამი-ოთხი-წლის სტაჟიანები, გამოუცდელები და ურეჟისორონი. გარდა ამისა, დიდ მატერიალურ გაჭირვებასაც განიცდიდნენ. რუსეთის დიდ დრამატურგს სურდა თავისი ავტორიტეტის გავლენით ქართული თეატრის ნაკლი გამოესწორებინა. კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვის (1859—1935) სიტყვით: „ოსტროვსკი დიდხანს ესაუბრებოდა ქართველ არტისტებს, ბრუნწოდებდა შეექმნათ და მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებინათ მუდმივი ორგანიზებული დასი, თავი დაეღწიათ ნახევრად სცენის მოყვარულ მდგომარეობისათვის, რომელშიაც ქართული თეატრი იმყოფებოდა იმ დროს... ქართული ნორჩი დრამატურგია, — განაგრძობს კომპოზიტორი,— ოსტროვსკის ბოეწონა და მის რეალურ მიმართულებას საწინდრად სთვლიდა მომავალი ქართული თეატრის განსაკითარებლად. ოსტროვსკიმ ა. მ. დუნდუკოვ-კორსაკოვთან საუბრის დროს სიტყვა ჩამოაგდო ქართულ თეატრზე და ის აზრი გამოსთქვა, რომ აუცილებელია ახლად ფეხადგმულ ქართულ თეატრს სახელმწიფოსაგან მატერიალური დახმარება გაეწიოსო, მაგრამ,—დასძენს იპოლიტოვ-ივანოვი,— ოსტროვსკის ეს ხურვილი, რასაკვირველია, უშედეგოდ დარჩაო“*.

ჩვენი არტისტების ბუნებრივ თამაშობას, რუსეთის დიდ დრა-

* იხ. М. М. Ипполитов-Иванов, „Воспоминания“, 1934 წ., გვ. 67.

მატურგზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია, იგი არ ივიწყებდა ქართველ არტისტებთან შეხვედრას და ეს აღტაცება მან წერილობითაც დაგვიტოვა. განსაკუთრებით მოსწონებია მ. საფაროვ-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია. ეს უკანასკნელი „აშკარად განირჩეოდა თავის ახალგაზრდა ამხანაგებს შორის". აი, 24 წლის ნატოს, ამ შეხვედრის შესახებ, რა ჩაუწერია თავის დღიურში:

„... 1883 წელს ტფილისში მოვიდა ცნობილი, რუსეთის გამოჩენილი დრამატურგი ოსტროვსკი. ვითამაშეთ მისი პიესა „შემოსავლიანი ადგილი". მე ვთამაშობდი კუკუშკინას როლს. დრამატურგს საზოგადოებამ დაფნის გვირგვინი მიართვა ლოჟაში ავჭსენტი ცაგარლის ხელით. წარმოდგენის შემდეგ კულისებში შემოვიდა... როცა გიორგი თუმანიშვილმა წარმადგინა და უთხრა ჩემზე: აი, კუკუშკინას როლს ეს თამაშობდაო, მაშინ გამომიწოდა ხელი და ხელზე მაკოცა. მეც ნაცელად გადავეხვიე და ვაკოცე. ოსტროვსკის ცრემლები მოერია და წარმოსთქვა: „კავკასიაში მოსვლას ვფიქრობდი, მაგრამ ვერ მოვიფიქრებდი, თუ ჩემს პიესას ქართულ ენაზე ნათამაშევს ვნახავდი და მასთან ამისთანა ახალგაზრდა მსახიობი ქალი ასე კარგად დამიხატავდა კუკუშკინას როლსო"*.

ღრმად მოხუცებულმა მარიამ საფაროვ-აბაშიძემ, პირადი საუბრის დროს, დიდის მღელვარებით მოიგონა ის წუთი, როცა ოსტროვსკიმ შემდეგი სიტყვებით მიმართა ცქრიალა მსახიობს: „Пока вы живы, моя Полина не умрёт".

ქართულ პრესაში სიტყვა „ოსტროვსკი" პირველად გვხვდება 1863 წელს (იხ. „ცისკარი", № 1.—ანტონ ფურცელაძის წერილი); მეორედ—1868 წელს. დ. ე. (დავით ერისთავი) პეტერბურგიდან მოწერილ ფელეტონის დასასრულში ამბობს: „...მართლა, მომაგონდა: ოსტროვსკი თურმე სწერს ახალ კომედიას, რომელიც ჩვენ, ქართველებს შეგვეხება, იცით რათა? იმ პიესას ეწოდება „კავკასიის სასიძოები" („Кавказские женихи"), ეხლა ხომ გაიგეთ? ძალიან სამწუხაროა, რომ ქვეყანა ამ მხრით გვიცნობს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ მართალია"**.

დავით ერისთავის მიერ გულისტკივილით ნათქვამი ეს სიტყვები

* იხ. „საქ. მოამბე", 1909 წ., № 5. ეს სიტყვები რუსულად ასეა მოყვანილი: „Знал, что Грузия прекрасная страна: но не думал, что Грузинка так прекрасно сумеет нарисовать мой тип" („На Кавказе", 1909 წ., № 6).

** იხ. „დროება", 1868 წ., № 51. 20 დეკემბ.

მაშინდელი ინტელიგენციის საერთო გულისტკივილი იყო. ძველი რუსეთი, ერთი მწერლის მოხდენილი დახასიათებით, საქართველოში გზავნიდა ჟანდარმებს, ჩინოვნიკებს და არასოდეს არ უფიქრია მწერლის გამოგზავნა, რომ დაკვირვებით გაცნობოდა ჩვენს მწერლობას, ჩვენს კულტურას, ჩვენი ხელოვნების მიღწევებს და სხვ. ერთი ჩემი ლექსისა არ იყოს:

ძველი რუსეთი გვიცნობდა მხოლოდ
ჩოხებით, ხმლებით და ლეკურებით.

საქართველოს მშრომელნი კი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ რუსეთის მოწინავე ადამიანებისადმი. ამ სიყვარულის გამოვლინებას ემსახურებოდა თეატრიც, რომელიც სცენიდან ქადაგებდა ერების სოლიდარობას და ამ სფეროში მსახიობი ერთგვარი შეუვალობის უფლებით სარგებლობდა:

დაე სუყველამ იბედნიეროს
თვის სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძმე იყონ ერთი მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში.

(აკაკი)

სწორედ ამ მეგობრობით აიხსნება ის გარემოება, რომ ახლად დაარსებული ქართული მუდმივი დასის მეორე წარმოდგენად რუსი დრამატურგის ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი" იყო გათამაშებული*.

ოსტროვსკის სიცოცხლის დროს ჩვენს თეატრს მისი მხოლოდ სამი პიესა ჰქონდა ქართულად ნათარგმნი — „შემოსავლიანი ადგილი", „შრომით ნაშოვნი პური" და „ბალზამინოვის ქორწინება", ხოლო სცენაზე დადგმის მხრივ პირველი პიესა „შემოსავლიანი ადგილი" იყო, რომელიც ყველაზე ადრე დაიდგა ქუთაისში, 1874 წელს, 10 ნოემბერს (თარგმანი ალექსი პიპინაძისა და ი. მიქელაძისა).

ამ წარმოდგენის შესახებ აკაკის რეცენზიაა დაბეჭდილი „დროებაში" სათაურით: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს", საიდანაც ჩანს, რომ ქართველ სცენისმოყვარეთა ერთ ჯგუფს, ვასო აბაშიძეს, კოტე მესხს, ეფ. კლდიაშვილს, ანტ. ლორთქიფანიძეს და ქართულად

* 1879 წელს პირველ წარმოდგენად დაიდგა ბარბარე ჯორჯაძის ორიგინალური კომედია: „რას ვეძებდი, რა ვპოვე" (1879 წ. 5 სექტემბერს), ხოლო მეორე წარმოდგენად ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი" (ეს პიესა თბილისში პირველად დაიდგა 1879 წ. 15 სექტემბერს.

მოლაპარაკე ქუთათურ სომეხთა (ბარხუდარიანის, ტერ-სტეფანოვის და არამიანცის) დახმარებით ისე კარგად უთამაშნიათ ზემორე ხსენებული ოსტროვსკის „შემოსაელიანი ადგილი“, რომ დამსწრე საზოგადოებას არტისტებთან ერთად პიესის მთარგმნელებიც (ა. ჭიჭინაძე და ი. მიქელაძე) გამოუძახიათ სცენაზე „მადლობის სათქმელად“ (იხ. აკაკის ფელეტონი, „დროება“, 1874 წ., № 450).

საინტერესოა ერთი რამ: იმ დროს, როცა თბილისის სცენისმოყვარენი 1874-78 წლებში ხან ჩითახოვის მამულში (რუსთაველის თეატრის პირდაპირ), ხან მუსიკალური საზოგადოების დარბაზში (იარმუკაში), ხან ინჟენრების ბაღში (ყოფ. ვოდოვოზნის ქუჩაზე) თამაშობდნენ მხოლოდ და მხოლოდ ქართულ კომედიებს და ვოდევილებს, ქუთაისში ეგრეთ წოდებულ „სამეფო სახლში“ იდგმებოდა რუსული და ევროპული პიესები.*

მუდმივი დასის დაარსებამდე (1879 წლამდე), ქუთაისში უთამაშნიათ „ფიგაროს ქორწინება“, „სკაპენის ცუღლუტობა“, „მედეა“, „შემოსაელიანი ადგილი“ და სხვ.

გაზეთების ცნობით, ვასო აბაშიძე პირველად ქუთაისის სცენაზე გამოსულა ოსტროვსკის „შემოსაელიან ადგილში“ (1874 წ.). იგი ჯერ კიდევ 20 წლის ჰაბუკი იყო, როცა ხსენებულ პიესაში ჩინოვნიკ ბელოგუბოვის როლი შეასრულა**.

რაც შეეხება თბილისს, აქ „შემოსაელიანი ადგილი“ პირველად დაიდგა 1879 წ. 15 სექტემბერს. ქუთაისიდან მოწერილი წერილებიდან ქართველი საზოგადოება ადრეც იცნობდა ოსტროვსკის პიესებს და მოუთმენლად ელოდა მათ განსახიერებას სცენაზე...

„დროება“ სწერს: „შემოსაელიანი ადგილი“ ერთი უმშვენიე-

---

* ერთი რთული პიესაც უთამაშნიათ ქუთაისში—გ. სუნდუკიანცის „პეპო“. პეპოს როლი შეუსრულებია ვინმე ქურციკიძეს („დროება“, 1874 წ.. № 448). მასალების განხილვის მიხედვით, ქუთაისი უფრო თეატრალურ ქალაქად მოსჩანს, ვიდრე თბილისი. ქართული წარმოდგენების დადგმის მხრივ ქუთაისს პირველობა ენიჭება. გაიხსენეთ თუნდაც დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით დადგმული გ. ერისთავის „გაყრა“, 1861 წელს.

** თუ აკაკის წერილს დაეუჯერებთ (იხ. „დროება“, 1874 წ., № 450), ვასო აბაშიძე ცოტა ადრეც უნდა იყოს გამოსული ქუთაისის სცენაზე. იმავე წერილში აკაკი ამბობს: „...გამიკვირდა, რომ განცხადებაში არ იყვნენ ისეთი გამოჩენილი მოთამაშენი, როგორიც არიან ეფროსინე კლდიაშვილი, ვასო აბაშიძე და თეიმურაზ ლეკიაშვილი“.

ვასომ გიმნაზია გაათავა 1872 წელს, იმ წელსვე დაინიშნა მასწავლებლად და ალბათ, მისი სცენისმოყვარეობა იწყება 1872—1874 წლებში. ვასო რომ თბილისის დასში ჩაირიცხა 1879 წელს, ის უკვე ქუთაისში გამოჩენილი მსახიობი ყოფილა.

რესთაგანი პიესა არის რუსეთის გამოჩენილი დრამატურგისა. ეს კომედია არ არის ისეთი უბრალო სამასხარაო და უაზრო კომედია, რომელიც ჩვენ ხშირად გვინახავს სცენაზე, რომლის წარმოდგენა მასხრულ სიტყვების წარმოთქმაში, გრეხა-პრანჭვაში და სცენაზე ხტუნვაში მდგომარეობს... ამიტომ მოუთმენლად მოველოდით ამ პიესის წარმოდგენას· („დროება", 1879 წ., № 193).

ჟადოვის როლისათვის ქუთაისიდან მოიწვიეს კ. მესხი. კოტე მესხს ამ დროს უკვე ნათამაშევი ჰქონდა ჟადოვის როლი ქუთაისში... როგორც ი. ჭყონიას წერილიდან ჩანს*, ქუთაისში, 1878 წელს, აპრილში ადგილობრივ სცენისმოყვარეებს დაუდგამთ ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი". როლები ასე ყოფილა განაწილებული:

ჟადოვი	კოტე მესხი,
კუკუშკინა	კეხარია ოთხელიანი,
პოლინკა	გოგიჯანოვი,
იუსოვი	ტერ-სტეფანოვი,
ბელოგუბოვი	. ალ. გამრეკელი,
ვიშნევსკაია .	. ანნა მესხი.

თბილისში კი არისტახს თამაშობდა ზაალ მაჩაბელი, იუსოვს— კ. ყიფიანი, კუკუშკინას—ნ. გაბუნია, პოლინას—მარ. საფაროვა. მეორე ჩინოვნიკს—ა. ცაგარელი, ბელოგუბოვის როლი, ვასო აბაშიძის ავადმყოფობის გამო, ნ. თომაშვილმა (შიშნიაშვილმა) შეასრულა. წარმოდგენას აკლდა რეჟისორის ხელი. მთავარი როლის შემსრულებელ კოტე მესხის შესახებ, მისი ძმის სერგეი მესხის გაზეთ „დროებაში" ასეთი სტრიქონებია: „... კ. მესხს, პირველის გამოსვლისთანავე შეეტყო, რომ ის არ არის გამოცდილი და დახელოვნებული აქტიორი: ამბობენ, ქუთაისის სცენაზე კოტემ ძალიან კარგად შეასრულა ჟადოვის როლიო. არ ვიცით, იქნება მართალია, მაგრამ აქ კი მას აკლდა სცენაზე ბევრი ისეთი თვისებები, რომელნიც ჟადოვის აუცილებელ საკუთრებას შეადგენს... მუდამ მტირალის ხმით სიტყვების წარმოთქმა, თმაში ხელების წავლება არ შეადგენს ბუნებით მღელვარე ხასიათს" („დროება", 1879 წ., № 193). რეცენზენტს კ. მესხი მეხუთე მოქმედებაში მოსწონებია: „მხოლოდ ერთმა მონოლოგმა—დასძენს გაზეთი — აგვაჟრჟოლა, ტრუანტელივით გაგვიარა ტანში და აქედან ვიგრძენით, რომ კარგად, გრძნობიერად, ენერგიულად იყო ეს მონოლოგი წარმოთქმული" (იქვე).

---

* ი-ა ი-ძე (ილია ჭყონია), „ივერია", 1878 წ., № 18.

1875 წლიდან დღევანდლამდე ოსტროვსკის პიესები არ მოშორებია ქართულ სცენას. თითქმის ყოველი მსახიობი თავის თავს ავალდებულებდა საბენეფისოდ რუსი დრამატურგის პიესებიც აერჩია და მთავარ როლში გამოსულიყო. ლადო მესხიშვილმა 1906 წელს დასდგა „შემოსავლიანი ადგილი“, თამაშობდა იუსოვის როლს 1886 წელს იგივე მესხიშვილი „ბედნიერ დღეში“ თამაშობდა მაზრის ექიმის—ნიკინის როლს. მესხიშვილი თარგმნის ოსტროვსკის „ვასილისა მელენტიევას“ მხოლოდ იმიტომ, რომ ივანე მრისხანის როლი შეასრულოს. 1901 წელს ნატო გაბუნია თავის ბენეფისში სდგამს „ბედნიერ დღეს“, ხოლო ე. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ ამავე წლის 15 ნოემბერს პირველად იდგმება „მგლები და ცხვრები“... ერთი სიტყვით, ჩვენი მსახიობები მშობლიურ პიესებზე აღზრდილნი, რუსულ პიესებსაც ეტანებოდნენ და შეძლებისდაგვარად თავიანთ ვალს იხდიდნენ ძოძმე ერის ლიტერატურის წინაშე. მაგრამ ჩვენი დრამატურგები ჩვეულებრივად მაინც აქართულებდნენ ოსტროვსკის კომედიებს. მაგალითად, „Женитьба Бальзаминова“ ქართულად იდგმებოდა შემდეგი სათაურით: „მიხაკო ცოლს ირთავს“ (ა. აბაზაძის გადმოკეთებული), „Женитьба Белугина“ ვალ. გუნიამ გადმოაკეთა ამ სათაურით: „ძალა აღმართსა ხნავს“, „Бедная невеста“—„ღარიბი სასძლოს“ მოქმედი პირნი ცნობილი მთარგმნელის ნიკო ავალიშვილის მიერ ასეა გადმოქართულებული:

Анна Незабудина . . .	მარიამ დღესხვალაძისა,
Платон Добротворский .	დიმიტრი ღვთისხაშვილი,
Максим Венсволовский .	ზურაბ გაბერილაძე,
Карповна, Сваха	მარმარო, მაჭანკალი

და სხვ.

თვით სიტყვა-სიტყვით თარგმნილ პიესაშიც კი („ბედნიერი დღე“) ერთხელ მსახიობმა გედეონ გედევანოვმა თვითნებურად შესცვალა სიტყვები: „ოსმალთა და არდაგანის“ ნაცვლად „ბურები და ტრანსვაალი“ ახსენა, რაზედაც სამართლიანად მიუთითა „ივერიის“ რეცენზენტმა: „ხუთშაბათს, 4 ნოემბერს,—წერდა გაზეთი,—ქართულმა დრამატიულმა დასმა გააცოცხლა ძველი პიესა ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა ჩვენს სცენაზე არა ერთგზის წარმოდგენილი (ლაპარაკია „ბედნიერ დღეზე“ ი. გ.). კომედიამ ბევრი აცინა საზოგადოება, თუმცა იგი უფრო მადლობელი იქნებოდა, ბ. გედევანოვს, ფოჩმეისტერის როლის აღმასრულებელს, რომ სცოდნოდა—„კარტას“ ქართულად „რუკა“ ჰქვიან და არა „რუქა“, რომელიც სახელია ადამიანისა; იმავე გედევანოვს რომ პიესის და-

საწყისში თავისი სათქმელი სიტყვები არ გადაესხვაფერებინა და ოსმალთა და არდაგანის ნაცვლად რამდენჯერმე ბურები და ტრანსვაალი არ ეხსენებინა, მით უმეტეს, რომ ამითი არტისტმა დახავსებული პიესის განახლება და გაამდროება ვერ შესძლო, ყველა კარგად ხედაედა, რომ პიესის გმირნი რუსეთში მესამოცე წლების ცვლილებათა შემოღების დროისანი იყვნენ, ამას ამტკიცებდა მთელი პიესის შინაარსიც, მოქმედთა ტანჩაცმულობაც და ქ. გაბუნიას თმის ვარცხნილობაც კი. ამ საღამოს სანუკვარს შეადგენდა ტასო აბაშიძე, რომელიც მკვირცხლ და კისკას ნასტიას როლს თამაშობდა, იმ როლს, რომელსაც ქართულ სცენაზე ყოველთვის მისი დედა პატივცემული მარიამ საფაროვ-აბაშიძისა ასრულებდა ხოლმე".*

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მსახიობები ზოგიერთ გადმოკეთებულ პიესას ბრწყინვალედ ასრულებდნენ. ბევრმა ქართველმა მსახიობმა სახელი გაითქვა სწორედ ამ გადმოკეთებულ კომედიებში. ეს იმიტომ, რომ ჩვენს მთარგმნელ-დრამატურგებს ყოველი ქართველი მსახიობი ინდივიდუალურად ჰყავდათ შესწავლილი და ხშირად პიესას მათ ნიჭსა და უნარიანობას უფარდებდნენ. ასე შეიქმნა ტიპების მთელი გალერეა, რომელიც შეადგენდა განსაკუთრებულ ამპლუას ისეთი დიდი მსახიობებისას, როგორიც იყვნენ: ნატო გაბუნია, მაკო საფაროვი, ვასო აბაშიძე, ქ. შათირიშვილი და სხვ. გაიხსენეთ პიესები: „ბიძიასთან გამოხუმრება", „სიძე-სიმამრი", „ჯერ დაიხოცნენ...", „დედის ერთა", „არც აქეთ, არც იქეთ", „აღლუმი" და სხვ. საზოგადოდ, ჩვენი მწერლები იცავდნენ იმ აზრს, რომ ვიდრე ორიგინალური დრამატურგები გაჩნდებიან, სჯობია უცხოეთიდან გავაკეთოთ პიესები და ქართული თეატრი გადავახალისოთ ერთფეროვანი პიესებისაგანო. ერთ დროს ვ. გუნია, „სცენისმოყვარის" ფსევდონიმით, წერდა: „საჭიროა გადმოკეთებულ პიესებზე პრემია დაინიშნოსო".

ოსტროვსკის პიესების გაქართულების შესახებ პრესაში სხვადასხვა აზრი ტრიალებდა:

ერთი ამბობდა, რომ „მხოლოდ იმ პიესის გადმოქართულება შეიძლება სახელების გამოცვლით, რომელშიაც გამოყვანილი გმირების ხასიათი ქართველთა ხასიათისაგან არაფრით განირჩევაო... თუ ისეთი გადმომკეთებელი გამოგვიჩნდება, რომ თუნდაც „რევიზორს" გადმოიღებს ქართულად, ამ გეგმაზე სხვა პიესას დასწერს და „ქართველ ხლესტაკოვს" შეჰქმნის, სწორედ დიდი ბედნიერება იქნებაო"**.

---

* იხ. „ივერია", 1899 წ., № 239.

** მანოელიძე (არტემ ახნახაროვი), რეცენზია: „გზადაბნეული ცხოვარნი", „ივერია", 1889 წ., № 269.

მეორე მწერალი, უპასუხებს რა ამ რეცენზენტს, წერს: „...რა საკვირველია, უკეთესი იქნებოდა ქართველის ყურს „ვოლგის“ მაგივრად „იორი“ სმენოდა, ან ჟავორონკოვისა, ზიაბლიკოვის მაგივრად ტოროლაძე და ნიბლიაძე ყოფილიყო, მაგრამ ჯერა მგონია პიესას გვარების გადმოკეთებით ღირსება მიეცეს; ჰამლეტი ჰამლეტადვე რომ რჩება თარგმანში, ხლესტაკოვი ხლესტაკოვად, ვითომ რა უპირს პიესას? თუ ემჯობინებოდა, ჰამლეტის მაგივრად კაკულა ყოფილიყო ან ლირის მაგივრად—ყაფლანი?“*.

ჩემის აზრით, ეროვნული დრამატურგია ვერ განვითარდება, თუ ქართული თეატრი გადმოკეთებული პიესებით ისაზრდოებს, მე ვამბობ კლასიკურ დრამატურგიაზე და ჯერა სკეტჩებზე და ვოდევილებზე. ჩვენ გვიყვარს: ან კარგი თარგმანი, ან შემოქმედების ტკბილი ტკივილები. გადმოკეთება და გადმოქართულება მწერლობას ვერ ჩაეთვლება დიდ მიღწევად...

ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს პიესა „სამშობლო“! ეს დრამა ფრანგ. დრამატურგ სჯრდუს კალამს ეკუთვნის. მაგრამ დავით ერისთავმა ისე ოსტატურად გადმოაქართულა, დაამონტაჟა და შეუფარდა ქართულ სინამდვილეს, რომ „სამშობლო“ კიდევ და კიდევ დიდხანს დაამშვენებს ქართული თეატრის რეპერტუარს. ამ პიესის ემოციური ძალა, როცა იგი სცენაზე იდგმებოდა, დიდი და განუსაზღვრელი იყო. პარადოქსი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „სამშობლოს“ თავის სამშობლოშიაც არ ჰქონია ისეთი გამოხმაურება, როგორც აქ, საქართველოში. პიესა უპირველეს ყოვლისა ლიტერატურული ნაწარმოები უნდა იყოს. და „სამშობლო“ თვით წაკითხვის დროსაც კი არ ჰკარგავს თავის მიმზიდველობას. ამის საუცხოო დამადასტურებელია ეპისკოპოს ლეონიდეს მეტად საინტერესო წერილი „სამშობლოს“ წაკითხვით გამოწვეული:

„ჩემი აღზრდისა და ცხოვრების პირობებმა არ მარგუნეს წილად, რომ მენახა ქართული სცენა,—სწერს ეპისკოპოსი ლეონიდე,—მიუხედავათ ამისა, მე მაინც მიზიდავდა სასცენო ნაწარმოებთა კითხვა და, თუ კი რამ ასეთი დაიბეჭდებოდა, როგორც იქნებოდა, ვიშოვნიდი და წავიკითხავდი. არ მიწონებდა ასეთ საქციელს და ხანდისხან მტუქსავდა კიდეც ხოლმე ჩემი გამზრდელი და მშობელი მამის ბადალი, დაუვიწყარი ბიძა, ეპისკოპოსი ალექსანდრე, ეს ტიპიური მატარებელი ჩვენს დროში უძველეს ასკეტიურის მსოფლმხედველობისა. 1891 წელს ქართული გაზეთები აცხადებდნენ, რომ ამ და ამ დღეს დადგმული იქნება „სამშობ-

* ალექსანდრე ჯაბადარი: „თეატრი“, 1889 წ., № 43—44, გვ. 7.

ლო"; თუმცა უკვე რამდენიმეჯერ წაკითხულ მქონდა ხსენებული დრამა, მაინც დავძიე წიგნებში და ერთს საღამოს ჩავუჯექი მის კითხვას. თურმე ნუ ბრძანებთ, კითხვაში გავრთობილვარ; ბიძაჩემი შემოსულა ჩემს სამეცადინო ოთახში, რამდენიმე წამს თავზე მდგომია და მე ვერ შემინიშნავს ეს. ბოლოს, როდესაც ვიგრძენ, რომ თავზე ვიღაც მადგას, შევწყვიტე კითხვა, მკაცრად მომმართა ბიძამ: „რა შენი ხელობაა, თუ ოხერი და ტიალი არა ხარ, აგრე ჩაციებით კითხვა რაღაცა სათეატრო წიგნებისა. ფუ, შენს ბერობასაც და შენს განათლებასაც". ჰატარა ბავშვივით მივვარდი ბიძას, დაეუკოცნე ორთავე ხელები და შეეეეედრე: „თუ მართლა გიყვარვართ, თუ რამედ გიღირვართ, თუ შვილად მთვლით, ხუთი წამი მაჩუქეთ, ხუთ წამს უგდეთ ყური ჩემს კითხვას და მერე, რაც გნებავთ, ის დამავალეთ, რაც გინდათ, ის გომთხოვეთ, ყველაფერს შეგისრულებთ და ყველაფერში მორჩილ მოწაფეთ გაგიხდებითმეთქი... დამთანხმდა. დავიწყე კითხვა. გავიდა ხუთი წამი, გავიდა ათიც და ბიძაჩემი არაფერს ბრძანებს. შევჩერდი და მოვახსენე: ახლა კი თავისუფალი ბრძანდებით; ჩემგან გამოთხოვილი დრო გავიდა და მეტს აღარ შეგაწუხებთ-მეთქი კითხვით. ცხონებული დიდად დაინტერესდა გაგონილით და თავისებური ოხუნჯური კილოთი მიბრძანა: დაუკარი. გიჟი ნუ ხარ, კარგი რამა ყოფილაო. შევუდექი კითხვას. მოხუცებული ისე მძლავრად მოიცვა დრამის შინაარსმა, რომ კითხვისაგან დაღლილი რომ შევჩერდებოდი ხოლმე, მაშინვე მიბრძანებდა: „დაიწყე კითხვა, ჩქარა გავიგოთ, ლიონიძე რა გზას დაადგება, ხიმშიაშვილი რას იზამს, ქეთევანი როგორ გადარჩება" და სხვ. საოცნებო სანახაობას წარმოადგენდა ბიძაჩემი პიესის გათავებისას: მან რაღაც ზექვეყნიური სახე შეიმოსა, ბრჭყვიალა ცრემლები გადმოეკიდა ქუთუთოებზე და წარმოსთქვა: „ღვთისაგან ნაკურთხი ყოფილა ის სახლი, რომელშიც ამისთანა დიდებული წარმოდგენებით იფაქიზებენ მაყურებელ-მსმენელნი გულსა და გონებასაო". მეორე დღესვე დაიბარა თავისთან თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეები, ჩემი უმცროსი ძმა და ბიძაშვილი, უბოძა მათ ფული და დაავალა, რომ უთუოდ წასულიყვნენ თეატრში, როდესაც „სამშობლო" დაიდგმებოდა და, საზოგადოდ, ნება მისცა მათ ევლოთ ქართულ თეატრში. თუ 70 წლის ასკეტის გაციებულ გულს ესოდენ ღრმად ჩასწვდა სასცენო ნაწერის ძალა ისიც მარტო წაკითხვით, რა გაელენას მოახდენდა მაყურებლებზე წარმოდგენაო"—დასძენს სასულიერო პირი ლეონიძე.*

* იხ. სათეატრო მუზეუმი, კ. ყიფიანის არქივი. შდრ სერგო გერსამიას რედაქციით გამოცემული „სამშობლო", 1947 წ., გვ. XIV.

თუ სრულ ბიბლიოგრაფიულ სიას გამოვაქვეყნებთ, მაშინ ოსტროვსკის პიესები, ქართულად ნათარგმნი, ოციოდე გვექნება.

აი ესენიც:

შემოსავლიანი ადგილი (Доходное место). თარგმანი ალექსი ჭიქინაიასი და ი. მიქელაძისა, პირველად წარმოდგენილი იყო ქუთაისში 1874 წ. 10 ნოემბერს. ამ თარიღიდან იწყება ოსტროვსკის პიესების განსახიერება ქართულ სცენაზე *. „შემოსაელიანი ადგილი“ ხელახლად თარგმნა აექ. ცაგარელმა. ამ თარგმანით დაიდგა რამდენჯერმე: 1904 წ. 25 დეკემბერს, 1906 წ. 12 მარტს, 1910 წ. 9 მაისს და სხვ.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი ანუ რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახვე მარმაშებსა (Не в свои сани не садись). თარგმანი ვასო აბაშიძისა. ეს პიესა 1905 წელს ხელმეორედ ითარგმნა შემდეგი სათაურით: „სხეის მარხილში ნუ ეჩრები“ (იხ. ცნობა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, 1905 წ., № 2968, გვ. 3). მთარგმნელი არ არის გამოცხადებული. პიესა არ დადგმულა ჩვენს სცენაზე.

ბედნიერი დღე (Счастливый день). თარგმანი მარიამ საფაროვაბაშიძისა; ზოგჯერ ეს პიესა იდგმებოდა, როგორც ვასო აბაშიძის თარგმანი. პირველად ერქვა „მარჯვე დღე“, მერე დაკანონდა „ბედნიერი დღე“. საცენზურო საქმეებიდან ირკვევა, რომ ეს პიესა უთარგმნია ვ. გუნიასაც და ვინმე ველისციხელსაც (ისაკოეს). ხოლო ს. ყუბანეიშვილის ცნობით „ბედნიერი დღე“ ახალგაზრდობაში უთარგმნია ვაჟა-ფშაველასაც (იხ. „ვაჟას ცხოვრება და შემოქმედება“, გვ. 12). ამ პიესის თანაავტორია ახალგაზრდა მასწავლებელი ნ. სოლოვიოვი. მაგრამ აფიშებზე უფრო ოსტროვსკი იწერებოდა. (იხ. რეცენზიები: „თეატრი“, 1886 წ., № 40; „ქვალი“, 1899 წ., № 45; „იერია“, 1899 წ., № 239).

ვასილისა მელენტიევა (Василиса Мелентьева) ანუ „მეფე ივანე მრისხანე“, თარგმანი არ. ავალიშვილისა (შალვა დადიანი მარწმუნებს: ლადო მესხიშვილმაც თარგმნაო). პირველად ეს პიესა

---

* ოსტროვსკის პიესები გორში! ადგილობრივი ძალების მიერ გორის პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 1879 წელს დადგმულა რუსულ ენაზე ოსტროვსკის შემდეგი პიესები; „В чужом пиру похмелье“ და „Счастливый день“, ხოლო 1884 წელს იმავე გორში რუსულად დადგმულა ოსტროვსკის ცნობილი პიესა „Гроза“ („დროება“, 1879 წ., № 4 და „დროება“, 1884 წ., № 109). ესეც ერთი თემაა ახალგაზრდა მკვლევარებისათვის: „ოსტროვსკი გორში“.

დაიდგა 1911 წელს, 2 თებერვალს, ლადო მესხიშვილის საბენეფისოდ. ეს პიესა ავტორმა დასწერა ს. ა. გედეონოვთან ერთად.

მგლები და ცხვრები (Волки и овцы), თარგმანი ავქ. ცაგარლისა. პირველად დაიდგა ქართულ სცენაზე 1901 წელს, 15 ნოემბერს.

მიხაკო ცოლს ირთავს (Женитьба Бальзаминова) თარგმანი ა. ი. აბაზაძისა. პირველად დაიდგა 1880 წელს (იხ. გ. თუმანიშვილის წიგნაკი: „როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა", გვ. 11).

ღარიბი ხასძლო (Бедная невеста) თარგმანი ნ. ავალიშვილისა. ეს პიესა ქართული თეატრის რეპერტუარში იყო 1886 წ. („ივ.", 1886 წ., № 195). სცენაზე წარმოადგინეს 1891 წ., '23 ოქტომბერს.

შრომით ნაშოვნი პური (Трудовой хлеб). ამ პიესას მეორე სათაურიც აქვს — „შრომის ლუკმა". პირველი მთარგმნელია ი. მიქელაძე, მეორე — იროდიონ ევდოშვილი (იხ. რეცენზიები: „დროება", 1875 წ., № 33; „კვალი", 1902 წ., № 44). პირველად დაიდგა ქუთაისში 1875 წ.

გზადაკარგულნი ცხოვარნი (Заблудившиеся овцы). ეს დრამა ოსტროვსკიმ გადმოაკეთა თეობალდო ჯიაკონის პიესიდან და რუსულ სინამდვილეს შეუფარდა... ოსტროვსკის გადმოკეთებულიდან ქართულად თარგმნა ალ. ჯაბადარმა.* „გზადაკარგულნი ცხოვარნი" პირველად დაიდგა 1889 წ. 31 ოქტომბერს (იხ. „თეატრი", 1889 წ., № 37—38, გვ. 9; „თეატრი", 1889 წ., № 43—44, გვ. 7; „ივერია", 1889 წ., № 269 და 233).

ქმრებიხ დამონავება (Рабство мужей), კომ. 3 მოქმედ., თარგმ. ალ. მირიანაშვილისა. პირველად დაიდგა 1888 წ. 4 ოქტომბერს (ოსტროვსკიმ ეს პიესა თარგმნა სხვათა ენიდან).

უდანაშაულოდ დასჯილნი (Без вины виноватые), თარგმანი ივ. მაჩაბარიანისა. წინათ ამ პიესას სხვა სათაურიც ჰქონდა: „უბრალოდ დასჯილნი". ერთ განცხადებაში ვკითხულობთ: „წარმოდგენილი იქნება საზოგადოების თხოვნით „უბრალოდ დასჯილნი", კომედია 4 მოქმედებათ ოსტროვსკისა, თარგმანი ივ. მაჩაბარიანისა" (იხ. „კვალი", 1895 წ., № 7, გვ. 16). „უდანაშაულოდ დასჯილნი" პირველად დაიდგა 1894 წ., 27 მარტს, მეორედ — ამავე წლის 30 დეკემბერს.

---

* ჩვენს სცენაზე თამამობდნენ ჯიაკომეტის ერთ პიესას — „დამნაშავის ოჯახი" — რომელიც ქართულად თარგმნილია არა დედნიდან, არამედ ოსტროვსკის ბიერ რუსულად თარგმნილი პიესიდან. ამ პიესაში მთავარ როლს — კორადოს დიდი სიძლიერით ასრულებდა ლადო მესხიშვილი.

ძალა ალმართსა ხნავს (Жениться Белугина). ამ პიესის თანაავტორია ახალგაზრდა მწერალი და პედაგოგი ნ. სოლოვიოვი. ქართულად გადმოაკეთა ვალერიან გუნიამ. დაიდგა 1902 წ., 23 თებერვალს.

გარდა ამისა, ქართულ გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ დრამატიული საზოგადოების შეკვეთით ითარგმნება ოსტროვსკის შემდეგი პიესები:

შინაურები ვართ—მოვრიგდებით (Свои люди, сочтемся), მთარგმნელი პეტრე მირიანაშვილი.

შმაგი ფულები (Бешеные деньги), მთარგმნელი რაფ. ერისთავი.

Не все коту масленница (მთარგმნელი ალექსი მირიანაშვილი).

ტყე (მთარგმნელი ივ. მაჭავარიანი).

ქუხილი (იხ. კ. ყიფიანის პიესების კატალოგი, „დროება", 1876 წ., № 22. მთარგმნელი არ არის მოხსენებული).

მართალია, ოსტროვსკის პიესები ქართულად საკმაოდ ითარგმნებოდა, რეპერტუარშიც ირიცხებოდა, მაგრამ ამ ჩამოთვლილი პიესებიდან ზოგი სულ არ წარმოუდგენიათ სცენაზე, ზოგი კიდევ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას ხელახლად უთარგმნიათ. ერთი სიტყვით, რუსეთის დიდი დრამატურგის პიესები მეგობრულად გადადის ხელიდან ხელში, თარგმნიან, აკეთებენ, აქართულებენ და ჩვენი მსახიობებისათვისაც ერთგვარი ახალი ამპლუა იქმნება.*

ოსტროვსკის პიესებს შორის ჩვენს სცენაზე უფრო ხშირად იდგმებოდა „შემოსაელიანი აღგილი", „უდანაშაულოდ დასჯილნი" და „ბედნიერი დღე".

„ბედნიერ დღეს" ჩვენი არტისტები წარმტაცად და მხიარულად ასრულებდნენ... აი, კიდევ ერთი ძველი გაზეთის აზრი ამ პიესის

---

* ეს ჩემი ნარკვევი დრამატურგ ოსტროვსკის შესახებ პირველად დაიბეჭდა 1938 წელს (იხ. ცურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1938 წ., № 2). მას შემდეგ ოსტროვსკის ძველ თარგმნებს ბევრი ახალი თარგმანი მიეპატა. სიმონ ჩიქოვანმა თარგმნა „ხოგჯერ ბრძენიც შესცდება", ელო ანდრონიკაშვილმა—„უდანაშაულო დამნაშავენი", რეჟისორმა გიორგი გაბუნიამ—„უმზითვო", მარგო გოგოლაშვილმა და მიხ. გიგიმყრელმა—„ლამაზი მამაკაცი" (მარჯანიშვილის სახ. თეატრში დაიდგა 1952 წ. 20 მარტს), ელენე დონაურმა სოხუმის თეატრისთვის თარგმნა—„უკანასკნელი მსხვერპლი", მოზაიკ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა 1952 წელს დასდგა „ეეცარი სიმდიდრე" (მთარგმნელი გრ. ლაღიძე), ფოთის სახელმწიფო თეატრმა 1945 წელს 2 ივნისს მაყურებელს უჩვენა „ეეკა-ქუხილი". ბათუმსა და თელავში 1953 წელს დაიდგა „დაგეიანებული სიყვარული" (მთარგმნელი შალვა ბუაჩიძე). 1955 წ. აპრილ ფაღავამ რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტისთვის სითარგმნა „სარფიან ადგილზე".

განსახიერების შესახებ. „თეატრი“ წერდა: „პიესა „ოინბაზით“ მოწყენილი საზოგადოება, ბედნიერი დღის ცქერამ გაამხიარულა.., ამ პიესაში მთავარ როლებს გაბუნია-ცაგარლისა და საფაროვ-აბაშიძისა ასრულებდნენ. ორიეემ ხელოვნებით და მოხდენილობით ითამაშეს. ყოველს მათ მოძრაობაზე მაყურებლის გულიდამ ხან აჰ, ხან იქ ნებაუნებურად ისმოდა ამოძახილი: „ყოჩაღ!“, „ბარაქალა!“ განცვიფრებული მაყურებლების აღტაცებას და „ვაშას“ ძახილს საზღვარი არა ჰქონდა“ (იხ. „თეატრი“, 1886 წ., გვ. 466).

„შემოსავლიანი ადგილი“ (რომელსაც, სხვათა შორის, რუსეთში ექვსი წლის განმავლობაში ცენზურის ყადაღა ედო) ჩვენს სცენაზე თავისუფლად იდგმებოდა და მაყურებლის მოწონებასაც იმსახურებდა.

„უდანაშაულოდ დასჯილნში“ მთავარ როლებს ასრულებდნენ: ბაბო აკალიშვილისა (კრუჩინინა), ლადო მესხიშვილი (ნეზნამოვი) და ვასო აბაშიძე (შმაგა). ეს პიესა უფრო ხანგრძლივად შერჩა ქართულ თეატრს და დღევანდლამდე დიდი წარმატებით სარგებლობს...

საინტერესოა ამ პიესის ჩასახვის, შექმნის და გამომზეურების ისტორია. როგორც ვიცით, ოსტროვსკი თბილისში იყო 1883 წელს. აქედან გამგზავრებისას მან გამოაქვეყნა „უდანაშაულოდ დასჯილნი“. ეს პიესა რუსულ ენაზე პირველად დაიდგა პეტერბურგს 1884 წელს, 15 იანვარს, ე. ი. ოსტროვსკის საქართველოდან გამგზავრების რამდენიმე თვის შემდეგ. თავის წერილში ოსტროვსკი ამ პიესისათვის ემადლიერება ქართველ არტისტებს, იგონებს ჩვენს სტუმართმოყვარეობას და აუგად იხსენიებს რუსული თეატრის იმ მესვეურებს, რომლებმაც „უდანაშაულოდ დასჯილნი“ ვერ გაიგეს და გააფუჭეს...

მოვუსმინოთ თვით ავტორს:

„... როგორ იყო დადგმული ჩემი პიესა?— უსაყვედურებს დრამატურგი ალექსანდრინის თეატრის რუსულ დასს,— თვით დამწყებ ავტორსაც კი არ მოექცეოდნენ ისე, როგორც მე მომექცნენ. ეს პიესა კი ჩემი თითქმის მეორმოცდაათე ორიგინალური ნაშრომია და ჩემთვის ყოველმხრივ ძვირფასი. მის დასამუშავებლად დიდი ენერგია და შრომა მაქვს დახარჯული. ის („უდანაშაულოდ დასჯილნი“. ი. გ.) დაწერილია ჩემი კავკასიაში მოგზაურობის შემდეგ, იმ შთაბეჭდილებით, რომელიც თბილისის საზოგადოების აღფრთოვანებულმა დახვედრამ მოახდინა ჩემზე. მე მინდოდა ამ პიესით მადლობა გადამეხადა ხალხისათვის, მინდოდა მეჩვენებინა, რომ მის მიერ პატივნაცემი ავტორი არ დაკმაყოფილდა დაფნის

გვირგვინით, რომ მას სურს კიდევ იმუშაოს, კიდევ მიანიჭოს საზოგადოებას მხატვრული სიამოვნება, რომელიც მას უყვარს და რომლისათვისაც იგი აეტორს პატიესა სცემს"... (ხაზი ჩემია. ე. გ.).*

თავიდანვე ქართულ თეატრს რეალისტური პიესები ახასიათებდა. ჩვენი დრამატურგია, მართალია, მკრთალს, მაგრამ ოსტროვსკის ერთგვარ გაელენასაც განიცდიდა. მისი დრამატული ხერხები, მისი ტიპაჟის ორეულები და უმთავრესად მისი რეალიზმი გამოსვლის მაშინდელი ქართველი დრამატურგების შემოქმედებაში (ა. ცაგარელი, რაფ. ერისთავი, აღალო თუთაევი, ნატალია აზიანი, ვალერიან გუნია და სხვ.).

როცა ოსტროვსკიმ ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" მოისმინა, მოუწონა ამ პიესის რეალური მიმართულება და უთხრა ასიკოს: „მშვენიერია, სწორედ აგრე განაგრძეთ წერა, კარგ გზას ადგიხართო", ამიტომ იყო, რომ ა. ცაგარელი თავის მილოცეაში ოსტროვსკის „უანგარო მასწავლებელს" უწოდებს. ამიტომ იყო, რომ ხალხმა ასიკოს „ქართველი ოსტროვსკი" შეარქვა.

ოსტროვსკის თავისი ტიპები აღებული აქვს ვაჭართა, მემამულეთა და მეფის მოხელეთა წრიდან. იგი გვიხატავს იმათ ყოფა-ცხოვრებას და ამ ცხოვრების მიღმა დრამატურგი გვიჩვენებს იმდროინდელ გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ჩვენი დრამატურგების თემატური არეც ფართოა და მოიცავს სამოცდაათიანი წლების საქართველოს ვაჭარ-მოხელეთა თბილისის ერთ-ერთ კუთხეს, სადაც კეთილი და ბოროტის ამსახველი პერსონაჟები ჰქმნიან საზოგადოებრივ აზრს.

ჩვენი ქართული პიესების სათაურები უეჭველად ოსტროვსკის პიესების ანარეკლია; იქაც და აქაც პიესების სახელები ანდაზებიდან და გამოთქმებიდან არის წარმოებული. მაგ., „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" (ა. ცაგარელი), „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო" (მისივე), „რაც არ მერგება, არ შემერგება" (ვ. გუნია), „ვაის გაეყარე. ვუის შეეყარე" (მისივე), „ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნა" (ა, აბაზაძე), „ხან ისე და ხან ასეო" (ნ. აზიანი), „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია" (გ. სუნდუკიანცი), „თუ დედაკაცმა გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია" (რაფ. ერისთავი), „ფლავი ვის უდგას, იშტაი ვისა აქვს" (აღალო თუთაევი), „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა" (ალექსი პიპინაძე), „კაცი ვარ და ქუდი მხურავს" (ი. რ. [ახო] ვაჩნაძე) და სხვ.

---

* იხ. „Театральная декада", 1936 წ.

ოსტროვსკის ჩამოსვლა თბილისში, მისი შეხვედრა ქართველ სცენის მოღვაწეებთან, მათს ერთმანეთის გაგებას და შეფასებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ პირობებში, როდესაც კულტურული კავშირი რუსეთის მოწინავე საზოგადოებასა და ქართველ მოღვაწეთა შორის მაინც ჯერ კიდევ სუსტი იყო. ადგილობრივი ხელისუფლება არ ზრუნავდა ამისათვის. პირიქით, ცარიზმის აგენტები იქ (კატკოვები) და აქ (დუნდუკოვ-კორსაკოვები) ყოველგვარ დაბრკოლებას ჰქმნიდნენ ქართული კულტურის განვითარების შესაფერხებლად. ასეთ პირობებში ოსტროვსკის გულწრფელი აღტაცება და მისი მეგობრული განწყობილება ახლად ფეხადგმული ქართული თეატრისადმი დიდს მორალურ დახმარებად უნდა ჩაითვალოს.

ძველი ქართული კულტურის მაჯისცემა მხოლოდ სცენაზე ფეთქდა. ეს იმ დროს, როცა ქართულ ენას ათასგვარი საგიებელი ეპიტეტებით ამკობდნენ და საქართველოში ქართველი ვერ ქართველობდა.

ერთხელ (1897 წ.) უკრაინის დედაქალაქ კიევში ნადსონის გარდაცვალებიდან 10 წლის თავზე საღამო გაიმართა; ნადსონის ლექსები წაკითხული იქნა რუსულად, უკრაინულად, პოლონურად, ფრანგულად და... ქ ა რ თ უ ლ ა დ. „ივერიის“ კორესპონდენტი დასძენს: ეს პ ი რ ვ ე ლ ი შემთხვევაა, რომ კიეველ საზოგადოებას ქართული ენა ესმის ესტრადიდან და, რა თქმა უნდა, როგორც მითთვის უცხო ენამ, ცნობისმოყვარეობა გამოიწვიაო“ („ივერია“, 1897 წ., № 12).

დღეს ქართული სიტყა „უცხო და გასაკვირველი“ აღარ არის საბჭოთა კავშირის ერებისათვის. დღეს ოსტროვსკის სამშობლო უსაზღვრო აღფრთოვანებით ეგებება ქართული თეატრისა და საზოგადოდ ხელოვნების ყოველგვარ მიღწევას და რუსეთის მრავალერიან ესტრადაზე თამამად გაისმის ოქროსკალმიანი რუსთაველის უკვდავი ქართული სიტყვა.

1938 წ.

შევჩენკო და ქართული მწერლობა

მე, როგორც ქართული ლიტერატურის უბრალო ბიბლიოფილს, მევალება ავფურცლო ძველი კაბადონები და მთელის ხმით ავალაპარაკო პირველი ქართველი მთარგმნელები შევჩენკოსი, იმ შევჩენკოსი, რომელიც, სამშობლოდან განდევნილი, ასე მოსთქვამდა:

ედემის მზგავსსა ჩემს სამშობლოში
რომ მეც ვცოცხლობდე, არ მაქვს უფლება?
ღმერთო მაღალო, შენ მომეც მოხუცს
ტკბილ-სანეტარო თავისუფლება...

წილად მხვდა, ვხედავ, მე ტყვეობაში...
უნუგეშობის ალში ტრიალი...
მასწავლეთ, ძმანო, როგორ ჩავიკრო
ამ ბედკრულ გულში ცეცხლი ტიალი?*

მე-19 საუკუნის მოწინავე ქართველ მწერალთა ერთი ფრთა. რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია, დიდის მზრუნველობით და გულისხმიერად ეპყრობოდა შევჩენკოს შემოქმედებას.

სიყვარული და პატივისცემა უკრაინელი ხალხის სასიქადულო შვილისადმი ქართველ ხალხში ოდიდან მომდინარეობდა.

შევჩენკოს (1814—1861) სახელი პირველად დაირხა ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ფურცლებზე**. იქ 1881 წელს დაიბეჭდა შევჩენკოს პოემა „მუშა ქალი“, რომელსაც უკრაინულად „Наймычка“ ეწოდება. ამ თარგმანს ქვეშ ორი ასო უზის—ნ. ლ. ეს იყო ნიკო ლომოურის ინიციალები.

ნიკო ლომოურს თავიდანვე ახასიათებდა რუსი ხალხოსნების გავლენა. ლომოური ოცდახუთი წლის ჭაბუკი იყო, როცა კიევში გაემგზავრა სასწავლებლად. იქ იგი დაეწაფა პუშკინის, ნეკრასო-

* იხ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 253. მიხ. ნასიძის წერილი, ბაქოში გარდაცვლილ შევჩენკოს ქართული საღამოს შესახებ.

** იხ. „ივერია“, 1881 წ., № 5.

ვის, ტურგენევის, დობროლუბოვის და შევჩენკოს შემოქმედებას. ამ მწერლებმა მასში განამტკიცეს ნიაზი მოძმე ერის კულტურისადმი და ღრმად ჩაუნერგეს რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება. მან კიევში ყოფნის დროს, 1877 წელს, დობროლუბოვისა და ნეკრასოვის ლექსებთან ერთად, თარგმნა შევჩენკოს დიდი პოემაც, რომელიც ილიამ სიხარულით მიიღო და ჟურნალ „ივერიაში“ პირველ ადგილას მოათავსა. მეტად საინტერესოა ის მოვლენა, რომ ჩვენი კლასიკოსები, რომელნიც აღრენილნი იყვნენ ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, გულმოდგინედ ეწაფებოდნენ რუსი ხალხის შემოქმედებას და ქართველ მკითხველ საზოგადოებას აცნობდნენ პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, დობროლუბოვის, შევჩენკოს და სხვათა ნაწერებს. 1899 წ. ნ. ლომოურისავე წინადადებით გორის მოწაფეებმა (ნ. მერაბიშვილმა, ვ. მაღრაძემ, ვ. ღლონტმა, ქუთათელაძემ, პლ. და ვანო ლეჟავებმა და სხვ.) თარგმნეს პუშკინის მოთხრობები: „დუბროვსკი“, „მეკუბოვე“, „ბატონის ასული და გლეხი გოგო“ და დაბეჭდეს 1899 წელს გამოცემულ პუშკინის საიუბილეო კრებულში (გვ. 143—181).

ნიკო ლომოურმა თავისი მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო. ეს ხაზი მის შემოქმედებაში შეუსწავლელია. მას დარჩა ბევრი ლექსი და პოემა, მაგ., „ყინვა და პატარა მოწაფე“, „გლეხის ვედრება“ („მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ“) და სხვ. მაგრამ, აკაკის რჩევით, ნიკო ლომოურმა თავი მიანება ლექსების წერას და მოთხრობებს მოჰკიდა ხელი.

აკაკი ნაწილობრივად მართალი იყო: ნ. ლომოურის ლექსები შინაარსობრივად მდიდარია, მაგრამ აკლია რითმის ბგერადობა, თუმცა მისი ენა ქართული მეტყველების საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს. შევჩენკოს ეს ლირიული პოემა განსვენებულ ბელეტრისტს ნათარგმნი აქვს რვამარცვლოვანი შაირით, რომელიც შევჩენკოს ხალხურობას ლამაზად ეფარდება, მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ მთარგმნელს იმაში, რომ პოემაში მოხსენებული უკრაინული სახელები ქართული სახელებით მოუნათლავს. მაგ., ნასტე—ნატალო. დედანში ვაჟს „მარკო“ ჰქვიან, ქართველი მთარგმნელი კი სამნაირად თარგმნის ამ მარკოს: „სიკო“, „სიკუნა“, „სიმონი“—

„აი მოინახეს პატარა
სახელად ს ი კ ო დაარქვეს!“...

ჩვენი ს ი კ უ ნ ა ფეხზე დგას,
ცხვრებ კეთილ განასა [განასა? ი. გ.]

დიდი ხანია სიმონა
ეწევა ჭირაობასა.*

სახელების „გაქართულება“ ძველად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თვით ნიჭიერ მთარგმნელთა შორისაც (მიშელ—მიხო, ტომ სოიერის თაეგადასავალი—თომას თაეგადასავალი, კატერინა—კატო** და სხვ.). მიუხედავად ამ ნაკლისა, ნ. ლომოურის თარგმანი კარგი ქართულით არის გადმოღებული, აზრი ნათლადაა ჩამოსხმული და მას ორიგინალის სინოყიერეც არ აკლია.

შევჩენკოს მეორე მთარგმნელად უნდა ჩაითვალოს მამია გურიელი. მამიასაც ნათარგმნი აქვს შევჩენკოს ერთი ნაწარმოები:

Минають дні, минають ночі.

გარბიან დღენი, მირბის ღამენი,
წარხდა ხაფხულიც და შრიალებენ
გაყვითლებული სუსხით ფოთლები...***

უნდა ითქვას, რომ ძველად ლექსი ითარგმნებოდა მთარგმნელის სულიერი განწყობილების მიხედვით. შევჩენკოს ეს ლექსიც ძლიერ ენათესაებოდა მამია გურიელის სევდიან ლირიკას. მაგრამ პატარა კურიოზი: ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა ჟურ. „თეატრში“, 1886 წ. იქ ასეთი სათაური აქვს: „შევჩენკას ფიქრი“; მაგრამ, არ ვიცი რატომ, მამიას ლექსების კრებულში, რომელიც 1897 წელს გამოვიდა, ამ ლექსს სხვა სათაური აქვს: კოლცოვიდან... შევჩენკოს ლექსი ვინ მიაკუთვნა კოლცოვს, გაუგებარია. ხდებოდა პირიქითაც: ვინ არ იცის ეს მშვენიერი ლექსი?..

ჭრიან ჭარნი
შესახარნი,
ხენი მწვერვალთ ხრიან,
სევდით კრული,
მტკივა გული,
თვალნი ცრემლებს ღვრიან. და სხვ.

ეს სასიმღერო ლექსი, რომელიც ასე საუცხოოდ თარგმნა სილოვან ხუნდაძემ, რამდენჯერმე დაიბეჭდა და ყველგან ავტორად შევჩენკო იყო აღიარებული****. მხოლოდ ახლა, ჩვენი მუშაობის დროს, გამოირკვა, რომ ამ ლექსის ავტორია ი. პ. კოტლიარევსკი (1769—1838), უკრაინის ახალი ლიტერატურის მამამთავარი, შევ-

* „ივერია“, 1891. წ., V, გვ. 10, 13, 14.
** თუმცა სახელი კატო ერთ ვენგრულ ხალხურ პოეზიაშიც შეგხვდა.
*** „თეატრი“, 1886 წ., № 38.
**** „ივერია“, 1893 წ., № 202, და „ცქალი“, 1893 წ., № 15.

ჩენკოს მასწავლებელი და მისებრ სამშობლოს სიკეთისათვის თავდადებული. გაუგებარია, საიდან აიღო ს. ხუნდაძემ შევჩენკოს სახელი და ნამდვილი ავტორი არ მოიხსენია? შეიძლება ეს აიხსნას შევჩენკოს პოპულარობით: რაც უკრაინულია—შევჩენკოსია, მიეცეს და მიემატოს! *

ეს სხვათა შორის.

საქართველო და უკრაინა ერთ ბედქვეშ მყოფი ერები იყვნენ. შევჩენკომ ეს ნათლად გამოხატა აკაკი წერეთელთან საუბრის დროს:

— მაშ ქართველებს გაქვთ დამწერლობა? სიტყვაკაზმული მწერლობა?—ჩაერია ლაპარაკში შევჩენკო,—რომელი საუკუნიდან?

— მეთორმეტე საუკუნეში გვყავდა დიდი შოთა რუსთაველი...

— რატომ ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით? — შეესიტყვა შევჩენკო აკაკი წერეთელს.

— ბევრი მიზეზი არსებობს... ნება მიბოძეთ ამის შესახებ დავდუმდე.

— აა, მესმის, მესმის...

ამ პატრიოტული საუბრის შესახებ აკაკი წერეთელი ასე ამთავრებს თავის მოგონებას: „უნდა გამოვტყდე, რომ პირველად შევჩენკოს სიტყვებიდან გავიგე, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხი“**.

50 წლის იუბილე აკაკის ბაქოს ქართველობამაც გადაუხადა. ამ იუბილეზე უკრაინის წარმომადგენელიც გამოსულა. აი, კორესპონდენტი როგორ აგვიწერს ბაქოში გამართულ იუბილეს: „მოლოროსიის (წაიკითხეთ „უკრაინის“, ი. გ.) დეპუტატმა, ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი ქალის ხელით გადასცა აკაკის დიდი, ძვირფასად მორთული სურათი მათი მწერლის შევჩენკოსი. აკაკიმ უპასუხა: „მე მუსიკაზე მწყრალად ვარ, არ მწყალობს ამ მხრივ ბუნება. ამ ნაკლს მივსებდა ყოველთვის შევჩენკო. მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ნატვრა ამისრულდა და შევჩენკო ვნახე. მას

---

* ასევე მოიქცა დათიკო მესხი. მან უკრაინულიდან გადმოიღო ერთი პიესა „სიკოია დენშჩიკი“ (ეს პიესა ინახება ცენტრ. არქივში—ფ. 114, № 1328) და რამდენიმე წლის შემდეგ მის ავტორად შევჩენკო გამოაცხადა: „ეს მხიარული კომედია,—წერს მესხი თავის მოგონებაში,—შევჩენკოს „შელემენკო დენშჩიკიდან“ გადმოვაქართულეო“ (იხ. „მნათობი“, 1935 წ., № 2, გვ. 179), მაშინ, როდესაც ეს პიესა ეკუთვნის გ. ფ. კვიტკა-ოსნოვიანენკოს (1778—1843).

** გახ. „ხაკავკაზიე“, 1911 წ., № 45. აკაკის ეს სიტყვა ითქვა იმ საღამოზე, რომლის მთელი შემოსავალი—97 მან. და 60 კ.—გადაიგზავნა კიევში შევჩენკოს ძეგლისათვის.

უკან აღარ მინახავს. დღეის იქით ჩემს კაბინეტში მეყოლება შევჩენკო. ეს სურათი სიკვდილამდე იცხოვრებს ჩემთან"*.

ასეთი იყო აკაკის სიყვარული „ერთ ბედქვეშ" მყოფი უკრაინელი ხალხისადმი. შევჩენკოს ლექსი „კავკასი" ოცნებაა დამონაცებული ერების განთავისუფლებაზე:

მთების იქით—მთები.
შებურვილი ნისლით,
მწუხარებით სავსე
და მორწყული სისხლით.

იგი მოუწოდებს მშრომელ ხალხს იბრძოლონ „სიმართლისათვის, დიდებისათვის, წმინდა თავისუფლებისათვის".

დიდება თქვენს ვაჟკაცობას,
თოლიანო მთებო,
თქვენ დიდება! არ დანებდეთ
მოძალეე სვავებს.
იბრძოლეთ და გაიმარჯვეთ,
შორეულო ძმებო,
ზეცის მადლი ეფინება,
თქვენს ჯალარა თავებს.

(თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა).

ჩვენი საზოგადო მოღვაწენი: დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი—ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს იცნობდნენ ტარას შევჩენკოს შემოქმედებას.

დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგში ყოფნის დროს დასწრებია ერთ ლიტერატურულ საღამოს, სადაც შევჩენკოსაც მიუღია მონაწილეობა. ყიფიანს ყველაზე ძალიან შევჩენკო მოსწონებია და მის გამოსვლას „საუცხოოს" უწოდებს. „გუშინ ვიყავი ლიტერატურის საჯარო კითხვაზე,—წერს დ. ყიფიანი ერთ თავის კერძო წერილში,—კითხულობდნენ: ბენედიქტოვი—მშვენივრად, პოლონსკი—კარგად, მაიკოვი—მშვენივრად, დოსტოევსკი და პისემსკი—საშუალოდ, ხოლო შევჩენკო, მოლოროსიელი პოეტი და მხატვარი საუცხოოდ"**.

ქართველი და უკრაინელი ხალხი მუდამ ერთმანეთისადმი სიყვარულით იყო გამსჭვალული. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში უკრაინამ შეიერდომა ჩვენი დავით გურამიშვილი, ნამდვილი მშობლიური მზრუნველობა გაუწია სამშობლოს მოწყვეტილ პოეტს და ბრწყინვალედ დაიცვა მისი ნათელი ხსოვნა.

---

* გახ. „ჩვენი ხმა", 1909 წ., № 1.

** იხ. „კომუნისტი", 1938 წ., № 24.

გამოჩენილმა უკრაინელმა პოეტმა ქალმა ლესია უკრაინკამ თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები საქართველოში გაატარა და ჩვენი ქვეყნის წარმტაცი ბუნება სნეულ პოეტს შემოქმედებითი შთაგონების ძალას მატებდა.

საქართველოში ყოველთვის უდიდესი აღტაცებით ხვდებოდნენ უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს. ეს ორი ერი, მეფის თვითმპყრობელობის „ქვის ტომარაში“ მგმინავი და შებორკილი, მხოლოდ კულტურულ ურთიერთობაში ცდილობდნენ გამოეხატათ თავიანთი უკეთილშობილესი მისწრაფებანი—ერთმანეთისადმი ძმური სიყვარული და პატივისცემა.

ჩვენ გვახსოვს „უკრაინული საღამოები“ თბილისში, სადაც ჩვენი პოეტებიც გამოდიოდნენ და გრძნობით გამთბარ სიტყვებს ამბობდნენ ხალხთა ურყევ მეგობრობაზე, სამშობლოს სიყვარულზე, ჩაგრული ერების გაერთიანებაზე, თავისუფლებაზე.

1914 წლის, 15 აპრილს, სახალხო სახლში (ამჟამად მარჯანიშვილის სახ. თეატრში) გაიმართა შევჩენკოსადმი მიძღვნილი საღამო. ზეიმი მოაწყო თბილისში მყოფმა უკრაინელთა დრამატულმა წრემ. დასდგეს რომელიღაც პიესა, არ მახსოვს, მგონი მონტაჟი იყო შევჩენკოს პოემებიდან. აფიშა, სხვათა შორის, აუწყებდა ხალხს, რომ საღამოში მონაწილეობას მიიღებს ქართველი პოეტი აკაკი, რომელიც პირადად იცნობდა „ბატკო“ შევჩენკოსაო. ასე: „Маститый Грузинский поэт Акакий Церетели скажет слово о батьке Т. Г. Шевченко, которого он лично знал“...

გამოვიდა ჩვენი აკაკი სცენაზე, მაგრამ რა გამოვიდა! ოვაციებს საზღვარი არა ჰქონდა. როცა ტაშის ცემა მისწყდა, აკაკიმ დაიწყო: „Да, я лично знал батько Тараса Григорьевича Шевченко“... ამ სიტყვის თქმა იყო და ახალი ტაშის ჭექა-ქუხილი. ხალხი წამოდგა და ვიდრე აკაკი თავის მოგონებას დაათავებდა, ფეხზე იდგა. ჩვენი პოეტის ლამაზი და შინაარსიანი სიტყვა აუდიტორიამ ფეხზე ადგომით მოისმინა. უკრაინელები პარტერში მყოფ ქართველებს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. ჰეშმარიტად ეს იყო პროტესტი ცარიზმის პოლიტიკისადმი, რომელიც ჰკრძალავდა შევჩენკოს სახელის ხსენებასაც კი; ეს იყო ორი ერის ერთნაირი გრძნობით გამსჭვალვა, თავისუფალი ამოძახილი და სამშობლოს დროშის ქვეშ გმირული დარაზმვა, სიყვარულით გაერთიანება... აკაკიმ თავისი სიტყვა ასე დაათავა: „გიყვარდეთ თქვენი სამშობლო და დედა-ენა ისე, როგორც განსვენებულ შევჩენკოს უყვარდა, რადგან მისი ხსოვნისათვის ეს საუკეთესო ყილდო და ხელთუქმნელი ძეგლი იქნება“.

ეს სიტყვები მთელი ქართველი ხალხის გულიდან ამონათქვამი პასუხი იყო.

წამოდგება უკრაინა
და სიმართლეს გაშლის...
(თარგმ. სიმ. ჩიქოვანისა).

თავისი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ აკაკი მიუახლოვდა სცენის შუაგულში დადგმულ შევჩენკოს ბიუსტს, მუხლი მოიყარა მის წინაშე და პატივისცემის ნიშნად დახარა ქაღარა თავი.

ამ სურათმა აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა... მაყურებელთა ტაში და შეძახილები აზანზარებდა თეატრს.

აკაკიმ თავის ქაღალდებში დაგვიტოვა ამ სიტყვის რუსული დედანი (არ არის დასრულებული). ეს საინტერესო დოკუმენტი მოგვყავს ქართულად:

„მრავალფეროვანია ბუნება,—ასე დაიწყო აკაკიმ, — მაგრამ ამ მრავალფეროვნებაშია მთელი ქვეყნიერების სიძლიერე და სიმშვენიერე. დედამიწას ჩვენ ოთხ მხარედ ვყოფთ. ეს მხარეები არა ჰგვანან ერთმანეთს, ყოველი მათგანი თავისებურებით განირჩევა, მაგრამ ამ თავისებურებით ისინი ურთიერთს ავსებენ. შეუძლებელია წასვლა ბუნების წინააღმდეგ. მაგალითისათვის აგიღებ ჩემს თავს: მე დაბადებით ქართველი ვარ, ამიტომ უწინარეს ყოვლისა უნდა ვცდილობდე ჩემი ეროვნული თავისებურების, ე. ი. ენის, სჯულის, ისტორიის და სხვათა განვითარებას და მხოლოდ ამის შემდეგ გავხდები ღირსეული თანამოძმე. ხოლო თუ მე უარს ვიტყვი საკუთარ მეზე, თუ ჩავკლავ ჩემში ქართველობას, როგორ უნდა გადავიქცე საუკეთესო ადამიანად? ესევე უნდა ითქვას ყველა იმაზე, ვინც განაპირა ქვეყნებში ცხოვრობენ. თქვენ, უკრაინელები, როგორც სლავთა ტომი, უფრო ახლო ხართ რუსებთან, მაგრამ საკმაოა ხელი აიღოთ თქვენს ეროვნულ თავისებურებაზე, ისტორიაზე და სხვაზე, ჩაჰკლათ თქვენში უკრაინელობა, რომ ვერ გახდეთ კარგი პატრიოტი. აი ჰეშმარიტება, რომელსაც ასი წლის წინათ ქადაგებდა დიდი და სიმპატიური წინასწარმეტყველი შევჩენკო. იმიტომ ვამბობ: სიმპატიური-მეთქი, რომ პირადად ვიცნობდი მას და მისგან ვისწავლე სამშობლოს სიყვარული. ასეთ დიდ ადამიანს წარმოშობს მხოლოდ დიდი ერი. მაგრამ ეს დიდი ადამიანი, თავისი ერის გარდა, სხვა ერებსაც ეკუთვნის. ამიტომ ნება მოგვეცით, რომ ჩვენც, ქართველებიც, შევუერთდეთ თქვენს ზეიმს და პატივი ვცეთ დიდ უკრაინელს. როდესაც ჩვენი წინაპრები რუსებს იწვევდნენ, ჩვენ, შვილიშვილებს ანდერძად დაგვიტოვეს: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს და ვმეგობრობდეთ

რუსებს, რათა განუყრელად, ხელი-ხელ გადაბმულებმა ვიაროთ ერთი გზით“ *.

ჩვენ გვახსოვს აგრეთვე უკრაინის დასის გასტროლები თბილისში. გაგვიგონია ძველ მსახიობთა გვარებიც: მ. ლ. კროპივნიცკი, სუსლო-სუხადოლსკი, კარპინსკი, ზარნიცკაია, ზანკოვეცკაია, სტარიცკი და სხვ. მათი წარმოდგენები იმართებოდა ქართული თეატრის შენობაში (ამჟამად გრიბოედოვის თეატრი), ნიკიტინის ცირკში (სადაც ახლა „ზარია ვოსტოკას“ შენობაა) და პუშკინის სახელობის თეატრში (პლეხანოვის ქ., № 65). რატომ მხოლოდ ქართულ თეატრში და ნიკიტინის ცირკში? მაშინდელი ჩინოვნიკები უკრაინის დასს საშუალებას არ აძლევდნენ ოპერის ან არტისტული საზოგადოების თეატრში გამართულიყო უკრაინული წარმოდგენები! თუ „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ ამ თეატრების კარებიც გაეღებოდათ უკრაინელებს, თეატრის ადმინისტრაცია იმდენ ქირას და ხარჯებს წარუდგენდა ხოლმე ჩამოსულ დასს, რომ უკრაინელებს ძალაუნებურად ხელი უნდა აეღოთ ამ ორ თეატრში წარმოდგენების გამართვაზე.

ამ დუხჭირ დროში უკრაინელი არტისტების გასტროლებს თბილისში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. განსაკუთრებით ეს გამოჰკრთოდა ქართველ და უკრაინელ მსახიობთა ურთიერთობაში. ამ შეხვედრის, ამ ძმობის, ამ საზეიმო სიყვარულის ორგანიზატორი ყოველთვის ჩვენი დაუვიწყარი ვასო აბაშიძე იყო, იმიტომ კი არა, რომ ვასო აბაშიძეს ერთი წიბო უკრაინული ჰქონდა (ვასოს დედა გაქართველებული უკრაინელი ქალი იყო—გვარად შატკოვსკაია), არა! ვასო აბაშიძე ასე იქცეოდა ყოველთვის, როცა რომელიმე დაბეჩავებული ერის კულტურაზე მიდგებოდა

---

* აკაკი წერეთლის „სიტყვა უკრაინელებისადმი“ ავტოგრაფის სახით ინახება საქ. მუზ ხელნაწერთა განყოფილებაში № 1425.

ავტოგრაფი დაწერილია რუსულად ერთნახევარ თაბახ ფურცელზე.

ამ წერილის დასასრული შეიალება ამნაირად აღვადგინოთ: საქმე ის არის, რომ აკაკიმ თითქმის ასეთივე სიტყვით მიმართა პოეტ ბალმონტს, რომელიც თბილისს 1914 წელს ეწვია. აკაკის ეს სიტყვა მაშინდელმა გაზეთებმა ასე გადმოგვცეს: „ქ. ბალმონტის პატივსაცემად 12 აპრილს ქართულ თეატრში გაიმართა სალამო. სალამო გახსნა აკაკიმ, რომელმაც მოკლე სიტყვით აღნიშნა, რომ იყო ძველი რუსეთი, რომელსაც არ აინტერესებდა საქართველო; თანდათან იბადება და ძლიერდება ახალი რუსეთი, რომელიც ღონისძიებას ხმარობს, რათა ქართველები გაიცნოს. მეგობრობა განამტკიცოს“ („ახალხო გაზეთი“, 1914 წ., № 1162).

ასეთი ახრი ხალხთა კულტურული ურთიერთობის შესახებ აკაკიმ მოათავსა აგრეთვე გაზეთ „ბაკუაკახაია რეჩში“, 1914 წ., № 85, 16 აპრილი, ხოლო მოგონება შევნენკოზე—გაზ. „ხაკაკახიეში“, 1911 წ., № 45, 26 თებერვალი.

საქმე (გაიხსენეთ მისი მეგობრობა გ. სუნდუკიანთან). სწორედ ვასო აბაშიძის ჩაგონებით მოხდა, რომ მისი რედაქტორობით გამოცემული ანთოლოგია — „ჩანგი“ უკრაინელმა მსახიობებმა თან წაიღეს უკრაინულ ენაზე გადასათარგმნად... ვასო აბაშიძის მზრუნველობას და რუდუნებას უნდა მიეწეროს, რომ უკრაინელმა პოეტებმა გრაბოვსკიმ, ჩაიჩენკომ და სხვებმა 1893 წელს უკრაინულად თარგმნეს აკაკის, ილიას, ნ. ბარათაშვილის, რ. ერისთავის, მ. გურიელის, ი. დავითაშვილის და—ასე წარმოიდინეთ—მსახიობ სოსო ივანიძის ლექსებიც და მაშინდელ უკრაინულ ჟურნალ „პრავდაში“, მოათავსეს. *

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მსახიობები ხშირად იღებდნენ მონაწილეობას უკრაინულ პიესებშიც: 1892 წელს 4 თებერვალს მსახიობ დერვაჩის საბენეფისოდ თბილისში დაიდგა „შელემენკო დენშჩიკი“, ამ პიესაში ლადო მესხიშვილი უკრაინულ ენაზე ასრულებდა პატარა როლს... უკრაინული დასი აღტაცებული იყო ამ „თანაგრძნობით“.

ასეთი იყო მეფის თვითმპყრობელობის დროს ამ ორი დაბეჩავებული ერის კულტურული ურთიერთობა—ქართველ და უკრაინელ მსახიობთა მეშვეობით.

არ ყოფილა არც ერთი იუბილე, არც ერთი სადღესასწაულო წარმოდგენა თბილისში, რომ უკრაინელებს მონაწილეობა არ მიეღოთ და არ წარმოეთქვათ მაღალი, ამაღელვებელი სიტყვები.

ჩვენ გვახსოვს მეორე დიდი მსახიობის — ლადო მესხიშვილის იუბილე 1913 წელს, სადაც უკრაინელთა წარმომადგენელმა მქუხარე ტაშის გრიალში თავისი სიტყვა შეეჩენკოს ლექსით დაამთავრა:

ისწავლეთ, ძმანო,
იფიქრეთ, იკითხეთ,
სხვისიც ისწავლეთ
და საკუთარს ნუ ერიდებით.

აკაკი წერეთელი, ეს დიდი მომღერალი ერთა ძმობისა, თითქმის ყოველ წელს მოგზაურობდა უკრაინაში. უნდა ითქვას, რომ აკაკიმ სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობით კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩააწნა თავის დაფნის გვირგვინს. სოფ. მგალობლიშვილმა ერთხელ უსაყვედურა ილია ჭავჭავაძეს, რომ ის აკაკივით არ დადიოდა სოფლად თუ ქალაქად და ხალხს არ ეჩვენებოდა...

---

* ამ თარგმნების შესახებ იხ. ა. ხახანაშვილის წერილი: „ქართული პოეზიის ნიმუშები მოლორუსიულად“ („იევრია“, 1910 წ., № 103).

აკაკის იუბილე, რომელიც 1908 წელს გაიმართა თბილისში, საქართველოს საზღვრებსაც გასცდა. აკაკის იუბილე, სხვათა შორის, უკრაინაშიც მოეწყო დიდი ზეიმით. კორესპონდენტი აღნიშნავს: რუსეთის ინტელიგენციამ ახლა, სხვა თუ არაფერი, აკაკი წერეთლის სახელი და გვარი მაინც იცისო.* აკაკი ერთ კერძო წერილში ერთმანეთს ადარებს უკრაინელ და ქართველ გლეხს... ორ ბუნებას შორისაც ჰხედავს თავისებურ მსგავსებას: 1896 წელს აკაკი პაპანაქება სიცხის დროს სწევია ხარკოვს და თბილისის სიცხეები გაჰხსენებია. იგი წერს ერთ თავის მეგობარს მისთვის ჩვეული ჰუმორით: „ერთი ხანია ხარკოვში ვარ, ისე ცხელა, რომ ამ ქალაქს ხარკოვი კი არა, „ხრაკოვი“ უნდა ერქვას, აქაურობა იწვის და იხრაკებაო“.

უკრაინელ ხალხს აკაკი გულწრფელად უყვარდა. აკაკის გარდაცვალების გამო (1915 წ. 26 იანვარი) უკრაინის მოსწავლე ახალგაზრდობამ კიევიდან ასეთი დეპეშა გამოგზავნა:

„ზარბაზნების გრიალი ვერ დაჰფარავს უკრაინელთა ღრმა მწუხარებას თქვენი ეროვნული დანაკლისის გამო. წერეთელი და შევჩენკო პირადად იყვნენ დაახლოებულნი. და ეს ორი ძვირფასი სახელი ცოცხალი სიმბოლოა ჩვენთა იმედთა, მოლოდინთა და სურვილთა“ („სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 199).

ლომოურის და გურიელის შემდეგ შევჩენკოს ორი ლექსი გადმოიღო იასამანმა (1908 წ.) და ა. შანშიაშვილმა (1909 წ.). ორივე ლექსი სამშობლოსადმი სიყვარულის ძლიერი გრძნობით არის გამთბარი.

ხოლო შევჩენკოს გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლის თარიღთან დაკავშირებით 1911 წელს შევჩენკოს თითო-ოროლა ლექსი თარგმნა შემდეგმა ქართველმა პოეტებმა (ლომოურის და გურიელის ჩართვით): სილოვანმა, დ. თომაშვილმა, იასამანმა, ა. შანშიაშვილმა, დ. ნახუცრიშვილმა, ს. ფაშალიშვილმა, გუცა ნამორაძემ, განდეგილმა, ბაბილინამ, ი. მჭედლიშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, მ. ხარხელმა და სხვ.

ზოგიერთი თარგმანი მართლაც საუცხოოა. მე მახსოვს დომენტი თომაშვილის (ოყროშიძის) მიერ თარგმნილი ლექსი, რომელსაც ქართველებიც მღეროდნენ:

---

* „დროება“, 1909 წ., № 37.

ნეტა ვიცოდე, სად დაეძებ სულსა,
ვის ქვეყნის მიწას მიეშვები და სხვ. *

მაგრამ ჩვენი პოეტების მიერ ნათარგმნ მასალას არც აქა ჰქონდა სისტემატური ხასიათი. ამ ლექსებს, ზოგიერთების გამოკლებით, აკლდა ორიგინალის ეშხი და ნატიფობა. ზოგი მთარგმნელი „თავისუფლად“ აკეთებდა შევჩენკოს შემოქმედების ნიმუშებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, შევჩენკოს ძველი მთარგმნელები ჩვენს მადლობას იმსახურებენ, რადგან მათ პირველად გააცნეს ქართველ ხალხს მშობლიურ ენაზე გენიალური უკრაინელი პოეტის შემოქმედება და იმ პირქუშ დროში თავისი წრფელი წვლილი უძღვნეს ხალხთა მეგობრობის დიად იდეას.

მკვლევართა შორის შევჩენკოს პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მწერალს და პედაგოგს ალექსანდრე გარსევანიშვილს (1864—1936). მან 1911 წლის, 13 მარტს ორი ლექცია წაიკითხა ქუთაისის ქალაქის თეატრში შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ალექსანდრე გარსევანიშვილმა ეს ლექციები გაიმეორა გორში, ფოთში, ჭიათურაში და ყველგან დიდი სიყვარული დაიმსახურა. **

ამავე წელს შევჩენკოს შემოქმედება გაარჩიეს იაკობ გოგებაშვილმა, იპ. ვართაგავამ, დავით ნახუცრიშვილმა, ლ. ბოცვაძემ და მ. ნასიძემ. ლექსები უძღვნეს სილოვანმა, ლ. გეგეჭკორმა და საელე აბულაძემ. მაგრამ მეტად საგულისხმოა და სასიხარულო იაკობ გოგებაშვილის წერილი... მან ორი წერილი დასწერა შევჩენკოს შესახებ: ერთი—პოეტის ცხოვრების სათუთი გადმოლაგებაა ბავშვთათვის გასაცნობად, ხოლო მეორე—გასაოცარია თავისი მაღალი ჰუმანიურობითა და შორსმჭვრეტელობით. იგი მოუწოდებდა ქართველ პოეტებს — ეთარგმნათ შევჩენკოს ლექსები და ამით გაემდიდრებინათ ქართული ლიტერატურა, ვინაიდან უკრაინა და საქართველო ტანჯვა-წამებით ერთმანეთს ენათესავებიანო,— აი, რა აზრისა იყო იმ შაებნელ დროს ჩვენი აღმზრდელი იაკობი შევჩენკოს პოეზიაზე. ნებას ვაძლევ ჩემს თავს გოგებაშვილის ეს დავიწყებული წერილი მთლიანად მოვიყვანო:

„პატარა ბარათი დიდი პოეტის შესახებ

რუსეთის იმპერიის საზღვრებში,—წერს იაკობ გოგებაშვილი,— მოქცეულია, სხვათა შორის, ერთი ხალხი, რომლის ბედი ძლიერ ემსგავსება საქართველოს ბედსა და რომლის შვილთა შორის კაი

იხ. „ჯოლხიდა“, 1911 წ., № 42.

** ეს ლექციები ცალკე წიგნად დაბეჭდა ქუთაისის საბალხო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1912 წელს.

ხანია დაიბადა და აღიზარდა თანაგრძნობა და სიმპატია საქართველოსადმი. ამ ქვეყანას ჰქვიან უკრაინა ანუ მოლოროსია. ამ სიმპატიური ქვეყნის დიდებას და სიამაყეს შეადგენს ერთი საოცარი ნიჭით შემკული მგოსანი, რომლის გარდაცვალების დღიდან ამას წინად განელო ორმოცდაათმა წელმა, რის გამოც გამოუთქმელი აღტაცებით მთელმა უკრაინამ გამართა იუბილეი ნიშნად თავისი სასიქადულო მგოსნის უღრმესი სიყვარულის და პატივისცემისა. მე მოგაბსენებთ შევჩენკოზე, რომელიც იყო შვილი მოყმე გლეხისა და პირადად თავის თავზე გამოსცადა უმძიმესი უღელი ბატონყმობისა. როცა ამ უღელს თავი დააღწია და გადაიქცა განვითარებულ ინტელიგენტად, შევჩენკოს დაადგა კისერზე კიდევ უფრო უარესი უღელი ბიუროკრატიამ. მიუხედავად შესაზარის ბედისა, რომელიც წილად ხვდა შევჩენკოს, მან შეჰქმნა თავის საყვარელ დედაენაზე იმისთანა პოეტური ქმნილებანი, რომ იგი ახლა გადათარგმნილი არიან ყველა მთავარ კულტურულ ენაზე და დიდის სიხარულით იკითხებიან. მხოლოდ არ ამშვენებენ იგი იმ ერთ ენას, რომლის მდგომაროებასა და ტანჯვა-წვალებაზე ზედ გამოჰკრილი არიან,—ამ სამწუხარო გამოკლებას შეადგენს ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, რომელსაც შევჩენკოს უკვდავი ქმნილებანი. ვიმეორებ, ბევრად უფრო შეესაბამებიან, ვიდრე სხვა ენებსა და ერებს. აღვნიშნავ რა ამას, ვურჩევ ჩვენებურ პოეტებს, გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევჩენკოს ქმნილებათა თარგმანებით. ეს თარგმანები ჯერ დაბეჭდონ ჟურნალ გაზეთებში და შემდეგ ცალკე კრებულად გამოსცენ, როგორც ეს მოიქმედეს რუსმა მწერლებმა, რომელთაც მთელ ტომად გამოსცეს შევჩენკოს ლექსები და პოემები ამ სათაურით: Кобзар Шевченко в переводах русских писателей.

იაკობ გოგებაშვილი“
(„სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 254).

გოგებაშვილის ეს მოწოდება, რომელშიაც გამოსჭვივის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა შევჩენკოს პოეზიისადმი, მხოლოდ ჩვენს დროს განხორციელდა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

სახალხო მგოსნის შევჩენკოს ლექსები დღეს არამც თუ ქართულ ლიტერატურას აშშვენებენ, არამედ ისინი გადათარგმნილნი არიან საბჭოთა კავშირის ხალხთა 28 ენაზე. „ჩემი სიცოცხლის ისტორია ჩემი სამშობლოს ისტორიის ნაწილს შეადგენსო“—ამბობდა შევჩენკო. რა მართალი სიტყვებია! იგი თავისი ლექსებით უმღეროდა უკრაინის ხალხს, ჰკენწლავდა ცარიზმის მტაცებლურ-

პოლიტიკას, იცავდა გლეხის განაწამებ სიცოცხლეს, მოუწოდებდა ყველას — ებრძოლათ მოძალადეთა წინააღმდეგ უკეთესი მერმისისათვის, ჰქადაგებდა ტანჯული ერების ძმობაზე, თავისუფლებაზე და ოცნებობდა ხალხთა ჩაგვრაზე აგებული მეფის რუსეთის ტახტის დანგრევას:

და მეც დიად, თავისუფალ
თქვენს ოჯახში მიწყივ—
მოვიგონეთ, გამიხსენეთ
მადლიანი სიტყვით!
(თარგმ. ვ. ბაიაძისა).

ასეთი იყო მისი ანდერძი.

დღეს თავისუფალი უკრაინა სხვა მოძმე ხალხთან ერთად უდიდეს აღორძინებას განიცდის. უკრაინის ბედნიერი ხალხი დღესასწაულობს მეფის თვითმპყრობელობის სასტიკი დევნისაგან უდროოდ დაღუპულის თავისი ერთგული შვილის შევჩენკოს დაბადების 125 წლის თავს.

ქართველ ხალხს უყვარს მოძმე უკრაინის დიდი პოეტი და აფასებს მას, როგორც ჩაგრულ ხალხთა საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლს. დღეს ტარას შევჩენკოს სახელი უფრო მახლობელი გახდა ჩვენი სამშობლოს ყველა ერისათვის.

მეგობრობა გვაერთებს ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა ხალხთან. ეს მეგობრობა წინ მიუძღვის საბჭოთა ადამიანებს ახალ-ახალი გმირობისათვის მშობლიური ქვეყნის სადიდებლად.

დღეს საქართველოს წიგნის ოქროს კარადაში სათუთად დევს „კობზარის“ კარგი თარგმანი ქართულ ენაზე, რაზედაც ოცნებობდნენ უბრწყინვალესი იდეალების გამომხატველნი ჩვენი წინაპრები.

ჩვენმა საუკეთესო საბჭოთა პოეტებმა უკრაინის მოძმე ხალხს უძღვნეს შევჩენკოს წიგნი ქართულ ენაზე (12 ათასი სტრიქონი) სწორედ ისევე, როგორც უკრაინელმა პოეტებმა უკრაინულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ჩამოგვიტანეს რუსთაველის საიუბილეო პლენუმზე.

ეს ფაქტი კიდევ ერთი ბრწყინვალე გამოხატულებაა ჩვენი ბრძნული ნაციონალური პოლიტიკისა.

1939 წ.

მაქსიმ გორკის „ნაძირალნი“

ერთხელ ბეგლარ ახოსპირელი შემხვდა ქუჩაში და მომასარა: გორკის „ნაძირალნა“ ვთარგმნე, მერე იცი, ბიჭო, რა ძნელი სათარგმნია! თვით ივანე პოლუმორდვინოვმაც (1875—1952), რომელიც გორკის ნაწერების ერთ-ერთ შესანიშნავ მთარგმნელად ითვლება, ვერ გაბედა ამ პიესის თარგმნა. გვინდა სცენაზე წარმოვადგინოთ.

ეს იყო 1907 წელს. ამ დროს ქართულ დრამას კერა არა ჰქონდა. ეგრეთ წოდებული „ბანკის თეატრი“ (ამჟამად გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამა), სადაც მაშინ ქართული წარმოდგენები იმართებოდა, კაპიტალური შეკეთების გამო დროებით დაკეტილი იყო. ახალი შენობა უნდა გვექირავა. გადაწყდა გორკის „ნაძირალნი“ დადგმულიყო არტისტული საზოგადოების თეატრის შენობაში (ახლანდელი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი).

ჩვენი ნაამაგდარი სუფლიორი ბეგლარა (ბეგლარიძე, ახოსპირელი) იმ ხანებში მძიმე ავად იყო. ფილტვები ჰქონდა დაზიანებული და სახლიდან არ გამოდიოდა.

მსახიობთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა წარმოდგენა გაემართა და შემოსული ფულით დახმარება აღმოეჩინა სცენის ამ უანგარო მუშაკისათვის. ჯერი მიდგა პიესის არჩევაზე. როცა ბეგლარას შევეკითხეთ, მან „ნაძირალნის“ დადგმა გვირჩია, ჯერ ერთი ახალი პიესაა, ხალხი დაინტერესდება და მეორეც—ჩემი ნათარგმნიაო. თეატრი დავიქირავეთ, როლები გავანაწილეთ, შევკრიბეთ დაქსაქსული მსახიობები, მუშათა რაიონის თეატრიდან სცენისმოყვარენიც დავიხმარეთ (ნ. გოცირიძე, მიტრო ბაქრაძე, ან. ქიქოძე, სოფ. რომანიშვილი) და საერთო ძალით გორკის „ნაძირალნი“ დავდგით, 1908 წელს, 4 მაისს. ეს არის ქართულ ენაზე „ნაძირალნის“ პირველი დადგმის თარიღი.

რადგან ამ წარმოდგენის აფიშა არ დარჩენილა და არც პროგრაცა დაგვიბეჭდია, ნებას მიეცემ ჩემს თავს დავიხმარო მაშინდე-

ლი ჩემი „სუფლიორის ეგზემპლარი“, სადაც მოქმედ პირთა გასწვრივ აღნიშნული მაქვს მონაწილეთა გვარები. ეს ის მსახიობებია, რომლებმაც პირველად განასახიერეს გორკის ტიპები ქართულ სცენაზე. როგორც აღნიშნული მინაწერიდან დაინახავთ, მ. გორკის პიესაში სხვა მსახიობებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ჩვენი სცენის გამოჩენილმა და სახელმოხვეჭილმა არტისტებმა—ვასო აბაშიძემ, ნატო გაბუნიამ, ვალ. გუნიამ, კ. შათირიშვილმა და სხვ.

აი, სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა სია:

მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ნ ი

მიხეილ კოსტილევი—ნ. გოცირიძე,
ვასილისა კარპოვნა—ალ. კარგარეთელისა,
ნატა'მა, ამისი და—ან. ქიქოძე,.
მედვედევი, პოლიციელი—ი. ივანიძე,
ვასკა პეპელი—ი. ჟივიძე,
ანდრეი კლეშჩი—ვიქტ. გამყრელიძე,
ანნა, ამისი ცოლი—ბ. ნებიერიძისა,
ნასტია—სოფიო რომანიშვილი,
კვაშნია, მოვაჭრე ქალი—ნ. გაბუნია,
ბუბნოვი, მექუდე—გ. გედევანოვი,
სატინი—ალ. იმედაშვილი,
მსახიობი—ვასო აბაშიძე,
ბარონი—კ. შათირიშვილი,
ლუკა—ვ. გუნია,
ალიოშკა—შ. ბერიშვილი,
კრივოიზობი—დიმ. ბაქრაძე,
თათარი—ვ. მატარაძე.

„ნაძირალნის“ წარმოდგენის დღეს აივალის აუდიტორიიდან მოწვეული იქნა გამოცდილი სუფლიორი მიხ. თუშმალიშვილი, რადგან მე, როგორც ახალგაზრდას, არ მენდობოდნენ (მხოლოდ რეპეტიციების სუფლიორი ვიყავი, ამ წარმოდგენაზე კი სცენარიუსის მოვალეობას ვასრულებდი).

ბეგლარ ახოსპირელი უწყინარი, თავმდაბალი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი და ნიჭიერი პოეტი იყო (ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ აქამდე ვერ შევკრიბე მისი ლექსები და ვერ გამოვეცი ცალკე წიგნად). მას ყველა პატივსა სცემდა. გაზეთებმა განცხადებები უფასოდ მოათავსეს. პრესაში გამოქვეყნებულ ქრონიკებში ვკითხულობთ: „მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 4 მაისს, არტისტული საზოგადოების თეატრში სუფლიორ ბეგლარი-

ძის სასარგებლოდ ქართული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება მაქსიმ გორკის ცნობილი პიესა „ნაძირალნი". იმედია, ქართველი საზოგადოება ამ პიესას ყურადღებას მიაქცევს, რადგან ის არამც თუ რუსეთში, თვით საზღვარგარეთაც ცნობილი პიესაა; პიესა ქართულად თარგმნილია ბ. ახოსპირელის მიერ. ბ. ახოსპირელი ჩვენი სცენის ერთი შეუმჩნეველი, მაგრამ ნაყოფიერი მუშაკია. იგი ამჟამად ავად არის. ექიმობა ეპირვება, არავითარი სახსარი არა აქვს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღევანდელ საინტერესო წარმოდგენას საზოგადოება დაესწრება" (იხ. გაზ. „ამირანი", 1908 წ., № 51).

ამ ამონაწერიდან აშკარად ჩანს თუ რა უმწეო მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი სცენის მოღვაწეები. ისინი მუდამ საშინელ ხელმოკლეობას განიცდიდნენ, განსაკუთრებით მძიმე იყო მათი ხვედრი ავადმყოფობის შემთხვევაში. არსაიდან სახსარი, არსაიდან დახმარება.

და აი, ზემორე მოყვანილი განცხადებით ქართულმა დასმა მიმართა საზოგადოებას, რათა დასწრებოდა წარმოდგენას და თავისი დახმარების ხელი გაეწოდებინა ქართული სცენის პატრიოტისათვის. ამ წარმოდგენის თაოსნები ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ბევრ ხალხს მოეყარა თავი, საერთო წარმატებასთან ერთად, შემოსავალიც დიდი ყოფილიყო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, შემოსავალმა თეატრის ქირაც ვერ დაჰფარა.

ცნობილია, რომ რეაქციის წლებში მ. გორკის ნაწარმოებებს მთელ რუსეთში განსაკუთრებით სდევნიდნენ, მეფის თვითმპყრობელობა კრძალავდა მ. გორკის წიგნების გამოცემასა და მისი პიესების დადგმას. არც საქართველოში იყო ნებადართული მ. გორკის იდეების პროპაგანდა, მისი მხატვრული ქმნილებების პოპულარიზაცია. აქაც განსაკუთრებული საცენზურო პირობები იყო დაწესებული. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1905 წელს, თბილისში პოლიცმეისტერმა კოვალიოვმა არტისტული საზოგადოების თეატრის რუსული დასის რეპერტუარიდან ამოიღო მ. გორკის პიესები და მათი დადგმა აკრძალა.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ქართულმა დასმა მაინც მოახერხა 1908 წელს ავადმყოფი მსახიობისა და მოკარნახის სასარგებლოდ მ. გორკის „ნაძირალნის" დადგმა. ეს თავისთავად დიდი მოვლენა იყო. ეს იყო არა მარტო მ. გორკის პირველი ქართული დადგმა, არამედ ერთ-ერთი უაღრესად სოციალური და საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალული წარმოდგენა რეაქციის შავბნელ ეპოქაში. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, მას უმთავრესად მუშები და თბილისის ხელმოკლე მოსახლეობა ესწრებოდა...

ეს იყო და ეს. „ნაძირალნი“ თბილისში აღარ განმეორებულა. ორი წლის შემდეგ იგი დაიდგა ქუთაისში (1910 წ. 21 იანვარს), ხოლო ხუთი წლის შემდეგ—ბათუმში (1913 წ. 5 დეკემბერს).

1903 წელს „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში გორკის კარიკატურა დაიბეჭდა. ქვეშ ასეთი წარწერა ჰქონდა: გორკი მოდის თბილისში „ნაძირალნის“ დასადგმელად!

მართლაც, ქართული თეატრის შენობაში, სადაც მსახიობ ვ. ფ. ვალენტინოვის თაოსნობით იმართებოდა რუსული წარმოდგენები, 1903 წელს 24 და 25 ივნისს ზედიზედ დაიდგა რუსულად „ნაძირალნი“. ორივე წარმოდგენას აუარებელი მაყურებელი დაესწრო. არ ეძინა თბილისის ოხრანკასაც. როტმისტრი სუციევი 24 ივნისის თარიღით აუწყებდა პოლიციის დეპარტამენტს, რომ „21 ივნისს გორკი გაემგზავრა ბათუმს. იქიდან დღეს ან ხვალ ისევ თბილისში დაბრუნდება, რადგან მისი თანდასწრებით აქაურ ქართულ თეატრში რუსულად დასდგამენ „ნაძირალნს“. გუბერნატორი გაფრთხილებულია“.

არც ერთ მწერალს არა აქვს ისეთი მდიდარი და საარაკო თავგადასავალი, როგორც გორკის. თავიდანვე უსაზღვროდ დიდი იყო მისი პოპულარობა.

მაქსიმ გორკი პირველად თბილისს ესტუმრა 1891 წელს. იგი ჩვენს ქალაქში ფეხით ჩამოვიდა კავკავიდან... ლიტერატურული ნათლობა საქართველოში მიიღო. აქ დასწერა მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, რომელიც ადგილობრივ რუსულ გაზეთში დაიბეჭდა („Кавказ“, 1892 წ., 12 სექტემბერი), აქ გაიცნო მუშა-რევოლუციონერი ა. მ. კალიუჟნი (1853—1939), რომელთანაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მიწერ-მოწერა არ შეუწყვეტია. აქ იგემა პირველი პატიმრობა მეტეხის ციხეში. აქ არალეგალურ წრეში დაუახლოვდა ეგნატე ნინოშვილს, რომელიც შეიძლება მის პირველ ლიტერატურულ მეგზურად ჩაითვალოს, აქვე გაეცნო და დაუმეგობრდა გორკი უდროოდ დაღუპულ რევოლუციონერ გოლა ჩიტაძეს, რომელსაც გორკიმ მოთხრობა „შეცდომა“ უძღვნა.

გორკის ნაწარმოების პირველი ქართული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „კვალში“ 1899 წ. (№ 39).

გორკის თარგმნიდნენ: ირ. ევდოშვილი, ს. მგალობლიშვილი, ჰოლა ლომთათიძე, ია ეკალაძე, განდეგილი, კ. ჯაფარიძე, ვ. რუხაძე, ბ. ახოსპირელი და სხვ.* 1902 წელს დაიბეჭდა გორკის მო-

* იხ. დაწვრილებით ჩემს მიერ შედგენილი გორკის ნაწერების ქართულ ენაზე თარგმნის ბიბლიოგრაფია („სალიტერატურო გაზეთი“, 1932 წ., № 27), შდრ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1936 წ. № 4—5, გვ. 25.

თხრობების ორი წიგნი, ერთი ქუთაისში (მთარგმნელი პედაგოგი სერგო რობაქიძე), მეორე—თბილისში იოსებ იმედაშვილის გამოცემით და წინასიტყვაობით (მთარგმნელი სოფლის მასწავლებელი ვანო გიუნაშვილი). პიესა „ნაძირალნი" ბეგლარ ახოსპირელმა თავისი ხარჯით დაბეჭდა 1907 წელს (გამომცემლობა „მერანი" მისი დაარსებული იყო). „ნაძირალნის" ტირაჟის ნაწილი (სულ დაიბეჭდა ათას ორასი ცალი) „ბათუმის გაზეთმა" თავის ხელისმომწერლებს პრემიად დაურიგა.

1913 წელს, შოვინიზმის ბატონობის პირობებში, მაქსიმ გორკიმ იკისრა ქართული და სომხური პოეზიის ანთოლოგიის რუსულად გამოცემა. სომხური ანთოლოგია გამოვიდა, ხოლო ქართული კრებული ვერ მოესწრო—ჯერ ერთი ჩვენმა მწერლებმა მასალა დროზე ვერ მიაწოდეს გორკის, მეორეც—1914 წელს ამტყდარმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა დიდ რუს მწერალს თავისი კეთილშობილური განზრახვა განეხორციელებინა.

მაქსიმ გორკის გულწრფელად უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. რუსული ლიტერატურის კლასიკოსი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა და მისდამი მადლიერების მხურვალე გრძნობა სიკვდილამდე ერთ წუთს არ შენელებია.

ერთ კერძო წერილში გორკი წერს: „არასოდეს არ მავიწყდება თბილისი. სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე. რომლითაც აი, უკვე ოთხი ათეული წელიწადია, რაც დავდივარ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიულმა გულთბილობამ, სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ის ბიძგი, რომლითაც ყოფილი მოხეტიალე (Бродяга) ლიტერატორი გავხდი".

ქართველმა ხალხმაც უსაზღვროდ შეიყვარა ეს დიდბუნებოვანი ადამიანი, დიდი რუსეთის დიდი შვილი, მოძმე ხალხთა ერთგული მეგობარი—მაქსიმ გორკი.

1933 წ.

გოგოლის „რევიზორი“ ქართულ სცენაზე

აი, ნახავთ, რომ ევროპა ჩვენთან მოვა არა სელისა და ქონის საყიდლად, არამედ სიბრძნის შესაძენად, რაც უკვე აღარ იყიდება ევროპის ბაზრებზე.

გოგოლი

ქართული ლიტერატურისა და თეატრის გამოჩენილი მოღვაწენი ყოველთვის დიდად აფასებდნენ რუსული თეატრისა და დრამატურგიის მნიშვნელობას სათეატრო ხელოვნების განვითარებაში. ქართული თეატრი და ქართული ლიტერატურა თავისი განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე გაბედულად სარგებლობდა რუსული თეატრის მიღწევებითა და გამოცდილებით. ქართული თეატრი არასოდეს არ უშინდებოდა სიძნელეებს და არ გაურბოდა რუსული პიესების დადგმას. რუსული დრამატურგიის თითქმის ყველა საუკეთესო ქმნილება, თავიანთი სირთულისა და სპეციფიკის მიუხედავად, სხვადასხვა დროს დადგმული ყოფილა ქართულ სცენაზე. ამით ქართული თეატრი და მისი მოწინავე მოღვაწენი განამტკიცებდნენ რუსი და ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრობას, წინ სწევდნენ და ანვითარებდნენ ეროვნულ თეატრალურ კულტურას. კავშირი და შემოქმედებითი ურთიერთობა რუსულ კლასიკურ დრამატურგიასთან ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში განმტკიცდა. ქართულ სცენაზე ამეტყველდნენ ა. გრიბოედოვი, ა. ოსტროვსკი, ა. სუხოვო-კობილინი, ნიკოლოზ გოგოლი, ლევ ტოლსტოი, ა. ჩეხოვი, მ. გორკი და სხვ ქართული თეატრი დიდად დაეალებულია ამ დრამატურგებისაგან.

ჩვენ ამჟამად ვილაპარაკებთ საქართველოში „რევიზორის“ პირველი დადგმის შესახებ, გზადაგზა შევეხებით ზოგიერთ უცნობ და ახალ მასალებსაც გოგოლის სახელთან დაკავშირებით.

ქართულ სცენაზე „რევიზორი“ გაჩნდა ცოტა მოგვიანებით, სამოცდაათიან წლებში, ჯერ კიდევ ქართული პროფესიული თეატ-

რის განახლებამდე. სცენისმოყვარეთა სპექტაკლებმა შეამზადეს ნიჭიერი აქტიორული ძალები, რომელნიც 1879 წელს აღდგენილი ქართული პროფესიული თეატრის ძირითად ბირთვად შეიქნენ. ეს სცენისმოყვარენი, ქართულ ორიგინალურ პიესებთან ერთად, რუსული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებსაც ავრცელებდნენ ხალხში და სახელს უხვევდნენ.

გოგოლის „რევიზორი" საქართველოში პირველად განსახიერებულ იქნა რუსული პროფესიული დასის მიერ ჯერ კიდევ 1856 წელს, თბილისში. 1867 წელს კი ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეებმა ქუთაისის თეატრში რუსულ ენაზე წარმოადგინეს კომედიის ორი მოქმედება. გაზეთ „დროებაში" ეკითხულობთ: „გიმნაზიელებმა წარმოადგინეს აქაურ თეატრში რუსულად „რევიზორის" პირველი და უკანასკნელი მოქმედება" („დროება", 1867 წ., № 11). კორესპონდენტი აღნიშნავს, წარმოდგენამ კარგად ჩაიარაო.

ხოლო ქართულ ენაზე „რევიზორი" პირველად დაიდგა თბილისში 1881 წელს, 19 აპრილს, პროფესიული თეატრის სცენაზე. როლები ასე იყო განაწილებული:

გოროდნიჩი—ანტონ ლორთქიფანიძე,
ხლესტაკოვი—ვასო აბაშიძე,
ოსიპი—კოტე ყიფიანი,
ლიაპკინ-ტიაპკინი—ზაალ მაჩაბელი,
ფოჩტმეისტერი—მოხევე [ალექსანდრე ყაზბეგი],
ანა ანდრეევნა—ნატო გაბუნია,
მარია ანტონოვნა—მაკო საფაროვ-აბაშიძისა,
პოშლიოპკინა—ბაბო კორინთელი,
დობჩინსკი—ნიკო თომაშვილი [შიშნიაშვილი],
ბობჩინსკი—ნოდარ ჯორჯაძე [საბუელი].

„რევიზორის" დადგმის იდეა ეკუთვნოდა ვასო აბაშიძეს. რეჟისორად ქუთაისიდან მოიწვიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანტონ ლორთქიფანიძე (1847—1894); ამ სპექტაკლის განხორციელებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკი წერეთელსაც, რომელიც იმ წლებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული თეატრთან და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ახალგაზრდა მსახიობებს.

ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ პირველად დადგმული „რევიზორის" რეცენზია, რომელიც რუსულ გაზეთ „Кавказ"-შია მოთავსებული (ქართული გაზეთი არ გამოხმაურებია „რევიზორის" პირველ დადგმას). რადგან დღემდე ჩვენს მკვლევარებს ეს ყოველმხრივ საყურადღებო წერილი შეუნიშნავი დარჩათ, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება იგი მთლიანად მოვიყვანოთ ქართულად:

„კვირას, 19 აპრილს, ქართულ სცენაზე პირველად იქნა წარმოდგენილი გოგოლის კომედია „რევიზორი". ხალხი, ვინც აქამდე უნდობლად ეკიდებოდა ადგილობრივ სცენებზე რუსულ წმინდა საყოფაცხოვრებო პიესების დადგმას, ხელმეორედ, თვალნათლივ, უნდა დარწმუნებულიყო თავის შეხედულების მცდარობაში. სომხურ სცენაზე „ვაი ჰკუისაგან"-ისა და ქართულ სცენაზე „რევიზორის" დადგმამ სავსებით დაამტკიცა, რომ ადგილობრივ სცენაზე რუსული ნაციონალური პიესები წარმატებით შეიძლება იქნას წარმოდგენილი. თუ კი რუსულ ენაზე ჩვენ ვუყურებთ ათას ალფონსსა და არმანს, მაშინ რატომღა უნდა გვეოცოს და გვეუცნაუროს ფანუსოვი სომხურ ენაზე ან ხლესტაკოვი ქართულად მოუბარი? ეს პიესები მსახიობებს უხეიროდ რომ შეესრულებინათ, ყველა მაშინ აუცილებლად ბრალს იმას დასდებდა, რომ რუსული ყოფაცხოვრებითი პიესები ადგილობრივი სცენისათვის შეუფერებელი და გამოუყენებელიაო.

ალბათ, ქართველი მსახიობები გრძნობდნენ ამ ამოცანის მთელ სიმძიმეს და ამიტომ, სიმართლე უნდა ითქვას, ძალიან კეთილსინდისიერად მოეკიდნენ თავიანთ საქმეს. პიესა რეპეტიციების დროს კარგად იყო მომზადებული,—და თუ არ მეხუთე მოქმედება, რომელმაც უხეიროდ ჩაიარა,—შესრულება ბრწყინვალედაც კი შეიძლებოდა მიგვეჩნია. ხლესტაკოვის როლი, რომელიც რუსულ რეპერტუარში ერთ-ერთ უძნელეს როლად ითვლება, ბ-ნმა აბაშიძემ არტისტულად ითამაშა. ზომიერება მას სავსებით ჰქონდა დაცული; მთელი პიესის განმავლობაში არც ერთხელ არ გადაუმლაშებია, ეს კი—გნებავთ თუ არ გნებავთ,—მნიშვნელოვანი ღირსებაა. აბაშიძის პირველი გამოსვლიდან მოკიდებული მაყურებელი გრძნობდა, რომ.მის წინ დგას მსახიობი, რომელსაც თავისი როლი ღრმად აქვს მოფიქრებული. მეორე მოქმედებაში, გოროდნიჩთან შეხვედრისას, ის მიუბაძავი იყო. საერთოდ მისმა თამაშმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა. მან ტყუილად გაიკეთა (ფრაკზე) მუქშუშიანი პენსნე; ამას კაცმა მარტო უკიდურეს შემთხვევაში უნდა მიმართოს ხოლმე. მაყურებელი უნდა ხედავდეს მოთამაშის თვალებს; განა შეიძლება ფიზიონომიის, სახის თამაში უთვალებოდ? ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ის მეტისმეტად ცუდად იყო ჩაცმული, ისე ცუდად, როგორც პეტერბურგში ქარვასლის ნოქრებიც კი არ იცვამენ. რადგან ქართულ წარმოდგენათა შესახებ გაზეთებში რეცენზიები ძალიან იშვიათად იბეჭდება, ამიტომ ვსარგებლობთ შემთხვევით და ბ-ნ აბაშიძეს მიეუთითებთ ერთ ნაკლზე, რომელიც მას ჩქარა შეუძლია თავიდან მოიშოროს. ჩვენ ვლაპარაკობთ ერთ

ჩვეულებაზე, რომელიც მას ბოლო ხანებში დასჩემდა—ფრაზის უკანასკნელ სიტყვებს რამდენჯერმე იმეორებს. ვოდევილებში ერთხელ, ორჯერ—კიდევ ჰო, შეიწყნარება, მაგრამ წარამარა ამის მოსმენა პირდაპირ აუტანელია, გოგოლის კომედიაში ხომ ეს სრულებით უადგილოა.

გოროდნიჩის როლში პირველად თბილისის სცენაზე გამოვიდა ა. ლორთქიფანიძე, ქართული თეატრის ახალი რეჟისორი, რომელიც „ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ" დანიშნა, როგორც სცენისმოყვარეს, როგორც სცენაზე ახლად გამოსულს, მას, რასაკვირველია, არც შეიძლება კაცმა ბევრი რამ მოსთხოვოს. სცენიური გამოუცდელობის გარდა, რაც პირველ ხანებში გარდუვალიცაა, მას არა აქვს მთლად მკაფიო გამოთქმა, ისიც იმერული კილოთი. პიესის საუკეთესო ადგილები მას დაეკარგა, რადგან არ იცის ეფექტური მდგომარეობისა და მარჯვე ფრაზის გამოყენება. სადაც გაცხარება უნდა, იქ ის მთლად სუსტია. მეხუთე მოქმედების მონოლოგი, რომელიც ყველაზე უფრო მაღლიანია და მჭუხარე ტაშს იწვევს, თუ კი კაცი ოდნავ მაინც რიგიანად წარმოთქვამს, მას მეტად უფერული გამოუვიდა, რასაც, სამწუხაროდ, საკმაოდ შეუწყო ხელი პიესის ბოლოს ხმის დაკარგვამ. ბ-ნ ლორთქიფანიძის თამაშში შესანიშნავი იყო მეორე მოქმედება, როცა გოროდნიჩი ხლესტაკოვს გამოეცხადება. საერთოდ მეორე მოქმედებამ არტისტულად ჩაიარა.

ოსიპი ოდნავადაც არ იყო ტიპიური. არ ვიცით, რამ აიძულა ბ-ნი ყიფიანი, რომ ოსიპის წარმოსასვაში მან გვერდი აუქცია საყოველთაოდ მიღებულ ნიმუშს. გოგოლის ტიპები მთლად ჩამოყალიბებულნი არიან და რაიმე ახალის შექმნა სახიფათოცაა და უსარგებლოც. ბ-ნი თომაშვილი დობჩინსკის როლში კარიკატურული იყო; შეუდარებლივ უკეთესად ეჭირა თავი მის ამხანაგს ბობჩინსკის—სცენისმოყვარის ნ. ჯორჯაძის სახით, რომელსაც საუცხოო გრიმი ჰქონდა. ნაფიც მსახიობებს შორის თავისი თამაშით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბ-ნი მაჩაბელი ლიაპკინ-ტიაპკინის როლში და მოხევე ფოჩტმეისტერ შპეკინის როლში. თურმე ბ-ნ მოხევესაც შესძლებია კარგი თამაში, როცა როლი დასწავლილი აქვს. დანარჩენ პირებს თამაშობდნენ სცენისმოყვარენი, რომელნიც თუმცა არ გამოირჩეოდნენ თავისი თამაშით, მაინც, მიუხედავად ამისა ანსამბლს არ აფუჭებდნენ. ქალთა როლების შესრულება გაცილებით უკეთესი იყო. ქ-ნი გაბუნია ანა ანდრეევნას როლში და ქ-ნი საფაროვა მარია ანტონოვნას როლში მეტად ტიპიურები იყვნენ. სამწუხაროდ, ერთ ადგილას ორივე მსახიობმა ქალმა დიდი შეცდომა

დაუშვა: როცა ხლესტაკოვი მარიას წინ უჩოქებს, მაშინ ქ-ნმა გაბუნიამ, კარის გაღებისთანავე ეს სცენა რომ დაინახა, ოდნავადაც არ შეჰკიცლა და დამშვიდებით დაუწყო თავის ქალს „ტუქსვა“, ასე რომ შესანიშნავი ფრაზა „ოხ! რა მოულოდნელი რეპრიმანდია!“—სრულებით მიიჩქმალა. იგივე გააკეთა თავის მხრივ ქ-ნმა საფაროვამაც. ის რამდენიმე ხანიც კი შეჩერდა კარებში, რათა დამტკბარიყო, თუ მისი საქმრო როგორ დგას წამოჩოქილი მისი დედის წინაშე, და სრულიად დამშვიდებით „ოხ! რა პასაჟია“ შესცვალა ფრაზით „რას ჩადიხართ?“ ასე რომ დედის სიტყვებმა—„რა გიჟივით შემოიქერიო“—ყოველგვარი აზრი დაჰკარგეს. აქაში, რა თქმა უნდა, უფრო რეჟისორია დამნაშავე, ვიდრე პატივცემული მსახიობები, რომელთაც, როგორც ამბობენ, არასოდეს არ უნახავთ „რევიზორის“ რუსულ სცენაზე. პოშლიოპკინას როლს დიდი წარმატებით ასრულებდა ქ-ნი კორინთელი. საერთოდ ამ წარმოდგენისაგან საზოგადოებამ საესებით კარგი შთაბეჭდილება მიიღო. კვირას იმავე სცენაზე იდგმება ოსტროვსკის „შემოსაელიანი ადგილი“ („კავკაზი“, 1881 წ., № 89, 24 აპრილი).

როგორც ვხედავთ, „რევიზორის“ პირველი ქართული წარმოდგენა წარმატებით ჩატარებულა. ეს ხელმოუწერელი რეცენზია, რომელიც თეატრთან ახლო მდგომ პიროვნებას უნდა ეკუთვნოდეს (შესაძლოა მიხ. ბებუთაშვილს), დაწერილია საქმის ცოდნით და ახალგაზრდა არტისტებისადმი სიყვარულით.

ნათარგმნ პიესებს შორის, რომლებიც იდგმებოდა ქართულ თეატრში, გოგოლის „რევიზორი“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაერცელებული, სახელმოხვეჭილი და ქართველი მაყურებლის მეტად საყვარელი პიესაა. იგი 1881 წლიდან მოყოლებული დღევანდლამდე არ მოშორებია ქართულ სცენას და ჩვენს რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს. *

---

* „რევიზორის“ გარდა გენიალური მწერლის რამდენიმე მოთხრობა ქართულ ენაზე ჯერ კიდევ 70-იან წლებში გადაითარგმნა. მისი ნაწარმოებნი თარგმნეს: გიორგი ჩიქოანმა—„რაზედ მოუვიდათ ჩხები ივან იევანის ივან ნიკიფოროვიჩთან“ „კრებული“, 1871 წ., №№ 2, 3, 4, 5); ივანე მელიშვილმა—„შინელი“ („კრებული“, 1871 წ., № 4, 5); კოტე მესხმა 1879 წელს სცენისათვის მცირედი შემცირებით თარგმნა „შეშლილის წერილები“, რომელსაც პირველად „გიჟის დღიური“ უწოდა. ეს თარგმანი კ. ყიფიანმა 1879 წ. 6 ივლისს წაიკითხა ქუთაისის თეატრის სცენაზე. „შეშლილის წერილები“ კ. მესხმა დაბეჭდა 1882 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 5); კომედია „რევიზორი“ პირველად ფრაგმენტია გ. ი. სულხანიშვილს (იხ. „დროება“, 1876 წ., № 2), მაგრამ თარგმნის ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია. შემდეგ თარგმნა ცნობილმა პედაგოგმა ალექსი პეპინაძემ (არ დაბეჭდილა). გ. წერეთელი ჟურნ. „კვალში“ „მაზაკვალის“ ფსევდონიმით ეხება ამ თარგმანს და წერს: „ბევრი

თეითმპყრობელობის მიერ დამონებული პატარა ერების თეატრების სცენაზე „რევიზორს“ ისეთი გამოხმაურება ჰქონდა, როგორც ნამდვილ რევოლუციურ ნაწარმოებს. კომედიაში ასახული მოვლენები მაყურებელს ისე ახლოს აგონებდა ადგილობრივი ხელისუფლების თეითნებობას, რომ ეს სპექტაკლები მრავალ ქალაქში ხშირად არსებული წყობილების საწინააღმდეგო ნამდვილ დემონსტრაციად გადაიქცეოდა ხოლმე.

100 წელიწადზე მეტია, რაც სცენაზე ცოცხლობს გენიალური კომედია „რევიზორი“. იგი ჩვენს მაყურებელს მარტო რუსეთის თავადაზნაურთა და მებატონეთა შორეულ წარსულზე როდი მოუთხრობს. არა! ახლაც კი, ჩვენს დროშიც ის საშუალებას იძლევა ანალოგიით გადავიდეთ იმ სამყაროში, სადაც ამჟამად ბრძანებლობენ ექსპლოატატორები, რომელნიც ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი აგრესიული პოლიტიკით მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ომი და ოდიგარი მოახვიონ თავზე.

გოგოლი თეატრს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „ეს ისეთი კათედრაა,—წერდა იგი,—საიდანაც ქვეყანას ბევრი რამ კეთილი შეიძლება ეთქვასო“. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ გოგოლმა „რევიზორის“ სიუჟეტად აიღო მაშინდელი რუსეთის სინამდვილის ტიპიური მოვლენები. კომედიაში სარკესავით აისახა ნიკოლოზ პირველის დროინდელი უბამსი ზნე და ჩვეულები.

როგორც გოგოლი მოგვითხრობს „ავტორის აღსარებაში“,

მშვენიერი ენით ნათარგმნი კომედია ჩვენს რეპერტუარში მგონი არა აქვთო“ („კვალი“, 1895 წ., № 5, გვ. 16); „რევიზორი“ მეჯამედ თარგმნა ვ. გუნიამ, დაიბეჭდა ორჯერ—1935 წ. და 1937 წ.; მეოთხედ—რეჟისორმა გ. ტურულმა, რომელმაც 1947 წელს დადგა სოხუმის სახელმწიფო თეატრში, ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით კ. ყიფიანს ჯერ კიდევ 70-იან წლებში უთარგმნია „ქორწინება“ „ცოლის შერთვის“ სახელწოდებით („დროება“, 1876 წ., № 22); ივ. ახალშენიშვილმა, ინ-ანის ფსევდონიმით თარგმნა „ტარას ბულბა“ (იხ. „მოამბე“ 1902 წ. № 6—11); დ. კასრაძემ—„მკვდარი სულები“ 1937 წელს, ამავე ნაწარმოების ნაწყვეტები თარგმნა და გაზეთ „ბუშაში“ გამოაქვეყნა ს. ფაშალიშვილმა; „ძველი დროის მებატონენი“ თარგმნა ირ. სონღულაშვილმა (იხ. ს. გორგაძის და შ. თაბუკაშვილის „ქრესტომათია“, 1927 წ., გვ. 312); დივ. დეკანოზიშვილმა—„შინელი“ და „მაისის ღამე“ (გამოვიდა ცალკე წიგნად 1949 წ.); ა. შანშიაშვილმა რუსთაველის სახელობის თეატრისათვის თარგმნა: „ქორწინება“, „ბანკოს მოთამაშენი“ და „შეშლილის წერილები“ (1952 წ.); სახელგამმა 1950 წელს გ. ტალიაშვილის ბოლოსიტყვაობით გამოსცა გოგოლის მოთხრობების მოზრდილი კრებული, სადაც მოთავსებულია „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“ (ორივე ნაწილი) და „მიროგოროდი“ (პირველი და მეორე ნაწილი). კრებულში მოთავსებული თარგმანები ეკუთვნით: ი. მჭედლიშვილს, ივანე და ანა ახალშენიშვილებს, ნინო ანანიაშვილს, სიმონ ჭეიშვილს და ეთერ გაბაშვილს.

„რევიზორის“ იდეა მისთვის პუშკინს მიუცია. პუშკინს უამბნია აგრეთვე გოგოლისათვის, თუ ერთმა ავანტიურისტმა ნოვგოროდის გუბერნიის ერთ-ერთ ქალაქში როგორ გაასაღა თავი რევიზორად და ადგილობრივ მოხელეებს ჯიბეები ამოუცარიელა. ამგვარი ოინბაზობანი გოგოლს თავის სხვა მეგობრებისაგანაც ჰქონდა გაგონილი. სწორედ ეს მონათხრობი ამბები თვითმარქვია რევიზორებისა და გაბრიყვებულ-გაბიაბრუებული მოხელეებისა დაედო საფუძვლად სიუჟეტურ ქარგას იმ კომედიისას, რომელიც შეიქმნა გოგოლის თანამედროვე სოციალური სინამდვილის უდიდეს რეალისტურ სურათად.

როცა პეტერბურგში პირველად წარმოადგინეს „რევიზორი“ (1836 წ. 19 აპრილს), საოცრება მოხდა. მაყურებელს თვალწინ წარმოუდგა შეზარაებად, შემაძრწუნებლად გაშიშვლებული ნიკოლოზისეული რუსეთი მთელი თავისი სისაძაგლით, პოლიციის თავგასულობით, თვითნებობით, სიბნელითა და უვიცობით. „რევიზორმა“ თვალნათლივ დაანახვა ყველას ბატონყმობის წყლულები და სიდუხჭირე, მოხელეთა ვიცშეუნდირებში გამოწყობილ გაიძვერათა და არამზადების საზიზღარი სამყარო, მუქთახორა მემამულეები, უპატიოსნო მოსამართლეები, პოლიციის დერეფნორდები. პიესა იქცა მთელი თავადაზნაურულ-ბატონური წყობილების ულმობელ, საბრალმდებლო ოქმად. ეს კარგად გაიგო „რჩეულმა“ საზოგადოებამ პირველსავე სპექტაკლზე და თავისი განაჩენი მაშინვე გამოუტანა: „ეს შეუძლებელია“, „ეს ცილისწამებაა“, „ეს ფარსია!“ და სხვ. სამეფო კარისთვის მიუღებელი კომედიის ტექსტს ცენზურა დაუნდობლად გაუსწორდა. პირველი წარმოდგენის გამოცდილებით დამფრთხალი და შეშინებული მეფის ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უშლიდა „რევიზორის“ დადგმას.

„რევიზორის“ სატირული ეფექტი რომ მთლად გაექარწყლებინათ, მეფის მოხელეებმა დრამების მკეთებელს ვინმე ციციანოვს სასწრაფოდ შეუკვეთეს პიესა სათაურით „ნამდვილი რევიზორი“, რომელიც გაცემული ბრძანებისამებრ თეატრებს უნდა წარმოედგინათ გოგოლის „რევიზორთან“ ერთად, რათა საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ „მართლმსაჯულების ზეიმი“.

ციციანოვის მიერ გაგრძელებული „რევიზორი“, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ჩვენ გადავიკითხეთ და უნდა ითქვას, რომ უმწეო და უსუსური ნაწარმოებია. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ციციანოვის „Настоящий ревизор“ დაიბეჭდა 1836 წელს, ივნისის თვეში, ე. ი. გოგოლის პიესის პირველად დადგმისა და დაბეჭდვის ორი თვის შემდეგ.

პიესის ასე ჰაიჰარად დაწერა და დაბეჭდვა სწორედ იმის მომასწავებელი იყო, რომ „ზემო სფეროებში“ გოგოლის „რევიზორის“ გამო დიდი შეშფოთება სუფევდა, მაგრამ რა გამოვიდა! როცა მთავრობის ბრძანებით ერთსა და იმავე საღამოს გოგოლის „რევიზორსაც“ თამაშობდნენ და ციციანოვის „ნამდვილ რევიზორსაც“, მაყურებელი პირველს აღფრთოვანებით ეგებებოდა, ხოლო მეორეს, როგორც ყალბ ნაწარმოებს, სტვენით და ყვირილით ისტუმრებდა. ციციანოვის პიესაში იგივე მოქმედი პირებია, რაც გოგოლის კომედიაში: გოროდნიჩი, ცოლი, ქალიშვილი, დობჩინსკი, ბობჩინსკი, ერთი სიტყვით, მთელი სამყარო იმავე ჩინოვნიკებისა. ციციანოვის პიესა დაწერილია 3 მოქმედებად; პირველი მოქმედება იხსნება გოროდნიჩის ცოლისა და ქალიშვილის დიალოგით. დედა—ანნა ანდრეევნა უსაყვედურებს თავის ასულს, რომ ახალგაზრდა ქალები არ დაფიქრდებით და ვისაც დაინახავთ უყელას „მილაშკა-მილაშკას“ უწოდებთო. აი, ხომ ხედავ, ის შენი მოწონებული ცრუ რევიზორის გარდა, ცრუ სასიძოც გამოდგაო. მარია ანტონოვნა თავს იმართლებს... მაგრამ დედა მოაგონებს, რომ ხლესტაკოვი მის წინ დაჩოქილი იყო და ალბათ, გკოცნიდა კიდეცაო. ქალი მიამიტად უპასუხებს:

ქალი—Ведь он поцеловал меня только в шею.

დედა—Ах он негодяй! И ты позволила?..

ქალი—Я разбранила его, маменька.

დედა—Этого недовольно, сударыня, ты должна была ему дать пощечину, закричать, крикнуть меня, отца, полицейских, слуг, весь дом сбудоражить. Ты, чай, даже и в обморок не упала?

ქალი—Нет, маменька, не упала. Я думаю, что, если бы упала, то хуже было бы... он такой дерзкой (გვ. 5).

შინაარსი ამ ახალი რევიზორისა ორი სიტყვით ითქმის:

როგორც ვიცით, გოგოლის „რევიზორის“ ფინალის მიხედვით ჟანდარმი შემოდის და აცხადებს ჩინოვნიკის ჩამოსვლას. ეს ჩინოვნიკი სენატორი აღმოჩნდება. ციციანოვის რევიზორი ვითომდა წესიერებას ამყარებს. ხლესტაკოვს გზიდან დააბრუნებენ და გამოსასწორებლად „გაასალდათებენ“. გოროდნიჩის ქალს, მარია ანტონოვნას, რომელიც ხლესტაკოვის საცოლედ ითვლებოდა, „სირცხვილის გადასარჩენად“ თვითონ ეს ახალი რევიზორი შეირთავს; გოროდნიჩს, როგორც სიმამრს, საკუთარი მამულების მოურავად დანიშნავს. მექრთამე ჩინოვნიკებიდან მხოლოდ სამადლო დაწესებულებათა მზრუნველი ზემლიანიკა დაისჯება, დანარჩენები კი უნებლად რჩებიან.

თუ გოგოლის კომედიაში ჩინოვნიკები სათითაოდ შემოდიან და ხლესტაკოვს, ვითომდა სისხის სახით, ქრთამს შესთავაზებენ, ცივილიანოვის პიესაში ეს ჩინოვნიკები ხლესტაკოვს თავიანთ ბიცეფულ ქრთამს უკანა სთხოვენ. ხლესტაკოვი უარზეა, თავს იკატუნებს, მაგრამ როცა ჩინოვნიკები ციხეში გაგზავნით დაემუქრებიან და „არაჭზადას" სახელით მონათლავენ, მაშინ, ვითომდა შეურაცხყოფილი ხლესტაკოვი, ეშმაკურ ხერხს მიმართავს, ჩინოვნიკებს სათითაოდ დუელში გამოიწვევს: „რსიპ! — გასძახებს თავის მსახურს, — გამოიტანე დამბაჩები და კარები მაგრად ჩაკეტე". დამბაჩის გაგონებაზე ჩინოვნიკები აკანკალდებიან, როცა ხლესტაკოვი დამბაჩას გაუწვდის ზემდიანიკას. ეს გულიც კი მისდის, ეხვეწებიან: გვაპატიეთ! სიტყვა „არამზადა" წამოგვცდა. არაფერი არ გვინდა შენგან, თუ საჭიროა კიდეც მოგართმევთ ფულს, ოღონდ დუელისაგან გვიხსენიო. და მართლაც, ეს „დაბრუნებული" ხლესტაკოვი ხელახლად სარგებლობს იმით, რომ ჩინოვნიკები შეშინდნენ, ყველას სათითაოდ უკანა რიცხვით წერილს აწერინებს, თითქოს ძათ ხლესტაკოვის ფული ემართათ. აი, ეს არის მოკლე შინაარსი ამ სახელდახელოდ დაწერილი პიესისა, რომელსაც სერიოზულობის ნიშასწყალიც კი არ გააჩნია.

ძველად ასეთი „გაგრძელებანი", ასე თუ ისე, ყველა ცნობილი ნაწარმოების ხვედრი იყო: გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" გააგრძელა პოეტმა ქალმა გრაფინია ე. პ. როსტოპჩინამ და უწოდა: „Возвращение Чацкого в Моску" (1850); ხოლო ე. ბურენინმა გრიბოედოვის პიესის პლანიროვკით დასწერა პიესა-სატირა: „Горе от глупости", გოგოლის „მკვდარი სულები" ვითომდა დაამთავრა ვინმე ეაშრეკო-ზახარჩენკომ; პუშკინის „ევგენი ონეგინის" გაგრძელება მრავალმა სცადა რუსეთში... ერთი ასეთი ცდა თბილისის გაზეთ „Новая Речь"-შიც იბეჭდებოდა; ფონ-ვიზინის „უმწიფარიც" (Недоросль) მოხვდა ამ „გაგრძელებანის" ტყვეობაში. კუპრინის „Яма"-ს, არციბაშევის და ვერბიცკაიას რომანებს წიგნის ბაზარზე გამოსვლისთანავე აგრძელებდა ვინმე „გრაფ აბორი", (მისი ნამდვილი გვარი იყო И. Рашгоф). ასევე მოხდა „რევიზორის" ბიმარათაც. მაგრამ რევიზორის „გაგრძელებას" სულ სხვა მოსაზრება ედო საფუძვლად. ეს იყო მეფის პიოდაპირი დაკვეთა, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ძლიერი მაჭხილებელი და გამანადგურებელი გავლენის გაქარწყლებას, რასაც გოგოლის „რევიზორი" იწვევდა მაყურებელში. მაგრამ, როგორც ყველა ყალბ და ნაძალადევ ნაწარმოებს ემართება, ციციანოვის „ნამდვილი რევიზორიც" მხოლოდ არქივის საკუთრებად გადაიქცა.*

* ერთ დროს საქართველოშიც მიმართავდნენ ამხულებათა ისეთ „გაგრძელებებს". გაგრძელეს და გააფართოეს „ამირანდარეჯანიანი", თეიშერაზის „კათევანიანი", შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი" (ნანუსა ციციშვილის მიერ) და სხვ.

საერთოდ ცნობილია, რომ ძველად, რეფორმაციამდე, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ძალიან ახლო იდგნენ თეატრთან, ისინი ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ნაციონალური თეატრალური ხელოვნების განვითარებას. მწერლების დახმარება არ ამოიწურებოდა მარტო პიესების დაწერით, ან მორალური მხარდაჭერით; ხშირად ისინი მონაწილეობას იღებდნენ სპექტაკლებშიც, რათა აემაღლებინათ თეატრის აუტორიტეტი ხალხში. თვითონ ოსტროვსკი და გოგოლი საქველმოქმედო მიზნით ყოველთვის გამოდიოდნენ თავიანთ პიესებში. საქართველოში ასეთი შემთხვევები უფრო ხშირად გვხვდება. როგორც ზევით დავინახეთ, სხვადასხვა დროს ზემლიანიკას და ფოჩტმეისტერის როლი შეუსრულებია ჩვენს სახელოვან ბელეტრისტს ალ. ყაზბეგს. აკაკი წერეთელი, როგორც მსახიობი, დიდის ხალისით იღებდა მონაწილეობას მოლიერის და სუნდუკიანცის პიესებში. ქართულ სპექტაკლებში გამოდიოდნენ აგრეთვე: ვაჟა-ფშაველა, დავით ერისთავი („სამშობლოს“ ავტორი), დავით გურამიშვილი (მხატვარი). აქესენტი ცაგარელი, გრიგოლ ყიფშიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ი. ევდოშვილი, თ. სახოკია, ილია ზურაბიშვილი, ლ. ბოცვაძე, ივ. გომელაური, ს. ტარუაშვილი, ალექსანდრე ყანჩელი, იოსებ იმედაშვილი. ნარკანი (ნიკო კურდღელაშვილი) და სხვ. 1884 წელს ქუთაისში, „რევიზორის“ წარმოდგენის დროს, დობჩინსკის როლი უთამაშია კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძეს,—მსახიობ ი. ზარდალიშვილს 1938 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციისათვის (№ 94) მიუწოდებია ცნობა ამ წარმოდგენის შესახებ. მას თავის არქივში დაცული ჰქონია აფიშა, სადაც როლები შემდეგნაირად ყოფილა განაწილებული: ხლესტაკოვი—ვასო აბაშიძე, გოროდნიჩი—ანტ. ლორთქიფანიძე, ბობჩინსკი—კოტე მესხი, დობჩინსკი—მელიტონ ბალანჩივაძე, ოსიპი—კოტე ყიფიანი, გოროდნიჩის ცოლი—მაკრინე ჩიქვაიძე, გოროდნიჩის ქალი—მაშო კლდიაშვილი და სხვ.

ნ. გოგოლის „რევიზორს“, როგორც რუსული კლასიკური დრამატურგიის გენიალურ ნიმუშს, რომელშიც ჯერ კიდევ ნიკოლოზ პირველის სამეფო რეაქციის წლებში ნათლად გამოხატა რუსეთის პროგრესული საზოგადოების პროტესტი გაბატონებული რეჟიმის მიმართ და ამ საზოგადოების დაუცხრომელი სწრაფვა უკეთესი ცხოვრებისათვის, უაღრესად დიდი ღნიშვნელობა ჰქონდა თავდასაწყისში განსაკუთრებით ქართველი ხალხისათვის. აქედან თავიდანვე „რევიზორმა“ ქართველ მოწინავე საზოგადოებაში გან-

საკუთრებული ყურადღება მიიქცია. მას თარგმნიდნენ და დგამდნენ არა როგორც გასართობ ან უბრალო საყოფაცხოვრებო პიესას, არამედ როგორც ისეთ ნაწარმოებს, რომელიც მთელი თავისი შინაარსით და იდეური მიხანსწრაფვით სავსებით ეხმაურებოდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურების მსოფლმხედველობას, მათ საბრძოლო ინტერესებს. „რევიზორს“ ჩვენი დიდი მწერლები ხშირად გამოხმაურებიან და თავიანთი უდიდესი თანაგრძნობა გამოუხატავთ დიდი რუსი მწერლისადმი. გოგოლის გენიალური კომედიის სცენიური განხორციელება არა ერთხელ გადაქცეულა ქართველი და რუსი ხალხის ძმური მეგობრობის დემონსტრაციად.

როცა 1886 წელს „რევიზორს“ პირველი დადგმიდან 50 წელი შეუსრულდა, ამ საყოველთაო ზეიმს მხურვალედ გამოეხმაურა ქართველი საზოგადოებაც. 1886 წელს, 6 მაისს, სპეციალური საღამო გაიმართა თბილისში. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ავალიშვილმა წაიკითხა მოხსენება გოგოლის შემოქმედებაზე, ვასო თუმანიშვილმა რუსულად წარმოსთქვა ივანე თხორჟევსკის მიერ ამ საღამოსათვის საგანგებოდ დაწერილი ლექსი, დიდი ქართველი მსახიობების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა „რევიზორის“ მეორე და მესამე მოქმედება. აკაკი წერეთელმა გოგოლის ხსოვნას უძღვნა, „ივერიის“ გამოთქმით, „გრძნობით და აზრით სავსე ლექსი“, რომელმაც დიდი აღტაცება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

აკაკი აღნიშნავდა, რომ როცა გოგოლისდროინდელ რუსეთში საძაგლობა სუფევდა, იღვრებოდა ჩაგრულთა ცრემლი, ცრუმეშჯარიტებას უმაღლესი მტარვალობის კალთა ეფარა, ფარისეველობა თამამად ისხამდა ფრთებს, ამ დროს გაისმა რაღაც უჩვეულო ხმა გოგოლისა და ამ ხმამ დააფრთხო „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, დაიწყეს დევნა მწერლისა, მაგრამ გამოეხიზლდა ხალხი,

„და მაშინ კი გაიგეს
რომ ის, ვისაც სძრახავდნენ,
ბოროტებს სწამებდნენ
და უგულოდ ჰსაბავდნენ,
თურმე კაცი ყოფილა,
კეთილ განზრახვით თქმული
და მისი ნაღველ-ჭესლი—
უხმო სიცარიელი...
თავყანი სცეს საერთოდ
მის ძლიერ მოელინებას,
და დღეს ჩვენც პატივსა ვცემთ
მის ნიჭს და ხელოვნებას.

ხელოვნებას არა აქვს
საკუთრება... საბლვარი,
ის ყოველ ხალხს ეკუთვნის,
ვით ყველას მაცხოვარი.
უცხო არც ჩვენთვის არი
„რევიზორის" შემთხვეული
და თავზე გვირგვინს ადგამს
ქართლში ქართველთა ელი".

ამ სიტყვების შემდეგ აკაკი წერეთელმა ყვავილებით მორთულ გოგოლის დიდ სურათს ქართველი ერის სახელით დაფნის გვირგვინი დაადგა თავზე. აღტაცება უნაპირო იყო.

ამ საღამოს შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა თავის გაზეთ „ივერიაში": „...გოგოლის „რევიზორი" უკვდავია მთელი რუსეთისათვის; თუმცა ამ პიესაში გამოხატული ტიპები სრულიად რუსების ცხოვრებიდან არის ამოღებული, აღზრდილი რუსულ ნიადაგზე, რომელიც ჩვენ არ შეგვისწავლია და გვეუცხოება, მაგრამ ნიჭი და ხელოვნება გოგოლისა ისეთის სინამდვილითა ხატავს ამ ტიპებს, ისეთის ხელოვნურის სიწვრიმალით აღწერს მათს ცხოვრებას და სულთა მოძრაობას, რომ სამართლიანად დიდება და სახელი მოიპოვა მთელს რუსეთში. ყველა თეატრის რეპერტუარისათვის საუკეთესო განძია „რევიზორი", რომელსაც დღემდე არც დაძველება დასტყობია და არც შიმზიდველობა დაუკარგავს („ივერია", 1886 წ., № 97.. ხაზი ჩემია—ე. გ.).

„ივერიის" მომდევნო ნომერში ილია ჭავჭავაძე, გოგოლის ზემოთ აღნიშნულ დადგმასთან დაკავშირებით, ათავსებს სპეციალურ მეთაურს (ხელმოუწერელია), რომელშიაც რუსულ ლიტერატურას ეხება და აღნიშნავს, რომ რუსეთის მოწინავე მწერლები მარტო რუსეთს კი არ ეკუთვნიან, არამედ მთელ კაცობრიობასო.

„პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი,—ამბობს ილია ჭავჭავაძე,—რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათი წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებული დიდ-ბუნებიანნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი,—განაგრძობს ილია ჭავჭავაძე,—მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელიმე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რა გვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კა-

ცობრიობას ეძახიან; რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდპატარაობისა" („ივერია", 1886, № 100, 9 მაისი).

ნ. გოგოლის ყოველი საიუბილეო თარიღი საქართველოში ყოველთვის დიდ დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე. 1902 წელს გამოჩენილი რუსი მწერლის გარდაცვალებიდან 50 წლისთავს ქართველი საზოგადოება ცხოველად გამოეხმაურა. სხვა თეატრებს, რომ თავი დავანებოთ, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სალამო მოეწყო თბილისის მუშათა თეატრშიც (ავჭალის აუდიტორია), ხოლო ქუთაისში ეს იუბილე ნამდვილ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა: „რევიზორის" წარმოდგენის შემდეგ (გოროდნიჩის როლს ლადო მესხიშვილი ასრულებდა), ფარდის ახდისას მაყურებლის წინაშე წარსდგა ქართული დასის ოცამდე მსახიობი გამოწყობილნი, ჩამწკრივებულნი. ყველას დაფნის გვირგვინი ეპირა ხელში. კედელზე დაკიდებული იყო გოგოლის დიდი სურათი; წარმოითქვა სიტყვები, ლექსები და სხვ. უკრავდა მუსიკა, ხალხი მუსიკას მრავალჟამიერის ხმას აყოლებდა და ყვიროდა: „ვაშა, ვაშა გოგოლს!" „გაუმარჯოს გოგოლის ხსოვნას" და ამ ძახილით—გადმოგვცემს ქუთაისელი კორესპონდენტი—დაიშალა საზოგადოებაო" („ივერია", 1902, № 53, 10 მარტი).

1909 წელს, მიუხედავად საშინელი რეაქციისა, ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ ბრწყინვალედ აღნიშნა რუსული ლიტერატურის კლასიკოსის დაბადებიდან 100 წლისთავი. ამ იუბილეზე ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამომჟღავნდა მეფის თვითმპყრობელობის მოძულე ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული რუსი ხალხისა და მისი საუკეთესო შვილებისადმი. ამავე წელს ცნობილმა პედაგოგმა და პოეტმა სილოვან ხუნდაძემ, გოგოლის სახსოვრად დაწერა მეტად საყურადღებო ლექსი. აი, ამ ლექსის ზოგიერთი ადგილი:

„მის იუმორით, მის პოეზიით
ქართველიც ისე ილხენს და სტკბება,
როგორც თვით რუსი... სეედიან მკითხველს
ვინც უნდა იყოს, ცრემლი აშრება.

გოგოლი განა მოლოროსია?
ის განა მარტო რუსეთს ეკუთვნის?
თვისი ციური ნიჭისა ნაყოფს
ის თანასწორად ყოველ ერს უძღვნის.

აი, კავშირი საერთშორისო
ხიდი, ხალხების შემაერთები...

როს მომწიფდება იმათი ახრი,
და გავრცელდება ის გრძნობა სრული,
მაშინ ამ ქვეყნად აღარ იქნება
არცა მჩაგვრელი, არც დაჩაგრული".

თითქოს ბუნებრივად დაემთხვა გოგოლის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს თბილისის სახალხო თეატრის გახსნა ზუბალაშვილების მიერ აგებულ შენობაში. 1909 წლის 4 აპრილს აიხადა პირველად ამ თეატრის ფარდა. წარმოდგენილი იქნა გოგოლის „რევიზორი" კ. შათირიშვილის რეჟისორობით. ამ წარმოდგენის შემდეგ ორმოც წელზე მეტი გავიდა და საინტერესოა, რომ სწორედ იმავე შენობაში, სადაც ახლა მარჯანიშვილის სახელობის თეატრია მოთავსებული, ნიჟიერმა კოლექტივმა 1951 წლის 1 დეკემბერს ბრწყინვალედ განახორციელა გოგოლის ეს უკვდავი კომედია.* დამდგმელმა (რეჟისორი ალ. თაყაიშვილი) და სპექტაკლში მონაწილე აქტიორებმა (შ. ღამბაშიძე, ვ. გოძიაშვილი, გ. შავგულიძე, კ. კვანტალიანი, ა. გომელაური, ა. ჟორჟოლიანი, მ. სარაული, ც. წუწუნავა, მ. თბილელი, ი. ტრიპოლსკი, ა. სიხარულიძე, შ. გოცირელი, გ. გოცირელი, შ. ქოჩორაძე, დ. ოქროსცვარიძე, ან. მესხიძე, ტ. საყვარელიძე, გ. გოგუა, ბაბო გამრეკელი, ვ. ნინუა, ა. ვერულეიშვილი, ბაბო მიმინოშვილი, შ. ჯაფარიძე, გ. თოლორდავა, ფ. სონღულაშვილი, ნ. ჭიტიაშვილი) შექმნეს სპექტაკლი, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებით საბჭოთა თეატრალური კულტურის მიღწევების სიმაღლეზე დგას. „როგოროც რეჟისორმა, ისე სპექტაკლში მონაწილე მსახიობებმა, სწორად გაიგეს პიესის შინაარსი, სცენიურად ორიგინალურად გაიაზრეს მხატვრული სახეები და დამაჯერებლად გადმოგვცეს დიდი რუსი დრამატურგის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი". **

ჩვენში გოგოლის ტიპები პოპულარულნი იყვნენ. ქართულ პრესაში ხშირად გვხვდება გოგოლის მხატვრული სახეები ამა თუ იმ

---

* იხ. ი. გრიშაშვილის წერილი ამ სპექტაკლის დადგმის გამო. „ზარია ვოსტოკა", 1951 წ., № 294.

** ერ. ქარელიშვილი—„ლიტერატურა და ხელოვნება", 1951 წ., № 49; ამავე სპექტაკლს ვრცელი წერილი უძღვნა დიმიტრი ჯანელიძემ („კომუნისტი", 1951., № 295), ხოლო „ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ გოგოლის იუბილესთან დაკავშირებით გამოსცა ორი წიგნი: „გოგოლი ქართულ სცენაზე", გ. ბუხნიკაშვილისა და „გოგოლი ქართულ ლიტერატურაში"—გ. ტალიაშვილისა. ეს ჩვენი ნარკვევი, მოხსენების სახით წაკითხულ იქნა როგორც აკადემიის, ისე მწერალთა კავშირის დარბაზში—1952 წლის, 29 თებერვალს და 1 მარტს.

მახინჯი გამოელინების გასაკიცხავად. მაგ., გაზეთ „დროებაში“ 1878 წელს დაიბეჭდა წერილი სახელწოდებით: „ხლესტაკოვი ქართლში“ (იხ. „დროება“, 1878, № 119). რომელიღაც ავანტურისტი ჩასულა სოფელ ნაბახტრეეში, რევიზორად გაუსაღებია თავი და გლეხებისათვის ფული დაუტყუებია ვითომდა ჯარიმების სახით. „ბობჩინსკები და დობჩინსკები“, „საბაკევიჩები და პლიუშკინები“,— ხშირად შეხვდებით ამ სახელებს ძველი ქართული გაზეთების ფურცლებზე მოთავსებულ საპოლემიკო წერილებში. როცა გ. წერეთლის პიესა „ოჯახის ასული“ დაიდგა, ერთმა რეცენზენტმა აღნიშნა გოგოლის ტიპების გამოყენება ქართულ ლიტერატურაში: „ფოსტის ჩინოვნიკი გოგოლის რევიზორიდან არის ამოგლეჯილიო“, წერდა გაზეთი „დროება“ (1882 წ., № 221).

ცარიზმის პოლიტიკის კირთებ ქვეშ მყოფ ქართველ მსახიობებს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა. მაგრამ საქმის სიყვარულით გატაცებულნი ყოველგვარ გაჭირვებას ითმენდნენ. ჩვენ აქ გვინდა გაეიხსენოთ ერთი შემთხვევა, რომელიც გოგოლის „რევიზორთან“ არის დაკავშირებული და ამავე დროს ძველი ქართველი მსახიობების ხელმოკლე ცხოვრების ერთგვარ სურათსაც იძლევა. ვასო აბაშიძე, როგორც ვიცით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ სცენაზე რუსი კლასიკოსების დადგმას. მისი თაოსნობით დაიდგა როგორც ოსტროვსკის კომედიები, ისე გოგოლის „რევიზორი“. ვასო აბაშიძე, ეს გასაოცარი დიაპაზონის მსახიობი და მიმიკის ოსტატი, ისევე მომხიბლავი იყო გოროდნიჩისა და ხლესტაკოვის შესრულების დროს, როგორც სხვა, მის საყვარელ როლებში. ვასო ამ როლებს თავისებურად ანსახიერებდა. პრესა და მაყურებელი ყოველთვის აღტაცებული იყო მისი თამაშით. გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა, რომ ხლესტაკოვის როლს ვასო აბაშიძე ისე კარგად თამაშობს, რომ აუგი თვალი თვით რუსის მოთამაშეებშიაც ვერ უპოვის ბადალსო („დროება“, 1882, № 267). გიორგი წერეთელი, „მაზაკვალის“ ფსევდონიმით თავის ჟურნალ „კვალში“ „რევიზორის“ ერთი წარმოდგენის შესახებ წერდა:—„ეს წარმოდგენა უნდა ჩაითვალოს ქართული ხელოვნების ნამდვილ გამარჯვებად... მაყურებლის წინაშე სავსებით გაცოცხლდა ის ეპოქა, რომელიც გენიოს მწერალს ჰქონია თავის გონებაში გამოსახული... თვით გოგოლი რომ გაცოცხლებულიყო, ყველა მსახიობს გადაჰკოცნიდაო“,— დასძენს რეცენზენტი („კვალი“, 1895 წ., № 5, გვ. 16).

ამ მცირე გადახვევის შემდეგ დაეუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

ჩვენი საყვარელი მსახიობი ქალი ელისაბედ ჩერქეზიშვილი თა-

ვის „მეშუარებში“ მოგვითხრობს „რევიზორთან“ დაკავშირებულ ერთი საინტერესო შემთხვევის შესახებ.

„ერთხელ ვასო აბაშიძემ მიამბო, — წერს ელისაბედ ჩერქეზიშვილი, — პატარა ამბავი, რომელიც სასაცილოც არის და ამაეე დროს სამწუხაროც.

„ერთ ზაფხულს, — განაგრძო ვასომ, — შევადგინე პატარა დასი და წავედი სამოგზაუროდ კახეთში. ბევრგან გექონდა შემოსავალი, ბევრგან არა. სიღნაღში ვერ მიდიოდა კარგად ჩვენი საქმეები. სასტუმროში ვცხოვრობდით, მეტი წილი ჩვენი არტისტებისა ხიმშილობდნენ. მეც სასტუმროს პატრონის 150 მანეთი ვალი დამედო.

დასი უნდა დაბრუნებულიყო თბილისში, საგზაოდ კი გროში არ გვქონდა. გადავწყვიტე უკანასკნელად კიდევ მიმემართნა სასტუმროს პატრონისათვის და სესხად ფული მეთხოვა. თუმცა დიდი გაბედულობა იყო ჩემგან, რადგან სასტუმროს უფროსი ისედაც გაბოროტებული იყო არტისტებზე. ასე ვუთხარი: „ჩემო გეურქ, ხვალ შენი ლინეიკით გაგვისტუმრე მელაანის სადგურამდის და მატარებლის ფულიც, ერთი ხუთი თუმანი, კიდევ მასესხე, რომ ჩემი არტისტები წავიყვანო თბილისში. ერთი კვირის შემდეგ ბენეფისი მექნება თბილისში და შენც ჩამოდი. შენს ოც თუმანსაც მოგართმევ და ჩემს ბენეფისშიაც დიგპატიჟებ: წარმოდგენაზე დაესწრები, კარგს თამაშობას ნახავ და ისიამოვნებ.

გეურქამ კარგი საუზმე გაგვიმართა, ლინეიკა შეგვიბა და გაგვისტუმრა სადგურზე. ერთი კვირის შემდეგ დეპეშა მივწერე გეურქას: „ჩამოდი, ხვალ ჩემი ბენეფისია“. გეურქა ჩამოვიდა მეტად ნასიამოვნები. მე ვუთხარი — ხვალ მოხვალ თეატრში, ბილეთს დაგახვედრებ. გეურქა მეუბნება — თუ შეიძლება, კნიაზო, მაღლა გალოორკაში მომეცი ბილეთი, იქ უფრო ჩემი ამქრის ხალხი იქნება! მეც ავუსრულე სურვილი.

იმ ღამეს ჩემს ბენეფისში გოგოლის „რევიზორი“ დავდგით, მე ხლესტაკოეს ვთამაშობდი...

გეურქას ჩემი როლი — ხლესტაკოვი — აგრე რიგად არ მოსწონებოდა და ეთქვა: „კაცო, ჩემი კნიაზი იმნაირ საქმეებს სჩადის, რომ ეგ ჩემი ვალის მომცემია? ყველას ფულებს სტყუებს, ეტყობა ესეთი ზნე ჰქონია; არა, ძმავ, მე მაგისი აღარაფერი მჯერაო“.

წარმოდგენიდან ისე წასულა — ამბობდა ვასო — რომ თვალით არ დამნახვებია!..

ამ ამბავს, — დასძენს ჩერქეზიშვილი, — რომ ჩაუფიქრდეს ადამიანი, ეს უფრო სატირელია, ვიდრე სასაცილო. ჩვენს თეატრს ბევ-

რი გაჭირება და დამცირება უნახავს ცარიზმის დროს, თვით ბუმბერაზ არტისტს ვასო აბაშიძესაც კი ხშირად უხდებოდა თავის დამცირება უხეშ და ხარბ მეეახშეებთან"*.

ერთ საუკუნეზე მეტი გვაშორებს ჩვენ იმ დროსთან, როცა გოგოლის კომედიამ მთელი რუსეთი შეარყია. რამდენიმე თაობამ შესცვალა ერთიმეორე, უკუნეთში ჩაინთქა უსაძაგლესი სამყარო, სადაც ბრძანებლობდნენ გოროდნიჩები და ხლესტაკოვები, ბობჩინსკები და დობჩინსკები, სვისტუნოვები და დერჟიმორდები. დღეს საბჭოთა ხელისუფლების ბრწყინვალე ეპოქაში ახალი, სისხლსავსე, ბედნიერი და მხიარული ცხოვრებით ცხოვრობენ ოდესღაც ჩამორჩენილი და დაბეჩავებული ხალხები, უმაგალითოდ გაიზარდა საბჭოთა ადამიანების მატერიალური მდგომარეობა და სულიერი კულტურა, გაჩნდა ახალი მკითხველი და ახალი მაყურებელი. გოგოლის გენიალურმა კომედიამ დროის გამოცდა დაიჭირა. დღეს დიდია „რევიზორის" შემეცნებითი მნიშვნელობა და მხატვრული დამაჯერებლობის ძალა, უკვდავია გოგოლის გამანადგურებელი სატირა. გოგოლის მნიშვნელობა ჩვენს დროში კიდევ უფრო გაიზარდა. როგორც ამ ასი წლის წინათ, ახლაც ეს კომედია პირდაპირ ნიშანში სცემს ძალადობის სამყაროს, ბნელ სამეფოს.

ჩვენს ქვეყანაში უკვე აღარ არიან გოგოლის სატირის გმირები, მაგრამ ეს „გმირები", ჯერ კიდევ ცოცხლობენ კაპიტალისტურ ქვეყნებში. გოგოლი თავისი მამხილებელი სატირით ეხმარება მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს, რათა სამარცხვინო ბოძზე გააკრას თანამედროვე იმპერიალისტები, რომლებიც ადამიანის ნიღაბით მხეცურ საქმეს აკეთებენ... სწორედ ამაშია გოგოლის გენიის უძლეველი ძალა.

საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი, რუსული ლიტერატურის უკვდავი გენიოსი, გოგოლი ღირსეულად ითვლება ჩვენს თანამედროვედ. თავისი მხატვრული სიტყვის იარაღით მან სამუდამოდ დადაღა ძველი წყობილების ბნელეთის მოციქულები. გოგოლის მრისხანე სიტყვა დახავსებულ ცხოვრებაზე, მისი სიძულვილი ბოროტებისა და თვითნებობისადმი, მისი ღრმა რწმენა ხალხის შემოქმედებითი უნარისადმი მახლობელი და ძვირფასია

* ელ. ხურკეზიშვილი, „მოგონებანი", ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1941 წ., გვ. 53.

საბჭოთა ხალხისათვის, რომელიც დღეს სინამდვილის ხორცს ასხამს კაცობრიობის საუკეთესო შვილთა თამამ ოცნებებს.

გოგოლისეული სატირა, მისი სიცილი დღესაც პირდაპირ ხვდება ნიშანში, როცა ის მამხილებლის როლში გამოდის და ამათრახებს ბლიქვნელობას, ჩინოსნების წინაშე ფიანდაზად გაფენას, თავნებობას, მფლანგველობას და ყველა იმ წყლულსა და მანკს, რაც კი ამახინჯებს ჩვენს სოციალისტურ ყოფას.

კომედია „რევიზორი" პროგრესულმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ მეფის რეჟიმთან ბრძოლის დროს აღმართა, როგორც დროშა. ყველგან, რუსეთშიაც და საქართველოშიც, „რევიზორის" წარმოდგენა რევოლუციის წინა წლებში გადაიქცეოდა ხოლმე თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ლოზუნგებად.

გოგოლი უკვდავია თავისი დიდებული შემოქმედებით; მისი ქმნილებანი მრავალი ათეული წლის მანძილზე უდიდეს პროგრესულ როლს ასრულებდნენ რუსი ხალხისა და მთელი კაცობრიობის გონებრივ განვითარებისა და წინსვლის საქმეში.

მწერლის სიდიადეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დიდმა ლენინმა გოგოლის ბრწყინვალე ნაწარმოებებში—„რევიზორსა" და „მკვდარ სულებში"—გამოხატული იდეები გვერდში ამოუყენა დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის ბელინსკის იდეებს.

გოგოლის უკვდავებას, მისი ნიჭის უშრეტ ცხოველმყოფელობას და ქმედითს ძალას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადო მოღვაწენი თავიანთ წერილებში თუ გამოსვლებში ხშირად იხსენიებენ გოგოლის სახეებს, როგორც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის და მისი ნაშთების მამხილებელ სახეებს.

განუზომელია გოგოლის ღვაწლი ქართული კლასიკური მწერლობის წინაშე; მისმა შემოქმედებამ დიდი და გამანაყოფიერებელი გავლენა იქონია ქართულ მხატვრულ პროზაზე, ქართულ დრამატურგიაზე, ასწავლა ჩვენს საუკეთესო მწერლებს ადამიანებისა და საზოგადოებრივი მოვლენების, ყოფაცხოვრების კრიტიკული თვალით დანახვა და მათი ცხოველმყოფელი ასახვა. ამიტომ ქართველი ხალხი, მოძმე ხალხებთან და მთელ მოწინავე კაცობრიობასთან ერთად, უღრმესი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით იგონებს უდიდეს რუს მწერალს—გოგოლს, რომელმაც ნიკოლოზ პირველის დესპოტური ბატონობის სულის შემხუთველ პირობებში ამხილა მებატონეთა, მეფის მოხელეთა, მომხვეჭელთა გონებრივად ჩამორჩენილი და ზნეობრივად დაკნინებული სამყარო.

ჩვენ უღრმესი პატივისცემით ვიგონებთ გოგოლს, რომელიც

ოცნებობდა ეხილა სამართლიანი და ზნეობრივად ფაქიზი საზოგადოება, გოგოლს, რომელსაც სწამდა თავისი ხალხის ძალა და მისი დიადი მომავალი.

გმირმა საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სინამდვილედ აქცია კაცობრიობის უდიდეს ადამიანთა ოცნება შეშმარიტ ადამიანურ ცხოვრებაზე.

1951 წ.

საიათნოვას მოსაგონრად

გარდაცვალებიდან 150 წლისთავის გამო

მე-18 საუკუნის, ერეკლე II-ის კარის პოეტი საიათნოვა უბადლო ნიჭია. იგი ერთსა და იმავე დროს პოეტიც არის, კომპოზიტორიც და ჩინებული მომღერალიც. თავის ლექსებს ჰანგს თვითონ უქმნიდა და თვითონვე მღეროდა ტკბილი მელოდიური ხმით. ამიტომ არის, რომ საიათნოვა ცოცხლობს ჩვენს გულში და მისი სახელის მოგონება მოწიწებასა და სიხარულს იწვევს.

„მუხამბაზი“ პირველად საიათნოვამ შემოიტანა საქართველოში. ამას თვით მგოსანიც აღიარებს: „მე ვიცოდი ჩონგური კარგად და ამასთან სპარსულ ხმებზე გავაკეთე ქართული ლექსები; ჯერ არ იყო შემოღებული და როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჯლისი და მიგვიყვანეს მოსაკრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე; ბატონს დიდად ეამა და ხალათიც მიბოძა. და მერე სხვათაც მრავალთა თქვეს და მომბაძეს“ (იხილეთ „კალმასობა“, 1936 წ., გვერდი 227).

საიათნოვას შემოქმედება აღმოსავლურ იერს ატარებს. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მისი სიმღერების მგრძნობელობა, რაც ალექსანდრე პავლავაძეს ადამიანის ყველაზე დიდ მადლად მიაჩნდა.

აშუღური სიმღერის დამახასიათებელი ფორმაა ეგრეთ წოდებული მუხამბაზი (მუხამას). საკუთრივ მუხამბაზი ნიშნავს ხუთეულს, ე. ი. ხუთ სტრიქონს. მაგრამ შემდეგში თვით საიათნოვამ და მისმა „მიმბაძველებმაც“ განავითარეს, შეჰქმნეს ამნაირი ლექსების მრავალი ვარიაცია. ზოგიერთი ძველი პოეტის მუხამბაზი მართლაც ვირტუოზულადაა შესრულებული. მუხამბაზის ასეთი ოსტატები არიან: ქიჩიკნოვა, ბუდაღ-ოღლანი, ფერშანგიშვილი, შიო მეჰიანურე (ილია პავლავაძეს უყვარდა), შამჩი-მელქო და ყველა დიდი თუ პატარა ბატონიშვილი (თეკლა, დავითი, მარიამი, ფარ-

ნაოზი), რომლებმაც ამ ყაიდის ლექსები ახალი შინაარსით და პე-სიმისტური ჰანგებით აამეტყველეს.

საიათნოვა უმღეროდა სიყვარულს და სიხარულს, გულწრფე-ლობას და გულადობას, გონებრივ და ზნეობრივ სიქველეს. იგი მღეროდა სამ ენაზე—ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად. გასაკვირი ის არის, რომ მგოსანს თანაბრად ემარჯვებოდა სამი-ვე ენა. ამ სამ ენაზე დაწერილი ლექსები თავიანთი მხატვრული ღირსებით, სიმახვილით და მელოდიურობით, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან (აზერბაიჯანული ლექსები დაწერილია სომხური ასო-ებით, ხოლო სომხური ლექსები ქართული ასოებით, ქართული ლექსები კი მის ხელნაწერ დავთარში არ აღმოჩნდა. საიათნოვას ქართული ლექსები პირადად მე სხვადასხვა მუზეუმის ხელნაწერე-ბის ფონდებიდან ამოვიღე და შევკრიბე).

ჰქონდა თუ არა გავლენა საიათნოვას მუხამბაზებს შემდგომი პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე?

მე-19 საუკუნის პოეტებს შორის საიათნოვას ლექსის ფორმა უმაღლესობამდე განავითარა ალექსანდრე ჭავჭავაძემ. მას ყველა ლექსი დაწერილი აქვს სხვადასხვა სამღერალ ჰანგზე (მაგალითად, „ჯოვრი ჯანდა ხარიბამის ხმა“, „მანჯა განჯალუ დეგულამის ხმა“ და სხვ.), მაგრამ ჭაბუკმა პოეტმა შესძლო მუხამბაზის მხიარულ ჰანგებში თავისი ქვეყნის სევდა მოეთავსებინა და აემღერებინა იგი პირადი სულიერი განწყობილების სიმებზე.

„ჭაბუკი პოეტი“—ეთქვი იმ მოსაზრებით, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს მუხამბაზები შექმნილი აქვს თერამეტ-ცხრამეტი წლის ასაკში. სატრფიალო ლექსები მან მიუძღვნა თავის თანატოლ ასუ-ლებს, რომელნიც გატაცებული იყვნენ ჭაბუკი პოეტით, ხოლო პატრიოტული ლექსების ერთი ნაწილი დაწერილია ფარნაოზ ბა-ტონიშვილის აჯანყების ჩახშობის წელს (1804), როცა მისი მო-ნაწილე ალექსანდრე ჭავჭავაძე თერამეტი წლისა იყო. საპატიმ-როში გამომწყვდეული ჭაბუკი მგოსანი მოსთქვამდა:

მომესია სევდათ გუნდი,
შემომერტყა ბნელი ბუნდი,
ჯაჭვ დამსდევა მონებისა,
კისრად ვიღე და დავჯუმდი.

გრიგოლ ორბელიანი თავის შემოქმედებაში სიკვდილამდე დარ-ჩა საიათნოვას ერთგული. მისი კერძო წერილები აპრეღებულია საიათნოვას აფორიზმებით, ხოლო საუკეთესო ლექსებს წინ უძღვის საიათნოვას ცნობილი ეპიგრაფები. მე-19 საუკუნის პირველი ნა-ხევრის სამი ქართველი რომანტიკოსიდან მხოლოდ ბარათაშვილმა

უარყო სპარსული ფორმა. მან მშობლიურ ლიტერატურას დაუბრუნა რუსთაველისა და გურამიშვილის გაშლილი ქართული ლექსი, შეუწონა იგი რუს კლასიკოსებს და ჩვენი პოეტების თაობა გადაარჩინა მუხამბაზების ქარიშხალს, რომელიც ონავრულად დანავარდობდა როგორც მე-18 საუკუნის მეფეების დარბაზებში, ისე დაბალი ხალხის ხეივნებში.

საიათნოვა „სიმღერის გამჩენს" ნიშნავს. სიმღერა კი მისთვის სულიერი მოთხოვნილება იყო. იგი მღეროდა ყველგან და ყოველთვის. გრიგოლ ორბელიანი ასე იხსენიებს საიათნოვას თავის „მუშა ბოქულაძეში":

ბაღით მესმის ჰიანურის ტკბილი ხმა,
სავათნავას გულდამწველი სიტყვები.

საიათნოვა მღეროდა მაშინაც კი, როცა ბერად აღიკვეცა ახპატის მონასტერში, მღეროდა, ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობს, არ შეეძლო არ ემღერა, რადგან „მასთან ერთად ეკურთხა მის უბეში ჩარჩენილი ჰიანურის სიმები".

მგოსანმა იცის თავისი სიტყვის ძალა:

ნურვინ იტყვის, ეს ყმაწვილი ვინა ვარ,
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ,
სიტყვას ვიტყვი, ცამ ჭუხილი დაიწყოს.

მე, თბილისზე შეყვარებულ პოეტს, საიათნოვას სიმღერები ბალღობიდანვე მიზიდავდა. ჯერ კიდევ ყრმას მომხვდა მისი დიდი ნიჭის ეშხიანი ნაპერწკალი და მგოსნის ალმოუჩენელ ქართულ ლექსებს გაფაციცებით დავეძებდი ყველგან—არქივებსა თუ მომღერლებს შორის.

24 წლისა ვიყავი, როცა 1914 წ., 15 მაისს თბილისში, ყოფ. თათრის მოედნის თაეზე. ეკლესიის გალავანში საიათნოვას ძეგლის კურთხევა მოხდა. ამ ზეიმს ხელმძღვანელობდა გ. ბაშინჯაღიანი და ოვანეს თუმანიანი. ქართველ მოღვაწეთაგან ესწრებოდნენ კოტე მაყაშვილი, გრ. რცხილაძე (ზანგი), ი. იმედაშვილი, ი. და ნ. ნაკაშიძეები. იმ დროს ბევრმა როდი იცოდა, თუ საიათნოვა ქართულ ენაზეც წერდა და იგი მეფე ერეკლეს კარის მგოსანი იყო! მე მაშინვე აღმეძრა სურვილი უფრო პოპულარული გამეხადა საიათნოვა ჩვენი საზოგადოებისათვის და ოთხი წლის რუდუნების შემდეგ, 1918 წელს გამოვეცი ვრცელი მონოგრაფიის დართვით საიათნოვას-მიერ ქართულად დაწერილი 30 ლექსი (მანამდე ჩემს შრომას მოხსენების სახით ეკითხულობდი საქართველოს დაბა ქალაქებში).

ამ შრომამ ერთგვარი ინტერესი გააღვიძა საიათნოვას პოეზიისადმი. საიათნოვა თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით ზოგიერთი ქართველი პოეტის თემად გადაიქცა და მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია.

და, აი, საიათნოვა დგას ახლა ჩვენს წინაშე, როგორც ღრმა ემოციის და იშვიათი ლირიკული ხმის მომღერალი, რომლის 200 წლის წინათ ნათქვამი ჰანგები, დღესაც გულის აღმგზნებად გაისმის. რაც უფრო ვშორდებით მას—უფრო გვიახლოვდება იგი. საიათნოვა ჩვენთან არის, ჩვენთან—მწერლებთან, მუშებთან, კოლმეურნეებთან, ახალგაზრდებთან და მოხუცებთან.

ჩვენმა დრომ, საბჭოთა ეპოქამ, მიიღო და დააფასა საიათნოვა, პოეტი, რომელმაც შესძლო მაღალმხატვრული სიტყვით და წარმტაცი ჰანგით გამოეთქვა ის, რაც შვებას ჰგვრიდა ან აწუხებდა მისი დროის, მისი წრის ადამიანებს; ჩვენ ვაფასებთ მას, როგორც „ხალხის ნოქარს“ (ხალხის მსახურს), რომლის პოეზია ბადებს უსაზღვრო სიყვარულს ჩვენი ხალხის გმირული წარსულისადმი და ღრმა ინტერესს აღძრავს გარდასული საუკუნეების რომანტიული ელფერით მოცული ყოფაცხოვრებისადმი.

საბჭოთა ხალხის ამ სიყვარულს საიათნოვას მიმართ ბრწყინვალედ გამოხატავს ოვანეს თუმანიანის შემდეგი მუნასიბი:

მოვიდა ლექსითა,
წავიდა კვნესითა
საიათნოვა!

სიმღერით იარა,
წაიღო იარა...
საიათნოვამ!

გეიხმობდა ძახილით,
მოგვიკლეს მახვილით
საიათნოვა!

წავიდა გლოვითა,
სიტკბოთი მოვიდა
საიათნოვა!

1945 წ.

გაბრიელ სუნდუკიანცი და ქართული საზოგადოებრიობა

„მაშ, შენი გულის დავთრებშიც არაფერი სწერია?"
(ეპოს მონოლოგიდან)

ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ამ ორი ერის ბედ-იღბალი მუდამ ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული. გარეშე დამპყრობელთა შემოსევის დროს არაერთხელ გაუწოდებია ქართველ ხალხს დახმარების ხელი სომეხი ხალხისათვის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ასევე სომხებიც, განსაცდელის ჟამს მხარში უდგნენ მეზობელ ქართველებს და საქმით განამტკიცებდნენ მათთან მეგობრობას. „ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედური დღიდან, როცა პირქვე დაემხო სომხეთი—ეს ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით... ვიდრე სომხეთი იყო, საქართველოს რომ თათრობა მოესეოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა, ამიტომაც ჩვენი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა კი გაუჭირდებოდათ" (ი. ჭავჭავაძე).

ამ ისტორიული მეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ მე-19 საუკუნის მოღვაწენი—ილია, აკაკი, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, სუნდუკიანცი, თუმანიანი, გ. ბაშინჯაღიანი და სხვ. მათ ერთმანეთს, შოთას სიტყვებით რომ ვთქვათ,

„გული მისცეს გულისათვის
სიყვარული გზად და ხიდად".

გაბრიელ სუნდუკიანცი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც თეატრი აირჩია შემოქმედების მთავარ სარბიელად, იგი ცარიზმის უსასტიკეს პირობებში ერთნაირი გატაცებით და სიყვარულით ემსახურებოდა, როგორც სომხურ ისე ქართულ ხელოვნებას. სუნ-

დუკიანცმა მოწიწებით შეაღო ქართული თეატრის ალაყაფი კარები და ჰპოვა იქ უსაყვარლესი სახელები: ვასო აბაშიძე. ნატო გაბუნია, კოტე უფიანი, რომლებმაც ორივე ხელით ჩამოართვეს ძვირფას მეზობელს ქართულ ხონჩაზე დაწყობილი ხელნაწერი პიესების პურ-მარილი...

რა იყო ქართული თეატრი მანამდე?

ვიდრე ამ საკითხზე ჩამოვაგდებდე სიტყვას, მოკლედ შევეხები სუნდუკიანცის ბიოგრაფიას.

გაბრიელ სუნდუკიანცი, ანუ როგორც ქალაქელები უწოდებდნენ „მეზანდუკეანთ გაბო“, მამა პაპით თბილისელი იყო, აქ დაბადებული და აღზრდილი.

პაპა: არუთინა, მამა: მიკირტუმა [ნიკიტა], დედა: თინათინი, ცოლი: სოფიო... თვითონ გაბრიელიც ოჯახში მხოლოდ ქართულს ლაპარაკობდნენ... ამას ამტკიცებს ერევნის ლიტერატურულ მუზეუმში დაცული მათი ოჯახის ის ეპისტოლარული მდიდარი მასალა, რომელიც წმინდა ქართულით არის შესრულებული.

აი ორიოდე ნიმუში—

მოგვყავს გაბრიელის მამის წერილი თავისი მეუღლისადმი:

„საყვარელო და ხუგეშო აროდეს დასაიწყარო თინათინ ზახაროვნა! პირველად სიყვარულით მრავალს მოკითხვასა და ლამაზ სახეზედ—თვალებზედ და ლოყებზე კოცნას მოგახსენებ, აგრეთვე საყვარელ სურვილებს. გენაცვალოს შენ მიკირტუმა, რომ დედას დამორჩილდე და წამალი დალიო...“

გაბრიელ სუნდუკიანცის 200-მდე ქერძო წერილი, ჰაბუკობის დროს ქართულად დაწერილი 1855 წლებში, აღსავსეა დედისადმი უღრმესი სიყვარულით. ყველა წერილის თავი და ბოლო ერთი და იმავე მორჩილი სტრიქონებითაა აჟღერებული: „საყვარელო და ნახვად სანატრელო დედაეჯან!“ „უსაყვარლესო და უძვირფასესო დედავჯან!“ „თქვენი მორჩილი და მუხლზედ მთხოვნელი შვილი გაბრიელი“ და სხვ.

გ. სუნდუკიანცის მამას ეტყობა ლექსების წერაც ეხერხებოდა, მას ადრევე შეუდგენია თავისი ეპიტაფია. აი, ეს ლექსიც:

„მცნობნი ჩემნი კმაყოფილნი,
მეუღლე და ჩემნი შვილნი,
დაუტევენ თუმცა წვრილნი.

ღმერთსა სთხოვეთ, ჩემთვის ძალი,
მაპატიოს ჩემი ბრალი,
რომ არ მოშხვდეს ცეცხლის ალი.

წლისა ეიყავ ერგასისა,
მიკირტუმ სურდუკოვისა,
მამით აოუთინას ძისა".

გაბრიელ სუნდუკიანცი დაიბადა ქ. თბილისში 1825 წელს, 29 ივნისს (ძვ. სტ).

1832 წლიდან 1838 წლამდე პატარა გაბრიელმა პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ერთ ცნობილ პედაგოგთან, რომელსაც, სხვათა შორის, მეუღლედ ფრანგი ქალი ჰყავდა. ფრანგულ ენას პატარა გაბრიელი ბავშვობიდანვე დაეწაფა და შემდეგში ისე კარგად შეისწავლა, რომ თავისი „პეპო" სომხურიდან ფრანგულად თვითონვე თარგმნა.

1838—1840 წლებში ის სწავლობდა ხაჩატურ აბოვიანის კერძო პანსიონში, სადაც სომხურთან ერთად თავისუფლად დაუფლებია რუსულ ენას.

1840 წელს მომავალი დრამატურგი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გადაიყვანეს.

1846 წელს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სუნდუკიანცი, სხვა თავის თანამეგობრებთან ერთად (იასე ჭავჭავაძე, გ. წინამძღვრიშვილი, მეზინოვი, სარაჯიშვილი, ანდრონიკაშვილი, ციციშვილი), გაემგზავრა პეტერბურგს და ჩაირიცხა იქაურ უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე.

პეტერბურგის ხანა საუკეთესო ხანად ითვლება დრამატურგის ცხოვრებაში. აქ იგი მიესურვილა რუსულ ლიტერატურას. მისი საყვარელი მწერლები იყვნენ პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, გრიბოედოვი. გარდა ამისა, იგი არა სტოვებს არც ერთ წარმოდგენას, სადაც მონაწილეობდნენ ისეთი ნიჭიერი მსახიობნი, როგორებიც იყვნენ შჩეპკინი, მარტინოვი და სხვ.

1850 წელს გ. სუნდუკიანცი ბრუნდება თბილისში და შედის სახელმწიფო სამსახურში თარჯიმანის თანამდებობაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ ვინც სახელმწიფო ხარჯით იგზავნებოდა პეტერბურგში სასწავლებლად, მას ექვსი წელიწადი უნდა ემსახურნა კავკასიის რომელიმე სამოქალაქო დაწესებულებაში...

ამ სამსახურის დროს ნწერალს უთანხმოება მოუვიდა „მელნის მხვრეპაე" ჩინოვნიკებთან და სუნდუკიანციც ახალი იდეების გავრცელებისათვის 1853 წელს გაგზავნეს დერბენდს სამხედრო გუბერნატორის განკარგულებაში...

მიუხედავად დედის გულმოდგინე თხოვნისა, „შვილი თბილისში გადმოიყვანეთო“, სუნდუკიანცმა დერბენდში მაინც ორ-სამ წელიწადს დაჰყო. ჩვენს არქივებში დაცული უცნობი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ პოეტი გრიგოლ ორბელიანი დიდად ცდილობდა სუნდუკიანცის თბილისში დაბრუნებისათვის, იგი შუამდგომლობდა კიდეც ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის წინაშე, რომელსაც პოეტი სწერდა: „სუნდუკიანცს პირადად კარგად ვიცნობ, როგორც წესიერ ყმაწვილ კაცს“ (იხ. არქივის მასალა გამოქვეყნებული ერევნის „Коммунист“-ში, 1948 წ., № 171).

საზოგადოდ, გრიგოლ ორბელიანი ყოველთვის გულთბილად ეპყრობოდა სუნდუკიანცს, რომლის პოეტური ბუნებაც ვერ ეგუებოდა „კანცელარიების“ სამსახურს. იგივე გრიგოლ ორბელიანი სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს (1858 წ. 13 აპრილს) — „ძლივს, საბრალო სუნდუკიანცი გადმოვაყვანინე სტროიტელნის კომისიაში ჩლენად“ („წერილები“, ტ. II. გვ. 238.—აკ. გაწერელიას რედაქციით).

ასე იყო თუ ისე, გ. სუნდუკიანცმა მაინც 50 წელი გაატარა მეფის სამსახურში...

დრამების წერა გაბრიელმა გვიან დაიწყო... „პეპო“ რომ დაწერა, ის უკვე ცხოვრების დარჯაკში გამობრძმედილი 45 წლის ვაჟკაცი იყო.

როგორც ბევრმა დიდმა დრამატურგმა, გაბრ. სუნდუკიანმაც სცენაზე ეოდეევილებით შესდგა ფეხი. მისი „სალამოს ერთი ცხვირი ხეირია“ პირველი პიესა იყო ნიჭიერი დრამატურგისა. ამას მოჰყვა „ხათაბალა“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“, „პეპო“, „დაქცეული ოჯახი“ და სხვ. მაგრამ გვირგვინი ყველა მისი პიესებისა— „პეპოა“!

ჩვენ ცოტა ვრცლად შევჩერდებით ამ პიესაზე და ქართველი მსახიობების მიერ მის განსახიერებაზე.

„პეპო“ თბილისის ქარგაზეა გაშლილი. ამ პიესის მთავარი გმირი ძველი თბილისის ტიპია და „ყველაზე ღირსებად თბილისელებს ესმით მისი ბნიშვნელობა“ („ცქვალი“. 1901 წ., № 21). ამიტომ იყო, რომ ერთხელ „პეპოს“ თარგმნა სცადეს სომხურიდან სომხურად, ვინაიდან სუნდუკიანცის ქალაქური დიალექტი ყველა სომეხს არ ესმისო!

პეპო ძველი თბილისის ღვიძლი შვილია, იმ თბილისისა, როცა ჯერ კიდევ ქართულ დარბაზებს პერში სანათური ჰქონდა დატანებული ვარსკვლავების სახილველად და თაღებიდან ჩანდელოსნები ახლად დაგებულ ქვაფენილებზე ფეხებს ითვლიდნენ

სიარულით („ვიჰ, გენაცვა, აჹ ჭუჩ. ქვებმა ხომ ფეხები დ. ამ-ტვრიეს..."), ეს იყო სამოცდაათიანი წლების თბილისი!

სუნდუკიანცის შემოქმედების უშრეტი წყარო ჩვენი დედაქალაქია. ერთხელ ილია ზურაბიშვილმა კარგადა თქვა: „სუნდუკიანცის გმირთა მოქმედების არემარე თბილისია, ამ ფარგალს ისინი არ გასცილებიანო!"

ვერც ერთი სხვა ქალაქის მაყურებელი ვერ წვდებოდა ამ პიესის სიღრმეს, როგორც თბილისელი მაყურებელი. საქართველოს დედაქალაქ თბილისში „პეპო" განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა, რადგან თბილისელები ყველაზე უკეთ გრძნობდნენ და განიცდიდნენ ამ პიესის პერსონაჟების, კერძოდ მთავარი გმირის—პეპოს, ხასიათის თავისებურებას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მისი დადგმა ვერ გაბედეს პარიზის ანტრეპრენიორებმა, მიუხედავად ავტორის გულმოდგინე მოწადინებისა.

გაბრიელ სუნდუკიანცს მაშინდელი ელჩების საშუალებით მიწერ-მოწერა ჰქონდა ვიქტორ ჰიუგოსთან და ალექსანდრე დიუმა-შვილთან. პარიზში „პეპოს" დადგმის შესახებ ავტორს პიესის ფრანგული ეგზემპლარიც გაუგზავნია დიუმა-შვილისთვის. ალექსანდრე დიუმა წერილსა სწერს სუნდუკიანცს და აღნიშნავს, რომ თქვენი პიესა კარგი „ლერძია", მაგრამ აქაური მაყურებლის გემოვნებისათვის არ გამოდგებაო... აი, დიუმას ეს წერილიც:

„ჩემო ბატონო, მიღებისთანავე წავიკითხე თქვენს მიერ გამოგზავნილი ხელთნაწერი და მე არა მგონია, რომ იმ თემას, რომელსაც თქვენ ეხებით, წარმატება ექნეს ჩვენს ფრანგულ სცენაზე. როდესაც ჩვენი მაყურებელი ხედავს აფიშაზე ორიგინალურს, უცხო ზნეჩვეულებების შემცველ პიესას, იგი მოელის ისეთ არაჩვეულებრივობას, რის მოცემასაც თქვენი მეტად სადა და ფრიად ბუნებრივი პიესა ვერ შესძლებდა. თქვენი ნაწარმოების სათუთი და ნაზი ყველა დეტალი ჩვენს სცენაზე დაიკარგებოდა. თქვენი პიესა მაღალი გემოვნების მჭონეთა კერძია, რომელიც ჩვენი პარიზელი მაყურებლის უხეში გემოვნებისთვის ვერ გამოდგება. ვეცდები კი, მე მზად ვარ, თუ მოისურვებთ, თქვენი პიესა გადავცე პარიზის იმ თეატრის დირექტორს, რომელსაც მიმითითებთ, არ დავიშურებ რეკომენდაციას და მთელ ჩემს გავლენას, რაც კი გამაჩნია. ამისათვის ველი მხოლოდ თქვენს პასუხს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოგიგზავნით ხელთნაწერს იმ მისამართით, რომელსაც მაცნობებთ.

ა. დ ი უ მ ა-შ ვ ი ლ ი".

როგორ შემოდგა ფეხი „პეპომ“ ქართულ სცენაზე?

ვამბობ „ქართულ სცენაზე“, რადგან სუნდუკიანცის პიესები ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდა არა ბეჭდური სიტყვის, არამედ სცენის საშუალებით.

პირველად „პეპოს“ შესახებ კირილე ლორთქიფანიძის „დროებამ“ ამოიღო ხმა 1874 წელს. ახალ ამბავში ეკითხულობთ: „პეპოს“ ამჟამად სტამბოლშიაც თამაშობენ. იქნება ქართველებიც მალე გავხდეთ ამ კომედიის თბილისის სცენაზე მნახველი“ („დროება“, 1874 წ., 7 ივნისი).

„დროების“ ეს ნატერა ასრულდა! მხოლოდ არა თბილისში, არამედ ქუთაისში. „პეპო“ პ ი რ ვ ე ლ ა დ წარმოდგენილი იქნა ქუთაისში 1874 წელს, 21 ოქტომბერს (თბილისში კი „პეპო“ ითამაშეს ერთი წლის შემდეგ—1875 წ., 27 ნოემბერს).

ქართული პროფესიონალური თეატრის ფუძემდებელი გიორგი ერისთავი,—დიდი მონდომებით შეუდგა ქართული დასის შექმნას. მის დასში ირიცხებოდნენ უეჭველად ნიჭიერი მსახიობნი: გ. დვანაძე, ზ. ანტონოვი, უზნაძის ქალი (პირველი მომღერალი — შემდეგში ივანე კერესელიძის მეუღლე), თვით გიორგი ერისთავი (პირველი კომიკი ჩვენს სცენაზე), აბრამიძე, სააკაშვილი, მეიფარიანი, ჯაფარიძე და სხვ. მაგრამ ცარიზმის მოხელეების განკარგულებით, თეატრი დაიხურა, მსახიობები დაიქსაქსნენ, გულგატეხილი გიორგიც ქართლს გაემგზავრა და თავის სამშობლო სოფელში დაასრულა უკანასკნელი დღენი.

ქართული თეატრის აღორძინების საქმეში, სუნდუკიანცსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის.

მიძინებულმა ქართულმა თეატრმა მხოლოდ სამოცდაათიან წლებში გაიღვიძა.

ამ დროს... მაგრამ ისევ სჯობია დოკუმენტები ავამეტყველოთ და სიტყვა მივცეთ იმდროინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს— კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ს, რომელმაც გ. სუნდუკიანცის 30 წლის იუბილეზე ეს ადრესი წაიკითხა:

„ძვირფასო გაბრიელ ნიკიტას-ძევ!

ქართული თეატრის ისტორიამ განიცადა ორი მწარე პერიოდი თავისი არსებობისა. პირველი პერიოდი ეკუთვნის 1850-იან წლებს, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში გამოჩნდა დაუვიწყარი თავადი გიორგი ერისთავი, რომელმაც ქართულ თეატრს საფუძველი ჩაუყარა და მისი წარმატებებისათვის შექმნა თავისი დრამატიული

ნაწარმოებები, მეორე ასეთივე მოღვაწის ზურაბ ანტონოვის გვერდით, რომლის პიესებითაც არსებობდა მაშინ ქართული თეატრი.

შემდეგ დაეტყო მინელება. სხვადასხვა მიზეზის გამო მუდმივი ქართული თეატრი დაიხურა და ულმობელმა დრომ, რომელიც არავის არა ზოგავს, საზოგადოებრივ ასპარეზს ჩამოაშორა ეს ადამიანები, და ქართულმა თეატრმა მიიძინა 25 წელზე მეტ ხანს. ხოლო მისი მოღვაწენი სდუმდნენ.

გამოჩნდით თქვენ—და ქართული თეატრისათვის დადგა სხვა ხანა. მოგვევლინა ახალი ცხოვრება; 25 წლის ლეთარგიული ძილისაგან გამოღვიძების შემდეგ [ქართული თეატრისათვის] დადგა აღორძინების ხანა.

ამ აღორძინებით ჩვენი თეატრი სავსებით დავალებულია თქვენგნით, რადგან თქვენ თქვენი დრამატიული ნაწარმოებებით ხელახლად შთაბერეთ მას სიცოცხლე და თეატრის დაცხრობილ მაყისცემას საშუალება მიეცით ახალის ძალით აძგერდეს.

თქვენ, რომელსაც მაღლა გეჭირათ ხელოვნების დროშა, მისი შრიალისა და ჩრდილქვეშ მოგვეცით ჩვენ მაღალმხატვრული ნაწარმოებები, მაღალ-პოეტური [პიესები]. თქვენ დრამატურგი კი არ ბრძანდებით, არამედ პოეტი,—პოეტი, რომელიც სწერდა არა რითმით და არც ლექსად, არამედ ჩვენი ცოცხალი მეტყველებით.

ტიპებს, რომლებიც თქვენ მიერ არიან გამოყვანილი, ჩვენ ყველანი ვხვდებოდით ჩვენი ცხოვრების გზაზე ყოველ ნაბიჯზე, მათ ვხვდებით ახლაც, დღესაც კი, მაგრამ არც ერთი ჩვენთაგანი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, სანამ თქვენ არ გაასხეულეთ ისინი თქვენს დრამებსა და კომედიებში და სანამ ამით თვალი არ გაგვიხილეთ ჩვენს გარემოზე...

ასეთი უნარით თქვენ გააცხოველეთ საზოგადოება და ჩვენში გამოჩნდა მთელი პლეადა დრამატურგთა, ორიგინალურ ავტორთა, მთარგმნელთა და გადამკეთებელთა, და ამგვარად თქვენ ჩვენი ლიტერატურაც წინ წაბიძგეთ. თქვენი თხზულებების წყალობით ჩვენში გამოჩნდა აგრეთვე მთელი პლეადა მსახიობთა და მსახიობ-ქალთა, თქვენმა ნაწარმოებებმა აღმოაჩინეს ჩვენში ტალანტები, რომლებსაც ჩვენ წინათ არ ვიცნობდით.

დიახ! თქვენ პოეტი ხართ, რამდენადაც ჩვენი ყოველდღიური უფერული მერკანტილური ცხოვრებიდან წამოაყენეთ ისეთი ტიპები, რომლებიც არასოდეს არ გაჰქრებიან ჩვენში, რომლებიც თქვენ უკვდავ ჰქმენით. განა შეიძლება თქვენი ზამბახოვის, ოსეფას, ზიმზიმოვის, პეპოს, კაკულის, გიქოს, ეფემიას, ოსკან პეტროვიჩის, ისაიას, გიორგი მოსისიანცის და მარგალიტას მივიწყება?

ქართული დასი ზეიმობს დღეს თქვენს 30 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას. დღეს შესრულდა 30 წელი მას აქეთ, რაც გამოქვეყნდა თქვენი შესანიშნავი „პეპო“. რომელიც ამ საღამოს გავითამაშეთ და რომელშიაც 30 წლის წინათ მე ვთამაშობდი იმავე „გიკო“-ს როლს და რომელიც ამჟამად შეგასრულე.

მე როგორც ქართული თეატრის უხუცესი მოღვაწე, უმეტესის სიხარულით გილოცავთ დღევანდელ ზეიმს. ჩვენ, მშობლიური თეატრის მოღვაწენი, აღვიზარდენით თქვენს პიესებზე. ჩვენ გაწაფული ვართ ხელოვნებაში თქვენს ტიპებზე, ჩვენ გამხნეებული ვართ თქვენი ნაწარმოებებით და, რამდენადაც თქვენი მოწაფეები ვართ, იმდენად უფრო დიდი სიხარულით ვეგებებით თქვენს დღევანდელ იუბილეს...

ნება მიბოძეთ მე, თქვენგან მადლიერ მოწაფეს, შეილობრივი სიყვარულის გრძნობით საჯაროდ მოგეხვიოთ და გადაგკოცნოთ თქვენ – დაუვიწყარო ხელმძღვანელო და დამრიგებელო“ (იხ. ერეკვნის სახელმწიფო მუზეუმის მწერალთა განყოფილების ფონდი. პირველად გამოაქვეყნა ლ. მელიქსედბეგმა—„ლიტ.—საქართ.“ 1940 წ., № 15. იბეჭდება შემოკლებით).

ასე და ამგვარად, თითქმის 25 წელი გავიდა ერისთავის თეატრის შემდეგ, რაც ქართველ საზოგადოებას ხეირიანი სანახაობა არ ენახა.

იყო იტალიური ოპერა, იაბლოჩკინას რუსული დრამატული დასი, მაგრამ განა ეს სალბუნად დაედებოდა ქართული სიტყვის მოყვარულ თეატრალურ საზოგადოებას? ერთ ხანს თბილისელებს ეს „სიამოვნებაც“ მოაკლდათ, რადგან 1874 წელს ხანძარმა იმსხვერპლა თამამშოვის ქარვასლა და მისი თეატრიც.

ამ წლიდან იწყება ლტოლვა მუდმივი თეატრის შესაქმნელად. წარმოდგენებთან ერთად გაჩნდა ლიტერატურული საღამოებიც, კონცერტები, რომელშიაც ჩვენი ბწერლების დიდი ნაწილი იღებდა მონაწილეობას. ისინი სცენიდან კითხულობდნენ ახალ თხზულებებს. ერთ ასეთ საღამოზე რ. ერისთავმა „პეპოს“ მონოლოგიც კი წაიკითხა სცენიდან (იხ. ჩვენს არქივში დაცული პროგრამა).

დროებით მალამოდ ესეც კმაროდა...

სწორედ ეს ის დროა, როცა ქუთაისიდან თბილისში ჩამოვიდა ვასო აბაშიძე, გორიდან—ნატო გაბუნია, თელავიდან—მაკო საფაროვისა, ქეშხეთიდან—ყიფიანები და დაიწყეს მონაწილეობა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში...

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის გაბრიელ სუნდუკიანცის პიესების დადგმა ქართულ სცენაზე. მისი პიესები პირველად განახორ-

ციელა თბილისის სომეხ მსახიობთა ამხანაგობამ, ხოლო მეორედ— ქუთაისის ქართული სცენისმოყვარეთა დასმა. მაღე სუნდუკიანცის პიესებისადმი ინტერესი აღიძრა თბილისის ქართველ არტისტებსა და თეატრალების წრეშიც.

დაეით ერისთავი—„სამშობლოს“ ავტორი, 1879 წ. 14 ოქტომბრის თარიღით ს. ოძისიდან წერილსა სწერს გიორგი თუმანიშვილს და ახლად ჩამოყალიბებული ქართული თეატრის რეპერტუარში შესატანად გაბრიელ სუნდუკიანცის პიესების გადათარგმნის საჭიროებაზე მიუთითებს: „Не забудь распорядиться относительно перевода „Хатабала“.

„დროება“ წერდა: „ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში უფ. სუნდუკიანცი მოდათ შემოდის ჩვენს სცენაზე. პირველად ქუთაისმა გაგვაცნო ეს სომხის ნიჭიერი დრამატურგი. აქ ითამაშეს პირველად იმის მშვენიერი კომედია „პეპო“, შემდეგ მეორე იმის დრამა „კიდევ ერთი მსხვერპლი“, იქვე წარმოადგინეს ორჯერ და ახლა, როგორც ამბობენ, იქვე მესამე იმის დრამატიულ თხზულების „ხათაბალის“ წარმოდგენას აპირებენ. თბილისი ამ შემთხვევაში, ქუთაისის კვალზედ მიდის; აქაც ამასწინად ორჯელ წარმოადგინეს „პეპო“ და ახლა წარსული კვირის ხუთშაბათს, 15 იანვარს იყო „კიდევ ერთი მსხვერპლი“ („დროება“, 1876 წ., № 6).

განა საგულისხმო არ არის, რომ გ. სუნდუკიანცის ამ უკანასკნელ პიესაში (—„კიდევ ერთი მსხვერპლი“—) ჩვენს სასიქადულო პოეტს აკაკი წერეთელსაც მიუღია მონაწილეობა და შეუსრულებია თერგდალეული მიხეილის როლი! ტყუილად კი არ წერდა „კვალი“, რომ სუნდუკიანცის პიესებმა „შეაერთა ორი მეზობელი ერი ხელოვნების ნიადაგზეო“ (1901, № 21).

აკაკი და არტისტი!

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ „აკაკი წერეთელი პოეტია და, როგორც პოეტი, ყოველთვის ერთს ხასიათზე არ არის“, ის სუსტი იყოო, უგულო, უსულო, მიხვრა-მოხვრა უშნო, მაგრამ,—განაგრძობს გაზეთი,—„ღმერთმა მოგცეთ იმისი თავი, როცა კარგ გუნებაზეა, ცოცხალი, მახვილი, ლაზათიანი და გამჭრიახათ აღმასრულებელი თავისი როლისა. ხუთშაბათს ის უთუოდ უხვირო გუნებაზე იყო და ამიტომაც მიხეილის როლიც იმის თამაშობაში უხვირო და უსულო გამოვიდაო“ („დროება“, 1876 წ., № 6). აქვე უნდა დავსძინოთ აკაკის არტისტობის დასაცავად, რომ ამ პიესაში მიხეილი ყალბი ტიპია და თვით ლადო მესხიშვილსაც უჭირდა ამ როლში გამოსვლა. საქმე ის არის, რომ პიესა მიდიოდა საქველმოქმედო მიზნით (როგორც აფიშებში ეწერა: „კეთილი საქმის შე-

საწევრად") და აკაკიმაც, როგორც საზოგადო მოღვაწემ, ავტორის ბათრით და გამმართველების დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად— იკისრა აქტიორობა და ამით მის დაფნის გვირგვინს ერთი ფოთოლიც არ შერხეულა... აკაკი ყველგან აკაკი იყო!

„პეპო" ქალაქის ტიპია, პეპო ალალმართალი ადამიანია, თავისი შრომით მცხოვრები, პეპო მეთევზეა, მებადური, მისი ქონება— ბადეა, მისი შემნახავი—მტკვარი: მართალია. პეპოს მამას თავის კვალობაზე ცოტაოდენი თანხაც ჰქონია ზიმზიმოვზე გასესხებული (კეკეს მზითევი), მაგრამ თვითონ პეპო ყოველდღიურად გამოსული მუშაკია: სწორედ პეპოს ასეთმა მდგომარეობამ მიკარნახა მეთქვა შემდეგი სტრიქონები:

სისხამ დილით თევზებს ვიჭერ,
ბადით ხელში მივალ წყალზე,
ვენაცვალე, ჩემს ძმა-ბიჭებს—
არ ფიქრობენ მომავალზე.
დღეს მოგებულს, დღესვე ვხარჯავ,
შესანახად ვის აქვს თავი!
ბადე – ჩემი ქონებაა,
მტკვარი—ჩემი შემნახველი.

და სხვ. *

აკაკი წერეთელს მოსწონდა „პეპო". იგი ამ ნაწარმოებს „ობოლ მარგალიტს" უწოდებდა. როცა ეს პიესა ხონში წარმოადგინეს (პეპოს როლს ასრულებდა მკურნალი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი), აკაკიმ აღტაცებული რეცენზია უძღვნა ამ სპექტაკლს და თვით პიესაზე ასეთი სიტყვები აღმოხდა: „ობოლი მარგალიტი, სადაც უნდა იყოს, თავის ღირსებას არ დაჰკარგავს, გინდ მდიდრის ფარჩა-დიბაზე ეკეროს და გინდა ძონძზე" („ივერია", 1901 წ., № 170; შდრ ილია ბახტაძე: „წარსულის გახსენება", გაზ. „ჩვენი ცხოვრება", 1912 წ., № 9).

თვით ილია ჭავჭავაძემაც, გ. ჩიმიშკიანთან კამათის დროს, აღიარა, რომ „ჩვენს ქართულ რეპერტუარში, ნათარგმნთა გარდა, „პეპო" ბევრს პიესას სჯობიაო" (ილიას თხზულებანი, ტ. II, 1941 წ., გვ. 198—3. ინგოროყვას რედაქციით).

ამავე აზრისა იყო ქუთაისის საზოგადოებაც, სადაც ეს პიესა პირველად წარმოადგინეს ქართულ სცენაზე. „ვინც დაესწრო წარმოდგენას,—წერს რეცენზენტი,—ყველამ კარგი აზრი გამოიტანა პიესაზე. განსაკუთრებით პეპოს ხასიათმა დაიმსახურა ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობაო" („დროება", 1874 წ., № 442).

* ი. გრიშაშვილი—„ერთტომეული", 1955 წ., გვ. 95.

რუსეთის დიდი მწერალი მაქსიმ გორკი მაღალი იდეებით შთაგონებულ ნამდვილ მხატვრულ ხაწარმოებად სთვლიდა „პეპოს“. მან ეს პიესა თავისი რედაქციით (რუსული თარგმანი ეკუთვნის პოეტ ვ. ტერიანს) დაბეჭდა კიდეც 1916 წ. გამოცემულ კრებულში—„Сборник армянской литературы“ და ცდილობდა რუსულ სცენაზე მის განსახიერებას. მაქსიმ გორკის უთქვამს თურმე: „დიდის ხალისით ვითამაშებდი პეპოს როლსო“ (იხ. გ. ოვნანის სომხური წიგნი: „მაქსიმ გორკი და სომხური კულტურა“. 1946 წ., გვ. 43).

გორკის ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ დიდი ბელეტრისტი ჩასწვდა პეპოს ხალხურ პროტესტანტულ სულს და როგორც ყოფაცხოვრების ამსახველ პიესას გზას უხსნიდა და გულის სითბოში აბინავებდა.

„პეპო“ მე-19 საუკუნის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

მასში მკაფიოდ გამოსახულია ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიული საზოგადოება ერთი მხრივ და მეორე მხრივ—ამ კლასის მიერ დამორჩილებული და გაყვლეფილი დაბალი ფენა თავისი ყოფაცხოვრებით. ფული! ფული! და ფული! აი, მაშინდელი დევიზი.

სუნდუკიანცის ერთი მოქმედი პირი გარკვევით ამბობს: „ფული გაქვს? მაშასადამე მთელი ქვეყანა შენია!“

პეპო უყვარდათ არა ჩარჩ-ვაჭრებს, რომელთაც მაშინდელი სოციალური უკუღმართობა ლაღ ცხოვრებას ანიჭებდა, არამედ ყველა ალალმართალ ოფლით მოპოვებული ლუკმა-პურის მქონე ადამიანს. პეპო ხალხის შვილი იყო, სიღატაკე და წამება როდი აშინებდა მას, ოღონდ შეეცხვინა და აშკარაზე გამოეყვანა მზაკვარი ზიმზიმოვები, რომელნიც ხალხში „პატიოსანი სახელით“ დაიარებოდნენ და ნამდვილად კი მშრომელი ხალხის სისხლის მწოველები იყვნენ, „ნუ სტირი, დედი,—ეუბნება პეპო ციხეში წასვლისას.—ახ ხომ არ მოვკვდები, ერთხელ ხომ გავნთავისუფლდები... და მაშინ ყველა გაიგებს, რომ ეს კაცი (ხელს მიიშვერს არუთინასკენ), რომელსაც ყველანი თავს უკრავენ, ყველანი ეფერებიან და პატივსა სცემენ, ეს ის კაცია, რომლისათვისაც არაფერი წმინდა არ არის-რა ამ ქვეყანაზე... ეხლა იტირეთ რამდენიც გინდათ, საწყლის ტირილი, ალბათ. იმისთვის გაუჩენია ღმერთს, რომ მდიდრის ბოროტება მორეცხოს“.

პეპოს ამ სიტყვებით დრამატურგმა გამოხატა არა მარტო იმ სოციალური წრის გულისნადები, რომელსაც მისი პიესის მთავარი გმირი პეპო ეკუთვნოდა, არამედ საკუთარი პროგრესული მისწრაფებანიც. ავტორმა გვაგრძნობინა, თავისი დროის კლასთა ბრძო-

ლის სიმწვავე, თუმცა სუნდუკიანცი, იმდროინდელი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო, არ მისულა კლასობრივი ბრძოლის საჭიროების და მიზანშეწონილობის აღიარებამდე. ავტორი და მისი პიესის გმირები მართალია პროტესტანტულად არიან განწყობილნი, მაგრამ მაინც შორს დგანან რევოლუციური ბრძოლის იდეებისაგან. მიუხედავად ამისა, სუნდუკიანცის დრამატურგია თავისი დროის მასების გამათვითცნობიერებელ როლს თამაშობდა. ეს არის სუნდუკიანცის შემოქმედების ღირსება და დამსახურება.

სუნდუკიანცის დრამატურგიის იდეური და მხატვრული ძალა, როგორც აღვნიშნე, თავის დროზე შეიგრძნეს როგორც ქართველი ხალხის საყვარელმა მსახიობებმა, ისე ჩვენმა მოწინავე მწერლებმა. მის პიესებში გამოსულან პოეტები: აკაკი წერეთელი და რაფერისთავი, ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი, პოეტი და ცნობილი მთარგმნელი იოსებ ბაქრაძე, ჩვენი დრამატურგი — ასიკო ცაგარელი, მშვენიერი ლექსების ავტორი რუს-იმერელი, ქუთათური მეფელეტონე დათიკო მესხი, ნინო და ილია ნაკაშიძენი და ბევრი სხვა მსახიობიც, რომელთა გვარებიც ჩემ მიერ გამოცემულ სუნდუკიანცის ქართული წიგნის „შენიშვნებში" მაქვს მოხსენებული (1950 წ., გვ. 350). ამ სტრიქონების დამწერმაც, როგორც სცენისმოყვარემ, პირველად სუნდუკიანცის „კაკულათი" აიდგა ფეხი სცენაზე!

•

ერთდროულად აღძრულმა ქართულმა და სომხურმა თეატრებმა ერთნაირი ბედი და ერთნაირად მძიმე გზა გაიარეს. ორივე თეატრს ჰყავდა დიდი არტისტები და ორივე თეატრი დიდ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა. არც დეკორაციები, არც გარდერობი, არც მუდმივი შენობა,—ერთის სიტყვით, ამ ორი თეატრის არტისტებს ნიჭის გარდა სხვა არაფერი გააჩნდათ. ჩვენი მსახიობები, ვიდრე არწრუნის მიერ აგებულ თეატრში გადავიდოდნენ, ალალბედზე ყველგან სდგამდნენ პიესებს, სადაც კი ტახტი დაიდგმებოდა და ზეწარი გაიბმებოდა...

თუ რა დამცირებას იტანდნენ მაშინდელი მსახიობები, მოვიყვანთ ორ მაგალითს: პირველი ვასო აბაშიძის ნაამბობია, მეორე— სუნდუკიანცის პიესას შეეხება (დავით გულაზიანმა გადმომცა)—

„სამშობლო" უნდა დაედგათ. რეჟისორი მ. პ. ბებუთაშვილი მოითხოვდა ახალ დეკორაციებს და ახალ ტანისამოსს. მეცენატ ივანე მუხრანბატონთან ფულის სასესხებლად გაგზავნეს ვასო აბაშიძე. ვასო აბაშიძე იმიტომ აირჩია დასმა, რომ ხმა დადიოდა

მუხრანბატონს „მზის დაბნელებაში“ მხოლოდ მიკირტუმას [ვასო აბაშიძის] „შტუკა“ და მისი ცალფეხზე შემოტრიალება მოეწონაო... „როგორც იყო მიეედი,— გვიამბობდა ვასო აბაშიძე თეატრის ახალგაზრდა მუშაკებს ამ ორმოცი წლის წინათ,—უნდა იცოდეთ, რომ ივანე მუხრანბატონი მთხოვნელებს მხოლოდ სისხამ დილით, 7 საათზე იღებდა. დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს იყო ზამთრის დღეებში,—მაშასადამე ბნელოდა. ზარი ჩამოვკარი, კარი გაიღო. შევედი დარბაზში, არავინ არა სჩანდა, სიღრმეში დავინახე მაგიდა, მაგიდაზე იდო ხელში დასაჭერი პატარა ფანარი,—სწორედ ისეთი: აი, სადგურის მეისრეებს რომ აქვთ.. მუხრანსკი მრგვალი ტანის კაცი იყო, მომცრო. საავარძელში მოთავსებულიყო (მართლაც რომ მოთავსებულიყო) და ძლივს მოსჩანდა. მიეესალმე. ვერ მიცნო.

— დილა მშვიდობისა, ბატონო!

— გაგიმარჯოს! რა, ალბათ თხოვნა გექნება რამე, არა?

— დიახ, ბატონო, ჩვენი დასი...

— რაო? დასიო! რის დასი, რა დასი!

— დიახ, ბატონო, ჩვენი დრამატული თეატრის დასი სდგამს დაჟით ერისთავის ახალ პიესას—„სამშობლოს“. ამ პიესის ისე იოლად დადგმა არ შეიძლება, ეს ხომ ვოდევილი არ არის: „კატაჯწონა“ ან „ბიძიასთან გამოხუმრება“. ეს დრამაა და ძლიერი დრამა საქართველოს წარსული ცხოვრებიდან...

— ჰო, სთქვი, ფული გინდათ, რაღა,—გამაწყვეტინა ქველმოქმედმა.

— დიახ, ხომ მოგეხსენებათ ახალი დეკორაციები, ახალი ტანისამოსი... ჩვენ კი სულის გარდა, სხვა არაფერი გაგვაჩნია...

— ამას წინათ „მზის დაბნელებამ“ შემოსავალი არა დაგიტოვათ-რა.

— რას ბრძანებთ, ბატონო, რის ვაინაჩრობით ვცხოვრობთ, ამ წარმოდგენაშიც, თქვენ რომ ბრძანებთ, ცარიელი კუჭით გამოველი და მშიერი ვხტოდი სცენაზე...

— დაიცა,—დაიცა, მაშ ის შენ იყავი რომ შეხტი და ცალფეხზე შემოტრიალდი? მაშ ვასო აბაშიძე შენა ხარ?

— დიახ, ბატონო, მე გახლავართ!

— აი, გაგაჩანაგა ღმერთმა,— და დაიწყო სიცილი, მერე ხველა აუტყდა და კინაღამ დაიხრჩო,—ბარაქალა! ბარაქალა, აბა, ერთი თუ ღმერთი გწამს, აქაც შეხტი! აბა! აბა!

რა უნდა მეკნა,— განაგრძო ვასო აბაშიძემ,—არ შევმხტარიყავი და ვაი თუ გამებრაზებინა ფეოდალი, შევმხტარიყავი და ასე დილაადრიან, ვიღაც მდიდრის წინაშე, ცირკის მასხარა ხომ არ ვი-

კვი... პოლოს, რ ...გორც იყო (გამახსენდა თეატრის უმწეო ბედგომარეობა. „სამშობლოს“ პირველი დადგმა, დეკორაციების უქონლობა) იქნებ რამე დავცინცლო მეთქი, ერთი ჩემებურად შევხტი, მერე ცალ ფეხზე შემოვტრიალდი და თან დავაყოლე—„ჯან კნიაზჯან!“

აქ კი ვეღარ მოითმინა და ხველა და ხარხარი ერთმანეთში აერია. როცა დადინჯდა აიღო ბანკის ჩეკი, ზედ 500 მანეთი დააწერა, მოხია და გადმომცა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... ბაშინვე გამოვეარდი გარეთ და თეატრისაკენ მოვუსვი. მუხრანსკის ხარხარი კიდევ მესმოდა...“

მეორე მაგალითი სომხურ თეატრს ეხება. არ იქნა და არა! მსახიობებმა სოდაგარ მანთაშოვს პირჯვარი ვერ დააწერინეს და სომხური თეატრის სასარგებლოდ ფული ვერ გადაადებინეს. მაშინ მსახიობებმა ასეთ ოინს მიმართეს:

მიდიოდა სუნდუკიანცის პიესა „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს“, ამ პიესაში სცენა წარმოადგენს ჯოჯოხეთს, სადაც ეშმაკები, ტარტაროზები და ცოდვილი ხალხია გამოყვანილი. ამ ჯოჯოხეთში მოუთავსებიათ ყველა ის მევახშე ვაჭარი, რომელნიც სააქაოს „პატიოსან“ და „ალალმართალ“ ხალხად ითვლებოდნენ. ერთმა მსახიობმა ასეთი ხერხი იხმარა: გაიკეთა მდიდარ მანთაშოვის გრიმი და ეშმაკების მიერ დანთებულ ჯოჯოხეთის ალისაგან შეწუხებული აქეთ-იქით ეხეთქებოდა. პიესის მიხედვით ვაჭარი ოსკან პეტროვიჩი მიუახლოვდა თურმე მანთაშოვს და ეუბნება:

— მე კიდევ ჰო, ხალხს ვატყუებდი და ჯოჯოხეთში გამომგზავნეს, შენ? შენ რაღათ მოგიყვანეს? რის გულისთვის? შენ ხომ დიდი ქველმოქმედის სახელი გქონდა გავარდნილი?

— იცი, რატომ?—უპასუხებს მანთაშოვი,—სომხური თეატრის დასახმარებლად შესაწირავი ფული მთხოვეს, არ მიეცი და ხომ ხედავ, ჯოჯოხეთში მიკრეს თავი.

მანთაშოვიც დასწრებია ამ სპექტაკლს. როცა პიესა გათავებულა, შესულა კულისებში, გაუხსნია ჭისა და კარგა ბლომა თანხა შეუწირაეს სომხური თეატრის ასაღორძინებლად. „ოღონდ ამ მიჭარეებს თავი გაანებეთო“,—უთქვამს არტისტებისათვის.

აი, ასე აიდგეს ფეხი ძველმა არტისტებმა, ასე ტანჯვითა და წამებით მიაღწიეს დიდი თეატრის საფეხურებს. მხოლოდ საქმისადმი სიყვარულმა, მხოლოდ სამშობლოსადმი სიყვარულმა და ზოგიერთი ჩვენი კორიფეის თავდადებულმა შრომამ შეინახა ქართული თეატრი და მოიყვანა იგი ჩვენს დიდ თანამედროვეობამდე, როდესაც თეატრი და კულტურის სხვა დარგები პარტიისა და ხალხის ყოველდღიური მზრუნველობით არის გარემოცული.

ზემოთ ვთქვი:

ქართული და სომხური თეატრის ფხაასხმულობა თითქმის ერთ და იმავე დროს მოხდა... 1870 წელს!

სამოცდაათიანი წლები, ნაყოფიერი ხანა იყო როგორც დიდი არტისტების გამოჩენის, ისე დრამატურგიის აღმავლობის მხრივ. „ორივე დასი [ქართული და სომხური] დიდ მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ. ის, რაც აკლდა ერთს, მოჰქონდა მეორეს. თუ ერთი დასის მსახიობს არა ჰქონდა [უსაჭიროესი რამ], ის მიმართავდა მეორე დასის მსახიობს. ბენეფისიდან აღებული ფული იხარჯებოდა მეორე დასთან ერთად“ (სომხეთის სახალხო მსახიობ გრიგოლ ავეტისიანის მოგონებიდან).

კოტე მესხი თამამად გაიძახოდა: „...ჩვენ, ქართველ არტისტებს თავი მოგვწონს, რომ ბედმა გვარგუნა სუნდუკიანცის გმირების მსახიობად ყოფნა ჩვენს დედაქალაქშიო“ (სუნდუკიანცის არქივიდან).

„აბანოს ბოლჩა“ პარალელურად წზადდებოდა როგორც სომხურ, ისე ქართულ სცენაზე. სომხის გამოჩენილი მსახიობები ჩიმიშკიანი და არაქსიანი ხშირად ქართულ ენაზე ასრულებდნენ—პირველი—„პეპოს“ და მეორე—„კაკულას“ როლს.

ქართული თეატრის მუდმივ დასში ირიცხებოდნენ: გედეონ მირაღიანი (გედევანოვი) და მელიქიანის ქალი. ვასო აბაშიძე, ანდრო ადამიძე და ნ. გოცირიძე არა ერთხელ გამოსულან სომხურ ენაზე ეპიზოდურ როლებში; სიღნაღში 22 დეკემბერს 1888 წელს გ. სუნდუკიანცის 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეზე, „პეპო“ ქართულად და სომხურად წარმოუდგენიათ—პირველი და უკანასკნელი მოქმედება სომხურად, შუა მოქმედება ქართულად („ივერია“, 1889 წ., № 13). თბილისელი მსახიობი ვანო ტერ-გრიგორიანი, საგაზეთო წერილსა და მოგონებებში დიდი სიყვარულით იხსენიებს ქართული თეატრის მოღვაწეებს (ამ ავტორის ნაწერების თარგმნა 1917 წელს დაიწყო აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ... ნაწილი დაიბეჭდა კიდეც ქართულ ჟურნალ „პრომეთეში“)*.

განა სუნდუკიანცის „პეპო“ პირველად ილიამ არ დაბეჭდა თავის „იერიაში?“ განა ამ კულტურულ ურთიერთობას ხელს არ უწყობდნენ მაშინდელი პრესის წარმომადგენელნი: ს. მესხი, კირი-

---

* ჯერ კიდევ 1873 წელს, 25 ოქტომბერს, თბილისის თეატრში უთამაშნიათ კარენიანცის 3 მოქმედებიანი დრამა „ბუშარიკი“. ამ დრამის პირველი მოქმედება წარმოუდგენიათ სომხურად, ხოლო დანარჩენი ორი მოქმედება—ქართულად (იხ. „დროება“, 1873 წ., № 41).

ლე ლორთქიფანიძე, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი და სხვანი?*

სუნდუკიანცის პიესები სავსეა ქართული ანდაზებით, ქართული გამოთქმებით, სავსეა გრ. ორბელიანის და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებით, რომლებსაც, სხვათა შორის, ქართულად მღერიან სუნდუკიანცის სომხურ პიესებში და სხვ.

1891 წელს ქართულმა დასმა ავადმყოფ მსახიობ პეტროს ადამიანცს წარმოდგენა გაუმართა, რომლის მთელი შემოსავალი ნიჭიერ მსახიობს გადაეცა.

ქართველ და სომეხ მსახიობთა მეგობრობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ვასო აბაშიძის საბენეფისო საღამოზე, 1888 წ. 22 მარტს, ცნობილმა მხატვარმა გ. ბაშინჯაღიანმა ცოცხალი სურათები დადგა საქართველოს ცხოვრებიდან.

თუ ამას დაეუმატებთ სომეხი და ქართველი მწერლების ნაყოფიერ თანამშრომლობას თარგმნის საქმეში, მათ ცდას—ერთმანეთისათვის გაეცნოთ თავიანთი ლიტერატურის მხატვრული ნიმუშები, მაშინ ცხადი გახდება ორი ერის საუკეთესო შვილთა შეგნებული მისწრაფება, ხალხში შეეტანათ ერთა ძმობის იდეა და ამით წინააღმდეგობა გაეწიათ თვითმპყრობელობისათვის. რომლის აგენტებიც ამიერკავკასიის ხალხებში შურსა და მტრობას ღვივებდნენ.

ასეთი იყო ძველი პროგრესული მოღვაწეების მეგობრობის იდეა.

ჩემს ბიბლიოთეკაში ინახება, არც ისე იოლად საშოვარი გამოცემა, „Тифлисский журнал", სადაც რედაქტორი (ჯაბარი) გაბრიელის ახალგაზრდობის პერიოდს იგონებს! იგი წერს: „სუნდუკიანცი კარგად უკრავდა თარზე, საზოგადოთ მას ძალიან უყვარდა ქალაქური მუსიკა. განსვენებული სუნდუკიანცი აღტაცებული იყო ნატო გაბუნიას სიმღერით. ერთხელ შემოვიდა ჩემთან, დაინახა გრამაფონი და მთხოვა, რომ დამეკრა, მე ავიღე გაბუნიას ჩანამღერი „სულო ბოროტოს" ფირფიტა და გრამაფონი ავამუშავე. სუნდუკიანცი ყურადღებით ისმენდა გაბუნიას სმას, ბოლოს ცრემლი მოერია და წარმოსთქვა: „საბრალო ნატო!" შემდეგ განაგრძო: „დიაღ! ნატო და ვასო (აბაშიძე) შესანიშნავი მსახიობები იყუნენ. იმათი მოსმენა ერთი სიამოვნება იყო! საერთოდ უნდა შევნიშნო, რომ ჩემი პიესები ქართულ თეატრში, ხშირად უკეთესად მიდიოდა, ვიდრე სომხურ სცენაზე" („Тифлисск. журнал." 1913 წ., № 11).

---

* სწორედ სერგეი მესხის რედაქციაში მოხდა გახ. „ჭიაკის" პროგრამის ჩამოყალიბება ქართველი მწერლების მონაწილეობით.

ეს რომ ასე. ანას, ავტორის გარდა, იმდროინდელი პრესა ადასტურებს: (იხ. „Тифлисск. Вестник", 1879 წ., №№ 211 და 216; „ივერია" 1886 წ., № 44—ვალერიან გუნიას სტატია და მოსკოველი კორესპონდენტი, უკანასკნელს „პეპო" კორშის თეატრში უნახავს სომხურად—„ივერია", 1886 წ., № 271).

როგორ ასრულებდნენ ქართველი არტისტები სუნდუკიანცის პიესებს? პასუხი მოკლეა:

— ჩინებულად!

ეს ალბათ იმიტომ, რომ სუნდუკიანცს, როგორც საქართველოს დედაქალაქში დაბადებულს და აღზრდილს, უმთავრესად თბილისის ცხოვრება აქვს აწერილი და მისი დაკვირვებული თვალი თბილისის ცხოვრებას უფრო კარგად ხედავს.

მაკო საფაროვ-აბაშიძისა (ნატალია, ეფემია), ვასო აბაშიძე (ისაია, გიემოზე, ოსკანა), ნატო გაბუნია-ცაგარლისა (ხამფერა, ხახო, მათო), კოტე ყიფიანი (გიქო, ზამბახოვი),—აი ის ოთხი დედაბოძი, რომელსაც ეყრდნობოდა ახლად აღორძინებული ქართული თეატრი.

მეც მოვესწარი ზოგიერთებს და უნდა აღვნიშნო ძველი მსახიობის ერთი კარგი თვისება. შესანიშნავი მიმიკის და დიქციის გარდა, მათ ჰქონდათ საჭირო და აუცილებელი ინტონაციის მიგნების ნიჭი, ფრაზის ისეთი კილოთი თქმა და აგებერება, რომელიც მაყურებელს მთელის სიღრმით აგრძნობინებდა გმირის სულის მოძრაობას, მისი განწყობილების სხვადასხვაობას.

ცნობილი იტალიელი მსახიობი ტომაზო სალვინი თავის „მემუარებში" იგონებს არანაკლებ ცნობილ არტისტის ერნესტო როსის მიერ შთაგონებით თქმულ ერთ ფრაზას და შემდეგსა სწერს: „მე არა მგონია, იყოს ისეთი მსახიობი, რომელიც „მიყვარხარს" ისე დამაჯერებლად ამბობდეს, როგორც ამას სჩადიოდა ერნესტო როსიო!"

განა ჩვენთანაც ასე არ იყო?

მაგალითად, „მარგარიტა გოტიეში", როცა არმანი უკიჟინებს მარგარიტას: „მე შენ არ გიყვარვარო", იცით როგორ უპასუხებს ნუცა ჩხეიძე ამ უმართებულო ფრაზას: „როგორ, მმე არ მმიყ..." მსახიობი აქ სწყვეტს და დანარჩენს გულს ათქმევინებს.

მე ახლაც ყურში ჩამესმის ვ. გუნიას მიერ განწირული ხმით თქმული ერთი სიტყვა „ოტელოში" (დახრჩობის შემდეგ)—„დეზდემონნნაა..." ან ლადო მესხიშვილის (ურიელის) გულჩამკვდარი სიტყვები იუდითის რაბინებთან გადასვლის გამო: „ისიც გაჰშორდა!"

„ხათაბალაშიც“ ასე ყოფილა: კოტე ყიფიანი რომ იტყოდა: „მე გერასიმ იაკულიჩ ზამბახოვს მეძახიან!“—მაყურებელი გრძნობდა ამ ფრაზის სიძლიერეს. ამას მაშინდელი პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა („ივერია“, 1887 წ., № 36).

*

თუ სუნდუკიანცის პიესები ასეთი სოციალური და მხატვრული სიმართლით ელერდნენ, ეს აიხსნება იმითაც, რომ ამ პიესებში მთელი დასი ხმაწეწყობილი გამოდიოდა. ყველა მსახიობი, თვით პატარა როლის შემსრულებელიც კი, დაკვირვებით და უაღრესი გულისხმიერებით ჰქმნიდა ავტორისაგან ჩაფიქრებულ სახეს. სუნდუკიანცის პიესების სცენიური განსახიერება, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ნამდვილი ანსამბლური წარმოდგენები იყო, და რატომ მერე? იმიტომ, რომ ამ სპექტაკლებს ჰყავდა ერთი რეჟისორ-ხელმძღვანელი და ეს იყო თვითონ ავტორი,—იგი შესანიშნავ რეჟისორობას უწევდა მსახიობთა მთელ კოლექტივს, რომელიც მის პიესებს ასცენიურებდა (ამუშაებდა მიზანსცენებს, აკვირდებოდა გრიმს, ჩაცმულობას და სხვ.). ეს ხაზგასმით აქვს აღნიშნული იმდროინდელ გაზეთებს:

„ძვირად გვინახავს,—წერს გაზეთი „დროება“,—ჩვენ ამისთანა ყოველის მხრით ჩინებული და თითქმის უნაკლო თამაშობა და წარმოდგენა, როგორც ამ გასულ სამშაბათს; თითქო ყველა მოთამაშე თავის როლისათვის იყვნენ გაჩენილიო, თითქო პიესა განსაკუთრებით ამ მოთამაშეებისთვის არის დაწერილიო, ისე მოხდენილად, ისე უნაკლულოდ თამაშობდნენ ყველანი. ეს უნაკლულოვნება წარმოდგენისა უმთავრესად, ჩვენის აზრით, იმას უნდა მიეწერებოდეს, რომ მოთამაშეებს რიგიანი და, როგორც თვითონ ისინი ამბობენ, ერთობ სასტიკი რეჟისორი ჰყვანდათ—უფალი ავტორი, რომლის წყალობითაც წარმოდგენას გარეგანის მხრით და თამაშის მხრითაც თითქმის სრულიად წუნი არა ჰქონია. მაყურებლები სრული კმაყოფილებით გამოვიდნენ თეატრიდან, ყველა დარწმუნდა, ვინც დღემდი დარწმუნებული არ იყო, რომ თუ ოდესმე ქართველებს თავის საკუთარი თეატრი ეღირსა, მოთამაშეები არ შემოაკლდება. რომელ სცენას არ დაამშვენებენ იმისთანა მოთამაშეები, მაგალითად, როგორც ვას. აბაშიძეა, კ. ყიფიანი, ელენე ყიფიანისა და სხვ.“ („დროება“, 1877, № 38).

გ. სუნდუკიანცის პიესების ტიპაჟი არ იყო სრულიად უცნობი. განა გ. ერისთავის მიკირტუმა იგივე ოსეფა არ არის? განა რუსეთში გაზრდილი ივანე („გაყრა“), იგივე მიხეილი ან გიორგი

მასისიანცი არ არის? განა „დაქცეული ოჯახის“ ლოტოს ამბები, იმავე გ. ერისთავის ლოტოს ამბებს არ ჩამოჰგავს (იხ. „შეშლილი“). წარმოიდგინეთ, „ხათაბალის“ ერთი სცენა,—ლამაზი ქალის ნაცვლად, მახინჯის შეტყუების ცდა,—„მეჯღანუაშვილშიც“ გეხვდება,—„კაცია—ადამიანშიც“ და ბევრ სხვა ქართულ და სომხურ ნაწარმოებში. ალბათ ეს იყო ეპოქის დამახასიათებელი მოარული სიუჟეტი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ გაბრიელ სუნდუკიანცმა თავის პიესებში ასახა ახალი ეტაპი თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ის ეტაპი, როცა მტკიცედ იკიდებდა ფეხს საეპრო ბურჟუაზია, როცა გიორგი ერისთავის დროინდელი ნახევრად ბატონყმური ურთიერთობა იცვლებოდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ურთიერთობით და ვაჭრული ინტერესები უპირისპირდებოდა არა მარტო თავადაზნაურობის, არამედ წვრილი ხელოსნების და ქალაქის ღარიბი მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს.

იცოდნენ რა დრამატული დასების ხელმძღვანელებმა თუ რა დიდ როლს ასრულებდა გაბრიელ სუნდუკიანცი „თავისი პიესების სცენიურ გამართვასა და მხატვრულ ასახვაში, ხშირად იწვევდნენ მას პიესის იდეურ ჩამგონებლად, დამდგმელ-რეჟისორად, ასე რომ, შეიძლება თამამად ითქვას, გაბრიელ სუნდუკიანცის პიესები უგაბრიელოდ იშვიათად დადგმულა!

გაბრიელ სუნდუკიანცის დიდ მხატვრულ გემოვნებაზე, თეატრალური ხელოვნებით გატაცებაზე, თეატრის მოღვაწეებთან მის სათუთ და გულისხმიერ მოპყრობაზე, მის იშვიათ რეჟისორულ ნიჭზე,—დაწვრილებით მოგვითხრობს ქართული სცენის სიამაყე, მისი უმცროსი თანამედროვე მაკო საფაროვ-აბაშიძისა.

აი, ეს მოგონებაც:

„ერთ დღეს გვითხრეს, რომ ხვალ მთელი დასი გ. სუნდუკიანცთანა ვართ მიწვეულები სადილათ და იქვე უნდა წავიკითხოთ პიესაო,—წერს მ. საფაროვ-აბაშიძისა,—რამდენადაც მახსოვს ეს პიესა იყო „ხათაბალა“.

„მაშინდელი დასის შემადგენლობა ძალიან პატარა იყო. მთელ დასში შედიოდა ათი-თორმეტი კაცი. სახელდობრ იყვნენ: პატივცემულნი კოტე ყიფიანი, ნატალია გაბუნია, ვასო აბაშიძე. კოტე მესხი, შიშნიაშვილი, მძინაროვი, მარიამ საფაროვი, ადამ ჩუბინოვი, ზალიკო მაჩაბელი, მაშო ყიფიანი, ბ. კორინთელი, ავქსენტი ცაგარელი და გრიგოლ ყიფშიძე.

„ასიკო ცაგარელი იყო სუფლიორი, გიგო ყიფშიძე სცენარიუსი და ადამ ჩუბინოვი ადმინისტრატორი. ყველა ზემოხსენებულ

შსახიობებმა მოვიყარეთ ერთად თავი და გავემართენით სოლოლაკისკენ, სადაც სცხოვრობდა განსვენებული სუნდუკიანცი. მიველით, აგვიყვანეს ზემო სართულში. წინ მოგვეგება თვით გაბრიელ სუნდუკიანცი, მშვენიერი სახის ვაჟკაცი, მომცინარე სახით, პატარა ულვაშებით, ერთი სიტყვით წარმოსადეგი ვაჟკაცი.

„ჯერ სადილათ მიგვიპატიჟა. მშვენიერი სუფრა გაგვიმართა.

„სადილი რომ გავათავეთ, ავიშალენით, გაველით სადარბაზო ოთახში. იქიდანვე სტუმართმოყვარე მასპინძელმა მიგვითითა თავის კაბინეთზედ: „აი, ესეც ჩემი სამუშაო ოთახი“-ო.

„შემოვუსხედით მაგიდას გარშემო. დავიწყეთ პიესის კითხვა. თან ყველა ჩვენთაგანს განსვენებული გეუბნებოდა: „აი, გენაცვალე, ეს თქვენ უნდა ითამაშოთ და კარგათ უგდეთ ყური“-ო. რასაკვირველია, გვიხსნიდა სათითაოთ რა ხასიათის ტიპი უნდა განგვესახიერებინა. როცა გავათავეთ კითხვა, ავიშალენით აღტაცებულნი პიესის შინაარსით. გაბრიელმა ერთხანს თვით გამოგვაცილა და გამოთხოვებისას გვითხრა: „აბა, ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ეხლა ჩემი პიესის ბედ-იღბალი თქვენ ხელშიაო“.

„თეატრი ძაშინ იკვებებოდა სუნდუკიანცის პიესებით. მე მახსოვს, როდესაც გაგვიჭირდებოდა, იმისი პიესები იყო ჩვენი გაჭირვების ტალკვესი. ამ პატივცემული ავტორის პიესებს ჩვენ თითქმის უნაკლოდ ვთამაშობდით და შემოსავალიც კარგი გვქონდა. როცა სუნდუკიანცის პიესები მიდიოდა, ავტორი არანაკლებ ორ რეპეტიციაზედ დაესწრებოდა, თუნდ ათჯერაც გვქონოდა ის პიესა ნათამაშევი. ყველას გვშველოდა, მსახიობებზედ უფრო თვითონ ღელავდა, სრულიად უმნიშვნელო როლის შემსრულებელი რომ ენახა გამოცვლილი, სასტიკ ყურადღებას მიაქცევდა და გვეტყოდა: „გენაცვალეთ, შვილებო, ამა და ამ როლის შემსრულებელი გამოგიცვლიათ და თუ შეიძლება, ჯერ ის ადგილი გავიაროთო“, მისი შოსვლა ყველაში აღფრთოვანებას გამოიწვევდა ხოლმე.

„მახსოვს, ერთხელ „ხათაბალაში“ ნატალიას როლი უნდა მეთამაშნა. შემოვიდა ჩემს საპირფარეშოში და, რომ ამათვალიერჩამათვალიერა, სახეზედ სიამოვნების ღიმილი გადაეშალა. მითხრა, „აბა, რა გითხრა, ჭეილო, დუშკაჯან, სანამ შენ ცოცხალი ხარ, ჩემი ნატალია და ეფემიაც იცოცხლებენ. მართლა, გენაცვალე, აბა, დღეს ხმაზედ როგორა ხარო?“ „ვერა ვარ, გაბრიელ ნიკიტიჩ, კარგათ და არ ვიცი, ჩემი საქმე როგორ იქნება-მეთქი“,—ვუპასუხე. „მაშ აი, გენაცვალე, რას გეტყვი, ხომ იცი საცა ვზივარ, სიმღერის დროს მე გამომხედე, თუ ასე ვზივარ (და დაიკრიფა გულ-ხელი) ნუ გაიჭეორებ სიმღერას, თუ ასე გაშლილი მილაგია

კრესლოს ფრთებზედ ხელები, მაშინ ნუ გეშინიან, წადი და წადი რამდენჯერაც გთხოვონ გაიშეორეო".

„ამის შემდეგ განსვენებულს მე აღარ შევხვედრივარ ავადმყოფობის გამო...

„ვიხრი მდაბლად თავს ნიჭიერი მწერლის ხსოვნის წინაშე..

მარიამ საფაროვ-აბაშიძე"
(„კომუნისტი", 1925 წ., № 9).

სუნდუკიანცი იყო შეშმარიტი მოქალაქე, თბილისის რომანტიკოსი, მისი ერთგული აშიკი. იგი არასოდეს არ ივიწყებდა, რომ „ქართული მიწით იყო გაზრდილი"... როცა რაფიელ ერისთავის საიუბილეო ბანკეტზე „სომხის დრამატურგის სუნდუკიანცის სადღეგრძელო დალიეს", გაბრიელ სუნდუკიანცმა საპასუხოდ აი რა მოახსენა საზოგადოებას: „მე კერძო სადღეგრძელოს ღირსი არა ვარ დღეს, რადგან ყოველივე ამისთანა სადღეგრძელო მარტო ჩვენს იუბილარს ეკუთვნის. ამასაც მოგახსენებთ ჩვენი გვარის მაგიერათ, რომ ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომხები, ქართული მიწითა ვართ გაზრდილი, ჩვენ საქართველოს ჰირის და ლხინის მუდამ თანამოზიარენი ვყოფილვართ და ვიქნებით" (იხ. რ. ერისთავისადმი მიძღვნილი კრებული: „საერო დღესასწაული", 1899 წ., გვ. 37).

როგორც ვხედავთ, ამ დიდ სომეხს, ამ უდიდეს მოამაგეს თავისი ერისას, უსაზღვროდ უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. ყველგან და ყოველთვის უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემით აღნიშნავდა იმ მნიშვნელოვან როლს. საქართველომ რომ ითამაშა მის ცხოვრებაში. იგი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ სთვლიდა. „მე ამ ქვეყნის შვილი ვარ,—ასე დაათავა სუნდუკიანცმა თავისი სამადლობელი სიტყვა „პეპოს" იუბილეზე,—საქართველო მიყვარს როგორც ჩემი სამშობლო, ქართველები—როგორც ჩემი ძმები და შვილები; ამდენი პატივისცემა ჩემს ცხირე ღვაწლს არ შეეფერება და ეს მოასწავებს მხოლოდ თქვენს გულკეთილობას" („ცნობის ფურცელი", 1901 წ., № 1452).

ვისაც კი ერთხელ უნახავს გაბრიელ სუნდუკიანცი, ის არასოდეს არ დაივიწყებს ამ ნიშვიათ და დაკვირვებულ ადამიანს. იგი ყოველთვის ფაქიზი და თავაზიანი იყო—ადამიანური გრძნობებით აღსავსე. მიუხედავად იმისა, რომ გაბრიელის მამა არ იყო ღარიბი, და თვითონაც თავის ნამსახურობის გამო საკმაო შეძლებაც ჰქონდა (ჰონორარი არასოდეს არ აუღია),—სულით და გულით ჩაგრულების მხარეზე იყო. საარქივო მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ ამქართა აჯანყების დროს სუნდუკიანცი აჯანყებულ

ბელოსნებს ესარჩლებოდა და ქალაქის თავის შერმაზან ვართანოვის წინააღმდეგ აქეზებდა მათ.

განსაკუთრებით უყვარდა ჩვენებური ტიპები — ქართული მტკვარის მებადურები; ექიმი ბაგრატ ნავასარდიანი იგონებს გაბრიელ სუნდუკიანცის სიყვარულს დაბალი ხალხისადმი და ამბობს, რომ „ერთხელ გაბრიელმა ერთ უცნობ მეთევზეს შვილი მოანათვლინა, რომელიც ბაყალხანაში ვნახეთ და ძალიან ჰგავდა პეპოსაო“ („დროშა“, 1932 წ., № 6—ვანო ბუთლიაშვილის ჩაწერილი).

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას და,—ალბათ ბევრმა არ იცის,—რომ პეპოს ტიპი ავტორისათვის ჩაუგონებია გრიგოლ ორბელიანის ლექსის პერსონაჟს „ლოპიანას“.

აი, საბუთებიც:

— სომხურ ჟურნალ „აღმოსავლეთში“ (1910 წ., № 7272) დაბეჭდილია მოგონებანი გაბრიელ სუნდუკიანცზე წერილის ავტორს მიუმართავს დრამატურგისათვის შემდეგი კითხვით:

— თქვენ გქონდათ წინასწარ პეპოს ტიპის ჩანასახი?

— არა, პეპო მთლიანად ორიგინალური განსახიერებაა მშრომელი კინტოსი.

მე გაეპასუხენე.— წერს მოგონების ავტორი,— რომ პეპოს პირველი წარმოდგენის დროს გ. არწრუნს შეუნიშნავს: პეპო ნამდვილი მშრომელის წარმომადგენელი არ არის, იგი საკმაოდ დიდი თამასუქის საკითხს უნდება და დასაც დიდი მზითვით ათხოვებს.

— დიახ,— უპასუხნია სუნდუკიანცს,— პეპოს მამას ჰქონია ,ერძო საკუთრება, მაგრამ თვით პეპოს, როგორც შემკვიდრეს, არავითარი სიმდიდრე არ დარჩენია და ცხოვრობს მხოლოდ საკუთარი შრომით.

ამის შემდეგ,—განაგრძობს მოგონების ავტორი,—სუნდუკიანცმა მიამბო, რომ მებადურის ტიპით დიდიხანია რაც დაინტერესებული ყოფილა; ეს იყო მიზეზი, რომ სუნდუკიანცს განსაკუთრებული პატივისცემით და აღფრთოვანებით უყვარდა ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ერთი ცნობილი ლექსი მეთევზის შესახებ.

— მეთევზე ლოპიანა,— უთქვამს სუნდუკიანცს,—ცნობილი პიროვნება იყო, მის შესახებ ამბობენ,—რომ ის, ლოპიანა, თავის გაელენით და შუამავლობით ბევრს დავრდომილს ესარჩლებოდა. და ბევრი ბრაზიანი თავადიც მოურბილებია. აი, სწორედ ეს მეთევზე გამოვიყვანე ჩემი პიესის გმირად—(იხ. სომხურ ენაზე სუნდუკიანცის ერთტომეული, ს. ჰარუთუნიანის რედაქციით, 1934 წ., გვ. 499).

ლოპიანასა და პეპოს შორის უეჭველად არის მსგავსება, მაგრამ მსგავსება გარეგნული და არა შინაგანი. პეპო მევახშეთა ნიღაბის ჩამომხსნელია, ლოპიანა კი უჯავრელია და გიებით მოლაპარაკე:

„ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის,
ვის რად უნდა, ლოპიანა ვინ არის“.

უეჭველად მართალი იყო აკაკი წერეთელი, როცა ამ ორ ტიპს კი არ აერთებდა, არამედ ათავთავებდა, აცალკევებდა ერთი მეორისაგან. აკაკი წერს:

„სუნდუკიანცის პეპო დიდათ განსხვავდება ლოპიანასაგან, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობს ნეტარებას, როცა საყვარელი ზედ წამწამზე უზის და ორთაჭალის ბაღებში ქეიფობს... პეპო კი ყველგან პეპოა, სადაც კი ალალი შრომა ამოძრაებს“ („ივერია“, 1901 წ., № 170).

საზოგადოდ აკაკი—როგორც ორი ერის შემაერთებელი ხიდი,—დიდი მეგობარია სუნდუკიანცისა და მისი ტიპებისა. თავის დროზე ვის არ უნახავს, ეს ორი ადამიანი ერთად ხელკავით მოსიარულენი რუსთაველის პროსპექტზე? ვინ იცის რამდენჯერ ულაპარაკნიათ და უოცნებიათ მათ ამ ორი ხალხის ჭეშმარიტად ძმურ მეგობრობაზე, რომელიც მხოლოდ ჩვენს ეპოქაში განსორციელდა.

აკაკიმ გაბრიელ სუნდუკიანცს სამი ლექსი უძღვნა, და სამივე აღსავსეა სიყვარულით, სიხარულით, სითბოთი და სიტკბოთი.

გაბრიელ სუნდუკიანცს

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა!

კავკაზმა დიდმა და ქედმაღალმა
გაადიადა შენი ბუნება,
და ამ მიდამომ, ყვავილოვანმა,
აგიფერადა საამოდ ვნება.

ფერად-ფერადი ვნებათა ღელვა
შენს თბხულებაში უხვად ჩაქსოვე,
და უკვდავება საშვილიშვილო
შეისისხლხორცე და მოიპოვე!

ამ ურიცხვ ხალხის გრძნობას და სურვილს
მეც შევუერთებ ამ ჩემს გულისთქმას,

და თაყვანსა გცემ, დიდო მოღვაწევ,
როგორც უმცროსი თავის უფროს ძმას*.

გაბრიელ სუნდუკიანცი ყველას ერთნაირად ჰხიბლავდა თავისი კეთილშობილებით, უანგარობით და თავმდაბლობით. ხშირად მისი უშუალობა ბავშვურ მიამიტობამდე მიდიოდა — გატაცებით უყვარდა ბუნების სილამაზე, მხოლოდ ბუნებას შეეძლო თავდავიწყებამდე სიამოვნება განეცდევინებინა სახელოვანი მწერლისათვის. თვით გაზაფხულის უბრალო ყვავილებიც კი („ატმის ყვავილები") მისი ტრფიალების საგანი იყო. მეტად საგულისხმოა ერთი მაგალითი სუნდუკიანცის ცხოვრებიდან, რომელსაც აკაკი წერეთელი თავის „გახსენებაში" ასე გადმოგვცემს:

„ერთხელ, ახალ გაზაფხულის დილას, მუშტაიდში ამოვყავი თავი, რასაკვირველია, იმ დროს იქ ხორცშესხმული არავინ სჩანდა და მეც ჩემს ნებაზე დავიწყე ბაღში სიარული. მოულოდნელად ერთმა რამემ გამაშტერა: შუაგულ ბაღში ერთ ყვავილებად გაპენტილ ატმის ქვეშ თვალი მოვკარ გაბრიელ სუნდუკიანცს: ის ხის ქვეშ მუხლებ-მოყრილი და ხელებ-მაღლა აპყრობილი იყო, როგორც ქანდაკება. ბე შევკრთი, ვიფიქრე: გადარეულა-მეთქი. უკანვე გამოვბრუნდი და წრეში შემოვედი. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა აღტაცებული სუნდუკიანციც და მომაყვირა: „აკაკი-ჯან, აქ რას უზიხარ? წამოდი, რა გიჩვენო, — დამავლო ხელი და მიმიყვანა იმ ატმის ხესთან — ამას ვერ ხედავ? რატომ არ დაემხობი და თაყვანს არ სცემ მშვენიერების გაჩენს? მე კი ეს ერთი ხანია, ყოველ დილას მოვდივარ და ვლოცულობ!" („თემი", 1912 წ., № 64).

ეს პატარა მოგონება ბევრს მეტყველებს გაბრიელ სუნდუკიანცის სულიერ სისპეტაკეზე და ჰეშმარიტ პოეტურ სულისკვეთებაზე.

ჩვენს ძვირფას აკაკის ეს სურათი აღუნიშნავი არ დარჩენია.

1912 წელს, 16 მარტს გაბრიელ სუნდუკიანცი გარდაიცვალა 87 წლის ასაკში.

სიკვდილამდე რვა თვით ადრე სუნდუკიანცმა დასწერა ანდერძი, გაუგზავნა გაზ. „მშაკის" რედაქციას და სთხოვდა, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნეო.

---

* ეს ლექსი პირველად ა. აბაშელმა თარგმნა რუსულად — „Новая речь", 1910 წ., № 195.

ვს ანდერძიც, როგორც სუნდუკიანცის მთელი მოღვაწეობა, წარმოადგენს კეთილშობილების და დიდი პოეტური ბუნების მაჩვენებელ ადამიანურ დოკუმენტს. ამ ამაღელვებელ ანდერძში ცოცხლად მოისმის სამშობლოს ბედნიერი მერმისისთვის გულანთებული პატრიოტის ძახილი.

ჩვენ ამ „ანდერძს," ამ მშვენიერ პოემას, მთლიანად მოვიყვანთ:

„მშვიდობით, მე წავედი, წავედი იმისთანა ალაგას, საიდანაც, რაც ქვეყანა არსებობს, არავინ არ დაბრუნებულა.

თქვენ კარგათ იყავით, დიდი ღღე გქონდეთ, ჯანსაღი იყავით, გულით მხიარული, სულით წყნარი.

თუ ვისმესათვის რაიმე დამიშავებია. ვთხოვ მაპატიოს: ვისაც ჩემთვის დაუშავებია რამ და ჩემი გული დაუდაგავს, მეც ვაპატიებ წმინდის გულით: სინდისმა არა ჰქენჯნოს არასოდეს მისი გული. ჩემი დაკრძალვის დროს არავითარი სამზადისი საჭირო არ არის. სახლის ავეჯეულობას ხელი არ ახლოთ,—ჩემს სამუშაო და საწოლ ოთახებსა, საღაც ჩემი საუკუნო ძილის ლოგინი უნდა მოამზადოთ. დანარჩენი ოთახები ისევე დასტოვეთ, როგორც არის, ვიდრე მე დამმარხავენ; მერე კი თქვენ იცით.

შავები არც ერთ ოთახში არ იყოს და თქვენც, ჩემო აზიზო სოფიოჯან და გულით საყვარელო შვილებო და შვილისშვილებო (Chére Hélène).* თუ რომ სრულებით შავებს არ ჩაიცვამთ, ძლიერ კარგს იზამთ.

„ვენოკები" (გვირგვინი) ერთიც არ იყოს, არც სახლში, არც კარში, არც თქვენ შეუკვეთოთ, არც სხვისაგან მიიღოთ; ადრევე შეატყობინეთ, რომ არავის არ ეწყინოს.

კუბოში ჩამაწვინეთ შავი სერთუკით და ტყავის თეთრი ქუდით.

ჩემს დაკრძალვამდე, სახლში არავითარი პანაშვიდები არ გადაიხადოთ! ჩემი სახლის მღვდელიც საკმარისია, რომ მომსვლელთათვის „მაცაო ჩვენო" სთქვას. როგორც ადრე მიღებული იყო. და თუ შორეულებს და უცხოებს არ ეწყინებათ, ნუ მოვლენ ყოველ წამს და ჩემ მეუღლესა და შვილებს ნუ აატირებენ ხელახლად.

მათგან, ვისაც ჰსურს თავის სიმწუხარე განაცხადოს ჩემი სიკვდილის გამო, დეე თავისი სადარბაზო ბარათი დასტოვოს შესავალში ანუ იქვე დაეთარში თავისი სახელი და გვარი ჩასწეროს, როგორც მიღებულია განათლებულ ქვეყნებში.

---

* ძვირფასო ელენ.

დამავიწყდა თავის ადგილას მეთქვა, რომ გაზეთები არ გაავსოთ მრავალი და მახინჯი განცხადებებით და უადგილო სიტყვებით, ვინ არ იცის, რომ ყველასათვის, ვისაც მე ვუყვარდი, ძლიერ საყვარელი და ძვირფასი ვიყავი. ამასთანავე ამ სიტყვებს მრავალნი წაბაძულობით მეტად მწარე და ძლიერი სიტყვებით განაცხადებენ ხოლმე.

მახლას!

ჩემი სიკვდილის განცხადება დასწერეთ უბრალოთ და ჩემს ხარისხს ნუ გამოაცხადებთ.

„გაბრიელ სუნდუკიანც-ჰამბალი გარდაიცვალა (დრო). დაკრძალვა მოხდება (დღე) დილის (საათი) განსვენებულის ბინიდან“ და სხვა.

ჩემ დაბარხვის დღეს მხოლოდ ერთი ნღვდელი, ჩემი სახლის ბუცისი გამიძღვეს წინ და ერთიც დიაკვანი. სხვა სამღვდელოება არ შეაწუხოთ და არ მოიწვიოთ.

ჩემი ნაწსახურობის ჯვრები და ჩინები არც ბალიშებზე და არც უბალიშოდ სრულებით არ იყოს.

ჩემს წინ მსვლელმა მღვდელმა და დიაკვანმა უჩუმრად ნიმასვენონ სახლიდან ეკლესიაში და ეკლესიიდან საფლავამდე; გზაზე არავითარი გალობა და ლოცვა არ იყოს.

ძვირფასო სოფიოჯან და ძვირფასო შვილებო, თქვენ ყოველთვის ჰკვიანი ყოფილხართ: თქვენ იცით, როგორც გულს გაიმაგრებთ ჩემი გაცილების დროს.

ბალდახინი და ცერემონიები სრულებით არ იყოს: მეტადრე ცხენების თავზე ის ბუმბულის თაიგულები არამც და არამც არ იყოს, როგელსაც მე ჰიჰინაზე მოეყავდი. რვა მუშა და რვა კინტო მოიწვიეთ. რიგრიგად ჩიტივით გამაფრენენ. იქნება მათ შორის პეპოც აღმოჩნდეს; ეს ჩემს „პეპოსათვის“ დიდი პატივისცემა იქნება. დამმარხეთ. სადაც გსურთ. მე ვისურვებდი დედაჩემთან, მაგრამ იქ ადგილი არ არის. ამასთან დაკრძალულ ჩემს ბაეშვების სამარეს არ შეეხოთ. ჩემს საფლავზე არავითარი ძეგლი არ არის საჭირო; ერთი დიდი ლოდი და ჩემი ჯანი!

ზედ ასე დააწერინეთ:

გ ა ბ რ ი ე ლ ს უ ნ დ უ კ ი ა ნ ც ი-ჰ ა მ ბ ა ლ. დ ა ი ბ ა დ ა 1825 წ. 29 ი ვ ნ ი ს ს, გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა 191...წ.-ს.

თუ გულით გსურთ ჩემზე ძეგლის დადგმა და ამის ღირსი ვარ, ეს ძეგლი ჩემს მაგიერ „პეპოს“ დაუდგით, სადაც მოსახდენი იქნება. მთელი სხეულით იდგეს კვარცხლბეკზე თავისი ტანსაცმელით, ქუდ-დახურული, ერთ ხელში არუთინას ბარათი ეჭიროს.

მეორე ხელით ბარათზე დაწერილს უჩვენებდეს. არუთინა კი ქუდმოხდილი და სერთუკით პიონერად გვერდით იდგეს.

ქვეშ წარწერილი იყოს მხოლოდ ეს სიტყვები:

პეპო — „ეს მაგ მოსატეს ხელით არ დაგიწერია?"

ძეგლი და კვარცხლბეკი თუჯისა იყოს ჩამოსხმული; ზედ არც ერთ ალაგას ჩემი სახელი არ იყოს. ჩემი სურვილი ის არის მხოლოდ, რომ ყველას გულში და გონებაში დღედაღამ გამაგრდეს ის აზრი, რომ სიტყვის გატეხა (ჰაშაქრობა) დიდათ სასირცხვილო რაჰეა ადამიანისათვის და ვინც თავის ეჯლს არ იკისრებს, თავის მიერ მიცემულ სიტყვას არ შეასრულებს, თავის ხელმოწერილ ბარათზე უარს იტყვის, იგი კაცი არ არის, რაც უნდა მაღლა იდგეს კაცთა შორის.

ეხლა შევუდგეთ ჩემი ნათქვამის შესრულებას.

პეპოს ძეგლის დადგმა ჯერ ძალიან შორს არის; ამისათვის ახლავე არვინ შესწუხდეთ და ურბალოდ დრო არ დაჰკარგოთ. ჩემს დაკრძალვას, რაც ხარჯი მოუნდეს, ჩემი ვალია; ამის შესახებ ჩემი მეუღლე და შვილები იზრუნვენ იმ პაწია ქონებიდან, რასაც ვტოვებ მათთვის.

ქელეხ-მელეხი სრულებით საჭირო არ არის; იმ დღის საწყლობის სადილის ფული მიეცეს სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას მათთვის დასარიგებლად.

დარჩა ჩემი დამარხვის წესრიგის შესრულება. ყველა ეს გადახდილ იქმნეს ისე, როგორც ზემოდ დაწერია.

ამისათვის განსაკუთრებით ვთხოვ გაზ. „მშაკის" პატივცემულ რედაქციას, ჩემს გულითად კეთილ-მდომლებს, ჩემ თვალისჩინ მეუღლეს და შვილებს, ეცადნენ და სიტყვა-სიტყვით შეასრულონ ჩემი ნათქვამი და თხოვნა.

მშვიდობით იყავით,

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო სოფიოჯან,

მშვიდობით, ძვირფასო შვილებო.

მშვიდობით, საყვარელო მეგობრებო,

მშვიდობით, საყვარელო ადამიანებო, რომელ ეროვნებისა, ტომის და სარწმუნოებისაც უნდა იყოთ,

მშვიდობით, ჩემო საყვარელო ქალაქო ტფილისო.

მშვიდობით ჩემო საყვარელო და სათაყვანებელო ეროვნებავ, ღმერთმა შენს სამშობლოს გაღირსოს.

ყველას სიყვარული ჩემს გულში ღრმად ჩამარხული თან მიმაქვს. მშვიდობით იყავით.

გაბრიელ სუნდუკიანც-ჰამმალ.*

14 აგვისტოს, 1911 წ., „ბორჯომი".

* ჰ ა მ მ ა ლ, გ. სუნდუკიანცის ფსევდონიმი იყო (ჰამმალ—„კურტნიანი მუშა").

ანდერძი პირნათლად და ზუსტად იქნა შესრულებული.

„მშვიდობით, ჩემო საყვარელო და სათაყვანებელო ეროვნებაე, ღმერთმა შენს სამშობლოს გაღირსოს!“

ასე გულისტკივილით ეთხოვებოდა მწერალი მრავალტანჯულ სომეხ ხალხს. იგი ნატრობდა, რომ მას მოეპოვებინა ხამდვილი თავისუფლება, შეექმნა და აეღორძინებინა საკუთარი სამშობლო. გ. სუნდუკიანცი ხედავდა, რომ მაშინდელ პირობებში შეუძლებელი იყო ხალხის სრული თავისუფლება, მაგრამ ურყევად სჯეროდა, რომ დადგებოდა დრო, როცა სომეხი ხალხი შეჰქმნიდა თავის სამშობლოს. დაფასდებოდა შრომა და პატიოსნება, სრული ძალით გაიფურჩქნებოდა ერის მატერიალური და სულიერი კულტურა. ეს ლამაზი და კეთილშობილი ოცნება დიდი მწერლისა გამართლდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მიანიჭა სომეხ ხალხს საკუთარი სამშობლო, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეამ მოუტანა სომხეთს მშვიდობა და ეროვნული განახლების შესაძლებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად, ამიერკავკასიის ხალხებმა უდიდეს ეკონომიურ და კულტურულ წარმატებებს მიაღწიეს. ეს მტკიცე და ურყევი მეგობრობა გადაიქცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მძლავრი აღორძინების საფუძვლად.

ჩვენ ამ დიადი მეგობრობის სამსახურში მუდამ უნდა გვახსოვდეს ის ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომლებიც თავისი ხალხის ეროვნულ და სოციალურ განთავისუფლებაზე ოცნებობდნენ და რომელთაც თავიანთი ქვეყნის თავისუფლება და ბედნიერება ვერ წარმოედგინათ ერთა ძმობისა და თანამშრომლობის გარეშე.

ჩვენი ვალია, საბჭოთა კულტურის შემოქმედი ძალების წმინდა და საპატიო ვალია, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ცოდნა, ნიჭი და უნარი, რადგან ეს მეგობრობა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და პოლიტიკური სიმტკიცის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი და დასაყრდენია.

„ვინც მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია!“

1950 წ.

მირზა ფატალი ახუნდოვი

I

ლირიკული პოემა „პუშკინის მარდასვალებაზე“

მირზა ფატალი ახუნდოვი აზერბაიჯანული ლიტერატურის ფუძემდებელია.

მან პირველმა შეჰქმნა აზერბაიჯანულ ენაზე დრამატული ნაწარმოები, რომელიც თარგმნილია თითქმის ყველა ევროპულ ენებზე. მირზა ფატალის ერთი კომედია ქართულადაც ითარგმნა ჩვენი პოეტის აკაკი წერეთლის მიერ, მაგრამ ამაზედ ქვევით...

მირზა ფატალიმ პირველად აღწერა 40-იანი წლების აზერბაიჯანელთა ნამდვილი ყოფა-ცხოვრება. მისი ნოველა „მაცდური ვარსკვლავები“ წარმოადგენს ფეოდალური წესწყობილების კრიტიკას.

მირზა ფატალი ახუნდოვმა თავის კომედიებში პირველად აალაპარაკა აზერბაიჯანელი ქალი და მხატვრული ფერებით ასახა მათი მონური პირობები. უუფლებობა და თავისუფლებისადმი სწრაფვა...

„აღქიმიკოსში“ ავტორი ამათრახებს მუსულმანური სამღვდელოების ცბიერებას. თაღლითობას, მუქთახორობას. იგი ასე მიმართავს მოლა სალმანს პოეტ ჰაჯი-ნურის პირით: „სიკუთარი გვარის წესიერად მოწერაც კი არ შეგიძლიან... რა უფლებით გინდა მოლა გახდე? თუნდაც ტყის საპრელად რომ წასულიყავი, წელიწადში 15 თუმანზე მეტს გააკეთებდი“...

ფატალის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი იდეა გადაწლილია დიდ შრომაში „ჯამალუდოვლეს და ქემალუდოვლეს მიწერ-მოწერაში“. მწერალი ილაშქრებს ისლამის სარწმუნოების წინააღმდეგ. აკრიტიკებს მუსულმანთა რელიგიას, რომელმაც ჩაახშო ხალხის მისწრაფება.

მირზა ფატალის მნიშვნელობა აზერბაიჯანული კულტურისათვის კიდევ უფრო ძლიერდება მით, რომ მან პირველმა აღძრა

საკითხი დრომოჭმულ არაბულ ალფაბეტის შეცვლის შესახებ ისეთი ახალი ალფაბეტით, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ფართო მასებში განათლების გავრცელების ნამდვილ იარაღად. ეს ნაწარმოები მის სიცოცხლეში არ ყოფილა გამოცემული. ახუნდოვის ოცნება ძველი არაბული ალფაბეტის შეცვლის შესახებ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განხორციელდა.

მირზა ფატალი ახუნდოვი (ანუ ახუნდ-ზადე) დაიბადა 1812 წელს ქ. ნუხაში. შვიდი წლის ბავშვს გარდაეცვალა მშობლები და იგი დარჩა თავისი ბიძის და ძალუას ანაბარად. ბიძამ ჰაჯი-ალი-ასკერმა ბავშვს თავიდანვე შეატყო სწავლის წყურვილი და გადასწყვიტა მიებარებინა მედრესში (მუსულმანთა სასულიერო სასწავლებელია). ბიძას სურდა ახალგაზრდა მირზა მოლა გამხდარიყო... ამავე ხანებში ბიძას მოუხდა მექაში გაჩგზავრება. ჰაბუკი მირზა განჯაში გამოგზავნა და ერთ ნაცნობთან შეაკედლა. მირზა აქ გაეცნო თავისი შამის მეგობარს პოეტ მირზა-შაფს, რომელმაც ახუნდოვის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინა. აი მირზა ფატალი როგორ გადმოგვცემს ამ შეხვედრას: „ამ სწავლის დროს მე და მირზა-შაფი ძალიან დავმეგობრდით. ერთხელ მან ასე მომმართა:

— მირზა ფატალი, რა გინდა რომ გამოხვიდე?

— მე ვემზადები სასულიერო წოდებისათვის, მინდა ახუნდი გამოვიდე.

მირზა-შაფიმ მიპასუხა:

— ბაშასადამე შენ გსურს ოინბაზი და ჰარამზადა გამოხვიდე? მე გაკვირვებული შევეკითხოდი. მან განაგრძო:

— მირზა ფატალი! დაეთსოვე შენს გადაწყვეტილებას, ამბა რათ გინდა შენი სიცოცხლე ამ მუქთახორა ხალხში გაატარო?"

მირზა ფატალი ახუნდოვს თითქოს თვალებიდან ღიბრი ჩამოეცალა, გაიზარდა, გადასხვაფერდა. როცა მისი ბიძა დაბრუნდა მექადან, ახუნდოვი ვეღარ იცნო, მთლად გამოცვლილი დაუხვდა. ამის შემდეგ ახუნდოვი გახდა შეუპოვარი მებრძოლი ისლამის ფანატიზმის წინააღმდეგ, მან სასულიერო წოდება დაჰგმო და გადაჭრით შეიძაგა. არანაკლებ სძულდა ამ სასულიერო წოდებას თვით მირზა ფატალიც. როცა მირზა ფატალი გარდაიცვალა (1878 წ. 28 თებერვალი) მწერლის ანტირელიგიური გამოსვლისათვის მუსულმანთა სამღვდელოებამ ახუნდოვი გამოაცხადა გიაურად, სჯულის მოღალატედ და გარიცხა მაჰმადიანურ ეკლესიიდან. განსვენებულის ნეშტი ყველას მიერ უყურადღებოდ იყო მიტოვებული

მის ბინაზე, არავინ არ კისრულობდა დაკრძალვას. ბოლოს მეფის მთავრობა იძულებული გახდა ოთხი ყაზახის თანხლებით, ნახევრად გახრწნილი ახუნდოვის გვამი დაესაფლავებინა ხარფუხის უბნის მახლობლად მდებარე მუსულმანთა გორხანაზე მორწმუნე აზერბაიჯანელთა საფლავების მოშორებით. მის კუბოს არც ერთი მუსულმანი არ მისდევდა.

ასეთი იყო ამ ორიგინალური მწერლის ცხოვრების მოკლე თავგადასავალი.

1938 წელს ახუნდოვის გარდაცვალებიდან 60 წლისთავი დიდი ამბით იდღესასწაულა საბჭოთა ხალხმა. ბაქოში აგებულია მირზა ფატალი ახუნდოვის ძეგლი და მისი სახელი ეწოდა აზერბაიჯანის დიდ თეატრს. თბილისის ქალაქის საბჭოს დადგენილებით მიასნიკოვის ქუჩაზე (№ 53) მდებარე სახლს, სადაც ცხოვრობდა აზერბაიჯანელი პოეტი, მიკრული აქვს მემორიალური დაფა შემდეგი წარწერით: „ამ სახლში ცხოვრობდა აზერბაიჯანელი ფილოსოფოსი და მწერალი მირზა ფატალი ახუნდოვი 1812—1878 წ.წ."

*

მირზა ფატალი ახუნდოვმა დასწერა სულ ექვსი კომედია და თეითონვე თარგმნა რუსულად (დაიბეჭდა თბილისში 1853 წელს): 1. „მოლა იბრაგიმ ხალილი ფილოსოფიური ქვის პატრონი" (ანუ „ალქიმიკოსი"); 2. „ბატონი ჟორდანი, ბოტანიკი და ცნობილი ჯადოსანი დერვიში მასტალი შახი"; 3. „დათვი ყაჩაღის დამჯაბნელი"; 4. „სერაბის ხანის ვეზირი"; 5. „ძუნწის თავგადასავალი" (ანუ „ჰაჯიყარა") და 6. „კანონთა დამცველები ქალაქ თავრიზში" ანუ „აღმოსავლეთელი ვექილები". აქვს კიდევ რამოდენიმე ნაშრომი პროზად დაწერილი, „მაცდური ვარსკვლავები", „ლამაზი ქალის იდეალი აღმოსავლური თვალსაზრისით" (აქ ჩვენს ქალებზედაც არის ლაპარაკი), რამდენიმე წერილი ლექსი და ლირიკული პოემა—„პუშკინის გარდაცვალებაზე".

საინტერესოა ამ უკანასკნელის ბიდი.

მირზა ფატალი ახუნდოვმა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალმა, ლერმონტოვთან ერთად დაიტირა ტრაგიკულად დაღუპული რუსეთის დიდი პოეტი პუშკინი... ახუნდოვის ეს პირველი ნაწარმოებია, რომელიც დაწერილია 1837 წელს „საბუხის" ფსევდონიმით. იგი ავტოროს თვალმიდევნებით რუსულად თარგმნა პუშკინის მეგობარმა მწერალმა ალექსანდრე მარლინსკიმ (ბესტუჟევმა) სუხუმში ყოფნის დროს და რამოდენიმე ხნის შემდეგ მოუკლავთ კიდეც მარლინსკი მთიელებს ადლერთან ბრძოლაში. ასე,

რომ თუ ეს პოემა ახუნდოვისათვის პირველი თხზულება იყო, მარლინსკისთვის უკანასკნელ ნაწარმოებად გადაიქცა. ამ პოემის ლექსად დაწერილი დედანი მხოლოდ ასი წლის შემდეგ აღმოჩნდა, 1936 წელს, მანამდე დაკარგულად ითვლებოდა. მარლინსკის მიერ ნათარგმნი რუსული ტექსტი პირველად გამოაქვეყნა თბილისელმა ისტორიკოსმა ა. ბერჟემ.

ეს შესანიშნავი პოემა („პუშკინის გარდაცვალებაზე") ჯერ კიდევ 1932 წელს ბერჟეს მიერ დაბეჭდილ პროზაულ ტექსტიდან ჩვენ ვთარგმნეთ და შესავალი წერილის დართვით გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „დროშაში" (1932 წ.. № 5). ხოლო პოეტის ავტოგრაფის აღმოჩენის შემდეგ, მწერალ აზიზ შარიფის ბწკარული თარგმანის მიხედვით, მირზა ფატალი ახუნდოვის ეს პოემა ხელმეორედ გადმოვიღეთ ლექსად, რომელიც გამომცემლობა „ფედერაციამ" ცალკე წიგნად დაბეჭდა 1938 წელს.*

ამ პოემაში ახალგაზრდა აზერბაიჯანელი პოეტი დიალოგს უმართავს გულს. იგი ეუბნება: ჩემო გულო, „პატიოსან თვალთა საიდუმლო ბუდევ", რად სწუხარ, რა გემართება, სად გაქრა შენი მხიარულებაო, გული უპასუხებს: შენ ამ ქვეყნისა არა ხარ, ნუთუ არ გაგიგია, რომ პოეზიის თავი აღარა გვყავსო... აი, ნაწყვეტი ამ პოემიდან:

„ო, შენს გარდა, გულო ჩემო, ყველა ლაღობს მხიარულად,
კაეშანი აღარა აქვთ ერთმანეთის ზიარულად.

ამ საერთო აღტაცების შენ არა ხარ მონაწილე!
ძილისაგან გაერკვიე! თვალებს ლიბრი მოაცილე!

ნუთუ გულის შინასკნელში არ გიღვიეის ნატვრა სულის,
არ გიზიდავს დიდების ხმა და ოცნება სიყვარულის?

შენ ხომ ისევ ის გული ხარ, ვინც ვიდოდა ფიქრთა ზღვაში,
ვინც როკავდა ზღვის ტალღებზე ძვირფასეულ რითმის ტაშით.

ამოგქონდა მის ფსკერიდან მარგალიტი ფენა-ფენად
ლამაზმანი ხათუნების ბროლის ყელის დასამშვენად.

მაშ საიდან წარმოიშვა შენი სევდა, შენი ურვა,
ჰირისუფალს დაემსგავსე, თითქოს გდეედეს წყევლა-კრულვა!"

გულმა ასე მიპასუხა: „გთხოვ დამტოვო ჩემთვის მარტო,
მყუდროებას ნუ ვიშფოთებ, მსურს ვიტირო, მსურს ვიდარდო.

* დაიბეჭდა ალგეთელ გაზ. „კომუნისტში", 1938 წ., № 293 და ჟ. „მნათობში", 1938 წ., № 12. მთლიანად შევიდა ჩემი ლექსების ერთტომეულში, 1955 წ., გვ. 611.

ნე რომ მსგავსად ფარეანასი, არ მესმოდეს ის ცის ძალი,
რომ ზაფხულის სიოს მოსდევს შემოდგომის ქაროშხალი,—

მყის სიტყვის ხმალს შევირტყამდი, დავიწყებდი ერთზე მღერას
და დიდების მოსახვეჭად გაექუსლავდი ლექსის მერანს.

მაგრამ, ვიცი, თუ რამდენად მუხთალია ეს სოფელი,
ჩემი ყოფის დასასრული, სასტიკი და ულმობელი.

გიჟს ვუწოდებ ჩიტს, რომელმაც დააღწია თავი ბახეს
და საკენკის ასაკრებად ისევ იქით მიცახცახებს.

იცოდე, რომ დიდების ხმა, ასე რომ ჰქუხს ათასფერად,
სხვა რა არის, თუ არ მხოლოდ ცარიელი ხმა და ბგერა!

ოცნებაზე ჩქამს ნუ დასძრავ, კარგად ვიცნობ ხალხს მედროვეს,
პოეზიის პირმშო შვილებს თუ რა ხვედრით აჯილდოვებს.

ამ ქვეყნისა აღარა ხარ? არაფერი შეგიტყვია?
პოეზიის თავი არ გვყავს, გულს ახალეს ცხელი ტყვია.

ვინ არ იცნობს პუშკინს, პუშკინს ვინ არ აქებს, არ ადიდებს,
მოლივლივე მისი ლექსი მოფენილა კიდით-კიდეს.

თვით ქალალდსაც უხაროდა დაეკარგა სპეტაკობა,
ოღონდ პუშკინს აღებეჭდა ზედ თავისი სიტყვის წყობა.

ბისი სიტყვის ცისარტყელა ევლებოდა მთებს და სერებს,
ფარშევანგის ბოლოსავით გამოსცემდა ნაირფერებს.

ლომონოსოვს უთხრეს: შენ ხარ სადარბაზოდ ლექსთა ბაშის!
პუშკინი კი საბოლოოდ მტკიცედ დარჩა ამ დარბაზში.

დერჟავინმა პოეზიის სასახლეში ჰპოვა ბინა,
მაგრამ ყველას პირველობა კვლავ პუშკინმა აგრძნობინა.

კარამზინმა ცოდნის ღვინით ამოავსო ბზის სასმისი,
პუშკინმა კი მთლად ძირამდე გამოსცალა ჭიქა მისი...

ეხლა მითხარ, ის მშობელი ჩაითვლება კაცურ-კაცად,
ვინც გასწირა გენიოსი ასე უღეთოდ, ასე მკაცრად?

გმინავს მიწა რუსეთისა, ჰგოდებს ხმითა დამდაღველით:
—ჯალათების წმინდა მსხვერპლო, შენ დაეცი მტრების ხელით!

შენ დასტოვე მიგობრები, გაემგზავრე სადღაც შორეთს.
დაე, ზეცამ გიმეგობროს, შეეყარო სულის სწორებს.

ბაღჩისარის შადრევანი შენი ვარდის ნექტრის ნობათს
გაზაფხულის სიოთ გაფრქვევს უკვდავ ნეშტის შესამკობად.

და ჰალარა კავკასია, კრძალვითა და მოწიწებით,
მწირ საბუხის ლექსით გლოვობს შენს უდროოდ დამიწებას.

II

მირზა შაფალი ახუნდოვი და აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელს თავიდანვე ახასიათებდა მოძმე ერებისადმი პატივისცემა, მათი ლიტერატურისადმი უდიდესი სიყვარული. იგი პირადად იცნობდა უკრაინელ პოეტს ტარას შევჩენკოს და ეს მეგობრული ურთიერთობა არაერთხელ გამოუძღვანებია. როგორც წერილობით, ისე შევჩენკოსადმი მიძღვნილ საღამოებზე სიტყვის წარმოთქმით. აკაკიმ რამდენიმე გულთბილი ლექსი უძღვნა სომხეთის ნიჭიერ დრამატურგს გაბრიელ სუნდუკიანცს. აკაკიმ, ქართველ მწერლებიდან პირველმა მიაქცია ყურადღება აზერბაიჯანულ ლიტერატურას და ქართულ ენაზე გადმოთარგმნა მირზა ფატალი ახუნდოვის ცნობილი პიესა „ხანის ვეზირი“. ჩვენი დიდბუნებოვანი პოეტისათვის უცხო იყო ეროვნული შეზღუდულობა და სიტყვით თუ საქმით ხელს უწყობდა ცარიზმისაგან ჩაგრულ ერთა შორის კულტურული ურთიერთობის დამყარებას და განმტკიცებას.

მირზა ფატალი ახუნდოვი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ერისათვის ისეთივე საყვარელი და ძვირფასი სახელია, როგორც პუშკინი, შევჩენკო, აკაკი, ოვანეს თუმანიანი და სხვ.

1897 წლიდან აკაკი შეუდგა თავისი ეურნალის „კრებულის“ გამოცემას, სადაც უმთავრესად იბეჭდებოდა აკაკის ნაწერები. მირზა ფატალი ახუნდოვის პიესაც ამ კრებულში დაიბეჭდა („კრებული“, 1898 წ., № 7). მაგრამ დაბეჭდვამდე მოხდა პატარა ინციდენტი, რომელიც შეადგენს ამ წერილის საგანს.

ქართულ თეატრს ჰყავდა პიესების შესანიშნავი გადამწერელი ქალი, კალიგრაფი ელენე ანტონოვსკი — ბროძელი, რომელიც ოდესლაც ქართულ სცენაზე მსახიობადაც გამოდიოდა. აკაკიმ „ხანის ვეზირი“ თარგმნა 1897 წელს და ვიდრე სტამბაში გადასცემდა დასაბეჭდად, პიესის გადაწერა მიანდო ანტონოვსკის ქალს. სწორედ ამ დროს ქართულ თეატრში ხშირი იყო მსახიობთა გე-

ნეფისები, ერთი ამისთანა ბენეფისი ერგო თეატრის მოლარეს სვიმონ ყალაბეგიშვილსაც.

ყველა მობენეფისე ცდილობდა ისეთი პიესა ამოერჩია, რომელიც „შემოსავალს გააკეთებდა“. თეატრში ხმა დაირხა, რომ აკაკის ახალი პიესა დაუწერია და ანტონოვსკის ქალისთვის მიუცია გადასაწერადო. აკაკი მაშინ თბილისში არ ყოფილა და პოეტის დაუკითხავად მოლარე სვიმონ ყალაბეგიშვილს თავის საბენეფისოდ აურჩევია სწორედ „ხანის ვეზირი“. აფიშები და თბილისის ოთხივე გაზეთი („ივერია“, „ცნ. ფურცელი“, „კავკაზი“, „ნოეოე ობოზრენიე“) აუწყებდა საზოგადოებას, რომ ქართულ თეატრში ყალაბეგიშვილის საბენეფისოდ იდგმება აკაკის ახალი პიესა „ხანის ვეზირიო“.

„დღეს, 31 იანვარს,—წერდა „ივერია“,—ქართულ თეატრში ქართულის დრამატიული დასის მიერ კასირის ბ-ნ ყალაბეგიშვილის საბენეფისოდ გამართული იქნება წარმოდგენა. ითამაშებენ ბ-ნის აკაკი წერეთლის პიესას—„ხანის ვეზირი“ და ვოდევილს „ადვოკატთან“. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. ეშვი არა გვაქვს, რომ ამ წარმოდგენას საზოგადოება მრავლად დაესწრება, მით უმეტეს, რომ უნდა წარმოდგენილ იქნას ბ-ნ აკაკის ახალი პიესა“ („ივერია“ 1898 წ. № 23).

ავტორზე, ე. ი. მირზა ფატალი ახუნდოვზე, ერთი სიტყვაც არ იყო დაძრული, სწორედ იმ მოსაზრებით, რომ აკაკის ახალი, ორიგინალური პიესით თეატრში მეტი მაყურებელი მიეზიდათ.

როლები ასე იყო განაწილებული:

სერაბის ხანი .	. ბ. კანდელაკი
მირზა ჰაბიბ .	. . ბ. გედევანოვი
ზიბა ხანუმ . .	ქ. ჩერქეზიშვილი
შოლე ხანუმ	. ქ. გამყრელიძისა
ნისა ხანუმ . .	ქ. კარგარეთელისა
ფარი ხანუმ .	. ქ. რჩეულოვისა
ჰაჯი სალახ .	ბ. ადამიძე
თემურ აღა .	ბ. სვიმონიძე
რიხა . . .	. ბ. გვარამაძე
ჰაჯი მასუდ . .	. ბ. ადამაძე
სელიმ ბეგ	. ბ. წერეთელი
ყალიმ ბეგ	. ბ. შუბელი
სამედ ბეგ	ბ. კარბელი

ჩვენმა საყვარელმა კლასიკოსმა აკაკი წერეთელმა ამ პიესის დადგმის გამო ბევრი უსიამოვნება განიცადა: პოეტმა წარმოდგენის დღეს გაიგო თავისი „ავტორობის“ ამბავი. ძალიან აღელვე-

ბული იყო. გაზეთში შეცდომის გასწორება აღარ მოესწრებოდა, თეატრის ხელმძღვანელებს პირადად განუცხადა თავისი გულისწყრომა. ამიტომ იყო, რომ წარმოდგენის გათავებისას როგორც ეს ახალი პიესის წარმოდგენის პირველ ღღეს ხდება ხოლმე, ხალხი ავტორს—აკაკი წერეთელს იწვევდა სცენაზე. რასაკვირველია, აკაკი სცენაზე არ გამოსულა. სამაგიეროდ გამოვიდა სუფლიორი და აუწყა საზოგადოებას, რომ „ხანის ვეზირის“ ავტორი (ახუნდოვი) დიდიხანია, რაც გარდაიცვალა და აკაკი მხოლოდ მთარგმნელია ამ პიესისაო.

ყველაფერი ეს კარგად იცოდა „ივერიის“ რეცენზენტმა „მე გახლავარმა“ (ფსევდონიმი „მე გახლავარ“ ეკუთვნოდა მიხეილ ნასიძეს—ი. გ.), რომელიც დაესწრო ამ წარმოდგენას, მაგრამ თავის რეცენზიაში მაინც აუგად მოიხსენია აკაკი.

ამ რეცენზენტის საპასუხოდ, სხვათა შორის, აკაკიმ წერილი მოათავსა გაზეთში, სადაც კვლავ ხაზს უსვამს ახუნდოვის დამსახურებას თავისი ქვეყნის წინაშე. მართალია აკაკი აქაც იმეორებს ახუნდოვის შესახებ, ჟ. „კრებულში“ გამოთქმულ აზრს, ჩვენ მაინც იგი სისრულისათვის მთლიანად მოგეყავს: აკაკი წერდა: „...პიესა ეკუთვნის მირზა ფატალი ახუნდოვის კალამს, ეს ახუნდოვი იყო ვორონცოვის დროის მწერალი. ერთ დროს გამოვიდა სამწერლო სარბიელზე ჩვენს გიორგი ერისთავთან და დიდი ნიჭიც გამოიჩინა. მის ნაწერებში ისე ნათლად მოჩანს თათრების (წაიკითხეთ: „აზერბაიჯანელების“—ი. გ.) ცხოვრება, როგორც სარკეში... ახუნდოვის ნაწარმოები უცხო ენებზედაც არის ნათარგმნი. ერთ დროს რუსეთის მწერლობამაც ყურადღება მიაქცია, და იმ დროის შესანიშნავმა კრიტიკოსმა აპოლონ გრიგორიევმა, რომელსაც ცოტათი უკეთ ესმოდა ხელოვნება, ვიდრე ზოგიერთს ჩვენებურს ნაცარქექიებს, მოლიერს შეადარა... ახუნდოვის პიესები ნიჭიერად არიან დაწერილნი, და ის სიტყვებისა და ცრუ აზრების გაზვიადებული ბრახა-ბრუხი, რომელსაც ჩვენში, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ფასი აქვს, მის ნაწერებში არსად მოჩანს. რადგან ჩვენ, ქართველები, ვერც ამ მწერალს ვიცნობთ და არც ჩვენის მეზობელ თათრების („აზერბაიჯანელების“—ი. გ.) ცხოვრება გვაქვს შესწავლილი, ამიტომ ავიღე მეც ახუნდოვის ერთი პიესა „ხანის ვეზირი“ და სიტყვასიტყვით გადმოვთარგმნე, რომ „კრებულში“ დამებეჭდა,—სრულიად აზრადაც არ მქონია მისი სცენაზე დადგმა“ (იხ. „ცნობის ფურცელი“ 1889 წ., № 447).

ამგვარად, აკაკი წერეთელი იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც მირზა ფატალი ახუნდოვის ნაწარმოები თარგმნა ქარ-

თულად. ეს მაშინ, როცა ფართო ქართველ საზოგადოებას მხოლოდ შორეული წარმოდგენა ჰქონდა ჩვენი კარის მეზობლის კულტურულ ვითარებაზე და სრულიად არ იცნობდა „აზერბაიჯანელი-მოლიერის“—მირზა ფატალი ახუნდოვის შემოქმედებას.

„ხანის ვეზირი“, დაწერილია მირზა ფატალი ახუნდოვის ჩვეულებრივი გონებამახვილობით. მასში ნათლად მოსჩანს აზერბაიჯანის წინადროინდელი ცხოვრება, რომელიც პირველად ამ დრამატულ ნაწარმოებში იქნა განსახიერებული.

კომედიის შინაარსი ასეთია:

სადღაც სარაბს განაგებს ხანი, კაცი გონებაჩლუნგი. აი როგორ ასამართლებს იგი თავის ქვეშევრდომებს:

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი: ბატონო ხანო, გამასამართლე. დღეს ცხენი გამექცა. ამ კაცს შევყვირე, ღვთის გულისათვის, ცხენი გამომიგზავნე მეთქი. ამანაც უცბად წამოაელო ქვას ხელი, ესროლა ჩემს ცხენს და მარჯვენა თვალი წამოაგდებინა. დაზიანებული ცხენივის რათ უნდა? ვეხვეწები ცხენის ფასი ამინაზღაურე-მეთქი და ეს კი აყალმაყალს მიწევს.

ხ ა ნ ი: მართალია?

მ ო პ ა ს უ ხ ე: მართალია, მაგრამ მე რა ბრალი მაქვს, უცაბედი საქმე მოხდა, მე ხომ არ მდომებია?

ხ ა ნ ი: რას მიჰქარავ! უცაბედად ქვის აღება და გასროლა განა შეიძლება? გყავს ცხენი თუ არა?

მ ო პ ა ს უ ხ ე: მყავს, შენს თავს შემოვევლე.

ხ ა ნ ი: (პირველს) მაშ, წადი და ახლა შენ გამოსთხარე ცალი თვალი მაგის ცხენს და ბარიბარში გამოხვალთ.

ხანის ვეზირი უფრო გამჭრიახია—და პატივმოყვარეც, მას ორი ცოლი ჰყავს, ბებერი (ზიბა ხანუმ) და ახალგაზრდა (შოლე ხანუმ). შოლე ხანუმის გაუთხოვარ დას (ნისა ხანუმს) უყვარს ხანის ძმისწული (თემურ-აღა). ვეზირს კი ჰგონია, რომ თავის ახალგაზრდა ცოლსა და თემურ-აღას შორის სასიყვარულო ქსელია გაბმული და ცდილობს თემურ-აღას თავიდან მოშორებას. ერთ დღეს ამბავი მიუვა ვეზირს, რომ თემურ-აღა შენ სახლშია და შენ ახალგაზრდა ცოლს ელაპარაკებაო. ისპის ფეხის ხმა. თემურ-აღას გადამალავენ ფარდის უკან. შემოდის ვეზირი, მრისხანებს. მაგრამ ვეზირის დედა (ფარი ხანუმი) ერთგვარ ხერხს მიმართავს, რომ უდავიდარაბოდ გააპაროს დამალული თემურ-აღა, რომელიც ვეზირის ოჯახში ნამდვილად იმისათვის არის მოსული, რომ შოლეხანუმას მოელაპარაკოს მისი უმცროსი დის — ნისა ხანუმის შერთვაზე. — განრისხებულ ვეზირს კი ამგვარი ხერხით ამშვიდებს დედა, ფარი ხანუმი.

ფ ა რ ი ხ ა ნ უ მ ი: (ვეზირს) დღეს ყურბანა მკითხავთან ვიყავი, შენთვის შევალოცვინე შვილო, რომ შოლე ხანუმის ხელში ერთი კარგი ვაჟი მოგცეს, მკითხავმა სთქვა: ღარიბებს პური დაურიგეთ ვეზირის შვილი თავის წონაო, ახლა საჭიროა შევიტყო მხოლოდ შენი თავის სიმძიმე...

ვ ე ზ ი რ ი: დედი, რა ახირებული ხარ, თავი ჯერ ისევ კისერზე მაბია, შენ კი წონა გინდა გაიგო?

ფ ა რ ი ხ ა ნ უ მ ი: ადვილია, შენი ჰირიმე, მკითხავმა მასწავლა, ერთი ჰურჰელი რამ ჩამოაცეი ისე, რომ ყელამდე დაფაროს, მერე ის კასრი გაავსეთ ხორბლით და იქნება მისი თავის ერთი წონაო.

ასეც მოიქცევიან. მოაქვთ საყველე კასრი და მხრებამდე ჩამოაცმევენ ვეზირს, ფარი-ხანუმი ხელით ანიშნებს შოლე-ხანუმს, ისიც ახდის ფარდას და თემურ-აღა უენებლად გაიპარება ოთახიდან.

პიესა თავდება ხანის უეცარი სიკვდილით და მისი ძმისწულის თემურ-აღას გამეფებით. ასეთია შინაარსი „ხანის ვეზირისა“, რომელიც მირზა ფატალის სხვა პიესებთან ერთად საფუძვლად დაედვა აზერბაიჯანული დრამატურგიის განვითარებას.

ახუნდოვის დამსახურება, როგორც დასაწყისში ვთქვი, იმაში მდგომარეობს, რომ მან აზერბაიჯანელი ქალი გამოიყვანა სცენაზე უჩადროდ და დაალაპარაკა თავის ადამიანურ ღირსება-ნაკლოვანებაზე.

„მირზა ფატალი ახუნდოვის ერთ კომედიაში გმირი ტარვერდი ქარავანს გასძარცვავს იმიტომ, რომ თავისი საყვარელი ფარაზდა ეუბნება: ჩემი დობილები დამცინებენ, იმისთანა კაცს მისთხოვდი, რომელსაც საქმენი საგმირონი არ ჩაუდენიაო“ (გ. ღვინიაშვილი, „ივერია“, 1884 წ., 5-6, გვ. 145).

ეს შორეული წარსულის ამბავია. ახლა ჩვენთვის ძნელად გასაგებიცაა, თუ როგორ შეეძლო ქალს გმირობად მიეჩნია თავდასხმა და გაძარცვა და ასეთი „გმირობა“ მოეთხოვა თავისი მიჯნურისათვის. დღეს აზერბაიჯანელი ქალი სულ სხვა გმირობას მოელის თავის მეგობარ ვაჟკაცისაგან, გმირობას შრომასა და ბრძოლაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და უკვდავებისათვის.

თავისი პიესებით ახუნდოვმა საძირკველი ჩაუყარა აზერბაიჯანულ თეატრს. მის შემოქმედებაზე გაიზარდნენ მთელი შემდეგი თაობის დრამატურგები (აბდულ რაჰიმ ახვერდოვი, მამედ ყულიზადე, ჯაფარლი, სამედ ვურგუნი, შახვალადი და სხვ.) მის მე-

მკვიდრეობას ღრმად სწავლობს და ითვისებს აზერბაიჯანის საბჭოთა მწერლობა.

ქართველი ერი ღრმა პატივისცემით იგონებს მოძმე აზერბაიჯანელი ერის უდიდეს კლასიკოსს, რომელმაც ესოდენი ამაგი დასდო თავისი ერის კულტურას და რომლის პიესის თარგმნამ ჩვენს საყვარელ პოეტს აკაკის საშუალება მისცა თავისებური წვლილი შეეტანა ორი მეზობელი ხალხის კულტურულად დაახლოვების საქმეში.

1938 წ.

ძველ თეატრში

ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი

Იმას ვერა ჰგავს ვერავინ გრძნობის მცოცხლები მწერალი,
ლომია ოდეს განრისხდეს, მარად ძმობისა მღერალი,
ტყვის მართალს და გზიარსა, უპყრია მართლის მწვერვალი,
ერის გულწრფელი, ხნე-ჯველი, მხნე-მსრბოლი, მოუფერალი.

ნ. ტ. დადიანი

მე მინდა ეს ლიტერატურული ეტიუდი მივუძღვნა ჩვენი ხალხის ერთ-ერთი დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის დავიწყებულ მხარეს. ეს არის ილიას საქმიანობა ქართულ თეატრში, იმ ქართულ თეატრში, სადაც ჩვენი კულტურა იყო განფენილი და მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის დროს თამამი ქართული სიტყვის ბრწყინვალე კერას წარმოადგენდა.

ავწიოთ ფარდა წარსულისა!

*

1850 წლის ქართული თეატრი, ეს ვორონცოვის მიერ „საქენკგადაყრილი“ დაწესებულება, 1854 წელს დაიხურა!

ქართული წარმოდგენებისადმი ლტოლვა მაინც დიდი იყო ქართველ საზოგადოებაში.

1870 წელი!

ოცი წლის ხარვეზის შევსებას ცდილობენ. 1850 წლიდან მოყოლებული 1870 წლამდე ქართულ წარმოდგენებს სისტემატური ხასიათი არა ჰქონია. გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის თეატრი უდღეური გამოდგა... ვერც ივ. კერესელიძე გაუძღვა საქმეს... კერძო სახლებში გამართული წარმოდგენები არ იზიდავდა მაყურებელს. რუსულ დრამატულ თეატრში ხალხი არ დაიარებოდა. მოიჯარადრე იაბლოჩკინას დასის შესახებ „დროება“ წერდა: „ის გარემოება, რომ რუსული თეატრისადმი გულგრილობას იჩენენ, ნათლად გვიმტკიცებს, რომ ქართულად მოლაპარაკე საზოგადოებას სწყურიან გასაგებ ენაზედ თეატრი, მისი ცხოვრებიდან აღებული სურათები, ნაცნობი და მისახვედრი მხიარულების თუ მწუ-

ხარების გამომეტყველი სცენები... მაგრამ ამნაირი კაცი, რომ არ გაგვიჩნდა? რომ არა გაეწყო-რა ქართული ტრუპის დაარსებას? არ შეიძლება საპატიო ხალხმა თეატრის საქმეს მოჰკიდოს ხელი და სცენიდან გააგონონ საზოგადოებას თუ აზრი არა, ენა მაინც?" (იხ. „დროება", 1874 წ., № 445).

აქ „საპატიო" კაცად უეჭველად ილია ჭავჭავაძეა ნაგულისხმევი... ერთხელ ივ. მაჩაბელიც წერდა: „ჩვენი თეატრი წინ წავა და ხალხში ფესვებს გაიდგამს თუ რიგიანი მოთავე ეყოლებაო".

ასეც მოხდა.

ქართულ თეატრს, ისე როგორც სხვა ყოველგვარ ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებას, სათავეში ჩაუდგა ბუმბერაზი ილია ჭავჭავაძე. მან თავის გარშემო შემოიკრიბა მაშინდელი თეატრალები—გ. თუმანიშვილი, დ. ერისთავი, ნ. ავალიშვილი და ჩამოაყალიბა მუდმივი დასი—ქართველ მსახიობთა კოლექტივი.

თუ გიორგი ერისთავმა აღადგინა ძველი ქართული თეატრის ძირები, ილიამ განაახლა და აიყვავა ამ ფესვების რტოთა ლაშქარი.

ეს იყო 1879 წელს!

მაგრამ ამ თარიღს წინ უსწრებდა მოსამზადებელი ხანა (1875, 1876, 1877, 1878, წ. წ.). ამ წლებში გაბზირდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენები, ამ წლებში აღმოჩნდნენ უშესანიშნავესი ნიჭით მოსილი მსახიობები: ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი და სხვები, რომელთა თაყდადებულმა შრომამ ეროვნული თეატრის მომავლისათვის უპკნობი ნაყოფი გამოიღო*.

1. ილია და „მეფე ლირი"

თეატრი და სანახაობა ილიას ბალღობიდანვე იზიდავდა. ჯერ კიდევ 1859 წელს, 22 წლის ჭაბუკი ილია, ავადმყოფობის გამო დროებით თავს ანებებს სწავლას. პეტერბურგიდან მოემგზავრება თბილისს და რამდენიმე თვეს თავის სამშობლოში ატარებს. მას თან ჩამოჰყვა „იმ მოძრაობის ჰაერი, რომელიც მთელი რუსეთის საზოგადოებაში და მწერლობაში ტრიალებდა და ფეხს იკიდებდა" (სიმ. ხუნდაძე), მას თან ჩამოჰყვა სურნელი ზანგი მსახიობის

* ლადო მესხიშვილი 3 წლის შემდეგ შეემატა მუდმივ დასს (მისი პირველი დებიუტი იყო „სამშობლოში"—1882 წ. 20 იანვარს), ხოლო ვალერიან გუნია გაჩნდა 1883—1884 წლებში.

ოლრიჯის გასტროლებისა, რომლის „მეფე ლირზედაც“ 1858 წ. მთელი პეტერბურგი ლაპარაკობდა. ბიოგრაფების ცნობით, ამ ხანებში თბილისის ყოფილი პირველი გიმნაზიის დარბაზში, სადაც ერთ დროს გ. ერისთავმა პირველი ქართული წარმოდგენა გამართა, ილიას დაუდგამს ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირიდან“. ამ ცოცხალ სურათებში მონაწილეობა მიუღია თბილისის წარჩინებული ოჯახების წევრებს, მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალსა და ვაჟს—სოფიოს და დავითს. მეფე ლირი—თვით ილია ყოფილა.

ეს იყო პირველი ცოცხალი სურათების დადგმა საქართველოში*.

როგორც ჩანს, ლტოლვა „მეფე ლირისადმი“ ილიას დიდხანს უტარებია გულში. საზოგადოდ შექსპირი მისი საყვარელი მწერალია. ერთ დროს კრიტიკულ წერილსაც ამზადებდა, სადაც დაპირისპირებული უნდა ყოფილიყო შექსპირის „ჰამლეტი“ და შოთას ტარიელი“. გიორგი თუმანიშვილის ქაღალდებში ენახეთ მისი დის ბარბარე თუმანიშვილის ერთი კერძო წერილი, სადაც შემდეგია ნათქვამი: „აქ, ამას წინად მოხდა ყრილობა ქართველი ლიტერატორებისა... ამბობენ, ილიო ჭავჭავაძე სწერს კრიტიკულ სტატიას, სადაც გაყვანილი იქნება პარალელი ჰამლეტსა და ვეფხის-ტყაოსნის გმირ ტარიელს შორისო“.**

როგორც ვიცით, ილიას ეს კრიტიკული წერილი არ დაუწერია. სამაგიეროდ მან პირველობა შეინარჩუნა შექსპირის ტრაგედიების ლექსად თარგმნის საქმეში, რომელიც ასე შესანიშნავად დააგვირგვინა ივანე მაჩაბელმა.

ჩვენ აქ გვინდა შეეხოთ ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის ურთიერთობას „მეფე ლირის“ თარგმნის გარშემო. ერთი მწერალი ამბობს, შექსპირის თარგმნის იდეა ივანე მაჩაბელს ეკუთვნოსო. მეორე წერს: ლირის თარგმნა პირველად მაჩაბელმა დაიწყოო; მესამე—ლირის თარგმანში მთავარი ღვაწლი მაჩაბელს მიუძღვისო; ხოლო ი. მანსვეტაშვილი ჰკუმშავს ყველა ამ ნათქვამს და აკანო-

---

* ცოცხალი სურათებისთვის გადაკეთებული სცენა კარგა ხანს ხელუხლებელი დარჩენილა გიმნაზიის დარბაზში, მოწაფეთა მიერ აქ ხშირად დადგმულა ქართული წარმოდგენები („ივერია“, 1899 წ., № 210).

** წერილი დაწერილია 1873 წ., 16 თებერვალს. ბარბარე თუმანიშვილი (1846—1873) მიხ. ბირთველის-ძე თუმანიშვილის უფროსი ქალიშვილი იყო, დაი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელისა და გიორგი თუმანიშვილისა, იგი მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას (მაგ., „სტეფენსონი“, 1876 წ.), მეტად ნიჭიერი ქალი ყოფილა. გარდაიცვალა ოცდაშვიდი წლის ასაკში.

ნებს: „ივანე მაჩაბელმა ჯერ კიდევ პეტერბურგში სცადა თავისი კალამი და ილიასთან ერთად სთარგმნა ლექსად შექსპირის დრამა „მეფე ლირი“, თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს, როგორც მცოდნეს ინგლისური ენისა, ილიამ მხოლოდ შალაშინი გაჰკრა, თავისებური შნოთი გაალამაზა, შეკაზმა“*.

ეს არ არის მართალი!

1873 წ. ილია ჭავჭავაძე ბანკის საორგანიზაციო საქმეების გამო იმყოფებოდა პეტერბურგს, წესდებას არ უმტკიცებდნენ და დიდხანს დარჩა იქ... აი, აქ იპოვა თავისუფალი დრო, აუსრულდა ნანატრი და დაიწყო თარგმნა შექსპირის „მეფე ლირისა“. ახლად აღმოჩენილ ილიას წერილებიდან ჩანს, რომ იგი ინგლისური ენის შესწავლასაც შესდგომია.

პეტერბურგში ყოფნის დროს ილია ჭავჭავაძემ პირველად გაიცნო ივანე მაჩაბელი, იმ დროს ახალგაზრდა პეტერბურგელი სტუდენტი. უნდა ვიფიქროთ, ილია ჭავჭავაძისა და მაჩაბლის დაახლოება სწორედ ამ დროს მოხდა, და მოხდა სწორედ „მეფე ლირის“ თარგმნის გამო. ივანე მაჩაბელს, როგორც ინგლისურის მცოდნეს, უეჭველია, შეეძლო დიდი დახმარება გაეწია ილიასთვის. მათ შორის მართლაც გაიბა თანამშრომლობის ძაფი და „მეფე ლირი“ საბოლოოდ გადაითარგმნა ჭორიევის საერთო ძალღონით, თუმცა „მეფე ლირის“ დაბეჭდილ ეგზემპლარებს, ახალგაზრდა მთარგმნელის წასახალისებლად, ჯერ ივანე მაჩაბელი აწერია და შემდეგ—ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ლირის ქართული ხელნაწერის შესწავლის მიხედვით, „მეფე ლირის“ საბოლოო რედაქცია ილიას ეკუთვნის. ეს შესანიშნავი ტრაგედია ნათარგმნია ილიასებური ფოლადის სტრიქონებით, ხშირად მძიმე, მაგრამ რიტმიული და საზრიანი სტრიქონებით. ივანე მაჩაბლის თარგმნილი შექსპირი კი უველა ამ ღირსებასთან ერთად, ელასტიურია და არქაული სიტყვებისაგან გაცლილი. ამიტომ არის, რომ ივანე მაჩაბლის შემდეგი თარგმანები („ოტელო“ „ჰამლეტ“ და სხვ.) სრულიად არა ჰგავს „მეფე ლირის“ თარგმანის სტილს. ეს რომ ასეა, ამას ნათლად ადასტურებს დიმიტრი ყიფიანის წერილი მიწერილი ილია ჭავჭავაძისადმი.

მოვიყვანთ კუპიურებით:

„უძვირფასესო ჩემო კოლეგა კნ. ილია გრიგოლის-ძევ!

თქვენ რომ (20 ამ თვეს) ლირის როლი შემომაძლიეთ, მე მოგახსენეთ, გადავიკითხავ და მაშინ გეტყვით ვიკისრებ თუ ვერა

* იხ. იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებანი“, ლ. ასათიანის რედაქციით გვ. 167.

მეთქი. გადავიკითხე და როგორ? წინ გადავიშალე ექვსი წიგნი: 1) ნამდვილი შექსპირი ტაუხნიცის გამოცემული 1868-ში. 2) ნამდვილი შექსპირი რაუტლეჯის გამოცემული, ბევრით უფრო ადრე, 3) ბენჯამენ ლაროშის ნათარგმნი ფრანცუზულად 1857-ში, 4) ფრანსუა ვიკტორ ჰიუგოს ნათარგმნი 1861-ში, 5) თქვენი ნათარგმნი ქართულად 1877-ში და 6) სადლერის ლექსიკონი ინგლ. ფრანც. და ფრანც.ინგლისური. შემოვიწყე ეს წიგნები და მივუჯექ თქვენს ნათარგმნს; კვალში ჩავუდექ მედგრად, შეუპოვრად, დაუღალავად. 23 ვიწყე და გუშინ ისევ დავჰკეცე წიგნები, რათა? ვისიც პატივისცემა მაქეს დანერგილი გულში და არა მარტო ენაზედ,— და მაშასადამე, ვინც მიყვარს, მინდა რომ იმას წუნი არა ჰქონდეს-რა და თუ შევამჩნიე რამე, პირდაპირ უნდა ვუთხრა... მეგობრულად. მაგრამ თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადიელო თავს ამისთანა კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი. შრომა გაგიწევიათ დიდი, ნიჭი გამოგიჩენიათ შესანიშნავი. ერთი შეცდომაა, მხოლოდ ერთადერთი: კილო—შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველია, ლექსიც ბევრი იპოვება დაძველებული, რომელსაც დიდიხანია აღარ ხმარობენ; მაგრამ კილო არის სასაუბრო, კილო, რომლითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ. თქვენ უფრო სამწიგნობრო კილოს გაჰყოლიხართ. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი, ეს ყოველად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზედ არც სად ულაპარაკნიათ, არც სად ლაპარაკობენ. სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმანზედ, ეს არის, სხვა სრულებით არაფერი...

ახლა მე, რადგან ერთიც თვალწინ მიდგია და მეორეცა, იქნება მე უფრო გაფრთხილებული გაჩოვიდე და გთხოვთ: თუ მაინცა და მაინც გნებაეთ ლირი მე წარმოვადგინო,—ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონ მე ვსთარგმნო, ჩემებურად.— მარტო ეს როლი. თქვენს ნათარგმნს ამითი სრულებით არა ეზიანებარა, ბევრჯელ მომხდარა, რომ ერთი როლი ერთს ენაზედ უთამაშნიათ და სხვა როლები იმავე პიესაში, სულ სხვა ენაზედ. აქ ამისთანა არა გამოვა-რა: მთელი წარმოდგენა ქართულს ენაზედ იქნება,— ზოგი სასაუბროზედ, ზოგი სამწიგნობროზე. აგრე იყოსთქო, თუ მეტყვით, საქმეს შეუდგები.

თქვენი სულით და გულით ერთგული დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი.

1879 წ., 31 ოქტომბერი. სოფ. ქეშხეთი" (საქ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 1720—A).

დიმიტრი ყიფიანი „ლირის" თარგმანს „მწიგნობრულს" უწოდებს, აკაკიც ხომ ამბობდა: მეფე ლირი სახარების ენით არის

თარგმნილიო*. ეს საყვედური ილიას ეკუთვნის და არა ივანე მაჩაბელს. დიმიტრი ყიფიანის ამ წერილიდან ნათლად დასტურდება, რომ „ლირის“ მთავარი მთარგმნელი, ამ ტრაგედიის ქართულად გადმოღების თავსხმიერი ინიციატორი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძეა და ყოველგვარი ქება თუ აუგი ილიას მიმართ უნდა იყოს განკუთვნილი. ილია „მეფე ლირის“ თარგმანს თავისად სთვლიდა. „ხომ იცი ჩემი ნაწერების ქება არ მიყვარს“,—სწერდა ილია თავის მეუღლეს „მეფე ლირის“ თარგმანის გამო**.

ვ. გუნიას სიტყვით, როცა ერთხელ ერთმა მსახიობმა „ლირში“ სიტყვები დაამახინჯა, თვით ივ. მაჩაბელს უთქვამს: „როგორ შეიძლება ერთი წიხლით ძირს დაანთხიო ილიაჯგასაწყეტი და სათუთი შრომა კაცისა, მერე რა დიდი კაცისა, — ილია ჭავჭავაძის თარგმანი, რომელსაც მთელი ქართველობა გულის ფანცქალით მოელოდაო“, (იხ. ე. „რუსთაველის თეატრი“. 1934 წ., გვ. 36).

ჩვენს ხელთაა ახლად აღმოჩენილი ილიას კერძო წერილი, სადაც პოეტი „მეფე ლირის“ თარგმნის პროცესს ასე გატაცებით აგვიწერს. 1873 წლის 19 დეკემბერს ილია პეტერბურგიდან თავის მეუღლეს სწერს: „... ვერ წარმოიდგენ ჩემს უბედურს და უგემურს გარემოებას! ვგდივარ დილიდამ საღამომდე შინ და თუ გაეალ ისიც სასეირნოდ. იმ დღეს გიორგი შარვაშიძესთან ვიყავ—აი, მთავრის შვილი რომ არის. ამას წინად თვითონ მოვიდა და მთხოვა შექსპირის ტრაგედია კოროლი ლირი, რომელიც ქართულად ანგლიურიდამ გადაეთარგმნეთ, წაგვიკითხეო, წავედი წასაკითხა-

---

* „ყველას მოსწონს, აკაკი წერეთლის გარდა“ (ილიას წერილიდან).
აკაკის თავისი აზრი „მეფე ლირის“ თარგმნის შესახებ გამოთქმული აქვს წერილში—„ი. მაჩაბლის გამო“ (იხ. „აკაკის თეატრი კრებული“, 1898 წ; № 12, გვ. 13).

** ილია საზოგადოდ კარგი მთარგმნელი იყო, მის მიერ ნათარგმნი ლექსები (პუშკინიდან, ლერმონტოვიდან, ჰეინედან, ბაირონიდან) აღსავსეა გრძნობით და ქართული ენის ჟღერადობით:

„ხლეათა მფლობელის ვენეციის ხღუდეთა თანა,
ღამის ციმციმში უდარდელი გონდოლიერი
ნავსა აბრძოლებს კიდის პირ-პირ ლაჟვარდ წყალთანა,
რიონალდოს, ტანკრედს, ერმინიას ჰმღერს ბედნიერი“ (შენიე).

ილიას მიერ ნათარგმნი „იხა“, შიგ რომ უცხო სახელები არ იყოს, ქართული რომანი ეგონება მკითხველს.

ილია ჭავჭავაძეს 1904 წელს განზრახვა ჰქონია ეთარგმნა ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“, მაგრამ, როგორც ვიცით, არ უთარგმნია. სამაგიეროდ „ღალატი“ შესანიშნავად თარგმნა ილია ჭავჭავაძის გაჰეთ „იეერიის“ უ-ხლოესმა თანამშრომელმა—გრ. ყიფშიძემ. ამ თარგმანმა ჩრდილში მოაქცია „ღალატის“ სხვა მთარგმნელები—კოტე მესხი, ნიკოლოზ ავალიშვილი და აკაკი წერეთელი.

ვად; კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს. ასე იფიქრე. ჭალებმა იტირეს და კაცები კი სულ აფერუმს იძახოდნენ. მართლა და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი, რომ წამკითხველი მთარგმნელებს დაგველოცვინ. ქალაქში რომ ჩამოვალ, გვინდა წარმოვადგინოთ. სცენაზე მშვენიერი რამ იქნება. ეერ წარმოიდგენ, რა რიგად კარგად გამოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება. აი, ღვთის მადლით, როცა მშვიდობით მოვალ, მოვიტან და კარდანახში წაგიკითხავთ და თუ არ გატიროთ, ცუდი კაცი ეიყო. შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თვითონ არ მიყვარს. მაგრამ ეს ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილკაცობა მაგ თარგმნისათვის გაგიჟებულია და აღტაცებაში მოსული"*.

არისტო ქუთათელაძის მოწმობით (არ. ქუთათელაძე გარდაიცვალა 1912 წელს, 13 ნოემბერს) ილია და ივანე მაჩაბელი დიდის ენთუზიაზმით შესდგომიან „ლირის" თარგმნას... იგი ასე გადმოგვცემს ილიას და ივანეს თანამშრომლობას: ერთ მხარეს ილია მჯდარა, მეორე მხარეს—ივანე. ივანე სწერდა, ილია—უკარნახებდა. როცა რომელიმე ადგილის თარგმნა გაუძნელდებოდათ, ილია წამოდგებოდა და მივიდოდა ფანჯარასთან, რომელიც ფარდით იყო ჩამობნელებული. იქ შუბლს მოისრესდა და, შესაფერი სიტყვის მოძებნით გახარებული, მიმართავდა ივანეს: „დასწერე!"... ილია ამ ჩამობნელებულ ფანჯარას „ეუზის კუთხეს" უწოდებდა (სეით იაშვილის ნაამბობიდან).

ილია ლირის თარგმანს რამოდენიმე ეგზემპლარად წერს. ერთს უგზავნის თავის ცოლს, ხოლო მეორეს –„კრებულის" რედაქციას. მეტად საინტერესოა ილიას კერძო წერილი პეტრე უმიკაშვილთან, საიდანაც გამოსჩვივის ილიას ზრუნვა „ლირის" ტექნიკურად აწყობა-დაბეჭდვაზედაც კი. „ჩვენო დედაბოძო და არა—ბოძო პეტრუს-ბეგ!—სწერს ილია „კრებულის" რედაქციას.—ჩვენი ნათარგმნი ლექსი აქამომდე მიღებული გექნება და გადაკითხულიცა. მაშინ მოგწერეთ, რომ დაიბეჭდინე მეთქი კრებულში. ეხლა ორს შეუცვლელ პირობას გიდებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტროფონი ერთს სტროფონზედ უნდა დასტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში

---

* ილია ჭავჭავაძის კერძო წერილები ცოლისადმი (თითქმის ორასამდეა), ცალკე გამოსაცემად ამზადებს ისტორიკოსი პავლე ინგოროყვა (ნაწილი ამ წერილებისა 1949 წ. სუბუმში გამოსცა იოსებ ლუარსაბის-ძე ბოცვაძემ).

სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ. ცუდი არ იქნება, რომ მაგ თარგმანზე შენი ჩვეულებრივი პირუთვნელი აზრი მოიწერო... თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათაეთ და პირველ მოქმედებას სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება"*.

ილია ჭავჭავაძე რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე აწყობს „მეფე ლირის" საჯაროდ კითხვას. „დროება" წერს: „ჩვენ დაესწარით „მეფე ლირის" კითხვას და მართალი უნდა ვსთქვათ, თარგმანი სწორედ სამაგალითოა. არც ჩვენ, არც სხვებს არ გვეგონა, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენიერად გადმოიღებოდა ქართულ ენაზედ" („დროება", 1874 წ., № 420).

ილიას უყვარდა „ლირიდან" ორი ნაქვთის წაკითხვა, ერთია— მარტოდ დარჩენილი ლირის მონოლოგი, როცა ის შეიტყობს თავის შეცდომას და შვილებისაგან განდეგნილი ტყეში დაძრწის უსავანო და მიუსაფარი („იზუზუნე და იქროლე"); მეორე—კორდელიას სიტყვა მამისადმი, რომელიც თავის უმცროს ქალიშვილს გამოსწირავს სამეფო ნაწილს, რადგან ის, კორდელია, თავისი დების მსგავსად პირმოთნე და მლიქვნელი არ არის:

კორდელია:

დიდებულებას თქვენსას ერთს ვ‌ი თხოვ: თუმც ენა ჩემი
არ არს გაჭედილ და გაპოხილ პირფერობითა
და ვერჩემობ ჯერეთ საქ‌ე იყოს და მეოე სიტყვა,—
მაგრამ მაინც გთხოვთ აღიაროთ, ჩემო ხელმწიფევ,
რომე მიზეზი თქ‌ენის წყრომის და გულის-ჯრის
არ არის არცა ბიწიერი ქცევა რამ ჩემი,
არცა კაცის კვლა, ავსულობა, ნამუს-დამხრობა,
არც ქალწულ‌ების ჩემის რითმე შეურაცხყოფა
და არცა სხვაი სამარცხვინო რამ საქციელი,—
არა, არც ერთი სახიზღ‌არი უწმინდურება
ვერ გაბედავს ჩემს ყოფაქცევ‌ას მოაცხოს რამე.
თუმც რაც მაკლია, მე იმით ვარ ძ‌ხოლოდ მდიდარი,
მაგრამ ეგ ნ‌აკლი მე გამიხდა წყრომის მიზეზად:
მე არ მაქვს თვალნი მათხოვარნი და ენა მლიქვნი
და არ‌ქონვ‌ა ეგ მე მახარებს და მ‌სულმდგმ‌არებს,
თუმც მაგ არ‌ქონვამ მამის გული დ‌მაკარგვინა.

თბილისის საზოგადოებრიობა „მეფე ლირის" თარგმანს დიდ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს სიხარული გამოკრთის კოსტანტინე ბებუთოვის წერილში, რომელიც ნიკო ნიკოლაძი-

* ს. ხუნდაძე; „მნათობი", 1933 წ., 8-9, გვ. 281.

სათვის გაუგზავნია თბილისიდან პარიზში (1874 წ., 19 ივლისი) „На днях,—სწერს ბებუთოვი,—был здесь Илья и читал у меня свой перевод Лира. Слушателей было человек 30. Перевод кончен и находит прелестным. Может быть зимою поставим на сцену*.

გრ. ყიფშიძის თქმით „მეფე ლირი“ ამავე წლებში სცენაზედაც უთამაშნიათ და ილიას შეუსრულებია კენტის როლი.

კოტე ყიფიანიც საინტერესო ცნობას გადმოგვცემს: ილიას მოუნდომებია „მეფე ლირის“ დიდ სცენაზე დადგმა, ისე რომ როლები უნდა შეესრულებინათ მხოლოდ მწერლებს: ილია ჭავჭავაძეს, ივანე მაჩაბელს, მამია გურიელს, ნინო ორბელიანს, დავ. ერისთავს, დიმიტრი ყიფიანს და სხვებს. მაგრამ, როგორც მასალებიდან ირკვევა, „მეფე ლირის“ წარმოდგენა მწერალთა მონაწილეობით არ შემდგარა, (გამონაკლისის სახით კორდელიას როლი უნდა ეთამაშნა დავით ყიფიანის დაძს მარიამს). „მეფე ლირი“ პირველად წარმოდგენილ იქნა ქართველ მსახიობთა მიერ 1883 წელს, 16 თებერვალს. როლები ასე იყო განაწილებული: კ. ყიფიანი (ლირი), კოტე მესხი (მასხარა), მ. საფაროვ-აბაშიძისა (კორდელია), ვასო აბაშიძე (ედგარი), ალექსანდრე ყაზბეგი (ედმუნდი) და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ამ წარმოდგენას ასი რეპეტიცია ჰქონია, გაზ. „დროება“ მაინც ჩვენს არტისტებს აუგად იხსენიებს („დროება“, 1883 წ., № 37).

საქართველოში შექსპირს წინათაც თარგმნიდნენ: დიმ. ყიფიანი, დავ. ყიფიანი, მ. ზ. ყიფიანი, ლ. არდაზიანი, მიხ. ფავლენიშვილი, შემდეგ—ანტონ ფურცელაძე, ნიკო დადიანი, ივ. ჯაჯანაშვილი, ვ. გუნია და სხვანი. მაგრამ ილიას და ივანე მაჩაბლის თარგმანს ვერც ერთი ზემოხსენებული თარგმანი ვერ შეედრება.** რასაკვირველია, ზოგიერთ მათგანს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ენის წარმატების საქმისა და ქართული ლიტერატურის, მხატვრული სიტყვაკაზმული მწერლობის ზრდისათვის“, ეს ითქმის განსაკუთრებით დიმ. ყიფიანის თარგმანზე. მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანი არ იყო გამოსადეგი სცენისათვის. ზოგი ბრჭყვ ასოებითაა დატვირთული, ზოგს ქალაქური იერი დაჰკრავს („ჰამლეტჯან“ და სხვ.), ზოგი მთარგმნელი „ჰ“ სდევნის და მის

---

* ამ წერილზე მიგვითითა თამარ მაჭავარიანმა, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

** დაწვრილებით იხ. ჩვენი წერილი „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი“ (ამავე წიგნში).

ნაცვლად ხმარობს „ღანს“, გამოდის არა „ჰამლეტი“, არამედ „ღამლეტი“ (—როგორც იტყოდნენ ჩვენი ძველები: „ღუბერნატორი“, „ღლასნი“, „ღეკუბა“), ზოგი კიდევ გარმიანული (უცხოური) სიტყვებითაა აჭრელებული: „ამ პლაშჩს იცნობთ თქვენა?“ (მ. უფიანი), ან: „აჰა, ორი პატრეთი“ (არდაზიანი), ან კიდევ: „არ გაუცვეთია ბაშმაკები, რომლითაც მიზდევდა ქმრისა კუბოსა“ (არდაზიანი). ანტონ ფურცელაძის მიერ თარგმნილ „ჰამლეტში“ (IV მოქმედ.),—როცა აღელვებული ლაერტი შემოიჭრება სცენაზე და მეფე კლავდიუსს მიმართავს თავისი მამის პოლონიუსის დაღუპვის შესახებ,—მთარგმნელს ეს აბზაცი ასე აქვს ნათარგმნი: „კოროლო, შერზავეცო, დამიბრუნე მამაჩემი“ და სხვ.

ილიას ნათარგმნი „მეფე ლირი“ იმითაა შესანიშნავი, რომ იგი თოთხმეტ მარცვლოვანი თეთრი ლექსით არის გამართული; მე ვამბობ თოთხმეტ მარცვლოვან ურითმო ლექსზე, თორემ თოთხმეტმარცვლოვანი რითმიანი ლექსი ხომ თვით ა. ჭავჭავაძის და ბარათაშვილის დროსაც იყო განფენილი („გოგჩის ტბა“, „მერანი“). ალექ. ჭავჭავაძის წყობითა აქვს ნათარგმნი ილიას 1860 წელს ბაირონის პოემები: „კაენი“, „მანფრედი“ (ნაწყვეტები), მეფე ლირში კი ილიამ თითქმის შექმნა თოთხმეტ მარცვლოვანი ურითმო ლექსი და ამ ქართული მეტყველების კეთილშობილ წყობას გზა გაუხსნა შემდეგი მთარგმნელებისაკენ (ივ. მაჩაბლის თარგმნილი შექსპირი, გრ. ორბელიანის „ფსალმუნი“ და სხვ.).

„ლირის“ დაბეჭდვამდე პეტერბურგიდან მეტად საყურადღებო ცნობა დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“—„პეტერბურგში ჩვენი უმაწვილები თარგმნიან პირდაპირ ინგლისურიდან შექსპირის ტრაგედიას „კოროლ ლირს“. აქ შესანიშნავი ის კი არ არის, — განაგრძობს კორესპონდენტი ვასილ მაჩაბელი,—რომ პირდაპირ დედანიდგან სთარგმნიან, არამედ ის არის, რომ შექსპირის გარეგანი სიტყვების ფორმა სრულიად გადმოაქვთ ქართულ ენაზე იმ ლექსთწყობილებით, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში არ ხმარებულა ე. ი. თოთხმეტ მარცვლოვან ლექსით, ურითმოთ (ხაზი ჩემია.—ი. გ.). ამბობენ, რომ ასეთი ლექსთ-წყობა ჩვენს ენას უხდება და კეთილხოვანიც არისო“ („დროება“, 1873 წ., № 40).

როგორც ვნახეთ, „მეფე ლირის“ თარგმანს სიხარულით მიეგება შექსპირის პირველი მთარგმნელი დიმიტრი ყიფიანიც: „თარგმანმა სასიქადულოთ თავს გადიველო კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი, დიდი შრომა გაგიწევიათ, ნიჭი გამოგიჩენიათო“—სწერდა ჭაღარამოსილი მოღვაწე ი. ჭავჭავაძეს 1879 წელს.

ილია ჭავჭავაძემ თავისი „ლირით“ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას, გარდა კარგი საქმის ინიციატორობის ინსტიქტისა, მუდამ ჰქონდა ქართული რიტმის ენობრივი შეგრძნობა და ისეთი ეშხით მოქნევა სტრიქონისა, რომელიც ბლაჟიაშვილის ხმალივით ბასრი და ელვარე იყო.

2. ილია—დეკლამატორი

ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობაში ლექსებს ძალიან კარგად კითხულობდა. განსაკუთრებით უყვარდა ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსების წარმოთქმა. ილიას დამახასიათებელი თვისება ყოფილა, სიტყვის კაფიეტად გამოთქმა და სახის ნაკვთთა ათამაშება (მიმიკა). მისი დეკლამაცია იყო ბუნებრივი და შთამბეჭდავი.

„აქამდე ჩვენს თარგმნილს ლირს წაიკითხავდი,—სწერს ილია თავის ცოლს კარდანახში პეტერბურგიდან 1874 წ. თებერვალს,—მომწერე, როგორ მოგეწონა შენ და სხვებსაც. მაგას კაი წაკითხვა უნდა, რომ კაცმა მოიწონოს. სწორედ ახალ წლის პირველ დღეს სრულიად გაეათაეთ თარგმანი. მე ძალიან მომწონს, სხვისა არ ვიცი. აი, როცა მოვალ, მე თვითონ წაგიკითხამთ და მაშინ ნახავთ, როგორი თარგმანია“... (ხაზი ჩემია—ი. გ.).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილიამ მართლაც წაიკითხა თბილისში, არამც თუ თბილისში, ქუთაისშიც და ყველგან აღტაცება გამოიწვია*. ილია ძალიან გატაცებული იყო ლირის თარგმნით, მისი დაბეჭდვით, მისი სცენაზე განსახიერებით, არა ნაკლებ აინტერესებდა „ლირის“ დეკლამაციაც: „მაგას კაი წაკითხვა უნდა“... „როცა მოვალ, მე თვითონ წაგიკითხამთ და ნახავთ როგორი თარგმანია“. ილიას სწამდა თავისი სიტყვის ძალა. გამოთქმის ლაზათი, მას ესმოდა სიტყვის საიდუმლოების შინაარსი, ხშირად

---

* ილიამ ქუთაისში წაიკითხა „მეფე ლირის“ ნაწყვეტები 1874 წ. 18 აპრილს. „დროება“ სწერდა: „ამ თვის თვრამეტს ქუთაისში შინაური ლიტერატურული საღამო ყოფილა. ამ საღამოზე ორმოც კაცამდე შეკრებილან. წაუკითხავთ: ილია ჭავჭავაძეს—„მგზავრის წერილები“, მერმე ატატო ბებურიშვილს—სცენები ხალხის ცხოვრებიდან. ბოლოს კი „მეფე ლირი“ მთარგმნელს—ილია ჭავჭავაძეს მსმენელები ძალიან კმაყოფილი დარჩენილან საზოგადოდ საღამოთი. განსაკუთრებით მოხწონებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი“ („დროება“, 1874 წ., № 420. შდრ. პოლონ მახარაძე—„ლიტ. საქ.“ 1938 წ., № 8).

სიტყვა ილიას ურჩი ბალღივით ებუტებოდა, პოეტს უყვარდა ამ სიტყვის ხელში ჩაგდება, მოთვინიერება. მისი შემოქმედების ყაბაზი სავსე იყო ათასნაირი სიტყვის ფალავანით. იგი სიტყვის რაინდი იყო.

ილიას ხშირად იწვევდნენ საღამოებში მონაწილეობის მისაღებად. იგი სცენიდან კითხულობდა საკუთარ მოთხრობებს, ხოლო ლექსები კი სხვა ავტორებისა უყვარდა. 1875 წელს, თბილისში, „ერთი კეთილი საქმის შესაწევრად" (ასე ეწერა აფიშებში) გაიმართა პ ი რ ვ ე ლ ი სალიტერატურო საღამო (4 აპრილს და 22 აპრილს). ამ საღამოში მონაწილეობდნენ: დიმ. ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, რაფ. ერისთავი, დ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი და გ. ჩიქოანი (ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონის" და გოგოლის მოთხრობების მთარგმნელი).

აი მათი წაკითხული ნაწარმოებნი:

რაფ. ერისთავს წაუკითხავს გ. სუნდუკიანცის „პეპოდან" ერთი ნაწყვეტი და საკუთარი სცენები*.

დ. ყიფიანს—„ვეფხის ტყაოსნიდან" (ქაჯეთის ციხეზე მისვლის თათბირი), „ვენეციელი ვაჭრიდან", „რომეო და ჯულიეტადან" და ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა".

დავით ერისთავს—ილიას „მუშა", „აჩრდილი" და გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო" (ნაწყვეტები).

პ. უმიკაშვილს—სცენები თბილისის ცხოვრებიდან.

აკაკი წერეთელს—„ადვოკატის დილა", „ზღაპარი", „სცენა საპატიმროში" და მოთხრობა: „ქალი რა თვეა?" **.

---

* ეკ. გაბაშვილმა მითხრა: რაფიელ ერისთავს წაუკითხავს საკუთარი სცენა „მარილის ყანა", რომელშიაც ასეთი აზრია გატარებული: ივანიკამ და გოგიელამ მარილი დათესეს, მაგრამ „ტყულა მოლიც არ ამოსულა". იფიქრეს ივანიკამ და გოგიელამ „სწორებ რაღაცამ ამოგვაგდოვო, გაკეთებას ველოდით და ეინცხამ სუშთლა მოგვიპამა მარილის ყანაო", მერე ივანიკამ და გოგიელამ დაუდარაჯეს მარილის ყანას და ქურდის დაჭერას ლამობდენ, მაგრამ „არ შეგვამოს ჭირმა ყანა მაინც არ ამოვიდა, რავარც ჩემს თავზე არაა ბალანი, ისეთ იქ ბალახი", ეკ. გაბაშვილის თქმით რაფ. ერისთავმა ამ სცენის წარმოთქმის დროს ხელი მიირტყა მელოტ თავზე და ხალხი გააცინაო.

რაფ. ერისთავის გამოსვლას, გ. წერეთლის თქმით, ყაფლან ორბელიანიც დასწრებია და ლოჟიდან ხმამაღლა წამოუძახნია: „დახე ამ უნიჭოსა, აკი იმანაც გააცინა სახოგადოება?" (იხ. კრებული: „საერო დღესასწაული"—1899 წ., გვ. 27).

** აკაკის ეს პიროზა: „ქალი რა თვეა?" დაიბეჭდა გაზ. „დროებაში" 1875 წ. № 45. აკაკის რეპერტუარი რუსულ გაზეთ „კავკაზს" გაუკენწლავს, აკაკისაც უპასუხნია („დროება", 1875 წ., № 42; შდრ. ჩვენი რედაქციით დაბეჭდილი აკაკის ნაწერების აკად. გამოცემას, III ტომი, 1940 წ., გვ. 686).

ილია ჭავჭავაძეს ორივე საღამოზე წაუკითხავს: ნაწყვეტი „მგზავრის წერილებიდან“, ნ. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“, გრ. ორბელიანის ყარაჩოღული და ბოჰემური ლექსი—„ონიკოვის დარდები“, „კაცია ადამიანი?“ და თავისი მეგობრის, დიმ. ყაზბეგის, მოხევური სცენა: „მავნე სულები“.

მე მინდა ერთ წუთს თვალი დავხუჭო და წარმოვიდგინო თბილისის საზაფხულო თეატრის სცენა 1875 წელს... აი გამოდის ილია ჭავჭავაძე, „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“—როგორც დაახასიათა გრ. ორბელიანმა. პარტერში ტაშის ტკრციალი გაისმის. მერე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდება, რომ „ბუზის გაფრენასაც გაიგონებს კაცი“. ილია ერთ წუთს ჩაფიქრდება და დაიწყებს გრ. ორბელიანის ლექსის კითხვას:

დიმიტ[რი] ონ[იკაშვილ]ის დარდები

როდის მობრძანდები, ჩემო ბატონო,
ფეხქვეშ გაგეშალო ფიანდახათა!..

ს ა ვ ა თ ნ ა ვ ა

ეს რა ცეცხლში ჩავარდნილვარ, სადა ვარ?
გული მეწვის, სასიკვდილოდ მზადა ვარ.
ძაღლსავითა ვგდივარ ციმ ქუჩაში,
ეყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა,
ერთს მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას,
ეგეგ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს!..
ეშხისაგან გონება გამოცლილსა,
მზე ბრწყინავს, თუ თოვლი მოდის, არ მესმის!
განა ღამით ძილი არის-ღა სადმე,
ანუ დღისით განსვენება სულისა?
ან ვიღასა აგონდება სადილი,
ანუ ღამით აბანოში ლხინები?..
ნაბად-გახვეული ვგდივარ ქუჩაში;
ვოხრავ, მაგრამ ჩემი დარდი ვის ესმის?
ვინც გაივლის, მკითხავს: აქ რას აკეთებ?
— შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?
მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი,
მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!

და სხვ.

ჩვენ ამ ლექსის ნაწყვეტი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეგრძნო ილია სცენაზე, წარმოგვედგინა მისი სახის მეტყველება, მისი დინჯი ხმა და მარჯვენა ხელის მალიმალ მაღლა აწევა, რაც ასე უყვარდა თურმე პოეტს.

ჩვენს მგოსანს ეს ლექსი სიბერემდე არ დავიწყებია. 1900 წ. „ახალმოსულის“ ფსევდონიმით „კვალთან“ კამათის დროს ციტატები „ონიკოვის დარდებიდან“ ხშირად მოჰყავდა პოეტს.

ამ ლექსზე ილიას თავისი აზრი აქვს გამოთქმული, ჯერ კიდევ 1860 წელს, როცა კაზლოვის მთარგმნელს ეკამათებოდა: „განა რითმა რომ არ იყოს,—უსაყვედურებს რევაზ ერისთავს ილია,—პოეზია არ იქნება? აბა აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა. თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკრის“—„ონიკოვის—დარდები“. აბა, ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია. თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაეარნი, ნაბადწამოსხმული ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეჰყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს, ვინც კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდი, აჰ ვირს ეშხზე ელაპარაკე!“ რამდენი ნამდვილობა და ჰეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კვნესაში და ნატვრაში. პოეზია განსაზოვნებაა ჰეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა“ (ილია. ტ. 4, 1927 წ., გვ. 20).

ილია აქ გვეელინება, როგორც უაღრესად რეალისტი მწერალი. (პოეზია სინამდვილის და ცხოვრების ამსახველი უნდა იყოსო) და ილიას პოეზიაც დიდად განსხვავდება მისი თანამედროვე პოეტების ლექსებისაგან. ილიას ლექსი ისე არ ესმის, როგორც რითმის მიმღნება (გაიხსენეთ მისი სასტიკი კრიტიკა ჩახრუხაძის პოეზიის მიმართ). მას სწამს ლექსი ჰეშმარიტი, უბრალო, მაგრამ სიტყვა რიტმიულად გამოკვეთილი. რამდენადაც ილია აქებს გრ. ორბელიანის ზემორე მოყვანილ ლექსს, იმდენად იმავე ლექსს აძაგებს აკაკი: „გრ. ორბელიანს მწერლობა ხელობად არ მიაჩნდა,—წერს აკაკი თავის თავგადასავალში,—რამოდენიმე გულის საფხან ლექსის მეტი არა დაუწერია-რა, „ონიკოვის დარდები“, „ლორპიანას ვინაობა“ და „იარალი“ ქვეყნის ჰირვარამი ეგონა, მისი ფიქრი—ლხინი იყო, მისი უბედურება—ულხინობა“ (ტ. I, გვ. 93).

მართალია, გრ. ორბელიანს ერთ დროს ილიაც ეკამათებოდა, მაგრამ მისი ლექსები ისე სწამდა და უყვარდა, რომ მას სცენიდანაც ამზევებდა. ილია, თვით დეკლამაციის დროსაც, არ ღალატობდა თავის ხაზს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ილია პასუხისმგებლობით ეპყრობოდა არამც თუ მხატვრულ ნაწარმოებს, არამედ ყოველგვარ საზოგადო საქმესაც. ამ მხრივ ილია არა ჰგავდა არც ერთ თავის თანამედროვე მოკალმეს... ეს ნათლად

ჩანს ილიას მიერ დატოვებულ სამუშაო მასალებიდან, ეს ნათლად ჩანს ამ პატარა კერძო წერილიდანაც კი, რომლის ნაწყვეტიც აქ მომყავს:

„...დღეს საღამოზე,—სწერს ილია ელადიმერ მიქელაძეს,—სამეურნეო საზოგადოებაში საზოგადო კრება არის და კირიმ-გირეის მოხსენება იქნება შესახებ აქაურ ენების ხმარებისა აქაურ სკოლებში. მე მინდა წინააღეუდგე, თუ აქაური ენების წინააღმდეგი ლაპარაკი იქნება. რადგანაც ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუმზადებლად არსად წავეჩხირო (ხაზი ჩემია—ე. გ.), ამიტომ დღეს სამსახურიდან რომ შინ წავალ, მაშინვე ამის სამზადისს შევუდგები. ამის მიზეზით დღეს შენთან სადილად ვერ ვისიამოვნებ და დიდსა და დიდს ბოდიშს ვიხდი. სხვა დროს იყოს, შენთან ქეიფი ყოველთვის სანატრელია და სასურველი. შენი ილია ჭავჭავაძე".

სცენაზე გამოსვლასაც მუდამ „მომზადებული ილია" დიდის სიფრთხილით ეკიდებოდა: წასაკითხ მასალას დიდხანს ეძიებდა და არჩევანშიც არა სცდებოდა. ერთ საქველმოქმედო სალიტერატურო საღამოს შესახებ ილია ჭავჭავაძე შემდეგსა სწერს დავით ერისთავს: „ამას წინად ვახტანგ თულაშვილის წიგნი მომიეიდა, რომლითაც იგი მთხოვს მონაწილეობა მივიღო სალიტერატურო საღამოშია... შენ ამასა გთხოვ, რომ დაწერილებით მომწერო: 1. ვინ არიან მკითხველნი; 2. შენც ურევიხარ თუ არა; 3. შინაური მოწყობილება ექნება იმ საღამოს, თუ საგარეო. ამის პასუხი ძალიან მალე მაცნობე"... ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ილიასთვის სცენაზე გამოსვლა არ ყოფილა ხელჩასაქნევი საქმე. მისი დეკლამაცია მისი ავტორიტეტის ფარდი უნდა ყოფილიყო და ამას იგი მტკიცედ მისდევდა...

როგორც პროგრამიდან ჩანს, ილიას სცენიდან წაუკითხავს დიმ. ყაზბეგის „მავნე სულები", რომელიც თავიდან ბოლომდე მოხევური დიალექტით არის დაწერილი. მოხეურად მოლაპარაკე ილია, საინტერესოა, სად და რომელ სიტყვას დაჰკრაედა მახვილს? ის ხომ „მგზავრის წერილების" ავტორი იყო და, ალბათ, თავისი მოხევის კილოს გამოიყენებდა.

ეკ. გაბაშვილის თქმით, როცა ილიამ 1876 წ. 29 იანვარს კავკასიის მუსიკალური საზოგადოების დარბაზში (იარმუკაში) წაიკითხა „ქაცია ადიმიანის" ის ადგილი, სადაც ლუარსაბი და დარეჯანი შვილის ყოლაზე ოცნებობენ (თავი 13) და როცა ილიამ მოთხრობის გათავებისას—„ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ" დასძახა

და ტაშის შემოკვრით გავიდა სცენიდან—ყველას აღტაცების ცრემლებით თვალები აგვენამაო,—დასძენს მწერალი ქალი.

ეს პირველი სალიტერატურო საღამოები საზოგადოებას ისე მოსწონებია, რომ ბილეთები აფიშების გამოსვლისთანავე იყიდებოდა თურმე. ბევრი უბილეთობის გამო უკან ბრუნდებოდა, რაც იშვიათი მოვლენა იყო იმდროინდელი ქართული თეატრისთვის.

ერთ ასეთ საღამოს „დროებამ“ მეთაურიც უძღვნა... იქვე მოთავსებულია რეცენზია, სადაც პირველი საღამოს მონაწილენი ცალ-ცალკეა დახასიათებული. გაზეთი წერს: „...დ. ი. ყიფიანი ნამდვილი ოვაციით მიიღო საზოგადოებამ. გამოვიდა თუ არა ეს პატივსაცემი გაპალარავებული მოხუცი, ყველამ ერთი ხმით დაჰკრეს ტაში და ეს ტაშის კვრა რამოდენიმე წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ამ ოვაციით, სხვათა შორის, საზოგადოებამ, ჩვენის აზრით, თანაგრძნობა გამოუცხადა მკითხველს იმისთვის, რომ ახალგაზრდებთან ერთად ჰკიდებს ხელს საზოგადო საქმის დახმარებას. სცენა საკუთარის ნათარგმნის შექსპირის „შეელოხადგან“ და აგრეთვე „ვეფხის ტყაოსნის“ ერთი თავი დიმ. ყიფიანმა კარგათ წაიკითხა. მაგრამ საუბედუროდ, ისე დაბალი ხმით, რომ ზოგიერთებს, ვინც სცენაზე მოშორებული იყვნენ, არ გაუგონიათ. ესევე ნაკლულევანება ჰქონდა რ. ერისთავის კითხვასაც, რომელმაც „პეპოს“ ნაწყვეტი სუსტი ხმით და წაბორძიკებით წაიკითხა. მაგრამ მის მაგიერად მეორედ გამოსვლაზე გამოისყიდა ეს ნაკლულევანება: სცენები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ, ნამდვილის ხელოვნებით იყო წაკითხული! მაგრამ ნამდვილი დამამშვენებელნი და გამაცოცხლებელნი ამ საღამოსი იყვნენ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ჩვენ იშვიათად გაგვიგონია ისეთი ოსტატური და ხელოვნური წაკითხვა, როგორც აკაკიმ თავისი „ადვოკატის დილა“ და „სცენა საპყრობილეში“ წაიკითხა, ი. ჭავჭავაძემ კი თავისი „კაცია ადამიანის“ ერთი ალაგი და გრ. ორბელიანის „დ. ო—ვის დარდები“*.

პირველ „საღამოს“ ჩვენი ბრწყინვალე პოეტი გრიგოლ ორბელიანიც დასწრებია და თავისი შთაბეჭდილება მეგობრისთვის მი-

---

* იხ. „დროება“, 1875 წ., № 42. ხალხის თხოვნით საღამო მეორედაც გაიმართა ამავე წლის 22 აპრილს. გარდა ამისა გაზეთი აუწყებდა თავის მკითხველებს: „ესევე წამკითხველები ქუთაისშიც აპირებენ წასვლას და იქაც ამგვარსავე საღამოს გამართავენო“ („დროება“, 1875 წ., № 45.—ორივე საღამოს პროგრამები, რომლებიც სიფრიფანა ქაღალდზეა დაბეჭდილი, ჩემს ბიბლიოთეკაშია დაცული).

უწერია: „4 აპრილს იყო ჭართულ თეატრში სალიტერატურო და სამუსიკო საღამო—ასე ეწერა აფიშაში. ძალიან ცუდათ გამოჩნდენ რ. ე. და დ. ყ. რაღაცა ღმერთი გაუწყრათ. სულ ვერ წაიკითხეს. და ძალიან კარგად იყვნენ დ. ე. გლ. ი. ჭ. და ა. წ.“*.

გოგოლი ამბობდა: „მწერლების გამოსვლა სალიტერატურო-საღამოებზე მომავალში წარმოდგენის მაგიერობას გასწევსო“. ჩვენი სალიტერატურო საღამოები კი წინამორბედი იყო მომავალი ქართული თეატრისა, რომელიც 1879 წელს ჩამოყალიბდა „მუდმივი დასის“ სახელწოდებით. თვით იმ საღამოს შემოსავალიც (254 მან.) ქართული სცენის სასარგებლოდ გადაიდო.

სხვისა ლექსი შენგან თქმული
კეთდება და უფრო შენისა!

ეს ილია ჭავჭავაძის უცნობი მუნასიბია ცნობილ დეკლამატორ კოლა ერისთავისადმი მიძღვნილ წიგნზე წარწერილი. მართლაც და, სცენიდან თქმულ ცოცხალ სიტყვას, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ილია ერთ წერილში ამბობს: „არ ვარგა მარტო წიგნიდან გამოხედვაო“, ხოლო მეორე წერილში მოჰყავს ლესინგის აზრი: „მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროსო“. იგი ამ მხრივ ხალხში გასვლას ჰქადაგებდა... სცენიდან ნათქვამი სიტყვა ყოველთვის კეთდება, შვენის და მიზანს აღწევს. როცა ილია სალიტერატურო საღამოებზე გამოდიოდა, ქართველები ჯერ კიდევ არ იყვნენ შეჩვეულნი საჯაროდ კითხვას; ილია კითხვის კულტურას ხელს უწყობდა თავისი მოხდენილი დეკლამაციით და ქართულ კაზმულ მწერლობას პოპულარიზაციას უქმნიდა.

როგორი იყო ილია დეკლამაციის დროს?

არტურ ლეისტის გადმოცემით, ილია რომ ლაპარაკობდა, ცეცხლი და გატაცება თანდათან ემატებოდა!

ი. მანსვეტაშვილის თქმით, ილია კარგი მკითხველი იყო, თუმცა ხმა ცოტა მოყრუო ჰქონდაო.

„ილიას ხმა დიდი არა ჰქონდა, არც ძალიან მჟღერავი, მაგრამ ჩაფიო, მკვეთრი და ნათლად გასაგონი. არ იცოდა კილოშეკიდე-

---

* გრ. ორბელიანის წერილი იაკინთე მესხიშვილისადმი 1875 წ. 7 აპრილს. (იხ. „დროება“, 1883 წ., № 176). ინიციალები ასე ითარგმნება: რ. ე. (რ. ერისთავი), დ. ყ. (დიმ. ყიფიანი), დ. ე. გლ. (დავით ერისთავი გლუხარიჩი), ი. ჭ. (ი. ჭავჭავაძე) და ა. წ. (ა. წერეთელი).

ბით ლაპარაკი, ხმის აკანკალება. არც ხელების წარამარა ცვლაში. მასში იყო არტისტულობა და არა თეატრალობა. ამა თუ იმ საგნის გამოხატვა სხეულის და სახის მოძრაობით იცოდა. ერთი სიტყვით, ილიას ჰქონდა სიტყვის თავისებური გამოთქმის უნარი და ხმის ოდნავი მოდულაციები ჰქმნიდა მთელ მუსიკას მისი მეტყველებისას" (ი. ელეფთერიძე).

კ. მესხიც იგონებს ილიას კითხვას: „1874 წელს პირველად ენახე ილია ჭავჭავაძე. ის მაშინ მომრიგებელ მოსამართლედ მსახურებდა სადღაც და თბილისში ჩამოვიდა. ერთ საღამოს ჩვენი რედაქციის პატარა ოთახებში შეიკრიბა რედაქციის ყველა წევრი და ქართული მწერლობის მოყვარული (ლაპარაკია „დროების" რედაქციაზე—ი. გ.). ილიაც მოვიდა და თან მოიტანა თავისი „გლახის ნაამბობი". წაგვიკითხა. ასეთი ტკბილი, ძლიერი, მკაფიო ქართული კითხვა ან სიტყვა ჯერ არ მსმენოდა (ხაზი ჩემია—ი. გ.). ვატყობდი ყველა აღტაცებული იყო და მე ხომ სულ დამონებული ვიყავი ძლიერის შთაბეჭდილებით". (კ. მესხის „მოგონებანი"—ხელნაწერი ჩვენთან ინახება).

1889 წელს, 25 მარტს წ. კ. საზ. სასარგებლოდ გაიმართა დიდი სალიტერატურო საღამო. საღამოს ეშხის და ლაზათის მისაცემად ილიაც დაითანხმეს. მისი გამოსვლა სცენაზე ტრიუმფად გადაქცეულა. წაუკითხავს ერთი ნაწყვეტი „ოთარაანთ ქვრივიდან" (გიორგის სიკვდილის სცენა). აი, როგორ აგვიწერს (იაკობ გოგებაშვილი (ი. სიმონიძის ფსევდონიმით) ილიას გამოსვლას სცენაზე: „...საქმე ილია ჭავჭავაძეზე მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზე რვეული და დაიწყო კითხვა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დარბაზში ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდე არ შენელებულა... მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიც მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამაგიეროდ შემკულია ბუნებრივი მკითხველის ღირსებითა: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიური ხმის აწევ-დაწევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შეესაბამება წაკითხვის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობას, რომელსაც კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები" („ივერია", 1889 წ., № 76).

ამას დავუმატოთ ილიას სახის სილამაზე, რომელიც ი. მანსვეტაშვილის თქმით, „საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიუსის ქანდაკებისა" და ადვილად წარმოიდგენთ მის სცენიურ მომხიბლავობას.

„ილიამ ბევრი ილაპარაკა,—სწერს ალექსანდრე ყიფშიძე თავის მოგონებაში,—მაგრამ დასვენებით, მოკლედ და მკაფიოდ. Он производит неотразимое впечатление, ან ვინ გადურჩება დაუმონებელი მის გონიერ ლაპარაკს, ახდილ შუბლს და მშვენიერ, წყლიან თვალებს?“ („ლიტ. მატიანე“, 1940 წ., წიგნი 1-2; გვ. 185).

ილია ჭავჭავაძე საზოგადოდ კარგი მობაასე ყოფილა. მისი სიტყვა ყოველთვის ხიბლავდა ხალხს. რომანოზ ფანცხავა (კრიტიკოსი ხომლელი) იგონებს ილიასთან ყოფნას და დასძენს: „დატყვევებული ვუსმენდი ილიას შესანიშნავ საუბარს კახურ კილოზე“.

სოფ. მგალობლიშვილიც იმეორებს ილიას სახის მომხიბლაობას: „ილია ჭავჭავაძე ისეთი ლამაზი და მარილიანია, კაცი თვალს ვერ მოაშორებს. მშვენიერი ფართო შუბლი, თმა ხშირი, შავი, როგორც გიშერი, შუაზედ გაყოფილი და გრძლად დაშვებული კისრამდე... ტანით თურმე პატარა კახს მიაგავს, მაგრამ როცა ზის, ჰგონია ადამიანს, ხიზაბავრელის მხარბეჭი აქვსო“ („რჩეული მოთხრობები“, გ. თავზიშვილის რედაქციით, გვ. 288).

თანამედროვეთა დახასიათებით ილიას პორტრეტი ასე წარმოგვიდგება:

ილიას ჰქონია ბადრი სახე, თმა შუაზე გადაყოფილი, მეტყველი თვალები, გამოქანდაკებული სოთი ცხვირი—მოძრავი ნესტოებით და მაღალი, ფართე შუბლი, რომელიც ასე კარგად გვახსოვს „განდეგილიდან“:

და მაღალ შუბლსა ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენია!

3. რას მისცა ილიამ თეატრს?

„ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემულ ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშან-წყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს-რა! ეგ ადგილია სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა რომ კაცმა თავი გამოიდოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს“!—ეს წერილი ილიას ეკუთვნის*.

---

* მიწერილია ილია ოქრომჭედლიშვილისადმი (დაცულია მწერალთა მუზეუმში).

ქართული თეატრი ილიას დროს და შემდგომაც, პროგრესულ იდეებს და ეროვნულ თავისუფლებას ჰქადაგებდა. სხვაგან დევნილი ქართული ენა, თეატრში ჰპოვებდა თავშესაფარს. „ჩვენი ენა ფეხზე უნდა წამოდგეს მთელი თავისი მშვენებითა და სიმდიდრითაო“, ამბობდა ილია. ჩვენს პოეტს არ შეეძლო ამისათვის, როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სხვა დარგისათვის, ყურადღება არ მიექცია და აქაც კვალი არ დაემჩნია.

ილია გულმოდგინედ მუშაობდა მუდმივი დასის შესაქმნელად. იგი იყო დრამატული საზოგადოების ერთი დამფუძნებელთაგანი, მისი მზრუნველი თავმჯდომარე.*

საინტერესოა ერთი ეპიზოდი, საიდანაც ჩანს, თუ რა დაბრკოლებათა გადალახვა სჭირდებოდა ქართულ თეატრს მუდმივი დასის შესაქმნელად. როგორც ვიცით, 1879 წელს დაარსდა ცალკე კომიტეტი და საჯარო კრების მოსაწვევად დაიგზავნა ილია ჭავჭავაძის ხელმოწერილი ბარათები... ბევრი მოღვაწე უარყოფითად შეხვდა ამ სასარგებლო საქმეს, ბევრმა კიდევ... მაგრამ უმჯობესია თვით გრ. ორბელიანის პასუხი მოვისმინოთ: „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ,—სწერს გრ. ორბელიანი ილიას,—დღეს ვერ ვიქნები ჩვენი საზოგადოების კრებაში თეატრის გამო, რადგან ვარ ნიწვეული в экстренное заседание общества востанавления христианства; მაგრამ გავბედავ და გულწრფელობით მოგახსენებ, რომ ნუ არა ვარ თანამგრძნობი ქართული თეატრისა ამ ჟამად დაწესების, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად. მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქვს თავისი შენობა, რომელსაც არ ჰყავს გასწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლიან შენახვა თავისა თვისისა? და თუ ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ რასმეს წელიწადში ორჯელ, სამჯერ ხომ ეხლაც არის ამგვარი თეატრი.—არა მგონია, რომ ჩვენი ბანკი იყოს ისე გასუქებული, რომ სამასის თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს მას“**. მაგრამ ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე და ყოველწლივ აგონებდა საზოგადოებას, რომ „წელიწადში სამასი თუმანი, სულ ფეხზედ დააყენებს ჩვენ თეატრს, იმ მხრით მაინცა, რომ დასი ეყოლებაო“. („ივერია“, 1881 წ., № 11, გვ. 156).

---

* 1881 წელს ახლად დაარსებულ დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარის ამხანაგად—აკაკი წერეთელი, ბახინადრად—გ. თუმანიშვილი, მდივნად—კ. ყიფიანი.

** წერილი დაწერილია 1879 წ. 18 მაისს—„ბახტრიონი“, 1922 წ., № 21.

რა მისცა ილიამ ქართულ თეატრს, როგორც მწერალმა?

მუდმივმა დასმა, რომელსაც ასე სკეპტიკურად უყურებდა ზოგიერთი მოღვაწე, დიდი როლი ითამაშა, სხვათა შორის, სცენაზედ ქართველ მსახიობთა გამოვლინების საქმეშიც. თვით ილია მწერლობითაც მუდამ ხელს უწყობდა თეატრს. გაიხსენეთ თუნდ ილიას აკადემიური რეცენზიები იაკობ ლაზარიშვილის „მტარვალზე", ასიკო ცაგარლის „ქართველ დედაზე" და მოლიერის—„ექვით ავადმყოფზე"*.

რაც შეეხება პიესებს, ილიას სპეციალურად პიესები არ უწერია, არ იყო დრამატურგი,—ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. ილიას უფრო აინტერესებდა ცალკე ტიპები: პრიაშვილი, კაკო, ხორეშან, ლუარსაბი, აზნაურის ქერივი და სხვ.

ჩემის აზრით, მის ნაწარმოებთა დიალოგები, რომ ისევე სადად და გადაუკეთებლად განსახიერდეს ჩვენს სცენაზე, როგორც რუსეთის სამხატვრო თეატრი ანსახიერებს ტოლსტოის და დოსტოევსკის ნაწერებს—ფრიად სანიაზო და მხატვრული წარმოდგენები გვექნება ქართული თეატრის თანამოსაგრეებს.

მე-19 საუკუნეში იშვიათია ისეთი მწერალი, ვის ნაწერებსაც თავიდან ბოლომდე, ბალღობიდან სიბერემდე, გასდევდეს ერთი ხაზი, ერთი იდეა. ილიას თქმა რომ ეიხმაროთ, მას ყოველთვის თვალწინ ედგა: „იმა კირთების ბედშავნი დღენი". ილია პავჭავაძეს, „მგზავრის წერილებიდან" დაწყებული უკანასკნელ ლექს—„ბაზალეთის ტბამდე" ერთი აზრი ასულდგმულებს. ეს არის ეროვნული იდეა, ცარიზმის ჰანგებისაგან მისი თავის დაპსნა... მაშინ, როდესაც მისი წინაპარი რედაქტორები წერდნენ, „გვიცავს უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისაო", ილია თავის „მიმოხილვაში" ასე ძლიერად, ასე ნართაულად ლაპარაკობს შავბნელი რეაქციის წინააღმდეგ. დაუგდეთ ყური:

„იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენი დამჩემდა: ამბობენ, ეს სენი მარტო მე არა მჭირს. თურმე ნუ იტყვით, ყველას, ვისაც ჭკუასთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ, რაც მე. დავფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩაეუკვირდები რასმე და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რა-

---

* განა ილია არ იყო, რომ ქართული პიესების გამოცემას გზა გაუხსნა და თავის „ივერიებში" (1879. 1880. 1881. 1883) სისტემატურად ბეჭდავდა ჩვენი დრამატურგების ორიგინალურ პიესებს (მაგ. „ადვოკატები" რ. ერისთავისა, „მა-, თიკო"—ა. ცაგარლისა, „პეპო—გ. სუნდუკიანცისა, „სამშობლო"—დ. ერისთავისა, „ქეთევან წამებული"—ა. ყაზბეგისა და სხვ.).

ღაც სულთამხუთავსავით ამეტუზება თვალწინ და არა მშორდება... ეხლაც თვალწინ მიდგა და საშინელს ჯადოს მიკეთებს, მე ერთის თქმა მინდა—ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის—სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს—აზრი იმისი გამოდის; რა მეშართება, არც მე ვიცი. ქვეყანა ჩემ თვალწინ როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უკუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო... ის ჩემი სულთამხუთავი—კი თავს მადგია და იღრიჯება, იცინის; რას იღრიჯები შე უგვარო, უმსგავსო-მეთქი, ვეუბნები. იმან პასუხად ღორის ეშვებსავით თავისი სიბერისაგან ფანფალა ღოჯები წამომიყარა და ამოქვარტლულ ბუხარსავით შავი პირი უფრო დიდად დააღო. ფუ, ეშმაკო-მეთქი, დავიყვირე, შენც არ მომიკვდე, არც ამან მოაცვლევინა ფეხი. რა ყოფილა, თქვენი ჰირიმეთ! ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მანამ მამალი იყივლებს, რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე, სულთამხუთავიც უცბათ თვალწინ გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი. ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი, ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღალული და ენატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!.." (ტ. 7. გვ. 80).

და რამდენი ტანჯვა, რამდენი ურვა და კაეშანი უნდა განეცადა ამ დიდბუნებოვან ადამიანს იმისთვის, რომ ეს თავისი იდეები გაეპარებინა სულთამხუთავ მეფის ცენზურის მსახრავი თვალისაგან. და მერე რამდენი ხნის განმავლობაში; ბატონყმობის არსებობის დროიდან, მეოცე საუკუნის დამდეგამდე!

ტყუილად კი არ ეშინოდათ ილიასი ცარიზმის აგენტებს.

იგი მეფის რუსეთის დაუცხრომელი მტერი იყო.

თვით „მეფე ლირის“ თარგმნის დროსაც კი ილიას ის ადგილები აქვს კარგად ნათარგმნი, რომელიც მის სულიერ განწყობილებას ენათესავებოდა. ავიღოთ კენტის როლი. კენტი მეფის უსამართლობის წინააღმდეგ აშკარად გამოდის, იგი პირდაპირია და ნაკლს პირში ახლის. განდევნილი კენტი მიმართავს ლირს:

> მშვიდობით მეფევ, დღეს გვიჩვენე რომ შენსა ახლოს
> თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა და ს ი მ ა რ თ ლ ე ვერ ისადგურებს.

ეს სიტყვები თითქოს ილიას გულიდან ამოსდისო! როცა თბილისის სცენაზე „მეფე ლირის“ დადგმა გადაწყდა, ილიამ კენტის

როლი აირჩია. განსაკუთრებით კარგად არის ნათარგმნი შემდეგი დიალოგი:

კენტი:

ბატონიშვილნო, ჯეთხოვებათ თქვენ ყველას კენტი,
უცხო მხარეშიც ის დაშთების იმავე კენტად...

ღირი:

მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფრთხილდი ისარს!

ილია შექსპირის რეპლიკებით თავის გულის წყრომას ამჟღავნებდა...

„კენტად“ დარჩენილი ილია ჭავჭავაძე მაინც ვერ გადაურჩა მეფის რუსეთის შხამიან „ისარს“...

თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თავის საიდუმლო მოხსენებაში ილიას შესახებ შემდეგსა წერდა:

„...მე მქონდა მოხსენებული, რომ სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი წილი უძევს თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელთ (არსებობს განსაკუთრებით ქართველებისათვის). აგენტების საშუალებით ახლად შეგროვილი ცნობები, რომელნიც ღირსია ნდობისა, ადასტურებენ, რომ დასახელებული სკოლის მასწავლებელთა გავლენა არ განისაზღვრება ერთი სემინარიით, არამედ ეს ხელმძღვანელნი ღებულობენ მონაწილეობას უფრო ფართო ეროვნულ მოძრაობაში ქართველთა შორის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე (ამ ბანკის საშუალებით ინახება აღნიშნული თავად-აზნაურობის სკოლა და აგრეთვე იგია რედაქტორი ქართული გაზეთის „ივერიისა“). თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჰკუის და მდგომარეობის პატრონი. დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროდადრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათის და სოციალურ კითხვებს“...*

---

* თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მოხსენება პოლიციის დეპარტამენტისადმი 1894 წ. 1 მაისის თარიღით (—„ქართველების სეპარატიული მოძრაობის“ შესახებ).

ამას წინათ თვალი გადავაცლეთ ილიას საარქივო მასალების ნაკუწებს, ვარიანტებს, შენიშვნებს და დავრწმუნდით, რომ დიდებული პოეტი ათასნაირ ხერხს მიმართავდა ცენზორთა თვალის ასახვევად. აეიღოთ მისი მხატვრული ნაწარმოებიდან ლექსი „იანიჩარი". თავდაპირველად ავტორს ეს ლექსი ასე დაუსათაურებია: „კანეოელი" და ცნობილი სტრიქონი: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა"—პირველი ვარიანტით ასე იკითხება: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენით—ბნელსა ჩრდილოეთსა"...

საზოგადოდ ცენზურის თვალის ასახვევად ჩვენი მწერლები ხშირად ჩრდილოეთს სცვლიდნენ ოსმალეთად. მამია გურიელს თავის ცნობილ ლექსში („ალავერდი") ერთი ადგილი ასე აქვს: „და ძირს დაეცეთ ბრიყვ-თათრობა" (პირველი ვარიანტით: „ეს მთავრობა")... ასე იქცეოდა აკაკი წერეთელიც. აი, ერთი ნაწყვეტი მისი ლექსიდან:

„დამეხსენი, ოსმალელო,
რა მაქვს შენთან საბიარო?
თვით ოხერო, მოუკლელო,
როგორ გინდა მომბიარო?
ბუნებისგან დაჩაგრული,
განა შესძლებ მეგობრობას?
მოშხამული ციცი გული
სხვას რას გასწევს, თუ არ მტრობას?"

დიდი ფიქრი არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ პოეტი აქ გამოხატავს თავის სიძულვილს ცარიზმისადმი და თუ ჩვენი პოეტები თავიანთი ასეთი განზრახვის შესანიღბავად სიტყვა „ოსმალეთს" ან „თათრობას" ხმარობდნენ, ეს იმიტომ, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ოსმალეთი ყოველთვის წარმოადგენდა უაღრესად საძულველ და მტრულ ქვეყანას.

საინტერესო საცენზურო დოსტაქრობა განიცადა ილიას ტრაგედიამ—„დედა და შვილმაც", რომელიც ქართულ თეატრს ყოველწლიურად თავის რეპერტუარში შეჰქონდა.

ამ ნაწარმოებს ილია თავის ხელნაწერებში დრამატიულ ეპიზოდს უწოდებს, არა იმიტომ, რომ იგი დრამატული თეატრისათვის არის დაწერილი, არამედ იმიტომ რომ აქ მთელი მონოლოგები აღსავსეა ჭეშმარიტი და დიადი დრამატიზმით. ამ ნაწარმოების ქვესათაურმა რამდენჯერმე განიცადა ფერისცვალება... „დედა და შვილში წარსულისაკენ მიხედვა კი არ არის, არამედ მომავლის განჭვრეტა" (პ. ინგოროყვა). როცა ეს ნაწარმოები 1871 წელს „კრებულში" დაიბეჭდა, ასეთი ქვესათაური ჰქონდა:

(„დრამატიული ეპიზოდი თამარ მეფის ცხოვრებიდან ოსმალოებთან ომის დროს“).

ხოლო „ივერიაში“ რომ მოთავსდა (1879. № 7) ამისთანა ქვესათაური გაუკეთა ავტორმა:

(„ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს“).

ილიას ავტოგრაფებში კი ქვესათაურად შემდეგი საგულისხმო სტრიქონია დარჩენილი: („სცენა მომავალ ცხოვრებიდან“).

მაშასადამე ეს დრამატული პოემა ნამდვილად უნდა გავიგოთ როგორც მოწოდება საქართველოს მომავალი განთავისუფლებისათვის, რათა, სოლომონ რაზმაძის თქმისა არ იყოს, „თავი დაეხსნათ სკვითთ დესპოტისგან“.

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნაეთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმხრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.

და ეს თავისუფლების შესანიშნავი ჰიმნი ბრძოლისაკენ მოწოდებად ღერს დედის მონოლოგში:

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს.
კახაბიხ ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს
და ეს ფიქრია მთელ კავკასიხ თავისუფლება.

აქ მართლაც: „ილიას წარმოდგენაში საქართველოს თავისუფლება გადაჯაჭვულია მთელ კავკასიის თავისუფლებასთან“. აქა ჩანს ქართველი ერის მრავალსაუკუნიანი განუწყვეტელი ბრძოლა უცხოური დამპყრობლების წინააღმდეგ ქართული სულის და აქტიური შემოქმედების შესანარჩუნებლად. ამიტომ იყო რომ „დედა და შვილს“ ასე ხშირად კრძალავდნენ სცენაზე წარმოსადგენად და რომელიმე მობენეფისეს დაჟინებითი თხოვნით ხელახალი ნებართვით იდგმებოდა. „დედა და შვილი“ პირველად დაიდგა 1882 წელს, 26 სექტემბერს. დედას ნატო გაბუნია ასრულებდა, ხოლო შვილს—კოტე მესხი.*

* „დედა და შვილი“ მეორდებოდა ილიას მოსაგონარ წლიურ საღამოებზედაც: დედას ასრულებდა ნინო დავითაშვილი, ხოლო შვილს—ალექსანდრე იმედაშვილი. „დედა და შვილის“ სიუჟეტზე კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვს დაუწერია ოპერაც, რომელიც ჯერ არ დაუდგამთ. ჩვენს დროს ახალგაზრდა კომპოზიტორმა ა. მაჰაევარიანმა შეჰქმნა ილიას პოემის მიხედვით ორმოქმედებიანი ოპერა „დედა და შვილი“, რომელიც პირველად დაიდგა ჩვენს სცენაზე 1945 წელს, მაისში. განზრახული კი იყო ამ ოპერის დადგმა უფრო ადრე (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1944 წ., № 50. 10 მაისი). ამავე სიუჟეტზე აგრეთვე ლეო ფალიაშვილს აქვს დაწერილი ერთმოქმედებიანი ოპერა—„დედა და შვილი“.

ილიას მეორე ნაწარმოები, რომელიც გადაუკეთებლად იდგმებოდა ჩვენს სცენაზე, ეს იყო, „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“ ანუ, როგორც შერე რეჟისორები არქმევდნენ, „გლახა ჭრიაშვილი“.

„გლახა ჭრიაშვილი“ პირველად დაიდგა 1870 წელს 23 ნოემბერს, ამ საღამოს თამაშობდნენ სამ პიესას: გ. ერისთავის „ძუნწს“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს“ და ილიას აღ „სცენებს“... მაგრამ საზოგადოებას ყველაზე მეტად ილიას ნაწარმოები მოსწონებია. აი რასა წერს ამ წარმოდგენის თაობაზე „დროების“ რეცენზენტი:

„უფ. ***-ის „სცენების“ ნახვა* პირველი იყო და მართალი გითხრათ, მე არ მეგონა თუ წარმოსადგენად ივარგებდნენ ეს მშვენიერი „სცენები“, რადგანაც თეატრისათვის არ არიან დაწერილნი, მაგრამ ჩემდა სასიამოვნოდ, მე მოვეტყუვედი: თითქმის ყველა პიესებზე მომეტებული ყურადღება იმას მიაქცია საზოგადოებამ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი მარტო ის არ იყო, რომ ამ „სცენებს“ პირველად ხედავდა ჩვენი საზოგადოება. „სცენებს“ არა აქვს, მართალია, სცენიური მოძრაობა, სასცენო ეფექტი, მაგრამ მის ნაცვლად ყოველი სიტყვა მომქმედი პირებისა და ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა, თვით ნამდვილ ცხოვრებიდან გამჭრიახი თვალით არის შენიშნული და ხელოვნური კალმით დაწერილი. აი, ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ „სცენები“ ასე მოეწონა საზოგადოებას...“ („დროება“, 1870 წელი, № 47).

რატომ მოეწონა საზოგადოებას „გლახა ჭრიაშვილი“? იმიტომ, რომ აქ არის შესანიშნავი დიალოგი. ილიასებური, ხალხურ ფოლკლორზე აშენებული სიტყვა-პასუხი და ბუნებრივი, ქართული კონსტრუქციით აყვავებული სტრიქონები. ილიას ამ ოსტატობაში ბადალი არა ჰყავდა.

ილიას სასცენო ნაწერებს შორის, ყველაზე მეტად „გლახა ჭრიაშვილს“ თამაშობდნენ თეატრში. კოტე მესხი იგონებს „გლახა ჭრიაშვილის“ ერთ წარმოდგენას, რომელიც 1874 წელს გაუმართავთ თბილისში. სხვათა შორის, ამ საღამოს მომრიგებელი მოსამართლის როლი კირილე ლორთქიფანიძეს შეუსრულებია, რეცენზიაც „დროებაში“ თვით კირილეს დაუწერია და თავისი თავი ასე დაუხასიათებია: მომრიგებელ მოსამართლის როლის აღმასრულებ-

* სამი ვარსკვლავი*** ილიას ფსევდონიმი იყო. სხვათა შორის, ამ ფსევდონიმით ერთი ლექსი შეგვხვდა ძველ ხელნაწერებში: „ეს ხიცოცხლე რისთვის მინდა, თუ არ შენთვის, ო, მამულო“. მაგრამ ავტოგრაფის აღმოჩენამდე ამ ლექსს ჯერჯერობით ვერ ვამხელებთ.

ლის მაგიერ, სცენაზედ რომ მუთაქა დაედვათ, სულ ერთი იქნებოდაო“ (იხ. „დროება“, 1874 წ., № 409).

მუდმივი დასის დაარსებიდან კი (1879 წ.) ამ პიესას მიეცა უფრო დისციპლინური ხასიათი; „გლახა ჭრიაშვილს“—შესანიშნავად ასრულებდა კოტე ყიფიანი, ხოლო აზნაურის ქვრივის როლს ნატო გაბუნია*. სხვათა შორის, ამ სცენებით აღტაცებული იყო ჩვენი დიდი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც რუსულად გადათარგმნა და დაბეჭდა კიდეც ოთხმოციან წლების რუსულ ჟურნალ „Изящная литература“-ში.

ილიას მესამე ნაწარმოები, რომლის მოქმედი პირნიც ცალკე შავი ასოებითაა გამოყოფილი და პიესას მოგვაგონებს,—ეს არის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღთა ცხოვრებიდან“ (ხალხმა „კაკო ყაჩაღი“ დაარქვა). ეს ნაწარმოები ისე ხშირად არ იდგმებოდა ჩვენს სცენაზე, ჯერ ერთი იმიტომ რომ ლექსად იყო დაწერილი და მისი შესწავლა უძნელდებოდა ჩვენს მსახიობებს, მეორეც—სიუჟეტის სირთულის გამო.

„დედა და შვილი“,

„გლახა ჭრიაშვილი“,

„კაკო ყაჩაღი“.

აი, ის სამი ნაწარმოები, რომელიც ილიამ თეატრს უშუალოდ მისცა.

გარდა ამისა, სხვადასხვა ავტორების მიერ სასცენოდ გადაკეთებულია ილიას შემდეგი ნაწერები (ბარემ ამ ნუსხასაც მოვიყვანთ ილიას სასცენო ნაწერების სისრულისათვის და ამით შევეკრათ კიდეც ეს მესამე კარი).

ბატონი და ყმა, პიესა 3 მოქმედებად, გადმოკეთებული ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან“ შალვა დადიანის მიერ, პირველად ითამაშეს ჰიათურაში, 1907 წ. 27 ოქტომბერს.

ოთარაანთ ქვრივი, დრამატული სცენები 3 მოქმედებად „გადმოკეთებული ს. ფ—განო“ ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივიდან“... ეს პიესა პირველად დაიდგა 1907 წელს, 12 ოქტომბერს არტისტული საზოგადოების თეატრში.

ჩატეხილი ხიდი, მონტაჟი ი. ჭავჭავაძის ნაწერებიდან გამა-

---

* ოთხმოცდაათიან წლებში აზნაურის ქვრივის როლს ასრულებდა ლიზა ჩერქეზიშვილიც, ხოლო ჭრიაშვილს—ვიქტორ გამყრელიძე.

ლიზა ჩერქეზიშვილს შეუსრულებია აგრეთვე დარეჯანის როლი ილიას „კაცია-ადამიანში“ (ქუთაისი, 1913 წ., 27. ოქტ.). რეცენზენტი ამბობს: „პირდაპირ შეუდარებელი იყო ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილი დარეჯანის როლშიო“ („სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 1031). დარეჯანის როლი უთამაშნია პოეტ ნინო ორბელიანსაც („დროება“, 1883 წ., № 54).

რთული შალვა დადიანის მიერ. პირველად ითამაშეს ‹მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 1935 წელს, 23 ოქტომბერს.

ყაჩაღი კაკო ბლაჰაშვილი, ორიგინალური დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად ვალ. გუნიასი. პირველად დაიდგა 1884 წელს, 19 დეკემბერს. ეს პიესა, ხელნაწერის სახით, არქივშია დაცული (№ 114). პიესა დაწერილია 1883 წელს. სათაურის ქვეშ ასეთი წარწერაა: „ამ პიესაში არის ჩაყვანილი ერთი სცენა ი. ჭავჭავაძის პოემისაგან—„რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

კაკო ყაჩაღი, ოპერა 4 მოქ. და 8 სურათად, მუსიკა ა. ანდრიაშვილისა. ლიბრეტო გ. იმედაშვილისა. პირველად წარმოდგენილი იყო 1940 წ. 19 ოქტომბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

დიმიტრი თავდადებული, სასცენო მონტაჟი ნიკო ერისთავისა. პირველად წარმოდგენილი იყო თბილისის სცენაზე 1910 წელს, 2 ნოემბერს. დიმიტრის ასრულებდა—ნიკო ერისთავი, მღვდელმთავარს—გ. არადელი-იშხნელი, ბერიკაცს—ვ. შალიკაშვილი, სპასალარს—ვ. მატარაძე და სხვ.

ბატონები, გაკეთებული შალვა დადიანის მიერ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა მიხედვით („დამაკვირდი“, „ბაზალეთის ტბა“, „დიმიტრი თავდადებული“, „კაკო ყაჩაღი“ და „კაცია ადამიანი“). დაიდგა ფოთში 1937 წ. (იხ. რეცენზია: „მგზნებარე კოლხიდელი“, 1937 წ., № 138).

ლუარსაბ თათქარიძე, პიესა 1 მოქმედებად გადმოკეთებული „კაცია-ადამიანიდან“ ვალერიან გუნიას მიერ. დაიბეჭდა გაზ. „საქართველოს“ დამატებაში, 1916 წ., № 1. წარმოადგინეს ქართულ თეატრში, 1913 წელს, 27 ოქტომბერს.

მკითხავი, კომედია 3 მოქმედებად ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდან“ გადმოკეთებული ა. ცაგარლის-მიერ. პირველად დაიდგა ნ. გაბუნიას საბენეფისოდ 1885 წ. 23 იანვარს.*

მაჭანკალი, კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთებული „კაცია ადამიანიდან“ თვით ავტორის—ილია ჭავჭავაძის მიერ. ეს პიესა რამდენჯერმე დაიდგა ჩვენს სცენაზე: პირველად 1881 წელს, 31 მაისს, მეორედ—1882 წ. 7 იანვარს ნ. თომაშვილის საბენეფისოდ, მესამედ—1884 წელს, 16 დეკემბერს.

კაცია ადამიანი—ამ სათაურით სასცენოდ დააზუსტეს და

---

* ეს პიესა აქამდე დაკარგულად ითვლებოდა. მისი ერთადერთი ეგზემპლარი (ა. ცაგარლის ხელით დაწერილი) ჩვენს ბიბლიოთეკაშია დაცული. დაგბეჭდეთ ჟ. „მნათობში“ 1937 წ., № 5.

გამართეს შალ. დადიანმა და ვ. ყუშიტაშვილმა... ი. ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია ადამიანი“ (პიესა „მაჭანკალის“ ჩართვით) სამმოქმედებიანი პიესის სახით პირველად წარმოადგინეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 1946 წლის 16 ოქტომბერს, დადგმა—ყუშიტაშვილისა, მხატვარი — სუმბათაშვილი, კომპოზიტორი—კერესელიძე. წარმოდგენამ მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა... ჯერ კიდევ ვასო აბაშიძის ეურნალი „თეატრი“ აღნიშნავდა, რომ „ლუარსაბ თათქარიძე... ფარსიაო“ (1855 წ., გვ. 122). ჩემის აზრით, ამ პიესის გამარჯვება მსახიობზეა დამოკიდებული... აქ „ფარსი“ არაფერ შუაშია! ამიტომ უნდა აღინიშნოს ვასო გოძიაშვილის სასახელოდ, რომ იგი ლუარსაბის როლში უნაკლო იყო.

ჩვენს მუზეუმებში მოიპოვება აგრეთვე ხელნაწერის სახით ილიას ნაწერებიდან გაკეთებული სხვადასხვა ავტორის რამდენიმე პიესა, რომელთაც ჯერ სცენა არ უნახავთ. ასეთებია:

ცხოვრება ყაჩაღისა, გადმოკ. კოტე ყიფიანის მიერ.

კაცია ადამიანი, გადმოკ. ალექსანდრე ყაზბეგისაგან.

კაცია ადამიანი, ი. მანსვეტაშვილისა.

თავადი როსტომ, პიესა ორ მოქმედებად ალ. ბაჯიაშვილისა, („აზრი აღებულია ილიას კაკო ბლაუიაშვილის ცხოვრებიდან“).*

4. ილიას პიესა „მაჭანკალი“

ჩვენ ამ პიესაზე ცოტა დაწვრილებით მოგვეიხდება ლაპარაკი, რადგან ილიას ეს ახალი ნაწარმოები, თვით ილიას ავტოგრაფი, მხოლოდ წელს აღმოვაჩინეთ. **

---

* ამ ბოლო დროს, ილიას იუბილესთან დაკავშირებით, ბევრი ავტორი აკეთებს სასცენოდ ილიას ნაწერებს: სკოლებისათვის (მ. ველისციხელი), რაიონულ თეატრებისთვის (ს. მთვარაძე), თოჯინების თეატრებისათვის (ქ. გოგიაშვილი, ქ. დოღონაძე), რუსთაველის თეატრისთვის (ს. კლდიაშვილი), მოზარდ მაყურებელთა თეატრისთვის (გრ. ბერძენიშვილი), „ოთარაანთ ქვრივი“ პიესად გადააკეთა ირ. ჭავჭანიძემ; ამჟამად რუსთაველის თეატრის რეპერტუარში ირიცხება ილიას „გლახის ნაამბობი“ (ინსცენირება გ. ნახუცრიშვილისა და დავით ცხაკაიასი). უნდა აღინიშნოს, რომ ძველად ილიას პოემიდან ხშირად ყოფილა ნაჩვენები „ცოცხალი სურათებიც“, მაგ. „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“ და სხვა („ივერია“ 1887 წ., № 50 და „ივერია“. 1889 წ., № 46).

** ჩვენს მიერ მიგნებული ილიას ავტოგრაფი ინახება რუსთაველის თეატრის ბიბლიოთეკაში № 1652.

„მაჭანკალი“ პირველად მე დავბეჭდე ილიასადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (უნივერსიტეტის გამოცემა 1937), ილიას ტომშიც ჩემი რედაქციით და კომენტარიებით შევიდა.

„მაჭანკალის“ აღმოჩენის შემდეგ, ილიას ეს ნაშრომი დაიდგა რუსთაველის თეატრალურ ინსტიტუტში აკაკი ვასაძის რეჟისორობით—1940 წ., 26 დეკემბერს.

გადავიკითხეთ ეს პიესა. შევადარეთ მოთხრობას და უნდა ითქვას, რომ ილიას სახელისათვის სუსტი ნაწარმოებია. აქ ვერა ვგრძნობთ ემოციური სიღრმის იმ უდიდეს შთაბეჭდილებას, მოთხრობის წაკითხვის დროს რომ განვიცდით. სამართლიანად აღნიშნავს დავით ერისთავი, რომ რომანებიდან გადმოკეთებული პიესები ყოველთვის მარცხით თავდებაო, ჩვენ დავუმატებდით, მხოლოდ ორი ავტორის გამოკლებით. ერთია ალექსანდრე დიუმა და მეორე—კარლ გუცკოვი. ორივემ საკუთარი მოთხრობები გადააკეთეს პიესად, პირველმა—„მარგარიტა გოტიე“ და მეორემ—„ურიელ აკოსტა“. ორივე დრამა დღევანდლამდე შერჩა სცენას და ყველგან დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ თავისი უკვდავი დიალოგების წყალობით უფრო ეგუება სცენის პირობებს... ამიტომ იყო, რომ ზემორე ჩამოთვლილი „გადმომკეთებელნი“ (და მათ შორის ილიაც) პირველად ამ მოთხრობას წააელებდნენ ხოლმე ქოჩორში ხელს... მაგრამ არც ერთი პიესა, „კაცია ადამიანიდან“ გადმოკეთებული, არ შერჩა ჩვენს რეპერტუარს. და თუ ზოგიერთი „გადმოკეთებული“ პიესა, ასე თუ ისე, კიდევ ბოგინობს ჩვენს სცენაზე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შიგ „კარგი მსახიობი“ იღებს მონაწილეობას... ასე რომ არ იყოს, მაშინ თუნდაც იმავე „კაცია ადამიანს“ სახლში წაიკითხავს თეატრის მოყვარული და თეატრში წასვლით აღარ გაირჯება. „საზოგადოდ შენიშნულია, რომ მოთხრობიდან და რომანიდან გადმოკეთებული პიესა ვერ ხეირობს სცენაზე. გადამკეთებელი შებორკილი და შეკიწროვებულია მოთხრობის შინაარსით, მოქმედი პირების ხასიათით და ფაბულით; იმის ფანტაზიას ფართო გზა, თავისუფლება არა აქვს, რომ სცენისათვის გამოსადეგი სრული პიესა შეადგინოს და მისი ყველა პირობები დააკმაყოფილოს“... („დროება“, 1881 წ., № 113).

როგორია ილიას ეს ერთადერთი პიესა—„მაჭანკალი“? რა ცვლილება შეუტანია პიესაში ავტორს მოთხრობასთან შედარებით? დავიწყოთ მოქმედი პირებით:

პიესა ორ მოქმედებიანია და მეორე მოქმედება ორ სურათად იყოფა. პირველი მოქმედება, უკანასკნელ ორ სურათთან შედარებით, უფრო მოზრდილია. პიესაში სულ ხუთი მოქმედი პირია:

დავით თათქარიძე,—40 წლისა, შინშინევი.
ელიხაბედი, მისი ცოლი 35 წლისა, კორინთლისა.
ლუარსაბი თათქარიძე, ძმა დავითისა 20 წ. ყიფიანი.
მოხე გძელაძე, თავადიშვილი, 45 წლისა. მაჩაბელი.
ხორეშანი, სუტ-კნეინად ცნობილი, მაჭანკალი, 40 წლისა. გაბუნია

მოქმედ პირთა შორის მოხსენებულია პატარა როლების შემსრულებელნიც: გძელაძის მოსამსახურე — ივანე, პირველი და მეორე ბიჭი, მაყრიონი და მზარეული, მაგრამ უკანასკნელისათვის თვითონ ილიას გადაუსვია ხაზი*.

პიესა „მაჭანკალის" შინაარსი წარმოადგენს ლუარსაბის ცოლის შერთვის ამბავს (იხ. „კაცია ადამიანი" — თავი მეექვსე, მეშვიდე, მერვე). ავტორს აუღია მხოლოდ ერთი მომენტი, სახელდობრ ის ადგილი, როცა 20 წლის ლუარსაბს, ლამაზი ქალის ნაცვლად, მოსე გძელაძე თავის მახინჯ ქალს შეატყუებს. პირველი მოქმედება ერთ აზნაურიშვილის ქორწილში ხდება. სცენა წარმოადგენს ბაღში დადგმულ ფანჩატურს, სადაც ზარხოშ ლუარსაბს მაჭანკალი (გაბუნია) გადაეყრება და ცოლის შერთვაზე ჩამოუგდებს ლაპარაკს. აქ არის მათი დაუსრულებელი მუსაიფი. უფრო ცოცხლადაა დაწერილი მეორე მოქმედება, რომელიც მოსე გძელაძის სახლშია, ხოლო მეორე მოქმედების ბოლო სურათი ეკლესიის ეზოში სწარმოებს.

„კაცია ადამიანთან" შედარების დროს გამოირკვა, რომ პიესა „მაჭანკალი" ძალიან ენათესავება მოთხრობას. ავტორმა შეინარჩუნა მოთხრობის ძირითადი ფსიქოლოგიური შტრიხები. მოთხრობის თხრობითი რკალი ილიას გაუხსნია, გაუწევია და მოთხრობის ზოგიერთ მუნჯ ეპიზოდში მოქმედ პირებს ალაპარაკებს. ჩამატებულია ბევრი რემარკა. რომელსაც მაჭანკალი „პუბლიკისკენ" (ე. ი. პარტერისკენ) ლაპარაკობს. ამ რემარკებს პიესაში შეაქვს ხალისი და ღიმილი. მოთხრობასთან შედარებით პიესაში ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია.

ილიას ძალიან კარგად ესმის, რომ სცენიდან წაკითხული მოთხრობის ზოგიერთი დეტალი არ მიდის მაყურებლამდე, შეიძლება დაიკარგოს კიდეც, ყური ვერ მოჰკრან კარგად, ამიტომ პიესაში ასეთ ადგილებს ილია აქუცმაცებს, რემარკებს ხსნის, ხან ამოკლებს, ხან აგრძელებს, რომ მსმენელის ყურს ადვილად მოეკიდოს ესა თუ ის აუცილებელი ნათელი გამოთქმა. მაგალითად:

---

* ჩვენს ხელთ არსებულ ილიას ავტოგრაფის მიხედვით ირკვევა, რომ ილიას თვითონვე გაუნაწილებია როლები და მოქმედ პირთა გასწვრივ საკუთარი ხელით აღუნიშნავს ამა თუ იმ მსახიობის გვარი—ესენი იყვნენ: შიშნიევი (ნიკო), კორინთელი (ბაბო), ყიფიანი (კოტე), მაჩაბელი (ხაალ) და გაბუნია (ნატო). მაგრამ წარმოდგენის დროს რეჟისორს მაინც შეუცვლია ილიას მიერ განაწილებული როლები. მაგ., ლუარსაბ თათქარიძე უთამაშნია—ნოდარ ჯორჯაძეს, კ. ყიფიანის ნაცვლად. ხოლო მოსე გძელაძე—ვასო აბაშიძეს, ზ. მაჩაბელის ნაცვლად („დროება", 1881 წ., № 113).

„ქაცია ადამიანი“

1. წიგნი რათ მინდა? რა ბრძნად ხომ არ დავსომ?
2. როგორი ყარამანიცა შენა ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის.
3. მაშ ქა!.. ფულს ისე ვინ განდობს!.. სომეხს უნდა გამოვართო... აბა, სომეხი ხომ იცი, რა ურიაა...
4. შენ ერთი ეს მითხარ, მადლიანი სახე აქვს? ფერზედ როგორ არის?
5. ქალი არ მოსწონს, ნუ გეწყინებათ კი მახინჯი არისო.
6. კაბაც შენი ჭირის სანაცვლო იყოს.
7. თუ ჩემს პურმარილს არ დაივიწყებ, საქმეს დამშიმოვიყვანთ.
8. — ძმას გამოგზავნის.
   — უფრო კარგი, რასაც თავის თვალით ჰნახავს, თუნდ ქრთამი არ იყოს, ის არ უნდა უთხრას?
9. კაცს რაკი ერთხელ და ერთხელ ეხტიბარი წაუხდება, აღარ დაუჯერებენ.
10. ნამუსია? შარშან რომ ათ თუმნად შენი დისწული, გასათხოვარი ქალი დიანბეგს მიჰგვარე, ნამუსია? როცა დაორსულდა, შენ წამალი მიეცი და მუცელი წაუხდინე, ნამუსია?

„მაჭანკალი“

1. წიგნი რა ჯანაბად მინდა. დიამბეგად დავსომ თუ.
2. როგორ ყარამან-ყათილიც შენ ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის.
3. მაშ ფულს ისე ვინ განდობს... სომეხს უნდა გამოვართვა. აბა, სომეხი ისე გვანდობს?
4. შენ ერთი ეს მითხარ ელფერზედ როგორია.
5. ქალი არ მოჰსწონს. ნუ გეწყინება კი და უმარილო არისო.
6. ბაშუსტა, კაბაც შენი ჭირის სანაცვლო იყოს.
7. თუ ჩემს პურმარილს არ დაივიწყებ, საქმე კიდევ საქმეზე მოგვა.
8. ხორეშ. ძმას გამოგზავნის მოსე:—უფრო კარგი, ხომ იცი, ჩვენ ქართველობაში ძმა უფრო გაიმეტებს ძმას, ვიდრე უცხო ვინმე. იმას უფრო მალე დავალბობ ქრთამით.
9. რაკი ერთხელ და ერთხელ შენს თვალში აბრუ გამიტყდა, რაღას დაიჯერებ?
10. ნამუსია? შარშან რომ იმ პრეზლა დიამბეგს ათი თუმანი გამოართვი სამაპანკლოში და ქალი მიჰგვარე, ნამუსია? ქალებს რომ რაღაც წამლებს ასმევ, ნამუსია?

გარდა ამისა მოთხრობის მიხედვით, დაით თათქარიძე მოსე გძელაძისაგან ქრთამს იღებს ათ თუმანს, ხოლო პიესით—ოცდაათთუმანს. ეს ფულის მომატება სხეაგანაც მეორდება... პიესაში არის ელისაბედის და მოსე გძელაძის სცენა ლუარსაბის და დარეჯანის ჯვრისწერის დროს, მაშინ როდესაც მოთხრობით—„ელისაბედი არც კი წასულა ქორწილში“... ლექსიკის მხრივაც განსხვავებაა და ილიას პოეტურ სალაროს ამ უცნობი ნაწარმოებით ბევრი ახალი სიტყვა ემატება...

„მაჭანკალი“ პირველად დაიდგა 1881 წ. 31 მაისს ნატო გაბუნიას საბენეფისოდ. აი, განცხადებაც გაზ. „დროებიდან“.

არწრუნის თეატრში
კვირას 31 მაისს
ნ. გაბუნიას ქალის სასარგებლოდ
ქართული დრამატიული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქმნება:
I
მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი
ორ-მოქმედებიანი კომედ., ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანისაგან“ იმისგანვე გადმოკეთებული.
II
ბ ა ი ყ უ შ ი
ორ-მოქმედებიანი ფარსი—ეოდევილი, ავქ. ცაგარლისა.
III
დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი
ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.
დასაწყისი 8½ საათზე.

პიესა საზოგადოებამ ძალიან ცივად მიიღო. საზოგადოება ილიასაგან უფრო მეტს მოელოდა. დაით ერისთავი, ამ პიესის რეცენზენტი, ამას აშკარად აღიარებს: „ათი წელია სდუმს ილია ჭავჭავაძე... როცა აფიშებში მისი გვარი წავიკითხეთ, ისიც მისთვის უჩვეულო, ახალი ნაწარმოებით, გულმა ტოკვა დაგვიწყო და ცნობისმოყვარეობით აღსილი წავედით თეატრში, მაგრამ იმედი გაგვიმტყუნდა. ილია ამ ბოლო დროს სწერს, მაგრამ არა ჰქმნის. ის ამ ათი წლის განმავლობაში, რაღაც მოჯადოებულ წრეში იმყოფება და ვერ განთავისუფლებულა... რაც შეეხება „მაჭანკალს“ იგი გაჭიანურებულია... მთელი მოქმედების განმავლობაში (რომელიც ერთ საათს გაგრძელდა) „მაჭანკალი“ სცენიდან არ გადის და სულ ლაპარაკობს, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ მისი ლაპარაკი აღსავსეა გონებამახვილობით. მოქმედი პირები გამოკვე-

თილია ოსტატის ხელით და ლაპარაკობენ წმინდა ქართული ენით.— აი, ამ პიესის მთავარი ღირსება. წმინდა ქართული ენით წერა მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ იცის და რაფიელ ერისთავმა"— დასძენს „სამშობლოს" ავტორი, ერთ თავის რუსულ, ამჟამად დავიწყებულ, სტატიაში (იხ. ე. „Филаига").

საქმე ის არის, რომ ილია თავისი მოწოდებით არ ყოფილა წმინდა თეატრალი. თეატრალური სანახაობა მისთვის არ იყო სიცოცხლის თავი და ბოლო. ილიას თეატრი იმდენად უყვარდა, რამდენადაც ის წარმოადგენდა ეროვნულ კულტურული კერის ერთ ნაპერწკალს, რომელიც ათბობდა ილიას, მაგრამ არა სწვაედა. ის ვერ იტყოდა ბელინსკიენით: „თეატრი! თეატრი! გიყვართ თუ არა იგი, როგორც მე მიყვარს? ახ, მუყაოს ხეებო და ქაღალდის მთვარევ, თქვენ ნამდვილ ხეებს და მთვარეს შირჩევნიხართ..."

აშკარაა „ელეგიის" ავტორი ამას ვერ გაიმეორებდა; როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მასში იყო არტისტულობა და არა თეატრალობა. ილიას თეატრალური ხელოვნება ყველაზე ურთულეს ხელოვნებად მიაჩნდა. „დრამის შექმნა,—წერს ილია ერთ თავის რეცენზიაში,— დიდად ძნელი რამ არის. დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტისმეტი მკრელი, მეტისმეტი მხილავი ნიჭი უნდა, მეტისმეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რამ მიჰფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვიან და, რომელიც იმოდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვეელინება, რამოდენადაც უფრო ახლოს მიუვალთ. ამიტომაც დრამის შექმნა, — განაგრძობს ილია,—ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი, თუნდ ნიჭიერიც, ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს" (ტ. 4, გვ. 202).

ვინ იტყვის, რომ ილიას არა ჰქონდა ბუნებრივი ალღო, ბუნებრივი სიყვარული ხელოვნებისადმი. მაგრამ პიესების საწერად მაინც ვერ „შეჰმართა ხელი". ილია უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის ნიჭს. იგი არა ჰგავდა იმ მწერლებს, რომელთა თეორიასა და შემოქმედებას „შუა დიდი ჭღვარი ძევს". მისი თეორიული მსჯელობა და შემოქმედებითი პროდუქცია საოცრად ემთხვევა ერთიმეორეს. მიუხედავად ამისა ილიას პიესები არ დარჩა, იგი გაურბოდა შემოქმედების ამ დარგს, მაგრამ ვერ გაექცა ნატო გაბუნიას ხიჭს...

5. ნატო გაბუნია მაჭანკლის როლში

ჩვენს ლიტერატურაში მაჭანკლის სახე პირველად გამოიყენეს შემდეგმა მწერლებმა: ზ. ანტონოვმა („მე ქინდა კნეინა გავხდე"), ლ. არდაზიანმა („შორჩილი"), ბარბარე ჯორჯაძემ („რას ეეძებდი, რა ეპოვე"), ილია ჭავჭავაძემ („კაცია-ადამიანი"), რაფიელ ერისთავმა, გაბრიელ სუნდუკიანმა და ბევრმა სხვამ, მაგრამ ყველაზე ტიპიური და ეშხიანად ამეტყველებული მაინც ა. ცაგარლის „ხანუშა" დარჩა ჩვენს რეპერტუარში!

მერე რა მადლიანად ასრულებდა ამ როლს დალოცვილი ნატო გაბუნია!

ნატო გაბუნიას გენიალური ტლანტი ახარებდა და აამაყებდა გენიალურ ილიას. ნატო გაბუნია იმ დროს მოევლინა ქართულ სცენას, როდესაც თეატრალური რეპერტუარი ისევ და ისევ ძველი პიესებით განისაზღვრებოდა. „დროება" წერდა, 25 წელი გავიდა გიორგი ერისთავის თეატრის შემდეგ და დღესაც „გაყრას" და „მზის დაბნელებას" ვთამაშობთო. დ. ერისთავმა, როგორც მუდმივი დასის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა, სცადა ამ ხარვეზის ამოვსება: მუდმივი დასის დაარსებამდე მან ფრანგულიდან გადმოთარგმნა ერთი მკრთალი კომედია: „გეო, მინას და კამპანია". გაბუნიამ ამ პიესაში ითამაშა მინასას ცოლის როლი 1879 წელს, 21 მარტს. ეს იყო მისი დებიუტი, ამ დღიდან გადაწყდა ნატოს ბედი, ყველა გრძნობდა, რომ მოდის დიდი არტისტი, ზღაპრული ფასკუნჯი, რომელიც ძველი პიესების ოქროს გალიაში ვერ მოემწყვდეოდა.

მაგრამ პიესების სიღარიბე მაინც ნათელი იყო:

„ჰკიდე ისევ კალამს ხელი,
სწერე ბწერლის ჰაპანია,
როდემდისინ დავიძახოთ:
„გეო, მინას, კამპანია".

ასეთი საახალწლო მილოცვით მიეგება ასიკო ცაგარელი დაით ერისთავს.

ვ. აბაშიძის, მაკო საფაროვის, ნატო გაბუნიას და კოტე უიფიანის ნიჭით შთაგონებული მწერლები ჰქმნიან ახალ-ახალ პიესებს, მაგრამ ამ ტურნირზე მხოლოდ ასიკო ცაგარელმა გაიმარჯვა. ისტორიამ მხოლოდ მას მიაკუთვნა პირველი დრამატურგის სახელი გიორგი ერისთავის შემდეგ, მაგრამ მაშინდელი დუხჭირი ცხოვრების პირობების გამო, ა. ცაგარელი ჰკეცავს ნაადრევად გაშლილ

ფრთებს და ლუკმა პურის საძებნელად შედის რკინიგზის სამსახურში (ჯერ ქურდამირში იყო სადგურის უფროსად, მერე ჭალადიდში... ერთი სიტყვით, იმ ჭაობიან ადგილებში გზავნიდნენ, სადაც არც ერთი ადამიანი არ მიდიოდა სამუშაოდ).

ქართული რეპერტუარის ნაკლებობა იმდენად საგრძნობი იყო, რომ ვასო აბაშიძემ 1881 წელს სცენიდანაც კი წარმოსთქვა ასეთი მონოლოგი:

„...აქტიორი მთელი წელიწადი იმასა ფიქრობს, კარგი ბენეფისი გამართოს და საზოგადოება დააკმაყოფილოს, ხომ მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაშია ჩვენი დრამატიული ლიტერატურა. გაჰქექ-გადმოჰქექ და ვერას იპოვი. ან ისეთი უაზრო პიესებია, რომ მათი ყურება კაცს შეაწუხებს. ჩვენ, ვოდევილების არტისტები ვართ... შარშან არ იყო, რაღაც ეშმაკად, „ყომარბაზის ცხოვრება“ წარმოვადგინეთ, ისეთი დრამა გამოვიდა, რომ კინაღამ ფერდების ანთება მოუვიდა მაყურებელს სიცილისაგან... მიხვალ რაფ. ერისთავთან, დაელრიჯები, ერთი პიესა დამიწერეო, ან გადმომიკეთეო, მაგრამ დალოცვილს, როგორც პოეტს, თუ გული არ მიუდის, ხელსაც არ ახლებს პიესას. მერე გინდა მიხვიდე ივანე მაჩაბელთან, მაგრამ „ბუნტის“ შემდეგ, როგორღაც გულგრილად გვიყურებს. მიხვალ დ. ერისთავთან და პიესას რომ გაუხსენებ, მაშინვე გაშლის ხელებს და დაიყვირებს—რა დროს პიესებია, ვერა ხედავ ამ ტელეგრამებმა ლამის დამადნოს, რა თქვენთვის მცხელაო. აკაკი წერეთელთან რა პირით მიხვალ*; ბოლოს აიღებ ქუდს და გასწევ ანჩისხატის-უბნელთან [პ. უმიკაშვილი.—ი. გ.] მიხვალ, დაუკაკუნებ ძველებურად ალაყაფის კარებს, ახვალ აივანზე, შესჩივლებ შენს მდგომარეობას, ის კი გიუბნება, „ახლა მაგდენ ჯამაგირს რომ იღებ, ცოტას ვერ გადასდებ რომ წიგნი დაბეჭდო რამეო? თქვენ, შვილებო, უკაცრაული მოხსენებაა, შარლატნები და მალჩიშკები ბრძანდებით. ორი სიტყვა ვერ დაგისწავლიათ ზეპირად... შენ არ იყავი რომ ჩემს პიესაში „შუქის მაგივრადა „ბუქს“ ამბობდი?.. გირჩევ, ბენეფისის მაგივრად „არსენას“ ლექსი გამოსცეო“... („თეატრი“, 1887 წ., № 11, დ. ერისთავის ინტერმედია).

---

* აკაკი წერეთლის „პატარა კახში“ მსახიობს უნდა ეთქვა თურმე: „თუმცა უდროოდ დაგვისნეულდა, ბატონი მეფე თეიმურაზი“ ნაცვლად ამისა, როლის უცოდინარს მსახიობს, უთქვამს: „თუმცა უდროოდ დაგვეორხულდა ბატონი მეფე თეიმურაზი“ აკაკი გაჯავრებულა: „არა, შვილოსა, თქვენ პიესებს აღარ მოგცემთ, მეფეებს მიორსულებთო“. (შდრ „საბჭოთა ხელოვნება“, 1935 წ., № 5 გვ. 65. მსახიობ იუზა ხარდალიშვილის მოგონება).

ი. გ.

აი, ამ მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი არტისტები... მაგრამ უფრო მეტ ტანჯვას განიცდიდა ნატო გაბუნია. ნატო გაბუნიას ნიჭი ბრწყინავდა და ფეთქავდა, იმდროინდელი რეპერტუარი ვეღარ აკმაყოფილებდა, მისი დიდი ნიჭი ვიწრო ჩარჩოების გარღვევას ლამობდა, ძველი პიესები მოინარიკლა. ახალი პიესები არა ჩანდა. როგორც თეატრალური მასალებიდან ირკვევა, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ნატო გაბუნიას არ დაუტოვებია არც ერთი მწერალი, რომელთანაც არ მისულიყოს და იასაულივით თავზე არ დასდგომოდეს: ბენეფისისთვის რამე დამიწერეო! აკაკი წერეთელი წერს: „გაბუნიას საბენეფისოდ დანიშნული პიესა, საფაროვ-აბაშიძის ქალის ავადმყოფობის გამო, გადაიდო... მე ახალგაზრდა ნიჭის ყოველთვის თანამგრძნობი ვიყავი და გაბუნიას დაღონებამ მეც შემაწუხა. დავჯექ იმ ღამესვე და გათენებამდე დავწერე „კინტო“, სადაც ერთი ქალის მეტი არ არის საჭირო“... და ამ ერთ ქალსაც მშვენივრად ასრულებდა ნატო გაბუნია; კინტოს „ტანისამოსში გამოწყობილი ნატო“ განსაკუთრებით კარგად მღეროდა ამ პიესაში ჩართულ აკაკი წერეთლის ქალაქურ ყაიდაზე დაწერილ ლექსებს:

საყვარლისა ეშმაზედა
ღვინო დამილევია...
მის ხვევნა-სიყვარულში
სულიც დამილევია!..

ან კიდევ—

ერთი კინტო მეცა ვარ,
საყვარელი მეცა მყავს,
ის სულ სხვა ვარდი არის.
სხვის საყვარლებს არა ჰგავს.

საზოგადოდ უნდა ითქვას, ნატო გაბუნიას ბადალი არა ჰყავდა ქართული ხმების პოპულარიზაციის საქმეში. ი. დავითაშვილმა ნატო გაბუნიას, როგორც მომღერალს, ასეთი მუნასიბი უძღვნა:

„დაო, ღმერთმა გადღეგრძელოს,
რო ბრძანდები ნიჭიერი;
დაამღერე გრძნობით ბონგურს
ეგ შენი ხმა მშვენიერი.
მაგ შენი ხმით გაამხნევე
[დაჩაგრული ჩვენი ერი,]*
უთხარ გმირო ნუ შეშინდი,
დრო მოგიდის ბედნიერი“.

---

* ეს სტრიქონი დავითაშვილის წიგნში ამოგდებულია, ალბათ ცენზორის მიერ და წერტილებია დასმული. ბოდიშს ვიხდი დავითაშვილის აჩრდილის წინაშე, რომ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სტრიქონი ჩვენ ჩავწერეთ, ორიგინალის შეუმოწმებლობის გამო, ჩვენ მიერ არის შეთხზული (ვფიქრობ, ასე ეკნებოდა ავტორს).

ო. გ.

ჩვენს ბიბლიოთეკაში დაცულია „გრამაფონის ფირფიტების ძველი კატალოგი“, საიდანაც ირკვევა, რომ ნატო გაბუნიას ჰქონია ექვსი სიმღერა გრამაფონში ჩანამღერი. ესენია: ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ბესიკის, ილიას და აკაკის სიტყვებზე ჩაწერილი ქართული ხმები: „სულო ბოროტო“, „რაც შენ გამშორდი“, „ლოთებო ნეტავი ჩვენა“, „გაზაფხული“, „ნანა“ და „ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ“.*

აი, რას წერს ერთი კორესპონდენტი ბათუმში გამართულ ქართული საღამოს შესახებ: „ხალხს ვოდევილებისაგან სევდიანი ღრუბლები გადასწმინდა ნ. გაბუნიას ქალის ქართულ ტანისამოსში დაირის ჟღრიალით გამოჩენამ. თითქმის ყველას სახეზე ალმული იყო ანთებული და ყველა მოუთმენლად ელოდა ხმის გაგონებას, იმ წამს ბევრი იმას ნატრობდა, რომ ორი თვალის მაგიერ ათი თვალი ჰქონოდა და ორი ყურის მაგიერ ოცი ყური. ოჰ, რა ხმა იყო ის მშვენიერი ხმა, რომელმაც პირველსავე ამოშვებით ბევრის გონება უგრძნობლად გაიტაცა „სუბუქ ფრთით.“ „ბრავოს“ ძახილს და ტაშის კვრას ყურები ჰქონდა წაღებული, იქამდი აიტაცნენ ზოგიერთები, რომ უკანასკნელი მადლობის თქმისათვის ადგილებიდან წამოხტნენ და სცენაზე მიიჩქარენ... ხალხი დიდი მადლობით დაბრუნდა წარმოდგენიდან. ეს კმაყოფილება და მადლობა გაბუნიას ქალის მშვენიერი ხმით ნათქვამ სიმღერას ეკუთვნის...“ („დროება“, 1879, № 149).

ნატო გაბუნია ყველას ემუდარებოდა: ერთი ჩემი ამპლუის შესაფერი პიესა დამიწერეთ, ბენეფისში მინდა დავდგაო, მაგრამ მაშინდელი დრამატურგები თითებზე დაითვლებოდა. რა უნდა ექნა! სამაგიეროდ ჩვენი მსახიობი ქალი, სიმღერაში აქსოვდა თავის დიდ არტისტულ ნიჭსა და ენერგიას.

დ. კლდიაშვილიც იგონებს ნატოს მუდარას: „ნატო გაბუნიამ მთხოვა პიესა. მის საბენეფისოდ, შევთავაზე „დარისპანის გასაჭი-

---

* კარგი იქნება თუ ვისმეს მოეპოვება ნატო გაბუნიას სიმღერების ფირფიტები ან მოგვცემდეს, ან დაგვითმოს ასლის ასაღებად. მე ამ 40 წლის წინათ „სახალხო ფურცელში“ (1916 წ., № 541), წერილიც მქონდა დაბეჭდილი, სადაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ვურჩევდი ქართველი მოღვაწეების მიერ ჩანაწერი ფირფიტების შეძენას და შენახვას! რად უნდა დაიკარგოს ხმები ძამსაშვილ-ცამციევისა, ერქომაიშვილებისა, დუმბაძეებისა, სანდრო კავსაძისა, იობიშვილისა, ია კარგარეთელისა, კაჩახმაძისა, დათიკო ფალავანი, ჯანო ბაგრატიონის დედისა (ამირაჯიბის ასული), შესანიშნავი ტენორის მქონე „ბაგრატიონი“, ვასო აბაშიძისა, ვანო სარაჯიშვილისა, აკაკისა, ნ. გაბუნიასი და სხვა?

რი". პიესა წაკითხულ იქმნა პართენ გოთუასას. მოწონებულიც მაგრამ ნატომ არ დადგა. მართალ როლი არ მოეწონა". *

კოტე მესხმა „მელანიას ოინები" სულ რაღაც ათ დღეში გადმოაკეთა ჰაუპტმანის პიესიდან („Бобровая шуба"). ხელნაწერ პიესას აწერია: „ეუძღვნი ნატო გაბუნიას, 1902 წ. 20 დეკემბერი. კ. მესხი". „მელანიას ოინები" პირველად დაიდგა ნატო გაბუნიას საბენეფისოდ 1903 წ. 23 იანვარს. ამ პიესაში პაულე მედროგეს, მის ცოლს მელანოს და მიკიტან არუწას როლებს შესანიშნავად ასრულებდნენ: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია და დავით აწყურელი.

ბენეფისის დრო მოახლოვდებოდა თუ არა, ნატო გაბუნია, გაფაციცებით დაეძებდა ახალ პიესას... თუ სათანადო პიესა არ აღმოჩნდებოდა, მაშინ თვითონ თხზავდა ასეთს; ერთი მისი პიესა „დედაკაცის ბრალია" ოპერის თეატრშიც გავითამაშეთ 1907 წ. 15 თებერვალს. ნატოს კალამიც უკრიდა: გაზ. „დროებაში" დაბეჭდილია მისი რამდენიმე სცენა სოფლის ცხოვრებიდან (იხ. „დროება", 1883 წ., № 37), ხოლო ბავშვობაში ლექსების წერის ნიჭსაც არ იყო მოკლებული**.

ასიკო ცაგარელი ხომ ნატოს ნიჭს მხსნელად მოევლინა. მათი შეუღლების შემდეგ (1882 წელს იქორწილეს) ჩვენს დრამატურგს, არ დაუწერია ისეთი პიესა, სადაც მთავარი როლი ნატოს არ შეესრულებინოს. „ყოველ წელიწადს, ბენეფისის დროს მე გულდამშვიდებული ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ ასიკოს ჩემთვის ახალი პიესა მომზადებული ექნებოდაო" — იგონებს ნატო გაბუნია.

---

* მართლაც: ნატო გაბუნიას საბენეფისოდ 1904 წლის 2 თებერვალს უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო „დარისპანის გასაჭირიც", მაგრამ ამ პიესის ნაცვლად. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში იყო გამოცხადებული, წარმოადგინეს ა. ცაგარლის „მათიკო"-ს მესამე მოქმედება (იხ. „ც. ფ.", 1904 წ., № 2399).

** უფლებას ვიტოვებ „ჩემს თაეგადასავალში" უფრო დაწვრილებით შეეხო ნატო გაბუნიას მოღვაწეობას ქართულ სცენაზე.

ნატოს თავიდანვე საზოგადოებაში ისეთი ღრმა სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული, რომ ყველა დიდად აფასებდა მასთან შეხვედრას და გამოლაპარაკებას. ეს სიყვარული იქამდე მიდიოდა, რომ მისი თამაშით აღფრთოვანებული მაყურებელი არამცთუ დაუცხრომელი ტაშით აჯილდოვებდა მის ყოველ გამოსვლას,—მორიდებით შესცივებდნენ თვალებში და, ზოგიერთი მისი ნაცნობი მაყურებელი, იმასაც კი ნატრობდა, რომ ნატოს სცენიდან შეემჩნია, მისალმებოდა და ერთი პატარა ღიმილი იმისთვისაც გაემეტა. არა ერთი და ორი ბარათი მოიპოვება ნატოს ჯაღლდებში, სადაც საყვარელ მსახიობისადმი ასეთი ხვეწნაა გამოთქმული: „ნატო, მე თავი ცალკე დამიკარი" (ელენე), „მეც დამიკარი!" (მიხაკო მღვდლიეი!) და სხვ.

სრულიად ახალგაზრდა ნატო გაბუნიამ აამოძრავა ილიას „ჩვეულებრივი სიზარმაცეც“ (ილიას გამოთქმაა) და თავის საბენეფისოდ სცენისათვის გადააკეთებინა „კაცია ადამიანი“. ეს გადაკეთება მხოლოდ და მხოლოდ ნატოსთვის მოხდა. პიესას დაერქვა „მაჭანკალი“; ნატო გაბუნია, რა თქმა უნდა, მაჭანკლის როლს ბრწყინვალედ შეასრულებდა. ეს ასეც მოხდა. ნატოს ამპლუა ამ პიესით დაკანონდა. საინტერესოა „დროების“ რეცენზია (ამ წელს „დროების“ ერთი რედაქტორთაგანი ილიაც იყო). ნაკლოვანება დაეტყო „მაჭანკალს“,—წერდა „დროება“ ილიას პიესაზე,—პირველ მოქმედებაში ბევრი კარგი სიტყვები, კარგი ლაპარაკია, მაგრამ ეს ერთი, რომ ეს ლაპარაკი ერთობ გრძელი, გაუთავებელი გამოვიდა და მეორეც, სრულიად არაეითარი მოქმედება, მოძრაობა არ იყო. ამ მიზეზის გამო, პირველი მოქმედება „მაჭანკლისა“ მაყურებლისთვის მოსაწყენი შეიქნა, მაგიერად მეორე მოქმედებამ ისე ჩინებულად და ცოცხლად ჩაიარა, რომ პირველისაგან მოგვრილი ძილი სრულებით დაგვიფრთხო... მშვენიერი, ნამდვილად ხელოვნურად გამოხატა ჩვენებური მაჭანკლის ტიპი მობენეფისემ, ამგვარ საქმეში, მოგეხსენებათ, გაბუნიას ქალი ნამდვილი არტისტია“ („დროება“, 1881 წ., № 113).

თუ პიესა „მაჭანკალი“ სუსტი გამოდგა, მან ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა: სტიმული მისცა ახალგაზრდა დრამატურგს ა. ცაგარელს, რომ მას დაეწერა თავისი უკვდავი კომედია „ხანუმა“, რომელიც პირველად 1882 წლის პირველ დეკემბერს წარმოადგინეს იმავე გაბუნიას საბენეფისოდ*.

ილიას „მაჭანკალში“ ბევრი ახალი შტრიხია. აქ უფრო ცალკე სცენებია, ვიდრე სრულყოფილი კომედია თავისი მოულოდნელობით და ხლართით. „მაჭანკალში“ მშვენივრად არის გამიზნული ცალკე პირთა წასიათი, რომლის გამოძერწვა ასე ეხერხებოდა „გლახა ჯრიაშვილის“ ავტორს.

პიესაში ორი მოქმედი პირია გამოკვეთილი და ტიპიური: მოსე გძელაძე, რომელიც მაჭანკალზე უფრო მოხერხებული და ჭკვიანი

---

* ასიკო ცაგარელმა ნატო გაბუნიას შემდეგი ბენეფისისთვის ხელი მოჰკიდა ილიას „კაცია ადამიანის“ გადაკეთებას. გადაკეთა კიდეც 1885 წელს, 10 იანვარს. პიესას ეწოდა: „მკითხავი“, („მკითხავი“ კომედია-ფარსი 3 მოქმედებად ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდგან“ გადმოკეთებული ა. ც.—გან“). მაგრამ ვერც ამ პიესამ იხეირა სცენაზე. (პირველად წარმოადგინეს 1885 წ. 23 იანვარს). „მკითხავი“ ჩვენი რედაქციით დაიბეჭდა ჟ. „მნათობში“ 1937 წ. № 5.

გამოდგება და თვით მაჭანკალი (ხიორეშანი, სუტკნეინად წოდებული). დარეჯანი სულ არ არის გამოყვანილი სცენაზე. ამით ზედმეტად მტკიცდება რომ პიესა „მაჭანკალი“ მხოლოდ და მხოლოდ ნ. გაბუნიასთვის იყო განკუთვნილი*.

ერთი სიტყვით ილიას პიესა „მაჭანკალი“, თუ არ მივიღებთ მოთხრობიდან ზოგიერთი მონოლოგების უსიტყვოდ გადმომღერებას, შეიძლება დამოუკიდებელ ნაწარმოებად ჩაითვალოს. ილია ისეთი ოსტატი იყო დიალოგების შექმნისა, რომ ეს სიტყვა-პასუხი სცენაზე თავისთავად სხლტება, ნავარდობს და მსახიობს ენის წვერზე ეკიდება. იმიტომ იყო რომ სხვა მწერლებთან შედარებით, ყველაზე მეტი ინსცენირება ილია ჭავჭავაძის მოთხრობებსა და პოემებს ხვდა წილად. ილიას დიალოგები გვაგონებს ძველ მისტერიებს, სადაც მოქმედება ნაკლებია და სჯა კი მეტი, ასეთი პიესები, როგორც ლიტერატურული ნაშრომები, ხშირად წასაკითხად იწერება. ალფრედ დე-მიუსე თავის პიესებს, რომელნიც სცენისათვის არ იყო განკუთვნილი, უწოდებდა: „წარმოდგენა სავარძელში“-ო.

ილიას მრავალფეროვან მოღვაწეობას ამ პიესით ერთი ახალი ხაზიც ემატება.

ილია ქართულ თეატრს ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბრძოლის ამოცანას აკისრებდა... იმ დროს, როცა ქართული ენა და ყველაფერი ქართული იდევნებოდა, სცენა უნდა გადაქცეულიყო ეროვნული კულტურის და თვითმყოფობის მგზნებარე ტრიბუნად. და მართლაც, დიდი ქართველი მოღვაწეების მზრუნველობით და დახმარებით, ქართული თეატრი თავიდანვე, პირველ დღეებიდანვე, ხალხის, მშრომელი ადამიანების სასიცოცხლო ინტერესების სამსახურში ჩადგა.

ილია თეატრს უყურებდა, როგორც მაყურებელზე უშუალო ზეგავლენის, მისი იდეურ-მორალური აღზრდის უძლიერეს საშუა-

---

* „ხანუმა“ იმ ბედნიერ პიესათაჯანია, რომელიც დღევანდლამდე შერჩა ქართულ სცენას. 1919 წ. „ხანუმას“ სიუჟეტზე მხიარული ოპერა შექმნა ვ. დოლიძემ (ლიბრეტო თვით კომპოზიტორს ეკუთვნის, რედაქცია—ი. გრიშაშვილს), ოპერა 1926 წელს კინოსურათად იქნა გადაღებული ა. წუწუნავას რეჟისორობით. „ქეთო და კოტე“ ეკრანზე ხელახლად გადაიტანეს და გააბმოვანეს 1948 წელს. „ქეთო და კოტე“ ამჟამად დიდი წარმატებით იდგმება—მოსკოვში, ლენინგრადში, ოდესაში, როსტოვში და ბევრ სხვა ქალაქებში.

ლებას. ილია თეატრს არასოდეს არა სთელიდა მხოლოდ უბრალო გართობის იარაღად.

ილიამ, აკაკისთან ერთად, ქართულ თეატრს ბრწყინვალე შემოქმედებითი ტრადიციები შეუქმნა, განავითარა მისი რეალისტური გზა და სცენა ხალხს დაუახლოვა.

ქართულმა თეატრმა მტკიცედ შემოინახა და გააგრძელა ილიას მიერ ჩანერგილი მოქალაქეობრივი პრინციპები. ეს პრინციპები ქართულმა თეატრმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა.

თუ ქართული თეატრი ამაყობს თავისი ხალხურობით, თავისი პროგრესული წარსულით, ამაში ერთი უპირველესი დამსახურება ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ილია ჭავჭავაძე პოეტი, ილია ჭავჭავაძე ბელეტრისტი, პუბლიცისტი, მკვირმეტყველი და სიტყვის ჯადოქარი. მისი მხატვრული საუნჯე ულეველი წყაროა ახალგაზრდათა აღსაზრდელად. იგი იმედის თვალით შესცქეროდა ახალ თაობას: „მათ ახლად აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“—უმღეროდა სამშობლოს.

ილია—რედაქტორი: ნიჭიერი ხალხის აღმომჩენი და ხელისშემწყობი, ილია—ხალხის ღირსების დამცველი, ხალხურობისა და რეალიზმის მჭადაგებელი, ილია—შებრძოლი შაჲი რეაქციის წინააღმდეგ, თავისუფალი საქართველოსათვის მეოცნებე.

1897 წელს რამდენიმე წერილი მოთავსდა მაშინდელ გაზეთებში ილიას იუბილეს შესახებ. 2 ნოემბერს, 1897 წელს დანიშნული იყო ილიას საიუბილეო კრება (დაბადებიდან 60 წლის და მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს მოსაწყობად). მაგრამ იუბილე არ შემდგარა. ილიამ უარი განაცხადა. ხმა დაირხა: ჟანდარმერიას დემონსტრაციისა შეეშინდაო...

ილიას დაბადებიდან 100 წლის იუბილე ჩვენს თაობას ერგო. და... რა სასაცილოდ გამოიყურება ის შაებნელი ხანა, როცა მეფის რუსეთის აგენტების მიერ მოკლულ ილიას მეორედ ჰკლავდნენ და გაიძახოდნენ: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ (იხ. ამ სათაურიანი წიგნი ჭუთაისში გამოცემული 1913 წელს), როცა დევნიდნენ ილიას ნაწერებს და ტუქსავდნენ იმ პედაგოგებს, რომელნიც კაკო ბღაჟიაშვილების სიყვარულს უნერგავდნენ ჩვენს მოზარდ თაობას.

ძვირფასო! კარგო! დაუვიწყარო! ჩვენო დიდო მოჭირნახულე ილიავ! სულ მაშულის აყვავებას ნატრობდი და, ჰა, ოცნება სინამდვილედ იქცა. დღეს შენი სამშობლო, თავისუფალი და აყვავებული, დღესასწაულობს შენს ხელმეორედ აღდგენას, შენს ნა-

თელ ხსოვნას და ჩვენთვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ეს სიხარული უნაპიროა.

...აჰხ, რომ იცოდე დღეს როგორ შენი,
ილიავ, აღსდგა დიდება შენი!

ერთ დროს დაშლილი და გამიჯნული,
აღსდგა მამული—შენი მიჯნური.

მორჩა, გათავდა ძველი კირთება,
შენი სახელი მეფობს, ირთვება.

გათავდა შენი ტანჯვა და ჯვარცმა,
შენ გაგაცოცხლა ფოლადის კაცმა.

1937 წ.
10 აპრილი

ალექსანდრე ყაზბეგი როგორც მსახიობი

ჩემი სურვილია ამ პატარა მონოგრაფიით გადმოგცეთ ალექსანდრე ყაზბეგის მოღვაწეობის ერთი დარგი, რომელსაც დღემდე საფუძვლიანად არავინ შეხებია. ეს არის ალექსანდრე ყაზბეგის როლი ახლად ფეხადგმულ ქართულ თეატრში. სწორედ მისი არტისტობა და ლეკურ-ჩაჩნურის თამაშობა გახდა მისთვის საბედისწერო და სწორედ აქედან წარმოიშვა ის უმართებულო და სულელური აზრი, თითქოს მეორეხარისხოვან მსახიობს და ხანჯლებით ბოცვეცაობას არ შეეძლო ისეთი მაღალნიჭიერი მოთხრობების შექმნა, როგორიც არის „ელგუჯა", „მამის მკვლელი", „ხევისბერი გოჩა" და რომელთა წაკითხვის შემდეგ თვით სიტყვაძუნწმა გრიგოლ ორბელიანმა აღტაცებით შეჰყვირა: „ქართველების ჰომიროსი ხარ, შაბაშ!"

ვინ იყო ამ სუტლეგენდის შემქმნელი? ეს იყო ელისაბედ ყაზბეგი, ალექსანდრეს ბიძაშვილი, რომელმაც სანდრო ყაზბეგის გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შემდეგ, თავის საკმაოდ კარგი სტილით დაწერილ მემუარებში* „აღიარა", რომ ალექსანდრეს ნაწერები ჩემს ძმას დიმიტრის ეკუთვნისო! რა ვუყოთ მერე? ერთ დროს ბეკონმა და რეტლენმა უილიამ შექსპირსაც ახალი თანაავტორები გამოუძებნეს და „ამტკიცებდნენ", რომ შექსპირი შექსპირი არ არისო, გიოტეს „ფაუსტიც", კი ლესინგს მიაწერეს (იხ. „Натан мудры"), ეითომდა ყაზბეგი ეისზე ნაკლები მწერალია, მოდი ამასაც გამოუძებნოთ სხვა ავტორიო! ამაზედ ბევრი დაიწერა, მაგრამ ყაზბეგის დამცველებს გამორჩათ ერთი პატარა ცნობა, რომელსაც ამასწინათ წავაწყდი ერთ ძველ ჟურნალში და საიდანაც ირკვევა, რომ ალექსანდრეს კი არ წამოუღია დიმიტრის ქაღალდები, არამედ, პირიქით, ელისაბედ ყაზბეგს ჰქონია ალექსანდრეს არქივი. აი, ეს ცნობაც:

* იხ. ჟურნ. „მნათობი", 1924 წ. № 5 7-8 1925 წ., № 1, 3, 4, 8-9, 10, 11, 12; და 1926 წ., № 1.

„ამ დეკემბრის ათს, — ასე გვაუწყებს ჩემმიერ გამოტანილი დოკუმენტი,—შესრულდა თერთმეტი წელიწადი, რაც ჩვენი ნიჭიერი პელეტრისტი გარდაიცვალა. ამ დღის აღსანიშნავად აქ ვათავსებთ ჯერ არსად დაბეჭდილს მის სურათს მეცხვარის ტანისამოსში და აგრეთვე მის მოთხრობას—„პაწია გმირი“. ეს დაუსრულებელი მოთხრობა გადმოგვცა,—სწერია ხსენებულ ჟურნალში,—განსვენებულის ყაზბეგის ბიძაშვილმა ელისაბედ ნიკოლოზის ასულმა ყაზბეგმა, რომელსაც ეს ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერში უპოვნია (ხაზი ჩემია—ი. გ.) და რომელიც ჯერ არსად არის დაბეჭდილი. მალე დავბეჭდავთ ალექსანდრეს ხელნაწერებიდან დასურათებულ „ზღაპარსაც“.*

რა ირკვევა აქედან? ერთი რამ ცხადია: ელისაბედი და ალექსანდრე, როგორც ნათესავები, ძლიერ დაახლოვებული ყოფილან ერთმანეთთან, ელისაბედ ყაზბეგს ხელთ ჰქონია ჩვენი ალექსანდრე ყაზბეგის ბელეტრისტული ნაწერები, რომელსაც ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, ნელინელ აქვეყნებდა (გაიხსენეთ ზემორემოყვანილ სარედაქციო ამონაწერიდან ბოლო აბზაცი: მალე დავბეჭდავთ აგრეთვე ალ. ყაზბეგის ხელნაწერებიდან „ზღაპარსაც“).**

რასაკვირველია, ჩემთვის ეს წინადაც გამორკვეული იყო, რომ ალექსანდრეს ნაწერები ალექსანდრეს ეკუთვნოდა და არა სხვა ვისმეს... მაგრამ რა საჭირო იყო ამდენი თავის მტერება? ეს პატარა ცნობა კი, თვით ელისაბედის-მიერ თქმული, ზედმეტად ამტკიცებს ალექსანდრეს ალექსანდრობას და ჰფანტაზის იმ ჭორებს რომლის პირველი და უკანასკნელი ავტორიც ელისაბედ ყაზბეგი იყო!

მაგრამ, ეს სხვათა შორის... დავუბრუნდეთ ჩემი წერილის თემას: ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც მსახიობი, დრამატურგი და პოეტი***.

*

„ვინ არ ყოფილა მიჯნური, სახმილი ვის არ სდებიან“—ამბობს შოთა. ერთი ამისთანა სცენის მიჯნური ალ. ყაზბეგიც გახლდათ!

---

* იხ. „ჯეჯილი“, 1904 წ., № 12.

** რედაქციამ დაპირება შეასრულა და ამავე ჟურნალის შემდეგი წლის ნომრებში მოათავსა ელისაბედ ყაზბეგის მიერ აღმოჩენილი ალექსანდრე ყაზბეგის „ხელნაწერებიდან“ ზღაპარი „მეფის რაში“ („ჯეჯილი“, 1905 წ.. № 5, 6). ის ამბავი, რომ ელისაბედ ყაზბეგი ბეჭდავდა ალექსანდრე ყაზბეგის დაუბეჭდავ მოთხრობებს, ამის შესახებ, მას თავის მემუარებში არაფერი აქვს ნათქვამი. დააეწყდა?

*** ეს განარკვეა,—„ყაზბეგი თეატრში“,—მოხსენების სახით წაკითხულ იქნა 1944 წ. 1 ივლისს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში, ფრონტელთა ოჯახების სასარგებლოდ გამართულ საღამოზე.

ყოველი მწერალი თითქოს ვალდებული იყო თავისი ხარკი თეატრისათვისაც ეძღია, არა როგორც მარტო დრამატურგს, არამედ როგორც მსახიობსაც. ილია ჭავჭავაძეს „მეფე ლირში“ კენტის როლი უთამაშნია, აკაკი წერეთელს მოლიერის „სკაპენის ცუღლუტობაში“—ჟერონტის როლი. ვაჟა-ფშაველა „ხევსურთა ქორწილში“ ხინჩლა ლაფაჩის როლს ასრულებდა.

ა. ყაზბეგი 1880 წლამდე უჩინარი ადამიანი იყო. იგი მაშინ გამოჩნდა ჩვენს საზოგადო ასპარეზზე, როცა ერთი მუჭა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მუდმივი ქართული თეატრის საფუძვლის ჩაყრაზე ოცნებობდა. ეს მოხდა 1879 წელს. მუდმივი დასის სეზონი გაიხსნა შემოდგომაზე ბარბარე ჯორჯაძის პიესით „რას ვეძებდი, რა ვპოვე!“, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგს 1880 წლის დასაწყისში ვხედავთ ქართულ სცენაზე... ასე რომ, „მოხევე“ ა. ყაზბეგის სახელი მუდმივი ქართული თეატრის ჩასახვასთან არის დაკავშირებული.

ა. ყაზბეგმა ჩვენი მწერლობის ალაყაფის კარები პირველად ლექსებით შემოაღო! 12 წლის იყო, როცა მისი პირველი პოეტური ნაწარმოები „ცისკარში“ დაიბეჭდა. აი, ეს ნიმუშიც:

ნანა მიხეიც გიორგის-ძე ყაზბეგზე

ნანა ჩემო მიხაკო; ედემისა იაო,
დღეგრძელობით აღივსე, ჩემო პაწაწინაო,
მსურს გიხილო მლხინარე, ჩემ საამოდ მცინარე,
მეც დაგირწევ კაკანას, თუ დედა გყავს მძინარე.
საყვარელო მიხაკო, გულით მსურს რომ იხარო,
აღორძინდე, გამრავლდე და მეც ამით მახარო.
შენ ხარ ჩვილათ ხმობილი, სტეფან-წმინდას შობილი;
ანგელოზთა დასთაგან ჩვენთან გადმოფრენილი.
ალექსანდრემ აღმოვსთქვი ესე შენი ქებანი,
ამაზედ უმჯობესი არა მაქვს შეძლებანი.
თორმეტი წლის ყმაწვილმა ესე ნანა მოგიძღვენ,
თუ ღმერთი შემეწევა, უკეთესსა მოისმენ. *

ყაზბეგის დედა თარხნიშვილის ქალი იყო, ქართლელი. კარგად იცოდა ჩვენი ძველი ლიტერატურა და მშვენიერი სასიმღერო ხმა ჰქონდა. ა. ყაზბეგის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ამ ჩინებულ მანდილოსანს ალ. ჭავჭავაძის მუხამბაზები ზეპირად სცოდნია. 12 წლის ყაზბეგიც ამ გავლენას განიცდის და ზემორე პატარა

* „ცისკარი“, 1861 წ., № 12, გვ. 325.

ლექსიც, ყაზბეგისათვის უჩვეულო წყობით, მუხამბაზის ზეგავლენით არის თქმული. „თუ ღმერთი შემეწევა უკეთესსა მოისმენო“, ასე თავდება ეს ლექსი და, მართლაც, ლექსების თხზვა ა. ყაზბეგს სიკვდილამდე არ მიუტოვებია. მის ლექსებში აღსანიშნავია „გუთნის დედა“:

„გუთნის დედა ვარ, მუდამ ვხნავ, ძილი არ მომდის თვალხედა,
ერთის ხელითა რომ ვოესავ, მეორე მიდევს ხმალხედა,
ნისლასთან ერთად უღელს ვწევ, ჭედსა სპრის, დადის ძვალხედა,
ვერ იქნა, ფეხზედ ვერ დავდექ, ვალი დამედო ვალხედა,
ბევრჯელ შევები უღელში, გავწიე ძალის ძალხედა,
ვერ იქნა, ვერსად შევაგდე გუთანი თავის კვალხედა“.

ეს მეტად საინტერესო ლექსი ბოლოს იმით თავდება, რომ გუთნის დედა მაინც შეაგდებს გუთანს თავის კვალზედ. ამ ლექსის ყოველი რეფრენი ასე თავდება:

უღელო, აჰა კისერი,
მე გაგწევ ძალის ძალზედა,
სულს დავლევ, მაგრამ შევაგდებ
გუთანსა თავის კვალზედა.

ამ სიმბოლიურ ლექსს სანდრო ყაზბეგი სცენიდანაც კითხულობდა... რასაკვირველია, მისი ლექსები ვერ გაუტოლდება მის პროზას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ჟანრი ყაზბეგის შემოქმედებაში ხელაღებით იქნას გატყორცნილი. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი, აწ გახალხურებული, ლექსი მეფე ერეკლეს სიკვდილზე:

არ გეჯერებათ, ქართველნო,
შეგვებსნა რკინის კარია,
აღარ გვყავს მეფე ერეკლე
ბაგრატიონთა გვარია,
გაგვშორდა ჩვენი პატრონი,
ჩამოგვეცალა მხარია,
მთავ ბუმბერაზო, ატირდი,
აღარ გვყავს ლაღი ხარია,
ცასაც კი შაჲი ჩაუცომს
მოჰქუხს, დგრიალებს ქარია და სხვ. *

* ალექსანდრე ყაზბეგის ეს ვრცელი ლექსი დაბეჭდილია ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში“ 1892 წ. და 1893 წ. ხოლო ხალხური ლექსი, რომლის დასაწყისიც ენათესავება ალ. ყაზბეგის ლექსს, პ. უმიკაშვილმა გამოაქვეყნა ჟ. „კრებულში“ (1872. № 8—9).

ალ. ყაზბეგს დარჩა ძლიერ ბევრი გამოუქვეყნებელი ლექსი, ხორიათას სტრიქონამდე, რომელიც გვხიბლავს თავისი შინაარსის უშუალობით და გვათრობს მთის ხალხური სურნელებით. ხევის შაირის სიანკარე პირველად ა. ყაზბეგმა შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში. შაირული, მიჯრით მიყოლებული რითმა, პირველად ყაზბეგმა დაარხია მთის პოეტებს შორის. 1886 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მისი და მის მიერ შეკრებილი „მოხევეთა ლექსები". ეს იყო პირველი წიგნი, რომელშიაც ერთად თავმოყრილად ჩანდა მთის ფოლკლორი. „ივერია" წერდა: „პირველად ვნახეთ და მოვესწარით ცალკე წიგნად დაბეჭდილ ხალხურ ლექსებსო". (1886 წ., 237), ყაზბეგმა თავის ლექსებში აამეტყველა მთის ამაყი სული. მისი ყოველი სტრიქონი გამთბარია დიდი შინაგანი ცეცხლით, თავისებური გულუბრყვილობით და მამულისადმი უანგარო სიყვარულით. როგორ ბრწყინვალედ გაისმის ალ. ყაზბეგის ეს პატარა დიალოგი „მთასა" და „მთიელს" შორის:

მ თ ი ე ლ ი: მთაო, მომბედე, შევწუხდი,
გულს ზეცამ აღარ უდარა,
ვეხვეწე მტერსა, დამჩაგვრელს,
არ შეისმინა მუდარა!

მ თ ა: კისერში წაჰკარ, ძუნძულით
გადაატარე ბიდარა. [ბიდარა: უღელტეხილი—ი. გ.]

მ თ ი ე ლ ი: ბევრი ვეწვალე, მეცადე
და არა გამოვიდა-რა,
მშობელს მანდილი მოხადა,
აფორიაქა დუდარა.

მ თ ა ხმალი ჰკარ! შუა გაჰკვეთე,
ჩააცმევინე სუდარა,—
თოოემ მტერს გულით აცინებს
ჩვენი ხვეწნა და მუდარა.

ან აიღეთ ეს მეორე ლექსი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ გამოვიტანეთ გაზეთის ფურცლებზე.

მონათლული ვარ, ნუ მნათლავ!

ძმად მოწვეულო, რადა მტრობ,
აგრემც კი გენაცვალები,
რაცა ვარ, ასე დავრჩები,
შენთვის ვერ დავიკვალები.
მოწვეული ხარ მეჯლისად,
ჰა, ბინა მოსალხენადა,
არ კმარობ! გინდა შემკახო
გამხადო საჯდომ ცხენადა!

ძმად მოწვეულო, ძმა გყევარ,
რისთვის მიწამლავ გუნებას?
რაც გინდა ძალზე ეწვალო,
ვერ შესცვლი მთისა ბუნებას.
მეც მთის შვილი ვარ! იმისი
ნამტვრევი, ნაბერწკალია,
მთა ხან მოგარო, ხანაცა
გაშალო,—განა რკალია?
რას გეტყვი, ყური დამიგდე,—
მთლად გადაიქეც სმენადა,—
მონათლული ვარ, ნუ მწათლავ,
თუ გინდა დავრჩე შენადა. *

რაც შეეხება ყაზბეგს, როგორც დრამატურგს, მან ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს განიზრახა შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ თარგმნა. ილია ჭავჭავაძის ცნობით: ყაზბეგი ჯერ კიდევ 14 წლისა ყოფილა, როცა ილიასთვის წარუდგენია თავისი კომედია „აღმზრდელები“, ხოლო მუდმივი თეატრის ჩასაბჭის დროს, 1879 წელს, ყაზბეგს მთელი ხურჯინი პიესები ჩამოუტანია სოფლიდან ახლად ფეხადგმული თეატრის მესვეურთათვის იმ იმედით, რომ ახალგაზრდა ქართველი ეროვნულ საქმეს აკეთებდა! უნდა ითქვას, რომ იმ ხანებში ქართული თეატრი დიდ კრიზისს განიცდიდა ორიგინალური პიესების მხრივ. ისეთი მაღალნიჭიერი მსახიობები, როგორებიც იყვნენ ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი და კოტე მესხი—თავიანთ ჩრდილ ქვეშ იკუმშებოდნენ. არ იყო პიესები, სადაც ფრთების გაშლა შეეძლოთ. აი ამ დროს მოდის ალექსანდრე ყაზბეგი და თავის 21 პიესას აწყობს რეჟისორის დაზგაზე. 21 პიესა! ეს ხომ მთელი აღმოჩენა იყო ახალი თეატრისათვის? მაგრამ როგორ მოექცნენ უიღბლო ავტორს, რომელიც ქართული კულტურისათვის იღვწოდა და იწოდა? სჯობია ისევ თვით ალექსანდრე ყაზბეგი ვალაპარაკოთ. აბა დაუგდეთ ყური მისი დღიურის ფურცლებს: „1874 წელს მე ვიყავი თბილისში, სადაც გახშირებული ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ასევე იყო მიზეზი, რომ თითო ოროლა სპექტაკლებიც დიდი გაჭირვებით იდგმებოდა. და რადგანაც ერისთავისა და ანტონოვის თხზულებათა პიესებს თავი საკმაოდ მოეძულებინათ საზოგადოებისათვის, მე წავედი შინა, და მოვდექ პიესების წერას, თარგმნას და გადმო-

* „ლიტერ. საქართველო“, 1939 წ., № 2; ჩვენს ხელთ არის ალექსანდრე ყაზბეგის დაუბეჭდავი ლექსების დავთარი, რომლის გამოცემასაც ცალკე წიგნად ვაპირებთ, ამიტომ მისი ლექსების დაწვრილებით გარჩევას აქ ალარ შეუდგებით.

კეთებას, მოკლე ხანში შეეადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისაკენ გამოვწიე, დარწმუნებულმა, რომ ქართულს თეატრზე მზრუნველი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს ჩემს შრომას. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მადლობის მაგიერ ცხვირწინ ფრუტუნი დამიწყეს და მასხარად ამიგდეს",—დასძენს გულმოკლული მოხევე. ეს „მასხარად აგდება" სიკვდილამდე არ მოშორებია ჩვენს მწერალს, მაგრამ ამაზე ქვევით.

ა. ყაზბეგის პიესებიდან ხშირად იდგმებოდა ჩვენს სცენაზე: „აღმზრდელები", სადაც დრამატურგს თავისი ოჯახი ჰყავს გამოყვანილი. იგი ხომ დედის ნებიერი ბავშვი იყო, გუვერნანტებითა და აღმზრდელებით გარს შემორტყმული! შემდეგ აღსანიშნავია გადმოკეთებული დრამა: „ცხოვრების თანამგზავრი", რომელსაც მსახიობებმა მეორე სახელი უწოდეს: „ცოლი—მეუღლე". მასვე აქვს ფრანგულიდან გადმოღებული ვოდევილი: „ცუღლუტი", ურუსოვის პიესიდან „დილა ქორწილის შემდეგ". მის ორიგინალურ პიესებიდან დავასახელებთ შემდეგ ნაწარმოებებს: „ყველაფერი ბედზედ არის", „გრძნობა და მოვალეობა", „გამოცდა ნიშნობის წინადღით", „ერთი უბედურთაგანი", „ორი ქორწილი ერთად", „ქართველი ქალი სტუდენტებში", „გულნარა", „მოძღვარი", „ქიაჩრიმა", „გიორგი სააკაძე" და სხვ., მანვე გააკეთა სასცენოდ თავისი „ელისო", რომელშიაც თვით ყაზბეგი ანზორის როლს ასრულებდა*.

რასაკვირველია, ბევრი მისი პიესა დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ რაც დარჩა, იქიდან გამოირჩევა ორი პიესა:

---

* რომანებიდან და მოთხრობებიდან გაკეთებული პიესები ისე ვერ ხეირობს სცენაზე, როგორც ორიგინალური; ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საერთო შემთხვევებიდან გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ხანი ავტორი, რომლებმაც თავიანთი მოთხრობები თვითვე გადაკეთეს სასცენოდ და დღევანდლამდე არ იხსნება თეატრების რეპერტუარიდან. ესენი არიან ალექსანდრე დიუმა (შვილი), გუცკოვი და ჩეხოვი. ალექსანდრე დიუმამ „მარგარიტა გოტიე" გააკეთა პიესად ამავე სახელწოდების თავისავე რომანიდან; გუცკოვმა „ურიელ აკოსტა" გააკეთა თავისივე მოთხრობიდან, რომელსაც „ამსტერდამელები" ერქვა, ხოლო ჩეხოვმა ცნობილი პიესა „ალუბლის ბაღი" დაწერა თავის ერთ დავიწყებულ მოთხრობიდან, რომელსაც ეწოდება „У знакомых" (შდრ ჩვენი ნარკვევი, „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი").

ხდებოდა პირიქითაც: სარდუმ და მორომ დასწერეს პიესა „მადამ სანჟენ", რომელიც პირველად დაიდგა პარიზში—1893 წ. 15 ოქტომბერს. პიესამ დიდი აღტაცება გამოიწვია ხალხში და სხვადასხვა ენაზედაც ითარგმნა (ქართულად კ. მესხმა სთარგმნა) და, აი, გამოჩნდა ფრანგი რომანისტი—ედმონდ ლეპელეტიე, რომელმაც სარდუს პიესის მიხედვით დასწერა ხუთკარიანი რომანი იმავე სახელწოდებით: „მადამ სანჟენ". ეს რომანი რუსულადაც არის ნათარგმნი ვინმე М. Горный-ის მიერ და დაბეჭდილიც (მოსკოვი, 1899 წ.) მაგრამ რომანმა პიესას მაინც ვერ აჯობა...

„არსენა“ და „ქეთევან წამებული“. პირველ პიესას დღესაც არ დაჰკარგვია მიმზიდველობა და ჩვენი რაიონის თეატრების რეპერტუარს ამშვენებს... კომედიებით და ვოდევილებით თრობილ ქართულ თეატრისათვის „არსენა“ პირველი დრამა იყო, რომელსაც შემდეგ დ. ერისთავის „სამშობლო“ და ყაზბეგის ისტორიული თხზულება „ქეთევან წამებული“ მოჰყვა. ყაზბეგის ეს უკანასკნელი პიესა სრულიად უმართებულოდ არის დავიწყებული ჩვენი თეატრების მიერ და რა კარგი იქნება ამ ისტორიული დრამის—„ქეთევან წამებულის“ გამომზევება თავისი ბრწყინვალე და მგრძნობიერი, გულში ჩამწვდენი პერსონაჟებით,—რადა ღირს მარტო ერთი „გოჯასპირის“ როლი!

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ „ქეთევან წამებული“ დაიბეჭდა ილიას ჟურნალ „ივერიაში“ (1883 წ.), ეს იყო პირველი ისტორიული ორიგინალური დრამა, „სამშობლოს“ შთაბეჭდილებით შექმნილი, ამ პიესას მოჰყვა სხვა ისტორიული დრამები: „მტარვალი“ (ი. ლაზარიშვილისა), „და-ძმა“ (ვ. გუნიასი) და სხვა.

„ქეთევან წამებული“ სცენაზე იდგმებოდა „კონსტანტინე ბატონიშვილის“ სახელწოდებით... „ქეთევან წამებული“ რამდენჯერმე იქნა აკრძალული ცენზურის მიერ, ვინაიდან ქეთევანი წმინდანებშია ჩარიცხული და წმინდანის სცენაზე გამოჩენა მკრეხელობაა,—ასე მსჯელობდა ამ შესანიშნავ პიესაზე მაშინდელი სამღვდელოება.

ყველაზე პოპულარული იყო მისი სამმოქმედებიანი დრამა „არსენა“, რომელიც მეტად ორიგინალურ ხაზებშია გაშლილი... ყაზბეგის „არსენა“ დაიწერა სულ ორი კვირის განმავლობაში 1881 წელს და პირველად დაიდგა 1882 წლის 1 იანვარს. „დროებამ“ აღფრთოვანებული წერილი უძღვნა ამ წარმოდგენას და პიესა „თავისი სიმშვენიერით“ ელგუჯას შეადარა. არსენას როლს ყოველთვის თვით ავტორი ასრულებდა. „დროების“ რეცენზენტი როდი აძაგებს „არსენას“ მოქმედ პირებს. მაგრამ ჟურნალ „თეატრის“ თანამშრომელი დავით სოსლანი კი თავს იკავებს შეფასებისაგან... „არსენას როლს ასრულებდა თვით ავტორი, მოხვეე—წერს ირონიული ტონით „თეატრის“ რეცენზენტი,—ამის თამაშობაზე არ გვითქვამს-რა, იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არაფერი გვქონდა, იმიტომ რომ „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. ჩვენ ვიცით, რომ ა. ყაზბეგს სცენა უყვარს ისრე, როგორც ოცი წლის შეყვარებულს ყმაწვილს—ქალი; მისი ბელეტრისტული ნიჭის პატივსაცემად იყოს და იკლას სურვილი, ჩვენ კი მოთმინების მეტი არაფერი დაგვრჩენია“ („თეატრი“, 1885 წ.).

მართლაც და თანამედროვეთა გადმოცემით ა. ყაზბეგი, როგორც მსახიობი, არ ყოფილა მაღალნიჭიერი. ვისაც კი იგი სცენაზე უნახავს, ორიოდე რეცენზენტის გამოკლებით, ყველა აუგად იხსენიებს... ერთი რეცენზენტი პირდაპირ წერს: „საკვირველია, ღმერთმანი, ა. ყაზბეგი თავის პიესებს თვითონვე აფუჭებსო“.

ა. ყაზბეგს არავითარი ამპლუა არ გააჩნდა: იგი თამაშობდა ახალგაზრდას და ხნიერსაც, გმირსა და ფუქსავატსაც, ფრანტსა და გლეხს. მას უთამაშნია სამოცდაათი როლი ერთმანეთის საწინააღმდეგო, სხვადასხვა ტიპისა და ხასიათისა... ჩვენ მიერ შედგენილ ცხრილიდან ირკვევა, რომ მას სცენაზე განუსახიერებია: ქართლელი*, კახელი**, ოსი***, ხევსური****, სომეხი*****, მეგრელი******, ოსმალო*******. ხან თუ „ხანუმაში“ სომხის როლს ასრულებდა, ხან კიდევ „ჰამლეტში“—ლაერტის როლს. მას უთამაშნია ჭოროღლიც (ანტონოვის „ქოროღლში“), ქაკი („ორ ობოლში“), ფოჩმეისტერი და ზემლიანიკა („რევიზორში“), ქადოვი („შემოსაელიან ადგილში“), დიმიტრი დადიანი („სამშობლოში“) ცირკის დირექტორი (პიესა „ჰერკულესში“) და სხვა. მას უმღერია ვასო აბაშიძესთან ერთად ლუკაშევიჩის პარტია ოპერეტაში („მეჯლისი იტალიელებით“), მაგრამ ყველგან შინაურულად, პერსონაჟების შინაგანი ბუნების გაუცნობლად, ნაჩქარევად, ერთი სიტყვით, ძველი რეცენზენტების ტერმინი რომ ვიხმაროთ: „ანსამბლს ხელს უწყობდა“, და, როგორც აქტიორს, თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებია ქართული თეატრის ისტორიაში...

ერთხელ ა. წერეთელსა და ა. ყაზბეგს შორის ასეთი დიალოგი გამართულა:

— ვერ წარმოიდგენ. ბატონო აკაკი, როგორი შიში მიპყრობს სცენაზე გამოსვლის წინ.

— შიში მეც ამიტანს ხოლმე!—უთქვამს აკაკის ყაზბეგისთვის.

— თქვენ რატომ?

— ვაი თუ კარები გაიღოს და შენ გამოხვიდე სცენაზეო,—უპასუხნია შეუბრალებელ აკაკის. აკაკი თავის მოგონებაში შემდეგსა წერს: „აქტიორობაში ყაზბეგმა დიდი ბეჯითობა გამოიჩინა, მაგ-

---

* რ. ერისთავი: „ადვოკატები“—თევდორე, ქართლელი გლეხი.

** დ. მესხი: „ანუკა ბატონიშვილი“—ოთარ ჩოლოყაშვილი.

*** აკაკი: „სცენები საპატიმროში“—ოსი.

**** ზ. ანტონოვი: „ქორწილი ხევსურთა“—ნინიკა.

***** ა. ცაგარელი: „ხანუმა“—მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცი.

****** კოტე მესხი: „ქარაფშუტა“—უტუ ხოშტარია.

******* ზ. ანტონოვი: „ქოროღლი“—ჭოროღლი.

რამ არც ერთში, გარდა ერთისა, არ ვარგოდა: გენერლის როლს როგორღაც კარგად ასრულებდა ერთ პიესაშიო"... ეს ერთი პიესა, ჩვენის დადგენით, იყო ვასო აბაშიძის მიერ გადაკეთებული „ეხლანდელი სიყვარული", რომელშიაც ყაზბეგი გენერალ ჯამბარაშვილს ანსახიერებდა. ყაზბეგის მიერ ამ როლის კარგად შესრულებას აღნიშნავს აგრეთვე ხელოსანი პოეტი, ეგნატე ნინოშვილის უახლოესი მეგობარი, თეატრის აშიკი ალექსანდრე თოიძეც თავის საახალწლო მილოცვაში:

ა. მოხევეს

თარგმანებში მოხუცებულთ,
ორგინალში სოფლის გლეხებს
ის თამაშობს რიგიანად...
ლაერტში ვერ დაიკვეხებს!
რეცენზენტზე ის ცხარდება,
თუ ასწავლეს, დაიფეთებს.
ჯამბარაშვილს კარგად ჰბაძავს
და ლეკურში ხმარობს ფეხებს.*

მართლაც, ყაზბეგი თუ მკრთალი იყო როგორც მსახიობი. სამაგიეროდ განსაცვიფრებელი ყოფილა როგორც მოცეკვავე, ძველად ქართული წარმოდგენა ცეკვით უნდა გათავებულიყო: ლეკური... ჩაჩნური... აფხაზური... აი, ამ ცეკვების პირველი ორგანიზატორი და შემსრულებელი იყო ჩვენი დიდებული ბელეტრისტი.

ერთხელ გაზეთი „დროება" წერდა: „მოგვებეზრდა ამდენი ლეკური, დროა თეატრს მცოდნე კაცი ჩაუდგეს სათავეშიო". მაგრამ ხალხი კი სულ სხვანაირად აფასებდა ამ ცეკვებს: როცა აფიშაში ცეკვა იყო გამოცხადებული („ა. ყაზბეგი და ქეთო ანდრონიკოვისა ითამაშებენ ლეკურს", „ა. ყაზბეგი და ნ. მხეიძე ითამაშებენ ჩაჩნურს"), მაშინ მობენეფისეს შემოსავლის იმედი ჰქონდა და ეს კი კარგი დახლი, ერთგვარი „პური არსობისა" იყო, ხელმოკლე აქტიორებისათვის.

მაშასადამე, სამი რამ იყო განსაცვიფრებელი ალექსანდრე ყაზბეგში: ლოველას გენერალ ჯამბარაშვილის როლის შესრულება პიესა „ეხლანდელ სიყვარულში", ჩაჩნური ცეკვა და დიდი ბელეტრისტული ნიჭი.

თითქოს ეს სამი რამ საკმაო უნდა ყოფილიყო ქართველი სა-

* „თეატრი", 1886 წ., № 3, გვ. 28.

ზოგადოებისათვის, რათა პატივისცემით მოქცეოდნენ ამ პროზის ფენომენს და აბუჩად არ აეგდოთ მისი სცენისადმი მიზნწრაფება.

ა. ყაზბეგს, როგორც ბავშვს, ცოტა რამ სწყინდა და ცოტა რამ ახარებდა. რეცენზენტებისაგან უარყოფილი, იგი ცეკვით ამხიარულებდა თავის ჟინიან არტისტობის გუნებას. მოწმეთა ჩვენებით, ცეკვაში მას ბადალი არა ჰყოლია. მერე შესახედავადაც რომ ლამაზი ყოფილა!! მაკო საფაროვ-აბაშიძისა იგონებს ყაზბეგის სცენაზე შესვლის პირველ ნაბიჯებს და მის გარეგნობას ასე აგვიწერს:

„გარეგნული შეხედულება ისეთი ჰქონდა სანდროს, რომ სილამაზით იმასთან ჩვენს დასში ვერავინ მოვიდოდა: ტანადი, დიდრონი, მომცინარე, ჟუჟუნა თვალები, მშვენიერი ტუჩ-კბილი, ჩაცმული ხომ ისე იყო, რომ ჩვენს ღარიბ სცენას თავის დღეში არ ჰყოლია ისეთი მორთული არტისტი თვით წარმოდგენის დროსაც. ამასთანავე წრეს გადასული ზრდილობიანი იყო. აი ასეთი იყო გარეგნულად ახალგაზრდა სანდრო, როცა ერთხელ ჩემი ავადმყოფობის დროს,—გვიამბო მაკომ,—ჩემმა ქმარმა ვასო აბაშიძემ შემოიყვანა ჩემთან საწოლ ოთახში და თან დაუმატა:—ეს არის სანდრო ყაზბეგი, რომელსაც ჩვენთან ერთად უნდა მუშაობა ქართულ თეატრში და, აბა, შენ იცი, როგორც შეუწყობ ხელსო“...

ჩავყვეთ ქვევით და ბარემ მთლიანად მოვიყვანოთ დიდ ადამიანზე დიდი მსახიობის მოგონება, რომელიც ჩვენი თხოვნით დაგვიწერა განსვენებულმა მარიამ საფაროვ-აბაშიძისამ.

„მე, ცოტა არ იყოს, ავიმრიზე, რომ ლოგინში მწოლარეს თავს დამაყენა ასეთი „ფრანტი“,—განაგრძობს მაკო,—მაგრამ შემდეგ, როცა შინაურულად გავიცანი, დილით საღამომდე ჩვენსა იყო ხოლმე, მიზიდავდა აუარებელ ხილს და ყოველის ღონით ცდილობდა ჩქარა მოვღონიერებულიყავ, რადგანაც უნდოდა ჩემთვის წაეკითხა თავისი პიესა, არ მახსოვს „აღმზრდელები“ თუ „ცხოვრების თანამოგზაური“, ამ ორში ერთი. — როდესაც. წამიკითხა, არ ვიცი პიესის შინაარსმა თუ ჩემი ორგანიზმის სისუსტემ, ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ისტერიკა მომივიდა.

„სანდრო წამოხტა აღტაცებული, ცრემლები გადმოსცვივდა, თან ტიროდა და თან იძახოდა:—ღმერთო ჩემო, აი როდის ვიგრძენ მე პირველი ბედნიერება, ჩემმა პიესამ ტირილი გამოიწვიაო.

„ჩემი გაცნობის პირველი დღიდან არ მინახავს სანდრო, რომ ხელში ქაღალდი და ფანქარი არ სჭეროდეს. უბეები და ჯიბეები ქაღალდებით ჰქონდა გამოტენილი. რაც უნდა ბევრი ხალხი ყოფილიყო და ყაყანი, ის მაინც იჯდა და წერდა.

„ამიტომ ძალიან გამაოცა იმ ამბავმა, ვითომ იმას ესარგებლოს სხვისი ნაწერებით. თავისი მოთხრობები სულ ნაწილ-ნაწილ ჰქონდა პატარა ქაღალდზე დაწერილი და ბევრჯერ თავიც მოუბეზრებია ჩემთვის იმათი კითხვით.

— „ჩემო პატარა ნათლიდედაო,—მეტყოდა ხოლმე—აბა, ცოტახანს ყური დამიგდეო. მაშინ ნათლიდედა ვიყავი იმისი, რადგან ჩემი შვილი, ტასო, იმისი მონათლულია.

„შემდეგ ხომ ყოველთვის ერთად ვიყავით და თითქმის ყოველ ახალ დაწერილ სტრიქონს მიკითხავდა. ვეტყოდი ხოლმე—სანდრო, რაღა მე მიკითხავ, ისეთებს წაუკითხე, ვისაც ჩემზე მეტი ესმის-მეთქი. ამაზე მიპასუხებდა: მე შენი ცოდნა კი არ მინდა, შენი ნერვები და შენი ინსტინქტი მირჩევნია იმათ კრიტიკასაო. ამით მომილბობდა გულს და მაინც წამიკითხავდა.

„განსაკუთრებით უყვარდა სცენა, მაგრამ, როგორც მსახიობი, ძალიან სუსტი იყო სანდრო. ხანდახან ვეტყოდი ხოლმე: სანდრო, მე რომ შენს ადგილას ვიყო, სცენას დავანებებდი თავს და წერას მივყოფდი ხელსა-მეთქი.

„ეს იყო მისი მკვლელი აზრი: ძალიან სწყინდა, არტისტობას რომ ვუწუნებდი.

„ერთხელ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ეთამაშობდი ახალგაზრდა გულუბრყვილო ქალს, რასაკვირველია, შესაფერი მანერებით. სანდრო შემოდის იმავ ოთახში, როგორც სასამართლოს ბოქაული, რომელმაც უნდა აუწეროს ავეჯეულობა. პიესის შინაარსით პირველად ხვდება ამ პატარა ქალს. ისე გაიტაცა სცენაზე ჩემმა თამაშმა, რომ რასაც ვაკეთებდი, ის იმეორებდა,—ისევე იკლაკნებოდა, როგორც მე, გავბრაზდი და შევეკითხე; რისთვის მობრძანდით-მეთქი. სწორედ ამ დროს სუფლიორმაც დაუყვირა, თქვენ თქვენი როლი ითამაშეთო. მაშინ მოაგონდა თავისი როლი—სასტიკი ბოქაულისა და მკითხა: „სად არის მამათქვენი, დაუძახეთ ახლავე აქაო“. მაყურებლებმა შენიშნეს ეს ნაკარნახევი კილოს გამოცვლა. მეორე შემთხვევა კიდევ ასეთი იყო: „მეფე ლირში“ ისა და ვასო თამაშობდნენ. ერთი ედმუნდის როლს, მეორე—ედგარისას. დუელის სცენა იყო. სანდრო და ვასო სცენაზე იდგნენ და ხმალდახმალ იბრძოდნენ: ამ ხმლის ტრიალის დროს ვასოს დაეშვა ფრანგული შარვალი იმდენად, რომ ოთხი თითის დადებაზე თეთრი პერანგი უჩანდა. მე ვსცენარიუსობდი და შევძახე ჩუმად კულისებიდან, ტრუსიკი გაისწორე-მეთქი. ამ გასწორების დროს ისე უხერხულად იტაცა ხელი, რომ პერანგი ამოეწია გვერდზე და გუდასავით დაეკიდა. ჩვენ, რასაკვირველია, ყველანი აგვაღელვა

ამ შემთხვევამ, მაგრამ რას ვუშველიდით კულისებიდან. მობრუნების დროს თვით დაინახა, რომ გუდისავით ჰკიდია პერანგი. ვასო ედგარის სასიკვდილოთ დაპრას გაანება თავი, გამოვარდა სცენიდან და ველარ შეეგზავნეთ სცენაზე. საწყალი სანდრო კი იდგა სცენაზე და მაინც განაგრძობდა ხმლის ჰაერში რჩობას—ეგონა, ვასო ისევ იქა დგასო, რადგან საშინელი ბეცი იყო. როცა გადავწყვიტეთ იმედი ვასოს შესვლაზე, ბეტი ღონე არ იყო, შევგზავნეთ შემდეგი მოქმედი პირები, რომელთაც სიტყვები ასეთი აქვთ: „საწყალი ედგარი, როგორ მოუკლავთო“. სანდრომ ეს რომ გაიგონა გააგდო ხმალი ხელიდან და სცენაზე გაწვა (ის ხომ ედგარის როლის ალმასრულებელი იყო, რომელსაც სცენაზე ჰკლავენ). რასაკვირველია, ამ სცენამ ისეთი სიცილი გამოიწვია იმ დღეს დამსწრე დიდძალ საზოგადოებაში, რომ ზოგმა ველარც კი შესძლო ფარდის დაშვებამდე დარჩენა და სიცილით გავიდა თეატრიდან.

„მაშინ ილია ჭავჭავაძე ძალიან გაბრაზებული იყო და იძახდა: აბაშიძემ ეგ განგებ მოახდინა, განგებ ჩაიხადა შარვალი, რადგან გუშინ დავაჯარიმეთო (ილია მაშინ დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარე იყო).

„საწყალ სანდროს ვერც ამისთანა შემთხვევამ გაუგრილა გული და მაინც სცენას თავს ევლებოდა. განსაკუთრებით ცეკვა უყვარდა და სიმართლე უნდა ითქვას, რომ მას ჩაჩნურის ცეკვაში ბადალი არა ჰყავდა“...

ასე აბოლოვებს თავის მოგონებას ყაზბეგის შესახებ, მისი თანამედროვე მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. საფაროვა-აბაშიძისა.

ა. ყაზბეგს უკანასკნელ წუთამდე არ მიუტოვებია სცენაზე ლეკურის თამაში. არ გამართულა ისეთი საქველმოქმედო საღამო, სადაც ა. ყაზბეგი არ ყოფილიყოს გამოცხადებული ან როგორც მოცეკვავე, ან როგორც დეკლამატორი (სცენაზე კითხულობდა საკუთარ ლექსებს: „გუთნის დედას“, „გულის პასუხს“ და სხვ.). სოფ. მგალობლიშვილი თავის მოგონებაში წერს: „ყაზბეგი—არტისტი სუსტი იყო. მაგრამ მაგიერში შესანიშნავი მოცეკვავე მოხევურად და ჩაჩნურად ხანჯლებზე; ის ბეცი კაცი გასაოცრად ატრიალებდა ხანჯლებს, თვალებთან მიიბიზებდა და ისე გაფრინდებოდა სცენაზე, როგორც მერცხალი“... დ. კლდიაშვილიც იგონებს ა. ყაზბეგის ხანჯლებით თამაშს... „გაგიტებით უყვარდა სანდროს სცენა, მაგრამ საუბედუროდ ძლიერ სუსტი მსახიობი იყო... სამაგეროდ ლეკურის გასაოცარი მოთამაშე იყო. უცნაურად ლამაზი რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით,—მაყურებელს თან ხიბლავდა

მისი სიმარდე, თან შიშს ჰგვრიდა, „სანდრო, თუ კაცი ხარ, თავი გაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს,—ფეხებს დაიჭრი ერთ დღეს და ეს იქნება“,—ვეუბნებოდი ხოლმე, რაზედაც იგი მხოლოდ სიამოვნებით იცინოდა“.

ა. ყაზბეგს შექსპირივით უყვარდა სცენაზე გამოსვლა... ორივენი მეორეხარისხოვანი მსახიობები ყოფილან და აი, აქედან დაიბადა ლეგენდა, რომ შეიძლება მათი ნაწერები სხვისი დაწერილი იყოსო...

ა. ყაზბეგის სცენისადმი გატაცებას იგონებს მისი მეგობარი პოლიეკტო კარბელაშვილიც „ცხვილოელის“ ფსევდონიმით:

„განსვენებული მეტად გულჩათხრობილი, მუდამ თავდაკიდული და მობუზული იყო შინ თუ გარეთ მოსიარულე,—წერს კარბელაშვილი,—სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ შეამჩნევდა ადამიანი, როდესაც განსვენებული სცენაზედ სათამაშოდ ემზადებოდა და წავიდოდა შინიდამ: ამ დროს განუწყვეტელს ფაციფუცში იყო, ხან იქით აწყდებოდა, ხან აქეთ, სჩხრეკდა თავის რეეულებს, ჰშლიდა და ჰფურცლავდა წიგნებს, ინიშნავდა პატარა წიგნაკში რაღაცეებს ხან კარანდაშით, ხან კალმით. ტანისამოსს ისუფთავებდა და ისწორებდა სარკეში, ერთი სიტყვით, უიმისოდ უსუფთაობას და არეულ-დარეულს ჩვეული, ეხლა თითქოს სადღესასწაულოდ ემზადებოდა, განსვენებული მეტად დაუდეგარი იყო თავისთავისა და ოდნავაც არ უფრთხილდებოდა. ამის ნაცვლად იგი იყო გატაცებული თეატრის საქმით და მწერლობით... განსვენებულს მეტად ეხერხებოდა ლეკურ-ჩაჩნურის თამაშობა,—განაგრძობს კარბელაშვილი,—მერე ხანჯლებით! როდესაც რომელსამე წარმოდგენის შემდეგ სცენაზედ უნდა ეთამაშნა, მეტად მხიარულად იყო ხოლმე: ღიღინებდა და მესტებით დასრიალებდა გაპრიალებულ იატაკზე. სცენაზე ყველას უნახავს განსვენებულის მოხდენილი ჩაჩნურის თამაში. ვკითხავდი: „სანდრო, ეგრე ბეცი რომ ხარ, როგორ ჰბედავ სცენაზე ხანჯლებით თამაშობას, არ გეშინიან, რომ ან თვით მოიხვედრო სადმე, ან სხვას მოახვედრო მეთქი? — სცენაზე თამაშობის დროს თითქოს თვალთხედვა მემატება და ვცოცხლდებიო; მოხვეებთან და ჩეჩნებთან მთაში განელილი დღეები მაგონდებიანო,—მეტყოდა განსვენებული“.*

გაზეთში მოკალათებული რეცენზენტები უსამართლოდ და უდიერად ეპყრობოდნენ ა. ყაზბეგს. აბა, რომელი მსახიობი არ ყოფი-

* პ. ც ხ ვ ი ლ ო ე ლ ი (პოლ. კარბელაშვილი). „მოგონება ყაზბეგზე“, „ივერია“, 1893 წ., № 269.

ლა სუსტი, მაგრამ არც ერთი არ იყო ისე აბუჩად აგდებული როგორც ჩვენი საყვარელი ბელეტრისტი!

ვის არ უთამაშნია ლეკური (თვით ნიკოლოზ ბარათაშვილსაც კი!) მაგრამ სალაპარაკოდ და საჭირდლად არ გამხდარა! თვითონ ყაზბეგიც აღნიშნავს თავის პასუხებში: „ლიტერატურაში ათასჯერ გაუკიცხავთ ჩემი სცენაზე თამაში, პიესები, მოთხრობები, ლექურიც კი სალაპარაკოდ გაუხდიათ, მაგრამ მე მათთვის პასუხი არ გამიციაო“ („დროება“, 1883 წ.. № 137).

საქმე ის არის, რომ მაშინდელი ქართველი საზოგადოება მის სამწერლო ნიჭს და პირად ცხოვრებას ერთმანეთში ურევდა, არ ამჩნეულნენ იმ დიდ ტლანტს, რომელიც ნავლწაყრილი ღვიოდა და გასაქანს ეძებდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის თქმა: „ვერ ეხედავ ისეთ კაცს, რომ ხელი მომკიდოს, გზაზე დამაყენოსო“,—სწორედ ყაზბეგზეა ზედგამოჭრილი.

აი, როგორ სამართლიანად წერდა „კვალი“ მისი გარდაცვალების დღეს: „ევროპის ლიტერატურაში ბევრი არ არის ისეთი ხელოვნური ნაწარმოები, როგორც „ხევისბერი“, „მამის მკვლელი“ და „ელგუჯა“. ასეთი ნიჭი დაგვებადა, ასეთი კაცი დადიოდა ჩვენს შორის და ჩვენ იგი ვერ ვიცანით. ხშირად მას ლუკმა პურიც არ ჰქონია საქმელად... სანამ ცოცხალი და გონებით სრული იყო, მას არც ჩვენ მიერ თანაგრძნობა ჰქონია და არც განკითხვა“*.

მაშინდელი ცნობილი ლიტერატორები—დავით კეზელი (ზოილი, სოსლანი), ილია ბახტაძე (ხონელი), ვალერიან გუნია—(ვალიკო—ია), იონა მეუნარგია (ლელო) და სხვები ერთპირად ყაზბეგის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი.

რა შეეძლო მარტოდმარტო დარჩენილ ა. ყაზბეგს? ებრძოლნა? როგორ? რანაირად? თუმცა რეცენზენტების მისამართით, ხანდახან ამოიკვნესებდა:

დამეხსენ, თორემ მეც დაგკრამ,
გამიწყდა მოთმინებაო.
ჩემი დაკრული, ცას ვფიცავ,
დაკრულსა ეგვანებაო!

ა. ყაზბეგს არა ჰყოლია გულის შემატკივარი, ქომაგი. ერთხელ პიესა „ეხლანდელ სიყვარულში“ ა. ყაზბეგის ავადმყოფობის გამო, მისი როლი მსახიობმა მაქსიმიძემ (კოტე მძინარაშვილმა) შეასრულა. რეცენზენტი აქაც გადასწვდა ა. ყაზბეგს: მაქსიმიძე ძლიერ

* „კვალი“, 1893 წ., № 51.

ჰბაძავს ყაზბეგის თამაშობას, მასწავლებელი რა არის, რომ მისი მოწაფე რა უნდა იყოსო*. ჯერ კიდევ თავისი გამოსვლის პირველ დღეებში, ყაზბეგზე ასე წინასწარმეტყველებდნენ: „ბ. მოხევე, ჩემის აზრით არასოდეს არ გახდება ცოტაოდენადაც თვალსაჩინო აქტიორად“ („დროება“, 1881 წ., № 25). ალექსანდრე ყაზბეგის მთელ რეპერტუარში ჯამბარაშვილი ერთადერთი როლი იყო, რომელსაც კარგად ასრულებდა ჩვენი ბელეტრისტი და აქაც შხამი გადაასხეს მის გულს.

დაეთ კლდიაშვილი იგონებს, თუ როგორ ცხარე ცრემლით აუტირებია ა. ყაზბეგი ხონელის ფელეტონს. ძლივს დავაწყნარეთო, დასძენს იგი.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი ნიჭიერი მეფელეტონე ი. ხონელი ძალიან სასტიკად ეპყრობოდა სანდროს სცენაზე გამოსვლას. ხონელი იმის მომხრეცაა, რომ უხეირო არტისტს მკვდარი კატები ესროლონ სცენაზე. აი, მოუსმინეთ ილია ხონელს, როგორის დაცინვით იხსენიებს ალ. ყაზბეგს... „ესეც რომ არ იყოს, როგორ ჰფიქრობთ?—განაგრძობს ხონელი—რამდენი კატები მოგვინდებოდა მუდამ დღე სარეცენზიოდ? ხომ მარტო ბ-ნი მოხევე გააჭარწყლებდა მაშინ ყველა თბილისელ კატებს და ხომ მარტო მისდა ჩასაგონებლად უნდა გაგეევლო მუსრი ამ საცოდავ ცხოველებისათვის“**.

დიახ!

და ყველა ეს, სამწუხაროდ, იწერებოდა „იერიაში“ და არავინ არ გამოესარჩლა!!

იყო ოთხკედელშუა გამომწყვდეული თავისი მაიმუნ ქაკოთი, განაპირდა, გამარტოდა, ჩასახლდა თავისი გულის უფაზაში და მხოლოდ წერაში ჰპოვებდა სულის სიმშვიდეს. როცა მკვლევარი ათვალიერებს მის სამურეხო მასალებს, განცვიფრებაში მოდის წერის იმ დაუშრეტელი ენერგიით, თემათა იმ სხვადასხვაობით, რომელიც ასე ჭარბად ახასიათებს ყაზბეგს.

აკი თვითონვე უძღვნა თავის თავს ასეთი მუნასიბი:

„იმ მოხევეს, ყოვლად ბრმასა,
მას მივაყრით ყოველისფერს,
კატას მკვდარსა, ეაშლს დამპალსა,
ღირსიც არის, მაგდენს რად სწერს?“**

---

* „იერია“, 1886 წ., № 200.

** იხ. „იერია“, 1886 წ., № 178.

*** ა. ყაზბეგის ლექსთა დაეთარი, გვ. 216. (ჩვენთან ინახება).

ჩემს ხელთაა მისი ლექსების დავთარი, რომელიც განსვენებულმა ალექსანდრე ჯაბადარმა გადმოსცა ჩემს ბიბლიოთეკას.

ამ რვეულიდან მინდა ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსი მოვიყვანო. აქ ნათლად ჩანს ის მძიმე ატმოსფერო, რომელშიაც მოღვაწეობდა მთის უცნაური შვილი. ალ. ყაზბეგი თავის რეცენზენტებს ამ გულმოსული ლექსით უპასუხებს, რომელიც ჩვენს ნარკვევში პირველად ქვეყნდება. ანდა ვინ დაუბეჭდავდა ამ პასკვილს, რომელიც გაბრაზებულ გუნების დროს მოსხლეტია მის დიდებულ კალამს. აი, ეს ლექსიც:

ობოლი, გულით ობოლი,
რად არის გაჩენილია?
შესაბრალია ბეჩავი
სიპ ქვაზედ დარჩენილია.

რა არ დაარტყეს დაჩაგრულს,
კატა, ხელერო, ცულია.
რაც იმას სცემენ, უფალო,
როგორღა შერჩა სულია?

არ სწყალობს დავით სოსლანი,
დუშეთს განთქმული თულია,
და ეხლა ტფილის მოქმედობს
სომხის გაზეთის ყულია.

არცა კოპწია ხონელი,
წრეს იქით გადასულია,
ვინც სულით, მთელი არსებით,
ჰვარტლითა გამურულია.

არ სწყალობს, არცა ლელოი,
ქაჯთა მეფისა წილია,
მალიკ-ვალიკო ეხვევა
ვით თავზედ თმასა წილია.

წკმუტუნებს დაუსვენრადა
კლდე მაგარისა შვილია.
თუმც ცდილობს დიდი გამოჩნდეს,
ჯერ თონთლობს, მეტად ჩვილია.

მარკიზ პ–უც შემოსტრიალებს,
ვით ცოდვილს მავნე სულია,
ვინც ნახავს, იტყვის: თხუნელა
მიწიდან ამოსულია.

ფუსფუსობს ჩვენი ხ უ მ ა რ ა ც,
ეშმაკებისა წილია,
აღარ უსვენებს დ ო ნ-ე ნ ი ც
მსუქანი კედლის ტილია.

სჩხავის კ ა ვ თ ე ლ ი, ა ხ ნ ა ხ ა რ,
ყველა, ვინც მკვახე ხილია,
გ ო დ ო რ ა ნეხვის მზიდავი
გონებით დაგრეხილია.

ელავს და სპეკავს ძალახედ
ზეციდან წმინდა ი ლ ი ა,
მოჰშუობს, მოიბურება
ღრუბლითა შემოსილია.

ბეჩაო, ბეჩავ ობოლო,
ვეღარ გადურჩე შარსაო,
მაგდენი ერთად შეყრილან
ცხვირით გადენენ ძმარსაო.

ობოლო, გულით ობოლო,
რადა ხარ გაჩენილია?
შეიბრალევით ბეჩავი,
სიპ ქვაზედ დარჩენილია!*

არავინ შეიბრალა! ხელი არავინ გადაუსვა! სიპ ქვაზე დასტოვეს, მოლიპულ გზაზე დააყენეს. არავინ დაუყვავა, არც „სატრფომ გულისა“ და „არც ძლიერთა იმა ქვეყნის კაცებმა“.

ყაზბეგი ერთს საპოლემიკო წერილში წერს: „ჩვენს სამწუხაროდ დროში ადამიანის ადამიანურად მოქცევა სამაღლობლად გაგვიხდაო“... ძნელად თუ მოიძებნება იმისთანა მწერალი, რომელსაც

---

* ამ ლექსში, ჩემს მიერ ხაზჯასმულ ტვარებში, ნაგულისხმევია შემდეგი პირები:
დავით სოსლანი (დავით კეზელი; წერდა „ხოილის“ ფსევდონიმითაც).
კოპწია ხონელი (ილია ბახტაძე).
ლელოი (მეუნარგია იონა).
მალიკ-ვალიკო (ვალ. გუნია).
კლდე მაგარი (პ. ჰალელის-კარბელაშვილის წიგნი: „კლდე მაგარას ციხე“).
მარკიზ პ-უც (ვერ გავიგე ვინ იგულისხმება).
ხუმარა (გამოურკვეველია ჩემთვის).
დონ-ენი (დავით ერისთავი).
კავთელი (ივანე ჯაჯანაშვილი).
ახნახარ (არტემ ახნახაროვი).
გოდორა (გრ. ყიფშიძე).
ილია (ი. ჭავჭავაძე, ყაზბეგს წმინდა ილიასთვის შეუდარებია!).

ამდენი სიკეთე მიუძღოდეს იმ შავბნელ დროში და ასე განწირული, სიმწარნაჭამი ჩასულიყოს სამარეში. და აკი „გულით უნდოს და სულით მსახერალს“ საგიეთში ამოხდა სული 1893 წლის 10 დეკემბერს, 45 წლის ჭაბუკს... მაგრამ ა. ყაზბეგი უკვდავია! „ივერიის“ თქმისა არ იყოს, „ორჯერ დაბადებულს, ერთი სიკვდილი ვერას უზამს“.

ქართველმა საზოგადოებამ ალექსანდრე ყაზბეგის კუბო დიდის ამბით მიაცილა უკანასკნელ სავანემდე—სოფ. სტეფანწმინდამდე. სამხედრო გზატკეცილი ეტლებით იყო დასერილი... ეს არ გამორჩენია ჟანდარმერიას... შავბნელი რეაქციის მოციქულებს მისი სიკვდილიც კი შეშურდათ! ისინი ჩვენი მწერლების გასვენებაშიაც კი ხედავდნენ რაღაც „სეპარატიული მოძრაობის“ ჩანასახებს.

აი, რასა წერდა პოლიციის დეპარტამენტისადმი გაგზავნილ წერილში თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი 1894 წელს, 7 მარტს ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენების და ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების გამო (ამ დოკუმენტს მთლიანად მოვიყვანთ): „ქართველებმა ხელახლად წამოაყენეს მივიწყებული საკითხი ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გამოსვენების შესახებ... განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით, გადმოასვენეს თბილისში და დიდის პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას. კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა და არამც თუ უველა წოდების პირები ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს ტარებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს“...

მეფის ჟანდარმერიის აგენტების მიერ ეს ვითომდა დამცინავი და ზიზღით ნათქვამი სიტყვები, ამჟამად ჩვენში იწვევეს ეროვნული სიამაყის გრძნობას, რომელსაც თავგამოდებით ებრძოდნენ მეფის შავრაზმელები.

იმავე აშიაზე ყაზბეგის გასვენება კი ჟანდარმერიას ასე პროვოკაციულად აქვს აღწერილი:

„...გასული წლის დეკემბერში გარდაიცვალა ტფილისის საავადმყოფოში ქართველი ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი. ეს მწერალი დიდი ხანი იყო სულით ავადმყოფი და ეტანჯებოდა. სიცოცხლეში მასზე სრულიად არავინ არა ზრუნავდა და არც ფიქრობდა. მაგრამ მოკვდა თუ არა, ქართველებმა ასტეხეს ერთი განგაში. მისმა სიკვდილმა მისცა საშუალება ქართველებს ემცნოთ

თუ მთელი ქვეყნისათვის ვერა, კავკასიისათვის მაინც, რომ ისინიც არსებობენ (როგორც ეს ჩაიდინეს სომხებმა არწრუნის გასვენებაზე). მიცვალებულის გვაშის დაკრძალვა ერთი კვირით შეაჩერეს და ყოველ დღე რამდენიმეჯერ იხდიდენ პანაშვიდებს, რომლებსაც დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა (განცხადებანი ამის შესახებ ყოველ დღე იბეჭდებოდა ყველა ადგილობრივ გაზეთში). როგორც ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება, აგრეთვე ყაზბეგის გვაშის დიდი პატივით დასაფლავება, უნდა ვიგულისხმოთ, მოხდა სომხების ზეგავლენით, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ეს ამბები გამოიწვევდა პოლიციასთან შეტაკებას, რომლის დროსაც უეჭველათ ექნებოდა ადგილი დიდ სისხლის ღვრას, თუ სახეში მივიღებთ ქართველების თავმოყვარეობას და სიფიცხეს".

აი, პირწავარდნილი პროვაკაციაც ამასა ჰქვიან!

ა. ყაზბეგს სწამდა და ეს იყო მისი ერთადერთი ნუგეში, რომ „დადგება ისეთი დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენო" (დ. კლდიაშვილის „მოგონებანი").

ერთ წერილში ალექსანდრე თავის დედას წერდა: „და შემოვალ საქართველოს კარებში დიდებით!" მას სჯეროდა თავისი ნიჭის გამძლეობა, ის გრძნობდა ახალი ქარიშხლის მოახლოებას და ამიტომაც იყო, რომ ასე თამამად ისიტყვა:

„მოვა დრო, უხარმაზარნი
მთანიცა შეიხძოვიან,
ქარი დაჰკროლებს მედგარი,
ღრუბელნი განიმკრევიან,
ზევით ცა ლაჟვარდოვანი,
ქვეშ მიწა შეირყევიან,
აწ გულნი ოდნავ მფეთქავნი
ლომ-ვეფხსაც მოერევიან.

მოვა დრო, დაჩაგრულები
მამაცათ მოიქცევიან,
ერთის წადილით შეკრულნი,
ერთ ნდომად გადიქცევიან;
გრგვინვად ასტყდება ყიჟინა,
მშიშარნი გაიქცევიან,
ქვიტკირნი შედუღებულნი
ჩაინგრევ-ჩაიქცევიან.

მოვა დრო, ნანგრევთა შორის
მდელონი აჰყვავდებიან,
მშობლისგან თავის ნაშობი
მშობლურად აღიზრდებიან;

ფრინველები ბარტყებს დასჩეკენ,
ჭიკჭიკით დაფრინდებიან,
ქვეყნის ნუგეშად მნათობნი
ლაჟვარდში გაბრწყინდებიან.

მოვა დრო ძლევა-მოსილი,
ქართველთა შორის ამიერ
კიდით-კიდემდე გაისმის
კახური მრავალ-ჟამიერ!
იტყვიან: „გამხიარულდი,
ქართველო, ყოველ წამიერ,
გული ფოლადად ნაწრთობი,
იცოცხლებს მრავალ-ჟამიერ!“.

ეს დროც დადგა... და ალ. ყაზბეგი აღარ არის მარტო, გულით ობოლი. მისი შესანიშნავი ნაწერები მტკიცედ შევიდა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ოქროს ფონდში და მთელი ხალხის საკუთრებად გადაიქცა.

1944 წ.

ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი

ახალგაზრდა პოეტებო! ხელი მოჰკიდეთ თარგმნას, შეისწავლეთ ეს ხელოვნება და იფიქრეთ ქართული ლიტერატურის გამდიდრებაზე.
(„ივერია", 1905 წ., № 60).

ქართული შექსპირიანა არც ისეთი ღარიბია.

ჯერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა ერთ კერძო წერილში გრ. ორბელიანს (1841 წ., 28 მაისი), ჩვენმა ლიტერატურამ კარგი თარგმანი შეიძინა, დიმიტრი ყიფიანმა სთარგმნა შექსპირის ტრაღედია „რომეო და ჯულიეტაო"...

შექსპირის პიესების თარგმნის ნუსხა ასე წარმოგვიდგება:

1841 წელს დიმიტრი ყიფიანმა პირველმა გადმოიღო შექსპირის—

„**რომეო და ჯულიეტა**" „ფრანცუზულიდამ ქართულს ენაზედ". (დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" 1859 წელს, № 5 და 6).

ირიცხებოდა ქართული თეატრის 1885 წლის სეზონის რეპერტუარში (იხ. ცნობა—ჟურ. „თეატრი", 1885 წ., გვ. 25).

ეს პიესა რამდენჯერმე ითარგმნა:

ქუთაისში 90 წლებში დაიდგა „რომეო და ჯულიეტა" (მთარგმნელი შ დადიანი—რომეოს როლს ახალგაზრდა ლადო მესხიშვილი ასრულებდა), ესევე პიესა სანდრო შანშიაშვილმა თარგმნა სუხუმის ქართული თეატრისათვის; თარგმნა აგრეთვე სოლომონ წერეთელმა (წარმოადგინეს მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში 1942 წ., 28 მარტს); „რომეო და ჯულიეტა" ხელახლად თარგმნა ახალგაზრდა მწერალმა ვახტანგ ჭელიძემ (იხ. „მნათობი", 1945 წ., № 1, 2—და შექსპირის ნაწერების მეოთხე ტომი, 1955 წ.); „რომეო და ჯულიეტა" ნათარგმნი აქვს აგრეთვე პოეტ გივი გაჩეჩილაძეს. ჩვენს ბელეტრისტს ალ. ყაზბეგსაც დარჩა ხელთნაწერის სახით თარგმნილი ამ ტრაგედიის ნაწყვეტი.

„ჰამლეტი" პირველად თარგმნა ლავრენტი არდაზიანმა და დაიბეჭდა ჟ. „ცისკარში". 1858 წელს, № 5, 6, 7, 8. პიესის სათაურის შესახებ მთარგმნელს შემდეგი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ნამდვილს ენაზე, ესე იგი ანგლიურზე, მთხზველს უწერია პირველი მომქმედი პირი ჰამლეტად, ხოლო რუსულ ენაზე ნათარგმნია გამლეტად, რადგანაც არა აქვთ რუსებს ასო ჰ, მე ნამდვილის მიხედვით ვიხმარე ასო ჰ, რადგან გვაქვს ასო ესე". ეს მინაწერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მთარგმნელმა ინგლისური ენა იცოდა და „ჰამლეტი" დედნიდან გადმოთარგმნა. პიესა ნათარგმნია რუსულიდან, ეს აშკარად ჩანს, სხვათა შორის, იმ ჩართული რუსული სიტყვებით, რომელსაც ხმარობს არდაზიანი თავის თარგმანში: „ბაშმაკები", „შლაპა", „პატრეთი", „ფრთიანი თაგვი" (летучая мышь.—უნდა ეთქვა „ღამურა") და სხვ.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ „ჰამლეტი" 1857 წელს უთარგმნია მეხუთე კლასის მოწაფეს მ. ფავლენიშვილსაც. აი, რას აუწყებს თავის მკითხველებს „ცისკრის" რედაქტორი იოანე კერესელიძე:

„რედაქცია ქართულის სალიტერატურო ჟურნალისა „ცისკარი" განუცხადებს სასიამოვნოდ უ. უ. ჟურნალისა ამის მკითხველთა, რომ აშ დღეებში მიეიღეთ ჩინებული თხზულება განთქმულის მრთელს ევროპაში მწერლისა ვილლიამ შექსპირისა „ჰამლეტი, დანიის პრინცი", რომელსაცა ვამზადებთ დასაბეჭდავათ. ეს არის სასიამოვნო, რომ უასაკონი ყრმანიც კი ცდილობენ დაცემულის ქართულის ლიტერატურის აღდგინებას. ეს თხზულება არის გადმოთარგმნილი, საკეთილშობილო ლიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის თ. მ. ფავლენიშვილისაგან. თუმცა პროზათ არის ნათარგმნი, მაგრამ კმასაყოფელოდ უთარგმნია და მდაბიურს ენაზედ ზემოხსენებულს ყმაწვილს—ყოველთათვის გასაგონად" („ცისკარი", 1857 წ., № 4, გვ. 43).

„ჰამლეტი" ლექსად უთარგმნია ოთხმოციან წლებში აგრეთვე ნ. ტ. დადიანს (იხ. ცნობა „ლიტ—ხელოვნება", 1945 წ., № 9 და „ქართული მწერლობა" 1927 წ., № 6, 7), მაგრამ მისი ეაჟის, შალვა დადიანის ცნობით, ეს თარგმანი არ არის დასრულებული, ხელთნაწერი ინახება მწერალთა მუზეუმში.

„აბ, ნეტამც, ღმერთო, ცის და ქვეყნის გამჩენო ზენა,
არ-სათნოდ გეყო თავის მოკვლის ცოდვათ დაჩენა".
(ნ. ტ. დადიანის თარგმანიდან)

ანტონ ფურცელაძის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი — დანიის პრინცი" არ დაბეჭდილა (ვერც ხელთნაწერს მივაკვლიეთ), სცენაზე

მხოლოდ ერთხელ იქნა შარჰოდგენილი: 1883 წ. თებერვალში, როგორც არდაზიანის „ჰამლეტი“, ისე ფურცელაძის „ჰამლეტიც“ რუსულიდან არის გაკეთებული (იხ. „ივ.“, 1888 წ., № 63), მაგრამ ჩვენი მუშაობის დროს დავრწმუნდით, რომ ანტონის თარგმანი ლივ. არდაზიანის თარგმანს ბევრად სჯობია, თუ ზოგიერთ უხერხულ გამოთქმას არ მივიღებთ მხედველობაში.

ივანე მაჩაბლის თარგმანი პირველად 1886 წელს მოეცა ქართველ საზოგადოებას. ეს იყო ქართული ლიტერატურის დიდი სიხარული!

საქ. მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცული „ცისკრის“ ერთ კომპლექტში, რომელშიაც ლ. არდაზიანის თარგმნილი „ჰამლეტია“ დაბეჭდილი (1858 წ., № 5), პირველ გვერდზე, უცნობის ხელით, მოქმედი პირები ასეა განაწილებული:

კლავდი, კოროლი დანიისა	. უიფიანი
გერტრუდა	. . . . გაბუნია
ჰამლეტი	. ალექსი-მეხხიშვილი
პოლონი	. . ჯორჯაძე*
ლაერტი .	. . . უაზბეგი**
ოფელია	. ხაფაროვიხა
გორაციო .	. . . . მძინარიშვი
როზენკრანცი . .	. . ლომიძე
გილდენშტერნი	. კანდელაკი***
ოსრიკი	. გელაძე
მარცელო . . .	. მაჩაბელი****
ბერნარდო	. ახნაზაროვი*****
აქტიორი	. გოცირიძე******
აქტრისა .	. . ქორიანთელი

„ჰამლეტი“ ქართულად პირველად დაიდგა 1883 წელს ანტონ ფურცელაძის თარგმანით.

გაზ. „დროებაში“ ვკითხულობთ:

„წარსულს კვირას ქართულმა დასმა წარმოადგინა შექსპირის პიესა ჰამლეტი, რომელმაც ლირზედ უკეთ ჩაიარა. მოთამაშეთ როლები უკეთ იცოდნენ და, სხვათა შორის, ალბათ იმიტომ, რომ

---

* ნოდარ ჯორჯაძე, ფსევდონიმიც ჰქონდა: ხაბუელი.

** ჩვენი ბელეტრისტი ალექსანდრე უაზბეგი.

*** გიორგი კანდელაკი, ნიჭიერი მსახიობი იყო. შემდეგ—პოლიციმეისტერი.

**** ზაალ მაჩაბელი—ცხინვალის და გორის სცენისმოყვარე.

***** არტემ ახნაზაროვი, მწერალი, შემდეგ თეატრალური რეცენზენტი.

****** სანდრო გოცირიძე (ნიკო გოცირიძის უფროსი ძმა).

ეს პიესა პროზად იყო გადმოთარგმნილი. ჰამლეტის მთარგმნელს ბ. ა. ფურცელაძეს მიართვეს შექსპირის სრული თხზულება და თავისი სურათი კარანდაშით ნახატი" („დროება", 1883 წ., № 40).

ალექსანდრე ნანეიშვილმა ორი დიდი ფელეტონი უძღვნა „ჰამლეტის" პირველ წარმოდგენას. რეცენზენტი მაინცა და მაინც არ აქებს ჩვენს მსახიობებს. თარგმანის შესახებ კი შემდეგსა წერს: „თვით თარგმანზე ჯერჯერობით სანამ დაბეჭდილი არ არის, არ შეგვიძლია, არც გვაქვს უფლება გადაწყვეტილი აზრი გამოვთქვათ" („დროება", 1883 წ., № 45, 47).

ივანე მაჩაბლის „ჰამლეტი" პირველად დაიბეჭდა 1886 წელს ვ. გუნიას რედაქტორობით გამოსულ ჟ. „თეატრში". ცალკე წიგნად გამოვიდა ხუთჯერ: 1886 წ. (დიდი ფორმატისა), 1887 წ., 1928 წ., 1939 წ. და 1940 წელს. დაიბეჭდა აგრეთვე მთლიანად „მსოფლიო ლიტერატურის" სახელმძღვანელოში.

ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი „ჰამლეტი" ლადო მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნა პირველად 1887 წელს 11 თებერვალს. (იხ. „თეატრი", 1887 წ., № 5). ამ წარმოდგენის შესახებ ილიას „ივერიაში" ერცელი რეცენზიაა მოთავსებული: აქებენ დ. აწყურელს მესაფლავის როლში; ცოტათი ჰკენწლავენ: მესხიშვილს (ჰამლეტი), ვ. აბაშიძეს (პოლონიუსი), ლეონიძისას (ჰერტრუდა), ნ. საფაროვას (ოფელია). პიესის თარგმანი კარგად არის მოხსენებული. ი. მაჩაბელი რამდენჯერმე გამოუწვევიათ სცენაზე (იხ. „ივერია". 1887 წ., № 36). ამ საღამოს დასწრებია ორი გამოჩენილი მსახიობი, ერთი—ვინმე ვარშაველი, მეორე—ადამიანი.

რამდენიმე წლის წინათ „ჰამლეტი"-ს თარგმნა დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიამ, ორიოდე სცენა დაიბეჭდა „ლიტერატურა და ხელოვნება"-ში (1945 წ., № 36). *

ჩვენს სცენაზე „ჰამლეტის" როლი უთამაშნიათ შემდეგ მსახიობებს: ლადო მესხიშვილს, ალექსანდრე. იმედაშვილს, ი. ზარდალიშვილს, ვ. გარიკს, უშანგი ჩხეიძეს, გიორგი დავითაშვილს.

„მეფე ლირი". შექსპირის „მეფე ლირის" ყველაზე ადრინდელი თარგმანი (მთარგმნელის გვარი გამოცხადებული არ არის) ხელთნაწერის სახით პორტფელში ჰქონია „მნათობის" რედაქციას (იხ. განცხადება—„დროება", 1871 წ., № 51).

1873 წლიდან კი „მეფე ლირის" თარგმნას შეუდგნენ ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი. დაიბეჭდა ჟ. „კრებულში" (1873 წ., № 10).

---

* საგულისხმოა, აგრეთვე კ. გამსახურდიას წერილი ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილ „ჰამლეტზე" (იხ. ჟ. „ჭართული მწერლობა", 1928 წ., № 8—9, გვ. 178).

„გაზეთი „დროება“ წინასწარ აუწყებდა ქართველ ხალხს: „უფ. ილ. ჭავჭავაძეს და ივ. მაჩაბელს გაუთავებიათ მეფე ლირის თარგმანი. ამ ტრაგედიის პირველი მოქმედება დაბეჭდილია „კრებულის“ მეათე წიგნში და როცა დანარჩენი მოქმედებებიც დაიბეჭდება, ქართული ლიტერატურა ერთს მშვენივრად ნათარგმნს ძვირფას თხზულებას შეიძენს“ („დროება“ 1874 წ., № 414, 8 მარტი). „მეფე ლირი“ ცალკე წიგნად გამოვიდა 1877 წელს. ჟ. „ივერია“-ში ასეთი ქრონიკა იყო:

„თებერვალში დაიბეჭდა ცალკე წიგნად და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად ინგლისის გამოჩენილის პოეტის ვილიამ შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი“, თარგმნილი ქართულად ივ. მაჩაბლისა და ილ. ჭავჭავაძისაგან (ჟ. „ივ.“, 1877 წ., № 3., გვ. 15). „მეფე ლირის“ წიგნად გამოსვლის შესახებ წერილია დაბეჭდილი გ. თუმანიშვილის „ალმანახში“, 1878 წ., II, გვ. 33). „კრებულში“ დაბეჭდილსა და ცალკე წიგნად გამოსულს შორის არის სტილისტური შესწორებანი. ცალკე წიგნად გამოცემულში კორექტურული შეცდომებიც შეპარულა. თვით ილია აღნიშნავს ერთ წერილში, რომ ლირი „ცოტა კორექტურის შეცდომებით დაიბეჭდაო“... ჩემს ბიბლიოთეკაში დაცულია „მეფე ლირის“ ერთი დაბეჭდილი ეგზემპლარი, სადაც ილია ჭავჭავაძის ხელით რამდენიმე ადგილია ჩასწორებული.*

მეფე ლირი მეორედ დაიბეჭდა „ქართული წიგნის“ გამომცემლობით 1927 წ., საბლიტგამის გამომცემლობით — 1939 წ., სახელგამის — 1940 წ.

„მეფე ლირი“ სცენაზე პირველად წარმოადგინეს 1883 წელს, 16 თებერვალს, კოტე ყიფიანის საბენეფისოდ. „დროება“ შიშს გამოსთქვამდა ამ რთული პიესის დადგმის გამო: „ვნახოთ,—წერდა გაზეთი,—როგორ ჩაივლის ხვალ „მეფე ლირი“, შექსპირის ერთი უძნელესი ნაწარმოებთაგანი, ვნახოთ, ხომ არ გაკადნიერდა ჩვენი ნიჭიერი არტისტი კ. ყიფიანი, რომ ესეთი ძნელი პიესა აარჩია ბენეფისისთვის და ესეთ ძნელ როლსაც, როგორიც ლირისაა, მოჰკიდა ხელი“ („დროება“, 1883 წ., № 33).

წარმოდგენას მართლაც უხვიროდ ჩაუვლია. აი, რასა წერს „დროების“ რეცენზენტი:

„გამოცხადებისამებრ, გასულ ოთხშაბათს ბ. კ. დ. ყიფიანმა თავის ბენეფისისთვის დადგა შექსპირის ხუთმოქმედებიანი დრამა

---

* დაწვრილებით ილია ჭავჭავაძეზე და „მეფე ლირზე“ იხ. ამაეე წიგნში ჩვენი წერილი—„ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“ (გვ. 265).

„მეფე ლირი“, მაგრამ ეაი ამისთანა დადგმას: ჩვენ, მაყურებელნი შეგვაწუხეს და თითქმის ამ საღამოს სრულებით დაგვავიწყეს ყველა ის დამსახურება, რაც ჩვენს დრამატიულ დასს მიუძღვის ქართული თეატრის საქმეში, სუფლიორს სიმწრის ოფლი ადინეს და თვითონაც შერცხვნენ. გარდა თვითონ მობენეფისესი ბ. კ. ყიფიანისა (მეფე ლირი), კ. მესხისა (ხუმარა) და საფაროვის ქალისა (კორდელია), რომელთაც იცოდნენ თავიანთი როლები და გვარიანადაც ითამაშეს, სხვები ისეთი საზარელი სანახავი იყვნენ სცენაზედ, რომ მაყურებელს სურვილი მოსდიოდა: ნეტავი ერთი ცოცხით გამარეკინა ესენი გარეთო! ბ. ვ. აბაშიძე (ანტრეპრენიორი ჩვენი ტრუპისა—მიგალითის მიმცემი) სწორედ ისე იდგა სცენაზე და სიტყვასიტყვით, ჩათელით იმეორებდა სუფლიორის სიტყვას, როგორც გაკვეთილს არმცოდნე შეგირდი თავისი ამხანაგის „პოდსკაზით“ იმეორებს. ვწუხდით, როცა ბ. მოხევეს (ედმუნდს) ვხედავდით სცენაზე. გვაწუხებდა კორნვალის ჰერცოგის დანახვა, ვწუხდით, როდესაც კენტს ვხედავდით, გვაწუხებდა რეგანასა და გონერილიას დანახვა...“ („დროება“, 1883 წ., № 37).

„ლირის“ პირველ წარმოდგენას გამოეხმაურა გაზ. „შრომაც“ (1883 წ., № 8).

„ტიმოთე ათინელი“. ეს პიესა ხელთნაწერის სახით ჰქონია „მნათობის“ რედაქციას (იხ. განცხადება „დროებაში“, 1871 წ., № 5),

„ვენეციელი ვაჭარი“. „ნამდვილიდან გადმოთარგმნილი დიმიტრი ყიფიანისაგან“. დაიბეჭდა ნ. ავალიშვილის ჟურნალ „მნათობში“, 1872 წ., № 3, 4.

ქართულ სცენაზე „ვენეციელი ვაჭარი“ პირველად სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს სოფ. ბანძაში (სამეგრელო) 1873 წ. 16 აპრილს (თარგ. დიმ. ყიფიანისა). კორესპონდენტი (დ. თ.) აქებს „ვენეციელ ვაჭარში“ მოთამაშე სცენის მოყვარეებს. სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ: ქნეინა ოლგა დადიანისა (პორცია), ქნეინა ფალავასი (ნერისა), ალ. ფალავა (ანტონიოსი), დ. ფალავა (შეილოხას მსახური), კონსტანტინე იოსელიანი (გრაციანოსი), დუტუ ფალავა (მოროკელი პრინცი), მიხ. ფალავა (დოჟი). წარმოდგენის მოთავე ყოფილა ალექსანდრე იოსელიანი (იხ. გაზ. „დროება“, 1873 წ., 23 აპრ. № 16).

-ვენეციელი ვაჭარი“ (ანუ „შეილოკი“), ბანძაში დადგმიდან ხუთი წლის შემდეგ, 1878 წელს, 3 აპრილს წარმოადგინეს თბილისში. გაზ. „დროება“ წერდა: „ჩვენ გვითხრეს, რომ ქართველი სცენის მოყვარენი შექსპირის დრამის—„შეილოკის“ წარმოდგენას აპირებენ ჩვენს თეატრში ამ მოკლე დროში. თუ არ ვსცდებით,

ეს პირველი დრამატიული თხზულება იქნება შექსპირისა ქართულ ენაზე წარმოდგენილი, და ამიტომ სანატრელია, რომ ეს ინგლისის გენიოსი—დრამატურგი არ შეარცხვინონ ჩვენი საზოგადოების წინაშე ჩვენმა სცენის მოყვარეებმა". („დროება", 1878 წ.. № 49, 9 მარტი).

თბილისის წარმოდგენას დამაკმაყოფილებლად ჩაუელია. მთარგმნელი—დ. ყიფიანი სცენაზედ გამოუძახნიათ. კოტე ყიფიანი შევლოხას როლში კარგი ყოფილა (იხ. სერგეი მესხის რეცენზია—„დროება", 1878 წ.. 6 აპრილი, № 70). როლები ასე ყოფილა განაწილებული: „შევლოხა—კ. ყიფიანი, პორცია—ელენე ყიფიანი, ლანსელო — ნ. ავალიშვილი, ჯესიკა — ბ. ავალიშვილი, დოჯი — ნ. ჯორჯაძე, პრინცი არაგონელი — ი. ეაჩნაძე, პრინცი მოროკელი — ზ. მაჩაბელი. ანტონიო—დ. კეზელი, ბასსანიო—ი. ბაქრაძე, ბიჭი—ნ. შიშნიაშვილი.

„ვენეციელი ვაჭრის" წარმოდგენის გამო და კ. ყიფიანის შესახებ, პაექრობა გრძელდებოდა (იხ. ლელოს—ი. მეუნარგიას ფელეტონი, „დროება", 1882 წელი, № 2). ეს პიესა კვლავ დაუდგამთ 1884 წ. 31 ოქტომბერს, რეცენზენტი მხოლოდ კოტე ყიფიანს აქებს („დროება", 1884 წ., № 237).

„ვენეციელი ვაჭრის" პირველი რეპეტიციების შესახებ დ. ყიფიანის სახლში, იხ. ეკატერინე. გაბაშვილის მოგონება ე. „თეატრსა და ცხოვრებაში" (1925 წ. № 6).

„ვენეციელი ვაჭარი" ხელახლად თარგმნა ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძემ (სახელგამი. 1947 წ.) და უნდა ითქვას, რომ თარგმანი მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. ვ. ჭელიძის მიერ ნათარგმნი „ვენეციელი ვაჭარი" შევიდა შექსპირის ნაწერების მეოთხე ტომში (1955 წ. გვ. 203).

„იულიოს კეისარი", თარგმანი მ. ზ. ყიფიანისა. დაიბეჭდა ე. „ცისკარში", 1867 წ., № 1, 2. ეს პიესა ხელახლად თარგმნა ივანე მაჩაბელმა (იხ. ე. „მოამბე", 1896 წელი, № 1, 2. 3). ცალკე წიგნად გამოვიდა ამავე წელს. გამომცემლობა „ქართულმა წიგნმა" მეორედ დაბეჭდა 1928 წ. მესამედ სახელგამმა—1938 წ.

„იულიოს კეისარი" ივ. მაჩაბლის თარგმანით ქართულ სცენაზე ვ. გუნიას საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნა 1911 წელს, 29 დეკემბერს*.

* ერთი დეტალი: მ. ყიფიანმა, ისე როგორც ანტონ ფურცელაძემ, თათრული სიტყვა „ბაშმაკი" ვერ გააქართულეს! მაგ., მიხ. ზ. ყიფიანს ერთი ადგილი „იულიოს კეისრიდან" ასე აქვს: „მაშ შენი ხელობა „ბაშმაკების დაკერება არის?„(იხ. „ცისკარი" 1867 წ. № 1, გვ. 327), ივანე მაჩაბელმა კი ეს სტრიქონი ასე გააკეთა: „მაშ შენ მეჯლანე ყოფილხარ!"

„ორი ვერონელი აზნაური“ შექსპირის დრამა „გადათარგმნილი ინგლისურიდან დიმ. ყიფიანისაგან“ 1865 წელს. დაიბეჭდა ჟ. „ცისკარში“, 1867 წ., № 4, 5. რედაქტორი—ივანე კერესელიძე პიესას შემდეგ შენიშვნას უკეთებს: „ამ დრამის ანგლიურიდამ თარგმანზედ ჰქონდა ქართულად მთარგმნელს შესადარებლად საუკეთესო ფანცუზული თარგმანი ლაროშისა და რუსული კეტჩერისა... ამას გარდა, როგორც თვით მთარგმნელმა უფ. დიმიტრი ყიფიანმა მოგვანდო, უნდა მოვახსენოთ მკითხველებს, რომ ეს დრამა ითარგმნა სცენაზედ წარმოსადგენად ჩვენი სასცენო ხელოვნების საცდელად, მაგრამ რადგან ეს არ მოხეოხდა, ამის გამო გადმოგვცა დასაბეჭდათ“ („ცისკარი“, 1867 წ., № 5, გვ. 96). ეს პიესა ხელმეორედ სთარგმნა გივი გაჩეჩილაძემ ინგლისურიდან და დაიბეჭდა შექსპირის ნაწერების მეოთხე ტომში (1955 წ. გვ. 531).

„ანტონიოს და კლეოპატრა“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა. დაიბეჭდა ჟურ. „მოამბეში“, 1898 წ., № 6, 7. ეს პიესა ამავე წელს გამოვიდა ცალკე წიგნად. მეორედ გამოვიდა 1928 წ. მესამედ—1938 წ.

„კორიოლანოს“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა, დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“, 1898 წ., № 8, 9, 10. ეს პიესა ამავე წელს გამოვიდა ცალკე წიგნად. მეორედ—1928 წ. მესამედ—1940 წ.

„მაკბეტი“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა, დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1892 წ., მეორედ—1928 წელს, მესამედ—1940 წ.

„მაკბეტი“ პირველად თარგმნა ვ. გუნიამ. დაიდგა მხოლოდ ერთი მოქმედება—1885 წ. 30 იანვარს. მაკბეტის როლს ასრულებდა ვ. გუნია, ლედი მაკბეტისას—ბაბო ავალიშვილი.

„რიჩარდ მესამე“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა, დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1893 წ., მეორედ—1928 წ., მესამედ—1938 წ.

„ოტელო“, პირველად დაიდგა 1885 წ., 20 იანვარს ვალ. გუნიას სადებიუტოდ. ითამაშეს მხოლოდ ერთი სცენა (მეხუთე მოქმედებიდან). „ოტელოს“ თარგმანი თვით ვ. გუნიას კალამს ეკუთვნოდა (ეთანამშრომლებოდა ივ. ჯაჯანაშვილი)*.

ივ. მაჩაბელი „ჰამლეტის“ შემდეგ „ოტელოს“ თარგმანს შეუდგა 1886 წელს... ამის შესახებ ცნობაა მოთავსებული ილიას „ივერიაში“ (1886 წ., № 262, 3 დეკემბერი).

საზოგადოთ, უნდა ითქვას, რომ „დროების“ დახურვის შემდეგ ივ. მაჩაბელს არ შეუნელებია მუშაობა... იგი იმ დროის ნამდვილი საზოგადო მოღვაწის ტიპს წარმოადგენს. ერთ კერძო წერილში

---

* ვ. გუნიას მიერ ნათარგმნი „ოტელო“ ჩვენს ბიბლიოთეკაშია დაცული.

[1887 წ.] ივანე მაჩაბელი თაეის მეგობარს სწერს: „...თეატრს კარგს ვაშენებთ. სურათებიანი ვეფხის ტყაოსანიც მე დამაწვა კისერზედ, ეხლა იბეჭდება ბანკის საქმეები ცალკე და ოტელოს გათავებასაც ვაპირებ“.

ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ოტელო“ პირველად დაიბეჭდა 1888 წელს, მეორედ—1928 წ., მესამედ—1938 წ., მეოთხედ—1939 წელს.

„ოტელო“ გადმოკეთებული აქვს პროზად პედაგოგ სამსონ ყიფიანს. პირველად დაიბეჭდა გაზ. „დროება“-ში (იხ. „დროება“, 1884 წ., № 252, 255, 257).

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ „ოტელო“ ადრეც ყოფილა ნათარგმნი, 1844 წელს, ვინმე ერისთოვის მიერ (იხ. საქ. მუზ. ხელთნაწ., № 1084; „დროშა“, 1925 წ., № 25 და დიმიტრი ჯანელიძის წერილი: „ოტელოს“ ადრინდელი თარგმანი“ — „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1944 წ., № 31).

ქართულ სცენაზე ოტელოს როლი შეუსრულებია შემდეგ მსახიობებს: კოტე მესხს, ლადო მესხიშვილს, ვალერიან გუნიას, ვ. მატარაძეს, ალ. იმედაშვილს, აკაკი ხორავას, შ. ღამბაშიძეს, ვასო გოძიაშვილს, ლეო ჭედიას და ვახტანგ მეგრელიშვილს.

„გიჟძორას ცელქი ქალები“, თარგმანი მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის მიერ. წარმოდგენილ იქნა პირველად რუსთაველის თეატრში 1924 წ. 20 ნოემბერს, კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით. ესეც პიესა მეორედ სთარგმნა ვახტ. ჭელიძემ (გამომც. „ხელოვნება“, 1956 წ.).

„დიდი ამბავი ტყუილუბრალოდ“, თარგმნილი ნიკო დადიანის მიერ; ეს პიესა ხელმეორედ თარგმნა დავით ყიფიანმა (ჟურნალისტ ლევან ყიფიანის მამა), უწოდა: „ტყუილუბრალოდ ეაივაგლახი“. შექსპირის ეს კომედია ხელახლად თარგმნა გივი გაჩეჩილაძემ სახელწოდებით: „აურზაური არაფრის გამო“ (იხ. უილიამ შექსპირი, თხზულებანი, ტ. 4. 1955 წ., გვ. 359).

„მეთორმეტე ღამე“, თარგმნილი ს. ფაშალიშვილის მიერ. დაიდგა 1946 წ. სოხუმის სახელმწიფო თეატრში. „მეთორმეტე ღამე ანუ რაც გნებავთ“ 1870 წელს თარგმნა ნიკო დადიანმა (არ დაუდგამთ).

„ჰორვეული ცოლის მორჯულება“ რამდენჯერმე თარგმნეს. პირველად—შალვა დადიანმა („კვალი“ 1895 წ., № 34), მეორედ—კოტე მესხმა, მესამედ — კ. მაყაშვილმა, მეოთხედ — ალექსანდრე იმედაშვილმა, მეხუთედ—სოლომონ წერეთელმა, მეექვსედ—ს. ფაშალიშვილმა.

„მეფე ცომბელინი", სამსონ ყიფიანის მიერ მოთხრობად გად-მოკეთებული. დაიბეჭდა ქუთათურ ჟურნალ „ცდა"-ში, 1890 წ., № 2. *

„ვენეციელი ვაჭარი" ასევე პროზად გააკეთა ბავშვებისთვის თ. კაბდებლაძემ (იხ. „ნაკადული"—მოზრდილთათვის, 1906 წ., № 6).

„ქარიშხალი" თარგ. ვ. ჭელიძისა.

„ზენრის მეოთხე" თარგ. ვ. ჭელიძისა.

„შეცდომების კომედია" თარგ. ს. ფაშალიშვილისა.

გარდა ამისა, თარგმნილია შექსპირის ზოგიერთი სონეტი. მთარგმნელები არიან: ქუჯი [შალვა დადიანის ფსევდონიმია] (იხ. ჟ. „ნობათი", 1897 წ., № 2.), ა. შანშიაშვილი (იხ. „ნიშადური", 1908 წ.). ცნარი (იოსებ გვანცალაძე), იხ. ჟ. „ჭორწინება" 1909 წ. № 2). გიგი გაჩეჩილაძე (იხ. „ინგლისელი პოეტები")**, ალ. საყვაია (იხ. „ჩვენი თაობა", 1940 წ., № 10 და მისივე ლექსების კრებული 1947 წ., გვ. 75).

ილიას „იერიაში" გაბეჭდილია შექსპირის რამდენიმე აფორიზმიც (იხ. „დამაკვირდი", 1938 წ., 1947 წ.).

აქვე უნდა აღინიშნოს განსვენებული პროფესორის ერეკლე ტატიშვილის მუშაობა შექსპირის პოპულარიზაციისათვის. მისი უშუალო ინიციატივით და დახმარებით შეუდგნენ ჩვენი ახალგაზრდა ბუჩრლები შექსპირის შესწავლას და თარგმნას.

ჩვენ გადმოვეცით შექსპირის ტრაგედიების ქართულ ენაზე თარგმნისა და ქართულ სცენაზე მათი დადგმების მოკლე ისტორია. მაშასადამე—

1841 წელს დ. ყიფიანის მიერ პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა", ხოლო 1872 წელს იმავე მთარგმნელისაგან „ვენეციელი ვაჭარი".

შექსპირის ტრაგედიები ქართულ ენაზე თარგმნეს აგრეთვე: ლავრენტი არდაზიანმა („ჰამლეტი"—1858 წელს), იხ. ყიფიანმა („იულიოს ცეზარი"—1867 წ.), ანტონ ფურცელაძემ („ჰამლეტი"—1882 წელს).

1873 წელს შექსპირის თარგმნას შეუდგნენ ი. ჭავჭავაძე და

---

* სამსონ ყიფიანის მიერ გადმოკეთებული „ოტელო", „ჰამლეტი" და „მეფე ცომბელინი" ცალკე წიგნად გამოვიდა ორჯერ: 1891 წ. და 1912 წ.

** გიგი გაჩეჩილაძემ 1952 წელს დაბეჭდა შექსპირის სონეტების სრული კრებული (ახალგამი); შექსპირის სონეტები დაბეჭდა ახალგახარდა პოეტმა რეზო თაბუკაშვილმა (იხ. „მნათობი", 1949 წ., № 10 და 1951 წ., № 7).

1952 წლის შენიშვნა (ი. ჭ.)

ი. მაჩაბელი. მათ ერთად გადმოიღეს ინგლისურიდან „მეფე ლირი“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1877 წელს.

ივანე მაჩაბელი შექსპირის თარგმნას დამოუკიდებლად შეუდგა 1885—1886 წლებში. მან დიდი სიყვარულით გადმოიღო ქართულ ენაზე შექსპირის საუკეთესო ტრაგედიები და ქართველთა შორის დაიმკვიდრა უბადლო მთარგმნელის სახელი.

რადგან შექსპირს ივანე მაჩაბლის სახით, საიმედო მთარგმნელი გამოუჩნდა, ილიამ ინტერესი დაჰკარგა შექსპირის გადმოღების საქმისადმი (ან სად ეცალა!). ეს საქმე მთლიანად დაუთმო ივანე მაჩაბელს, თვით კი ყოველმხრივ ახალისებდა და აქეზებდა ნიჭიერ მწერალს და მთარგმნელს.

მარტო ის რად ღირს, რომ ქართულ „მეფე ლირს“ ჯერ ივანე მაჩაბელი აწერია თავზე და შერე ილია ჭავჭავაძე. ილიამ მაჩაბლის გვარი პირველად მოიხსენია მაშინ, როცა ყველა ცნობებით „მეფე ლირის“ ლექსად თარგმნის თაოსნობა და პრიორიტეტი ილიას ეკუთვნის და ნათარგმნი სტრიქონების რაოდენობაც ილიასი უფრო მეტია, ვიდრე ივანესი.

ილია ჭავჭავაძემ თავის თანამშრომელში აღმოაჩინა მიმალული ზეშთაგონება და საზოგადო გახადა იგი: „ვანო ჭკვიანი ბიჭია და კარგი კალმის პატრონი—ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება“— წერდა ილია ერთ კერძო წერილში მაჩაბლის შესახებ.

ვიდრე ილიასა და მაჩაბელს შორის უმძრახობა ჩამოვარდებოდა (1891 წლიდან დაიწყო). რაც ჩვენი მოსარფე საზოგადოების ერთი ნაწილის ბრალი იყო, ახალგაზრდა მაჩაბელი დიდ ილიას „თავის კაცად“ მიაჩნდა და მასში ჰხედავდა საქართველოსათვის სასარგებლო პიროვნებას; როცა ივანე მაჩაბელი ქართული გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა, გაზ. „დროებამ“ (1879 წ. № 193) ასეთი ახალი „ამბავი“ გამოაცხო: „ილია ჭავჭავაძეს ყველგან თავის კაცი ჰყავსო“. *

ივ. მაჩაბელი პირდაპირ გასაოცარი მოვლენაა ჩვენს ქართულ ლიტერატურაში, ამაოდ კი არა წერდა ილია: „არც ერთი რუსული თარგმანი შექსპირისა ქართულს არ შეედრებაო“. შექსპირის ადრინდელი ქართული თარგმანები ივანე მაჩაბლის თარგმანთან შედარებით, რალაც ბალღურ ვარჯიშობად გამოიყურება.

---

* აკაკი წერეთელიც წინააღმდეგი იყო ივანე მაჩაბლის სათავად-აზნაურო სკოლის უფროსად დანიშვნის შესახებ. აკაკი ამ ადგილზე უპირატესობას აძლევდა ალექსი ჭიპინაძეს, მაჩაბელი კი სრულიად ახალგახარდაა, გამოუცდელია და საქმეს თავს ვერ გაართმევსო (იხ. „კრებული“ 1898 წ., № 12—მოკონება).

როგორც ჩვენს მიერ მოყვანილ მასალებიდან ირკვევა, ინგლისელ დრამატურგს ბევრი მთარგმნელი ჰყავდა ჩვენში, მაგრამ მთელი მათი მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს მოსამზადებელ პერიოდად შექსპირის გადმოქართულების საქმეში, რომელსაც ნამდვილი მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ილია ჭავჭავაძის და იყანე მაჩაბლის თარგმნილმა „ლირმა".

იყანემ და ილიამ 14 მარცვლოვანი თეთრი ლექსი კანონად გახადეს შექსპირის სხვა მთარგმნელებისათვის, მანამდე შექსპირი მხოლოდ და მხოლოდ პროზად ითარგმნებოდა.

აი ორიოდე ნიმუშიც:

1. ყოყო თუ არ ყოყო—აჰა რას ვიკითხავ. რა უფრო სიქველეა სულისათვის: მოთმენა ცემათა განმამწარებელი სევსი, თუ აღჭურვა წინააღმდეგომ ზღვისა ბოროტებათა და დაძლევა მისი, ამოვსწბო რა ერთიანათ. სიკვდილი—მიძინებაა არა მეტი. და დასრულება ძილითა გულის ენებათა, ათას ტანჯვათა, სხეულის მემკვიდრეთა—როგორ არ ვისურვოთ ესრეთი დასრულება!...

(მთარგმნელი ლ. არდაზიანი).

2. სიცოცხლე თუ სიკვდილი? აი, რა არის საფიქრებელი! რა უფრო პატიოსნურია; ის, რომ კაცმა აიტანოს მტრად აღჭურვილი განგების შეუბრალებელი დევნა და ჩაგვრა, თუ ისა, რომ კაცი ბრძოლად გავიდეს, შეჰმართოს ხელი და გაუმკლავდეს ამ ზღვათა აუარებელთა უბედურებათა? სიცოცხლის გათავება არის მხოლოდ ძიძინება. ამასთან რაკი ესეც იცის კაცმა, რომ ყველა სულდგმულის ბოლო არის მაინც ეს მიძინება, ეს ძილი უღებს ბოლოს ათასთა სატანჯველთა და წამებათა,—ნუ თუ ამ დროს მოახლოვება და შეყრა არ უნდა იყვეს გულით სანატრელი ყოველი ადამიანისათვის?..

(მთარგმნელი ანტ. ფურცელაძე).

3. ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საკითხავი აი ეს არის.
სულ-დიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის რომ იტანჯოს
და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრი ხა გმირვა,
თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას
და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი?.. მოსპოს სიცოცხლე...
ბოლო მოუღოს... მიიძინოს... სხვა არაფერი...
ამ მიძინებით გათავდება ის გულის ქენჯნა
და ათასი სხვა ბუნებრივი უკუღმართობა,
რაიც ხორც-შესხმულ ადამიანს წილად ხდომია.
განა ეს ბოლო სანატრელი არ უნდა იყოს?...

(მთარგმნელი ივ. მაჩაბელი).

რა დიდი გარსხვავებაა ვალერიან გუნიას-მიერ ნათარგმნ ჰამლეტის ამ მონოლოგსა და ივანე მაჩაბლის-მიერ ნათარგმნ ამავე მონოლოგს შორის!

— ვინ აიტანდა თავის დროის რისხვას და განწირვას?
სიმართლის უძლურებას, მტარვალთაგან ჩაგვრას?
ამპარტავანთაგან თაკილს, სიყვარულის დაკარგვას?
საზიზღართა ხალხთაგან ზიზღით ცქერას? —
რომ ვიცოდეთ, რომ მარტო ერთის ხელის გაქნევით
ამდენი მწუხარებას ბოლო მოეღება!
ვინ იტვირთებდა ამოდენა უბედურობას ცხოვრებაში?
ვინ მოუხრიდა ამდენი შრომას ქედს?—მაგრამ
ხელს გვიდუნებს და გვაბრკოლებს ის უცნობი
მომავალი, რომელსაც მოველით სიკვდილის უკან
და საიდამაც ამბის მომტანი ჯერ არვინ დაბრუნებულა!..

(მთარგმნელი ვ. გუნია 1885 წ.).

ვ. გუნიას ეპატიება, რადგან მას „ჰამლეტი“ ბოლომდე არ უთარგმნია და არც სცენაზე წარმოუდგენიათ, ვალერიან გუნია ახალგაზრდობაში გატაცებული იყო მსახიობ როსის ტრაგედიების შესრულებით და სცენიდან ერთ-ერთ თავის ბენეფისში სურდა გამოსაცდელად „ყოფნა-არ ყოფნის“ მონოლოგი წაეკითხა თავისი საკუთარი თარგმნით. ივანე მაჩაბელის თარგმანი კი 1886 წელს გამომზეურდა იმავე გუნიას ინიციატივით.

ნება მომეცით შედარებისათვის ეს ადგილი ივანე მაჩაბლის თარგმნითაც მოვიყვანო:

მე მაგონდება ამ მონოლოგის წაკითხვის დროს დიდი ლადო მესხიშვილი და უშანგი ჩხეიძე!

— ვინ მოითმენდა უამისოდ ჟამთა სიმწარეს
მტარვალის ჩაგვრას, სიამაყის თავ-გასულობას
ტანჯვასა მწვავსა უარ-ყოფილ სიყვარულისას,
მართლ-მსაჯულების გვიანობას, მძლავრთ უკმეხობას,
შეურაცხ-ყოფას ღირსეულის უღირსისაგან,—
მშვიდობის პოვნა რომ შეგვეძლოს დანის ერთ დაკვრით?
ვინა ზიდავდა ჯაფით, კვნესით ამ სიცოცხლის ტვირთს,
რომ არა გვქონდეს იმის შიში, თუ სიკვდილ-შემდეგ
იქ რა იქნება, იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს,
სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება.

(მთარგმნელი ივ. მაჩაბელი, 1886 წ.).

1844 წ. ვინც ერისთოვი პროზად თარგმნა „ოტელო“... ივანე მაჩაბელმა თავისი თარგმანი დაბეჭდა 1888 წელს. აი, რაოდენი განსხვავებაა მათ შორის. ავიღოთ ცნობილი მონოლოგი:

ერისთოვის თარგმანი:

„უკეთუ ყოველთა ბნედრობათა განენაწილებინათ ჩემთან ტკბილი საწოლი, ხოლო მე არ მცოდნოდა, ჩემთვის იგი იქმნებოდა ყოველივე სიამოვნის ასატანი! ეხლა კი მშვიდობით საუკუნოდ ნეტარებაო ჩემო, მშვიდობით განსვენებაო, მშვიდობით ჯილაგ გაბრწყინებულო, მშვიდობით ბრძოლანო, სადაცა წყურვილნი დიდებისანი ითვლებიან კეთილ მოქმედებად, მშვიდობით, მშვიდობით ტაიჭნო ბრძოლისანო, საკრავნო გამამხნევებელნო ბარაბანნო, გასაგმირელნო სალამურნო, მომიტევეთ ამაყნო ბაირახნო ნიშანნო და განმაშვენებელნო ძლევაძოსილთა ბრძოლათა შინა და თქვენ ზარბაზანნო სიკვდილისანო, ვითარიცა ტყვია შეამშროებს საყვარლისაგან დაჩაგრულსა! მშვიდობით! თქვენთან უკვე აღარ ვარ ცნობილი“.

ივ. მაჩაბლის თარგმანი:

...თუნდ მთელ ბანაკს,
ყოველ ჯარისკაცს თუნდ ცალ-ცალკე ეგემნა იგი,
იმის ტკბილ სხეულს შეჰხებოდა, მე ბედნიერად
ჩავთვლიდი ჩემს თავს, არ მცოდნოდა ოღონდ არა-რა.
აწ-კი მშვიდობით საუკუნოდ სულის სიმშვიდევ,
მშვიდობით, ჩემო ბიბიარულო კმაყოფილებავ!
მშვიდობით სპანო ჯილოსანნო, დიდნო ბრძოლანო,
თავმოყვარების სათნოებად გარდამქცეველნო,
მშვიდობით, ჩემის თავმომწონე ცხენის ჭიხვინო,
გულის აღმძვრელო დაფდაფებო, ბუკის მკვეთრო ხმავ,
ყურთა გამბრირო სალამურო, სამეფო დროშავ!
დაუდგრომლობავ, მღელვარებავ დიდებულ ომთა,
ბრძოლის შვენებავ, სიამაყევ თვალიც მიმტაცო.
ოჰ, თქვენც მშიდობით, მანქანანო სიკვდილის მბადნო,
რომელთ ყელიდამ ხმა გამოჰქუხს სმენად საშიში,
როგორც უკვდავის იუპიტრის საზარო გრგვინვა!
ოტელოს ჩარხი ბედ-უკუღმა გადატრიალდა!

შესანიშნავი მონოლოგია, შესანიშნავი თარგმანი! ხანდახან გაოცებას ეძლევი ხოლმე: საიდან ჩამოვარდა ეს კაცი? რომელ გრი-

გალს გადმოჰყვა. ვინ ჩააგონა ჩვენი ენის საიდუმლოება და ქართული სიტყვის შეგრძნების ძალა?

მე-19 საუკუნის დიდი მოღვაწე ივანე მაჩაბელი ახალი ქართული ენის ერთ-ერთი ფუძემდებელია, იმ ახალი ქართულისა, რომელსაც ჩვენი ძეელები ბუნებრივ, „სასაუბრო ენას“ უწოდებდნენ. „სულიკო“, „ორეული“ და სხვა აუარებელი ახალი. მანამდე უცნობი სიტყვა. რომელთა შესწავლაზე ამ ეამად ემუშაობ, გახა პირველად ივანე მაჩაბელმა არ შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში?

მაჩაბელს ქართული ენის ბუნების განსაცვიფრებელი ალღო ჰქონდა, მან იცოდა სინონიმების იშვიათი მოძებნა და თავ-თავის ალაგას მოთავსება, მას ახასიათებდა სათარგმნელ ტექსტში ჩაწვდომის უნარი.

მშვენივრად სთქვა ივანე მაჩაბელზე სახალხო პოეტმა იოსებ დავითაშვილმა:

ქართული ენა გაჩარხა,
ნაჯიჯგნი სხვა და სხვისაო.

შექსპირის ყველა გამოცემას კომენტარიები ახლავს. მაგრამ, უნდა ითქვას, მაჩაბლის თარგმანი იმდენად ზუსტი და გასაგებია. რომ არავითარ კომენტარს და განმარტებას არ საჭიროებს.

ისევე, როგორც შექსპირი თავის ტრაგედიებს წერდა სცენისათვის, მაჩაბელიც თარგმნიდა მათ სცენისათვის. ამიტომ არის რომ ეს ტრაგედიები ასე თავისუფლად ცეკვენ სცენიდან და მათზე სწავლობდნენ და სწავლობენ ჩვენი მსახიობები სწორმეტყველებას. მაჩაბელმა თავის ქართულ თარგმნებს შეუნარჩუნა ის დიდი მხატვრულ-ლიტერატურული და სცენიური ღირსებანი, რომლითაც აღბეჭდილია შექსპირის ტრაგედიები.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, თუ რამდენად ბუნებრივი. ნათელი და ადვილად გამოსათქმელია მაჩაბლისეული წინადადებანი სხვა მის თანამედროვე მთარგმნელების ფრაზებთან შედარებით.

ჰამლეტი მოკლულ პოლონიუსზე ამბობს: „ვახშამზე გახლავთ, მაგრამ ვახშამს თვითონ კი არ მიირთმევს, თვითონ იმას შექცევიან ვახშმად, მატლთა პოლიტიკურმა კონგრესმა ეს არის ეხლა მიჰყო ხელი იმას პირი“ (ახტონ ფურცელაძის თარგმანი). ივ. მაჩაბელს ეს ადგილი ასე ლაკონიურად აქვს ნათარგმნი: „ვახშმად არის, მაგრამ ის კი არა სჭამენ: პოლიტიკოსი მატლები შეკრებილან და ახლო მისხდომიან“... ან კიდევ:

პოლონ.—მე ვთამაშობდი იულიოს კეისარს და კა-
პიტოლში მომკლეს. მე მომკლა ბრუტუსმა.
ჰამლეტი—მაშ ის ბრუტუსი სწორედ ბრუტიანი
ყოფილა, რომ მაგისთანა ჩინებული ხბო და-
საკლავად გამოუმეტნია.

ესეც ივანე მაჩაბლის თარგმანია. ახლა მოვიყვანოთ ეს ადგილი ლავრენტი არდაზიანის თარგმნით:

პოლონ.—რას ვთამაშობდი? იული კეისარსა. მე დაჰმკლა
ბრუტმა კაპიტოლში.
ჰამლეტი—ნამდვილ ბრუტი ყოფილა ის, ოდეს დაუ-
კლავს ესრეთი გასუქებული ხბო.

ლაკონიურობა, ქართული ენის ბუნებრივობა, იუმორისტული ელემენტების გამოვლინება, ლექსის ოსტატობა, ინტონაციის სიმდიდრე და მრავალფეროვნება—აი ასეთია მაჩაბლის თარგმანი. თუ ანტ. ფურცელაძეს აქვს: „მიეცით ფიცი“, „გამოვიცვალოთ ადგილი“, ივ. მაჩაბელი ერთი სიტყვით გამოსთქვამს: „შეჰფიცეთ“, „გადავინაცვლოთ“. თუ ლავ. არდაზიანი მესაფლავის სიმღერას ასე თარგმნის:

მე ვიყავ მარჯვე და გამბედავი,
სიმღერა, თამაშობა, მიყვარდა,
ეხლა-ღა დავბერდი, მოუძლურდი,
არ ძალმიძს მღერა, ვიკვნესო უნდა.

ივანე მაჩაბელი შექსპირის ამ სტრიქონებს აძლევს ხალხური ლექსის ელფერს და, მაშასადამე, სიმღერისათვისაც გამოსადეგ მოქნილობას:

ჩემს ბიჭობას, გოგოებსა
გულიანად დავდეედიო,
ვთამაშობდი, ძიხაროდა,
ეჰ, რა ცუდ დროს დავბერდიო.

ჰამლეტს სასაფლაოზე დაეუფლა ამაოების გრძნობა და მას ვერ წარმოუდგენია, რომ დიდი ალექსანდრეც მიწად იქცა და ამ მიწიდან ტალახს ზელავენ.

ეს შესანიშნავი ლექსი ჩვენს მთარგმნელებს სხვადასხვანაირად აქვთ ნათარგმნი:

დიდმშვენიერი კეისარი დღეს არს მტვერი, ხრწნილება,
და კედლების დასაკერებლად ისი ნახმარებია,
ცოცხალმა თიხამა შეარყია მთელი დედა-მიწა,
ხოლო მკედარი-ღა წასაცხებად ბუხრებისა შეიქმნა.

(ლავ. არდაზიანი)

ვის წინ ეყარნენ ფერხთა მტერად
ხალხები და კრინტს ვერ სძრაედნენ,
ცეზარი იქცა ტალახად
და მითი კასრებს ჰგლესამენ.

(ანტ. ფურცელაძე)

თიხად გადიქცა კეისარი ყოვლად ძლიერი,
და სახლთ სალესად ხმარობენ მას, მას ქვეყნის მხარავს,
ის, ვის წინაშეც შიშით ძრწოდა ურიცხვი ერი,
ზამთრის სუსხისგან უბრალო ჭოხს ეხლა იფარავს.

(ივ. მაჩაბელი)

ასეთი ოსტატობა „მეფე ლირის" თარგმანშიაც გვხვდება. იქ ხშირად რეპლიკა მთლიან სტრიქონშია მოქცეული, ხან კი მთლიანი სტრიქონი ერთი სიტყვით არის ნათარგმნი. შექსპირის ტექსტთან (მე ვამბობ „მეფე ლირზე") შეფარდებულია წმინდა ქართული გამოთქმებიც, მაგალითად: „ვაი შენ ჩემო თავო", „შენ არ მომიკვდე!" „ლილახანა გაუცედა", „გიცნობ, რა წითელი კოპიცა ბრძანდები!" „მეხი კი დაგეცა მაგ ბრიყვ თავზედ"... ზოგი ჩვენებური სიტყვა შესანიშნავად ეფარდება პიესის დედააზრს, მაგ., „პამპულა", „ნაცარქექია", „ფეხთა მლოკი", „ნაბიჭვარი", „დიდგულა", „ძაღლის გავარდნილი", „თაელაფდასხმული", „ლაწირაკი", „მელაძუა", „ოხერტიალი", „წუწკისშვილი", „დომხალი". „ვირეშმაკა", „მიქარვა", „უადრი", „აშაღლარა", „ბოღლიწო", „სართი", „კოტოში" და სხვ.

საჭიროებისამებრ მთარგმნელმა თუ ფოლკლორიც არ მოიშველია, სხვაგვარად ზოგიერთი მცნების შესატყვისი ტერმინი უსუსური და მშლე გამოდის. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა ძველმა მოღვაწეებმა და განსაკუთრებით შექსპირის მთარგმნელებმა. ამიტომ იყო, რომ ისინი სხვადასხვა თხზულების თარგმნის დროს, შესაბამი ტერმინის გამოსანახავად, გულსავსედ ეწაფებოდნენ ცოცხალ სიტყვას და ხალხურ გამოთქმებს.

ორი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ რაც გინდა დიდი მსახიობი იყოს, თუ პიესა უხეირო ენით იქნება დაწერილი, სათანადო ზეგავლენას ვერ მოახდენს მაყურებელზე. ამის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს „ჰამლეტის" ფურცელაძისეული ტექსტი, რომელიც გახდა ჰამლეტის როლში ლადო მესხიშვილის მარცხის მიზეზი 1883 წელს.

„კვალი" წერდა: „ჰამლეტი" ძალიან ძნელი გასაგები და წარმოსადგენია, ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული არტისტები და აგრეთვე განსაკუთრებითი საზოგადოებაც" (იხ. „კვალი", 1899 წ.,

№ 50). ეს არ არის მართალი. შექსპირის ტექსტის გამგები არტისტებიც გვყავდა და საზოგადოებაც, მაგრამ, როგორც ვთქვი, ხეირიანი მთარგმნელები არ გაგვაჩნდნენ.—(აქ მხედველობაში არა გვყავს ბრწყინვალე მთარგმნელები: ნიკო ავალიშვილი, ივ. მაჩაბელი, გრ. ყიფშიძე და ივ. მაჭავარიანი.—როშელთა ნათარგმნი პიესებიც სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს ჩვენს თარგმნითს ლიტერატურაში). და როცა 1887 წელს ქართულმა თეატრმა „ჰამლეტი“ ივანე მაჩაბლის თარგმნით წარმოადგინა, სურათი სულ სხვანაირი იყო. აქ არტისტებმა ფრთა გაშალეს და ქართული ენის ელასტიკურობა, მისი ძარღვი და სილბო ნაკადულივით მდინარებდა მსახიობთა ბაგეთაგან; სწორედ მოსწრებულად უთქვამს ილიას: „ქართველმა არტისტებმა ქართველ საზოგადოებას შეაყვარეს და გაუშინაურეს შექსპირიო“. იშვიათი შემთხვევაა თეატრალური ცხოერების ისტორიაში, რომ ხალხმა მთარგმნელი გამოიძახოს სცენაზე და ხელში აყვანილი გამოატაროს ქუჩებზე. მაყურებელი ივანე მაჩაბელს ისე უკრავდა ტაშს. როგორც „ჰამლეტის“ შემქმნელს და ამ ტაშის პირველი დამკვრელი ილია ჭავჭავაძე იყო.

პრესა ივ. მაჩაბლის თარგმანებს ყოველთვის აღტაცებული ეგებებოდა. იყო ერთი შემთხვევა მხოლოდ. როცა „ივერიამ“ „ოტელოს“ მთარგმნელებს (ივ. მაჩაბელს და დ. მესხს) უსაყვედურა: „თარგმანი მოითხარიკებდა, განსაკუთრებით სამი უკანასკნელი მოქმედებაო“. ეს სამი უკანასკნელი მოქმედება კი დათიკო მესხისა იყო და არა მაჩაბლისა*.

ივ. მაჩაბელს შექსპირის სულ რვა ტრაგედია აქვს ნათარგმნი „ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიოს კეისარი“, „ანტონიოს და კლეოპატრა“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“, „კორიოლანოს“ და „მეფე ლირი“ (ეს უკანასკნელი ილიასთან ერთად თარგმნა).

ხშირად მიფიქრია: რატომ არ დაგვიტოვა ივანე მაჩაბელმა „ვენეციელი ეაქარი“, ან „რომეო და ჯულიეტა?“ განა „რიჩარდ

---

* მკითხველმა რომ სხვანაირად არ გაიგოს, აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: კ. მესხს განუზრახავს ქუთაისში „ოტელოს“ დადგმა და მიუმართავს მაჩაბლისათვის, თარგმანი გამომიგზავნეო. ივანე მაჩაბელს „ოტელოს“ მხოლოდ ორი მოქმედება ჰქონია მზად და ის გაუგზავნია, დანარჩენს ნელინელ მოგაწვდიო. მაჩაბელს, ავადმყოფობის გამო, დაპირებული სამი მოქმედება ვეღარ მიუწოდებია კოტე მესხს კი წარმოდგენის გადადება არ მოუსურვებია და დანარჩენი მოქმედებების თარგმნა თავის ძმისთვის, დათიკო მესხისთვის დაუვალებია... აი რატომ წერდა „ივერიის“ რეცენზენტი, „თარგმანი მოითხარიკებდა, განსაკუთრებით სამი უკანასკნელი მოქმედებაო“. აშკარაა, ეს საყვედური ივანე მაჩაბელს არ ეკუთვნის. (იხ. „თ. და ც.“, 1914 წ., № 39. შდრ „თემი“ 1914 წ., № 147).

მესამის“ ან „კორიოლანოს“ ნაცვლად ზემოხსენებული ორი პიესა რომ ეთარგმნა, არა სჯობდა? მის ლირიულ სულს და რომანტიულ ბუნებას, „რომეო და ჯულიეტა“ უფრო არ შეეფერებოდა? მაგრამ არ უთარგმნია. არა იმიტომ, თითქოს ამ პიესების თარგმნა ვერ მოასწრო, არამედ...

აი რა უნდა ვთქვა:

ივანე მაჩაბელი მეტად კეთილშობილი, მორიდებული და უპრეტენზიო ადამიანი იყო. როცა მან ფეხი შემოსდგა სამწერლო ასპარეზზე, ილია ჭავჭავაძის გარდა, სახელგახვეჭილი მთარგმნელი იყო ქართული ენის კარგი მცოდნე დიმიტრი ყიფიანი. „რომეო და ჯულიეტა“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ოი ვერონელი აზნაურო“ სწორედ დიმიტრი ყიფიანს ჰქონდა ნათარგმნი და დაბეჭდილიც. ჩემის აზრით, ივანე მაჩაბელი მოერიდა ბჭობას დიმიტრი ყიფიანს და საჭიროდ არ ჩასთვალა ხელმეორედ ეთარგმნა დიმიტრისმიერ უკვე თარგმნილი ტრაგედიები.

დიაღ, ამ პიესების უთარგმნელობა სწორედ ამით უნდა აიხსნას და არა სხვა მიზეზით.*

უნდა ითქვას, რომ ივ. მაჩაბელი შექსპირის თარგმანზე, სხვა მთარგმნელებთან შედარებით, დიდი პასუხისმგებლობით და მეცნიერული კეთილსინდისიერებით მუშაობდა. მისი სურვილი იყო შექსპირის ქართულ თარგმანში არ დაკარგულიყო ამ ბუმბერაზი დრამატურგის აზრების სიღრმე და მისი მხატერობის უდიდესი ძალა.

როცა მაჩაბლის თარგმანებს ვკითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ქართულად მოლაპარაკე შექსპირი იდგეს ჩვენს წინაშე... ივანე მაჩაბელს, რომელსაც პირველად ილიამ ბოუხვეჭა კარგი მთარგმნელის სახელი, ქართულ შექსპირიანაში ყველაზე მაღალი და საპატიო ადგილი უპირაეს.

---

* დიმ. ყიფიანის უფროსი ვაჟი ნიკოლოზი (გარდაიცვალა 1905 წ. ქ. ბრიუსელში), ნ. დიმიტრიძის ფსევდონიმით, ასეთ ხოტბას ასხამს შექსპირის პირველ მთარგმნელს: „ერთი კარგი მთარგმნელი გვყავს, რომლის თარგმანში შეგსპირი შექსპირადვე რჩება და არ იმახინჯება. ანგლიური ენის მცოდნე და მშვენიერი ქართული ენის პატრონი, უფ. დიმიტრი ყიფიანი. „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის ერთი უკეთესთაგანი თხზულება არის ძვირფასი შენაძენი საწყალი ქართული ლიტერატურისათვის:.. უფ. დიმ. ყიფიანი სთარგმნის შექსპირის გენიალურ დრამას „შეილოკს“ (მთარგმნელს ეს სახელი გადმოუღია „შაილოხად“), ამბობენ, რომ ამ დღეებში ათავებს კიდეცა უფ. დიმ. ყიფიანი ამ დრამის თარგმანს. „შეილოკისა“ და „რომეო და ჯულიეტის“ ნათარგმნით საწყალ ქართულ ლიტერატურას ორი გენიალური, მშვენიერი სანიმუშო ქართული ენით დაწერილი თხზულება მოემატა“ („დროება“, 1872 წ., № 2).

ქართველი მწერლების ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ოლივერ უორდროპი, „იულიოს კეისრის“ ცალკე წიგნად გამოსვლისთანავე 1896 წელს, 28 მაისის თარიღით ყირიმიდან ასეთ წერილსა სწერს ივანე მაჩაბელს: „თქვენი თარგმანი „იულიუს-ცეზარისა“, საამაყო რამ არის. იგი ერთსა და იმავე დროს არის დადასტურება თქვენი უაღრესი ნიჭიერებისა და თქვენი ენის საოცარი სიმდიდრისა. ბე წამიკითხავს ფრანგული, გერმანული, რუსული და ბულგარული ვერსიები ამ პიესისა, მაგრამ არც ერთი იმათგანი არ არის ისე ერთგულად შესრულებული, როგორც თქვენი. თქვენ ისეთი რამ შექმენით, რომლითაც შთამომავლობა აღტაცებული იქნება... (საქ. ლიტ.—მუზეუმი, № 1145, ინვ. 2182; შდრ „ლიტერატურული ძიებანი“, 1955, № IX. გვ. 181).

შექსპირი — ეს დიდი მოაზროვნე და დიდი მხატვარი, ადამიანის გულის მესაიდუმლე და სიმართლის მომღერალი—ჩვენი თეატრების ახლობელი და განუყრელი დრამატურგია. შექსპირის ტრაგედიები საბჭოთა თეატრებში 22 ენაზე იდგმება, მაშინ, როცა მწერლის სამშობლო—ინგლისის თეატრების რეპერტუარში შექსპირის პიესები ისე ხელწაყრით არ იდგმება. ტყუილად კი არ სძაგდა ჰენრიხ ჰეინეს მაკლერებისა და ბანკირების ინგლისი. იგი ამბობდა: „ზღვა დიდიხანია ჩანთქავდა ინგლისს, რომ პირისღებინებისა არ ეშინოდესო“.

შექსპირის სახეები, შექსპირის ბრძნული აზრები, მისი საკაცობრიო ღრმა იდეალები შეისისხლხორცა საბჭოთა მაყურებელმა.

ქართული თეატრი დიდად დაეალებულია შექსპირით. ლადო მესხიშვილმა შექსპირის სიტყვებით აიდგა ფეხი. ივანე მაჩაბელი რომ არ ყოფილიყო, ჩვენს სცენას ვოდევილების ხანძარი შთანთქავდა.

თანამედროვე თეატრები ახალი სხივით აშუქებენ შექსპირის უკვდავ გმირებს, რომელნიც კაცობრიობის ბედნიერებისათვის თანაბრძოლები არიან.

ამბობენ, დიდი მწერალი არ ბერდება, ყოველთვის თანამედროვეაო. ჩვენს თეატრებსაც შექსპირის ტრაგედიების განსახიერებით დიდი წვლილი შეაქვთ მოწინავე საბჭოთა ხელოვნების საგანძურში.

1874 წლის გაზეთ „დროებაში“ ასეთ ცნობას წავაწყდი:

„შექსპირს ეხლა ესპანიურ ენაზედაც სთარგმნიან და ამბობენ, რომ ეს პირველად არისო... ჩვენ ქართველები ცოტათი უთუოდ უნდა ავმაღლდეთ ჩვენს საკუთარ თვალში, რადგანაც ესპანიელე-

ბისათვის დაგვისწრია და რამდენიმე შექსპირის თხზულება მშვენივრად გადმოგვიღია ქართულ ენაზედ“ („დროება“, 1874 წ., № 438).

საქართველოში შექსპირმა უდაოდ სახელოვანი თანამოსაგრე ჰპოვა ივანე მაჩაბლის სახით.

შექსპირის ვარსკვლავებმა ღრმად ჩაიხედეს ივანე მაჩაბლის შემოქმედების ტბაში და ორეულის სხივთა ანარეკლი ჩვენს მშობლიურ ჰორიზონტზე ბრწყინვალედ ათინათინდა.

1948 წ.

ავქსენტი ცაგარელი

„შენ ყარაჩოღელი გიეუა გაგიგონია?"
ავქსენტი ცაგარელი.

„არც პიესების კრებული, არც ბიბლიოგრაფია, ისიც არ ვიცით სულ რამდენი პიესა დაწერა, როდის დაიბადა, როდის გარდაიცვალა, ნუთუ არა გრძნობ, რომ ეს საქმე შენ გაწევს კისრად?" — ასე წწერდა ასიკო ცაგარლის შესახებ ერთი ჩემი მეგობარი; რომელსაც ხშირად უყვარს დავიწყებული სახელების ასახელება.

როგორც ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის ფოლკლორმა იმოქმედა ჩემს პოეზიაზე, ისე ასიკო ცაგარლის პიესებმა შეაყვარა ქართული თეატრი და დრამატურგია. პირველი პიესა, რომელიც წავიკითხე სიჭაბუკეში, იყო: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ".

ცაგარლის გაწოუცნლობა ხინჯად მჭონდა გულში. 1936 წელს ამისათვისაც მოვიცალე და დიდი ხნის ნაიხატრი დაგვიანებით შევასრულე.

ჩემი რედაქციით გამოცემულ წიგნში მოთავსდა ა. ცაგარლის ყველა ორიგინალური კომედია (სულ ხუთი აქვს). დამატებად დავებეჭდეთ მისივე „მოგონებანი", რომელიც მუდმივი დასის დაარსების ამბავს და ამ დასის საქართველოს დაბა-ქალაქებში მოგზაურობას ეხება. თვითეულ ნაწარმოებს დავურთეთ ვრცელი შენიშვნა, მათი დაწერის, დაბეჭდვის და სხვა თარიღების აღნიშვნით; იქვე ლექსიკონი — ახსნა იმ სიტყვებისა, რომლებიც ცაგარლის კომედიებში გვხვდება; აქ არის აგრეთვე ა. ცაგარლის დაუბეჭდავი ნაწერების სრული სია. ყველა ეს რედაქტორული განარკვი თავისთავად მონოგრაფიის ხასიათს იტარებს, ამიტომ ეს ჩვენი წერილი შეკუმშული იქნება (ბიოგრაფიული ცნობები—უცნობი მასალების მიხედვით, მუდმივი დასის ჩასახვის მოკლე ისტორია, პერსონაჟების გაკვრით დახასიათება და სხვა).

ვფიქრობ, ა. ცაგარლის თხზულების პირველი ტომის გამოცემით გამოვთქვი ჩემი პატივისცემა და სიყვარული ასიკო ცაგარლის წარმტაცი ნიჭისადმი, რომელიც, როგორც ტალღა გემს, ისე მარხეედა და მაღელვებდა ამ 50 წლის განმავლობაში.

1850 წელს 2 იანვარს გ. ერისთავის ინიციატივით პირველად დაიდგა ქართული წარმოდგენა. ეს უდიდესი თარიღია ქართული თეატრის ისტორიისათვის. ეს საძირკველია, რომელზედაც აღმოცენდა მომავალი პროფესიული ქართული თეატრი თავისი შესანიშნავი პრწყინვალე არტისტული ძალებით. ის განუწყვეტელი ძაფებით უკავშირდება ხალხის ფართო მასებში ფესვებგადგმულ თეატრს.

ქართული თეატრის ისტორიკოსი განსაკუთრებული მოწიწებით მოისსენიებს ამ თარიღს და პირველი წარმოდგენის სულის ჩამდგმელს, მაგრამ ასე არ დახვდნენ ამ ინიციატივას ცარიზმის იმდროინდელი ჩინოვნიკები. აი, რა დაწერა ერთმა იმათთაგანმა: „С точки зрения искусства о грузинской труппе нельзя даже и упоминать, и жаль бы отвлечь для ее содержания хотя одну денежку из суммы, ассигнуемой на вспоможение театру. История грузинского театра, как известно, весьма печальна. Личный состав труппы набран из дикарей; 3 или 4 пьесы, разыгрываемые ими, не выдерживают критики". ტფილისის თეატრის დირექტორს ვ. ა. სოლოგუბის აზრით, უმჯობესია ქართული თეატრი დაიხუროს და მის ნაცვლად დაფუძნდეს ეგრეთ წოდებული „ბალაგანი". სადაც ჯამბაზები და მიმსახები გაართობენ თეალსასეირო წარმოდგენებით. „Этот балаган,—განაგრძობს სოლოგუბი,—мог бы сделаться зародышем грузинской труппы, ибо балаган есть переходное состояние, необходимое всякому театру, чтобы возвести его по европейской рамы. Во всяком случае польза этого учреждения будет неоспорима, в особенности если управление им будет поручено не грузинскому автору, а просвещенному человеку"*.

როცა გიორგი ერისთავმა თავი დაანება თეატრის საქმეს, ზოგიერთმა მოწინავე ქართველმა, რომელმაც შეიგრძნო ქართული

---

* Акты, XI, გვ. 20; შდრ „Советское искусство", 1936 წ., № 25, გიორგი ბუხნიკაშვილის წერილი.

წარმოდგენების ფასი და ყადრი, ერისთავის საქმის გაგრძელება მოიწადინა, მაგრამ სახელმწიფო სუფსიდიის მოსპობის გამო, ქართულმა თეატრმა დიდხანს ვერ იბოგინა.

1855 წელს ი. კერესელიძემ თავისი ინიციატივით შეჰკრიბა დასი და დაიწყო ქართული წარმოდგენების გაცართვა „ირაკლის დროინდელ მამაკაპურ სახლში“, ეგრეთ წოდებულ შერმაზანოვის დარბაზში (აბას-აბადის მოედანი). მიუხედავად იმისა, რომ კერესელიძის დასში ნიჭიერი სცენისმოყვარენი იყვნენ (აბრამიძე, დევნაძე, ჯაფარიძე, ტატიშვილი, ელიოზიშვილი; პირველი მოწვერალი ქალები: აბრამიძისა, უზნაძე—შემდეგში ი. კერესელიძის მეუღლე), მაინც შეცოსავალი ხარჯს ვერ ისტუმრებდა და „ვალში ჩაფლულმა“ კერესელიძემ იმავე წელს მიატოვა წარმოდგენები.

1855 წლიდან 1870 წლამდე ქართულ წარმოდგენებს სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. სცენის მოყვარენი წელიწადში ერთხელ ძლივს მართავდნენ ქართულ წარმოდგენებს, ხოლო სამოცდაათიან წლებში დიმ. ყიფიანის და გაზ. „დროების“ რედაქციის თაოსნობით შესდგა პატარა წრე და შინაურ წარმოდგენებს მოუხშირეს. წარმოდგენები იმართებოდა შალიკაანთ, ანდრონიკაანთ და ჩითახოვიანთ მამულში (სადაც ახლა ოპერის თეატრია). ჯგუფში ირიცხებოდნენ დინიტრის შვილები — კოტე და ელენე ყიფიანები, ოლღა და ლიზა ყაზბეგები, პოეტი ნინო ორბელიანი, იასონ ნათაძე, ი. მელიქიშვილი, ი. ბაქრაძე, ნიკ. შიშნიაშვილი; ამათ მიემატა შემდეგში ბაბო ავალიშვილი, ანტ. ფურცელაძე, პ. უმიკაშვილი (სცენიდან საკუთარ სცენებს კითხულობდა), ნიკო ავალიშვილი (ჩოლაერის პიესებში შესანიშნავად თამაშობდა), აკაკი წერეთელი („სკაპენის ცუღლუტობაში“ ასრულებდა ჟერონტის როლს, თავის პიესაში—„პუტიაობა“—გიორგის და გ. სუნდუკიანცის „კიდევ ერთ მსხვერპლში“—მიხეილის როლს).

ეს წარმოდგენები შინაურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მაინც ერთგვარ საფეხურად უნდა ჩაითვალოს მუდმივი დასის დასაარსებლად. „დროება“ წერდა: „ეხლა ქართული სცენის მოყვარულების წარმოდგენებს თავი უნდა დავანებოთ და მუდმივი ტრუპის შედგენას შევუდგეთო“, მაგრამ ქართველი საზოგადოება, როგორც იმავე „დროების“ სიტყვით—„ღვინის სმას, ქალალდის თამაშობას და საკიცხავ დროს გატარებას“ იყო ჩვეული, აინუნშიაც არ იგდებდა პერიოდული პრესის ღალადისს. მუდმივი დასის შესადგენად საჭირო იყო ფული; მაგრამ სად უნდა ეშოვნათ ეს თანხა? ისევ ქართველი საზოგადოება უნდა დატრიალებულიყო და საქველმოქმედოდ ხელი გაეწვდინა: „ჩვენი მუდმივი ტრუპის შე-

დგენას და გამართვას, — წერდა „დროება“ 1872 წელს, — ათას თუშნამდე დასჭირდება. იმისთანა კაცი რომ გამოჩნდებოდეს ჩვენში და ამ ფულს შესწირაედეს, ან დიდი ხნობით ასესხებდეს ქართული თეატრის მოთავეებს, მაშინ. რასაკვირველია, საქმის დაწყება გაადვილდება“. მაგრამ „ამისთანა კაცი“ არავინ აღმოჩნდა.

1872 წლიდან 1878 წლამდე, ე. ი. მუდმივი დასის დაარსებამდე, შემთხვევით წარმოდგენებს დარჩათ ბურთი და მოედანი. ხალხი დადიოდა თეატრში და „ტაშს უკრავდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული წარმოდგენა იყო“, თორემ რეპერტუარის სიღარიბე, ათასჯერ დადგმულ ერისთავ-ანტონოვის პიესები უკვე გემოვნება განვითარებულ მაყურებელს ეეღარ აკმაყოფილებდა. ეს ის დრო იყო, როცა იტალიური ოპერა იზიდავდა თბილისის საზოგადოებას.

აკაკის სწორედ ამისთანა გადაგვარებულზე აქვს დაწერილი თავისი მშვენიერი სატირული ლექსი:

„არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩონგური,
ლეკური ეზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია,
ვერც დავძრახავთ: ოპერისთვის მიუჩვევია ყური,
უჰ, რა შვილი დამდგარა? რა სწავლული კაცია!“

1875 წლიდან ქართველმა მწერლებმა გაახშირეს „სალიტერატურო საღამოების“ მოწყობა. თბილისის საზაფხულო თეატრში რამდენჯერმე გაიმართა ასეთი საღამო: დიმ. ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნინო ორბელიანის, რაფ. ერისთავის, დავ. ერისთავის და ბ. უმიკაშვილის მონაწილეობით.

ხალხში უკვე მოჰწყინდა მუდმივი დასის დაარსების სურვილი. „დროების“ მოწოდებას, თანხის შეგროვების შესახებ. დაგვიანებით გამოეხმაურნენ. აღმოჩნდა ვინმე მაიორი იოსელიანი („ყარა მაიორად“ წოდებული), რომელმაც ქართული თეატრის სასარგებლოდ სამასი თუმანი შესწირა. „დროება“ წერდა: „ეს პირველი მაგალითია, რომ ქართველ კაცს ამდენი შეეწიროს რომელიმე საზოგადო საქმისთვისო“ (1879 წ., № 34). ამ შემოწირულებით თეატრის საქმე თითქმის სანახეეროდ გაჩაღდა. დაარსდა კომიტეტი და საჯარო კრების მოსაწვეევად დაიგზავნა ილია ჭავჭავაძის ხელმოწერილი ქაღალდები.

ბეერი მოღვაწე სკეპტიკურად უყურებდა მუდმივი თეატრის დაარსების სამზადისს, მაგრამ ზოგიერთი მოღვაწის მედგარი

და თავგანწირული შრომის წყალობით მუდმივი დასი მაინც დაარსდა.*

ქართულმა მუდმივმა დასმა სეზონი გახსნა 1879 წლის 5 სექტემბერს. ითამაშეს ბარბარე ჯორჯაძის კომედია „რას ვეძებდი, რა ვპოვე". ეს არის ოფიციალური თარიღი, ამის შემდეგ გაჰქრა „ქართველი სცენისმოყვარე" და სცენაზე მოთამაშეს „ქართველი მსახიობი" ეწოდა.

ასიკო ცაგარელს დარჩა მოგონებანი, სადაც დიდის გულწრფელობით არის გაშუქებული მუდმივი დასის ჩასახვის ისტორია. აქ ყოველი სიტყვა უმწიკვლოდაა ჩაწვენილი სტრიქონებში და თეატრის მკვლევარი ოცნებით განიცდის ამ ქართული თეატრის შესანიშნავ ხანას.

მუდმივი „ტრუპის" შემადგენლობაში სულ 10—12 მსახიობი შევიდა; ძალიან პატარა დასი იყო: მ. საფაროვი, ნ. გაბუნია, მარ. ყიფიანი, ბარ, კორინთელი, კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ნ. შიშნიაშვილი, ზაალ მაჩაბელი, ა. ცაგარელი, გ. ყიფშიძე და ა. ჩუბინაშვილი. რეჟისორი—გ. თუმანიშვილი. ამ დასს მიემატა ქუთაისიდან კ. მესხი, ხოლო ორი წლის შემდეგ ლადო მესხიშვილიც გაჩნდა ჩვენს სცენაზე.

ეს მსახიობნი სცენის დაარსებამდე, ე. ი. 1877—1878 წლებშიც იღებდნენ მონაწილეობას იმ შემთხვევით წარმოდგენებში, რომლებიც „კეთილი საქმის სასარგებლოდ" იმართებოდა ხოლმე ნემეცების კლუბში, მუსიკალური საზოგადოების დარბაზში და საზაფხულო თეატრში. ამ წლებში, ა. ცაგარლის თქმით, „ქართულმა სცენამ თავისი დახურული ფრთები ერთბაშათ გაშალა".

კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვი და ნატო გაბუნია—აი ის ოთხი უნიჭიერესი მსახიობი, რომლებმაც გაამაგრეს მუდმივი დასის ხერხემალი. ვალ. გუნიას თქმისა არ იყოს „როგორც ყოველ მაგარ შენობას ეპირვება ოთხი დედაბოძი, ოთხი კედელი, ისე ჩვენს თეატრსაც გაუჩნდა ოთხი დედაბოძი, ოთხი საიმედო საძირკველი, რომლებზედაც დიდი ტურფა შენობის აგება შეიძლებოდა."

აი, ამ დროის, ამ მუდმივი დასის პირველი დრამატურგი იყო ასიკო ცაგარელი. იგი ტფილისიდან ამოძვრაო, ისე მოევლინა რეპერტუარით ღარიბ, ასალ დასს; მან სცენაზე შესვლისთანავე—1878 წელს, დაწერა თავისი უკედავი კომედია „რაც გინახავს, ვე-

---

* ქართული დრამატული საზოგადოების წესდება დამტკიცდა 1880 წელს, 22 იგვისს (იხ. „საქ. კალენდარი", 1905 წ. გვ, 561).

ლარ ნახავ", რომელიც 1879 წელს, დეკემბერში სამჯერ ზედიზედ დაიდგა.

ეს პიესა იყო ახალი სიოს ნებიერი ქროლვა ქართული თეატრალური საზოგადოებრიობის ხეივანში.

„ცაგარლები ლეჩხუმელები არიან, ცაგერიდან. ასიკოს პაპა — მღვდელი თომა, იმერეთის ჰეფის სოლომონ მეორის ამალაში ყოფილა, როცა იგი თბილისს მოიყვანეს 1810 წელს. და, სოლომონის ახალციხეში გაქცევის შემდეგ იგი ქართლში დარჩენილა და დიღომში დასახლებულა". *

ა. ცაგარელი დაიბადა 1857 წ. 9 თებერ. (ძვ. სტ.) ს. დიღომში. იგი იყო უმცროსი ძმა პრ. ალექსანდრე ცაგარლისა (1844—1929). ასიკოს მამა — ანტონ ცაგარელი — დიღმელი მღვდელი იყო, დედა — უთნელიშვილის ქალი, სალომე. ამ ცოლ-ქმარს სულ შვიდი შვილი ჰყავდა, სოფრომ მგალობლიშვილის თქმით, „ერთმანეთზე ლამაზები და ნიჭიერები". — ალექსანდრე (სანდრო), ეფემია (ეფრო), ვლადიმერი (ლადო), კონსტანტინე (კოტე), ავქსენტი (ასიკო), ივანე (ვანო) და გიორგი (გოგლა).

ამ ძმებსშორის გარდა ალექსანდრესი და ასიკოსი საზოგადო ასპარეზზე მუშაობდა ვანო (ქართული თეატრის არტისტი იყო); მეტად ნიჭიერი ყოფილა ლადოც, რომელიც 1870 წელს ხოლერით გარდაცვლილა სრულიად ახალგაზრდა (ლადო „დროებაში" კორესპონდენციებსაც ათავსებდა თავიანთ „სატახტო ქალაქიდან" — დიღმიდან).

პროფ. ალექსანდრე, ასიკოზე 13 წლით უფროსი იყო, დინჯი და მუყაითი (ყველაზე ადრე ალექსანდრე დაიბადა და ყველა ძმაზე გვიან ალექსანდრე გარდაიცვალა), ხოლო ყველაზე ანცი, მოუსვენარი და მახვილაკი ასიკო ყოფილა. უცხოეთში მყოფი ალექსანდრე ცაგარელი იგონებს ასიკოს ბალღობას და შემდეგსა სწერს თავის დედას:

---

* აკ. შანიძე: „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე; 1930 წ., № X.

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე დიდ მადლობას ვუცხადებ ბარბარე გიგინეიშვილის ასულ ცაგარლისას (ასიკოს რძალს), რომელმაც დაუზარებლად მიამბო ცაგარლების ბიოგრაფია და გაგვაცნო პროფ. ალ. ცაგარლის წერილები, სადაც ჩვენი დრამატურგის ბიოგრაფიისათვის ბევრი უცნობი მასალა აღმოჩნდა. ბარბარე ცაგარელი გარდაიცვალა 1943 წელს.

„...ბევრჯელ მარტო მყოფი ჩემ ოთახში თითქმის მარტო არა ვარ, რადგან თქვენ წარმოგიდგენთ ხოლმე და ვითომ თქვენთანა ვზივარ და ვხარობ, ისე თვალწინ წარმომიდგება ხოლმე, რომ თითქოს პატარა გოგლა ჩემ წინ ტიკტიკებს რაც მოხვდება, ვანო პტყელ-პტყელებს ლაპარაკობს, ასიკო კიდევ კარზედ კრაოტზედ დამჯდარა თავის კამპანიით და თავის კრიალა ხმით გასძახის ხან „უფალო შეგვიწყალესა“ და ხან „ერეკლე ჩვენმა ბატონმა“, ან „აეთანდილ გადინადირა“, კოტე და ლადო და მთელი კამპანია ბანს მისძახის“...

პატარა ასიკომ წერა-კითხვა მშობლების ოჯახში შეისწავლა. რვა წლისა რომ გახდა, მიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში (სხვათა შორის, ანტონ ცაგარლის შვილები, ყველანი სემინარიაში სწავლობდნენ). სასულიერო სასწავლებლის გათავების შემდეგ, მამის სურვილი იყო 13 წლის ასიკო სემინარიაში გადასულიყო. მის ბიძას, მელიტონ ფომინ-ცაგარელს, რეალური სასწავლებელი სურდა, ხოლო ალექსანდრე ცაგარელი კი—კლასიკური გიმნაზიის მომხრე იყო.*

„...მესამე საქმე არის ასიკოს გადაყვანა გიმნაზიაში, — სწერს ალექსანდრე ცაგარელი შინაურებს,—მე მოვწერე ლადოს და გწერთ ეხლაც, რომ თუ ასიკო გადიყვანოთ გიმნაზიაში, უთუოთ კლასიკურ გიმნაზიაში გადიყვანეთ, თუ რეალურში გადიყვანეთ,—მე არც

---

* ცაგარლები მეორე გვარსაც ატარებდნენ: ფომინ-ცაგარელი (Фомин-Цагарели). ასიკოს მამა მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას: მან ანტონ ფომინის გვარით „სასულიერო მახარებელში“ (1864 წ., № 1) დაბეჭდა წერილი მის მიერ აღმოჩენილი ამბროსი ნეკრესელის ხელნაწერის შესახებ; ალექსანდრე ცაგარელსაც, ალ. ფომინის ხელმოწერით, ეკუთვნის „ცისკარში“ წერილი აქვს დაბეჭდილი (1865 წ., № 2, გვ. 36); საზოგადოთ ამ წლებში, ალექსანდრე ცაგარელი თავის ნაწერებს (პიესებს, მოთხრობებს, ფელეტონებს) აწერდა: „სემინარიელი ალექსანდრე ფომინი“. მას 1865 წელს ნათარგმნი აქვს რუსულიდან სამღვდელო სკოლის სახელმძღვანელო შემდეგი ვრცელი სათაურით: „შემოკლებული საღმრთო ისტორია ძველისა და ახლისა აღთქმისა, თარგმნილი რუსულითგან ალექსანდრე ფომინის-მიერ, სასარგებლოდ ქართველთა ახალ-მოსწავლეთა ყრმათა, თბილისი, 1865 წ.“ ხოლო ალექსანდრე და ასიკოს ბიძას, მელიტონს, რომელსაც, სხვათა შორის, რომელიღაც საბაჟოში დიდი ადგილი ეჭირა,—რუსულად რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული სასულიერო ხასიათისა, რომლებსაც მხოლოდ „ფომინი“ აქვს მოწერილი.

ჭ. ქუთაისში 1861 წელს, სცენის მოყვარეთაგან დაიდგა გ. ერისთავის „გაყრა“, სადაც „შუშანას“ როლი უთამაშნია ვინმე ლ. ფომინას (იხ. „ცისკარი“, 1861 წ., № 3). ვინ იყო ეს მანდილოსანი? მელიტონ ცაგარლის მეუღლე?

თანახმა ვარ ამაზედ და არც გავერევი სულ ამ საქმეში, არც ეხლა და არც შემდეგში, თუნდ მელიტონმაც რომ მოინდომოს, მე არ მინდა და წიგნს მივწერ იმასაც, დავაჯერებ, რომ სულ უპკუობა იქნება რეალურ გიმნაზიაში გადაყვანა. კლასიკურში კი ძალიან კარგი და ბედნიერი კაცი გამოვა, უნივერსიტეტში წასვლა შეძლება და ყველგან ნება ექნება სწავლისა. რეალურიდგან კი ან აფთიაქში უნდა შავიდეს, ან ფაბრიკაში იჭუშაოს, ან სადმე ამისთანა ალაგას. — ერთი სიტყვით უპკუობაა იქ მიცემა ასიკოსი. თითქოს მე არ ვიცოდე ეგ ტუტუცი პისარევის (ერთი ჭკუაზე შემცდარი რუსის მჯღაბნელი იყო) სიტყვები, რასაც ლადო ყმაწვილურად მწერს: ვითომ ლათინურისა და ბერძნულის სწავლა კლასიკურ გიმნაზიაში ყმაწვილებს თავს უშტერებსო, თუ რაღაებიც... მე აგერ მეხუთე წელიწადია თითქმის ყოველდღე ორივე ენასა ვსწავლობ, და რა ვიცი მე შემატების ბეტი, ჩემს თავს გამოშტერება ვერა შევატყე-რა, და არ ვიცი მაგათ, რომლებსაც თავის დღეში სამი საათი ერთი ერთმანეთზე არ გაუტარებიათ ამ ენების სწავლაში, არ ვიცი საიდან გამოიღეს ეს ბარათი".

ასე თუ ისე, მიუხედავად ასიკოს უფროსი ძმის დაბეჯითებითი თხოვნისა, ასიკო ვერც რეალურში მოეწყო და ვერც კლასიკურში. იგი სასულიერო სემინარიის მოწაფე გახდა.

მაგრამ ახალგაზრდა ასიკოს, ბუნებით მკვირცხლს და სულ სხვა იდეებით გამსჭვალულს, არ აკმაყოფილებდა სემინარიის ჭაობი. ვერ შეეგუა მის რეაქციულ ატმოსფერას და სწავლის ძველ ადათებს. მისი ამხანაგები გადმოგვცემენ, რომ მასწავლებლებს თავი ჰქონდათ მობეზრებული მისი ოხუნჯობისაგან. მათდა გასაბიაბრუებლად ათასნაირ ხრიკს იგონებდა; განსაკუთრებით სძულდა საღმთო სჯულის გაკვეთილები და გალობა. „ლოცვებს ბაიათის ჰანგზე მღეროდაო", — იგონებს ერთი მისი თანამოინახე. „ცუდი დრო დადგა, ცუდი! „დროება" აკრძალეს და ქართული წიგნების სახსენებელი გააწყესო", — იტყოდა თურმე ხშირად ასიკო. სწავლაზე გული აუცრუვდა. ერთხანად პეტერბურგში უნდოდა წასვლა ძმასთან, მაგრამ ვერ მოახერხა. ამას ზედ დაერთო თურქეთთან ომი (1877—1878), რომელიც რევოლუციურად განწყობილ სემინარიელებს სულ სხვა იმედებს უღვიძებდა. ერთ მშვენიერ დღეს დაჰკრა ფეხი ჩვენმა ასიკომ და კურსდაუმთავრებელი გამობრძანდა სასწაელებლიდან.

ასიკოს მოუსვენარ ბუნებას სულ სხვა არე ეპირვებოდა სანავარდოდ, და აკი შემთხვევამ აპოვნინა კიდეც. ეს იყო ქართული თეატრი. მაგრამ მოვუსმინოთ თვით ასიკოს: „...1878 წელს ერთ

ელმურტლიანს შემოდგომის საღამოს, — წერს ასიკო თავის დღიურში,— სასახლის ქუჩაზედ მოედიოდი; გზაში შემხვდა აწ განსვენებული დავით ერისთავი და თავისებურად ფიცხად მკითხა: „სად მიდიხარ, ჰა? მოდი შევიღეთ როინაშვილის ფოტოგრაფიაში, რეპეტიციას დავესწროთ". გავყევი განსვენებულს. წარმოდგენები თეატრში ათი წლიდან მენახა; შინაურ წარმოდგენებზედაც ხშირად დავსწრებივარ ბავშვობისას და ჩემ ტოლებთან მონაწილეობაც მიმიღია, მაგრამ „დიდი და ხელოვანი" მოთამაშეთა რეპეტიცია არ მენახა და ამიტომ დიდი სიამოვნებით შევყევი დათიკოს ფოტოგრაფიაში... დავითმა წარმადგინა იმ ყმაწვილებთან და გააცნო ჩემი თავი. ეს კარგად მახსოვს, რომ იმავე წამს დიდი ზრდილობით მომეგება დიდად პატივცემული ჩვენი მოღვაწე სამწერლო თუ სასცენო ასპარეზზე—ნიკო ავალიშვილი და ღიმილით მითხრა: „ყმაწვილო, უნდა დაგეხმაროთ და ერთი რამე როლი იკისროთ ჩვენს წარმოდგენაში, ეთამაშობთ „ძალად ექიმს", მე, აბა, რას ვეტყოდი და დარცხვენით მოვახსენე, რომ თუ კი გამოვდგები, ვიკისრებ მეთქი. ბ-ნი ნ. ავალიშვილი მმართველი, მოთამაშე, რეჟისორი და მთელი ავან-ჩავანი იყო მაშინ ქართულის რეპეტიციაწარმოდგენებისა. მომცეს „ძალად ექიმში" გლეხი-კაცის როლი, რომელიც სულ ზეპირად დავისწავლე ჩემიც და სხვისი როლებიც. წარმოდგენის დროს სცენაზე ჩავღუნე თავი (რადგანაც ხალხისა მრცხვენოდა) გამოუქნელი მოზვერივით და თვალების ბრიალით ავტეხე გაზეპირებული სიტყვების ჰექა-ქუხილი... სხვა მოთამაშეთ ყურს არ ვუგდებდი და როგორც კი გავათავე ჩემი როლი, გავწიე კარებისკენ, მაგრამ შიშნიაშვილმა მტაცა ხელი: „ბიჭო, სად მიდიხარ, ჯერ ჩვენ ნახევარიც არ გვითქვამსო?!" ხელმეორედ დამაბრუნეს და სხვებთან ერთად გამამეორებინეს ჩემი როლი. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა სცენაზე".

ასიკო ცაგარელი არ იყო დიდი მსახიობი, უმეტეს წილად ყარაჩოღულ როლებს თამაშობდა. ერთხელ აკაკიმ უთხრა თურმე: „რომ არ ვიცოდე მღვდლის შვილი ხარ, კინტოს შვილი მეგონებოდიო". როცა შეატყო, რომ სცენისთვის მეორე ხარისხოვან მსახიობად უნდა დარჩენილიყო, სუფლიორობაზე გადავიდა. ასიკო ცაგარელი, გიგა ყიფშიძის შემდეგ, რამდენიმე სეზონი სუფლიორის თანამდებობას ასრულებდა და მის თანამედროვეთა თქმით, კარგ სუფლიორადაც ითვლებოდა. ეფ. მესხი იგონებს თავის პირველ დებიუტს და დასძენს: „როლი სრულიად არ ვიცოდი, მაგრამ ისეთი კარგი სუფლიორი გვყავდა, ავქ. ცაგარელი, რომ ადვილად

ვძლიე გაპირვებას და გამარჯვებული დავრჩი". (იხ. „ცხოვრების სარკე", შედგენილი ი. იმედაშვილისა, ტ. II, გვ. 406). *

ცაგარლის, როგორც მსახიობის, ამპლუას შეადგენდა გლეხი და კინტო(— ეს უველა ძველი პიესის პერსონაჟები).

1878 წლიდან 1883 წლამდე ასიკოს შეუსრულებია შემდეგი როლები: გიჟუა („რაც გინახავს, ველარ ნახავ!"), გლეხი („ძალად ექიმი"), გეუა (აკაკის „კინტო"), ხინჩლა ლაფაჩი (ზ. ანტონოვის „ქორწილი ხეესურთა"), კაკულა („პეპო"). **

ასიკო დროგამოშვებით დივერტისმენტებშიც გამოდიოდა... კითხულობდა საკუთარ ლექსებს და „სცენებს ჩვენი ცხოვრებიდან". გაზეთი „დროება" აღნიშნავდა, რომ „მისი (ცაგარლის) ზოგიერთი წვრილი სცენა უზადო ალმაჰიევთა ბრწყინავს თავიანთი სიოხუნჯით" (1880 წ., № 135), მაგრამ, თვით ავტორი დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა ამისთანა გამოსვლებს: „დავატყუე რომ არაფერი შვილი არტისტი ვიყავი,—წერს ასიკო თავის მოგონებაში,— ჩამოვცილდი სცენას 1884 წელს, თუმცა სულით და გულით მასთან ვარ და ვიყავიო".

ძველად საზოგადო მოღვაწის საქმიანობა უსასყიდლო იყო, „მწიგნობარი თავის გასამრჯელოს ვერ იღებდა" და ჩვენი მოღვაწენიც სხვადასხვა სამსახურში შედიოდნენ. ერთი ვასო აბაშიძე და აკაკი წერეთელი იყო, რომელთაც არასოდეს არ უგრძვნიათ, თავიანთი მოწოდების გარეშე, სხვა სანუწაოს სიმწვავე. თვით ილიასთვისაც კი ტრაგიკული იყო მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნა: „ვფიქრობ თავი დავანებო სან-

---

* ქართულ თეატრს სუფლიორებად სულ მწერლები ებედებოდა. 1850 წლიდან მოყოლებული, ქართული თეატრის დაწვამდე (1914 წ., 26 სექტემბერი). შემდეგი მწერლები იყვნენ სუფლიორებად (ანუ როგორც პლ. იოსელიანი იტყოდა „ჩაშჩურჩენელად")—მიხ. ბირთველის-ძე თუმანიშვილი (გ. ერისთავის დროს), დიმ. ყიფიანი (შინაური წარმოდგენებისა), რაფ. ერისთავი და კირილე ლორთქიფანიძე (ქუთაისი), სოფ. მგალობლიშვილი (გორი), ა. ახნაზაროვი (1882—1885 წლამდე), შემდგომ სუფლიორებად იყვნენ: გრ. ყიფშიძე, ავქ. ცაგარელი, ივ. მაჭავარიანი, ნ. გალუსტოვი, ბ. ახოსპირელი და ი. გრიშაშვილი (1907—1913 წლებში).

** „დროებაში" ვკითხულობთ: „უფ. ცაგარელი კინტოს (კაკულას) როლში ორჯერ გვინახავს და იმის ცოცხალმა თამაშმა ორჯერვე თითქმის აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი" („დროება" 1879 წ., № 223); ხოლო გლეხის როლის შესრულების დროს, მეორე რეცენზენტი ასეთ სიტყვებს უძღვნის ჩვენს დრამატურგს: „ძალიან კარგი იყო ა. ცაგარელი ილია პავლავაძის სცენაში. ჩვენ გვგონია მაგვარს როლებში ა. ცაგარელი შეუდარებელი იქნება, გვეკვირს გლაჯა პრიაშვილის როლი მაგისთვის არ მიუციათ" („იერია", 1879 წ., № 4. გვ. 162).

სახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო?“—სწერს ილია დუშეთიდან ერთ კერძო წერილში „კრებულის“ რედაქტორს.

ასიკო ცაგარელიც ხელმოკლეობის გამო იძულებული იყო შესულიყო სამსახურში. თეატრის თავის დანებების დღიდან (1884),— იგი ეძებს კერძო სამსახურს... ამას ხელი შეუწყო უფროსი ძმის საყვედურმაც. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მისი პირველი პიესა ასე სიყვარულით მიიღო ქართველმა საზოგადოებამ,* ალექსანდრე ცაგარელი ასეთ სიტყვებს ხარჯავს ასიკოს მისაშართით: „...ასიკოს უთხარით ჩემმაგიერად, რომ რასაკვირველია, მიხარიან რომ ნიჭი აქვს, მაგრამ თვითონაც კარგად იცის ჩვენი ოჯახის ამბავი და უნდა ეყურებოდეს, რომ მაგის თეატრში ყოფნას საბოლოო არაფერი მოსდევს, ამიტომ მე მინდა, რომ მელიტონმა (ცაგარლის ბიძა იყო. ი. გ.) ან დათიკო სარაჯევმა ადგილი უშოვნონ რამე მანდ სამსახურში. ამგვარად შეიძლება თავის თავსაც [მოუაროს] და ჩვენი ოჯახისთვისაც საბოლოოთ იზრუნოს და საქმე კარგად დაიჭიროს, აგრეთვე შეეძლება მონაწილეობა მიიღოს თეატრში, ამიტომ თუ ნელიტონმა ან დ. სარაჯევმა რამე ადგილი უშოვნეს არამც თუ თბილისში, სხვა ქალაქშიაც კი, — უნდა აიღოს და ვინ უშლის სტატიებისა და კომედიების წერაც შეუძლია“. **

ასეც მოხდა. ნიკო ნიკოლაძის პროტექციით (ძველად რკინიგზის სამსახურში ქართველებს ძალიან იშვიათად იღებდნენ) ასიკო ცაგარელი, მართლაც, ქალაქგარეთ მიდის სამსახურში. და მერე რა სამსახურში! რკინიგზის სადგურის უფროსად. სად იყო მისი ორეული გიჟუა, რომ თავისი ავტორის წითელკანტიანი ქუდისათვის სიცილი არ დაეყარა:

ჯნიაზ, სწყრები?
თავში მწყრები,
ერთს დაგადებ—
და დასცხრები!“ (აკაკი).

ბარბარე ცაგარლის თქმით, როცა მატარებელი ჩამოდგებოდა ბაქანზე, ასიკოს თავისი წითელკანტიანი ქუდის დახურვა ყოველთვის ავიწყდებოდა და თავისებურად შეიკურთხებოდა ხოლმე: „ვინც ეს ქუდი დამხურაო...“

როცა კითხულობ ასიკო ცაგარლის კერძო წერილებს—თუ რა დამცირებით და ტანჯვა-წვალებით მიიღო ადგილი რკინიგზაზე.

---

* იხ. გ. წერეთლის აღტაცებული რეცენზია „რაც გინახავს, ველარ ნახავისˮ პირველი წარმოდგენის გამო („Тифлисскій Вестникъ“, 1879 წ., № 260).

** 1880 წ. 23 აპრილი (წერილები ჩემთან ინახება).

გული სევდით გევსება, რომ ეს უნიჭიერესი ადამიანი „იყო სოფელში და სოფელმა იგი ვერ იცნო“.*

ასიკო ცაგარელი ინიშნება ჯერ თბილისის სადგურის უფროსის თანაშემწედ. 1891 წელს „წარჩინება მისცეს“ და გადაიყვანეს ქურდამირში სადგურის უფროსის თანამდებობაზე. ქურდამირში ოჯახიც თან წაიყვანა: ცოლი—ნატალია და მოხუცი დედა**. ნატო გაბუნიას კერძო წერილები სავსეა სევდით, რომ იგი იძულებულია თავის საყვარელ თბილისს და სცენას დაშორდეს და იცხოვროს ქმართან გადაყრუებულ ადგილებში.

1895 წელს ასიკოს ნიშნავენ ახალსენაკის სადგურის უფროსად. ხოლო 1896 წელს ჭალადიდის სადგურის უფროსად.

1898 წელს ჭალადიდში ჩვენს მწერალს ციებამ ხელი დარია, და მწოლიარე ავადმყოფი შეიქნა. „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ: „ჩვენი ცნობილი დრამატურგი ავქსენტი ანტონის-ძე ცაგარელი, რომელიც ჭალადიდის სადგურზე მსახურობს, ამ ჟამად თურმე მძიმე ავადმყოფია და ან თბილისში მოიყვანენ საექიმოდ, ან ქუთაისში სამსონ თოფურიასთან“ („ცნ. ფურც.“ 1898 წ., № 533, 14 მაისი).

ჯანგატეხილი ასიკო 1898 წელს სამუდამოდ ანებებს სამსახურს თავს და მეგობრების რჩევით ეწყობა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში (დეპეშებს თარგმნიდა, მცირე ჯამაგირი ჰქონდა).

მიყრუებულ ადგილებში ხეტიალმა, უსიამოვნო სამსახურმა და ბევრმა სხვა მიზეზმა ასიკო დაანაღელიანა და გააბოროტა. ამ ხანში ლოთობასაც შეეჩვია. ისე დღე არ გაიელიდა, რომ იგი დალეული არ ენახათ. მაგონდება მისი ლექსი:

მე სულ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო?
ბატონებო, ან შენ კეთილშობილო?!

დაავადებულმა სხეულმა ვერ აიტანა ამდენი უწესრიგო ცხოვრება და 1902 წელს, 12 აგვისტოს მოულოდნელად გარდაიცვალა.

ასიკოს გარდაცვალებამ ყველას დასწყვიტა გული. პროვინციებიდან დეპეშები დეპეშებზე მოდიოდა და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ორიეე გაზეთი—„ცნობის ფურცელი“ და „იეერია“—სავსე იყო სამგლოვიარო წერილებით.

---

* წაიკითხეთ ასიკო ცაგარლის წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი წინამდებარე წიგნის ბოლოში—რკალი: „დოკუმენტები და შენიშვნები“.

** ასიკო ცაგარლის დედა გარდაიცვალა 1891 წელს ქურდამირში და იქვეა დასაფლავებული, მამა კი გარდაეცვალა 1876 წელს დიღომში.

საინტერესოა მისი დასაფლავების ისტორია: დამკრძალავ კომიტეტის კრებაზე ბევრმა „სურვილი გამოაცხადა, რომ დასაფლავება დიდუბეში მომხდარიყო, სადაც სხვა ჩვენნი მწერალნი და მოღვაწენიც განისვენებენო". მაგრამ აღმოჩნდა, რომ განსვენებულის მწერლის დიდუბეში დაკრძალვა მოუხერხებელი იყო, რადგან ადგილი მეტად ძვირად ჰღირს და ნებართვის აღებაც გასჭირდებაო. მაშინ დამკრძალავი კომიტეტის ზოგიერთი წევრის აზრით, ჯ. ცაგარლის ნეშტის დაკრძალვა უნდა მომხდარიყო ან მამადავითის ეკლესიაში ან კუკიის სასაფლაოზე. ბოლოს ერთი წევრის რჩევით შემდეგი გადაწყდა: რადგან დიდუბეში და მთაწმინდაში ადგილი აღარ არის და ნებასაც არ იძლევიან, შეძენილ იქმნეს კუკიის სასაფლაოზე კარგა მოზრდილი ალაგი, რომ არტისტებისა და მოღვაწეების საფლავი ერთ ადგილას იყოსო. მართლაც ქართ. დრ. საზ. გამგეობამ შეიძინა კუკიის სასაფლაოზე 16—20 საფლავის ადგილი... და აი, აქ, ამ „თეატრის პანთეონში" პირველი საფლავი ასიკოსთვის გაიჭრა.

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის შემდეგ, ასეთი დაკრძალვა არ ახსოვდა თბილისს. „დიდის პატივით დაასაფლავეს. ხალხი უთვალავი იყო. ამბობენ ხუთი ათასამდე იქნებოდაო" (ეკ. სარაჯიშვილის კერძო წერილიდან).

აი, როგორ აგვიწერს სოფ. მგალობლიშვილი ასიკოს უკანასკნელ წუთებს: „...ბოლოს ლოთობამ რომ დასძლია, ჩამოხმა; სმის დროს ერთს ლუკმა პურს არ შესჭამდა. ამხანაგები ძაან დააფიქრა ბისმა მდგომარეობამ. ჩააბეს საქმეში, იქნება გაერთოს და სმას თავი დაანებოსო. გიორგი ლასხიშვილმა „ცნობის ფურცელში" ბისცა სამუშაო. ამ დროს ის ცოტა შესდგა, სმას უკლო, მაგრამ თუ მოახელებდა ჩუმად გადაჰკრამდა ხოლმე. 1902 წელს მარიამობისთვის 12-ს, შემატყობინეს, რომ ნატო შინ არ არის, ასიკო ავად არის და მიჰხედეო. მაშინ ის ავეჯალის ქუჩის დასაწყისში იდგა. მე ძალიან ახლოს ვიდექი. მაშინვე გავქანდი. ასიკოს დაბართნოდა საშინელი ხურება (белая горячка). ბოდავდა. ვიღაცას ელაპარაკებოდა. იამა ჩემი ნახვა. მაშინვე მოვიწვიეთ ექიმი ექვთიმე ვაშაკიძე, უიმედობა მითხრა. ნატო პროვინციაში იყო წასული. დეპეშა დავკარით გორსა და სურამში, რომ ჩამოსულიყო. ბე ასიკო გულზედ მივისვენე; ჰირის ოფლი ღვრად სდიოდა, ოხუნჯობას მაინც არ იშლიდა... ამოხვნეშით სთქვა: „ოჰ, ხანუმავ, სადა ხარ!?" (ასე უწოდებდა თავის მეუღლეს ნატოს. ი. გ.) მე ვანუგეშებდი. დილიდან მოკიდებული ორ საათამდე აქეთ-იქით აწყდებოდა. შუადღის სამი საათი იქნებოდა, რომ ჩემს მკლავზე

განუტევა ასიკომ სული. საღამოს ნატოც მოვიდა" („ბახტრიონი". 1922 წ., № 14).

ასე უდროოდ, უაზროდ და უპატრონოდ დაიღუპა ასიკო ცაგარელი, ჯერ კიდევ 45 წლის შუახნის ვაჟკაცი, როცა ეს წელი ნიჭის გაფურჩქვნის და ცხოვრების დაკვირვების წლებად ითვლება.

„მომაგონდები, დედი, შენა და შენი მოხდენილი მახვილი ხუმრობა, ეითომ შენ ისაკა დიაკვანს აჯავრებ არქიელი რომ დაჰპირებიყო ღვდლობასა და მამასთან რომ გამოექანა, რამტელი არშინი გინდება ანაფორათაო; ის კი მამას ბარკლის ტოლაც არ არის*, და სხვა ამგვარი შენი ხუმრობა რომ მომაგონდება, რაც უნდა დაღონებული ვიყო გამეცინება და მგონია თვალწინ ჩიდგებარ და ვხარობ შენის ცქერით და ლაპარაკით",—ასე ახასიათებს ვენაში მყოფი პროფ. ალექსანდრე ცაგარელი თავის დედას.

ასიკო ცაგარელს ბუნებრივი იუმორი ჰქონდა ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც. „იმისთანა ენამახვილი და პირწყლიანი წერალი ჩვენში, აკაკის გარდა, არავინ ყოფილა" („საქართ. კალენდარი". 1903 წ., გვ. 434). ეს ხუმრობის ნიჭი დედისაგან გამოჰყვა. ბაბო ცაგარლის თქმით, ასიკოს ძალიან უყვარდა დედა, აფასებდა მის ბუნებრიე ალღოს და ქართული ენის ცოდნას. ასიკოს პირველი კრიტიკოსი დედა იყო, პიესას რომ დასწერდა, ჯერ დედისთვის უნდა ეჩვენებინა. მაგრამ ა. ცაგარლის „იუმორი გესლით როდი იყო გაჟღენთილი, არა, იგი ნელსაცხებელიეით ესალბუნებოდა ადამიანს, მაშინაც კი, როდესაც ორლესულის სიტყვით შენსკენ გამოინავარდებდა" (ილია ზურაბიშვილი).

ასიკო ცაგარელი რეალისტია. პირველად მან გამოიყვანა სცენაზე ხელოსანი ხალხი. დაუპირდაპირა არისტოკრატიას და უპირატესობა დაბალ ფენას მიანიჭა. თუმცა სოციალური მოტივები ისე ჭარბად არა აქვს მოხაზული. მაგრამ ასიკო, როგორც დაბალი ხალხის ცხოვრების ამსახველი, იდეურად უეჭველად ენათესავება ხალხოსნებს. ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს „ა. ცაგარელი გვაჩუქებს ხოლმე პიესებს ცოცხლად ამოღებულს აწმყოფის ცხოვრებიდან, ამ პიესებს საგნადა აქვს სურათები დღევანდელი ცხოვრებისა და ავქ. ცაგარელს ჩვენში ჯერ წინ ვერავინ წასწრებია"— (ტ. IV, გვ. 207).

---

* ცაგარლები ახოვანები იყვნენ, ალბათ მაშის სიმაღლე გამოჰყვათ.

აიღეთ მისი პირველი პიესა „რაც გინახავს, ეეღარ ნახავ“, რომლის დასადგმელადაც ნებართვა დიდის წვალებით მიიღეს თეატრის ხელმძღვანელებმა. ეს კომედია ეხება „ბატონყმობის ხანას, მებატონის უსახიზღრეს უფლებას ყმის ქალიშვილის მიმართ“. მართალია, პიესა 1878 წელს დაიწერა და 1879 წარმოადგინეს, როცა ბატონყმობა უკვე გაუქმებული იყო, მაგრამ მისი მძლავრი ნაშთები ჯერ საბოლოოდ არ იყო აღმოფხვრილი. და, აი, 21 წლის ჰაბუკმა ასიკომ თავისი პირველი მახვილი მოურჯულებელ, თვითნება და უტიფარ ბატონების წინააღმდეგ წარმართა.

— „რაც გინახავს, ეეღარ ნახავ, კნიაზჯან!“... ეს იმ დროისთვის პროტესტის მსგავსი ლოზუნგი იყო. „რაც გინახავს, ეეღარ ნახავ. კნიაზჯან“,—ეს გიეუას სიტყვები—თვით ცაგარლის გულიდან ამოხეთქილი სიტყვებია.

ა. ცაგარელმა. მსგავსად გოლდონისა, მდაბიო ხალხი მთავარ მოქმედ პირებად გამოიყვანა თავის პიესებში და აყურებინა იმ არისტოკრატიას, რომელიც სათეატრო დარბაზში არ კადრულობდა მდაბიო ხალხთან ჯდომას.*

„რაც გინახავს. ეეღარ ნახავ!“ ა. ცაგარლის პირველი ნაწარმოებია. იგი დაწერილია: 1878 წელს, 3 დეკემბერს, ე. ი. მუდმივი დასის დაარსების ერთი წლით ადრე...

პირველად „რაც გინახავს, ეეღარ ნახავ!“-ს ავტორმა ტრაგედია უწოდა. ვალერიან გუნია სწერს: „პიესაში დრამატიული და მით უფრო ტრაგიკული არაფერი იყო და ამ გარემოებამ მაშინვე ცხადად გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა ავტორი მართლაც და ძრიელ ახალგაზდა იყო და ბუნდათაც არ ჰქონდა წარმოდგენილი დრამატიული ხელოვნების კანონები. რომ ეს ცარიელი სიტყვები არ არის და არც უალაგო დაცინვა. ამას ისიც გვიმოწმებს. რომ ცაგარელის პირველი ტრაგედია დღეს შეუცელელად ჩვეულებრივ კომედიად გადის“ (იხ. „ქართული თეატრი“, 1889 წ., გვ. 91).

ალბათ, ეს „გადასწორება“ აქვს მხედველობაში გ. თუმანიშვილს. როცა ამბობს: „დავით ერისთავმა მისცა პლანი ა. ცაგარელს თავის კომედიის გადასასწორებლად სცენისთვისო“ (იხ.

---

* ეს ამბავი ბოლოდრომდე გაგრძელდა. ჩემის თვალით ვნახე, 1912 წელს ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობის წევრმა ნიკ. ალ. ტარსაიძემ (1855—1916) როგორ დაითხოვა პარტერში მჯდომი ორი ყარაჩოღელი: „ჯერ ერთი გალერიაში უნდა მიბრძანდეთ, და მეორეც—ეგ პალტოები გაიხადეთო“ (ყარაჩოღელი თავის ჩონას, რომელიც ტარსაიძემ „პალტოდ“ მიიღო, არასოდეს არ იხდის).

გ. თუმანიშვილის წიგნაკი: „როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა". 1880 წ., გვ. 16). *

„რაც გინახავს, ეელარ ნახავ"-ის შინაარსი აღებულია სინამდვილიდან. 1935 წელს ღრმად მოხუცებულმა ცაგარელების ოყვარემ ნინო გრიგოლის ასულმა უგრელიძემ გვიამბო, რომ „რაც გინახავში" აღძრული ამბავი მოხდა დიღომში... ყოფილა ერთი ბემამული გვარად შიოევი (პეტრე შიოთაღაშვილი), რომელმაც მოიტაცა დიღმელი გლეხის გულას გოგო და ცოიწადინა მასზედ ჯვარის დაწერა. ის გოგო თურმე მენახშირეზე ყოფილიყო დანიშნული, ბევრი ემუდარეს გულქვა ბატონს, მაგრამ მან თავისი გაიტანა, ნათესავებიც წინ აღუდგნენ: „უსწავლელია. რათ გინდათ".— შიოევმა თურმე უპასუხა: „რა ვუყოთ, რომ უსწავლელია, ჰაშაც ვაკოცებ, ჰაშაც ვასწავლიო!"... ბოლოს ამ „ბედნიერ ცოლ-ქმართ" ეყოლათ ქალი, რომელიც „ზაველენიაში" მიაბარეს და მოახლეები დაუყენესო...

ამ ნააზრობის სიმართლეში ეჭვი არ შეგვეძის, ვინაიდან მაშინ ეს ამბავი ძალიან გახმაურებული იყო და ჩვენს დიღმელს დოამატურგს—ა. ცაგარელს—ეს დიღმის ამბავი გაუხდა საბაბად. რომ ახლად ფეხადგმულ მუდმივ დასს მეორე გიორგი ერისთავად ცოვლენოდა...

ამ ამბავს ადასტურებს შემდეგი ხალხური ლექსიც:

პეტრე ბატონის ლექსი

გიორგობის მთვარე დადგა
დაიჭირა ავი დარი.
ქალები ამას ამბობენ,
ჩვენ ქმრებსაც დაუდგათ თვალი.
პეტრე ბატონის შიშისგან,
ვერ მოგვიტანია წყალი.
თითო-თითოს მოგვიტაცებს,
როგორც რომ მინდორში ცხვარი.

---

* გამახსენდა. და უნდა აქ ვალიარო (ყოველთვის ბაუღებდა ეს ამბავი), რომ ჩვენს რეჟისორებს „რაც გინახავის" დედააზრი და ეპოქის მნუანსები სოლიდნით აო ესმით... რაც თავი მახსოვს, არც ერთი ხვირიანი დადგმა ამ პიესისა. ჯერ არ მინახავს. ცაგარელი ღირსია, რომ მისი პიესა ყოველმხრივ ბრწყინვალედ იქნეს წარმოდგენილი ჩვენს ცენახე. ეს აზრი ერთი წარმოდგენის რეცენზიამიც გამოთქვა:

იხ. ჩვენი რეცენზია, უ ჯ ა ვ რ ე ლ ი ს ფსევდონიმით, ა. აბმეტელის-მიერ დადგმულ „რაც გინახავს, ეელარ ნახავის" შესახებ (გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., № 54, 6 მაისი).

თურმე ამ ყიყვიან გულას.
ჰყოლია ლამაზი ქალი.
ფისიკაანთ ქორწილშია.
კოხტად დაუხურავს თავი.
პეტრე ბატონი იქ არის,
ამ ქალს გადაავლო თვალი.
ფიცხლავ გული დაიბარა,
არუქა წითელი ხარი...
— წაიყვა, პეტრე ბატონო,
როგორც შენი ნება არი...
თურმე ამ ყიყვიან გულას
ქალაქს დაუნიშნავ ქალი.
დანიშნულმა რომ გაიგო,
წინალამ მოიკლა თავი
სამი ბიჭით წამოვიდა
დიღომს დაიპარსეს თავი...
მიუხდა სიმამრს კარებზე
მაშინვე იხმარეს ძალი.
რა იციან ამ საწყლებმა
პეტრე ბატონს უწევს ქალი..*

„რაც გინახავს, ეელარ ნახავ!“ პირველად წარმოადგინეს 1879 წ. 19 დეკემბერს. ამ პიესის პირველ წარმოდგენის შესახებ ვკითხულობთ: „დღეს, ოთხშაბათს საზაფხულო თეატრში იქნება ქართული წარმოდგენა ჩვენი სამუდამო ტრუპპისა. ითამაშებენ ჩვენი აქტიორის უფ. ა. ცაგარელის ახალ სამ მოქმედიან კომედიას „რაც გინახავს, ეელარ ნახავ!“.. ჩვენ არ წაგვიკითხავს უფ. ცაგარელის პიესა, მაგრამ ვისაც წაუკითხავს და რეპეტიცია უნახავს, ძალიან აქებენ, საუცხოო რამ არისო, დიდი ეფექტი ექნება სცენაზეო და თამაშობითაც ძალიან კარგად ითამაშებენო. შინაარსი პიესისა. როგორც ამბობენ ერთი ისეთი ფაქტია, რომელიც თბილისელებმა კარგად იციან—მიოევის ისტორია, ქალი რომ მოსტაცა ვიღაც დიღმელ გლეხს. კინტოების ცხოვრება და ხასიათი ფოტოგრაფიულის სინამდვილით არის კომედიაში გამოხატულიო“ (იხ. „დროება“, 1879 წ., 19 დეკ. № 263).

ა. ცაგარელმა „რაც გინახავს, ეელარ ნახავის“ დაწერისათვის მიიღო პირველი პრემია — ხუთი თუმანი (იხ. გ. თუმანიშვილის: „Характеристики и воспоминания“, წიგნი II, გვ. 67).

---

* იხ. „ხალხური სიტყვიერების მასალები“, შეკრებილი ჯ. სონღულაშვილის მიერ, ელ. ვირსალაძის რედაქციით, 1955 წ., გვ. 125.

აი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“-ის პირველი წარმოდგენის მო-
ნაწილენი: (1879 წ., 19 დეკემბერი).

მოქმედნი პირნი:

თ. დავით ჯამბარაშვილი	ზ. მაჩაბელი
ორომსე, დეიდა დავითისა .	ნ. გაბუნია
არტემ ივანიჩი, ამისი ქმარი	. ვ. მანცვეტოვი*
ზაქარია, დავითის მეგობარი .	ქ. უიფაინი
ნიკო, დავითის მოურავი .	. ნ. შიშნიევი**
კატინა, დავითის ნაყმევი	. ნ. გაბუნია
ტასია, ამისი ძმისწული	. ე. ოოსელიანი
ილუა, კატინას ვაჟი . .	. ა. დუჩაძე
კოსტაია, დავითის მსახური	. ქ. მეხი
საკუა, ტასიას საქმრო .	ა. ჩუბინოვი
ავეტიქა .	. ვ. აბაშიძე
გიეგუა .	. ა. ცაგარელი***
ფიჩხელა	ნ. კუხიანიძე
სოსანა	. ვ. მანცვეტოვი
ლიზა .	მ. ხაფ.-აბაშიძისა
მაკდანა	. მ. უიფაინი
პელუა .	ბ. კორინთელი

ასიკოს ტიპები კლასიკურია. ასიკო ცაგარელმა ქართულ დრა-
მატურგიაში შემოიტანა განსხვავებული ტიპაჟი და სხვანაირი წე-
რის მანერა. მისი პიესების ხლართი მეცხრამეტე საუკუნის ეპო-
ქის გამოძახილია. თაეადაზნაურობა, ქალაქის ხელოსნები და ახ-
ლად ფეხადგმული საეაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია ნიჭიერად ასა-
ხა ჩვენმა დრამატურგმა. მის პიესებში აღძრული საკითხები ორ-
მოცდაათიანი წლების საერთო სატკივარი იყო, რომელიც აწუხებ-
და ბელეტრისტს ლ. არდაზიანს („მეჯლანუაშვილი“). მაშინდელი
ეპოქის სული კომედიებში გადაიტანა აგრეთვე — გ. ერისთავმა
(„გაყრა“, „ძუნწი“), ზ. ანტონოვმა („მე მინდა კნეინა გაეხდე“).
რ. ერისთავმა („ადვოკატები“) ბარბარე ჯორჯაძემ („რას ეეძებდი.
რა ეპოვე“), ანტ. ფურცელაძემ („ავაზაკნი“) და გაბრიელ სუნდუ-
კიანცმა („პეპო“. „ხათაბალა“).

ასიკო ცაგარლის პიესის გმირი არ არის უსულო და გამოფი-
ტული. იგი სიცოცხლით სავსეა, ჯანსაღი ფერით და ხალხური
იუმორით დავაეკაცებული. მისი სიტყვა ცქრიალაა, სხარტი, ფრთა-

---

* ცნობილი ექიმი, ხოგჯერ თამაშობდა კენჭაძის გვარითაც.

** თამაშობდა თომაშვილის გვარით.

*** გიეგუას როლს ასრულებდა ავტორი — ასიკო ცაგარელი.

ასხმული! ხოლო რაც შეეხება დიალოგს, თამამად შეიძლება ითქვას. რომ ცაგარლისთანა სიტყვა-პასუხს ვერ დაიკვეხნის ვერც ერთი ბა'შინდელი ქართველი დრამატურგი. მისი დიალოგი სავსეა პოეზიით და გონებამახვილობით, გულახდილი ხასიათით და მძაფრი სურნელებით. ა. ცაგარლის დიალოგი მოლიერისა და გოგოლის დიალოგს ენათესავება. მისი სიტყვა-პასუხი ვაჟკაცური და ბუნებრივია, მკვირცხლი, გამჭრიახი, ონავარი. ა. ცაგარლის პიესების მოსმენის დროს, შეუძლებელია კაცმა მოიწყინოს. იაკობ გოგებაშვილი, ეხება რა ენას დრამატიულ ნაწარმოებში, სწერს: „მარილიანი, მოსწრებული და აზრ-გრძნობაზე გამოჭრილი ენა, ისე არა ნაწარმოებისათვის არ არის საჭირო, როგორც პიესებისათვის. ამ ღირსებით,—განაგრძობს გოგებაშვილი,—ჩვენს რეპერტუარში შემკობილნი არიან მხოლოდ ბ-ნ აექსენტი ცაგარლის ნაწერები და კიდევ ორიოდ-სამისა"... (იხ. „ივერია", 1889 წ., № 73).

რაც გინდა კოპებშეკრული ადამიანი იყოს და დანა პირს ვერ უხსნიდეს, — ცაგარლის პიესების მოსმენის შემდეგ, არ შეიძლება ტუჩზე ღიმილი არ აუთამაშდეს. „წუხანდელივით მხიარულად ი'შვიათად თუ როდესმე გაგვიტარებია საღამო ქართულ წარმოდგენაზე,—წერდა „დროება" 1882 წელს,—ნიჭიერ მობენეფისეს ვასო აბაშიძეს სწორედ ისეთი პიესები ამოურჩევია თავის ბენეფისისთვის, რომელშიაც საუკეთესო სასაცილო როლები აქვს: ორი მოქმედება ა. ცაგარლის პიესიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!" ბესამე მოქმედება ამავე ავტორის პიესისა „მათიკო" და კიდევ ამავე ცაგარლის ვოდევილი „ბაიყუში". მუცელი არ შეგვრჩა, ცრემლი გვდიოდა მომეტებული სიცილისაგან" („დროება". 1882 წ., № 27).

ასიკო ცაგარელი თუ ასეთი მკვეთრი და ორიგინალურია კომედიებში, სამაგიეროდ სუსტია დრამებში („მათიკო", „ერთი ნაბიჯი წინ" და „ცისარტყელა"). მისი საქმე „სიცილის ცრემლების" გამოწვევაა მაყურებელში: იგი ჩვენი კომედიოგრაფია, ამიტომაც იყო, რომ მის ორიგინალურ დრამებს მხოლოდ თითოჯერ მოუხდათ სცენის ხილვა...

მაგრამ სულ სხვა იყო ა. ცაგარლის ორი გადმოკეთებული დრამა (—„ქართველი დედა" და „ლეკის ქალი გულჯავარ"). პირველი პიესა პატრიოტული გრძნობის აღმძვრელია და მას ერთხელ ილია ჭავჭავაძეც შეეხო თავის რეცენზიაში („ივერია", 1890 წ., № 268). „ქართველი დედა" გადმოკეთებულია ფრანგ მწერალ არნოს მიერ ლექსად დაწერილ პიესიდან, მაგრამ ისე კარგად და საქართველოს

ისტორიასთან შეფარდებულად, რომ მაყურებელზე დიდ ემოციურ შთაბეჭდილებას სტოვებს. როცა პიესა 1890 წელს პირველად დაიდგა, ხალხმა ა. ცაგარელი ხელში აიყვანა და ისე გამოაცილა თეატრის კარებამდე. რაც შეეხება მეორე პიესას („ლეკის ქალი გულჯავარ“) ესეც ისტორიულ თემაზეა აგებული. მეტად საინტერესოა ამ პიესის ბედი. იგი ავტორმა ჯერ პოემად დაწერა და უწოდა „გულჯავარ“ (ეპიზოდი ირაკლი მეორის დროიდან). ამ პოემის დასაწყისი (ოთხი თაეი) დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“ 1885 წელს (№ 3), მაგრამ გაგრძელება აღარ დაბეჭდილა; როგორც „ივერიის“ გარეკანზეა აღნიშნული, პოემის დანარჩენი თაეები ცენზორს აუკრძალავს. მუშა პოეტი იოსებ დაეითაშვილი თავის საახალწლო მილოცვებში ამბობს:

„გულჯავარ“ ლექსი კარგია
ზოგსა ჰგონია დოლოო [?],
დამწერმა ჰკითხოს რედაქტორს
ვინ მოაგლიჯა ბოლოო“.

ასიკო ცაგარელმა შეწყვეტილი პოემა „გულჯავარ“ ხელმეორედ დაბეჭდა მთლიანად მხოლოდ 1902 წელს (იხ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №№ 1815, 1817 და 1822). 1896 წელს დრამატურგმა თავისივე პოემა პიესად გადააკეთა, რომელიც პირველად წარმოდგენილ იქნა 1897 წ. 23 თებერვალს. თავის დროს ეს ისტორიული და ხლართიანი დრამა, დიდის პოპულარობით სარგებლობდა ქართველ მაყურებელთა შორის. ასეთია ცაგარლის ორი გადმოკეთებული დრამის თავგადასავალი.*

1883 წელს ოსტროვსკი ეწვია თბილისს. ქართულმა თეატრმა მის საპატივსაცემოდ ა. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ დადგა. ქართულმა დასმა დაფნის გეირგვინი მიართვა რუსეთის გამოჩენილ მწერალს. გვირგვინი გადასცა „ქართველმა ოსტროვსკის“—ა. ცაგარელმა. ახალგაზრდა აეტორს ოსტროვსკიმ რამდენიმე თბილი სიტყვა უთხრა: „მშვენიერია! სწორედ აგრე განაგრძე წერა. კარგ გზას ადგიხარო“.

ა. ცაგარელს მართლაც არ გადაუხვეევია თავისი გზიდან და იგი საკუთარ მიჯნებში დარჩა. ა. ცაგარლის ტიპები ჩვენი ღვიძლია, ჩვენი სისხლი და ჯავარი. მისი სიმპათიაა ახალი ადამიანისკენაა

---

* ცნობად უნდა ითქვას, რომ „ლეკის ქალი გულჯავარის“ სიუეეტზე ლიბრეტო და მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ვიქტორ დოლიძემ. ოპერა რამდენჯერმე დაიდგა „ლეილას“ სახელწოდებით.

მიპყრობილი („ცისარტყელა"). მას სძაგს და ეჯავრება ეს მაზუთიანები, ტყუილკოტრიანცები, გრიქულ ვაღრამიჩები და ბულდანები, — ჩარჩული კაპიტალის საზიზღარი წურბელები.

მაგრამ ასიკო ცაგარლის ტიპაჟის გვირგვინი მაინც ქალაქის ყარაჩოღელები არიან: გიჟუა, ფიჩხულა, სოსანა, ნიკოლა, პეტუა. ეს ქალაქის ტიპი.—რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თბილისმა შექმნა და ჩვენს გარდა არც ერთ ერს არ მოეპოვება,—ზედმიწევნით დაასურათხატა ასიკო ცაგარელმა და ეს არის მისი შემოქმედების აპოგეია. *

ყარაჩოღელები,—ეს თბილისის მდაბიო მოქალაქენი — იყვნენ, დუხჭირი ცხოვრებით შეზღუდულნი, მაგრამ მაინც მხიარული ხასიათის წყალობით, იმედის თვალით შესცქეროდნენ მომავალს... ამ ხელოსან ხალხის მუსაიფი და მოძრაობა არ არის უხეში, როგორც კინტოსი. პირიქით, მათი გამოთქმა ლაკონიურია, კუნთიანი, ნუგბარი. ყარაჩოღელის რხევას და მეტყველებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებური კოდექსი და გრამატიკა აქვს. ერთი დეტალი: იგი როცა ლაპარაკობს ორიეე ხელის ცერი ჯამარში აქვს გაკეთებული (—ეს ტიკულაცია ძუნწი აქეს), მისი ბგერა მდიდარია ინტონაციებით და მისი ერთი ხელის აქნევა ან ალერსს უნდა ნიშნავდეს, ან ჭექა-ქუხილს.

ასიკოს პერსონაჟი უპირველეს ყოვლისა ამქრის წევრია, გათვითცნობიერების გზაზე დამდგარი მშრომელი-ხელოსანი. მან იცის თავისი ადათი—უსამართლობას არ ჩაიდენს.

აი, ადგილები ცაგარლის პიესიდან:

— „კიდევ კარგი, რომ მე ს ა მ ა რ თ ა ლ ი მახსოვს, თორემ ისე გაგაპტყელებდი, როგორც ჯვარისმამის ლავაში!"

— „ძალით კი არა, ს ა მ ა რ თ ლ ი თ წავიყვან!"

— „ძმა-ბიჭს ჩ ე მ ი იმედი ჰქონდეს და მე აქედან ცარიელი წავიდე?"

— „მე ახლავე დაგიმტკიცებ, რომ ჩვენი კაცი თავის დღეში თ ა ვ ი ს ი ტ ყ ვ ა ს არ გადავა".

აი, ეს მეგობრისათვის თავისდადება, სამართლიანობა, სიტყვის გაუტეხლობა და ნამუსიანობა—ღრმად იყო ჩანერგილი თბილისელ ხელოსნებში.

---

* „რაც გინახავს, ვეღარ ნახავის" სიუჟეტზე ოპერეტა დაწერა კომპოზიტორმა შ. აზმაიფარაშვილმა, ხოლო მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ეს პიესა მიდის შეკუმშული ვარიანტით... (გ. ბუბნიკაშვილის რედაქცია).

ერთხელ ერთ თბილისელ მოქალაქეს შევეკითხე:

— რა ხელობისა ხარ?

— მე უნამუსო კაცს თავზედ ნ ა მ უ ს ი ს ქ უ დ ს ა ვხურავო. (ჭონი ჰყოფილიყო, ქუდების ოსტატი).

ა. ცაგარელიც მღერის:

მე სულ ვლოთობ, შენ რას გიშლი ძმობილო?
ლოთობიშია ახა რა ნახე ცუდი?
მეც კაცი ვარ, რატომ აგრე მიყურებ?
მეცა მხურავს თავზედ ნ ა მ უ ს ი ს ქ უ დ ი.

— „ჩვენ დიდი სწავლა არა გვაქვს, შვილო, მაგრამ ნ ა მ უ ს ი კი გვაქვს“,—ამბობს ა. ცაგარლის ერთი მოქმედი პირი.

ასიკო ცაგარლის პიესებს მთელი 57 წელიწადია ჰხურავს ეს „ნამუსის ქუდი“ და დღესაც უმწიკვლო ჰაბუკად გამოიყურება.

ა. ცაგარლის პიესების შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რაც გონჩაროვმა სთქვა გრიბოედოვის პიესაზე: „იგი ჰგავს ასწლოვან მოხუცს, რომლის გარშემოც ყველაფერი ბერდება და კვდება, ის კი ნორჩი ჰაბუკივით დადის აკვნებსა და საფლავებს შორის და არავის ფიქრად არ მოსდის, რომ როდისმე მისი აღსასრულიც დადგება“.

არის იმისთანა ნაწარმოები, რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, ყოველთვის ახალი გეჩვენება. ასიკო ცაგარლის პიესებიც ასეა. მის კომედიებს სიძველე არ ეტყობა. რამდენჯერაც უნდა წაიკითხო ყოველთვის ახალია და ამაღელვებელი. სწორედ ასიკოზეა ზედგამოჭრილი ჰეინეს გამოთქმა: „თმებზე — იანვარი, გულში — მაისი“.

ეს იმიტომ, რომ ასიკო ცაგარლის შემოქმედებას „ნ ა მ უ ს ი ს ქ უ დ ი“ ჰხურავს.

1936 წ.

თბილისის თეატრი

ოთხშაბათს, 19 დეკემბერს

პირველი წარმოდგენა ახლადვე ჩარიცხული იქნება

I

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომედია სამ მოქმედებად ა. ცაგარელისა.

მოქმედნი პირნი.

ს. ლორთ ჯანშახელი, ლორდი ნაჭყვეტი	ქ. მანაგაძე.
ლორდი, დედა ლორდისა	ჯ. ზაბაშვილი
პატარა ბეჭედი, მისი ქმარი	შ. ავქსენტი.
ზაქარია, ლორდის მოახლე	ქ. ციციშვილი.
ნინო ჩანგელაული, ლორდის შვილიშვილი	ქ. ორბელიანი.
პატრონა, ქერა ლორდის ნაცნობი	ჯ. ზაბაშვილი
ბესია, მისი ძმისწული	ჯ. ბოცვაძე.
ილარიონ ვეფხვი	ნ. ნ.
პეტრეა, ლორდის მსახური.	ქ. ფალიაშვილი.
სიკვდილი, ბასრის საქმით	ქ. ჩუბინიშვილი
პატრონა	ქ. ამბარცუმოვი.
ბიჭები, სიკვდილის მოციქულები	ქ. ამბარცუმოვი.
შინაური	ქ. ვასილიევი.
სიკვდილი,	ქ. ქორელი.
ლაზი ბიჭის სული	ქ. ფალიაშვილი.
სტუმრები და მასპინძელი.	

II

ყვავი ფარშევანგის ფრთებით

მოდგმული ერთი მოქმედებად. ავტორი ვ. ანჯაფარიძისა.

მოქმედნი პირნი.

ზაქარია, ბეღლის ვაჟკაცი	ქ. მანაგაძე.
ალვუა, მისი ცოლი	ჯ. ციციშვილი.
ბესია, ალვუას მოახლე	ჯ. ორბელიანი.
შავ ხასიათი ფილოსოფოსი.	ქ. ფალიაშვილი.
პატარა	ქ. ჩაგანავა
ლაზი ბიჭის სული.	ქ. ამბარცუმოვი
ბალღები.	ნ. ნ.

ხოლო ამის შემდეგ ანტრაქტი, გასვენება ძალი ავდგება ქორელ სიმღერით.

Въ среду, 19 дек. гор. труп. въ лѣтн. театрѣ предст. будетъ въ первый разъ:

I. ДРУГІЯ ИЗНЕЖЕТЪ ВРЕМЕНА!

комедія въ 3 дѣйствіяхъ, А. ЦАГАРЕЛИ.

II. ВОРОНА ВЪ ПАВЛИНЬИХЪ ПЕРЬЯХЪ

Водевиль въ 1 дѣйствіи середнт. В. АБАШИДЗЕ.

Въ антрактѣ послѣ первой пьесы, г-нъ ГАБУНІЯ произнесетъ грузинскія пѣсни.

დაწყების ფასი:

ლიტერნი ლოჟები 10 მან., ლოჟები 4 — 18—მეორე—7 მან. და დანარჩენ. 6 მან; კრესლები 1 ადგილი 3 მან., 2 და 3 ადგილი—2 მან., 4 და 5 ადგილი 1 მან. 50 კაპ., სკამები 1 მან. და გალერეა 50 კაპ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 10—2 საათამდე. საღამოს—6 საათიდან, და ახალგორის ბილეთებზე, მიმართონ პრასკეზე.

დასაწყისი 7½ საათზე

ავქსენტი ცაგარლის პირველი პიესის („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“) და პირველი წარმოდგენის (1879 წ.) პროგრამა.

(ი. გრიშაშვილის არქივიდან)

დავიწყებულნი და გამორჩენილნი

შიო მღვიმელის რევოლუციური ლექსები

დახგახე რანდით ლამობდი
მრუდე ხის გასწორებასა.
შიო მღვიმელი.

ჩვენი სიამტკბილობის მეგობარმა შიო მღვიმელმა (1866—1933) თავისი ხარკი მოიხადა მებრძოლი პოეზიის წინაშეც.

ეს ხაზი შიოს შემოქმედებაში—შეუმჩნეველია.

მე ერთ დროს „დავიწყებულის და გამორჩენილის" სათაურით მინდოდა გამომეცა ის პოეტები, რომელნიც, ასე თუ ისე, ჩრდილში იყვნენ მიმსხდარნი. დავბეჭდე მხოლოდ ლექსების ორი წიგნი: ლადო ახობაძის ლექსები (1913 წელს აიკრძალა) და სოლო გოშაძის ლექსები (1927 წ.). დაუმთავრებელი დამრჩა: ბ. ახოსპირელი, განდეგილი, მ. ლელაშვილი, კორტოხა (ძიმისტარაშვილი), გ. დეანაძე, რ. ალისუბნელი (ჩიკვაიძე), მ. გორდაძე, ლ. დარჩია.*

თანამედროვეობამ ბევრი სახელი აღადგინა. ბევრი მტვერნასვამი ფოლიანტი გამოამზევა. სიტყვის ოსტატებისადმი ასეთი შეუნელებელი მზრუნველობა ჩვენი ეპოქის დამახასიათებელია.

ამჟამად შიო მღვიმელზე მინდა ჩამოვაგდო სიტყვა.

„მის სკოლაში ვინ არა ვართ ნასწავლი!"

შიო მღვიმელის ლექსები მარტო ბავშვების სიყვარულის თემატიკით არ განისაზღვრება.

აბა, ვინ წარმოიდგენს, — ვისაც შიო უნახავს უკანასკნელ ხანებში, — რომ ამ წყნარ ადამიანში ოდესღაც მებრძოლი სული ტრიალებდა, ვინ წარმოიდგენს, რომ ის მსუბუქფრთიან და მობინე საბავშვო ლექსებთან ერთად, პარალელურად მოზრდილებსაც უმღეროდა, ვინ წარმოიდგენს, რომ მისი მწვავე ლექსების იერიშები ბრძოლისკენ, თვითმპყრობელობის დამხობისკენ და უკეთესი მომავლის შექმნისკენ იყო გამიზნული.

* შიო მღვიმელის მოკალაქობრივ მოტივზე ამღერებული ლექსები (არა საბავშვო) შეკრიბე და ცალკე წიგნად გამოვეცი 1938 წელს.

ჩემი სიცრცხლე კენესაა,
გული—ნაღველის ბადია;
არ შეგიდრკები, სევდაო,
დრო მუდამ ცვალებადია,
ვერ შემაშინებ, სამარეე,
გულჩახვეულო შავადა,
უნდა ვიცოცხლო იმედით
შობილმა სატანჯავადა...
...კუბოს რომ ვიწვე უძლური
მელოდოს დამიწებაო,
მაინც შევძახებ ქვეყანას:
დაიცა, გათენდებაო!

„დაიცა, გათენდებაო!“—აი, შიოს შემოქმედების მთელი დედააზრი, მისი რწმენის ქვაკუთხედი. ის იბრძვის ჩამოწოლილი წყვდიადის გასაფანტავად, სწამს ახალი დილის მოახლოვება, „ტიალი მტრის“ განადგურება. ამიტომ იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციას შიო ამ სიტყვებით შეეგება:

განთიადის შუქმა დაჰკრა,
აელვარდა სხივთა გროვა,
შავს უფსკრულში იმალება,
მტაცებელთა მთელი ხროვა.*

შიოს გლეხი არა ჰგავს რაფიელ ერისთავის „სესიებს“ და „ბერუებს“, რომელნიც ჰგოდებენ, სჩივიან, მოსთქვამენ, მაგრამ ჯადოსნური წრიდან გამოსავალს ვერა ჰხედავენ. მართალია, შიო მღვიმელი უფრო შორს მიდის, როცა ათქმევინებს თავის გმირს:

...უფრო მეტს ვიტყვი; ამ ქვეყნის
საბელ-წაბმული ფური ვარ,
მოვა, თუნდ დამლევს, თუნდ შემჭამს,
ვისაც ვშივარ და ვწყურივარ...

მაგრამ შიოს გლეხს მომავლის იმედი მაინც აცისკროვნებს... იგი მოუწოდებს ქარიშხალს.—ბრძოლის ამ სიმბოლოს—და ყველა „ბედშავსა და დავრდომილს“ ხელში მახვილს აძლევს ძველი წესწყობილების გულში ჩასაცემად.

იბრძოლე, ვიდრე მახვილად
გიპრის ჰკუა და გონება,
ვიდრე არ შემოგხვევია
სრულად მაცდურთა მონება!

---

* იხ. „რევოლუციის პოეტები“, 1921 წ., გვ. 45; შ. მღვიმელმა ასეთივე იმედიანი ლექსი დაბეჭდა გაზ. „საქართველოში“, (1917 წ., № 51, 5 მარტი). სათაური: „ქარიშხალს“.

...თორემ ვერაფერს გახდები
მუდარითა და ლოცვითა,
ჭია კვლავ შეჯვუპარება
გულის საღრღნელად ცოცვითა.

შიოს ლექსიკა ძალიან მარტივია. სევდა, ნაღველი, ვარამი, ტანჯვა, ბოღმა, შხამი, კვნესა... ეს თემატიკური არე დამახასიათებელია იმ დროის ყველა დიდი პოეტისთვის. ამ სიტყვებით გამოხატავდნენ თავიანთი სულის ქენჯნას, აქ იგულისხმებოდა ძველი უკუღმართობა, შავბნელი წარსული. „ჩაბალახახდილი სამშობლო“, რომელიც ცარიზმის უღელქვეშ გმინავდა და იტანჯებოდა.

აიღეთ მისი მეტად გავრცელებული ლექსი—„მეომრის სიმღერა“, რომელიც შიოს სხვა ლექსებივით ხალხურ კილოზეა დაწერილი. რაოდენი სულის სიმტკიცე და ნებისყოფაა ჩაქსოვილი ამ ლექსში. აქ ისმის ნამდვილი ვაჟკაცური ხმა, ვაჟკაცური აღთქმა უძლეველ დედა-სამშობლოს დასაცავად.

შხამად შემერგოს დედის რძე,
შხამად მომედოს პირზედა,
ქვეყანამ გამათაბსიროს
ცა-დედამიწის ძირზედა,
დავდიოდ-დავყიალობდე
მურ-ჩამოსმული ცხვირზედა,
თავს ლაფი გადამდიოდეს,
უკუღმა ვიჯდე ვირზედა,—
თუ ძმის სიკეთე შემშურდეს,
თუ ძმას შევხედო შურითა,
თუ ძმახე ძვირი ნათქვამი,
მტრისგან შევიგნო ყურითა...

ცოტა ქვევით:

ბრაზად გადმექცეს ამაგი
ჩემი მშობელი დედისა,
იობის დღეში ჩავვარდე,
მომჩივნო გავხდე ბედისა,
ხულარც შევჭამო ნათესი,
მოხნული ხარის ჭედისა,—
თუ სახლში ჯდომა ვარჩიო,
ოდეს ხმა მესმას მტერისა,
თუ მონაწილე არ გავხდე,
სამშობლოს ბედის წერისა,—
გვირგვინი პატიოსნების,
დიდება მთელი ერისა.

განა ეს სიტყვები დღესაც, როცა სისხლმოსურნე ომის გამჩაღებლები არ ეტევიან თავიანთ ქერქში, გამამხნევებელ ძახილად არ გაისმის? აქ შიოს მეომარი არ არის მეფის ჯარისკაცი, საბელშობმული ხარი, რომელიც სასაკლაოზე მიჰყავს სალახს, არც სასულიერო მამის მიერ ქლესა ფიცით მონათლული ჰაბუკი... აქ, ამ კენარ ლექსში გამოხატულია მთელი ხალხის სულისკვეთება, თავდადება, რაინდობა, რომელიც შემდეგში ასე კარგად გადმოგვცა ვაჟა-ფშაველამ თავის „მხედართა ძველ სიმღერაში“:—

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

შიო იმითაა ძლიერი, რომ იგი ხალხის ჰირვარამის გამომთქმელი მგოსანია. მას ფესვი ხალხის წიაღში აქვს გადგმული. ეს მისი ლექსების გარეგანი ფორმითაც მტკიცდება.

შიო დაიბადა იმ ხალხოსანთა წრეში, რომლის ბუდეც გორი იყო. ტყუილად კი არ უმღეროდა აკაკი ამ რევოლუციის კერას:

გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო,
ადრე ღირსად წამებულო,
დღესაც მთქმელო მართლისაო!

შიოს მასწავლებელი ნიკო ლომოური იყო, საუცხოო მწერალი და გულწრფელი პატრიოტი. შიოს ესმოდა ლომაურის მოთხრობის გმირის—გიგო ღრუბელაშვილის—„ქადაგად დაცემა“, სადაც ასეთი აზრებია გამოთქმული: „...ეშვი არ არის, მალე სხვებიც დაადგებიან ჩემს გზას და ოცი, ორმოცი წლის ამგვარი მოღვაწეობით ხალხის მდგომარეობას, თუ სრულიად არა, ბევრნაირად მაინც გავაუმჯობესებთ. მერმე შეიძლება რაიმე დიდმა შემთხვევამ აწინდელი საერთო ვითარება ძირფესვიანად შესძრას, შეარყიოს, მაშინ ჩვენც გავიბერტყავთ მშვიდობიანობის მტვერსა და თავგანწირულ მამულისშვილებად გამოვალთ ბრძოლის ველზე. აბა მობრძანდით მაშინ, მტარვალებო, და თქვენის ცოცხალის თავით დაგვიდექით წინა. გიჩვენებთ მაშინ თქვენ სეირსა, თქვე შეჩვენებულებო თქვენა!..“ *

ნიკო ლომოურის ეს წინასწარმეტყველური მონოლოგი მთელი მაშინდელი ხალხოსანთა იდეების გამომსახველია. შიო ტრიალებდა

* ნ. ლომოურის ეს მოთხრობა (ავტორმა პოემა უწოდა) დაიბეჭდა „მოამბეში“, 1894 წ., № III. მოწერილი აქვს: ლ. ა.

ამ წრეში, ითვისებდა მათ აზრებს და თავისი ლამაზი ლექსებით ხალხს ბრძოლისაკენ იწვევდა:

ნეტა რას ნაღვლობ, ვაჟკაცო,
რას ჩაღვრემილხარ ძალზედა,
თავი აიღე, გამხიარულდი,
იფიქრე მომავალზედა.
შუბლი ნუ შეგიჭმუხვნია,
ცრემლი ნუ მოგდის თვალზედა,
ხანჯალი გააპრიალე,
ხელი დაიდე ხმალზედა.
ნუ ასდევ ქვეყნის სიმუხთლეს—
ბედის უკუღმა ტრიალსა,
დრო მოვა, ნახავ ჰაერში
ჩვენი დროშების ფრიალსა.
თოფ-ზარბაზანი იფეთქებს,
ტყვია დაიწყებს ბზრიალსა,
მტრის გული განადგურდება,
დღეს რომ გვეძახის ტიალსა.*

ნება მიბოძეთ ამ ლექსის გარშემო ცოტა შეეჩერდეთ:

*

როცა 1938 წელს შიო მღვიმელის მოქალაქეობრივ ჰანგზე დაწერილი ლექსები შევკრიბე და გამოვეცი, ამაოდ როდი ვუწოდე ამ წიგნს სათაურად: „სიმღერები". დიახ! შიო მღვიმელის ლექსები სიმღერებად იყო გადაქცეული. ზოგიერთი მისი ლექსი, მაგალითად „ნეტა, რას ნაღვლობ ვაჟკაცო!"—ქართველ მუშებში. დემონსტრაციის დროს, „მარსელიოზის" მაგიერობას ასრულებდა. ქვემოთ მოყვანილი დღემდე უცნობი დოკუმენტი ამის ნათელი დამადასტურებელია: მაშინდელ არალეგარულ გაზეთ „ბრძოლაში" 1902 წელს დაბეჭდილია ბათუმიდან კორესპონდენცია, სადაც შიო მღვიმელის ამ ლექსზედაც არის ლაპარაკი... მოგვყავს მთლიანად:

„9 დეკემბერს როტშილდის მუშები გავიფიცენით. მიზეზი იყო ეგრეთ წოდებული „ვიჩიტკები". მოვითხოვეთ: სახალხო სახლის აგება, საახალწლო საჩუქარი—ერთი თვის ჯამაგირი ზედმეტი, საავადმყოფო—თფილისის რკინის გზის პირობებით, ერთი აბაზის მომატება იმ მუშებისთვის, რომლებიც დღეში 19 შაურს იღებენ, დათხოვნა სამსახურიდან რამდენიმე ჯაშუშისა და სხვა. ზავოდმა უარი გამოგვიცხადა, მაგრამ ჩუმათ კი ცდილობდა როგორმე

* ეს ლექსი დაწერილია ოთხმოცდაათიან წლებში (იხ. ვ. გუნიას „დრამები და კომედიები", 1893 წ., გვ. 76; აქვეა შ. მღვიმელის მეორე დავიწყებული: ლექსიც: „გზა დამილოცე, დედილო!" (გვ. 85).

შეგვრიგებოდა. დღეს აქ ყველა მუშებმა „რასჩოტი" მოვითხოვეთ. გვთხოვეს შაფათამდე მოცდა. გამოვბრუნდით. ვიქნებოდით ათასზე მეტი კაცი, გზაზე შემოსძახეს სიმღერა „ნეტა, რას ნაღვლობ ვაჟკაცო" (ამ სიმღერას კავკასიის მუშები მარსელიოზას მაგიერათ მღერიან). ხალხი გაცოცხლდა, სახელდახელოდ ავაფრიალეთ წითელი ხელსახოცი. გაისმა ძახილი: „გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვითმპყრობელობა!" პატარა ხანს უკან მოიტანეს წითელი აბრეშუმის ხელსახოცი. ხალხის აღტაცება უმწვერვალესობამდე მივიდა, გამოჩნდა არატორი—მუშა, რომელმაც მხურვალ გამამხნევებელი სიტყვა წარმოსთქვა. ორი ვერსი გზა გავიარეთ და საუცხოოთ ჩაიარა. სალდათები შემოგვხვდნენ გზაში. მუშებმა დაუძახეს: „Братцы солдаты, Да здравствуетъ свобода" (ძმებო სალდათებო, გაუმარჯოს თავისუფლებას), იმათაც ქუდები მოიხადეს: Да здравствуетъ свобода, товарищи" (გაუმარჯოს თავისუფლებას, ამხანაგებო).

გაფიცვის შედეგს გაცნობებთ".

(„ბრძოლა", 1902 წ., დეკემბერი, № 4).

აი, როგორი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენი საყვარელი პოეტის შიო მღვიმელის ეს „ქართული მარსელიოზა".

ნიკო ლომოურის გარდა შიო დავალებულია ს. მგალობლიშვილისაგან, ი. გოგებაშვილისაგან, შიო დავითაშვილისაგან, ლიტერატურულ სერობას უსხდნენ შიოს თანამოინახე რაზიკაშვილებიც: ვაჟა, თედო, ბაჩანა, სანდრო. აი, ის წრე, სადაც დავაჟკაცდა შიოს ფანტაზია და მის მიმართულებას სწორი გეზი მიეცა. ის პოლიტიკური სიმახვილე, ის სოციალური უთანასწორობის პრობლემა, რომელიც გამოსჭვივის შიოს ლექსებში, პოეტს ბალღობიდანვე ჩაენერგა გულში.

ჯერ კიდევ სკოლის მერხზე იჯდა, როცა გორელი ბოქაულის სამთლიკუდოვის მკვლელობა აღწერა საოხუნჯოდ ხალხური ლექსის „ეო-მეოს" ყაიდაზე; მისი ერთი ლექსის „ნატვრის" გულისთვის, ცოტას გაწყდა, სკოლიდანაც არ დაითხოვეს, მაგრამ მასწავლებელმა კოტე გვარამაძემ დაიხსნა. შემდეგ, როცა შიო ხალხოსან მიშო ყიფიანის ოჯახში იზრდებოდა, მაშინდელი წესწყობილებით ნორჩი სულის აღშფოთება უფრო რეალისტურად გამოხატა: დადიოდა მოწაფეებში და არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდა, რასაც სოფ. მგალობლიშვილიც ამოწმებს. „გამეფდა საშინელი რეაქცია,—წერს განსვენებული ბელეტრისტი,—ალექ-

სანდრე მესამე, ლოთი მეფე, ვერა ძღებოდა რევოლუციონერების სისხლით. ჩვენც ავმოძრავდით. მიშო ყიფიანთან იზრდებოდა პატარა შიო ქუჩუკაშვილი, დღეს ძია შიო მღვიმელი, პატარა შიოს ვაერცელებინებდით მოწაფეებში აკაკის ლექსს—„დღეს მერცხალი შემოფრინდა“... *

მართალია, შიოს თემატიკა არ იყო ახალი, მაგრამ ახალი იყო გამოთქმის შნო და ლაზათი, სიღრმე და ალალმართლობა. მისი ლექსები ხალხურ კალაპოტშია ჩასმული, შიოს შემოქმედების წყარო ხალხის გულიდან მომდინარეობს, ამ დოვლათს, დიდ კორიფეებთან ერთად, ახალგაზრდა შიოც დაეწაფა გულსავსედ.

შიოს აქვს ერთი დიდი სოციალური რეზონანსის ლექსი, სადაც ძნელია მიხვედრა, სად იწყება ფოლკლორი და სად თავდება ავტორის ზეშთაგონება: აი, ამ ლექსის დასაწყისიც:

მინდა ჩემს ნაბატონარსა
ცოტა რამ გაეუზიარო:
ბატონო, შუქთა-ხორაზე
როდემდის გინდა იარო?
წავიდა ის დრო, როდესაც
ბატონი იყავ ძლიერი,
სხვის ოფლით იკეებებოდი,
სხვა კი რჩებოდა მშიერი. **

აი, ასე მედგრად და თამამად ელაპარაკებოდა უკიგრო ბატონს შიოს გლეხი, რომელიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ უფრო მეტად განიცდიდა მონობის უღელს. პოეტი განაგრძობს:

მო, ჩემთან ოფლი დაღვარე,
ლუკმა შეჭამე შრომითა,
გულს ნუ რყვნი, ხორცს ნუ ალალებ
მუქთად მთელი დღე ჯდომითა.

---

* იხ. სოფ. მგალობლიშვილის „მოგონებანი“, ლევ. ასათიანის რედაქციით, 1938 წ., ფედერაცია, გვ. 93. შიო, როგორც არასრულწლოვანი, თუ მაშინ გადაურჩა განდარმთა ბრჭყალებს, სამაგიეროდ ვერ ასცდა ასაკში შესვლის დროს. შიო მეტეხში იჯდა 1904 წ., „შიო დაიჭირეს—სწერს სანდრო რახიკაშვილი თავის ძმას თედოს—რაც კი ჰქონდა, სულ ერთიან წაილეს გასაშინჯად; იმათ მალა-ზიასაც დაეცნენ და იქაც, რაც წერა-კითხვის სახოგადოების შესახებ მიწერ-მოწერა ანუ წერილები უპოვიათ, სულ წაუღიათ. ეს არის, საწყალს, რაც ხანი მოუნდებიან იმ წერილების გადაშინჯვას, შიოს მეტეხის ციხეში ჯდომა მოუხდება“. (იხ. „წერილები თედო რახიკაშვილისადმი“—სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით—„საჯარო ბიბლ. შრომები“, 1937 წ., III, გვ. 161).

** ამ ლექსს შესანიშნავად და დიდის წარმატებით კითხულობდა სცენიდან შიოს უახლოესი მეგობარი და ნიჭიერი მსახიობი ა. ადამიძე (1866—1937).

განა ხალხური ფანდურიც ასე არ კენესოდა თავის დამჩაგვრელების მიმართ?—

რა გინდა, ამილახორო,
რატომ არ ჩამომშორდები,
კაცი ვარ, ბომ არ ჩამყლაპავ,
კაცი ხარ, რატომ ღორდები.
რასაც ვშოულობ, შენ მიგაქვს,
ვცოცხლობ ოხვრით და ვაითა,
სახლსაც მიყიდი ცოლშვილით,
ვისთან წავიდე, საითა?

შიოს მოზრდილთათვის დაწერილ ყოველ ლექსში მოსჩანს პოეტის ამბოხი სული. იგი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეების მომღერალი პატრიოტი პოეტია. შიოს ლექსებზე ალზრდილი ნორჩი თაობა, რომელსაც არ განუცდია წარსულის სიდუხჭირე, სიამოვნებით წაიკითხავს ჩემმიერ სათუთად შეკრებილ შიო მღვიმელის მოქალაქობრივ მოტივებზე აგღერებულ „სიმღერებს“ (1938 წ.) და ძველ დროს წყევა-კრულვით მოიხსენიებს.

ლექსი „მუხა“, რომელიც ჩვენს მოამაგე იაკობ გოგებაშვილს ეძღვნება, სავსეა ულამაზესი განცდებით.

„მუხა შესჩივის კლდეს, „ტყე-ჭალა შემომაკაფესო“, კლდე უპასუხებს:

შენს მოხუცებულს გულმკერდზე
ბევრჯელ გვინახავს იარა,
თავს გრგვინვით ელვა-ქუხილმა
ათასჯერ გადაგიარა...
რას დაგაკლებენ? ყლორტები
იბარტყვენ, დაიზრდებიან,
ტანს აიყრიან ჭალა-ტყედ,
გარშემო დაგადგებიან.

მუხა—საქართველოა, ყლორტები—ახალი თაობა, რომელიც, შიოს რწმენით, დაიზრდება და ცოცხალ რკალად შემოეხვევა თავის სამშობლოს. ეს ნატვრა საფლავში არ ჩაჰყოლია პოეტს:

და ისე ჩავალ მე სამარეში,
ბეწვის ოდენა არ მიმდევს დარდი,
სამშობლო ჩემი თავისუფალი
ჰყვავის, იშლება, ვით იავარდი.

შიო მღვიმელისთვის არც სატრფიალო ლექსებია უცხო ხილი. მან თავისი მოღვაწეობის პირველ ხანში, რაფიელ ერისთავივით (და განა მარტო რაფიელ ერისთავივით?) სიყვარულსაც გადაუხადა თავისი ვალი. ეს იყო ახალგაზრდული ენთუზიაზმი, როცა ჯერ

კიდევ გაურკვეველი გრძნობები იბადებიან და ენის წვერზე მომდგარი სიტყვა ისევ გულისკენ იკვლევს გზას:

ეჰ, რა გითხრა, როგორა ვთქვა, ანკი როგორ გაგიბედო,
გეტყვი: სტყვი, ცელქობ შენთვის, ჩემო გიჟო, ჩემო ყბედო,
მთვარესავით დათენთილო და მზესავით ხალიანო,
ფოლადივით მიმზიდველო, ღონიერო, ძალიანო!

შიო ჯერ კიდევ 14 წლისა იყო,—ასე მიამბო ერთხელ შიომ,—როცა მეწისქვილეს ქალი—ნანა შეუყვარდა: „ბევრი ლექსი დავუწერე. ლექსებს ნაფოტზე ვწერდი, ჩავაგდებდი მდინარეში, ის გოგონა წისქვილთან იცდიდა. დაიჭერდა ჩემი კალმის ნაცულლუტარს და ასე ვეტრფოდით ერთმანეთს წმინდა, ბავშვური სიყვარულითო".

ვინ არ მღერის მის ლექსს,—მაგრამ, ალბათ, არავინ არ იცის, რომ ეს სტრიქონები შიოს ეკუთვნის:

მე მიყვარხარ, როგორც ეხედავ,
შენ კი თურმე გეჯავრები,
თუ ასეა, მე წავალ შორს,
გაგეცლები, გაგეყრები;
მაგრამ წმინდა სანთელივით
ჩამოდნება ვიცი გული
და საფლავში თან ჩამყვება
შენი ტრფობა-სიყვარული!

შეიძლება შიოს ასეთ ლექსში ორიგინალობა არ გამოჰკრთოდეს, მაგრამ იგი ხალხმა ორივე ხელით მიიღო და სასიმღეროდ აამღელვარა. ლექსის ღირსება, ჩემის აზრით, ხშირად ამათაც განისაზღვრება.

ჟისაც მოუსმენია ვ. გუნიას პიესა „და-ძმა" — იმას არ შეიძლება არ ახსოვდეს შიოს გახალხურებული ლექსებიც, რომლებსაც ტყეები მღეროდნენ: „ნეტა რას ნაღელობ, ვაჟკაცო", („გაფრინდი შავო მერცხალო"-ს ხმაზე ნამღერი) ან კიდევ ეს ლექსი:

ძალავ, სიკვდილად ხმობილო,
თავი რომ გიგავს ხვედასა,
ჩემს სატრფოს ხელი გაუშვი,
თორემ გიტირებ დედასა!
და სხვ. *

* ამ ლექსის მესამე სტრიქონს ორი ვარიანტი აქვს. 1. „სამშობლოს ხელი გაუშვი," 2. „ვალიკოს ხელი გაუშკი". აქ იგულისხმება ვ. გუნია (1862—1938), რომელიც ძალიან უყვარდა ჩვენს პოეტს. ეს ლექსი ჩვენ ამოვიღეთ გუნიას თხზულებიდან (იხ. „დრამები და კომედიები" 1893 წ., გვ. 84). მთლიანად დაბეჭდილია „საქართველოს კალენდარში" (1892 წ., გვ. 346). აქვეა მოთავსებული შიოს სხვა სასიმღერო ლექსებიც: მაგ., „ნეტა რას ნაღელობ, ვაჟკაცო" და სხვ.

შიომ ძალიან ადრე დაიწყო ლექსების წერა და, როგორც ნიჭიერმა მწერალმა, ადრევეც მიიქცია ყურადღება. მისი პირველი ლექსი 1885 წელს დაიბეჭდა ივანე მაჩაბლის „დროებაში“*, შემდეგ იგი თანამშრომლობდა „ივერიაში“, „თეატრში“, „საქართველოს კალენდარში“, სადაც თავის საგმირო ლექსებთან ერთად, ათავსებდა ხალხში შეკრებილ შაირულ საგანძურებსაც. ასეთ ლექსებს შიო აწერდა თავის მეორე ფსევდონიმს: ზ ა ყ ე ლ ი**.

ახალგაზრდა პოეტებში
კარგი ენით სწერს ზაყელი,
მაგრამ ნამეტანს მ ღ ვ ი მ ე ლ ო ბ ს,
ვ ე რ ა ა კ ა რ გ ი ს ა ხ ე ლ ი“

(„მწყემსი“, 1892 წ., № 1).

შიოს სახელი ხელად გახმაურდა მეგობართა წრეში. შიომ მაშინ უფრო გვითქვა სახელი, როცა მუშა პოეტის—ი. დავითაშვილის გარდაცვალების გამო, გორელ ხელოსანთა სახელით ილიას „ივერიას“ ლექსი გაუგზავნა. ილია ჭავჭავაძემ იოსებ დავითაშვილის პანაშვიდზე თქმულ სიტყვაში შიოს ეს სიმბოლიური ლექსი მოიყვანა ეპიგრაფად:

დაზგაზე რანდით ლამობდი
მრუდე ხის გასწორებასა***.

მაგრამ ადგილობრივი გაზეთებიდან, ახალგაზრდა პოეტზე (მაშინ შიო 20 წლის ჭაბუკი იყო) პირველი გულთბილი სიტყვა ჟურნ. „თეატრმა“ მიუძღვნა: ფოსტის განყოფილებაში ეკითხულობთ:

„გ ო რ შ ი. ბ-ნს ზაყელს, თქვენი ლექსები მივიღეთ. იმედი გვაქვს კელავაც არ დაგვივიწყებთ. თხოვნა თქვენი აღსრულებული იქნება, მხოლოდ პირველ იანვრამდე. ერთი მეგობრული რჩევაც. თქვენ, ჩვენის აზრით, უფრო გემარჯვებათ მოკლე ლექსების წერა, მაგაში იქნება თქვენც დაგვეთანხმოთ და ამიტომ ძმურად

---

* იხ. „დროება“, 1885 წ., № 133.

** შიოს ფსევდონიმები ასეთი თანრიგით მიდის: ზაყელი, მღვიმელი, თანამგრძნობელი, მერცხალა, პელაგიაშვილი (შიოს დედას პელაგია ერქვა), ჭაღარა (ამ ფსევდონიმით თ. კაკვაძეც წერდა), იოლა, ძველი და ზეზვა (?). შიოს ნამდვილი გვარი ჭუჩუკაშვილია. „მღვიმელი“ ბელეტრისტმა ნიკო ლომოურმა შეარქვა: „ის ბერიც შენსავით წყნარი იყოო“. შემდეგში სამღვდელოება პოეტს უკიჟინებდა ფსევდონიმად წმინდანის სახელი რად ამოირჩიეო.

*** იხ. „ივერია“. 1887 წ., № 58; შდრ ა. ხახანაშვილის წერილი, ჟურნ. „მოამბე“, 1905 წ., № 8.; შიოს ეს ლექსი „მუშათა ხელთნაწერ ჟურნალებს“ ეპიგრაფად მიუძღოდა.

გთხოვთ და მეგობრულად გირჩევთ, ჯერჯერობით თავი დაანებეთ დიდი ლექსების წერას... გზას ნუ აუხვევთ თქვენს მოკლეს მარტივს და გრძნობით სავსე აზროვან ლექსებს (ხაზი „თეატრისაა“. ი. გ.). გვერწმუნეთ, რომ ცუდს არაფერს გირჩევთ“. (იხ. „თეატრი“; 1886 წ., № 34).

აი, ასეთი ხოტბით დააჯილდოვა ჟურნალ „თეატრის“ რედაქციამ ახალგაზრდა შიო, რომელიც თავის „მოკლე, მარტივ და გრძნობით სავსე აზროვან ლექსებით“ გორიდან ესიტყვებოდა ეკატერინე გუნიას ჟურნალს.

ეს „სიმარტივე და მგრძნობელობა“ ნათლად გამოკრთის შიოს საბრძოლო ლექსებში...

ჩვენი პოეტის ყოველი ლექსი გულიდან. ამოდის. „სამშობლო გულთან, გულით სამშობლოსაკენ“ — ამბობენ ესპანელები. შიოს ლექსები ამ მგზნებარე და კეთილშობილური გრძნობით არის გამთბარი. იგი მკითხველს სიმხნევეს და გულადობას უნერგავს.

მისი ლექსი მტკიცეა, ენა — დახვეწილი, რითმა — მოდუდუნე. მან ხალხური ლექსების უბრალოება აიყვანა უმაღლეს კვერნაქზე და გზა მისცა სანავარდოდ.

შიო დიდი გზნების და ტემპერამენტის ოსტატია, შეურიგებელი მებრძოლი, თავისი ქვეყნის ერთგული შვილი, სამშობლოს სიყვარულით ანთებული ჯაბუკი.

ასეთია შიო მღვიმელის აბჯარგადაცმული მოქალაქეობრივი ლექსები მოზრდილთათვის.

1935 წ.

გუგუნავას „თამარიანი“

ჩვენში არსებობდა აზრი, თითქოს საქართველოში დასავლეთელი მწერლის ნაწარმოები აღმოსავლეთელს კარგად არ ესმოდა.

„თამარიანის“ პოპულარობა ამ აზრს აბათილებს.

„თამარიანს“ ყოველი კუთხის ქართველი თანაბარი ხალისით ეტანება.

ზოგიერთს რამდენჯერმე აქვს გადაკითხული.

სვიმონ გუგუნავას პოემა,—მიუხედავად იმისა, რომ მასში მრავალი პროვინციალიზმია გაბნეული, — „ვეფხის-ტყაოსანივით“ გადადიოდა ხელიდან ხელში და ზოგიერთი მკითხველისთვის დღესაც „ნატვრის თვალს“ წარმოადგენს.

მე მინახავს კახელი გლეხი, რომელიც ბუკინისტებში „თამარიანს“ ეძებდა... მახსოვს მისი ნაღვლიანი სახე, როცა უთხრეს, აღარა გვაქვსო.

ეს უეჭველად ავტორის ღირსებაა.

მაგრამ არ იქნება მართალი, თუ ამ ღირსებას მხოლოდ გუგუნავას მივაკუთვნებთ. ხომ არსებობს ბედნიერი თემები! ერთი ასეთი ბედნიერი თემა იყო, ერთ დროს მეტად გავრცელებული გრ. რჩეულიშვილის ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“.

ალბათ, ამ გახმიანების ბრალია, რომ ეს რომანი პიესადაც გადააკეთეს (კ. მესხმა) და პოემადაც (რ. ერისთავმა, ს. გუგუნავამ).

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ს. გუგუნავას მიერ გალექსილმა „თამარიანმა“ თავისი პოპულარობით დაჩრდილა არამც თუ გრ. რჩეულიშვილის რომანი, არამედ კ. მესხის დრამაც და რ. ერისთავის პოემაც.

„თამარიანი“ დაწერილია მეტად სათუთი შტრიხებით, გრძნობიერი სტრიქონები ერთიმეორეს ეჯიბრებიან და მკითხველის სულის სიღრმეში ფესვებს ღრმად იკიდებს.

ს. გუგუნავას პოემა არ არის დატვირთული მძიმე გამოთქმებით და საგანგებოდ გამოძებნილი სიტყვებით. სვიმონ გუგუნავა უბრა-

ლოდ, სიტყვის შეულამაზებლად და, რაც უმთავრესია, სიუჟეტის თანმიმდევრობითი განვითარებით, მოგვითხრობს მოქმედ პირთა თაეგადასავალს, მათ სულიერ თვისებას და გულწრფელი სიყვარულის დაუბერებელ გრძნობას.

გუგუნავას „თამარიანი“ ისე, როგორც გრ. რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი“, გვიხატავს XIII საუკუნეს, რუსუდანისა და ლაშა გიორგის ეპოქას. რჩეულიშვილის რომანში მოქმედ პირთა სახელების გარდა, ისტორიული სინამდვილე ნაკლებადაა დაცული.

ისტორიიდან ვიცით, რომ თამარ მეფეს ქალ-ვაჟი დარჩა! ლაშა გიორგი და რუსუდანი. ლაშა გიორგის დიდხანს არ უცოცხლია. ლაშას მემკვიდრე არა ჰყავდა (კანონიერი ცოლი არ ჰყოლია), მას უყვარდა ერთი კახელი გლეხის ქალი, რომლისაგანაც შეეძინა ვაჟი, სახელად დავითი. სასახლის დიდებულებს მეფური ამპარტავნობა ნებას არ აძლევდათ. რომ ეს ვაჟი ელიარებინათ საქართველოს მემკვიდრედ. რუსუდანი კი თავისი ვაჟის გამეფებას ცდილობდა.

ამ ნიადაგზე რუსუდანს საზარელი წადილი აღეძრა გულში: მოინდომა თავისი ძმისწულის დაღუპვა. რუსუდანი ჯაბუკ დავითს გზავნის სულთანთან (ამ სულთანს რუსუდანის ქალი თამარი ჰყავდა ცოლად) და თავის განზრახვას შეატყობინებს. აი, აქედან იწყება ამ ამბის ინტრიგა: დავითის ზღვაში გადაგდება, ხაროში ჩაგდება და სხვ. აქაც იგივე პერსონაჟები მოქმედებენ და იგივე მელოდრამატული სცენებია, რაც „თამარიანშია“ აღწერილი, ოღონდ, რასაკვირველია, თავისებურად გადაკეთებული.

ეს „საოცარი დრამა“, სხვათა შორის, იაკობ გოგებაშვილმაც ამოიღო „ქართლის ცხოვრებიდან“ და ყრმათათვის საკითხავ წიგნად გააკეთა (იხ. მისი „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“). იაკობ გოგებაშვილი თავის წიგნს ასეთ შენიშვნას უკეთებს: „საქართველოს ისტორია წარმოადგენს ისეთს ხანგრძლივსა და რთულ დრაჳას, რომელსაც ასი შექსპირიც ვერ ამოლევსო“, (იქვე).

გრიგოლ რჩეულიშვილის მიერ ისტორიული სინამდვილის დარღვევა თითქმის მთლიანად განმეორებულია ს. გუგუნავას „თამარიანშიც“. მაგრამ ჩვენს პოეტს თავის პოემაში აქვს ერთი ადგილი, რომლის გამოც იგი გ. რჩეულიშვილსა, კ. მესხსა და რ. ერისთავზე უფრო დაკვირვებული ავტორის შთაბეჭდილებას სტოვებს. მე მოგახსენებთ გუგუნავას მიერ რეალების მხრით შეტი ისტორიული სინამდვილის დაცვის შესახებ. მაგ., რჩეულიშვილი თავის რომანში თოფს რამდენჯერმე იხსენიებს: „თ ო ფ ი ს სროლაში არა-

ვის არა უპირს-რა", „მომიტანე ჩემი გრძელი თოფი", „თოფის კონდახი", „გატენილი თოფი", „გავარდა ხუთი-ექვსი თოფი" და სხვ.* კ. მესხიც იმეორებს: „შენისთანა მარჯვე თოფის მსროლელი"**; რაფ. ერისთავიც არ ჩაჰფიქრებია ამ გარემოებას:

„განგებ შაჰხედა, ჰაერში ნავარდობს რაღაც ფრინველი,
ეს რა ბაბია—წარმოსთქვა—მეტად არა ვარ მხილველი,
არიქა, მაგას თოფები—ვინც გაიმარჯვებს პირველი,
მისი ვიქნები მოვალე და კარგი ჯილდოს მწირველი" ***

სვ. გუგუნავას კი არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ მის პოემაში ასახულ დროს თოფი ჯერ გამოგონილი არ იყო. ამიტომ მისი გმირები მშვილდ-ისრით ნადირობენ:

„მსწრაფლ მშვილდები მოიმზადეს, გაამაგრეს საბელ-ტარნი,
ბევრი იყვნენ ისეთნი მხლებნი და ქებულნი მოისარნი". ****

ქართველი მოსახლეობა სახელ „შალვას" თაყვანით ბავშვებს „თამარიანის" სიყვარულით არქმევდნენ.

რა მიმზიდველია! რა უბრალოდაა ნათქვამი! ვის არ ახსოვს:

„შალვავ, ჩემო სიხარულო, სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
ჩემი თავის სანუგეშოდ ნაშობო და გამოზრდილო"...

ეს სტრიქონები ბავშვობიდან შერჩა ჩვენს მეხსიერებას, მაგრამ აი, როცა ვკითხულობ და ვაკვირდები სვიმონ გუგუნაყას „თამარიანს", ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩემს ბავშვობას ალამაზებდა, ლექსიკური თვალსაზრისით თითქოს სუსტდება.

მონტესკიო აღნიშნავს: „ერთ ქალს ვიცნობ, კარგი სიარული იცის, მაგრამ საკმარისია დავაკვირდე, რომ ხელად კოჭლობა დაიწყოსო".

„თამარიანი", თანადროული მიდგომით, როცა ლექსის ტექნიკა უმაღლეს ხარისხამდე ავიდა, მხოლოდ რითმის აღნაგობის მხრივ, ჩვენზე მკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ რითმის ოთხეული აგებულია შოთას ყაიდაზე, მაგრამ პრიმიტიულად... მარცვლების განაწილებაც მონტესკიოს ნაცნობ ქალივით მოიკოჭლებს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ხალხურ მაირებს, სადაც ლექსის

---

* გრ. რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი", 1875 წ., გვ. 68, 69.

** კ. მესხის პიესა „თამარ ბატონიშვილი", 1878 წ., გვ. 24.

*** რ. ერისთავის პოემა „თამარიანი", 1867 წ., გვ. 50.

**** ს. გუგუნავას „თამარიანი" ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1928 წ., გვ. 53.

მარცვლები ხშირად მეტ-ნაკლებობას განიცდის, მაშინ ს. გუგუნავას პოემაში ეს ნაკლი თავისებურ სამკაულად მოგვეჩვენება.

რატომ არ გავრცელდა რ. ერისთავის „თამარიანი?“ იმიტომ, რომ იგი მწიგნობრული ენითაა დაწერილი.

რატომ მივიდა ხალხის გულამდე ს. გუგუნავას „თამარიანი“? იმიტომ, რომ ავტორი უშუალოდ და ბუნებრივად შლის პოემის შინაარსს და „ლამაზი რითმების“ ძიების მოლოდინში სიუჟეტს აზრს არ უკარგავს. მე, როგორც პოეტი, ვისუოვებდი კი, რომ გუგუნავას პოემაში ორივე მხარე ერთად ყოფილიყო შერწყმული— აზრი და ტექნიკა.

ს. გუგუნავას პოემა ჩემზე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს იგი ერთი ამოსუნთქვით იყოს დაწერილი. ავტორმა ოსტატურად შეჰკონა სასიყვარულო ამბავი და მდაბიო ხალხს წიგნის წაკითხვის სურვილი გაუღვიძა. ნიკო ავალიშვილის ჟურნალი „მნათობი“ (1869 წელი, № 9, გვ. 51) ერთ ცნობილ ლექსზე წერდა: „ეს ნაწარმოები ჯერ ყველას პირში არ გავლილა, ჯერ არ დასდებია ნამდვილი ხალხის ბეჭედი და ხალხის პოეზიით არ მოკალულა“.

„თამარიანმა“ დიდიხანია გამოსცადა მკითხველის სიყვარული და ხალხის დარჯაში გამოიბრძმედა.

ეს არის გუგუნავას ნიჭის დიდი დამსახურება!

გუგუნავას პოემაში დაცულია ფოლკლორის თავისებურებანი. „თამარიანი“ ხალხური შაირწყობილების გულიდან ამოტყორცნილმა პოეტმა დასწერა და ხალხმაც ეს დაუჭკნობელი ნობათი „ერთ უჩინარ და უსწავლელ“ ავტორს ორივე ხელით ჩამოართვა.

1928 წ.

დიმიტრი ერისთავი

(1862—1924)

დიმიტრი ერისთავის სახელი ლიტერატურულ ისტორიას უმთავრესად კრიტიკამ შემოუნახა, და თუ დღეს ვიგონებთ ამ დავიწყებულ ბელეტრისტს, იმიტომაც, რომ ალექსანდრე წულუკიძემ დიმიტრი ერისთავის შემოქმედება თავისი კრიტიკული წერილის ობიექტად გამოიყენა.

ამას წინათ გამოვიდა ალექსანდრე წულუკიძის ნაწარმოებთა სრული კრებული და წარმოიდგინეთ შენიშვნებში, „დიმიტრი ერისთავი" მოხსენებულია „დავით ერისთავად", ალბათ, იმიტომ, რომ ალექსანდრე წულუკიძე თავის სტატიაში ბელეტრისტის სრულ სახელს არ ახსენებს და კმაყოფილდება სახელის მხოლოდ ინიციალით.

საჭიროდ მიმაჩნია გარკვეულობა შევიტანო ამ მწერლის ვინაობაში და ბელეტრისტის მოკლე ბიოგრაფია მივაწოდო დაინტერესებულ მკითხველს.

დიმიტრი ერისთავი ეკუთვნოდა 90-იანი წლების იმ ქართველ მწერლებს, რომელთა მონაწილეობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათს საზოგადოებრივ პრაქტიკულ მოღვაწეობასთან. დიმ. ერისთავს, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ასულდგმულებდა ერთი ძირითადი იდეა: მშობლიური მწერლობის აყვავება და მშრომელთა კეთილდღეობა.

დიმიტრი ერისთავი (შინაურობაში „ტიტიკო") დაიბადა სოფ. გორა-ბერეჟოულში (გურია) 1862 წ., მისი მამა კონსტანტინე ვახტანგის-ძე იყო მომრიგებელი შუამავალი, ხოლო მწერლის პაპა ვახტანგ ერისთავი ცნობილი დიპლომატი იმერეთის მეფის სოლომონის კარზე. დიმ. ერისთავის დედა (ივლიტა ნაკაშიძე) იშვიათი სილამაზის ქალი ყოფილა, აღზრდილი ძველ ქართულ წიგნებზე.

დიმ. ერისთავმა საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. იგი მაშინვე გაემგზავრა თავის საყვარელ გურიაში და სიკვდილამდე არ მოშორებია მას. დიმიტრი ერისთავი, როგორც ექიმი დიდი სიყვარულით სარგებლობდა გურიის მშრომელ მოსახლეობაში.

გურიას მრავალი ბელეტრისტი ჰყავს: ეგ. ნინოშვილი, ჰოლა ლომთათიძე, ლალიონი, ნინო ნაკაშიძე, იასონ ნიკოლაიშვილი, შ. შარაშიძე, იასე რაქველი, პ. ირეთელი, პაველ ხიდისთაველი, ს. რემონიძე, პ. ჩხიკვაძე, ი. ლისაშვილი, და პარმენ ლორია. დიმიტრი ერისთავსაც წიბო გურული აქვს, თავის თანამოკალმეთაშორის, დ. ერისთავი გამოირჩევა მოთხრობებში ახალი პერსონაჟების შეყვანით... იგიც ჩამოთვლილ მწერლების მსგავსად, მძაფრად და მწვავედ აშუქებს სოციალური უკუღმართობის ამბებს. მოთხრობა „უბრალო ამბავში“ სასტიკად არის გაკრიტიკებული იმდროინდელ გიმნაზიებში გამეფებული „კლასიკური განათლების“ ნაკლი; „ორ სურათში“ აგვიწერს ქართველი სტუდენტების უწვესრიგო ყოფაცხოვრებას რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში: სტუდენტის ბინაზე მოწვეულია კრება ფრიად მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხებზე: „როგორ გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა ხალხისათვის“... მაგრამ კარგად დაწყებული სერიოზული საქმე ლანძღვა-გინებით და ჩხუბით თავდება, ხოლო ღვინო და სადღეგრძელოები შეარიგებს მოჩხუბართ.

მოთხრობა „ვისი ბრალია“, რომელიც, სხვათა შორის, გაარჩია ალ. წულუკიძემ (მისი „თხზულებანი“, 1943 წ., გვ. 11, 14, 21, 72), რეალისტურად გვისურათებს ქართველი აზნაურობის ეკონომიურ გაღატაკებასა და ზნეობრივ დაცემას. ძალღონით აღსავსე, მაგრამ ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი აზნაურები (ნესტორ უქმიაშვილი და სხვ.) უმიზნოდ დაფარფაშობენ. ავტორს მოქეიფე აზნაურებისა. გაიძვერა სოფლის მწერლუკების და მეუახშე მედუქნის პარალელურად გამოჰყავს გამრჯელი გლეხის დათიკა გორდელაძის ოჯახი. დიმიტრი ერისთავი დიდი სიყვარულით აგვიწერს ამ გულფიცხ, ბრგე ვაჟკაცს და მის პატიოსან მშრომელ მეუღლეს; დათიკას მიერ მისი დამღუპველის მოკვლა ავტორს აღწერილი აქვს ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით. მოთხრობა „ვისი ბრალია“? (და არა „ვინ არის დამნაშავე“—ე. გ.). პირველად დაიბეჭდა 1895 წ. „მოამბეში“ (ცალკე წიგნად გამოვიდა 1911 წ.). დიმ. ერისთავს „ვისი ბრალიას“ გარდა დაბეჭდილი აქვს შემდეგი წიგნები: „ნაქვეთები“ (მოთხრობათა კრებული, ქუთაისი, 1891 წ.), „ნაწყვეტი დაუსრუ-

ლებელი რომანისა" (1912 წ.), მისი მოთხრობები იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის „იერიაში" (1892, 1895, 1896 წ.წ.). მას დაბეჭდილი აქვს საგულისხმო მოთხრობა „დამჭკნარი ყვავილი" („იერია", 1892 წ., № 61). აგრეთვე პოპულარული ნაშრომი „ხოლერა და მისი თავიდან ასაცდენი დარიგებანი" (1893 წ.).

დიმ. ერისთავი ახალგაზრდობაში ლექსებსაც წერდა, მის სასიმღერო-სატრფიალო ლექსებს მთელი გურია მღეროდა. უთარგმნია ლერმონტოვის „მწირი", ჰქონია დრამები, კომედიები. ყველა ეს ხელნაწერი დაკარგულა 1918 წელს ოზურგეთში (ახლანდელი მახარაძე) თურქების შემოსევის დროს.

დიმ. ერისთავის მოთხრობები, ავტორის მიერ საკუთარი ხელით გადაწერილი, 1927 წელს სახელგამისათვის გადაუცია გამოსაცემად მის ვაჟს—სამედიცინო ინსტიტუტის ლექტორს ვახტანგ ერისთავს, რომელიც ჯერ კიდევ არ დაბეჭდილა...

1924 წელს ქალ. ოზურგეთში არჩეულ იქნა საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც უნდა მოეწყო დ. ერისთავის 40 წლის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის იუბილე, მაგრამ მწერალს სიკვდილმა რამდენიმე დღით ადრე მოუსწრო... იგი გარდაიცვალა 1924 წელს, 17 დეკემბერს. დასაფლავებულია ოზურგეთის საავადმყოფოს ეზოში.

ასეთია ამ უჩინარი მწერლის ცხოვრების გზა.

განსვენებულმა 40 წლის განმავლობაში თავისი ნაწერებით, თუ პრაქტიკული მოღვაწეობით უანგაროდ ემსახურა თავის საყვარელ სამშობლოს. იგი უშიშრად და მოურიდებლად ებრძოდა ძველ წესწყობილებას, მას ჩვენი ქვეყნის განთიადის ხილვა საფლავში დარდად არ ჩაჰყოლია. იგი მოესწრო სამშობლოს თავისუფლებას.

ერთხელ, როცა „საიათნოვა" გამოვიკვლიე (ეს იყო ამ რამდენიმე ათეული წლის წინად) გაზ. „კოლხიდის" ფურცლებზე კონსტანტინე გამსახურდიამ „დავიწყებულთა პირისუფალი" მიწოდა... ო, როგორ მინდა ამ პატარა, კუდბაწარა წერილით „ნავსი გავტეხო" და მოვაგონო რომელიმე ახალგაზრდა ლიტერატორს, იკისროს ვრცელი მონოგრაფიის დაწერა ამ მართლაც დავიწყებული ადამიანის შესახებ და ამით ქართული ლიტერატულის ისტორიაში შესაფერი ადგილი მიაკუთვნოს.

დიმიტრი ერისთავი ამის ღირსია!

1945 წ.

სოლო გოშაძე

(1880—1908)

სოლო გოშაძე ახალგაზრდა პოეტია.

სოლო გოშაძე, როგორც ირ‌ოდიონ ევდოშვილის სკოლის შინ-დევარი, ერთი იმ მძლავრ პოეტთაგანია, რომელნიც „ქარიშხალის მოციქულებად“ იყვნენ ცნობილნი.

ქარიშხალო, მეხი სტყორცნე,
ნაპერწკალი დააკვესე.
იბობოქრე და სიბრაზით
შხამ-ნაღველში ეშვი ლესე;

მაინც გველის განთიადი,
მით ხალისობს ჩვენი მაჯა.
უნაყოფოდ არ ჩაივლის
ამდენი ხნის შრომა-გარჯა.

საამქვეყნო სიამაყეს
მსურს მოვესწრა სხვებთან იმ დროს,
მხოლოდ ეშინობ, რომ სიკვდილმა
მოლოდინში წინ არ მისწროს.

(სოლო გოშაძე)

პოეტს გაუმართლდა „შიში“ და წინათგრძნობა, იგი „სხვებთან ერთად“ ვერ მოესწრო „განთიადს“ და მის იმედიან ძახილს „სიკვდილმა წინ უსწრო“.

სოლო გოშაძის ლექსი („მოხუცი გმირი“) პირველად „კვალში“* მაშინ დაიბეჭდა, როცა იგი ჩვიდმეტი წლისა არც კი იყო,* მისი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა სულ რაღაც ორიოდე წლით განისაზღვრება, სახელდობრ, როცა საქართველოს პირველი რევოლუციის ქარიშხალი მოედო.

* იხ. „კვალი“, 1897 წ. № 47, გვ. 839.

მისი ლექსები განსაკუთრებით ამ პერიოდში იბეჭდებოდნენ— 1905, 1906, 1907 წლებში.

ეს ლექსები,—თუ მართლა ოდესმე გედს უმღერია სიკვდილის წინ,—უსათუოდ „გედის სიმღერად“ უნდა ჩაითვალოს:

იქნებ ბედმა პირველ ხანში
არ დაგვბოგოს დასამხობლად,
თუ არ გყავდე გვერდს ცოცხალი,
თავს ნუ ჩასთვლი მაინც ობლად.

იქ ვიქნები ისევ სულით
არ შევწყვეტავ სიმთა ჟღერას,
მწუხარე ხმებს შევუერთებ
აქ ცოცხლების გულის ძგერას...

და ეს ხანმოკლე დრო სოლო გოშაძემ დაასრულა თავისი ხანმოკლე სიცოცხლით: გარდაიცვალა 28 წლის ჭაბუკი და დაგვიტოვა 28 ლექსი, რომელიც საესეა გულწრფელობით, ახალგაზრდული აღფრთოვანებით და თავისი დროის დამახასიათებელი მტკივნეული საკითხებით.

*

მოქალაქეობრივ მოტივებზე მომღერალ ძველ პოეტთა შორის, ჩემი ბალღობის პოეტურ ფონზე სამი პოეტი ანათებდა: ირ. ევდოშვილი, ბ. ახოსპირელი, სოლო გოშაძე.

ეს უკანასკნელი უფრო მოკრძალებული ჩანდა.

შეიძლება ეს აიხსნას იმ გარემოებით, რომ იროდიონ ევდოშვილის გახმიანებამ და მისმა ერთბაშად მოპოვებულმა ავტორიტეტმა დაჩრდილა სხვა მისი რანგის პოეტები, როგორც ერთ დროს აკაკის პოპულარობამ ფრთა არ გააშლევინა: გრ. აბაშიძეს, ცახელს და დომენტი თომაშვილს.

სოლო გოშაძეს არ შეეძლო მწერლობაში თავისი ამინდი მოეყვანა, მას ამისათვის არც ძალა შესწევდა და არც დრომ დააცალა; იგი ერთი პატიოსანი წევრთაგანი იყო მაშინდელ რევოლუციონურ პოეტთა ოჯახისა.

სოლო გოშაძე—თუ შეიძლება ასე ითქვას—რევოლუციონური ლირიკოსია. მის ლექსებს ახასიათებს გარკვეული თემატიკა. იგი, როგორც მწერალი, მომავლისკენ იყურება და ცოცხლობს გამარჯვების ნიშნეული იმედოვნებით:

ძლიერია ჩვენი დროშა,
გულს უღელვებს გრძნობით მრავალს,

ზედ სწერია: „ბრძოლა მჩაგვრელს
და დამხობა ქვეყნის მტარვალს“.

მტკიცე რწმენა, მტკიცე წინსვლა
მტრის სიმხნევეს გზას უბირავს;
ხღვის ტალღაა ჩვენი გული,
ვინც გზას უშერს—იმას სძირავს...

თვით ისეთი ლექსებიც კი, რომელიც სატრფოსადმი მიმართვით გვანიწონება—სავსეა მხატვრული სახეებით. მისი „სატრფო“ არ არის ჩვეულებრივი „ვნება აღძრული ასული“ ან „ქაჯის: უცნობ-ნაცნობი რამ გამოცანა“, მისი სატრფო მისივე თანამგზავრია, მეგობარი, თანამებრძოლი... ერთი სიტყვით, სოლო გოშაძის სატრფიალო ლექსებს სიყვარულის საბუთად საზოგადოებრივი მოტივი აქვს:

ლამაზო, ოდეს მაგ ტურფა მკერდში
გული სიბრაზით გითრთის, გიღელავს,
ზიზღით უცქერი,—ვინც კი დაჩაგრულთ
ცრემლს ანთხევინებს, მიწასთან სთელავს;
როცა შენი ხმა გულ-დაწყვეტილებს
შვების იმედით ატკბობს, ახარებს
და არე-მარეც თანხმობის ნიშნად
აყვავებული შემოგხარხარებს,—
ამდროს მეც ჭეტრფი, თაყვანს ვცემ, ტურფავ,
მაგ სახეს ნახსა, სხივ-მომფინარეს,
მაშინ მიყვარხარ მე წრფელის გულით
და ჩამოგყვები თუ გინდ სამარეს.

ირ. ევდოშვილის სკოლამ რევოლუციის ხანაში ერთგვარი გავლენა მოახდინა ახლად-დამწყებ პოეტებზე. სოლო გოშაძე, მართალია ჰგავდა თემატიკით იროდიონს, მაგრამ საკუთარი ხმით მღეროდა. მისი სტრიქონები, „ნებსით თუ უნებლიეთ“, ხშირად სხვის ლექსებშიც გამოკრთოდა. საჭიროა ითქვას, რომ სოლო გოშაძე. იმ დროის მიხედვით ერთი თვალსაჩინო პოეტური ფიგურაა, თემის მხრივ თავისთავადი და ფორმით დამოუკიდებელი ვოკანი. სოლო გოშაძის ლექსებში გამოკრთის თავისებური პოეტური ხედვა.

მას არა აქვს ცალკეული სტრიქონები. მას აქვს მთელი სტროფები. მის ლექსებს არ ემჩნევა ფუყე, უშინაარსო, დაპუდრილი სიტყვები. მისი ფანტაზია მდიდარია და ბუნების საგანთა შედარებება, პოეტური აზრის გამოთქმისათვის, მეტად მოხერხებულად და ძალდაუტანებლივ აქვს ჩამოსხმული.

პოეტს უყვარს ალეგორიები:

მთაო, სიმაღლით ნაქებო,
ამაყათ მჩენო, ძლიერო,
რისხვის წინ თრთოდე, ხვიადო,
გაიძვერავ და ცბიერო!

ან კიდევ:

გველ-ეშაპი დაჭრილია.
ისარს გული გაუკაწრავს,
მოთარეშე დღევანდლამდის,
გმირის მაჯას გაუბაწრავს:

ნიავ-ღვარი დასამარხად
აჩქარებით უთხრის ხაროს,
ქარი ღმუის და შხად არის
ცოცხლად მიწა მიაყაროს.

ფორმის მხრივ ჩისი ლექსები შესანიშნავადაა გამართული, რითმა—დახვეწილია. ენა—მარტივი. იმ ხანის პოეტებში (როცა მიღებული იყო აზრის გულისთვის რითმის შეწირვა) ეს უეჭველად აღსანიშნავი ფაქტია გოშაძის შემოქმედებაში.*

და პირდაპირ გული სტკივა ადამიანს, როცა ამისთანა მებრძოლი სულის მატარებელი და რევოლუციური ცეცხლით ანთებული პოეტი კრიტიკოსებისათვის ძალად გასაცნობი ხდება და „დავიწყებულთა და გამორჩენილთა“ რკალში იკეტება.

სოლო გოშაძეს პირადად არ ვიცნობდი... ისე კი, ქართულ სცენაზე მუშაობის დროს, ჩემი უფროსი ამხანაგის—ბეგლარასაგან გაგონილი მქონდა, რომ სოლო გოშაძე თელაველი იყო, მისი მამა რაჭიდან ყოფილა გადმოსული. სოლო იყო კეთილსინდისიერი სცენისმოყვარე (ერთი პირველი ინიციატორთაგანი პროვინციის სახალხო წარმოდგენებისა); ჰქონდა მხატვრობის ნიჭიც..

ჩისი გარდაცვალების გამო (გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა 1908 წ. 29 მ ა რ ტ ს) გაზ. „ამირანში“ ასეთი მოკლე ბიოგრაფია იყო მოთავსებული: „სოლო ესტატეს-ძე გოშაძე დაიბადა თელავში 3 აპრილს 1860 წელს, აქვე გაატარა თავისი სიყმაწვილე და ჯერ ისევ პატარას ეტყობოდა როგორის ღვთაებრივის ნიჭით იყო დაჯილ-

* სოლო გოშაძე თანამშრომლობდა აგრეთვე „ნაკადულში“, აქ დაბეჭდილი ლექსები უჩვეულად დააშვენებდა რომელიმე ქართულ სახელმძღვანელოს. აი ეს ლექსებიც: 1906 წ. (მოზრდ.) № VIII, IX; 1907 წ. (მოზრდ.) № XII; (მცირ. წლ.) № VII, XXIV; 1908 წ. (მოზრდ.) № 4; (მცირ. წლ.) № I.

საქ. ცენტრ-არქივში ინახება, ცენზორის მიერ დაგვრილი ს. გოშაძის ერთი პიესა: „კიდევ ბნელა!“ (1901 წელს დაწერილი).

დოებული. ცხოვრებაში გამოსვლისთანავე იწყო ჩვენი მწერლების შესწავლა. იმის უმთავრეს ყურადღებას ლექსები იპყრობდა. ამავე დროს დაიწყო სცენაზე გამოსვლა, შემდეგ მისი მეთაურობით სახალხო წარმოდგენები იმართებოდა ხოლმე, უფრო ხშირად საქველმოქმედო მიზნით ჰმართავდა წარმოდგენებს. როგორც საზოგადო საქმეების გულშემატკივარი, ის ორი წელიწადია ბიბლიოთეკის გამგეთ იყო არჩეული. ამის გარდა შარშან ქალაქის გამგეობაში ხმოსნადაც აირჩიეს". *

მეორე ცნობა პოეტის დაკრძალვას ეხება: „31 მარტს (1908 წ.) თელავის საზოგადოებამ შავმიწას მიაბარა ჯერ ისევ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე 28 წლის ყმაწვილი კაცი სოლო გოშაძე—ბნელობაში ცნობილი: „სოლ. გ—ძე". მისმა უდროოდ სიკვდილმა დიდი სინანული გამოიწვია აქაურ საზოგადოებას შორის. ბიბლიოთეკის წევრთ (სადაც ის მსახურობდა) საგანგებოთ მოწბდარ კრებების თანახმად, პანაშვიდი გადაიხადეს და გვირგვინი უძღვნეს. გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე: ქალაქის გამგეობამ (სადაც პოეტი ხმოსნად იყო არჩეული), ამხანაგებმა და ნათესავებმა, ეკლესიის გალავანში და სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს".

ეს არის და ეს! გაზეთებში ამ ორი ცნობის ბეტი სხვა არაფერი ყოფილა! აი, უკვე ოცი წელიწადი სრულდება პოეტის გარდაცვალებიდან და ეს სიჩუმე, ამ „სიცოცხლით დაუმტკბარ" პოეტზე დღევანდლამდე გრძელდება. იაკობ გოგებაშვილი ამბობს: „დავიწყება ღირსეულის სალიტერატურო ნაშრომისა, ნამდვილი სალიტერატურო მკვლელობაა და მიუტევებელ ცოდვას შეადგენს ჯერ მემკვიდრეებისათვის და მერე საზოგადოებისათვის". მე არა ვარ სოლო გოშაძის ნათესავი, არც ის ვიცი, დარჩა განსვენებულს ვინმე თუ არა?.. მე როგორც საზოგადოების ერთმა წევრმა, მოვალედ ჩავთვალე ჩემი თავი, შემეკრიბა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული მისი ლექსები და ცალკე წიგნად გამომეცა.

დღე, მოქალაქეობრივ ჰანგებზე ნომღერალმა პოეტუბმა იცოდნენ, რომ ამ ოცი წლის წინათ ალაზნის მხარეს ცხოვრობდა ერთი პატარა კაცი, რომელიც მედგრად უტევდა მაშინდელ არსებულ წესწყობილებას, გულწრფელად უმღეროდა ყველა სოციალურ უკუღმართობით დაჩაგრულ მოძმეს და „კერპთა დამხობას" მოუთმენლად ელოდა:

„ახ, რად არ ძალმიძს, უგუნურო, გაგანადგურო
და შენს ადგილზე ბალვის გული დავასადგურო!

1927 წ.

* გაზ. „ამირანი", 1908 წ., № 32.

„ᲓᲘᲦᲐ“ ᲓᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ

...ასე და ამრიგად, ნატო გაბუნია ჯერ კიდევ 14 წლის გოგონა იყო, როცა ლექსებით ესაუბრებოდა, გორის ციხეში დაპატიმრებულ ერისთავის დასს მსახიობს და პოეტს გიორგი დვანაძეს.

გიორგი დვანაძე 1873 წელს პირადი შურისძიების ნიადაგზე დააპატიმრეს. კაცის მოკვლა დააბრალეს. იგი ჯერ გორის ციხეში იჯდა, მერე თბილისის „გუბერნიის სატპატიმროში“; 1876 წელს გადაასახლეს კიდეც ციმბირში. გულჩამკვდარი პოეტი ამბობს:

„ვინღა იპოვის ჩემსა საფლავსა,
ვინ სცნობს ვიქნები სად დამარხული,
ვინ ჰამომძახებს საფლავში შკვდარსა—
განთავისუფლდა შენი მამული!“

დვანაძის პატიმრობის დროს გორის ციხის ზედამხედველის თანაშემწედ იყო ნატო გაბუნიას მამა—მერაბ გიორგის (ანუ იაგორის) ძე გაბუნია. ხოლო ზედამხედველად—როტმისტრი ნიკანორ ჩუქმასოვი.

გორის ციხე მოთავსებული ყოფილა მიკიტნის ნადუქნარში. გ. დვანაძე ასე აგვიწერს თავის პატიმრობას:

ახ, მაგონდება, სატპატიმროვ,
დრო იგი ტკბილი.
იყავ ტრახტირად, მეცა ვიყავ
მაშინ ყმაწვილი:
თვინიერ ღხინის სხვა ზრუნვანი
არ მქონდა თავში:
დროს ვატარებდი მხიარულად
ტოლ-ამხანაგში,
მამწყინდებოდა სხვაგან ღხინი,
შენ მოგმართავდი,
მიამებოდა, რა რომ თვალით
დაგინახავდი,
შემოვიდოდი, მოვითხოვდი
სხვა და სხვა სასმელს,

ამასთანავე ქართულ ჩონგურს
და თარს დასაკერებელს.

როგორც ეხედავთ, ვ. დვანაძისთვის ეს ადგილი ერთგვარი გასართობი და ლხინის მომგვრელი ყოფილა!

გ. დვანაძე, მერაბ გაბუნიას ოჯახშიც შინაური კაცად ითვლებოდა. „ხანდიხანაც მამაშენი ნუგეშს მაძლევს, გულს მიმაგრებს“— სწერს დვანაძე ნატო გაბუნიას დას—კესოს. დვანაძეს ხშირად გამოიძახებდნენ ხოლმე ციხიდან და იწვევდნენ ქეიფზე გაბუნიასთან ლექსების სათქმელად. ამ „თავისუფალ პატიმარს“ მ. გაბუნიას ქალები—ნატო და კესო—ლექსებით ებაასებოდნენ. გიორგი დვანაძე ერთ ლექსში ნატოს „კუდას“ უწოდებს:

ნატო! ჩემთვის არს დიდი საწუხი,
უნდა მოგიგო ლექსის პასუხი,
მსურდა სიჩუმე, არასა გწერდი,
მაგრამ ვიფიქრე, ითაკილებდი,
მივიღე ლექსი აპირბაჭია,
რაღაც უგრძნობლად დანაბღაჯია,
უახრ-ურიფმო და აბდაუბდა,
დაკოჭლებული, შენსავით კუდა,
ისევ შენ თოკჭებს მიუალერსე და სხვ.

ჩვენ გვინახავს გ. დვანაძის რამდენიმე ავტოგრაფი. აქ არის მეტად საინტერესო როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლექსები (პუშკინიდან, ალ. ტოლსტოიდან. ბერანჟედან და სხვ.). აქ არის პოემა „ყარაბაღელი ყაჩაღი ასლან ბეგი“ (დაიბეჭდა 1878 წელს), აქ არის აგრეთვე ერთი ლექსი—„დილა“, რომელიც ამ წერილის საგანს შეადგენს და რომელიც რატომღაც გრ. ორბელიანის ლექსების წიგნშია შეტანილი.

აი ეს ლექსიც:

დ ი ლ ა

ახ, დილაე! დილავ! კვლავ სანატრელო!
ჩემის გულისა დამატკბობელო!

გაქებ, გადიდებ, შენ, ჩემო დილავ,
ამ წყლულის გულით მადლობას გწირავ,

რომ შენ მიჩვენე აწ საყვარელი,
მწუხარეს გულის დამშატკბობელი,

რომლისა ხილვით აწ ჩემი გული
არს სიყვარულით აღტაცებული.

დილავ, კვალად გთხოვ, შენ იყო შემწე,
რომ ჩემს დაჩაგრულს გულს ნუგეში სცე,

როს გაბიღვიძოს მან ღრმა ძილითა,
გამოიხედოს კარში დილითა,

მაშინ შენ იმას შეატყობინე,
ეს ჩემი ტანჯვა გულს აგრძნობინე;

უთხარ, რომ მე ვარ იმისთვის მკვდარი,
ჩემთვის ნუგეში არსაით არი.

იქნება მაშინ მე შემიბრალოს,
ნუგეშიც არის შემომითვალოს,

ანუ კვლავ ვნახო მე მისი სახე,
სახე, რომელმაც დამიგო მახე,

მაშინ შენ, ჩემო, ლამაზო დილავ,
ამ ჩემს სიცოცხლეს შენ შემოგწირავ!

გ. დვანაძე

16 იანვარს, 1857 წ. ქ. თბილისს".

ამ ლექსს ხელნაწერში გ. დვანაძე ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ეს „დილა" არის დაბეჭდილი ცისკარში შეცდომით ივანე კერესელიძისაგან გ. ორბელიანის სახელზედ. გ. დვ."

ლექსი „დილა" ავტორის სიცოცხლეშივე მართლაც დაიბეჭდა „ცისკარში" (1860 წელს, № 8), ქვეშ მოწერილი აქვს: „თ. გ. ო.".

ჯერ კიდევ „საიათნოვაში" ეწერდით ამ ლექსის შესახებ: „ნიკო ბარათაშვილის ერთ ხელნაწერ კრებულში (იხ. № 2033, გვ. 32) მოთავსებულია ლექსი „დილა". ამ ლექსს ქვეშ მოწერილი აქვს გ. ორბელიანი". ორბელიანს წაუკითხავს ეს ლექსი, წაუშლია „თ. გ. ორბელიანი" და ფანქრით მიუწერია „ტყუილია!" (იხ. ჩემი „საიათნოვა", გვ. 46).

მაგრამ გრ. ორბელიანის რედაქტორებმა ეს ლექსი მაინც სადაოდ გახადეს!

გ. დვანაძის ხელმოწერით რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა „ცისკარში". ერთი მისი ლექსის—„ქალაქის ბულვარის"—გამო ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ეს პოეტიც სამგლოვიარო ჰანგზე მღერისო"...

„ბედის ვარსკვლავი" ამ დაწუხრებულ პოეტს სიცოცხლეშივე „ჟრიასხდებოდა". ამას მოწმობს მისი ათი წლის ტყვეობა, ამას მოწმობს ლექსად დაწერილი მისი ერცელი „თაეგადასავალი", ამას მოწმობს პოეტის ეს გულსაკლავი სიტყვები საკუთარი ლექსის ავტორობის დადგენისათვის:

ერთხელ დაეწერე ლექსი „დილას"
და მომეწონა...

შემდეგ:

უნდა გსმენოდეს, ეხლა „დილას"
როშა მღერობენ,
ის მე დავწერე, თუმც ტყვეილად
სხვანი სჩემობენ.
ჯიბეშიაც მაქვს დაწერილი
ამ „დილის" ლექსი,
აჰა, გიჩვენებ, როგორ არის
გულის საკვნესი...
(საქ. მუზ. ხელ. № 1120).

ასე და ამგვარად, ეს ლექსი „დილა", რომელსაც, ავტორის სიტყვით, „სხვები სჩემობდნენ" და ზოგიერთ რედაქტორსაც „სადაოდ" მიაჩნდა, უდაოდ გიორგი დეკანაძის კალამს ეკუთვნის!

დასარულს ორიოდე სიტყვა ამ ლექსის პოპულარობაზე:

გ. დეკანაძის ლექსმა ვის არ ააღებინა ხელში კალამი? ვინ არ ჰბაძავდა „დილას" და მის ჰანგს? ვისაც კი ოდნავ მოხვდებოდა ამურის ისარი, მაშინვე დაიწყებდა „ახ-ვახის" ძახილს და ლექსიც მზად იყო: ახ, მთვარევ, მთვარევ (გრ. რჩეულიშვილი), ახ, ღამევ, ღამევ (იოლჩი-ოღლანი), ახ, წვიმავ, წვიმავ (მისივე), ახ, წყაროვ, წყაროვ (ალ. აკოფაშვილი), ახ, მარალო, მარალო (გარსევან ყორღანიშვილი), ახ, სულო, სულო (დიმ. ბერიევი), ახ, თვალებო, თვალებო (გ. სკანდარნოვა), ახ, შაბათო, შაბათო (გ. შიხიაშვილი), ახ, ჩონგურო, ჩონგურო (ზ. ჰიპინაძე), ახ, მერცხალო, მერცხალო (იოს. ბაქრაძე), ახ, მზეო, მზეო; ახ, ძილო, ძილო; ახ, ვარდო, ვარდო; ახ, ქარო, ქარო; ახ, ქალო, ქალო და სხვა.

ეს კი სულ დეკანაძის ერთმა ლექსმა ჰქმნა! მაინც უნდა ითქვას, რომ ამ „ახ-ვახის" პოეზიიდან მხოლოდ რამდენიმე ლექსი შემორჩა სასიმღერო უბანს. დანარჩენი ლექსები ეპიგონობის მკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებს. განსაკუთრებით პოპულარობა მოიპოვა გიორგი დეკანაძის „დილამ" და გრიგოლ რჩეულიშვილის ლექსმა („ახ, მთვარევ, მთვარევ!").

ეს ორი ლექსი ფოლკლორის ოჯახის საკუთრებად გადაიქცა.

1940 წ.

მოგონებანი

მე და ქუჩიშვილი

პატარა მოგონება *

მე და ქუჩიშვილს ძველი კრიტიკოსები შუაზე გვყოფდნენ,—აბა რა გვაქვს გასაყოფი? ერთი ამბობდა: გ. ქუჩიშვილი მუშათა პოეტია. ქუჩაში აღზრდილი (!), გრიშაშვილი კი კოცნას ჰქადაგებს და „ოქროს ფეხებს" უმღერსო. ქუჩიშვილის ლექსი ბეჭავის სულის-კვეთების გამომსახველია, გრიშაშვილის „ოცნების კოცნა" კი მუშას პურს ვერ აშმევსო. და იყო კრიტიკოსების ერთი შეხლა და კამათი! მე და ქუჩიშვილი, ერთსაც ვუსმენდით, მეორესაც და განვაგრძობდით ჩვენს მიერ ერთხელ არჩეულ გზას. ორივეს ერთად აღებულს, ერთ საუკუნეზე მეტი გვიცხოვრია, და თუ რამე გვაქვს გასაყოფელი, ეს ხხოლოდ ჩვენი მოღვაწეობის თარიღებია. ჩვენ ეს ერთი საუკუნე შუაზე გაეყავით: ნახევარი მას ეკუთვნის, ნახევარი მე. აი, რა გვაერთებს მე და ქუჩიშვილს, როგორც პოეტებს.

ქუჩიშვილს ბალღობიდანვე ვიცნობ... მე და მისი ძმა, მწერალი დავით თურდოსპირელი, ერთად ვსწავლობდით თბილისის ქართულ გიმნაზიაში, ერთად ვიჯექით ერთ მერხზე. გიორგი დათიკოზე უფროსი იყო. მე იგი ხშირად შემხვედრია თავის ძმასთან, როცა რომელიმე წიგნის სათხოვრად დათიკოსთან მივსულვარ.

ჩვენ ერთმანეთს უფრო მჭიდროდ და მეგობრულად დავუახლოვდით პირველი რევოლუციის შემდეგ, რეაქციის სუსხიან წლებში. ზოგი მისი ამხანაგი არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა, ზოგმა კულტურულ დაწესებულებას შეაფარა თავი. ამ დროს განახლებუ-

---

* სიტყვა წარმოთქმული გ. ქუჩიშვილის საიუბილეო საღამოზე რუსთაველის სახელობის თეატრში 1946 წელს, 25 ნოემბერს.

იუბილარი, ავადმყოფობის გამო, არ დასწრებია საღამოს, იგი თავის ბინაზე ლოგინში მწოლარე ისმენდა ჩვენს სიტყვას რადიოს საშუალებით.

იბეჭდება ისე, როგორც მისი სიცოცხლის დროს ითქვა (გიორგი ქუჩიშვილი გარდაიცვალა 1947 წელს, 20 იანვარს).

ლი ქართული დრამა თანამშრომლებს აგროვებდა და ჩვენ, ორი-ვენი, ქართულ თეატრში შევედით: მე—მოკარნახედ და გიორგი—არტისტად. ეს იყო 1907-1908 წლებში, ჩვენი პოეტური კარიერის პირველ წლებში.

ვიდრე პოეტურ ასპარეზზე გამოვიდოდა, გიორგიმ მეტად რთული და გაჭირვების ერცელი გზა განვლო. „განა ვის აქვს თუ არ გლეხკაცს სატირელი, საოხრელი" — ეს ხალხური თქმა სწორედ გიორგიზეა ზედგამოკრილი. ახალგაზრდობაში იგი პესიმისტურად იყო განწყობილი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქუჩიშვილი მთლიანად გამოიცვალა: ჩვენი ცხოვრების წინსვლა ახარებდა და აამაყებდა. მალე ჩადგა იმ მომღერალთა ფერხულში, სადაც გულწრფელი სიმღერები გაისმოდა... ახლა რომ ვეკვირდები გიორგის ბიოგრაფიას, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ კარგ ოჯახს ბევრი რამ შესძლებია. მას გატაცებით უყვარდა ოჯახი და ოჯახიც შესაფერ პირობებს უქმნიდა საყვარელ პოეტს. მისი ორი შვილი — ციალა და ნოდარ ჩხეიძენი — მამის კვალს გაჰყვნენ: ციალა—ქართული და უცხო ენების სპეციალისტია, ჩვენი ლიტერატურის ღრმა მცოდნე, ხოლო ნოდარი—რუსთაველის სახელობის თეატრის ნიჭიერი მსახიობი. ჩვენს ძვირფას გიორგის, ლექსების გარდა, მადლობად ესეც ეყოფა!

გიორგი და მე არასოდეს არ ვყოფილვართ უმძრახად. მე და ქუჩიშვილს არასოდეს ზედმეტი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, მე ის ყოველთვის თავაზით შექცეოდა და მეც... თვალში რომ ჩამვარდნოდა, ხელს არ მოვისვამდი. ორივენი ხელოსნის ჯილაგიდანა ვართ გამოსულნი და პოეზიამ გვაკავშირებდა და გვაკავშირებს... მახსოვს, ჩემს იუბილეზე რა ომახიანად წარმოსთქვა ჩემდამი მოძღვნილი ექსპრომტი:

„სოსო! რა თოვლი მოსულა!
რა შუქთა სიჩახჩახეა!
ეს ფიფქთა თეთრი გვირგვინი
ცამ შენთვის ჩამოარხია!
სოსო! რა ყველას გულში ხარ!
რა ყვილგან შენი სახლია!
ტაშ-ატყორცნილი ტაღლანი
ვაჟკაცურ ვაშას გახლიან!"

ერთხელ კი იოხუნჯა ჩემს შესახებ: ოჯახში დამპატიჟა — „წამო, ჩემი წიგნის მალარიჩი გადავკრათო"; გიორგიმ თავის სათნო მეუღლეს ვასასის ღვინო მოსთხოვა, მე რძე მოვთხოვე.

— რძე, რა... ხბო ხარ?!— მეგობრულად მომახალა გიორგიმ. ეს მოსწრებული სიტყვები არა მწყენია, რადგან ყოველგვარი ოხუნ-

ჯობა ჩემს მიმართ, თუ ის უბოროტოდ არის ნათქვამი, ჩემში ჯანსაღ სიცილს იწვევს.

გიორგი, როგორც პოეტი, ქართული პოეზიის მოვარდნილი ჩანჩქერია. როგორც ადამიანი — უანგარო და ალალი პიროვნება. ამხანაგისათვის სულს არ დაიშურებს. მას მეტად მგრძნობელი და აზიზი გული აქვს: ამტანი და გამტანი. არც სატრფიალო ლირიკაა მისთვის უცხო. ერთხელ განსვენებულმა მომღერალმა სანდრო კავსაძემ ერთი პატარა ლექსი ჩამაწერინა: ხალხურიაო! ძალიან მომეწონა:

„კოხტა გოგო, წყალზე მიდის
კოხტა თიხის სურითა,
ბროწეული იშლება,
იმის სიმწითურითა,
მკერდი ისე უღელავს
ორი ბუდეშურითა,
რომ ზღვა დამშვიდებული
ღელვას იწყებს შურითა!“

და ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ეს ლექსი ქუჩიშვილის კრებულში ვნახე. აი, როგორ გადადის პოეტი ხალხში. ეს უეჭველად გ. ქუჩიშვილის ნიჭის ნაპერწკლიანობის მაჩვენებელია. აქ კი მართლაც მე და გიორგის გასაყოფელი არაფერი გვაქვს. მე ამ ლექსის ტრუბადური ხშირად ვყოფილვარ: „კოხტა გოგო წყალზე მიდის“...

როცა ომი ამოტყდა და ზარბაზნებმა იქუხეს (1941), ჩვენ. ზურგში დარჩენილი პოეტები, ერთად შევიკრიბენით და ლიტერატურული საღამოების გამართვა დავიწყეთ. ზურგი და ფრონტი ჩვენთვის არც აქ იყო გასაყოფელი.

ჩვენი ლიტერატურული ბრიგადა, რომელსაც მწერალი სიმონ წვერავა მეთაურობდა, გამოდიოდა სამობილიზაციო პუნქტებში, სამხედრო კომისარიატებში, ტრანსპორტზე, აგიტპუნქტებში, კოლმეურნეობებში, ჰოსპიტლებში, სკოლებში... აქ, ჩვენ ყველანი, მხატვრული სიტყვით ვიბრძოდით და ფრონტზე გაგზავნილებს, თუ შინ დარჩენილებს მტერზე გამარჯვების რწმენას ვუნერგავდით.

საქართველოს მწერალთა კავშირმა. მწერალთა აქტივის დახმარებით ასზე მეტი ასეთი ანტიფაშისტური საღამო ჩაატარა. ეს საღამოები იმართებოდა დილით, შუადღისას, საღამოთი, ხშირად ერთ დღეში სამი საღამო ჩაგვიტარებია.

ამ საღამოებზე, როგორც ყოველთვის, გაისმოდა გიორგი ქუჩიშვილის მშექარე და იმედიანი ხმა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ორიგინალური სახე, ტრიბუნაზე ხელამართული, მასებს რომ მოუწოდებდა ბრძოლისა და შრომისაკენ.

ერთ სასწავლებელში მე და გიორგი საპატიო პიონერებად აგვირჩიეს და ყელზე წითელი ყელსახვევები შემოგვაკრეს. ამ მოულოდნელმა სიხარულმა მე მადლობის თქმის უნარი წამართვა, ენა დამება, გიორგიმ კი ექსპრომტად შესანიშნავი ლექსი წარმოსთქვა. აი ეს ლექსიც, თუ გამახსენდა—

„უანგარო სიყვარულით
მომაგებეთ ტაშის ტალღა,
და მეც, ჩემო მალხაზებო,
მეც თქვენსაგით ვიქეც ბალღად.
მახარებდა თქვენი ლექსი
და სიმღერა თქვენგან თქმული,
ტან-ჭარჭიში, ცეკვა-რხევა,
ქივ ჭიეი და ჭრიამული.
საპატიო პიონერად
ამირჩიეთ ერთსულოვნად
და წითელი ყელსახვევიც
გამიკეთეთ ნიშნად, ხსოვნად.
და შეგფიცავთ, რომ გულმტკიცედ
შევინახავ ამ ყელსახვევს,
რომ არასდროს არ შევარცხვენ
პიონერის ლამაზ სახელს.
და სარდლობამ თუ მიბრძანა,
თუ მეც ომში დამიძახეს,
როგორც წითელარმიელი,
დროშად გავშლი თქვენს ყელსახვევს
და შაშხანით ვეკვეთები
ჩვენი საბღვრის გადმომლახველს“.

ასეთი გულწრფელი იყო და არის ჩვენი ხალხის საყვარელი მგოსანი ჭირშიაც და ლხინშიაც. და დღეს, როცა ერთბამად ვიშუშებთ მტრისაგან მოყენებულ ჭრილობებს, როცა სამშობლოს აყვავებას ასე გულხმიერად შევხარით, ამ დროს ჩვენი მწერლობის ერთი მოუსვენარი ქარიშხალი — პოეტი ქუჩიშვილი არ ესწრება თავის გამარჯვების ზეიმს, არ ესწრება. რომ ერთი მაგრად გადავკოცნო ჩემი ძველი და უწყინარი მეგობარი. მაგრამ მე იმედი მაქვს, ჩემი ოცნების კოცნა ცისარტყელად გაგრძელდება აქედან მის სახლამდე, რომ დაეკონოს მის ფართე შუბლს და მიეულოცოს ეს დიდი და შესანიშნავი დღე—დღე გიორგი ქუჩიშვილისა.

1946 წ.

აკაკი წერეთელი ჩემს საღამოზე

როცა აკაკის საიუბილეო კომიტეტის დავალებით, 1910 წელს მომიხდა პოეტის ნაწერების ორი წიგნის რედაქტორობა (ტ. III — პოემები, ტ. V—პიესები), გადავათვალიერე აკაკი წერეთლის თითქმის ყველა ავტოგრაფი, რომელიც კი დაცულია ჩვენს მუზეუმებსა და არქივებში.

ამ მუშაობის დროს წავაწყდი ერთ ფურცელს, სადაც აკაკის ხელით გადაწერილია ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, თვით აკაკი წერეთლის და ი. გრიშაშვილის ლექსები. ოთხივე ლექსი სასიყვარულო ხასიათისაა: „სიყვარულო, ძალსა შენსა“ (ალ. ჭავჭავაძე), „საყურე“ (ნ. ბარათაშვილი), „თვალადტანად“ (აკაკი) და ჩემი ლექსი „შენ ხარ ღვთაება“. (იხ. გაზ. „დროება“, 1909 წ., № 85; შდრ ჩემი I ტ. 1914 წ., გვ. 32).

რადგან აკაკის მიერ ამ ოთხი ლექსის გადაწერა ჩემს ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოსთანაა დაკავშირებული, ნებას ვაძლევ ჩემს თავს, აღნიშნულ ლექსებს პატარა კომენტარი გავუკეთო. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ აკაკი ჩემს მიერ გამართულ საღამოებში ხშირად იღებდა მონაწილეობას (საღამოთა პროგრამები ჩემთან ინახება), მაგრამ უფრო დამახსოვდა ორი საღამო: ერთი გაიმართა ქუთაისში 1912 წ. 11 მარტს და მეორე — თბილისში 1914 წ. 23 აპრილს. ჩემი მოგონებას ეს პატარა ფურცელი აკაკის ამ უკანასკნელ გამოსვლას ეხება.

ეს საღამო გავმართე ჭართულ (ამჟამად გრიბოედოვის სახ.) თეატრში 1914 წ. 23 აპრილს (ძვ. სტ.). აკაკი დაუზარებლად დამთანხმდა: „მოვალ და პატარა სიტყვასაც ვიტყვიო“... აქ დაწვრილებით აღარ მოვყვები ჩვენს შესიტყვებას, ჩვენს პოეტურ მასლაათს (დაე, ეს „ჩემს თავგადასავალში“ იქნეს აწერილი), ვიტყვი კი, რომ მხცოვანმა პოეტმა პირობა შეასრულა და სცენიდან მართლაც პატარა და სათუთი სიტყვა წარმოსთქვა საღამოს გამმართ-

ველზე. იგი შეებრძოლა სიყვარულის საკითხს, წაიკითხა ადრეულები „ვეფხისტყაოსნიდან“, შემდეგ გადავიდა ახალ პოეზიაზე და სანიმუშოდ, პარალელისათვის სამი ავტორის ლექსი მოიყვანა.

— „მე წაგიკითხავთ სამ ლექსს, —მიმართა აკაკიმ დამსწრე საზოგადოებას. —სადაც გამოხატულია ულამაზესი იდეალური სიყვარული“...

აკაკიმ პირველად წარმოსთქვა ალ. ჯაფარიძის ლექსი, მეორედ — ნ. ბარათაშვილის ლექსი, მესამედ — თავისი ლექსი; როცა ამ ლექსების წარმოთქმა მოათავა, აკაკიმ ჩემი ლექსი ახსენა:

— „ეხლა კი წაგითხავთ გრიშაშვილის ლექსს... ჩემი გვარის გაგონება და ტანში ჭრუანტელის დარბენა ერთი იყო. დაეუყურადე. შეეშალა. შედგა. კულისებიდან მივაწოდე დავიწყებული სტრიქონი. გაიღიმა — „გმადლობო“ და განაგრძო... ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: აკაკი ჩემს საღამოს დაესწრო! აკაკიმ ლექსი წარმოთქვა! აკაკის ჩემი ლექსი შეეშალა! მეტი რა უნდოდა ახალგაზრდა მგოსანს? (ღმერთმანი, ახალგაზრდა ვიყავი!) იმ საღამოს ერთი-ორად გავიზარდე, თითქოს სიმაღლეც მომემატა.

აკაკის სცენაზე გამოჩენა და ტაშის ტალღა ერთი იყო. მაგრამ, როცა ლექსებს ამბობდა, პარტერში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე, თითქოს ხალხი არა სუნთქავსო, ცდილობდა ყოველი მისი სიტყვა ხელში ჩაეგდო. ეს „ჩემი“ საღამოც „მისი“ იყო, პოეტის ტრიუმფად გადაიქცა. აი, რას წერდა ერთი რეცენზენტი (ხალხოსანი შიო დავითაშვილი) ამ საღამოს შესახებ. მოგვყავს ის ადგილი, რომელიც აკაკის გამოსვლას ეხება:

„В литературном отделении поэт Акаки Церетели продекламировал несколько стихотворений о любви, сопоставив их со стихами Гришашвили, которые выделялись своей простотой и изяществом“ („Кавказ“, 1914 г. № 93).

მახსოვს, ის ოთხი ლექსი აკაკიმ ზეპირად წარმოსთქვა. ალაგ-ალაგ ავიწყდებოდა. კულისებიდან რეჟისორი კოწო ანდრონიკაშვილი აწვდიდა სიტყვებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ლექსების გადაწერაზე ჩვენს პოეტს მაინც უმუშავნია და ეს შავი (სამუშაო) მასალა თავის ქაღალდებში შემოუნახავს კიდეც (ამჟამად დაცულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში № 1494—H, ფურც. 9, ავტოგრაფი 28. ამ ავტოგრაფის [ოთხი ლექსის] ფოტოპირი დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ „აკაკის საიუბილეო კრებულში“, 1940 წ., გვ. 400).

ერთი წლის შემდეგ აკაკი გარდაიცვალა. დამკრძალავმა კომიტეტმა ოთხი ახალგაზრდა პოეტი გაგზავნა საჩხერეში პოეტის ცხედრის თბილისში ჩამოსასვენებლად: ს. აბაშელი, ა. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი და ი. გრიშაშვილი. ჩვენი სახელოთ პოეტმა აბაშელმა მშვენიერი ლექსი წაუკითხა განსვენებულს. მეც უნდა წამეკითხა, მაგრამ მე იქ ვერაფერი ვთქვი. გული... გული შენეკუმშა, მდუმარედ დავყურებდი სიმშვიდის შარავანდედით მოსილ ძვირფას ცხედარს. და როდესაც მისი ნეშტი თბილისში გამოვაცილეთ, თითქოს გული მრჩებოდა იქ, სადაც მისი უკანასკნელი წუთები დაიფერფლა.

ახლა, როცა ამ ამბავს ოცდახუთი წელიწადი ფარავს, მე თვალწინ მიდგას ქართული თეატრის ძველი შენობა, ჩემი სალამო, სცენაზე აკაკის ჰაღარა თავი, მისი მჟღერავი ხმა, მისი დალოცვილი სიტყვა, რომელმაც მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი, გამანებიერა, გამახალისა.

არა, საჩხერეში გული არ დამიტოვებია. მე იგი თან წამოვიღე. რომ დიდი პოეტის სიყვარული ყოველთვის თან მეტარებინა.

1940 წ

ი. გრიშაშვილის ლექსი („შენ ხარ ღვთაება“) გადაწერილი აკაკი წერეთლის ხელით.

სუფლიორის ნიჭარიდან

(გახსენება ლადო მესხიშვილზე)

მე მინდა გავიხსენო ის ლექსი, რომელიც ამ 37 წლის წინათ წავუკითხე ლადო მესხიშვილს — მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის ზეიმზე. ეს იყო 1913 წლის 10 თებერვალს.

მაგრამ ცოტა შესავალი.

ლადო მესხიშვილი, როგორც მსახიობი, პირველად ვნახე 1904-1905 წელს, ჯერ კიდევ 15-16 წლის ახალგაზრდამ „კაი გრაკხა" და „ახალ მოძღვრებაში", ოპერის თეატრის სცენაზე, სადაც იგი ხანებში, ქართული თეატრის შენობის შეკეთების გამო, კვირაში ერთხელ იმართებოდა ქართული წარმოდგენები. მეორედ ლადო ვიხილე 1908 წელს, როცა ქუთაისის ქართულმა დასმა ოდესიდან მოიწვია ლადო მესხიშვილი და სეზონის დასასრულს თბილისში შესანიშნავი გასტროლები ჩაატარა ყოფ. არტისტულ საზოგადოების თეატრში (ამჟამად რუსთაველის თეატრში). ეს იყო 1908 წლის 15 ივნისს.

ლადო მესხიშვილი თავისი მოღვაწეობის გრძელ მანძილზე ბევრჯერ გაჰბუტვია ქართულ თეატრს... ამის მიზეზი იყო ქართული თეატრის მესვეურთა უსულგულო დამოკიდებულება ჩვენი სცენის კორიფესადმი. ერთხელ ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში" (რომელიც, სხვათა შორის, „დედა-ენის" შემდეგ საკითხავ წიგნად ითვლებოდა) შ. მღვიმელმა ასეთი „საახალწლო ხუმრობა" დაუწერა ლადო მესხიშვილს:

„ვინც სანახავად მოვიდა,
ყველამ აქ მოიკალათა,
შენ კი რა მიგვარბენიებს
უცხო მხარეში ძალათა?
გეითხარ,[1] სამშობლო სცენაზე
რა მიზეზით ხარ მწყრალადა,
ნუთუ მოძმეთა სიყვარულს
მაინც არ აგდებ ჩალადა?"

(„საქ. კალენდ." 1894 წ., გვ. 423).

1906 წლის თბილისის გასტროლიც ამ „გაბუტვის“ შედეგი იყო, მაგრამ ახლა ჩვენ ამ მიზეზების ახსნა-განმარტებას არ შეეუდგებით „მოძმეთა სიყვარულს“ რომ იგი ღრმად აფასებდა, ამას ნათლად მოწმობს ის ცნობილი სიტყვა, რომელიც ქუთაისის თავადაზნაურთა კრებაზე წარმოთქვა დიდებულმა მსახიობმა:

„...მე აზხაურობას არ ვეკუთვნი, მე ვეკუთვნი მთელ ერს“... ან კიდევ: „მესხიშვილი კიდევ შეგაკრებინებთ ფულს, როცა მართალი სიტყვების გაგონება მოგინდებათ სცენიდან“... (იხ. „მოგზაური“. 1905 წ., № 15).

ლადო მესხიშვილი ნამდვილი მოქალაქე — მსახიობი იყო, ვინ არ იცის მისი გამოსვლა 1905 წელს ქუთაისის თეატრში თუ ბარიკადებზე და ამის გამო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ნიკოლაევის დაბეზღების შემდეგი აქტი: „1905 წელს, 25 აგვისტოს ქართული დასის მსახიობთა წარმოდგენის დროს, მეორე მოქმედებაში, მსახიობმა ლადო მესხიშვილმა სცენიდან წარმოსთქვა ქართულ ენაზე სიტყვა, რომლითაც ხალხს მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ; სიტყვის დასასრულს მესხიშვილმა ხუთჯერ წამოიძახა, „ბრძოლა ხალხის გადასარჩენად“.

ასეთი იყო დიდი ლადო მესხიშვილი რომელიც თავისი მაღალმხატვრული წარმოდგენებით და მოქალაქობრივი მოწოდებით ხალხში რევოლუციურ სულს აღვივებდა, სამშობლოსადმი სიყვარულის მარცვალს სთესავდა...

მესხიშვილამდე ჩვენი თეატრი „გართობისა და სანახაობის ადგილი იყო“, მესხიშვილის შემდეგ ამ სანახაობას „გრძნობა-აზროვნებაც დაემატა“. თამამად შეიძლება ითქვას: ლადო მესხიშვილი რომ არ მოვლენოდა ჩვენს სცენას, ქართული თეატრის რეპერტუარი „არკადიას სადილსა“ და „კატა აწონას“ ვერ გასცდებოდა. მან შემოიტანა ჩვენს სცენაზე შილერისა და შექსპირის სურნელება.

ლადოს ბევრი მოწაფე დარჩა, მაგრამ მეორე ლადოობა ვერავინ დაისაკუთრა. შეიძლება ეს იმიტომ, რომ მესხიშვილმა ვერ შექმნა თავისი თეატრი და ეს არც შეიძლებოდა იმ დუხჭირ დროში! ლადოს ბევრი ძიმბაძველი ჰყავდა. მაგონდება ერთი კურიოზი. მე მაშინ თბილისის გარეუბნის თეატრის მოკარნახე ვიყავი. ისნის თეატრში ერთი ნიჭიერი სცენისმოყვარე გვყავდა — ლევან ბაღაშვილი. ამ ადამიანში ისე ძლიერი იყო ლადოს მიმბაძველობა, რომ სცენაზე გამოსვლის წინ ყელზე ცხვირსახოცს მოიჭერდა, რათა ხმა ლადო მესხიშვილის გაბზარულ ხმისათვის დაემსგავსებინა; „გაბზარულს“ იმიტომ ვამბობ, რომ ლადოს, თუ არ ვცდები,

1894 წელს ყელის ტკივილი დასჩემდა, ეს იმით იყო გამოწვეული. რომ „ყაჩაღების“ წარმოდგენის დროს, როცა ფრანც მოორი ჭაღზე ჩამოეკიდება თავის დასახრჩობად, ლადომ იღლიებში საგანგებოდ გაკეთებული თოკი კისერთან ყულფს ვერ გამოსდო, ეს თოკი სიჩქარით, როგორც იტყვიან, „როლში შესვლის მომენტში, სცენა რომ არ გაციებულიყო“ — შიშველ ყელზე ამოიხვია. სკამს ფეხი გაჰკრა და... ცოცხალმკვდარი, ენაგამოგდებული ძლივს ჩამობსნეს თოკიდან. წინანდელი მშვენიერი ხმა, (ასე ამბობენ, მე არ მოვსწრებივარ) მელოდიური და მძღერავი, გაებზარა და ერთგვარი ხრინწი შეეპარა... სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ ლადო სამუდამოდ გამოეთხოვა სცენიდან საესტრადო კუპლეტების მღერას და ქართულ ოპერეტებში გამოსვლას! ჰო-და, აი, ეს „გაბზარული“ ხმაც კი გახდა ზოგიერთი სცენისმოყვარისათვის მისაბაძ საგნად.

მესხიშვილი იყო უეჭველად ბუმბერაზი მსახიობი... იგი იყო ქართული მიწიდან ამოტყორცნილი ოქროს ზოდი; ამიტომ მას უნდა მოეხსნას „ნიჭიერი“ მსახიობის სახელწოდება და უფრო დიდი და დამახასიათებელი სახელი გამოეძებნოს. „ნიჭიერი“ მსახიობი ბევრი გვყავდა ძველად, მაგრამ ლადოსთანა მსახიობი კი არც ერთი!

ლადო ხალხს უყვარდა. მის ფოტო-სურათს ქალიშვილები,—ეს ყველაზე მგრძნობიერი მაყურებლები, — გულზე ატარებდნენ ჯვაროზის მსგავსად.

ლადო ხალხს უყვარდა-მეთქი, ეს თქმა არ არის მარტო ცარიელი ბგერა, დიახ! ლადო ხალხს უყვარდა... ეს დაადასტურა 1908 წლის გასტროლებმა. ქუთაისის ახალგაზრდა, შესანიშნავი კოლექტივმა, სადაც იყვნენ: ნუცა ჩხეიძე, ე. შალიკაშვილი, შ. დადიანი, ნ. დავითაშვილი, ნატო ჯავახიშვილი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე და გაიარე ურბნელი, — ამ დასმა. ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის ქართულ საზოგადოებას პირველად აჩვენა გასაოცარი ანსამბლით შეკრული საგასტროლო სპექტაკლები: დიმოვის „ისმინე ისრაილ“! შალომ აშას „შურისძიების ღმერთი“, კოსოროტოვის „გაზაფხულის ნიაღვარი“, კოლიშკოს „საქმის კაცი“ (თარგმანი შალიკო-ვალიკოსი)*; კომედიები: „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედური დღე“... ეს წარმოდგენები მართლაც ნიაღვარივით მოვარდა და მაშინდელი თბილისის სეზონი გამოაფხიზლა და აამჩქეფარა .. ამაზე ბერს ლაპარაკობდნენ მაშინ. ლადო მესხიშვილის ამ გასტროლების შესახებ ერთი გაზეთი პირდაპირ

* შალვა დადიანი და ვალერიან შალიკაშვილი.

წერდა: „ქართველ საზოგადოებას თავის დღეში არ უნახავს ასე ძწყობრად და შეთანხმებით ჩატარება წარმოდგენისაო“ („ნაპერწკალი“, 1908 წ. იენისი).

ვინ ესწრებოდა ამ წარმოდგენას, ვინ იყო ამ აღტაცების ორგანიზატორი? მოსწავლეები, სტუდენტები და ხელმოკლე ინტელიგენცია. სად იყო მაღალი წოდება, „მარილნი იმა ქვეყნისანი“? საზოგადოება ორად გაიყო. ინტელიგენციის ერთმა ფრთამ ბოიკოტი გამოუცხადა ლადოს, თუ ჩვენია ჩვენი იყოს, რა წარა-მარა გარბის სხვა ქვეყნებშიო. ამაზე დიდი მითქმა-მოთქმა იყო მაშინდელ პრესაში. მახსოვს ერთი სატირული ლექსი, ქუთაისის გასტროლების დასაცავად გამოთქმული, რომელიც აქვე მომყავს:

„ქართველი ინტელიგენცია
იქ არ გვინახავს თვალითა,
არც ნებით შემონავალი,
არც მოყვანილი ძალითა.
ისევ აკურთხოს უფალმა
ის შავი ხალხი დაბალი,
ვისაც ბეე გალიორკისა
უპყრია ფრიად მაღალი,
ვინც ასულდგმულებს, აცოცხლებს
მსახიობთ ნიჭის ძალებსა...
ორი პორცია სირცხვილი
ინტელიგენტ-ლიბერალებსა!“...

ამ გასტროლების შემდეგ ლადო მესხიშვილი საქართველოში აღარ გაჩერებულა. 1908 წელს წავიდა და მხოლოდ 1910 წელს დაბრუნდა. მაგრამ მე მინდა ცოტა შორიდან დავიწყო:

1904 წელს, სწორედ სეზონის დაწყებისას, თბილისის ქართულ თეატრში, ეგრეთ წოდებულ არწრუნისეულ თეატრში, ანუ ბანკის თეატრში, ადმინისტრაციამ აკრძალა ქართული წარმოდგენების მართვა, რადგან შენობის უკანა კედლები „დაბზარული, დახეთქილი აღმოჩნდა და დღე-დღეზე ჩამონგრევას ლამობდა“. ქართულ თეატრს თავშესაფარი აღარ ჰქონდა.*

---

* ეს თეატრი, რომელიც თავად-აზნაურთა ბანკს დარჩა, არწრუნისა იყო თავისი ქარვასლითურთ. იერემია არწრუნის გარდაცვალების შემდეგ, ეს შენობა გადაიდა მისი ვაჟის, გრ. არწრუნის ხელში („მშაკის“ რედაქტორი). მისმა შვილმა, გახუთის ხარჯის დასაფარავად ქარვასლა თავისი თეატრით დააგირავა ილია ჭავჭავაძის ბანკში. თეატრი დარჩა ბანკს და ხშირად ამ თეატრს „ბანკის თეატრს“ უწოდებდნენ. ეს თეატრი თბ. სხვა თეატრებთან შედარებით, მინიატურული იყო. 1887 წელს ბანკმა თეატრი გადააკეთა და 855 ადგილიანი გახადა.

ო. ჯ.

მსახიობებისაგან შემდგარმა ამხანაგობამ „სახაზინო თეატრის“ (აწ ოპერის თეატრის) შენობა დაიქირავა ქართული პიესების დასადგმელად. წინათ თუ კვირაში ორი ან სამი ქართული წარმოდგენა იმართებოდა ქართულ თეატრში, 1904-1905 წლიდან სახაზინო თეატრში გადასვლის გამო, კვირაში ერთხელ უნდა დაედგათ ქართული წარმოდგენები და ისიც ზარალით. „შემოსავლის დიდი ნაწილი ოპერის ანტრეპრენიორს რჩებოდა. სამწუხარო უფრო ის იყო, რომ ქართული წარმოდგენებისთვის რუსული თეატრის გამგენი არაფერს არ იმეტებდნენ, არც დეკორაციებს, არც ტანისამოსს, რაც რამ ძველი და უვარგისი გააჩნდათ, იმას უთმობდნენ ჩვენს არტისტებს... 1905 წელს ქართული წარმოდგენების გამმართველმა ამხანაგობამ 2.000 მანეთი იზარალა“ („ცნობის ფურცელი“, 1905 წ , № 2755). მთელი ოთხი წლის განმავლობაში წახწალებდა ქართული დასი სხვადასხვა თეატრში — ხან ოპერის, ხან საართისტო საზოგადოების (აწ რუსთაველის). ხან აელაბრის (არაჩსიანის თუ მურაშკოს) თეატრებში. ხან თბილისის კრუეკში... ხან ვეტცელის თეატრში. როცა ფუნიკულორის ექსპლოატაცია დაიწყო, მაშინ ჩვენმა მსახიობებმა ის ადგილიც გამოიყენეს შემოსავლის წყაროდ, ხალხის მისაზიდად აფიშებზე ასე ეწერა: „ვინც თეატრის ბილეთს იყიდის, იმას უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანენ ფუნიკულორის ვაგონებით“.

ზუბალაშვილისეული სახალხო სახლი მხოლოდ 1909 წელს გაიხსნა! უსავახოდ დარჩენილი ქართველი მსახიობები დიდის ვაი-ვაგლახით ატარებდნენ იმდროინდელი ქართველი არტისტის უმადურ ულელს. ერთ ძველ ჟურნალში კარიკატურაც იყო დაბეჭდილი: ქართველ არტისტებს რეპეტიცია კიბეებზე გაუმართავთ, რადგან ოპერის თეატრის ანტრეპრენიორი, ვინმე დონსკოი, თეატრს აქირავებდა, ხოლო სარეპეტიციოდ კი ქართველ არტისტებს სცენაზე არ უშვებდა... 1905 წლის რეპერტუარი უფრო თარგმნილი პიესებიდან იყო შერჩეული: „ქაი გრაკხი“, „ახალი მოძღვრება“, „იედითი“, „შეყვარდნები და ყორნები“, „როზა ბერნდ“, „პეპელათა ბრძოლა“, „რუი ბლაზი“, „ებრაელები“, „ავი სენი“ და სხვ. ყველგან ლადო მესხიშვილი ასრულებდა მთავარ როლს. ლადომ ვერ გაუძლო ასეთ მოუსვენარ სეზონს და რამდენიმე ხნის შემდეგ მიატოვა ქართული დასი... ქართული დასის ამხანაგობა უმესხიშვილოდ უძლეებოდა საქმეს: მათი რეპერტუარი შეიესო ორიგინალური პიესებითაც, გამოჩნდნენ ახალგაზრდა დრამატურგები. იდგმებოდა: „მეზობლები“ (ტრ. რამიშვილისა), „დამარცხებულნი“ (პ. ირეთელისა), „სოფელში“ (სე. ყიფიანისა), „ქოხში“ (ი. გო-

მართელისა) და სხვ. მაგრამ თეატრი მაინც უფსკრულის პირას იდგა, ხალხი თეატრში არ დაიარებოდა, თეატრს ახალი ძალები არ ემატებოდა, არ ჩანდა რეჟისორი. ამ წარმოდგენების სულის-ჩამდგმელი ისევ და ისევ ჩვენი დაუღალავი და ნეტარ-მოსაგონარი მოღვაწე ვალერიან გუნია იყო.

ქართული თეატრის შენობის შეკეთება, რაც 1904 წელს დაიწყო, 1908 წელს ძლივს დამთავრდა. „ნე დამაპაჩინკეს, მაგრამ ქართული თეატრის დაპაჩინკებას არაფერი ეშველაო“, — ხშირად იტყოდა ხოლმე აქადმყოფი მსახიობი ვასო აბაშიძე.

როგორც იყო, ოთხი წლის დუმილის შემდეგ, ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ განახლებული ქართული თეატრის გახსნა გამოაცხადა 14 დეკემბერს (1908 წელს). დღის პირველ საათზე განახლებულ თეატრში მოხდა საზეიმო შეკრება. დაესწრნენ ოფიციალური წარმომადგენლები, ფილარმონიის საზოგადოების გუნდმა, ზაქარია ფალიაშვილის ლოტბარობით, შეასრულა საგანგებოდ ამ დღისთვის დაწერილი კომპოზიტორ გ. ი. ნატრაძის საზეიმო ნაწარმოები—„ოცნების ზღვაში“, წარმოითქვა სიტყვები, იყო მილოცვები, ხოლო საღამოთი დანიშნული იყო დ. ერისთავის „სამშობლოს“ წარმოდგენა. ამ საღამოს პირველად გამოვიდა სცენაზე გ. იშხნელი, რომელიც სუმბათაშვილ-იუჟინის რეკომენდაციით მიღებულ იქნა დასში. იშხნელმა ამ საღამოს შეასრულა ლევან ხიმშიაშვილის როლი... მაგრამ სად იყო ლადო მესხიშვილი? რატომ არ გაიზიარა განახლებული თეატრის სიხარული? ლადო მესხიშვილი ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ არამც თუ მსახიობად, რეჟისორადაც კი არ მოიწვია, თუმცა ამ დარგში დიდ კრიზისს განიცდიდნენ.

საგულისხმოა რეჟისორის ძიების საკითხიც. დასი შეიკრიბა, მაგრამ რეჟისორი არსად იყო... დრამატულმა საზოგადოებამ რამდენიმე სხდომა შესწირა ამ საკითხს. ჯერ უნდოდათ მოეწვიათ კოტე მარჯანიშვილი, მაგრამ „უფულობის გამო“ ეს ვერ გაბედეს. მერე მიმართეს ვახტანგ მჭედლიშვილს, მაგრამ უკანასკნელმა უარი შემოთვალა: „ამჟამად საბატერო თეატრს ვერ დავტოვებო!“ ფიქრობდნენ, რუსი რეჟისორის მოწვევას ქართულ დასში, მაგრამ დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრები ამ საკითხში ვერ შეთანხმდნენ. ბოლოს მოიწვიეს ალექსანდრე ყანჩელი მთავარ რეჟისორად და თანაშეწყედ დაუნიშნეს ახალგაზრდა ვალერიან შალიკაშვილი.

როგორც ეხედათ, ლადო მესხიშვილზე ჩქამიც არ ისმის, ეს მაშინ, როცა ქუთაისის გაასტროლებმა იძავე წლის ივნისში ასე

ბრწყინვალედ ჩაიარა, ეს მაშინ, როცა ლადოს დასიდან ბევრი მსახიობი გადმოვიდა განახლებულ თეატრში სამუშაოდ.

უნდა ითქვას, რომ ქართული დრამატული საზოგადოება ქართველ არტისტებს შორის განხეთქილებას და ბუტიაობას უწყობდა ხელს. ამ ბუტიაობის ბრალი იყო, რომ განახლებულ დასის შემადგენლობაში არა ჩანდა ნატო გაბუნია, რამდენიმე წარმოდგენისათვის რის ვაი-ვაგლახით დაითანხმეს კოტე ყიფიანი და ტასო აბაშიძე; არ ჩანდა საქმის ნამდვილი მცოდნე რეჟისორი, ამ განხეთქილების ბრალი იყო, რომ გულამღერეულმა და ფიცხი ხასიათის მქონე ლადომ, მიატოვა თავისი დედაქალაქი, მიატოვა განახლებული თეატრის ურეჟისოროდ დარჩენილი ქართველი ამხანაგები და მთავარ რეჟისორად გამოცხადდა... სად? კრასნოიარსკში. მერე— რიაზანი, არხანგელსკი და მოსკოვი! თითქმის ორ წელიწადზე მეტს მოგზაურობდა, მშობლიურ კერას მოშორებული, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში... და, აი, ერთ მშვენიერ დღეს (მშვენიერი დღე კი იყო?) ჩვენი ლადო მოულოდნელად გვეწვია თბილისში. ეს იყო 1910 წლის იანვარს. როგორც ი. ზარდალიშვილიც იგონებს, პირველად ლადოს ნახვა მე მხვდა წილად ყოფილ გოლოვინის პროსპექტზე, მაშინვე ვახარე ი. ზარდალიშვილს, კონსტ. ანდრონიკაშვილს, ნ. გვარაძეს და იმავე დღეს მაღალაშვილების სარდაფში მოეწყო მშვენიერი ბანკეტი ქართველი ინტელიგენციის თანდასწრებით.

ამ წელს ლადო მესხიშვილის მონაწილეობით რამდენიმე წარმოდგენა გამართეს ქართველმა არტისტებმა. საზოგადოებამ კვლავ იხილა ლადოს ურიელ აკოსტა, ჰამლეტი, პეტრონიუსი („ვიდრე ზვალ"...), სულეიმანხანი („ღალატი"); ლადო შესანიშნავი იყო ტოლსტოის (არა ლევ ტოლსტოის) მიერ ჩეხოვის მოთხრობებიდან გაკეთებულ დრამაში—„შავი ბერი" და სხვ.

როცა თბილისში სეზონი დამთავრდა, მარტის დამდეგი იყო, მსახიობებმა შეადგინეს ამხანაგობა, სათავეში ჩაუყენეს ლადო და იმავე წლის 10 მარტიდან გაემართნენ შემდეგ დაბა-ქალაქებში: ბათუმს, ქუთაისს, ფოთს, სუხუმს, ჭიათურას, სამტრედიას, ზესტაფონსა და ხონს. რეპერტუარში იყო: „ჰამლეტი", „ურიელ აკოსტა" და „შავი ბერი". დასში ირიცხებოდნენ: ლადო მესხიშვილი, კ. მესხი, ნ. რიონელი (კ მესხის მეუღლე), პ. შოთაძე. მ. მდივანი, კ. ანდრონიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ვ. ურუშაძე, ნ. გვარაძე. ვ. მატარაძე, ი. ცივიძე. გ. გურული, ა. ალექსიძე (გვარად ქურდოვანიძე) და ი. გრიშაშვილი.

ხალხი ყველგან აღფრთოვანებული ეგებებოდა ლადოს. შემო-

საელის მხრივ ეს იყო ბრწყინვალე სამოგზაურო დასი: მესხიშვილს ოც წარმოდგენაში ერგო 862 მანეთი, ამხანაგობის დანარჩენ თითო წევრს კი — შეხვდა 120 მან. ამ მოგზაურობამ გასტანა ერთ თვეს. დავამთავრეთ 1910 წლის 9 აპრილს.

მე ამ დასის სუფლიორი ვიყავი (მაშინდელი სასუფლიორო ეგზემპლარები ახლაც შენახული მაქვს). ქართული თეატრის მოღვაწეთა შორის ყველაზე ტანჯული სუფლიორი იყო.

იმ ხანებში თბილისის ქართულ დასს ორი სუფლიორი ჰყავდა: ბეგლარა (ახოსპირელი) და მე, გრიშაშვილი! ახოსპირელი, როგორც პირველხარისხოვანი სუფლიორი, არ გაჰყვა მესხიშვილის დასს პროვინციებში, ის თავისუფალ დროს თავის საყვარელ თეატრში ატარებდა. გარდა ამისა, ბეგლარა და დასის წარმომადგენელი ვასო ურუშაძე, ვერ მორიგდნენ ფასში, ე. ი. მარკების განაწილების დროს ბეგლარა დღე-ღამეში 1 მანეთს მოითხოვდა, მე კი ათშაურიანი სუფლიორი ვიყავი — როგორც ახალგაზრდა და მცირესტაჟიანი. როცა ლაოო მესხიშვილმა მომმართა: „წამოხვალ ჩვენთან საქართველოს დაბა-ქალაქებშიო?“ მე ორივე ხელი გავუწოდე, სიხარულით ფეხზე არ ვიდექი, რადგან დიღომს არ გავცილებოდი და სხვა ქალაქების უნახავი ვიყავი. ერთხელ ერთი ლექსი დავწერე ზღვაზე, როცა ზღვა თვალითაც არა მქონდა ნახული. რაღაც კინო-სურათი ვნახე. მომეწონა ტალღების ფრთონა და ნამდვილი ზღვის უნახავმა დავწერე ასეთი „მღელვარე“ ლექსი:

ზ ღ ვ ა

...და ზღვა ბობოქრობს,
ზვირთი ზვირთს ებრძვის,
კლდეს ტალღას ესერის,
მედგრად აწყდება,
ზე ეხეთქება;
ვაით, მოთქმითა,
სახარის ხმითა,
ღელავს, გრიალებს,
სჭექს და ღრიალებს
განრისხებული,
აღშფოთებული...
აქაფებული...

—

ზღვის მრისხანებას,
მის ხმას მჭუხარეს,
მის ძლიერებას,
ტალღას მშფოთარეს,

სულაც არ ვუკრთი,
არ ვშიშობ, არ ვთრთი,
როცა დღედაღამ
ვსტირი მწუხარე,
როცა მგზნებარე
გულისა ძგეროა
ცხოვრების ტალღამ
ჩაჰკლა, დასერას..

(„ფასკუნჯი", 1909 წ., № 16).

ეს იყო თითქმის მეორე ლექსი „არ შეგცივდეს, ბარაშკაჯანის" შემდეგ.

მესხიშვილის სამგზავრო დასში ჩაწერით საშუალება მეძლეოდა პათუმიც მენახა და ნამდვილი ზღვის პერეტით დავმტკბარვიყავი. მხოლოდ ერთი პირობა დამიდეს: „ხარჯებს ვერიდებით: პატარა როლებისთვის ზედმეტი არტისტის წამოყვანა რომ არ დაგვჭირდეს, ხანდახან მესამე ხარისხოვანი როლებიც უნდა შეასრულოო". ამაზედაც დავთანხმდი. ქართულ თეატრში გარდა სუფლიორობისა, მსახიობობასაც ვეტანებოდი. ერთი დიდი როლის მონატრული ვიყავი. ჩემს სიცოცხლეში სულ ლაქიებსა და გლეხის პატარა ბიჭებს ვთამაშობდი. მხოლოდ ერთხელ მოვიკალ ჩემი არტისტული ნიჭის ძინი, როცა ჩემს საღამოზე კაკაეელი პეტუას როლი შევასრულე ა. ცაგარლის „ციმბირელში" და ისიც ოლღა ლეჟავასთან ერთად (ის მაშიკოს თამაშობდა). წარმოდგენა, რასაკვირველია, კარგად ჩაივლიდა. განსაკუთრებით კარგად ჩავატარეთ შეყვარებულთა სცენა...

ქუთაისის ნახვაც კი ამ კოლექტივის მოგზაურობის დროს მეღირსა.

ქუთაისმა პირველად გამიცნო როგორც მსახიობი. ეს იყო 1910 წლის 13 მარტს, ვთამაშობდი მეორე მესაფლავის როლს „ჰამლეტში". პირველი მესაფლავის როლიც კი შეშურდათ საწყალი სუფლიორისთვის. სამაგიეროდ იმავე წელს და იმავე ქუთაისში, შვიდი თვის შემდეგ, მიწვეული ვიყავი, არა როგორც მსახიობ-სუფლიორი, არამედ როგორც პოეტი-დეკლამატორი. ეს იყო 1910 წლის 27 ოქტომბერს. ილია ჭავჭავაძის ტრადიციულ საღამოზე, რომელიც წ. კ. საზ. ინიციატივით გაიმართა (ორი დეპეშა მივიღე: ერთი—პეტრე ყიფიანისაგან, მეორე—დათიკო მესხისაგან). თბილისიდან მხოლოდ ორნი ვიყავით მიწვეულნი: ვაჟა-ფშაველა და მე. (იხ. რეცენზია: „ნოვაია რეჩ", 1910 წ., № 247). ასე რომ ქუთაისში პირველად ვიყავი 1910 წელს ორჯერ:—პირველად რო-

გორც სუფლიორი (1910 წ. 13 მარტს), მეორედ—როგორც პოეტი (1910 წ. 27 ოქტომბერს).

სუფლიორის მძიმე უღელი, როგორც იყო, მეც გავწიე და მიუხედავად ამ დიდი ჰაპანისა, როდი ვნანობ?

სუფლიორი ვიყავი მეთქი, მოგახსენეთ, მაგრამ მაშინდელი სუფლიორი სულაც არ ჰგავდა დღევანდელ სუფლიორს. ახლანდელი სუფლიორი არხეინად დგას კულისებში და ათასში ერთხელ თუ მიაწვდის მსახიობს თავის სათქმელს, რადგან თანამედროვე მსახიობი სუფლიორს როდი უცდის, ვალდებულია როლი ზეპირად იცოდეს. ძველად კი სუფლიორი სუფლიორიც იყო, რეჟისორიც, რეჟისორის თანაშემწეც, სცენარიუსიც და, რა ვიცი, კიდევ რა! მას უნდა მიეწოდებინა მსახიობისათვის არამც თუ მისდამი განკუთვნილი სიტყვები, არამედ რემარკებიც: ადექ, დაჯექ, მიდი, მოდი, გადი, წადი, აკოცე, გაიცინე, იტირე... ამ ნიადაგზე მრავალი კურიოზი არსებობს, რომელთა მოყვანა შორს წაგვიყვანდა, მხოლოდ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო მურაშკოს თეატრის ისტორიიდან. ვთამაშობდით ვ. გუნიას ისტორიულ პიესას „და-ძმას“. ფაშას როლს ასრულებდა რომანოზ სალაყაია, გიორგის — დავით მელაშვილი, ადამიას — ბესო მაისურაძე, ოტიას — ვანო მჭედლიშვილი (ქიზიყელი), გაიოზს—ლევან ბაღაშვილი, მარინეს—თამარ აფხაზიშვილი. „და-ძმის“ მეხუთე მოქმედების პირველი სურათია. სცენა წარმოადგენს ციხეს. სცენაზე ტყვეებსა სძინავთ, მათ შორის მარინეს ძმა, გაიოზიც იქ არის. შემოდის აღელვებული და თმაგაწეწილი მარინე. ყურები, მსახიობისათვის ეს აუცილებელი სასმენი ორგანო, ჩამოყრილ თმებითა აქვს დაფარული. ღელავს. ვაწვდი სიტყვებს, მაგრამ არ ესმის, ის გაფაციცებით დარბის სცენაზე, პატიმრებს შორის დაეძებს თავის ძმას გაიოზს, რომ ციხიდან ჩუმად გააპაროს. მარინე მალიმალ ფეხებს მიბაკუნებს — ეს ნიშნავს: არ მესმის და სიტყვები ხმამაღლა მომაწოდეო. ხმამაღლა რომ ვუკარნახო, საზოგადოება მიწყრება და მიყვირის: „სუფლიორ, тише!“ არა და, რა ექნა, ორ-წყალ შუა ვარ ჩავარდნილი. მეც ვღელავ, ის კი კვლავ განაგრძობს ფეხების ბაკუნს. ილაჯი წაიღო... ბოლოს გაბრაზებულმა მივაძახე: „გადაიწიე ეგ თმები და გაიგებ, რაღა!“ მარინეს ეს ფრაზა პიესიდან ეგონა და მძინარე გაიოზს მიმართა: „გაიოზ, გაიოზ, გადაიწიე ეგ თმები და გაიგებ, რაღა!“

ეს ანეგდოტი როდია, ეს არის ფაქტი, მწარე ფაქტი ძველი წარმოდგენების დასახასიათებლად და, ვინ მოსთვლის, რამდენი ამისთანა კურიოზის ამოღება შეიძლება წარსული თეატრის კიდობნიდან.

მე ძალიან მიყვარდა სუფლიორობის დროს მსახიობებთან გაბაასება. თუ როლები არ იცოდნენ, მივაძახებდი: არა გრცხვენიან, ორიოდე სიტყვა ვერ დაგისწავლიაო? ხოლო როცა რომელიმე მსახიობმა როლი ზეპირად იცოდა, მაშინ კი აღტაცებით შევძახებდი ჩემი ნიჟარიდან: ბარაქალა! ზეპირად გისწავლია!

იმაზე ცუდი არაფერია, როცა მსახიობმა როლი არ იცის. როლის უცოდინარი მსახიობი, სუფლიორის სიტყვების მოლოდინში, საბეს მანჭავს, რომ იქნება მოკარნახის ფრაზას მოჰკრას ყური. თუ დაიჭირა სიტყვის პირველი ნახევარი, მერე აღარ იცის რა სთქვას. იგი იბნევა, ზმნა ავიწყდება, აზრს შუაში სწყვეტს და ქართული ენის მახვილის დაცემას ამახინჯებს.

რაც შეეხება ლადოს, მან როლი ყოველთვის ზეპირად იცოდა. ჩვენი თეატრის ისტორიიდან ვიცით, რომ პირველ ხანებში, როცა 1881 წლის დასასრულს დავით ერისთავმა ლადო მესხიშვილი რუსულ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებიდან ქართულ სცენაზე გადმოიყვანა, ლადოს ქართული ლაპარაკი არ ეხერხებოდა, ქართული პიესის როლებს რუსული ასოებით უწერდნენ. დ. ერისთავის „სამშობლოში“ სიტყვას: „მაძრწუნებს“ სწორად ვერ გამოსთქვამდა, (ნაცვლად: „შენი სიტყვები მაძრწუნებს“, უთქვამს: „მაწრუწუნებს“). ლადო რუსულად იყო აღზრდილი. შემდეგში ნიჭიერმა მსახიობმა სწრაფად გამოასწორა ეს ნაკლი, შესანიშნავად დაეუფლა ქართული ენის ბუნებას. მის მიერ ნათარგმნი პიესები ქართული ენის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ქართული ენის დამახინჯებაში ხშირად ჩვენს დრამატურგებსა და მთარგმნელებსაც ედოთ წილი. რატომ შეასრულა ლადომ 1883 წელს პირველად ჰამლეტის როლი სუსტად? ჩემის აზრით, იმიტომ, რომ შექსპირის ეს გენიალური ნაწარმოები ძალიან ცუდი ქართულით იყო ნათარგმნი. მე მოგახსენებთ ანტონ ფურცელაძის და ლავრენტი არდაზიანის თარგმნებზე. რასაკვირველია, „ცუდი ენით“ ნათარგმნი პიესები ყოველთვის ხელს უშლიდა ახალგაზრდა ლადოს სწორმეტყველებას, ხელს უშლიდა იმ დრომდე, ვიდრე არ გამოჩნდა იავნე მაჩაბელი, რომელმაც შექმნა ახალი ქართული ლიტერატურული ენა და განსაკუთრებით სასცენო ქართული ენა.

ლადო მესხიშვილის იუბილე 1913 წელს ქართული კულტურის დღესასწაული იყო. მის იუბილეს მთელი დღე ჰქონდა დათმობილი—დილა და საღამო; დილით 12 საათიდან—მილოცვები იყო, საღამოთი — წარმოდგენა. მე დილით მიეულოცე. პარტერიდან მარჯვნივ მაღალ კვარცხლბეკზე ერთი სავარძელი და ორი სკამი იდგა. აკაკიმ გამოიყვანა ლადო და წინასწარ მომზადებულ სავარ-

ძელში მოათავსა, თვითონ მარჯვნივ დაჯდა. მარცხნივ, თუ არა ვცდები, ნინო ჩხეიძე ჰყავდა. სცენაზე და სცენის სიღრმეში კი სულ მომლოცველები იყვნენ ჩამწკრივებულნი, როგორც ადგილობრივნი, ისე სხვადასხვა დაბა-ქალაქებიდან საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამოსულნი. მათ შორის განირჩეოდა ნიკო სულხანიშვილის გუნდი, რომელმაც პირველად ამ სალამოს მოიხვეჭა ცმაღალი სახელი.

მახსოვს, შემოსვლისას ლადო გამოეშვა აკაკის ხელკავს და ჭურჭიკიით ავიდა თავის დალიეზე, სწორედ ისე, როგორც ამას სჩადიოდა „სამეგრელოს მთავარი ლევანი“-ს წარმოდგენის დროს. მშვენიერი ჰალარა! მშვენიერი სახე! ნაკვთი ნაკვთად აწყობილი... თვალები... ო, ის თვალები, ღრმა და უძირო, ვინ იცის, რამდენჯერ ავუტირებივართ იმ ჯადო თვალებს. როგორ უხდებოდა შევერცხლილი თმების ტალღა... ხალხმა იგრიალა. ტაშის ტკრციალს დასასრული არა ჰქონდა... ჩემი გამოსვლის დროც მოახლოვდა. კოწო ანდრონიკაშვილმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ იუბილეს, ადრევე გამაფრთხილა: ამა და ამის შემდეგ შენი გამოსვლაა—მოემზადეო. ან რა გაფრთხილება მინდოდა... მე ახლა უფრო ვღელავ, ვიდრე ჩემი ახალგაზრდობის დროს... გამოველი, დაედექი შუა სცენაზე და პირდაპირ მივმართე:

ხან მეფე ხარ სვემღვიძარე, ქედს გიხრიან ქვეყნის მპყრობელს,
ხან ვით ნაძი ტბის ნაპირას ჰღერი ცრემლებსა შეუშრობელს;

ხან მკვეთრ ისრით დაკოდილი სულ არა გრძნობ წყლულთა ტკენას,
სულის სწრაფვას ჰანგად აქმევ, იორკეცებ ალმაფრენას.

ხანჰოცნებით ცის სივრცეში ნიავტალღად დასრიალობ,
ღრმაკაეშნით მოხიბლული სამსხვერპლოზე კვნესით ჰგალობ.

შენ ჩანგი ხარ! და ეგ თმები, ეგ ჰაღარა თვითეული
ხალხის გულის სიმებია, ხალხის სუნთქვით დარხეული.

და მეც ხალხის აღმაფრენამ შენთან მგოსნად ამომტყორცნა...
მსურს მოგიძღვნა, როგორც მამას, მხოლოდ კოცნა... მხოლოდ კოცნა!..

ეს ექსპრომტი, რომელიც ახლა სუსტად მეჩვენება, მაშინ არ იყო სუსტი და... ხალხი ვერ დაწყნარდა, გამეორებას მთხოვდა. მე არ გამოვდიოდი. ეს ხომ ლიტერატურული სალამო არ იყო! მიუღოცე? მორჩა და გათავდა! მაგრამ ასე არ მოხდა!

მაშინ ჩემს პოეტურ ხურჯინში შვიდიოდე წლის საგზალი ეწყო. ახალგაზრდა ვიყავი და ლექსის გარდა არაფერი არა მწამდა... როცა ვალერიან შალიკაშვილმა მეორედ ძალად გამაგდო სცენაზე

და ბალხის სურვილისამებრ მეორედ წავუკითხე ეს ლექსი იუბილარს,—ახლა ვგრძნობ, რომ შეცდომა მომივიდა: როგორც მოგახსენეთ, მილოცვა ერთხელ უნდა!.. იუბილარის ორჯელ ატირება შეიძლება განა? არც ქუთაისში უნდა გავყოლოდი ლადოს... იქაც გაიმართა ლადოს იუბილე და ივ. პურადაშვილმა აქედან მიმიწვია ქუთაისს, იქაურ იუბილეზე იმავე ლექსის სათქმელად! ეს მილოცვა ქუთაისშიც წავიკითხე და იქაც გამამეორებინეს! რა კარგია ახალგაზრდობა!

კიდევ ერთი დეტალი: მე მაშინ, არ ვიცი რატომ და კრიტიკოსებმა „კოცნის პოეტი“ შემარქვეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემს პირველ წიგნს „ოცნების კოცნა“ ერქვა (მხოლოდ ო ც ნ ე ბ ი ს)... ამას იმიტომ ვამბობ, რომ თვით აკაკი წერეთელიც, ალბათ, ასე ფიქრობდა, როცა ამ იუბილეს შემდეგ კულისებში თავისებური ირონიით მითხრა: „მაინც კოცნა გამოურიე, არა? როცა დაიწყე: — „და მეც ხალხის აღმაფრენამ შენთან მგოსნად ამომტყორცნა“, მაშინვე გულში გავიფიქრე, აი, ნახე, თუ აქაც „კოცნით“ არ გაათავოს მეთქი... მართლაც რითმა გამოვიდა: „კოცნა—ამომტყორცნა!“. ნუცა ჩხეიძესაც აქვს მოგონებაში: ჩემს სიტყვაში მეც კოცნა უნდა მეძღვნა ლადოსთვის, მაგრამ გრიშაშვილს კოცნას ვინ დაასწრებსო!

აკაკის შენიშვნამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ამ ლექსიდან ბოლო სტრიქონი, სადაც კოცნაზეა ლაპარაკი, მთლად აღვიღე და ჩემს პირველ ტომში ეს ლექსი სხვა ვარიანტით დავბეჭდე. ახლა ვფიქრობ: მქონდა თუ არა უფლება,—როცა სხვა მიმღოცველები იუბილარს ხან ფულს სთავაზობდნენ, ხან რასა და ხან რას, მე, როგორც მის შეგირდსა და სცენის უმცროს ამხანაგს, მხოლოდ პოეტის წრფელი კოცნა მიმერთმია?.. რასაკვირველია, ამის უფლება მქონდა... დიდებული აკაკის გახუმრებას კი დღეს სიამოვნებით ვიგონებ: „კოცნა—ამომტყორცნა“...

რამდენჯერ მითქვამს და ვამბობ, რომ ქართული თეატრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი განვითარების კერა იყო. რაც სკოლამ დამაკლო, ის თვითგანვითარებით შევისრულე. თუ ჩემი გულის შინასკნელში რაიმე კარგი სუფევს, ეს ჩვენი კორიფეების სიახლოვის ნაყოფია. როგორც დაკვირვებული ბალღი, დავუყურადებდი ხოლმე ჩვენი არტისტების სიტყვა-პასუხს და გონების ფირფიტაზე გადამქონდა მათი ავ-კარგი. რა ბუმბერაზ მსახიობთა შორის ვტრიალებდი: მაკო საფაროვი! ვასო აბაშიძე! ლადო მესხიშვილი! კოტე უიფიანი! კოტე მესხი! ვალერიან გუნია! ნატო გაბუნია!.. რა ბედნიერი ვყოფილვარ და არ ვაფასებდი... განსაკუთრებით მიყვარდა

ვასოს ღიმილი და ლადოს ცრემლები. თუ ჩემს პოეზიას რაიმე მგრძნობიერება ახასიათებს, ეს ლადოს შესანიშნავი გრძნობის მონაბერია. ის სცენაზე იყო, მე — სუფლიორის ნიჟარაში, ის თამაშობდა კინს, აკოსტას, ჰამლეტს, მე კი ვაწვდიდი იმ გრძნობიერ სიტყვებს. მაგრამ, არა! ხშირად ისე გამიტაცებდა ხოლმე მისი თამაში, ისე დამატყვევებდა ლადოს სახის ნაკვთთა ათამაშება, მისი ფაფუკი ხმის მინანქრიანობა, რომ მავიწყდებოდა ჩემი მოვალეობა, მავიწყდებოდა, რომ მე „გაპირვების ტალკვესის“ კაცი ვიყავი და მსახიობისათვის სიტყვები უნდა მიმეწოდებინა. მე ვიმსჭვალებოდი მისი ფსიქოლოგიური განცდებით და მხოლოდ თვალებში შევციცავებდი უხმოდ. ლადოს სახის მეტყველება მეც ძალაუნებურად გადამქონდა სახეზე. ის ხშირად გამიჯავრდებოდა, როგორც კინი უჯავრდება თავის სუფლიორს—სოლომონს, მაგრამ ფარდა დაეშვებოდა თუ არა, ლადო მომეპარდებოდა და მომეხვეოდა, როგორც კინი იმავე სოლომონს მოეფერებოდა ხოლმე...

მე ვიტანჯებოდი ლადოს ტანჯვით, მე ვტიროდი მისი ცრემლებით და ახლაც... ჩემო ძვირფასო ლადო, თვალები ცრემლით მენამება, როცა ამ სტრიქონებსა ვწერ.

ახ, ლადო! ლადო! რატომ ჩაჰქრი ასე მალე, ასე უღეთოდ? ასე უდროოდ!

რატომ უნდა იდოს შენი ლამაზი სახე შავ მიწაში?
რატომ ვერ მოესწარი ჩვენი თეატრის გაზაფხულს?
რატომ? რატომ?

წაბველ! დასტოევე—არ ვიცი თუ რად—
ჩვენი ღიმილი, ჩვენი კვეყანა.
ბოლოს გვეწვიე... მესხიშვილურად,
რომ შენი ძვლები აქ ჩაგეყარა.

ალბათ, ჰგოდებდი სიმარტოვეზე,
გენატრებოდა მზე და იები.
წაიქცა მუხა, რომლის რტოებზე
ბუდეს ჰკენწლავდნენ ჩიტუნიები.

მაგრამ ნუ ფიქრობ, რომ გვირგვინოსანს
მოგხადეს ჯილა, დაგანაკერცხლეს...
დღეს საქართველო დიდებით ჰმოსავს
შენის უბიდან აფრენილ მერცხლებს.

როცა სცენაზე შველივით რბოდი
გამოწყობილი ქართულ ჩოხითა,
შენს მზეგრძელობას მე შევხაროდი
ჩემი პატარა ალაჩოხიდან.

და თუ რამ სუფევს ჩემში კეთილი,
გრძნობის სიმართლე, რითმის გალობა,
სულ შენგანა მაქვს ამოკვეთილი,
შენმა სიუხვემ დამაწყალობა.

ზიხარ ჩემს გულში, როგორც იმედი,
მუდამ ვიგონებ შენს მეტყველ სახეს.
რა შეუძლიან ამაზე მეტი—
ვრთ ქართველ პოეტს—შენს მოკარნახეს?

1950 წ.

კოტე მარჯანიშვილი

ქართული თეატრის გაზაფხული კოტე მარჯანიშვილი იყო! იმიტომ კი არა, რომ ის პირველად გაზაფხულზე ჩამოვიდა საქართველოში, არა! მას მოჰყვა საბჭოთა ქართული თეატრის გაზაფხული, ქართული თეატრის აყვავილება, ქართული თეატრის ვარდობისთვე.

კოტე მარჯანიშვილის წარმოდგენები—ეს სიცოცხლის ღღესასწაული იყო, სიხარული და აღტაცება, ფერადი და მღერადი.

კოტე—თეატრის რევოლუციონერი, დიდი ფანტაზიის ოსტატი!

კოტე მარჯანიშვილის დადგმებში ყოველთვის შეამჩნევდით ფერების ჯადობაზობას. უპირველეს ყოვლისა კოტე იყო მოულოდნელობის და განცვიფრების რეჟისორი! სწორედ მეც ეს მხიბლავდა მასში.

მოულოდნელობა და განცვიფრება!—აი მისი შემოქმედების ძირითადი შეგრძნება. კოტესაგით არავის არ შეეძლო წარმოდგენის გაშლა და ამავე დროს შეკვრა და შეკუმშვა. მისი დადგმები არასოდეს არ ყოფილა გაჭიანურებული და მოსაწყენი. მას არ უყვარდა ვოლტერის თქმა: „ჩემთვის ყოველგვარი ხელოვნება მისაღებია, თუ ის მოსაწყენი არ იქნებაო". ეს ფრაზა მან შებრუნებულად გამოიყენა. მას ყოველგვარი ხელოვნება კი არ სწყმდა, არამედ ის ხელოვნება, რომელიც ხალხს მოუწყინრად ემსახურებოდა...

კოტე ახალი ფორმების დაუცხრომელი მაძიებელი იყო. მისი მიზანსცენები ნოველებივით იწერებოდა.

მე ვიგონებ 1922 წელს! როცა განათლების კომისარიატის დარბაზში,—იქ, სადაც ამჟამად საჯარო ბიბლიოთეკაა, — თბილისის თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე, ქართული თეატრის კრიზისის დასაძლევად, მის დახურვას მოითხოვდნენ... რომელღაც ორატორმა მარჯანიშვილის სახელი ახსენა. სიტყვა „მარჯანიშვილი" ელვასავით გაიკრა: „ვთხოვოთ, ჩვენი თანამემამულეა, ერთი-ორი წარმოდგენა ჩვენც დაგვიდგასო!" (ამ დროს

კ. მარჯანიშვილი რუსული დასის მიერ მოწვეული იყო თბილისში ერთი წარმოდგენის—„სალოძეას“—დასადგმელად) ეს იყო და ეს! კადრების მოსამზადებლად ქართული თეატრის დახურვა აღარ იყო საჭირო, პირიქით: ქართული თეატრის ბეჭე ყურთამდე გაიღო და ახალმა ნიაღვარმა შემოიტანა გაზაფხულის მჩქეფარე ტალღა... და მე, ერთი იმათთაგანი ვიყავი, რომელიც „ფუენტე ოვეხუნას“ წარმოდგენის დროს, სავარძელზე შემდგარი აღმოვჩნდი და პარტერიდან ხელად ამონათქვამი ლექსით მივმართე სცენაზე გამოყვანილ კოტეს:

> გახეული დრამის ფარდა გაჰკერეთ და აგვირისტეთ!
> და მე გიჟად ვინ მომნათლავს, რომ მიგიღოთ ახალ ქრისტედ!
> ჩვენს ქვიშიან ოქროს ხოდებს გასარჩევად ხელი ახლე.
> და ოუსეთით ჩამოსულმა ესპანეთში დაგვასახლე...
> შენმა ნიჭმა ჩვენს სცენაზე თვით ქვებიც კი ათამაშა,
> და მეც მეტი რაღა მეთქმის: ვაშა! ვაშა! ვაშა! ვაშა!
>
> და სხვ.

და ოთხივ-კუთხით მონაბერი „ვაშა“, რომელიც მარჯანიშვილს ეკუთვნოდა, აგვირგვინებდა სცენის უბადლო ოსტატს და ახალი სხივის შემომტანს ქართული თეატრის ისტორიაში! მარჯანიშვილამდე ქართველ მაყურებელს თეატრში ასეთი რამ არასოდეს არ ენახა. გაჭრა, განქარდა კადრების ძიების მკვნესარე ძახილი; თურმე კადრები აქა გვყოლია, ჩვენ თვალწინ და ვერ ვამჩნევდით, თურმე საჭირო ყოფილა გენიოსის თვალი და ალღო, რომ ჩვენი სცენის ქვიშა გადაებრუნებინა და აღმოეჩინა ძვირფასი ზოდები... ასეთები იყვნენ: თამარ ჭავჭავაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე. ევრიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, დოდო ანთაძე და კიდევ მრავალი სხვ. რომელნიც დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სცენებს ამშვენებენ. თვით ნიკო გოცირიძე და ლიზა ჩერქეზიშვილიც კი კოტე მარჯანიშვილმა ახლებურად აიცექვა. „ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნე და მეცნიერება და გადასცა მოყვასთა თვისთა“.

მერე როგორ უყვარდა ახალგაზრდობა: თვითეული ნიჭიერი ადამიანის გამოჩენას, მისი თვალის ახელას და დავაჟკაცებას, შვილივით შესტრფოდა.

განა კოტემ არ ისიტყვა: „ხელოვნების მიზანი სულ უბრალო რამ არის, მისცეს ადამიანს სიხარული და ჩაუნერგოს მას მხნეობა“.

კოტე ჩვენი სიამაყე!

— კოტე—ყოველთვის აღფრთოვანებული ჰაბუკი, მოუსვენარი შემოქმედი, ყოველგვარი შაბლონის გადამლახველი, მგზნებარე,

როგორც სახმილი და დაუდეგარი, როგორც მისივე სოფლის მდინარე დურუჯი.

პირადად მე ძალიან მადლობელი ვარ მისი. მან დამაჩვია პიესების თარგმნას.* კოტეს მოსწონდა ჩემი სცენური ენა და სულ იმას ამბობდა: „ეს იმიტომ, რომ შენ სცენაზე ნამყოფი ხარ“, „ეს იმიტომ, რომ კულისების მტვერითა ხარ ნაზიარებიო!“ ერთხელ მითხრა, „რომეო და ჯულიეტას“ დადგმა მინდა, იმ შემთხვევაში მოვკიდებ ხელს, თუ შენ გადამითარგმნიო...

მე ინგლისური ენის უცოდინარობა მოვიმიზეზე: თარგმნის თარგმანი არა მწამს-მეთქი. „არაფერიაო—მიპასუხა—რუსულად კარგი თარგმანები არსებობს და თუ ძალიან გინდა, ინგლისური ენის მცოდნესაც ვაჩვენებთ, ოღონდ სცენიდან შენი სატრფიალო ენით დამალაპარაკეო!“ ეს საუბარი თავისი მოწაფეების თანდასწრებით იყო თქმული და, ალბათ, დოდო ანთაძე და შალვა ლამბაშიძე მოიგონებენ კოტეს მიერ ასე გადაჭარბებით ჩემს შეფასებას.

თავის სახელობის თეატრში გადასვლის დროს, კოტეს აღეძრა სურვილი სამი მოძმე ერის ფოლკლორის სცენაზე განსახიერებისა. ქართული ხალხური ლექსებიდან მან ამოირჩია „არსენას ლექსი“, სომხურიდან—„არტავაზდ“ (ამირანისებური ვარიანტი) და აზერბაიჯანულიდან—„ქოროღლი“. ორი უკანასკნელი ნაწარმოების გაკეთება მე მომანდეს. მე, რასაკვირველია, მაშინვე შევასრულე ეს საპატიო დავალება, მაგრამ რატომღაც კოტემ შემდეგში გადაიფიქრა ამ სამი ნაწარმოების ერთ საღამოს დადგმა და მხოლოდ „არსენას ლექსი“ დატოვა. „არსენას ლექსის“ დადგმა, რეჟისორული ჩანაფიქრის მხრივ, ჩვენს სცენაზე ბრწყინვალე გამარჯვება იყო. აქ ნამდვილი ცხენის მაგიერად ბუტაფორული ცხენი შემოაცურეს რგოლებზე. ლამბაშიძე ტექსტს კითხულობდა ცეკვით და ომახიანად, სინათლის ათამაშება მარჯანიშვილისებური იყო. მაგრამ მაყურებელი ორად გაიყო, რიგი აქებდა და ახალი სიტყვის თქმას ხედავდა ამ დადგმაში, რიგს მხოლოდ სანახაობად მოეჩვენა,

---

* მანამდე რეჟისორ აკაკი ფაღავას წინადადებით მხოლოდ ერთი პიესა მქონდა ნათარგმნი მაჩაბლისეულ თეთრ ლექსად. ეს იყო ფულდას კომედია „ვირის ჩრდილი“—კოტეს ხელდასმით დადგმული რუსთაველის თეატრში (1926 წ., 8 აპრილი). ამ პირველ წარმოდგენაში ძოწიაწილეობას იღებდნენ მხოლოდ და მხოლოდ სტუდიაში მოსწავლე ახალგახრდობა: პავლე კანდელაკი, გ. საღარაძე, სტ. ჯაფარიძე, პიერ კობახიძე, ა. ხელაია, პოკო მურღულია, ელიტა ჯორჯაძე, სესილია თაყაიშვილი, ნინო დოლიძე, თამარ წულუკიძე, ს. სულაკაური, მ. ბერიაშვილი და სხვ. ვასო გოძიაშვილის პირველი გამოსვლა ამ პიესაში მოხდა.

ბალღების გასართობად. მეც ამ უკანასკნელებში ვერიე. მე კოტეს ეს დადგმა, არსენას ლექსის მსგავსად, ხალხურ კილოზე ავაწყე „სახუმაროდ, სართეველად“ და რეცენზიის სახით „ფირუზას“ ფსევდონიმით „ნიანგში“ მოვათავსე. ეს იყო 1931 წელს! მარჯანიშვილს გაეგო, რომ აუგიანი ლექსი ჩემი დაწერილი იყო. ერთხელ თეატრში ყოფნის დროს მომეპარა და ყური ამიწია, მერე ორივე ხელით მიიზიდა ჩემი თავი და მკერდზე მიიკრა. რა კარგი იყო ამ დროს! განა მას დიდხანს შეეძლო გულით ეტარებინა წყენა? ის ხომ ბავშვი იყო პოეტური სულით დაბადებული!

აი ეს ლექსიც:

ათას ცხრაას ოცდათერთმეტს, ძველებურად ჩყ დღესა
ამა ლექსის დამწერელი არსენახე წავ დესა.
ძლივს ავთრათი შევიძინე, ხალხი ბლომად მიაწყდესა,
გამწიეს და გამომწიეს საკიდარზე მიმაგდესა.
თეატრია მოწყობილი—სად შებვდებით უკეთესსა,
მომეწონა. წარმოდგენაც თავის დროზე დაიწყესა.
გამობრძანდა არსენაი, კოხტა ცხენი მიართვესა,
მაგრამ ცხენი ოჩანაი უკან-უკან წავიდესა,
ერთი გოგოს გულისათვის ის ყარაღად გავარდესა,
„მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“
ვიშ! ბატონი ღიპიანი ტახტზე ნახად წამოწვესა,—
„გოგო, ფეხი დამფხანეო!“—ყვირის. და თან ჩიბუხს სწევსა,
ეს გოგონა მშვენიერი, ფეხებს ისე უფხ-ნდესა,
თითქოს კარგი დამკვრელია და არფაზედ უკრავდესა.
ყველაფერი დაგვანახვის, რაც რომ წიგნში ჩ-ბეჭდესა:
ყახაბები, კინტოები, მეჩისენიც გვაჩვენესა!
ჩვენს ნიჭიერ მაოჭანიშვილს არაფერი გამორჩესა.
აქეთ ცეკვა! იქით ცეკვა! მხოლოდ ცეკვით გაგვართესა,
ეს შალიკო ღამბაშიძეც ბაღდადურად აცეკვესა.
ძლიერ ბევრი გავიცინე, მოუხდება ჩემს ძარღვებსა.
მხოლოდ როცა სახლში მივედ, ჩვენს პატარებს ვუთხარ ესა:
— დიდებს სულ არ მოეწონათ, ბავშვებისთვის ივარგებსა!

(„ნიანგი“, 1931 წ., № 5).

კიდევ ერთი გახსენება.

მარჯანიშვილს თავისი სტუდია ჰქონდა. ერთხელ ჩემი ლექსების მკითხველმა ნაცნობმა ქალიშვილმა მთხოვა: „ძალიან მინდა მარჯანიშვილის სტუდიაში ვიმუშაო და კოტესთან მიშუამდგომლეო“... გავაცანი. კოტეს ეს გოგონა გარეგნულად მოეწონა (მას უყვარდა, რომ მსახიობ ქალს სასცენო მიმზიდველობაც ჰქონოდა) და უთხრა: დაისწავლე რომელიმე ლექსი, გაბოცდები რომ იქნება, მოდი და ხმას გაგისინჯავო! გამოცდებს მეც დავესწარი. მო-

წაფეების გამოცდა მარჯანიშვილის თეატრის მარჯვენა ფოიეში მიმდინარეობდა. (სადაც ამ ჟამად მარჯანიშვილის დადგმების გამოფენაა). ბევრი მოწაფე ჩაიჭრა მაშინ. ბოლოს ჯერი ჩემს ნაცნობ ქალიშვილზე მიდგა. იგი კითხულობდა ჩემს ერთ ლექსს. მე ვღელავდი. როგორც იყო დაამთავრა ჩემმა პროტეჟემ ლექსი და კუთხეში მიდგა. მე გულში ვფიქრობ: რა აზრისაა კოტე? მოეწონა თუ არა? კარგად წაიკითხა თუ არა? მიიღებს სტუდიაში თუ არა... ამ ფიქრში რომ ვარ, ერთიც ვნახოთ, ულაბად თავს დამდგომია ისევ ის ნაცნობი ქალი, ხელში წყლით სავსე ჭიქა უჭირავს და მთავაზობს: „ეს, ბატონო, კოტე მარჯანიშვილმა გამოგიგზავნათო“... ამ ცივი წყლის მოწოდებით ჩემთვის უკვე აშკარა იყო, რომ ის გოგონა სტუდიაში ჩაირიცხებოდა... კოტემ ამით ორი საქმე გააკეთა, იმ ქალის ტანის რხევასაც გაეცნო (მსახიობ ქალის სიარული ვარგისი იყო სცენისათვის თუ არა!) ჭიქა წყალი კი იმას ნიშნავდა, დამშვიდდი, გული გაიგრილე და ნუ ღელავო...

აი ასეთი გულხმიერი, ყურადღებიანი, ყველგან და ყოველთვის გონებამახვილი და უცნაური იყო ჩვენი უფროსი ძმა—დაუვიწყარი კოტე სცენაზედაც და ცხოვრებაშიც.

1932 წელს კოტე ავად გახდა. ოპერაცია გაიკეთა და ძალიან დასუსტდა და, აი, ავადმყოფობის დროს თავის შეგირდებისათვის ეთქვა: სოსო გრიშაშვილ ან წამიყვანეთ, იმისი ბიბლიოთეკა და ძველი თბილისი მინდა ვნახოო. მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ბინის აივნიდან შევამჩნიე, რომ ჩემს აღმართზე რამდენიმე კაცი ამოდის! დავინახე კოტეც... დაღლილი, წვერმოშვებული, ნაავადმყოფარი. დათიკო ჩხეიძეს და დოდო ანთაძეს ხელკავით ამოჰყავდათ. მასთან იყვნენ აგრეთვე უშანგი ჩხეიძე, კოლია გოძიაშვილი და შალვა ღამბაშიძე (შალვას ხელის ფოტოაპარატიც ჰქონდა და წარამარა აჩხაკუნებდა, — „გადაღებული“ სურათი კი დღესაც არ მიმიღია). დავინახე ძვირფასი ადამიანი თუ არა, ხელად ძირს ჩამოვქანდი და ჩემი კარის ბჭესთან მიეგებე. კოტემ მაშინვე მომახალა: „უჰ, ეს სადა მდგარხარ, კაცო? იცოდე, როცა სიკვდილს დააპირებ, ძირს ჩამოსახლდი, ცენტრში, თორემ მე აქ მეორედ ამომსვლელი არა ვარო!“

ბედმა სხვანაირად ინება—ერთი წლის შემდეგ კოტე გარდაიცვალა და მე ვიყავი მისი დამკრძალავი კომიტეტის მდივანი. ითქვა ბევრი სიტყვა, მოგონება, იყო: წუხილი, გოდება, დანანება. მე გაოგნებული დავყურებდი მარჯანიშვილის ფერფლს, რომელსაც, ასე მეგონა, ჯერ კიდევ შერჩენოდა სითბო და მგრძნობელობა. ისე არაფისზე არ გამართლებულა ეს „შემოქმედებითი წვა“ როგორც

განსვენებულ კოტეზე. იგი დაიწვა და დაიფერფლა როგორც მებრძოლი თავისი შემოქმედების სადარაჯოზე. გაწყდა მარჯანიშვილის მარჯვნის კრიალოსანი, რომლის ჯადოსნურ ყაითანზე ასხმული იყო ხელოვნების პირველი სინთეტიური მძივები.

მე, რომელსაც მეადვილება ლექსით ამოსიტყვა, ამ დღეს ძვირფას კოტეს ლექსით ვერ გამოვემშვიდობე. დიახ, ვერ დავუწერე ლექსი. დიდიხანი დამჭირდა იმისათვის, რომ შევრიგებოდი უმარჯვანიშვილობას და დამეჯერებინა მისი სიკვდილი.

მარჯვანიშვილს ბევრი სურათი აქვს გადაღებული. მე კი მთელი ერთი წლის განმავლობაში არ მშორდებოდა ის სურათი, რომელიც პროცესიას წინ უძღოდა სადგურიდან თეატრამდე.

ეს სურათი სიკვდილის წინ კინოაპარატით ყოფილა გადაღებული მოსკოვის სტუდიაში, ოთხად დაჭრილი და შეერთებული. კოტეს გამოხედვა ამ სურათიდან რაღაც იდუმალი ძალით მოქმედებდა ჩემზე: დაფიქრებული სახე, შესანიშნავი თვალები, ლამაზი თავი, თითქოს ნისლი და სხივი ერთმანეთში იყო ჩაქსოვილი სურათის ფონზე. ეს სურათი რაღაც გასაოცარ და სულის ამაზრზენ განცდებს ბადებდა ჩემში: და მე მხოლოდ ერთი წლის შემდეგ (1934) გავბედე ლექსის დაწერა—„მარჯანიშვილის სურათთან".

არა! მე ამ ლექსს არ მოვიყვან ამ მოგონებაში.

რა საჭიროა ცრემლები?

1947 წ.

მოგონების ერთი ფოთოლი

(ვერიკო ანჯაფარიძე)

ვერიკო ანჯაფარიძე ჩემი გულის მსახიობია.

ვერიკოზე არ შეიძლება „სხვათა შორის“ ლაპარაკი, მას მთელი გულით უნდა შეეხო, რომ კალმის წვერს სიხარულის ნაპერწკლები სცვიოდეს. უფრო მეტს ვიტყვი: ვერიკოზე შეყვარებული უნდა იყო!

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: მიყვარს და არ ძალმიძს მისი შექება, მიყვარს და არ შემიძლია ლექსი დაეუწერო (ალბათ. ბევრი გამიგებს).

მე მაგონდება 1919 წელი! ვერიკოს პირველი დებიუტი. ოპერის თეატრი. ჯაბადრის სტუდია. ბრიეს პიესა „სარწმუნოება“. 19 წლის ვერიკო ეგვიპტელი ქალის იაუმას როლს ასრულებს. რა შესანიშნავი იყო! ეხლა თქვენ მეტყვით ცხრამეტი წლის გოგონა ისედაც კარგი იქნებოდაო! არა, არც ისეა საქმე. მან პირველ გამოსვლისთანავე მოაჯადოვა მაყურებელი, მან პირველ გამოსვლისთანავე დაიმკვიდრა მაღალი მსახიობის სახელი. სიტყვა „მაღალი“ სიმაღლის აღმნიშვნელია. მე ასე ვიტყოდი: ვერიკომ დაიმკვიდრა გაუმეორებელი მსახიობის სახელი! რაც შეეხება „მაღალს“ ვერიკო მართლაც მაღალი მოსჩანდა, ამ სიტყვის ლამაზი მნიშვნელობით. მე არ შემიძლია მისი ნაკვთოვანი სხეულის აღწერა, ერთი სიტყვით, ვერიკო იმ საღამოს ბესიკ გაბაშვილის ლექსის „ტანო ტატანოს“ განსახიერება იყო. ახლა ბაასი! თითქოს ნიავმა ფოთლები შეაშრიალაო. დგას ეს ეგვიპტელი ასული, დგას როგორც თბილი ქანდაკება და სათნის (მ. ჭიაურელი) ასე მიმართავს:—„მე შენ არ მიყვარხარ, სათნი (მაგრამ თითქოს შერცხვაო თავისავე სიტყვისა, ხელად მოტრიალდება და ალერსით გამოასწორებს თავის თქმულს). „არა, მე შენ მიყვარხარ“... გამოფხიზლდი სათნი! ღმერთებმა მე ამირჩიეს მსხვერპლად... მე უნდა შევწირო ჩემი თავი ნილოსს!“ რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და ეს სიტყვები კიდევ მახ-

სოვს... რატომ? იმიტომ რომ კარგად იყო ნათქვამი. ეხლაც, როცა ვერიკოს დიალოგი მაგონდება სათნისთან, გეფიცებით იაუმას ლამაზ ხელებს თეძოებზე მიყრდნობილს, ეხლაც-მეთქი ჟრუანტელი მიელის.

ეს იყო 37 წლის წინათ! დღეს ჩვენი ძვირფასი და სასურველი ვერიკო უკვე ორი შვილის დედაა და მისი ნაყოფიერი შემოქმედება 19 წლისას ჩამოგავს. ვერიკო ანჯაფარიძემ გაამართლა პირველი იმედები. მის ნიჭიერებას მრავალი სახე განუსახიერებია: ლარისა, დეზდემონა, ლუიზა, გრაფინია, მირანდოლინა... სად მოვთვალო!.. მხოლოდ მინდა „ივდითის“ როლი გამოვყო.

ერთი დეტალი გამახსენდა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქუთაისს რაღაც მიმზიდველი ძალა ახასიათებს. ჩვენი ძველი აქტიორები იქ, იმ თეატრალურ ბუდეში უფრო კარგად მუშაობდნენ. „ურიელ აკოსტას“ გავიხსენებ: განა ლადო მესხიშვილმა პირველად ეს პიესა ქუთაისში არ განასახიერა? განა კოტე მარჯანიშვილმა იგივე „ურიელ აკოსტა“ ქუთაისში არ შექმნა და იქიდან არ ჩამოიტანა თბილისში, რომ თეატრალური მაყურებლები გაეგიჟებინა?

უშანგი! ვერიკო! ეს წყვილი მთელი ეპოქაა ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. მაგონდება ერთი სცენა „ურიელ აკოსტადან“— რაბინის საზარელი წყევლა! დგას ვერიკო და ისმენს რაბინის განაჩენს. დგას, მაგრამ როგორ დგას!— თავდახრილი. რაბინის სიტყვების ყოველ აბზაცის დროს, ვერიკოს თავი თანდათან ძირს იხრება, თითქმის იატაკამდე და ბოლოს ერთბაშად, როგორც ვულკანი, აღმოხდება შეძახილი: „სტყუი, რაბინო!“ ჰეშმარიტად ეს იყო მსახიობის დიდი გამარჯვება. არტისტულობის აპოგეია. ვერიკოს ახასიათებს ჰკვიანურად დამუშავებული როლის შეგრძნება და პარტნიორთან საერთო სუნთქვით გამთბარი მიზანსცენები. „ურიელ აკოსტა“ ასჯერ დაიდგა ჩვენს სცენაზე და მე ასჯერვე მაქვს ნანახი... ასეთი შეკრული წარმოდგენა არ ახსოვს ქართულ სცენას:

კოტემ ააგო სრა-ასპარეზი
ჯერ არნახული, ჯერ არსად თქმული,
ნარნარი, როგორც ანჯაფარიძე,
ელვარე, როგორც შუანგის გული.

ვერიკოზე ბევრი ითქვა და უფრო ბევრი დაიწერება. მაგრამ მე მინდა კიდევ ერთი ეპიზოდი გავიხსენო, რადგან დეტალებს დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანობისათვის. ცნობილია, რომ ვერიკოსათვის „პატარა“ და „დიდი“ როლი არ არსებობს და აი,

მაგონდება პიესა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“! მესამე მოქმედება წარმოადგენს კაფე-შანტანს, ვერიკო მოცეკვავის როლს ასრულებს. რამდენი სინარნარე, რამდენი ლერწამტანის ხვეულების მოდულაციები იყო ვერიკოს ცეკვაში ჩაქსოვილი! არ დაიჯერებთ, მე ხშირად ამ ცეკვისთვის დავიარებოდი ამ სპექტაკლზე.

ანდა აიღეთ „გინატრეს“ როლი („ნინოშვილის გურია“). რამდენი ცრემლი დაღვრილა პარტერში ვერიკოს მიერ ამ ტანჯული ქალის როლის შესრულების დროს. 50 წელიწადია თეატრის გიჟი ვარ, და ისეთი სიკვდილი სცენაზე, როგორც ეს ვერიკოს ეხერხება, არ მახსოვს.

ერთი რეცენზენტი გ. მდივნის „პარტიზანების“ წარმოდგენის შესახებ,—სადაც ვერიკო ანჯაფარიძე დრამატიზმით აღსავსე ყირიმელი თათრის ქალის ლეილას როლს ასრულებდა, — სწერდა: „მსახიობი ცდილობს თავის როლს იმაზე მეტი ათქმევინოს, რაც ტექსტით აქვს დაკისრებულიო“. კარგად არის ნათქვამი. ვერიკო, როგორც ნამდვილი მსახიობი, სცენაზე ცოცხლობს, მას არა აქვს ცარიელი ადგილები, იგი პატარა როლშიაც მთლიანობას ეძებს.

ვერიკო ანჯაფარიძე ქართული თეატრის ჯადოა. მას ახასიათებს ბუნებრივობა და იშვიათი მომხიბლაობა, დიდი ტალანტი და გონივრული გააზრება, არტისტული გზნება, ემოციების ფერადოვნება, სიმართლე

ერთხელ ქუთათური რეცენზენტი დონ-ვალიანი (დავით ავალიანი) ურჩევდა მსახიობ ნუცა ჩხეიძეს — ზეინაბის შემსრულებელს, შეიბრალე შენი ჯანი და ბევრ ენერგიას ნუ ხარჯავ „ღალატის“ უკანასკნელ მოქმედებაშიო. მე მაშინ ეს „რჩევა“ სასაცილოდ მეჩვენა... დღეს კი, როცა ვერიკოს სცენაზე ვხედავ, მეც იმ რეცენზენტის მდგომარეობაში ვვარდები; პარტერში ვფიქრობ ხოლმე: რა იქნება ვერიკომ, როცა იგი შეყვარებული ქალის როლს ასრულებს, მცირე დოზით შეამციროს ენერგიულობა და თავს გაუფრთხილდეს! რა ვიცი, შეიძლება ეს მოხუცი თეატრალის პარადოქსიც იყოს.

ვერიკო ყველას უყვარს. მეც, როგორც მისი ნიჭის თაყვანისმცემელს, არ შეიძლება არ მიყვარდეს. მინდა კი ჩემი იქვნარევი სურვილი ასე ჩავწერო ძვირფას ვერიკოს ალბომში:

მიიღე ჩემი რჩევა ბებრული,
ოქროს საყურედ ყურს შეიყარე:
— იყავი მუდამ შეყვარებული,
მაგრამ ნურავის ნუ შეიყვარებ!

1956 წ.

თბილისის ისტორიისათვის

ლენინის მოედანი

(ისტორიული მიმოხილვა)

ყოველ ქუჩას თავისი ისტორია აქვს. ქუჩაც ადამიანივით ცოცხლობს, იცვლის ფერს, სახეს და ადამიანივით კვდება.

არც ქუჩის სახელწოდებაა შემთხვევითი მოვლენა. ეს სახელწოდება ადამიანს აგონებს იმ დროს, იმ ვითარებას, თუ „რანი ვიყავით გუშინ“ და რა საბაბით დაერქვა ესა თუ ის სახელი ქუჩას, შუკას, ჩიხს, ფოლორცს. ჩვენი თბილისის ქუჩები თავისი შთაგონებით სხვადასხვა დასტებად შეიძლება დაიყოს: ჯელი ქუჩა, ბებერი, უიღბლო, ფეოდალური, რევოლუციური, ტალახის ქუჩა, გლეხის ქუჩა, პოლიციის ქუჩა და სხვ. ყოველ ქუჩას თავისი მოგონება აქვს...

ქუჩის ისტორიული სახელწოდება ხშირად ისპობა ქუჩასთან ერთად. რამდენი ქუჩა აღიგავა „პირისაგან მიწისა“, რამდენმა დაჰკარგა თავისი პირვანდელი სახე და მათი წარსულის შესახებ არაფერი ვიცით...

რატომ არ შეიძლება დაიწეროს წიგნი: „თბილისის ქუჩები ისტორიული თვალსაზრისით?“

„ლენინის მოედანს“ ერთ საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს...

პირველად მას „შტაბის მოედანს“ უწოდებდნენ, „ერევნის მოედანი“ დაერქვა 1828 წელს პასკევიჩის მიერ ერევნის ციხე-სიმაგრის აღების გამო. პასკევიჩს მიეცა ტიტული: „პასკევიჩ-ერივანსკი“, ხოლო თბილისის ერთ გაშლილ ადგილს სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით 1828 წელს 23 თებერვალს „ერევნის მოედანი“ დაერქვა. ხოლო რუსეთიდან ჩამოსული სტუმრების წერილებში, ეს ადგილი მოხსენებულია, როგორც „შტაბის მოედანი“. 1917 წლიდან (მეფის ჩამოგდება, მარტი) ამ მოედანს სახელი შეეცვალა და „თავისუფლების მოედანი“ ეწოდა, შემდეგ — „ამიერკავკასიის მოედანი“ და სხვ. ამ ჟამად დამკვიდრებულია „ლენინის სახელობის მოედანი“.

ძველად ქალაქის ცენტრად ითვლებოდა ეგრეთ წოდებული „კლდის უბანი“ (თათრის მოედნის ზემო ნაწილი ფეთხაინამდე), ანჩის-ხატის გარემო და სალაყბო. ამ „სალაყბოს“ ჯერ, „ბატონის მოედანს“ ეძახდნენ, მერე „თავრიზის მოედნად“ გადანათლეს, შემდეგში ეწოდა: „გუბერნატორის მოედანი“, მერე „ეგზარხოსის მოედანი“, „ბებელის მოედანი“ და სხვ. უფრო ღირსეული კი იქნებოდა მას ერეკლეს მოედანი რქმეოდა.*

ერევნის მოედნიდან იწყებოდა გარეთუბანი, რომელიც ბუნებრივი ტევრით და შესანიშნავი ნუშის ხეივნებით იყო დაფარული.

პიონერთა სასახლე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე მთავარმართებლის სასახლედ ითვლებოდა, აშენდა 1818 წელს არქიტექტორ ბრაუნშმილერის პროექტით.

თბილისს, ამ ერთ-ერთ უძველეს, 15 საუკუნოვან დედაქალაქს, ხომ უნდა ჰქონოდა ერთი დიდი საასპარეზო ადგილი და ასეთ ადგილად ითვლებოდა ყაბახი (ყოფილი სასაფლაო, ყოფილი ალექსანდრეს სახელობის ბაღი, ამჟამად კომუნარების ბაღი).**

როცა მეფის ბიუროკრატიამ ფეხი შემოდგა ჩვენში და განმტკიცდა, მან თავის სამყოფელად გარეთუბანი აირჩია და რამდენიმე სახელმწიფო შენობა ააგო.

მოისპო ყაბახი და მის ადგილას ბაღი გაშენდა (1859 წ.), მოისპო სასაფლაო, რომელიც ყაბახს გვერდით ერტყა და ვერაზე იქნა გადატანილი (სხვათა შორის, ჩვენი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის 1838 წლის წერილში სწორედ ამ ვერის ახალ სასაფლაოს იგონებს, სადაც ამ ჟამად კიროვის სახელობის მშვენიერი ბაღია გაშენებული). „გოლოვინის პროსპექტი“, რომელსაც მოგზაურები ნევის პროსპექტს ადარებდნენ,—გალამაზდა და მაღალი შენობებით შემჭიდროვდა. სადღა იყო ის მიჯრით მიყრილი სახლები, რომლის ერთი ბანიდან მეორე ბანზე შეიძლებოდა გადასვლა ძველ თბილისში?!

გარეთუბანს გავხედე,
სადღა არის ჭოხმახი,
პალატები დაუდგამთ
უცნაური, ახმახი;

---

* ეს წერილი დაწერილია 1934 წელს (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1934 წ., № 23), ამჟამად ბებელის მოედანს მართლაც „ერეკლეს მოედანი“ ეწოდება.

** ძველ ყაბახს ალექსანდრე მესამის სახელი ეწოდა, როცა იგი თბილისს ეწვია და ყაბახში თავისი ხელით ხე დარგო (პოტტო).

ენახე ყველა დიდკაცობს,
ვისაც ედგა თაბახი:
ფაეტონით შემომხვდა
კარაპეტა დაბაღი.
მე რაღა ვარ თავადი?
ცარიელი ტრაბახი.
დაბლა გადავიხედე,
სადღა არის ყაბახი;
სადღაა სავჯირითო,
სავარჯიშო ცხენისა,
იქ ბაღი სჩანს ლამაზი
აქაური თემისა!

ასე მოსთქვამდა რაფიელ ერისთავის პიესის გმირი თავადი იორამ.

ოცდაათიან წლებში თბილისში სულ თერთმეტი მოედანი იყო: ყველაზე კარგ ადგილად „ერევნის მოედანი“ ითვლებოდა. მაგრამ სრულიად მოუელელად და უყურადღებოდ იყო მიგდებული, ალბათ იმიტომ, რომ „ერევნის მოედანი“ გარეთუბნისა და შუაბაზრის (და არა „სომხის ბაზრის“) საზღვარს წარმოადგენდა და მისი არემარე ჯერ კიდევ აზიურ ელფერს ატარებდა. პუშკინის ქუჩაზე მეფობდნენ ჩაიხანები და მიკიტნის დუქნები, სადაც ყომარი და სხვა აზარტული თამაშობანი იყო გავრცელებული. პუშკინი სწორედ აქაურ ერთ ტრაქტირს იგონებს, სადაც ბინა დაიდო და ცუდი სადილი მიირთვა. ქუჩებში საზანდარი თავისუფლად მღეროდა ქალაქურ მუსტაზადებს, ერთ მხარეს ჯამბაზი გადიოდა თოკზე, მეორე მხარეს ცნობილი აბელა იდგა ოჩოფეხებზე და ხალხს აცინებდა. პოლიცია, რომელიც შესდგებოდა ჯარში ნამყოფ ინვალიდებისაგან, ყურსაც არ იბერტყავდა ქალაქში წესრიგის დასაცავად. თვით „ერევნის მოედნის“ შუაგულში კი გამართული იყო ბაზრობა. რა არ იყიდებოდა აქ, მწვანილი და ფართალი, ავეჯი და ოთხფეხი საქონელი, ქათიბი და მუნდირი, შეშა და თივა, „ყარამანიანის“ პორტრეტები და, ასე წარმოიდგინეთ, ბუკინისტური წიგნებიც. ერთი სიტყვით ვისაც ფული ჰქონდა, შეეძლო ცარიელ-ტარიელი მოსულიყო, ჩაეცვა, დაეხურა და ცხენშეკაზმული გაბრუნებულიყო (იხ. კრებული „კავკაზ“, 1847 წ.).

ასეთი ორომტრიალი, ასეთი ხათქახუთქი, ასეთი სხვადასხვა ჯურის ხალხი არც ერთ ბაზარს არ ახსოვს. ერთი პეტერბურგელი ჟურნალისტი ადარებს „ერევნის მოედნის“ ბაზრობას პეტერბურგის ასეთსავე ბაზარს და ჰიპერბოლურად დასძენს: „პეტერბურგის ბაზარი წვეთია ზღვაში, ხოლო თბილისის ბაზარი ზღვაა წვეთში“-ო.

ასეთი იყო „ერევნის მოედანი“ ცარიზმის დამკვიდრების პირველ წლებში. უჩვეულო ბაზარს ზედ ერთვოდა ჰუქყი, ტალახი და ადვილად წარმოსადგენია ამ მოედნის ანტისანიტარული მდგომარეობა.

ქვაფენილები, ე. ი. ქვებით მოკირწყლული ქუჩები, ცოტა მოგვიანებით გაჩნდა, ნამტვრევი წვეტიანი ქვები ისე უშნოდ იყო მიყრილ-მოყრილი, რომ ადამიანს მეტად უძნელდებოდა მასზედ სიარული...

1837 წელს, ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლის გამო, გ. ი. ზუბალაშვილის სახლში (რომელიც 1837 წელს სამღვდელოებამ შეიძინა და 1840 წელს სასულიერო სემინარია გახსნა)*, თავადაზნაურობამ ამ ხელმწიფეს ბალი (შეჯლისი) მოუწყო... სწორედ ამ დროს დაუშინა კოკისპირულმა წვიმამ და ქუჩები ისე ატალახიანდა, რომ ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადასვლა შეუძლებელი გახდა; რა უნდა ექნათ დაპატიჟებულ სტუმრებს? ბალზე დასწრება სიცოცხლედ უღირდათ! დაიქირავეს კურტნიანი მუშები და ასე ხელში აყვანილები გადაყვანილ იქნენ მეორე მხარეს („კავკაზი“, 1894 წ.. № 52).

როცა მ. ს. ვორონცოვის (1782—1856) თბილისში ჩამოსვლის შემდეგ (1845, 25 მარტი) თეატრის შენობის აგების იდეა დაიბადა, ასეთი შენობის ასაგებად ამორჩეულ იქნა „ერევნის მოედანი“, როგორც ყოველმხრივ მოხერხებული ადგილი (მანამდე რუსული წარმოდგენები იმართებოდა სასახლის გვერდით, მთავარმართებლის ყოფილ თავლაში, რომელიც თეატრის ასპარეზად იყო გადაკეთებული).

„არქეოგრაფიულ აქტებში“ მოყვანილია მთელი ისტორია და მიწერ-მოწერა ამ თეატრის ირგვლივ: სახელმწიფოს არა ჰქონდა ისეთი ბიუჯეტი, რომ თეატრის ასაგებად თანხები დაებანდებინა. სოლოგუბის თქმისა არ იყოს, მთავრობას სურდა თეატრი აგებულიყო „სავაჭრო დუქნების ქირის ხარჯზე“... პირველად ვორონცოვმა მიმართა „დახურული ბაზაზხანის“ ვაჭრებს და სთხოვდა თეატრის ასაგებად ამხანაგობა შეეედგინათ და ყველას შესაფერი ფული გაეღო. თეატრი უნდა აშენებულიყო „ერევნის მოედანზე“. შენობა უნდა ყოფილიყო ორსართულიანი, შიგ თეატრი. გარ-

* პლატონ იოსელიანის სიტყვით, ვიდრე ზუბალაშვილი გაჩნდებოდა, ძველად აქ ყოფილა 80 ოთახიანი დიდი ქარვასლა, სადაც სოვდაგრები ისვენებდნენ... იმავე იოსელიანის სიტყვით ეს ქარვასლა მზითვად მოჰყოლია დავით ბატონიშვილის ცოლს, მდიდარი სომხის შვილს.

შემო კი მაღაზიები. ამ მაღაზიებში თვით ბაზაზხანის მოვაჭრენი იქნებოდნენ, ან შეეძლოთ გაექირავებინათ თავიანთ სასარგებლოდ, ხოლო თეატრი თავის შემოსავლით ქალაქის საკუთრებად უნდა დარჩენილიყო.

ბაზაზებმა (მეფართლეებმა) ეორონცოვს უარი შემოუთვალეს: ჯერ ერთი, ზედმეტი ფული არ გაგვაჩნია, რაცა გვაქვს, ისიც აღებ-მიცემობასა და საქონელში გვაქვს დაბანდებული, და მეორეც—ძველი თბილისიდან ზევით ამოსელა ჩვენი საქმე არ არის, აქ შეჩვეული მუშტრები გვყავს და გაკოტრებისა გეეშინიაო.

მაშინ ვორონცოვმა მიმართა დოვლათიან კერძო პირებს. ამათში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი გაბრიელ თამამშევი, რომელმაც ისურვა ეაჭრობისა და ხელოვნების „შეერთება“ და თავს იდვა ერევნის მოედანზე სამსართულიანი დიდი შენობის აგება.

ზ. ჭიჭინაძის სიტყვით: „ის ალაგი, სადაც თამამშევმა ქარვასლა ააგო, ძველად ეკუთვნოდა ესტატე ციციშვილს, რომელმაც ორ დოშათ და ორი კაცის საკაბეთ გაყიდაო“ (იხ. გაზ. „საქართველო“, 1915 წ., № 81). ერთი სიტყვით შეიკრა პირობა, შეადგინეს ხელშეკრულება და შენობის აგებაც დაიწყეს...

სათეატრო შენობა, რომელიც ქარვასლაში იყო მოთავსებული, შენდებოდა ოთხ წელიწადს (1847—1851), თუმცა პირობის ძალით სამი წლის განმავლობაში უნდა გათავებულიყო. ერთი წლით გაგრძელებას იმან უფრო შეუწყო ხელი, რომ საძირკველი იშლებოდა იქ ჩამდინარე ხევის წყლის გამო და საჭირო იყო ერთხელ აშენებული ფუძის ძირიანად ამოგდება, ნიადაგის გამყარება, ქვიტკირიანი კედლის უფრო ღრმად ამოყვანა, რომ სოლოლაკის ღრანტე ხევიდან მოვარდნილ წყალს შენობისათვის ზიანი არ მიეყენებინა.

ამ ხევს ეწოდებოდა „ავანაანთ ხევი“.* ძალიან ღრმა და განიერი ხევი იყო. ერთხელ შიგ „ტაჩკა“ ჩავარდა ცხენით და მუხრან ბატონის ბორანთან ამოჰყო თავი (ხიდი ჯერ არ იყო აშენებული). ასეთი ამბავი ხშირად მეორდებოდა: 1850 წელს გაზეთ „კავკაზში“ ვკითხულობთ: „26 იელისს, ნაშუადღევის 5 საათზე თბილისში ჩავიდა კოკისპირული წვიმა, წყალმა სოლოლაკში მოიტაცა ძროხა, გაატარა ერევნის მოედნის ქვეშ გაყვანილ ვეებერთელა ხერელში და ჩაიტანა მუხრანის ხევთან“ (1850 წ., 28 იელისის ნომერი).

---

* გაზ. „ივერია“ ამ ხევს „არხს“ უწოდებდა: „მოემხადე, სოლოლაკის არხიხ ქვეშ ჩავიდეთ“ (ორ-ანი [ა. ახიზაროვი] „ივერია“, 1892 წ., № 65).

ეს ხევი იწყებოდა სოლოლაკის ყელიდან (ამაღლების ეკლესიის ტერფი, ამჟამად დავითაშვილის ქუჩა). სჭრიდა გუდოვიჩის (ჯონჭაძის), რტიშჩევის (ჯაფარიძის), პასკევიჩის (მახარაძის), სერგიევის (მაჩაბლის) დაუსახლებელ ქუჩებს, გზას იკაფავდა ერევნის მოედნისკენ და ჩადიოდა მტკვარში მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდის ქვეშ.

ერევნის მოედნის შუაგულში მშვენიერი აუზი ყოფილა გამართული, სადაც ლამაზი შადრევანი სჩქეფდა... იქ, სადაც ახლა აღმასკომის შენობაა, ძველად საპოლიციო ნაწილიც მდგარა. შადრევანი ქალაქის პოლიციის წინ ამოდიოდა თურმე.*

„ცისკრის“ თანამშრომელი მ ო ლ ა ყ ბ ე (მ. ბ. თუმანიშვილი) ასე აგვიწერს „ერევნის მოედანზე“ მოფუსფუსე ხალხს: „...დღე არის ზამთრიანი, მზე ჯერ კიდევ მაღლაა სოლოლაკის თავზე... ე ე ბ ა შ ა დ რ ე ვ ა ნ ი პ ო ლ ი ც ი ი ს წ ი ნ ა გ ე ბ უ ლ ი, თითქოს იყოსო მართლმსაჯულების წყარო: არ ასმევს არავის თავის წყალს—ყინვისაგან შეკრულა. მარჯვნივ, თამამშევის ქარვასლის წინ, გახვეულნი ბეწვიან პალტოებში, მიმოვლიან მცხოვრებნი გრძელ და განიერ ქვის ფილაქანებზე“ („ცისკარი“, 1858 წ., № 1, გვ. 16).

აქედან ჩანს, რომ „ერევნის მოედანზე“ აუზის გარდა პოლიციის შენობაც ყოფილა დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ამჟამად თბილისის საბჭოა, იქ, სადაც ძველად კოჯრის კარი იყო მეფეთა ბაღებით გარშემორტყმული და ლეღვის ხეებით და შირაზის ვარდებით დამშვენებული.

როგორც ჩვენს ხელთ არსებულ მასალებიდან ირკვევა, „ერევნის მოედნის“ ბაზარი თამამშევის ქარვასლის აგებით არ მოსპობილა (1847 წ.). ეს ბაზარი ამ შენობას მეორე მხრიდან ამოსდგომია გვერდში, სწორედ აქ, სადაც ამჟამად პუშკინის სახელობის ბაღია. ეს ადგილი „ერევნის მოედნის“ ჩამონათალ ბაზრად იყო ცნობილი. ეს ნახევარი მოედანი, თუ შეიძლება ასე ითქვას,—იმით განსხვავდებოდა „ერევნის მოედნის“ ვრცელ ბაზრიდან, რომ აქ ხალხის გასართობად ბალაგანებიც იყო გამართული. ეს მეორე ბაზარი 1885 წლამდე არსებულა, შემდეგ გადაუტანიათ ვერაზე, ამის გამო ივანე მაჩაბლის „დროებაში“ შემდეგსა ვკითხულობთ:

---

* ერევნის მოედნის შადრევანი გაკეთდა 1851 წელს, წყალი გამოყვანილი იყო სოლოლაკის წყაროებიდან. მეორე შადრევანი თბილისში გაკეთდა 1862 წელს ალექსანდრეს (კომუნარების) ბაღის ზემო ნაწილში, სწორედ იქ, სადაც ამჟამად სამხატვრო გალერეიაა აშენებული. აქ მტკვრის წყალს მანქანებით ჭაჩავდნენ.

„გუშინ წინ, 23 ივნისს, „ერევნის მოედნიდან“ ბაზარი ვერაზე გადაიტანეს. მოვაჭრეებს ყაზახები ძალისძალათ ერეკებოდნენ. ურმები და პოეოსკები რომ გარეკეს ვერაზე, ეს კიდევ ჰო, მაგრამ კვერცხების, ქათმისა და მაწვნის გამყიდველებიც რომ თან მიაყოლეს, ეს კი ვერაფერია... სოლოლაკში მცხოვრებელს ერთი ჭილა მაწონი რომ უნდოდეს, ვერაზე უნდა წავიდეს“ („დროება“, 1885 წ., № 134).

როგორც ჩანს, ქალაქის გამგეობას ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და ბაზარი მოუწყვიათ „იარმუკაზე“, მუხრან-ბატონის უზარმაზარი შენობის შიდა ნაწილში (იქვე, № 184).

მართალია, „მუხრანსკის შენობის“ ადგილას ამჟამად ბაღია გაშენებული, მაგრამ ბაზარი ამ არემარეს დღევანდლამდე არ გასცილებია... აქ იყიდებოდა მხოლოდ სურსათ-სახოვაგე. ხოლო ძ ვ ე ლ მ ა ნ ე ბ ი ს სავაჭროდ (ისიც კვირაობით) ღარიბმა ხალხმა აირჩია ყოფილი ალექსანდრეს ბაღის ქვემო ნაწილი, ხაზინის წინ, სადაც 1901 წელს აფრიალებულ იქნა საპირველმაისო დროშა. ამ არემარეს ეწოდებოდა „სალდათის ბაზარი“.

მაგრამ დავუბრუნდეთ თეატრს.

„ერევნის მოედანზე“ აგებულ თეატრს ახსოვს ბევრი კარგი სახელები... აქ იყო იტალიური ოპერა, ვოდევილების რუსული დასი, დრამა, ბალეტი და, ასე წარმოიდგინეთ, ხანდახან ქართული წარმოდგენებიც კი იმართებოდა. (პირველი ქართული წარმოდგენა — „გაყრა“ — გაიმართა კეთილშობილთა სასწავლებელში 1850 წ. 2 იანვარს).

თვითმპყრობელი მეფის მოადგილის მ. ს. ვორონცოვის ახრი იყო, რომ თეატრის და საერთოდ „კულტურული“ საშუალებით ქართველები (იგულისხმება მაღალი წოდება) „მოერჯულებინა“, რათა მათ აჯანყებაზე „აღარ ეფიქრათ“... ამას ვორონცოვი აშკარად აღიარებს რუსეთის თეატრების დირექტორ გედეონოვთან მიწერილ წერილში.

„ქართველი ხალხის „მოსათვინიერებლად“ ვორონცოვი ფართოდ იყენებდა ისეთ საშუალებებს, როგორიცაა სკოლა, თეატრი, პრესა, მეცნიერება, ეკლესია და სხვა. მისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ ვინ იქნებოდა ეროვნებით (რუსი თუ ქართველი), სახელმწიფო მოხელე, მასწავლებელი, არტისტი, ეკლესიის მსახური, მისთვის მთავარი იყო ის, რომ ამ მოხელეს, მასწავლებელს, არტისტს, ეკლესიის მსახურს, გაეკეთებინა ცარიზმის საქმე: ყველგან და ყველაფერში თვითმპყრობელობის სული ყოფილიყო და ამავე დროს არსად ხელისუფლების დასაყრდენი

ძალის—მაღალი წოდების—ინტერესები არ შელახულიყო. ამიტომ ვორონცოვს დასაშვებად მიაჩნდა სახელმწიფო დაწესებულებაში ქართველ მოხელესაც ემსახურა, ეკლესიაში ქართველ მღვდელსაც ეწირა, პრესასა და მწერლობაში ქართველ ლიტერატორს თუ პუბლიცისტს მონაწილეობა მიეღო, თეატრში ქართველი მსახიობი გამოსულიყო და ამ თეატრს ქართულ ენაზე დაედგა პიესები, სკოლაში ქართველ მასწაულებელს ესწაულებინა და სხვა, ოღონდ იმ პირობით კი, რომ ყველაფერი ეს მთავრობის მიზნებისა და ექსპლოატატორული კლასების ინტერესთა სასარგებლოდ ყოფილიყო მიმართული" (პროფ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, „რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში", გვ. 112).

ბობოლა მოხელე არ შემცდარა!

ვორონცოვის პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო. ქართველ თავადაზნაურობას, სამღვდელოებას და ვაჭართა კლასს, რომელთათვისაც ვორონცოვი ზრუნავდა, სრული საფუძველი ჰქონდათ მთავრობის კმაყოფილნი ყოფილიყვნენ. საქართველოს თავადაზნაურობამ ვორონცოვის დროს სავსებით დაივიწყა ის შეურაცხყოფა, რომელიც მას მთავრობამ მიაყენა პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევით და რომელიც ამ თავადაზნაურობას აიძულებდა წარსულში (ვორონცოვამდე) მონაწილეობა მიეღო მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებაში (იქვე).

ჩვენი მაღალი წოდების წარმომადგენელნი ერთმანეთს ეცილებოდნენ მთავარმართებლის ლოჟის გვერდით ადგილის დაკავებას, რომ თეატრში მყოფთ დაღესტნიდან გამოქცეული ჰაჯი-მურადის ბრწყინვალე დოლბანდი უფრო ნათლად დაენახათ.

მახვილგონიერი მ ო ლ ა ყ ბ ი ს გამოთქმით, ყველა „ოპერის სნეულებით" იყო შეპყრობილი... „აქეთ-იქიდან ისმოდა მხოლოდ სახელები როსსინისა, ბელლინისა, დონიცეტისა, ვერდისა და ასე გასინჯეთ ვაგნერისაც... არ ვიცოდი რა მექნა,—განაგრძობს მოლაყბე,—მეგონა რომ ვიყავ არა გორგასლანის ქალაქში, არამედ მილანში, ანუ ვენეტიკაში. შემხვდა ერთი ჩადრიანი ყმაწვილი ქალი, რომელიც მოდიოდა და იძახოდა: თქვენი ბელლინის მზეს, ჩადრზე ფეხი არ დამიდგათო; ახლოს ქუჩიდან ჩამორბოდა ერთი იმერელი მუშა და დასძახოდა: „ფიგარო აქა, ფიგარო იქა, ფიგარო ზევით, ფიგარო ქვევით!" ასე სულ გადარეულან, ყველას მოსდებია ოპერის რაღაც სნეულება. პატარა ბიჭების კივილმა „ლადონა მობილეს" ხმაზე ხომ ილაჯი წაიღო"... (იხ. მიხ. თუმანიშვილის „თხზულებანი", გვ. 49).

„ერევნის მოედანზე" აშენებული თეატრი ულამაზესი და საო-

ცარი რამ ყოფილა. იგი აგებულ იქნა ცნობილ ხუროთმოძღვარ სკუდიერის მიერ (შთამომავლობით იტალიელი იყო), რომელიც შემდეგში თბილისის სობოროს აშენების დროს მოჰყვა ჩამონგრეულ კედლებს ქვეშ და დაიღუპა (1851 წ., 5 ივლისს).

თეატრის დარბაზი დახატული იყო გაგარინის მიერ მაერიტანულ ყაიდაზე. ათასთვლებიანი ძვირფასი ჭაღი, რომელიც პირდაპირ საზღვარგარეთიდან გამოიწერეს, ზღაპრულ სხივთა ძნას აფენდა მოოქროვილ თეატრის იარუსებს და რაღაც ჯადოსნური სილაზათის შთაბეჭდილებას სტოვებდა თვით უცხოელებზედაც... ალ. დიუმა, რომელიც 1859 წელს ეწვია თბილისს, აღფრთოვანებით იგონებს „ერევნის მოედნის" თეატრს და სხვათა შორის ამბობს: „ჩემი სიცოცხლის მანძილზე თითქმის ყველა თეატრი მინახავს, მაგრამ თბილისის თეატრი კი თავისი სილამაზით არც ერთი ქვეყნის თეატრს არ შეედრებაო" (იხ. მისი წიგნი „კავკაზ", ტ. II, გვ. 440).

სცენის ფარდაზე მხატვრული ფერადებით გამოხატული იყო ერთის მხრივ რუსეთი, მეორე მხრივ საქართველო: რუსეთი თავის ნევით, კრემლით, რკინიგზებით, ხიდებით, ხომალდებით; საქართველო კი—ქამარ-ხანჯლით, ყანწებით, ჭიანურებით, ვენახებით, ცეკვით. ამით ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ რუსეთს ცივილიზაცია შემოჰქონდა ახლად შეერთებულ საქართველოში!

1874 წელს, 11 ოქტომბერს „ერევნის მოედნის" მახლობლად დიდი ჩოჩქოლი ატყდა. ამ საღამოს თეატრში უნდა დაედგათ „ნორმა". არტისტებს უკვე გრიმი ჰქონდათ გაკეთებული, რომ უცბათ ქარვასლის შენობაში გაჩნდა ცეცხლი, პირველი ალი ამოვარდნილა ყაზაროვის მაღაზიიდან. ეს ყველას უკვირდა, რადგან მაღაზიები ადრე იკეტებოდა და, მთავრობის განკარგულებით, არასოდეს სანთელანთებულნი არ ვაჭრობდნენ (იხ. „ტიფლისკი ვესტნიკ", 1874 წ., № 100).

როგორც გამოძიებამ დაამტკიცა ქარვასლის ვაჭრებს მაინცა და მაინც როდი ეპიტნავებოდათ სავაჭრო სახლის შუაგულში თეატრის არსებობა! თურმე გაკოტრების მიზნით ვინმე ყაზაროვს (საბუთებში „ლაზარევადაც" სწერია) თავის სავაჭროში შუქი განზრახ დაუტოვებია... „გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ცეცხლი თამამშევის ქარვასლას თავისით ან შემთხვევით არ გასჩენია, ზოგიერთმა გარემოებამ და მოწმეების ჩვენებამ დაარწმუნა გამომძიებელი,

რომ ამ საქმეში ვაჭარი ი. ლაზარევი უნდა ყოფილიყო დამნაშავე" („დროება", 1874 წ., № 450).

სასამართლომ ლაზარევს (თუ ყაზაროვს) „განჩინება" გამოუტანა და მიესაჯა ცხრა წელიწადი კატორღაში მუშაობა და შემდეგ სამუდამოდ ციმბირში გადასახლება.

ცეცხლისმჭრობელი რაზმი, რომელიც ალმოდებული შენობის პირდაპირ იყო დაბანაკებული, მაშინვე გაჩნდა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ შესაფერი ხელსაწყო იარაღი: ორი კასრი და ორი მილი რა წამლად დაედებოდა იმოდენა შენობას! ამასთანავე ერთი მილი მაშინვე გაუფუჭდათ, ხოლო სახანძრო კიბე სრულიად არ აღმოაჩნდათ. „ერევნის მოედნის" შუაგულში მოთავსებულ აუზში ცვარი წყალი არ იდგა და მეხანძრენი იძულებულნი გახდნენ პოლიციის საშუალებით მოერეკათ თბილისის თულუხჩები და მტკვრიდან წყალი ამოეტანათ. მართლაც თულუხჩებმა ძალიან გამოიდეს თავი, მთელი 16 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ეზიდებოდნენ მტკვრის წყალს.

„ერევნის მოედანთან" უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, რიგი სეირის საყურებლად მოსულიყო, რიგი ახლომახლო მდებარე სახლებს დარაჯობდა, რომ ცეცხლი არ გადასდებოდა; გრიმგაკეთებული არტისტები გარეთ გამოცვივდნენ და ზოგი რომაულ ტანისამოსში გამოწყობილი, ზოგიც ნახევრად ტიტველი, მიარბენინებდნენ თავიანთ გარდერობს. თეატრი მთლად განადგურდა. ავეჯი, დეკორაციები, ბუტაფორია და ბიბლიოთეკა ცეცხლის ალმა შთანთქა და მოაოხრა. იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ სიხარული მეფობდა, ახლა მხოლოდ კედლების ჩონჩხებიღა გამოიყურებოდნენ საზარლად. პოეტი გრ. ორბელიანი ასე აგვიწერს ამ ხანძარს: „...დაიწვა თამამშვევის ქარვასლა და მასთან ჩვენი თეატრი, ძვირფასი სახსოვარი კნ. გაგარინის სახელისა, და მხოლოდ იმ ღამეს შევიტყვეთ, რომ თბილისში არ ყოფილა პაჟარნის კამანდა. შეგროვდა მრავალი ხალხი და მწუხარებით შეჰყურებდა, როგორცა ადიოდა ალი ვარსკვლავებამდის..." (წერილი ნიკო ჭავჭავაძისადმი. ინახება ზუგდიდის მუზეუმში). მეხანძრეთა აპარატს აუგად იხსენიებს თბილისის რუსული გაზეთიც („ტიფლისკი ვესტნიკ", 1874 წ., № 101, 102).

დამწვარი თეატრის აღსადგენად ორი წლის განმავლობაში ლაპარაკობდნენ პრესის ფურცლებზე, მაგრამ თავი ვერ მოაბეს საქმეს—რა პირობებში უნდა აშენებულიყო ახალი თეატრი. ამ თაობაზე ქალაქის გამგეობამ საგანგებო კომისიაც გამოყო ქარვასლის მეპატრონეებთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ თამამშევმა კა-

ტეგორიული უარი განაცხადა: ქარვასლაში თეატრს აღარ ავაგებთო!

შეუდგნენ სხვა ადგილის ძებნას... გამონახეს კიდეც და:

დიდი ლოდინის შემდეგ, დღევანდელი ოპერის თეატრი პირველად გაიხსნა 1896 წლის 3 ნოემბერს.

უნდა ითქვას, რომ ვიდრე ოპერის თეატრის აგების სამზადისს შეუდგებოდნენ, თბილისი დიდხანს იყო უთეატროდ დარჩენილი. ანგარიშში არ ჩაიგდება ის ორიოდე საქველმოქმედო საღამო, რომელიც, გაზეთ „დროების“ სიტყვით, „ერთ უშნო და გრძელ დარბაზში“ იმართებოდა, ეგრეთ წოდებულ „მუსიკალურ დარბაზში“ (1876 წ., № 20). მართალია, „ინჟინერთა ბაღში“ უკვე არსებობდა საზაფხულო თეატრი, რომელიც თამამშევის თეატრის დაწვამდე 4 წლით ადრე აშენდა—1870 წელს, მაგრამ ეს „ჩინებული სათეატრო სახლი“ („დროება“, 1870 წ., № 28) არ წარმოადგენდა რთული პიესების დასადგმელ კერას. ეს იყო პატარა ფიცრული, მდებარე მტკვრის პირას, „პატარა სატიოს“ არემარეზე.

შემდეგში, რადგან საქმე მომგებიანი იყო, გაჩნდნენ ანტრეპრენიორებიც და დიდი თეატრის შენების მოლოდინში, აქ გაშალეს კარავი, ე. ი. თეატრი გადააკეთეს, გააფართოვეს, გააზამთრეს და, წარმოიდგინეთ, ამ „დროებითმა“ თეატრმა დიდი სახელიც მოიხვეჭა შემდეგში.* რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში და ამ ომის დამთავრების შემდეგაც, თბილისში ბევრი სამხედრო პირი ტრიალებდა და ამ ხალხს გართობა უნდოდა. ცნობილი პალმი (მამა) მოევლინა თეატრს ანტრეპრენიორად და ხალხს ტყავს აძრობდა. ქართულ წარმოდგენებს მაინცა და მაინც არა სწყალობდა...

სწორედ ამ თეატრში დაიდგა პირველად 1882 წელს, 20 იანვარს ცნობილი პიესა „სამშობლო“, რომელმაც დიდი პატრიოტული აღტყინება გამოიწვია ქართველებში, ხოლო აუგი—შავრაზმელების ბანაკში (იხ. ილიას შესანიშნავი „პასუხი კატკოვისადმი“).

ასე დამთავრდა პირველი პერიოდის თეატრის ისტორია ჩვენში.

ასე დაიწვა და დაიფერფლა „ერევნის მოედანზე“ აგებული დიდი თეატრი, რომელიც 23 წლის განმავლობაში ავრცელებდა ბურჟუაზიულ კულტურასთან ერთად, ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას საქართველოში!

---

* როგორც ირკვევა, ამ თეატრში მიკროფონიც ყოფილა მთავრობის სასახლესთან შეერთებული. აი, ცნობა: — „На сцене казенного театра установлены микрофоны соединенные при посредстве телефонной станции с дворцом. Результаты опыта с оперой „Аида“ были удачными“ („Артист“, № 32, 1893 г. стр. 224).

*

დღეს ამ მოედანზე ლაღად დანავარდობს თვალი, ის ქარვასლა ყი, რომელიც ჩვენს თაობას ახსოვს, და რომელიც 1934 წელს ნოემბერში აღებული იქნა, ძველი თეატრი კი არ იყო, არამედ დამწვარი ნანგრევებისაგან უშნოდ შეკეთებული სავაჭრო სახლი. ეს შენობა მურმანის ეკალივით იყო ამოსული დედაქალაქის შუაგულში და ჰკუმშავდა თბილისის ირგვლივ გაფეხილ წარმტაც სანახებს. დღეს „თამამშევის ქარვასლის“ ნაცვლად კვლავ გაშლილი ადგილია, მაგრამ არა ვაჭრული და ბაზრული სურნელებით მოშხამული, არამედ კოკრის ანკარა მზით აელვარებული და ჟკაკი წერეთლის შუბლივით გადაშლილი.

ჩვენმა ქალარა თბილისმა ამ მოედნის სახით შეინარჩუნა მეტად ორიგინალური განსაკუთრებული ეშხი და კოლორიტი.

მოედანი მთლიანად ასფალტირებულია. მის გარშემო ლამაზად აშენებულ მრავალსართულიან სახლთა რკალია შემოვლებული, ეს ადგილი ასევე კრიალა და სუფთა ქუჩებით უერთდება ჩვენი დედაქალაქის დანარჩენ ნაწილებს. ხოლო მის გვერდით პუშკინის სახელობის კოხტა სკვერია... ამ ბაღში სემინარიის მოწაფეები საუბრობდნენ პოეზიის, მეცნიერების და პოლიტიკის ურთულეს საკითხებზე. არალეგალურ ლიტერატურაში წაკითხულ აზრებს უზიარებდნენ ერთმანეთს. აქ ლაპარაკობდნენ ისინი ლ ე ნ ი ნ ი ს შესახებ.

დიდი წარსულის მქონეა ეს ისტორიული ადგილები. ბევრი რამ ახსოვს პუშკინის ბაღის პირდაპირ ამართულ ყოფილი სემინარიის შენობას [ამჟამად ხელოვნების მუზეუმი].

ეს მრავალსაუკუნოვანი ქალაქის ცენტრალური ადგილი თბილისის გულია, საქართველოს თვალი.

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო
და თბილისი—შიგ ჩასმული ბადახში.

ეს ჩემი ლექსიდანაა!

ამ მოედნის შუაგულში 1956 წლის 21 აპრილს ლენინის სახელობის მოედანზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კომუნისტური პარტიის გენიალური ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლ ე ნ ი ნ ი ს მონუმენტი.

ლენინის მოედანი,—ეს ჩვენი ეპოქის ღირსეული ადგილი,— განახლებული თბილისის სახელი და სიამაყეა.

პუშკინის ძეგლი თბილისში

თბილისიც ემზადებოდა პუშკინის საიუბილეო თარიღისათვის. ჯერ კიდევ 1889 წელს გაზეთი „ივერია" აუწყებდა ქართველ მკითხველებს: „განზრახვა აქვთ თბილისში პატარა ძეგლი დაუდგან რუსის პოეტს ა. ს. პუშკინს. ძეგლი თეთრი მარმარილოსი იქნება, ქვემოთ ოთხი ქვისავე შავი ფიცარი ეკვრება და ამ ფიცრებზედ ზოგიერთი ადგილი იქნება მოყვანილი პოეტის ლექსებიდან, — განსაკუთრებით ისეთი, რომელიც კავკასიას შეეხება. რუსის პოეტს სახსოვარი უნდა დაუდგან სასულიერო სემინარიის პირდაპირ, ერევნის მოედნის ახალ ბაღში. პოეტის ძეგლი უნდა შეუკვეთონ მიუნჰენში მოქანდაკე ოტტო-გაფს, ექვს-შვიდ თვეში მზად იქნება და 1.050 მანეთი დაჯდება ჩამოტანით. ამ ფულის მოსაპოვებლად უკვე ხელის მოწერაა გამართული" („ივერია", 1889 წ., № 264, 12 დეკემბერი). ორი კვირის შემდეგ ამავე გაზეთში ეკითხულობთ: „თბილისის პოლიციის უფროსის კანცელარიაში გაიგეთ, რომ პოლიციის მოხელეებს ამ თვის 29-მდე თბილისში მოუგროვებიათ 2.066 მანეთი პოეტ პუშკინის ძეგლის ასაგებად" (1889 წ., № 279).

ქალაქის თვითმმართველობის „საქმეებიდან" კი ჩანს, რომ პუშკინისთვის ძეგლის დადგმა „უპრაევას" დაუდგენია 1890 წ. 12 აპრილს, მაგრამ ძეგლი მოგვიანებით დადგეს — 1892 წელს, 25 მაისს.

თვით ბაღი რამდენიმე წლით ადრე იყო გაშენებული და ხალხი „ახალ ბაღს" უწოდებდა; „პუშკინის სკვერი" ძეგლის საზეიმო გახსნის შემდეგ დაერქვა.

ძველად ამ ადგილას ბაზარი ყოფილა. ეს ბაზარი ნაშთი იყო იმ დიდი და აურზაურიანი ბაზრისა, რომელიც ცოტა ზევით, „ერევნის მოედნის" შუაგულში იყო გამართული 30-ან წლებში. როცა ვორონცოვის ბრძანებით თამამშევმა მოედანზე თეატრი და ჭარვასლა ააგო (1847 წ.), მაშინ ბაზარი ცოტა ქვევით დასწიეს, სწორედ იქ, სადაც ამჟამად პუშკინის სახელობის ბაღია გაშენებული.

აქ, ვიდრე ბაღი გაშენდებოდა, ბაზრის ხალხის მისაზიდად, იაფფასიანი ცირკის არტისტები ოინბაზობდნენ (ჰ. უმიკაშვილი, „ივერია“, 1899 წ., № 209). ამ უბანს ჩოჩქოლი და ღრიანცელი არ აკლდა. დღე ბაზრობა იყო, სალამოთი — ცირკი. „ერევნის მოედნის“ ეს ბაზარი 1895 წლამდე ბოგინობდა. ამ წლიდან ბაზარი ვერაზე გადაიტანეს.

როგორც „ივერიის“ ქრონიკიდან ჩანს, თბილისში 1893 წელს პუშკინის სახელობის თეატრიც ყოფილა. აი, ეს ცნობაც: „20 ივლისს, ალაევრდის საზოგადოების მცხოვრები ალექსანდრე ლეევანის-ძე ჰ ი ვ ი ნ ა ძ ე, რომელიც პუშკინის თეატრში მსახურობდა, მტკვარში ბანაობდა და დაიღრჩო“ („ივერია“, 1893 წ., № 155).

ამ ქრონიკის წაკითხვის შემდეგ მე დავინტერესდი, სად უნდა ყოფილიყო თბილისში პუშკინის სახელობის თეატრი! მალე გამოვარკვიე, რომ ეს თეატრი მოთავსებული ყოფილა მიხაილოვის ქუჩაზე, იქ, სადაც ამჟამად მაქსიმ გორკის სახელობის ბაღია (პლეხანოვის პროსპექტი, № 65).

პუშკინის სახელობის საზაფხულო თეატრში იდგმებოდა რუსული ოპერეტები მსახიობი ქალის ანტონოვას მონაწილეობით (იხ. ე. „Дневник Артиста“, 1893, № 7). აქ საგასტროლოდ ჩამოდიოდა ეგრეთ წოდებული „მოლოროსიული დასი“, რომლის წარმოდგენებს ქართველი ინტელიგენციაც ხალისით ესწრებოდა. სხვათა შორის, ამ ბაღში იმართებოდა ბანკის ოპოზიციის მომხრეთა („მაჩაბლისტების“) წინასწარი სხდომები... ამ ბაღს პუშკინის სახელი ეწოდა 1892 წელს. ორი წლის შემდეგ ბაღის პატრონმა გადაარქვა პუშკინის სახელი და უწოდა: თეატრი და ბაღი „ფანტაზია“ (იხ. გაზ. „Кавказ“, 1894 წ., № 183. 12 ივლისი. გვ. 3). ხოლო „ერევნის მოედნის“ ბაღს, პოეტის სახელი ოფიციალურად დაერქვა ძეგლის გახსნის დროს, 1899 წელს.

როდის და ვისი ინიციატივით ეწოდა ერევნის მოედნის ჩამდინარე ქუჩას პუშკინის ქუჩა?

1880 წელს, 4 ივნისს მოსკოვში პუშკინის ძეგლი გახსნეს. ამ ამბავს თბილისის გაზეთებიც გამოეხმაურნენ („დროება“, 1880 წ., № 126, 128, 130 და სხვ.). ნიკო ნიკოლაძემ, როგორც ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ხმოსანმა, სხდომას მოაგონა, რომ მოსკოვში პუშკინის ძეგლის გახსნა საზოგადო ხასიათს ატარებს. პუშკინი კავკასიაშიც იყო, მან თავისი ნაწერებით საქართველო რუსეთს გააცნო, ამიტომ ჩვენს მხარეს ევალება ეს დღე შესაფერად აღნიშნოს... წინადადება შემომაქვს,—დაასრულა თავისი სიტყვა ნ. ნიკოლაძემ,—თბილისის ერთერთ ქუჩას, იმ ქუჩას, სადაც

1829 წელს ბინა დაიდო პოეტმა, ეწოდოს „პუშკინის ქუჩა“. სხდომის წევრებმა ერთხმად გაიზიარეს ნიკო ნიკოლაძის წინადადება. და მართლაც ამ ქუჩას დღევანდლამდე ეწოდება დიდი რუსი პოეტის სახელი. ეს მოხდა 1880 წელს (იხ. „Венок на памятник Пушкину“, 1880 წ., გვ. 104). ხოლო პუშკინის ქუჩაზე მდებარე წურინოვის იმ სახლს (ახლა იქ პასაჟის შენობაა), სადაც 1829 წელს ცხოვრობდა რუსეთის დიდი მგოსანი—ქალაქის გამგეობამ სამახსოვრო დაფა მიაკრა 1912 წელს, 27 მაისს.

ახლა გადავიდეთ თბილისის პუშკინის ძეგლის ისტორიაზე.

1899 წელს, ერევნის მოედანზე პუშკინის ძეგლთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ პუშკინის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო, მოეწყო დღესასწაული: ყველა საქალაქო სასწავლებლიდან ათ-ათი მოსწავლე ყოფილა გაგზავნილი ზეიმზე; დღესასწაულს დაესწრო მასწავლებლობა, ქალაქის საბჭოს ხმოსნები, ამქართა წარმომადგენელნი და მგოსნის უამრავი პატივისმცემელი.

თბილისი იყო მეხუთე ქალაქი, სადაც პუშკინის ძეგლი დაიდგა.

ძეგლი მიუნხენში არ შეუკეთიათ, როგორც ამას 1889 წლის გაზეთები აღნიშნავდნენ. პუშკინის ძეგლის პროექტი შეადგინა მხატვარმა ფელიქს ხოდოროვიჩმა თბილისში და დამტკიცდა 1891 წლის 14 მარტს პეტერბურგში. იქვე ვერფელდის ქარხანაში ძეგლისათვის ჩამოასხეს ბრინჯაოს ბიუსტი მას შემდეგ, რაც იგი მხატვარმა ხოდოროვიჩმა გამოძერწა. ძეგლის კვარცხლბეკი ქუთათური წითელი და რუხი ქვისაა. ქვის მთელი სამუშაო შესრულებულია თბილისელი ოსტატის ვინჩენცო პილეჯის მიერ. ბიუსტის სიმაღლე, ძეგლის გახსნის დროის მასალის მიხედვით, არშინ-ნახევარს უდრიდა, კვარცხლბეკისა კი—2 არშინსა და 12 გოჯს. ძეგლის საერთო ღირებულება შეადგენდა 2236 მანეთს.

პუშკინის ძეგლი ააგეს ხელის მოწერით შეგროვებული ფულით. როგორც ჩანს, ძველად ძეგლის დასადგმელად აუცილებელი ყოფილა საზოგადოებაში შემოწირულებათა შეგროვება, ვინაიდან პოლიციური მთავრობა ამნაირ და სხვა საკულტურო ხარჯებს ყოველთვის ერიდებოდა. ასე მოექცნენ გრიბოლ ორბელიანის ძეგლსაც, რომლის ასაგებად 1885 წელს ხელის მოწერა იყო გამართული (ძეგლი უნდა აეგოთ გედევანიშვილის მოდელის მიხედვით).

პუშკინის ძეგლისათვის ფულის შეგროვებას აწარმოებდა პოლიც-მეისტერი როსინსკი, რომლის შესახებაც მრავალი ანეკდოტი დადიოდა ქალაქში.

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულია ერთი ასეთი „ყურმოკრული საუბარი:“

„განსვენებული ივანე კერესელიძე, „ცისკრის“ რედაქტორი, 1850 წლებში ლექსებსაც სწერდა და ხშირად იტყოდა: „მე ქართველების პუშკინი ვარო“. თბილისში სემინარიის პირდაპირ ბაღში დასადგმელ პუშკინის ძეგლისთვის ფულს რომ აგროვებდნენ, ერთ ხნიერ ქართველს სთხოვეს ხელის მოწერა:

— პუშკინი ვინ იყო?

— რუსულ ლექსებს წერდა,—უპასუხეს.

— ჰოო... რუსების კერესელიძე ყოფილა, — და 3 მანეთი გადასცა („ც. ფ.“, 1899 წ., № 827).

ცარიზმის დროს თბილისი ძეგლებით მდიდარი არ იყო. ჩვენში პირველი ძეგლი ვორონცოვს დაუდგეს (1867 წ.); მეორე—პუშკინს (1892 წ.), ხოლო მესამე—ნ. გოგოლს (1903 წ.), მაგრამ ქართველი საზოგადოება, მიუხედავად მეფის რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმისა, მაინც ახერხებდა კულტურის საკითხების გარშემო თავისუფლად დალაპარაკებას. პუშკინის ძეგლის აგებამ ქართველ მოღვაწეებს მოაგონა თავისი სიამაყე შოთა რუსთაველი. და აი, ილია ჭავჭავაძის გაზეთმა თამამად წარმოსთქვა: „შარშან ზაფხულში ძეგლი დაუდგეს რუსეთის გამოჩენილ პოეტს პუშკინს, ახლა კი საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ იფიქროს შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად“ („ივერია“, 1893 წ., № 133).

მაგრამ მაშინ შოთა რუსთაველისთვის ძეგლის დადგმა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

ცარიზმის დროს ეს იყო მხოლოდ ოცნება, განუხორციელებელი ოცნება...

1939 წ.

ბარათაშვილის აღმართი

ისე იცვლება თბილისის ზოგიერთი ქუჩის იერი, რომ ხშირად ვერც კი წარმოიდგენს კაცი, რა სახის ქუჩა უნდა ყოფილიყო ძველად!

ბარათაშვილის (ყოფილი ციციანოვის) აღმართის დასაწყისი ჩუღურეთის გაგრძელებაა (რიყის, ჩუღურეთის და ავლაბრის მიჯნა). პლატონ იოსელიანის სიტყვით (იხ. „Описание древностей г. Тифлиса"), ციციანოვის აღმართის კლდის წვერზე გაშენებული ყოფილა ორი სასახლე: ერთი გურიის მთავარს, ხოლო მეორე—სამეგრელოს მთავარს ეკუთვნოდა. ეს სასახლენი აღა-მაჰმად-ხანის თარეშის დროს დაუნგრევიათ ხოჯას განკარგულებით. ის უზარმაზარი ცრემლიანი კლდე კი, რომელიც აღმართზეა გაჭიმული, წინათ გაუპრელი იყო და დარიის მონასტრისკენ, მეტეხის ციხემდე მიდიოდა თურმე.

სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად ეს აღმართი თავდება, მეთხუთმეტე საუკუნეში აღმართული ყოფილა გალავანშემოვლებული და ქონგურებიანი ციხის რამდენიმე კოშკი, რომლის ნანგრევებზედაც ამჟამად ქართული სტილის აივნებია გადმოკიდული. სწორედ ამ უბნის ბოლოში, „სურბ-კარაპეტის ეკლესიის აღმოსავლეთით, ავლაბარში, ზედ გორაზე ერთოთახიან იაქათალის სახლში" ბინადრობდა დანიელ ჭონქაძის მოთხრობის პერსონაჟი მკითხავი ვარდუა.

ამ არემარეზეა აგებული აგრეთვე ის ცნობილი ყაზარმები, რომელიც ერთ დროს საპატიმროს მოვალეობას ასრულებდა და სადაც სასჯელს იხდიდნენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილე მწერლები—დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი და სხვ.

ავლაბარი ანუ ისანი მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეს, მაღლობზე. ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი, საიდან წარმოსდგება სიტყვა ავლაბარი. ზოგიერთის განმარტებით, „ავ-

ლაბარი“ ნიშნავს აელას ბარზე, ე. ი. მინდორზე, რადგანაც მტკვრის კიდიდან რომ აელაბარში ახვიდეთ, კარგა დიდი ველმართი უნდა „აიაროთ“ (ივ. როსტომაშვილი: „ენციკლოპედიური ლექსიკონი“). უფრო დაახლოებითი ახსნა მოგვცა, პირადი საუბრის დროს, აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა. მისი აზრით, „ისანი“ და „აელაბარი“ შემოტანილი სიტყვებია და დაკავშირებულია ციხე-სიმაგრის, ციხე-დარბაზის ანუ სასახლის მიდამოების მცნებასთან...

ცნობილ ქართველ გეოგრაფოსის ვახუშტის დროს ძველ ისანს (ანუ ისნის) უკვე „აელაბარი“ ეწოდებოდა.*

სიტყვა „აელაბარი“ დაცით გურამიშვილსაც აქვს მოხსენებული თავის ისტორიულ პოემაში:

კახს ბატონსა წინა დღითვე მზასა ყვანდა თვისი ჯარი;
იგ რა ესმა, წამოვიდა, დაიჭირა ა ე ლ ა ბ ა რ ი;
ნარიყალა მიეშველა ეპყრა, შაის-ტაბტი, ციხის კარი.
რა მივიდა, ფიცხლავ მოსცა, გაიკეთა მუნ საფარი **.

„აელაბარი“ მოხსენებულია მე-19 საუკუნის ერთ ხალხურ ლექსშიც:

„პასკევიჩი შაიკაზმა,
წელს შემაირტყავს ხმალსაო,
ქალაქში რომ ჩამოვიდა,
გაშინჯამს სამართალსაო,
ჯერ სასამართლოს გაშინჯამს,
მერმე კი ა ე ლ ა ბ ა რ ს ა ო,
თავის საომარ სოფლებსა
გადაავლებდა თვალსაო!“ ***

იოანე ქართველიშვილი, მე-19 საუკუნის დასაწყისში თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ „დარიის მონასტერი“ ა ე ლ ა ბ ა რ შ ი იყო აშენებული; იგი სწერს: „...იმერეთიდან მოველ თბილისს 1802 წელსა, ვახლდი დედოფალს დარიას ა ე ლ ა ბ ა რ შ ი“.****

ისანი ძველი სიტყვაა: „ისნი“, „ისნელთა“, „ისნის მთა“, „ისნის ველი“, „ისნის ციხკარი“... მე-11 საუკუნის ძეგლი „მატიანე

---

* იხ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თამარ ლომოურის და ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით. 1941 წ., გვ. 54.

** დაცით გურამიშვილი, აღ. ბარამიძის წინასიტყვაობით და რედაქციით 1948 წ., გვ. 116, 117.

*** იხ. ე. „კრებული“, 1873 წ., № 10. გვ. 7. (რაფ. ერისთავის ჩაწერილი).

**** იხ. იოანე ქართველიშვილის „მემუარები“, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1952 წ., გვ. 95.

ქართლისაი", თბილისის გარემოცვასთან დაკავშირებით, ისაბსაც იხსენიებს: ...„ხოლო ისნელთა ჩააგდეს ხიდი და არა მოსცეს ისნი, დაუდგეს ფილაკავანნი, ბრძოდეს ისნთა და ისნის ველთა მოვიდეს კახთ მეფე გაგიკ და ერისთავი გოდერძი და ყოველი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატისა**.

ძველად ავლაბარში ასასვლელი სამი დიდი აღმართი იყო: მეტეხისა, სირაჯხანისა და სურბ-კარაპეტისა. ციციანოვის აღმართი კი, იმ სახით, რა სახითაც მან საბჭოთა ხელისუფლებამდე მოაღწია, გაკეთდა 1886 წელს; ამის შესახებ გაზეთ „დროებაში" ეკითხულობთ: „ამჟამად კეთდება ავლაბრის გზა, რომელსაც ციციანოვის აღმართს ეძახიან. ეს აღმართი რიყიდან ადის ყაზარმის წინა ქუჩამდის, სიგანე იმოდენა ექნება, რომ ურემსა და ფაეტონს ადვილად გაევლება და არც ასვლა იქნება ძნელი" (იხ. „დროება", 1886 წ., № 123).

1885 წლამდე აქ იყო საცალფეხო ბილიკი. გზა ისეთი ვიწრო ყოფილა, რომ გაზეთების ცნობით, ორი კაცი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევდა; ერთხელ „საკახო გზიდან" (ასე ეძახდნენ ყოფილ კახეთის ქუჩას) გაგიჟებული კამეჩი გამოქცეულა და ვინც ამ ბილიკზე დახვედრია, ყველა გაუწყვეტია.

პირველი ბილიკი ამ აღმართზე გაუყვანია — ფარსადან ციციშვილს, რომელსაც ამ მიდამოებში საკუთარი მამულები ჰქონია. ეს მომხდარა გასული საუკუნის 40-იან წლებში გენერალ სოტნიკოვის გუბერნატორობის დროს. ლუკა ისარლოვის ცნობით, ფარსადან ციციშვილს ბილიკის გასაპრელად თავისი ყმები გამოუყვანია და რადგან ძნელი სამუშაო იყო, მთელ დღეს დაფაზურნას აკერეინებდა, რათა მუშებში ხალისი გამოეწვია. ბევრს ეგონა, რომ ეს აღმართი მთავარმართებელ პაველ ციციანოვის სახელს ატარებდა, ისე როგორც ალ. ჭავჭავაძის ქუჩას დიდხანს ილია ჭავჭავაძის ქუჩად სთვლიდნენ.** მემამულე ფარსადან ციციშვილი, რომლის სახელიც რევოლუციამდე აშ აღმართს ჰქონდა შერჩენილი, შეძლებული თავადიშვილი იყო იგი დაახლოებული ყოფილა ბატონიშვილებთან და საკმაო დიდი გავლენითაც სარგებლობდა. რევოლუციის შემდეგ ამ აღმართს ცნობილი რევოლუციონერის კალიაევის აღმართი დაერქვა, ხოლო 1944 წელს — ბარათაშვილის აღმართი.

---

* იხ. ჰართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942 წ., გვ. 186 (ამ წყაროზე მიგვითითა მამისა ბერძნიშვილმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებ).

** ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუჩა ეწოდება ელიამინოვის ყოფილ ქუჩას.

ამ აღმართის გამოღმა, ე. ი. მარჯვნივ, ანჩისხატის ეკლესიის ჩასწვრივ მტკვრის ნაპირას, ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი ლიტერატორები — „ცისკრის“ თანამშრომლები — და მსჯელობდნენ მშობლიურ ლიტერატურაზე. აქ დაიწერა ნ. ბარათაშვილის „ჩინარი“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“. აქ ზაფხულობით, პატარა ლხინის დროს, თარს უკრავდა სიღნაღელი პოეტი დიმიტრი ბერიევი. აქ ჩაისახა დანიელ ჭონქაძის მოთხრობა — „სურამის ციხის“ იდეა. ეს ადგილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო გასართობი და სასაუბრო კლუბი, ჩვენთა მწერალთა ორმოციან წლებში...

დღეს 26 კომისრის რაიონს, ყოფილ აელაბარს, ფართო და ლაღი მაგისტრალი აერთებს დედაქალაქის ცენტრთან. გაფართოებამდე ამ აღმართის სიგანე შვიდი მეტრი იყო, ამჟამად მისი სიგანე 24 მეტრია, დაქანებაც ერთი ორადაა შემცირებული.

ასეთია ახალი თბილისის ეს ერთ-ერთი ლამაზი კუთხე!

როდესაც ამ აღმართიდან თბილისს გაჰყურებთ, თვალწინ გადაგეშლებათ ყველა ის ადგილი, სადაც ბარათაშვილს ჰაბუკური ცხოვრება გაუტარებია, მართლაც ბარათაშვილის სახელი უნდა რქმეოდა ამ მშვენიერ აღმართს! მისი სილაღე და ზევით ატყორცნილი ფრთა თითქოს ბარათაშვილის რომანტიკულ ბუნებას ეხმიანება. რა კარგი იქნებოდა, რომ ამ კლდოვან მაღლობს ზევიდან ლამაზად გადმოჰყურებდეს ბარათაშვილის მერნის ქანდაკება, რომლის ლტოლვაც მამადავითის მთისკენ უნდა ჰქონდეს მიმართული.

1944 წ.

დოკუმენტები და შენიშვნები

აკაკი, ვაჟა და... აშინოვი

გარდა „ჩემი თავგადასავლისა“, აკაკის მოგონებები გაფანტულია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და მრავალ საინტერესო პიროვნებასა და თემას ეხება.

აკაკი სიცოცხლის ბოლო წლებში ამ თავის მოგონებებს ბეჭდავდა უმთავრესად ჟურნალებში, გაზეთებს კი აგრერიგად არა სწყალობდა (გამონაკლისს წარმოადგენდა „თემი“). აკაკის ნაწერები შეგვიძლია რუსულადაც აქვს. ერთ-ერთი ასეთი მოგონება დაიბეჭდა 1911 წ. გაზეთ „Закавказская Речь“-ში, რომელიც ეხება ვაჟა-ფშაველას და ისეთ ამბავსაც, რაზედაც ახლა ყველა ლაპარაკობს: აბისინიის.

საქმე ის არის, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს რუსეთში თავი იჩინა ერთმა ავანტურისტმა აშინოვმა. მან 1883—86 წ. მოიარა აბისინია, რათა „შავი ქრისტიანების“ ეს ქვეყანა („მართლ-მადიდებლური“) „დაეახლოებინა“ რუსეთისათვის, ე. ი. ჩვენებურად რომ ვთქვათ, რუსეთის იმპერიალიზმის კოლონიად გაეხადა იმ „თავისუფალი ყაზახების“ შემწეობით, რომელთა მეთაურადაც თავი მოჰქონდა ამ ლოთიბაშ აშინოვს.

აშინოვი ყველგან მიღებული იყო. მას ხელს უწყობდა ცნობილი რეაქციონერი კ. პობედონოსცევი და „Московские Ведомости“-ს რედაქტორი მ. კატკოვი. როგორც ა. წ. 2 ოქტომბრის „Литературный Ленинград“-ის № 45-ში დაბეჭდილი მასალიდან ჩანს, ამ აშინოვის შესახებ სტატია დაუწერია რუს მწერალს გლებ უსპენსკისაც („აშინოვი და ბულანე“), მაგრამ იგი ცენზურას არ გაუშვია და მხოლოდ ახლა იბეჭდება პუშკინის სახლის „Литературный Архив“-ში. ნიკოლოზ ივანეს-ძე აშინოვს ყველა იხსენიებს, როგორც ავანტურისტს, „მისი ცდა ყოფილა წითელი ზღვის სანაპიროზე რუსული კოლონიების დაარსება“.

ეს ცნობილი აშინოვი 80-იან წლებში თბილისსაც სწვეოდა, როგორც „დიდი კაცი“ და „გმირი“. და აი, სწორედ ამ აშინოვთან

შეხვედრას და ვაჟა-ფშაველასთან მის შეტაკებას ეხება აკაკის მოგონება, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ და რომელიც მისი ნაწერების არც ერთ ბიბლიოგრაფიაში არ მოიპოვება. ეს მოგონება ფრიად დამახასიათებელია, როგორც თვითონ აკაკისთვის, ისე ვაჟა-ფშაველას ტემპერამენტისათვის.

აკაკი წერეთლის მოგონება

(თარგმანი რუსულიდან)

„გასული საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში გამოჩნდა ახალი ერმაკი, ვიღაც ვითომდა ატამანი თავისუფალი ყაზახებისა,— აშინოვი. მსგავსად თავისი პროტოტიპის ერმაკ ტიმოფეევიჩისა, რომელმაც რუსეთს ციმბირი მიუძღვნა, აშინოვიც მისთვის ინდოეთისა და ეგვიპტის მიძღვნას აპირებდა.

ჰინვრაქის ტრაბახი—„ზღვას ცეცხლს წავუკიდებო“ ხალას ჭეშმარიტებად მიიჩნიეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კატკოვმა, იმ დროს რუსული პრესისა და ლიტერატურის ტონის მიმცემმა, თავისი მფარველობის-ქვეშ აიყვანა ეს ტრაბახა ადამიანი. „Московские Ведомости“-ს ფურცლებზე ყოველდღე იბეჭდებოდა ცნობები ამ „გმირის“ საზღვარგარეთულ თავგადასავალზე. დედაქალაქთა სხვა გაზეთები ან ვერ ჰბედავდნენ შეჰკამათებოდნენ მოსკოველ ჯადოქარს, ან ჰბაძავდნენ მას და რეკლამას უწევდნენ ახალ ერმაკს.

მისი ამბავი მთელ რუსეთს დევისებური ნაბიჯით ედებოდა.

ამასობაში კი აშინოვი განცხრომით ცხოვრობდა პეტერბურგში. სლავიანოფილებისა და სხვა ძლიერთა ამა ქვეყნისათა თანხლებით—იგი აქეთ-იქით დაძრწოდა უცხოეთიდან თავისი ჩამოყვანილი უცხო ფრინველებით, შავი ბიჭითა და უცნობი ქალიშვილით, რომელსაც „პრინცესას“, მეფე მენელიკის ქალს უწოდებდა. მის წინაშე ფართოდ გაიღო არისტოკრატიული ოჯახების კარი და ყველგან მას დიდი სიამოვნებით ღებულობდნენ.

მაგრამ თუ როგორ იქცეოდა „თავისუფალი ყაზახების“ ეს ატამანი (ნამდვილად კი პენზელი მდაბიო მოქალაქე, უღირსი საქციელისათვის უბრალოსი კლასებიდან გამოგდებული), ამის გაგება შეიძლება ნ. ლესკოვის სტატიიდან, რომელიც დაიბეჭდა 1894 წ. „Северный Вестник“-ის № 10-ში.

ჩვენ კი განვაგრძობთ:

ცენტრი რომ მოხიბლა ამ გმირმა, ახლა ბედის ცდა რუსეთის განაპირა ქვეყნებში მოინდომა.

იგი ჩამოვიდა ტფილისს და დაიწყო ოინები. ფიქრობდა, დედაქალაქები გავაცურე და პროვინციაში ვინ გაბედავს, რომ არ დამიჯეროსო. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა.

მაშინ ერთადერთი ქართული გაზეთი „დროება" გამოდიოდა, იქ დაიბეჭდა სტატია, რომელშიაც ნათქვამი იყო:

„იოანე მრისხანემ რომ ნოვგოროდი დაიპყრო და მისი მოკავშირის– ფსკოვის დასასჯელად გაემართა, ფსკოველებიც მას მორჩილებით შეხვდნენ. ვერც მორჩილების გამოცხადებამ, ვერც ბოიარების თხოვნამ, ვერც სამღვდელოების ლოცვამ, ვერც დაბალი ხალხის პურმარილმა ვერ მოულბო გული იოანეს. მაგრამ აი ღობის იქიდან მოულოდნელად გამოვარდა ვიღაც სალოსი და დაუძახა: გაფრთხილდი ივანე! გეშინოდეს ღვთისაო!" ამან მეფე ისე შეაშინა, რომ ხელი აიღო თავის განზრახვაზე და უკან გამობრუნდა. არ ვიცით, ამის შემდეგ თუ სხვა რამ მიზეზის გამო—სალოსებს ხალხი ყოველთვის სიმპატიით უყურებდა და უყურებს.

ამით ძალიან ხშირად სარგებლობდნენ ათასგვარი მოხეტიალენი და გამელელ-გამომელელნი, თავი სალოსებად მოჰქონდათ და სურდათ რუსის ხალხის ყურადღება მიეპყროთ. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ივანე იაკობის-ძე კორეიში: რამდენი ხალხი მიეშურებოდა მოსკოვს რუსეთის ყოველი კუთხიდან მის თაყვანსაცემად და რა პატივით იყო გარშემორტყმული. მაგრამ რა გამოირკვა? მრავალი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს წმინდა წინასწარმეტყველი—გამოქცეული კატორღელი ყოფილიყო.

რაღაც ამის მსგავსი ხდება ამჟამადაც: გამოჩენილა ერთი ვიღაც თავზეხელაღებული აშინოვი, თავის თავს „თავისუფალი ყაზახების უამრავ ძალთა" ატამანს უწოდებს და მთელი ოდისეა დაუწყია.

სხვათა შორის, იგი გვარწმუნებს, ჩემი ხანჯლის წვერზე მივართმევ რუსეთს თეირანსაო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენში იგი მსმენელთა მხოლოდ სიცილს გამოიწვევს. მაგრამ უცნაური ისაა, რომ პოლიცია მას ყურადღებას არ აქცევს".

ასე წერდა ქართული გაზეთი „დროება".

ერთ მშვენიერ დაღას რედაქციის კანტორაში ვისხედით: თითონ რედაქტორი განსვენებული სერგეი მესხი, მე და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ასპარეზზე მაშინ ახლად გამოსული ჩვენი ცნობილი მწერალი ვაჟა-ფშაველა. როგორც მთიელს, მას ჩოხა ეცვა და ხანჯალი ეკიდა. უცებ შემოვარდა ვიღაც კაცი, ჩასხმული, ქერა, მაცეცა თვალებიანი, ყაზახურად გამოწყობილი და დაიწყო გაფთრებულად:

— „დროების“ რედაქცია აქ არის? რომელია რედაქტორი? დაიყვირა მან.

— რედაქტორი მე ვარ! რა გნებავთ? —უპასუხებს ოდნავ აღელვებული რედაქტორი.

— როგორ თუ რა მნებავს!? თქვენ მოათავსეთ სტატია... გალანძღეთ აშინოვი, აშინოვი კი მე ვარ!.. მე!.. თქვენ გნებავთ ხელი შემიშალოთ?! თქვენ, როგორც „ტუზემეცს“, ალბათ, არ მოგწონთ ჩვენი კონფიდენციალური პოლიტიკა?

— ესე იგი, რაღაც ბოდვა...

— ბოდვა? თქვენ ამას ბოდვას უწოდებთ, როდესაც სხვა თქვენზე უფრო კომპეტენტურნი გვიჯერიან და ხელს გვიწყობენ? ჰმ!.. განა თქვენ დედაქალაქის გაზეთებს არა კითხულობთ? მე თქვენ მოგაწვდით „Московские Ведомости“-ს.

— თუ შეიძლებოდეს, ნუ ყვირით. აქ ბაზარი კი არა, რედაქციაა! მიბრძანდით აქედან.

– რას ნიშნავს მივბრძანდე? როგორ თუ მივბრძანდე! მე აქედან ცოცხალი არ გავალ, სანამ ჩემთანვე თქვენ მიერ დაბეჭდილის უარყოფას არ დასწერთ... დაიყვირა მან და ხანჯალზე ხელი გაიღო.

რედაქტორი გაფითრდა, მე კი შევშინდი. მაგრამ ახალგაზრდა მთიელი ვაჟა-ფშაველა, რომელიც ცნობისმოყვარეობით უყურებდა მთელ ამ სცენას, უცებ წამოხტა, სტაცა აშინოვს კისერში ხელი, მაღლა აიტაცა და დაუყვირა: ვის აშინებ შენ ხანჯლითა, ჰა? იცოდე, შე უბადრუკო, ვიდრე ხანჯალს ამოიღებდე, თავს ათჯერ წაგაცლი!

ჩვენი „გმირი“, რომელიც თავისი ხანჯლის წვერზე თეირანის მორთმევას გვპირდებოდა, ამნაირ რამეს არ მოელოდა, მას უცბად მიაკვდა თავისი ხანჯალი, კილო იცვალა და მთავრობასთან ჩივილით დაგვიწყო მუქარა.

მაგრამ ახალგაზრდა მთიელმა დიდხანს ლაპარაკი არ დააცალა: ჰკრა პანღური და კიბეებზე დააგორა.

მართალი რომ გითხრათ, რამდენიმე დღეს ჩემს ტაფაში ვერა ვგრძნობდი თავს. მეშინოდა ქუჩაში არ შევხვედროდი იმ თავზეხელაღებულს, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს ცრუ „გმირი“ იმავე დღეს, რა დღესაც რედაქციიდან პანღურით გამოისტუმრეს, ტფილისიდან სადღაც გამქრალიყო და მისი კვალიც არავინ იცოდა“.

1935 წ.

პირველი იუმორისტული ჟურნალი „ხუმარა“

(ნაწყვეტი „ქართული იუმორის ისტორიიდან“)

ქართული კარიკატურებიანი ჟურნალის ისტორია ხანგრძლივი როდია. იგი მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაისახა და ამ დროიდან ქართული კარიკატურის განვითარება მჭიდროდ დაუკავშირდა ქართული იუმორის და სატირის განვითარებას.

განმარტებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ კარიკატურა იგივე იუმორია, იგივე სატირაა, ხაზებითა და ფერებით გამოსახული. იუმორი და სატირა, სიტყვით იქნება იგი გამოთქმული, ხაზით თუ ფერით, ერთ მიზანს ისახავს — აღძრას მკითხველში სიცილი. მაგრამ სიცილიც არის და სიცილიც. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ სიცილზე, რომელსაც მორალურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში იუმორსა და სატირას დიდი გაცხოველება დაეტყო იმ წლებში, როცა გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ერთიც და მეორეც ამ მოძრაობის ამოცანებს ემსახურებოდნენ, დაუნდობლად ამხელდნენ მეფის მთავრობას, მის მოხელეებს, მის ბიუროკრატიზმს, ჩინოვნიკთა და პოლიციელთა უხეშობას, აღვირახსნილობას, მექრთამეობას, არისტოკრატიული წრეების გადაგვარებას, მათ მონურ ქედმოხრას თვითმპყრობელური რეჟიმის წინაშე. იგი მწვავედ ამხთრახებდა აგრეთვე ქართველ თავადაზნაურულ წრეებში ფეხმოკიდებულ ეროვნულ ნიჰილიზმს.

ჟურნალი ძველად კერძო გამომცემლების ხელში იყო. იგი 16 გვერდს არ აღემატებოდა; ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა „პატარა კაცის“ ფსევდონიმით ვ. გუნიას მიერ 1894 წელს გამოცემული კარიკატურებიანი ჟურნალი: „ჩვენებური რამე-რუმე“ (მისი მხატვარი—ნიკოლოზ ბიაზი თეატრის მუშაიც იყო).

ამ ჟურნალს არ ჰქონდა საზოგადოებრივი ხასიათი, იგი ეხებოდა მხოლოდ პავეპავაძის და მაჩაბლის ცნობილ „ბანკობიადას“

და როგორც პირადი ინტერესით აღპურვილი ჟურნალი, მალე დაიხურა (მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა).

ძველად იუმორისტული ჟურნალის მაგივრობას ასრულებდა გაზეთებში მოთავსებული ფელეტონები, (ე. ი. „გაზეთი გაზეთში"), რომელთაც საკუთარი ნუმერაციაც ჰქონდათ. „დროებასა" და „ივერიაში" ხშირად შეხვდებოდით ასეთ ფელეტონებს და „პატარა ფელეტონებს", რომლებიც ასე იყო დასათაურებული: „დუდუკი" (ასიკო ცაგარელი ხელმძღვანელობდა), „შურდული" (სოფ. მგალობლიშვილი ხელმძღვანელობდა), „იეანიკა" და „გოჯასპირი"-ს განყოფილება ჟურნალ „კვალში", ორშაბათეულ „ივერიის" „წკიპურტი" (ამ სტრიქონების დამწერის რედაქტორობით) და სხვ.

კარიკატურას უფრო სერიოზული ხასიათი მიეცა. როცა გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" დასურათებული კვირეული „დამატებანი" გამოუშვა (1901 წლიდან 1906 წლამდე).

ბევრად უფრო იდეურ-პოლიტიკური და მორალურ-აღმზრდელობითი ძალა და დანიშნულება ჰქონდა 1905 წლის რევოლუციისა და შემდეგ პერიოდში გამომავალ ქართულ იუმორისტულ-სატირულ ჟურნალებს, რომლებმაც სამოქმედო სარბიელი გააფართოვეს, მძაფრი იერიში მიიტანეს ცარიზმის, ბიუროკრატიზმის, მემამულეების, ვაჭრების, სამღვდელოების წინააღმდეგ, იმდროინდელ ვითარებაში აღმოცენებული და დამკვიდრებული სოციალური უკუღმართობის, სოციალური ბოროტების და ამ ბოროტების კონკრეტულად მატარებელთა წინააღმდეგ. პირველი რევოლუციის მომზადებასა და მის გაღრმავებაში უდავოდ დიდი როლი შეასრულეს იმდროინდელმა ქართულმა იუმორისტულმა ჟურნალებმა.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის წლებში, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური გათვითცნობიერების საქმეს ემსახურებოდა ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ლ ი ს იუმორისტული ჟურნალი „ხუმარა", რომელმაც გამოსვლისთანავე იგემა რეაქციის სუსხი.

ამ დროს ქართულ იუმორისტულ ჟურნალებში, მწერლების გარდა, გამოჩნდნენ და აქტიურად თანამშრომლობდნენ პირველი ქართველი კარიკატურისტებიც—გიგო ზაზიაშვილი, მოსე თოიძე, ი. ნიკოლაძე, მ. ჭიაურელი, ვ. კილაძე, ვ. სიდამონ-ერისთავი, შ. ქიქოძე, ა. შანშიაშვილი და სხვები. არაქართველ მხატვრებიდან ქართულ იუმორისტულ ჟურნალებსა და ყოველდღიურ პრესაში თანამშრომლობდნენ ოსკარ შმერლინგი და როტტერი. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კარიკატურის შექმნისა და დანერგვის საქმეში შმერლინგს, რომელიც სხვებისა-

ჯან განირჩეოდა უფრო მაღალი კვალიფიკაციით და პოლიტიკური სიმახვილითაც.*

აკაკი წერეთელს „ხუმარას“ გამოცემის აზრი პირველად 1905 წელს დაჰბადებია. ჩვენს ხელთ არის სულთან კრიმ-გირეის ხელმოწერილი ქაღალდი, საიდანაც ჩანს, რომ აკაკის ნება ეძლევა გამოსცეს თბილისში ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი „ხუმარა“ მასალის წინასწარ ცენზურაში წარდგენით. ეს ნებართვა დათარიღებულია 1905 წ. 27 სექტემბრით („ხუმარას“ გამომცემელი იყო სტამბა „სორაპანის“ პატრონი მ. გაჩეჩილაძე).

აკაკიმ თავისი განზრახვა მხოლოდ 1907 წელს განახორციელა. „ხუმარა“ არ იყო რომელიმე პარტიის ორგანო. აკაკი აცხადებდა, რომ იგი ყველას მიიღებს თანამშრომლად. აი ეს განცხადებაც:

„...ხუმარა ერთი რომელიმე პარტიის ორგანო არაა, ისაა კარლია გაზეთი. აზრთა შეჯახება—აი რაა ჭეშმარიტების გამომრკვეველი. დეე, დაეჯახონ სხვადასხვა მიმართულების შეხედულებანი ურთმანეთს—ეს საჭიროა და კარგი. „მოყვარეს პირში უძრახე“ თუ ზნეობრივი სიბრძნეა, „მტერს რომ პირში უძრახო“ ეს ხომ კიდევ მეტი ხარისხის სიბრძნე იქნება“.

ასე და ამგვარად, „ხუმარას“ კარი ყველასათვის გაიღო... ჟურნალი თანამშრომლებს ჰონორარსაც ჰპირდებოდა.

აკაკიმ თავის „ხუმარაში“ პირველად გააცოცხლა ორი ქართველი ხუმარა—ბ ე ნ ი ა და ბ ე შ ტ ი ა, მსგავსად „კვალში“ დახატულ ივანიკასი და გოჯასპირისა. აკაკიმ ბენიას და ბეშტიას მონოლოგებში გადაიტანა მაშინდელი ყოველდღიური მტკივნეული საკითხები... აკაკის აზრით, ბენია ქართლელია (კუზიანი), ხოლო ბეშტია —იმერელი (კოკლი). ბენია და ბეშტია აცხადებდნენ, რომ ჩვენ ხალხის ხინჯსა და ნაკლზე ვილაპარაკებთ. არავის არ მოვერიდებით და ყველა ღირს ადამიანს ულვაშს ა ვ უ წ ე ვ თ ო (ძველად სასჯელის ნიშნად დამნაშავეს ულვაშს აუწვევდნენ, რაც დიდ შერცხვენას უდრიდა).

---

* პატივცემულ მწერლის გ. ი. ბაკრაძის წიგნში („ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“) ნათქვამია, რომ შმერლინგი და როტტერი ერთი და იგივე პიროვნებაა—„როტტერი შმერლინგის ფსევდონიმიაო“ (გვ. 26, 27, 41 და 265), ეს არ არის მართალი. რადგან შეცდომა არ გასწორებულა, სხვამაც რომ არ გაიმეოროს ეს აზრი, აქვე დავსძენთ, რომ ისინი სულ სხვადასხვა სტილის კარიკატურისტები იყვნენ, ჩვენ ორივეს პირადად ვიცნობდით და მაშასადამე: შმერლინგი სხვაა და როტტერი—სხვა.

„ხუმარას“ პირველი ნომერი თამამი ტონით გამოვიდა და ბევრიც გაჰკენწლა! მართლაც „ხუმარა“ არავის არ ერიდებოდა. თუ 1905 წელს საზოგადოდ ჟურნალების მასალა ხელნაწერის სახით ჯერ ცენზურას უნდა განეხილა და მერე აწყობილიყო, 1907 წელს ცენზურა უკვე დაბეჭდილ ჟურნალებს კითხულობდა და თუ ასაკრძალავი იყო, ჟურნალის გაყიდვას აბრკოლებდა და რედაქტორს ან აპატიმრებდა, ან ფულად ჯარიმას ახდევინებდა. ერთი სიტყვით, ჟურნალის გამოშვება „მოსწრებაზე“ იყო...

აკაკიმაც მოასწრო „ხუმარას“ ერთი ნომრის გამოშვება და... მიჰკეტეს კიდეც.

აი, „ხუმარას“ დაკეტვის მოკლე ისტორია:

„ხუმარას“ პირველ გვერდზე დახატული კარიკატურა ეხებოდა თბილისის გუბერნატორს რაუშ-ფონ-ტრაუნბერგს (ტრაუბენბერგი). ფონ-რაუში ერთი რაღაც ქარაფშუტა პიროვნება იყო. გარდა ამისა უყვარდა „ჩაღლევა“ და, როცა ღვინო თავში შეუჯდებოდა, ათასგვარ უტაქტობას ჩადიოდა...

1906 წელს მცხეთის საგვარეულო აკლდამაში ასაფლავებდნენ რომელიღაც ბაგრატიონს, დაკრძალვას ფონ-რაუშიც დაესწრო. დაკრძალვის შემდეგ, რასაკვირველია, გაიმართა ჩვეულებრივი ქელეხი! ფონ-რაუში ძალიან გამხიარულდა, ღვინომ გონება გაუფიცხა და ქელეხში „მრავალჟამიერი“ შემოსძახა. ჩვენს გუბერნატორს ეგონა, რომ ქართველები ყველგან და ყოველთვის, ჭირსა თუ ლხინში „მრავალჟამიერს“ მღეროდნენ. ამ ამბავმა ქართველებში უსიამოვნება დაბადა.

სწორედ ამ ხანებში თბილისის სამხედრო ტაძარში საიმპერატორო გვარეულობის რომელიღაც წევრის პარაკლისს იხდიდნენ. მთელი გენერალიტეტი იქ იყო. საზოგადოდ ამისთანა შემთხვევებში ტაძრის არენაზე ყოველთვის პირველ პლანზე ჯერ თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი უნდა მდგარიყო, მერე გუბერნატორი და ა. შ. ფონ-რაუშმა მოინდომა ყველაზე წინ დადგომა და თავადაზნაურთა მარშალს გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილს წინ აეტუზა; ბაგრატიონი წინ გაიწია, რაუშიც წინ წავიდა და კვლავ აეფარა ბაგრატიონს. ერთი სიტყვით, გაჩაღდა ბრძოლა „პირველობისათვის“ (აქვე უნდა ითქვას, რომ ძველად თავადაზნაურთა მარშალს დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული). ბაგრატიონი ისედაც გულ აჩხრეკილი იყო ამ გუბერნატორის მიმართ, ახლა ეს ეტიკეტის დარღვევაც ზედ დაემატა და როცა პარაკლისის გათავების შემდეგ, ფონ-რაუშმა ბაგრატიონ-დავითაშვილს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, ბაგრატიონმა საჯაროდ ხელი არ ჩამოართვა.

და ზურგი შეაქცია... აქედან დიიწყო მათი უმძრახობა, საქმე თითქმის დუელამდე მივიდა, ეს ამბავი ვორონცოვ-დაშკოვმაც გაიგო და... შედეგი ის იყო, რომ რაუში გადააყენეს თავისი თანამდებობიდან.*

აკაკიმ „ხუმარას“ პირველი ნომრისათვის ეს პირადული ინციდენტი გამოიყენა და საზოგადო ხასიათი მისცა. რედაქტორმა მუშა მხატვარს გიგო ზაზიაშვილს დაახატვინა კარიკატურა, სადაც ერთ მხარეს სახედარია დახატული გუბერნატორ რაუშის ტანსაცმელით, მეორე მხარეს მარშალი ნიშადურს ულესავს, ხოლო ამ ამბის მაყურებელი კინტო სიცილისაგან იპაჭება...

ამ კარიკატურას აკაკიმ შემდეგი ლექსი წააწერა:

დიდ-ყურაანთ ყროყინას
ჩვენები ეჯავრება,
საიდანაც მოსულა,
იქით მიეჩქარება.
და ნიშადურს ულესავს
გულმოსული მარშალი,
რომ აქ აღარსად დარჩეს
იმ ვირის გზა და კვალი,
კინტო კი გაოცებით
შესცქერია ამ ამბავს
და ხმა მაღლა იძახის:
— ამოუსვით რაუშა-ჟს.

ეს ხაზგასმული სიტყვა არ გამოეპარა ჟანდარმერიას, ამ „ხუმრობას“ საზოგადო ხასიათი მისცეს და ეურნალის აკრძალვასთან ერთად რედაქტორიც დააპატიმრეს. ეს მოხდა 1907 წელს, 16 თებერვალს.

საინტერესოა ერთი ეპიზოდიც: როცა აკაკი ციხეში მიიყვანეს, მთელი ციხე აფორიაქდა... პატიმრები, განურჩეველად მათი დანაშაულებრივი ხასიათისა, დემონსტრატიულად გამოვიდნენ ეზოში, ჰყვიროდნენ, მთელ ციხეს აბანზარებდნენ და მოითხოვდნენ საყვარელი პოეტის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ეს პროტესტი სამხედრო გუბერნატორის ტიმოფეევის ყურამდე მივიდა, კანცელარიის გამგის ვასილიევის მოხსენებისთანავე ტიმოფეევმა გასცა

* რაუში თბილისიდან გასვლის შემდეგ, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მსახურობდა... მეფის ჩამოგდების დროს, რაუში მინსკის სამხედრო ოლქის უფროსი იყო. დეპეშებში ვკითხულობთ: „სმოლენსკში საპირობამა დაატყვევეს მინსკის სამხედრო ოლქის უფროსი ბარონი რაუშ ფონ-ტრაუბენბერგი“ (იხ. „საქართველო“, 1917 წ., № 53, 8 მარტი).

განკარგულება აკაკის განთავისუფლების შესახებ, ქალალდი დაბინდებისას მივიდა ციხეში, აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა ციხიდან: „არა, ქაჯან, ნუ მაწუხებთ, ამაღამ აქ დავრჩები და ხვალ დილით წავალო“ და მეორე დღით გამოვიდა დიდის ზეიმზარით. ნამდვილად კი აკაკი სულ ერთი საათით იყო დაპატიმრებული.

ასეთი ხანმოკლე გამოდგა აკაკი წერეთლის რედაქტორობა.

მაგრამ „ხუმარამ“ ერთი კარგი საქმე გააკეთა. მან ხალხში გააღვიძა იუმორისტული ჟურნალის ინტერესი და მოთხოვნილება... დაიბადნენ ახალი იუმორისტი მწერლებიც, რომლებიც შემდეგში სათავეში ჩაუდგნენ ამ ჟანრის განვითარებას.

„ხუმარას“ შემდეგ გამოვიდა „მახსხარა“, „ეკალი“, „ტარტაროზი“, „ჯოჯოხეთი“, „ოხუნჯი“. „ბზიკი“, „ცეცხლი“, „ჭინკა“, „ნიშადური“, „მათრახი“, „ეშმაკი“, „ეშმაკის მათრახი“, „ნიანგი“ და ასიოდე სახელწოდების სხვადასხვა ჟურნალი და ალმანახი, რომლებიც თავის მკვლევარს ელოდებიან...

თუ ძველად ზოგიერთი ჟურნალი ექსპლოატატორული კლასის მსახურ ორგანოდ ითვლებოდა, საბჭოთა იუმორისტული ჟურნალი მშრომელი ადამიანის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად გადაიქცა.

ჩვენი იუმორი, ჩვენი სიცილის ჭმომგვრელი ხუმრობა — ჩამოჰგავს მეგობრული მითითებას იმ უებარ მალამოს, რომლითაც უნდა აღმოიფხვრას ზოგიერთი სუსტი მხარე.

სიცილი სოციალური ზემოქმედების, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის იარაღია. სიცილის ძალა განსაკუთრებული სიმახვილით მჟღავნდება სატირაში. სხვა მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, სატირის ძალასა და მნიშვნელობას ცხადჰყოფს ის ფაქტი, რომ მას თავისი ბრძოლის იარაღად იყენებენ ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი თავიანთ პუბლიცისტურ წერილებში და საჯარო გამოსვლებში მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად.

ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ საბჭოთა ხალხის დამახასიათებელი ბუნებრივი და მახვილი იუმორით.

1933 წ.

„ჩვენი მიხაკა“

აკაკის უცნობი ლექსი

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ერთი ლექსი, რომელსაც თუმცა ქვეშ არაფერი აქვს მოწერილი, მაგრამ აკაკის კალამს ეკუთვნის. ამ ლექსის რამდენიმე ადგილი ზეპირად გვქონდა გაგონილი განსვენებულ კოლა ერისთავისაგან (დეკლამატორი და მსახიობი „ტყვიაველის“ ფსევდონიმით). ამჟამად აღმოჩნდა ამ ლექსის მთელი ტანი დავით ერისთავის ქალალდებში, რომელიც ცენტრარქივის საკუთრებას შეადგენს. ჩვენ ვნახეთ ამ ლექსის რამდენიმე ეგზემპლარი ჰეგტოგრაფზე დაბეჭდილი, დასტებად დაწყობილი და ჯვარედინად ძაფგადაველებული. როგორც ჩანს ეს ლექსი არალეგალურად ვრცელდებოდა და ამ გაერცელების ავტორი დავით ერისთავი ყოფილა.

ლექსის სათაურია: „ჩვენი მიხაკა“ და წარმოადგენს პამფლეტს, დაწერილს გრაფ მიხეილ ტარიელის-ძე ლორის-მელიქოზე.

ლორის-მელიქოვი (1825—1888) ერთი უბრალო ვაჭრის შვილი იყო, მისი წინაპრები დაბღები (მეტყაველები) ყოფილან. სწავლა მიუღია მოსკოვში, ლაზარევის ინსტიტუტში. დაახლოვებული ყოფილა ახალგაზრდა ნეკრასოვთან, წერდა ლექსებს, იყო კორექტორად ჟურნალ „რეპერტუარსა და პანთეონში“. როცა თბილისში ჩამოვიდა მ. ს. ვორონცოვის მმართველობის დროს, გაიცნო გიორგი ერისთავი და მაშინდელ ქართულ წარმოდგენაში („დავა“, 1850, 3 მაისი) ლორის-მელიქოვმა ითამაშა „აბრამა-ბიჭის“ როლი.

სამხედრო სამსახურში ძალიან ჩქარა გაიკეთა კარიერა. იყო ოფიცერი, პორუჩიკი, პოლკოვნიკი, გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, ხოლო სრული გენერლობა მიიღო 1865 წ. მას ახასიათებენ, როგორც გამბედავს, თადარიგიანს და განსაცვიფრებელი სტრატეგიული ნიჭის პატრონს. მონაწილეობა აქვს მიღებული 180 ბრძოლასა და შეტაკებაში და ყო-

ველთვის გამარჯვებული გამოსულა, მის მიერ მიღებული ორდენები ათობით დაითვლება, ბოლოს ხომ გრაფობასაც ეღირსა.

ასეთ გულქვას, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით გაჰწმინდა მოძმე ერების თავისუფლებისადმი ლტოლვა, რასაკვირველია, ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენცია მადლობას ვერ ეტყოდა. ლიბერალური იდეებით აღფრთოვანებული პოეტები ილია და აკაკი წერდნენ პამფლეტებს და ზეპირად ავრცელებდნენ. ლორის-მელიქოვის წინააღმდეგ პირველად გაილაშქრა ილია ჭავჭავაძემ თავისი „გამოცანით“. ილიამ თითქმის ათი წლით ადრე გასჭვრიტა ლორის-მელიქოვის გრაფობისადმი მიდრეკილება.

აი, ილიას გამოცანაც, დაწერილი 1871 წელს:

ოინბაზი, ლაჭათაა,
გრძლად გალეული მელია,
ბაზრის ბიჭად გაჩენილა,
ეხლა ქვეყნის მართველია.
ცუღლუტია, ხერხიანი,
ენა-ცქვიტი, ყურმახვილი,
დროთა ბრუნვის შესაფერი,
კარგად იცის მოძახილი.
მარჯვედ მოდის კოჭის ყრაში,
სურს ალუჩა, სურს თაფია,
ბევრჯერ გაძვრა და გამოძვრა
მაგრამ ვერ გახდა გრაფია,—
გრაფობისთვის ერი დაკლა,
ცოდვა დაიდვა დიდია,
მაგრამ ერიც და ქვეყანაც
იმას ფეხებზედ ჰკიდია...

თუ ილია ასე ალმაცერად უყურებდა ამ დიქტატორის მოღვაწეობას, სამაგიეროდ ცარიზმის ჩინოვნიკები აქებდნენ და ადიდებდნენ. აი, ცნობილი ნ. მურავიოვი როგორ შინაურულ წერილსა სწერს ლორის-მელიქოვს 1857 წელს. „ჩემო კეთილო მიხეილ ირაკლის-ძევ, ვწერ „ირაკლის-ძევ“ და არა „ტარიელის-ძევ“, იმიტომ რომ, სოლ. არტ. ტერ-ღუსაკოვმა მითხრა, რომ **ტარიელი** იგივე **ირაკლიაო**, მაგრამ იქნება არც თქვენ იცით, რომ ეს ასეა? ასეა თუ ისე თქვენ მაინც ჩემთვის ისევ ის ლორისი ხართ, რომელიც მარად მიყვარს და თქვენს დამსახურებასაც დიდ პატივსა ვცემ“ (იხ. „Русская старина“, 1884 წ., № 9. გვ. 597).

საინტერესოა ის გარემოება, რომ ლორის-მელიქოვი თავის თავს ქართველს უწოდებდა. ნამდვილად კი იგი სარწმუნოებით სომეხი იყო და ეკუთვნოდა მხოლოდ ქართველ თავადაზნაურთა წრეს, როგორც თუმანიშვილები, ბებუთაშვილები და სხვ. ერთი

რუსი ავტორის წიგნი ჩაგვივარდა ხელში, სადაც ლორისის ბიოგრაფიისათვის უცნობი შტრიხი ვიპოვნეთ. „Современной России“-ს ავტორი წერს: „გრაფი მ. ტ. ლორის-მელიქოვი თუმცა სომხის სარწმუნოებას აღიარებდა და ხუმრობით ხანდახან თავისთავს „Хитрый Армяшка“-საც უწოდებდა, მაგრამ ენითა და აღზრდით ნამდვილი ქართველი იყო, მას, პირიქით, სომხები არც კი უყვარდა და რომელიმე ძველ კავკასიელ თანამომსახურეებთან ერთად, ქართულ ენაზე მასლაათი მისთვის დიდ სიამოვნებას შეადგენდა (იხ. წიგნი [კ. სკალკოვსკისა] „Наши государственные и общественные деятели“, спб. 1891 г., გვ. 201).

ლორის-მელიქოვი გარდაიცვალა 1888 წ. ნიცაში, საქართველოში მოასვენეს და დიდი ამბით დაკრძალეს ვანქის ტაძარში 1889 წ. 7 თებერვალს.*

ლორის-მელიქოვზე აუარებელი ლიტერატურა არსებობს (ოფიციალური დოკუმენტები, მოგონებანი და სხვ.). აქ აღვნიშნავ მხოლოდ ახლახან გამოცემულ ლეონიდ გროსმანის რომანს ლორის-მელიქოვის ცხოვრებიდან: „Бархатный диктатор“.

აკაკის ლექსი, რომელიც პირველად ქვეყნდება, არ არის დათარიღებული, ჩვენის აზრით, იგი დაწერილი უნდა იყოს 1878 წელს, როცა ლორის-მელიქოვს ყარსის აღებისათვის გრაფობა ებოძა.

აი, აკაკის ეს ლექსიც:

ჩვენი მიხაკა

ეს სოფელი უსამართლო
ძასხარა და ტუტუცია
იმასა სთხოვს ანგარიშსა,
ვისთვისაც არ მიუცია.
მდიდარს თვითონ ემონება,
საწყალს კი სთხოვს სამსახურსა,
ედაება, ხელიდამ გლეჯს,
ოფლით ნაშოვნ ლუკმა პურსა.
მაგრამ ეს ხომ ადამს აქეთ
საზოგადო რამ წესია:
ხშირად ის მკის და ისა სჭამს,
ვისაც სულ არ უთესია!
სამართალი ბეცი არის:
ახლო ვერ სჭრის, შორს ვერ ხედავს,
მაგრამ ხალხი დაბორკილი
ურჩობას ვით გაუბედავს!
უღირსად და უსამართლოდ
ამაღლებულს ემონება;

* ლორის-მელიქოვის დაკრძალვის დღეს წარმოთქმული სიტყვები „თბილისის ლისტოკის“ რედაქციამ ცალკე წიგნად გამოსცა (1889 წ.).

დაჩაგრულს და შერისხულსა
სდევნის:—სად აქვს მას ჯონება?
მაგალითად ჯინდ ავიღოთ
ჩვენი მიხაკ ლორისაო,—
პაპა მისი მწყემსი იყო
თხებისა თუ ღორისაო.
მამა მისიც ტყავებს ყიდდა
საცოდავი ტარიელა;
ქუჩა-ქუჩა დადიოდა
ჯიბე და თავცარიელა.
სახელმწიფოდ კაცს ეძებდნენ
რუსეთისთვის იმ ცუდ დროსო,
მისთანას, რომ ახალ რუსეთს
მარჯვედ ტყავი გააძროსო.
და მეტყავის შვილს მიადგენ
სთქვეს თუ გამოცდილიაო,
კინტოებში გახრდილია
გაქნილ-გამოქნილიაო!
სასახლეში მიიწვიეს
უთხრეს: უნდა გვიშველოო!
ძველი უნდა გააახლო
ახალი კი გვიძველოვო;
ეს უთხრეს და პირველობა
მიანიჭეს მიხაკასა;
თვითონ შურით უყურებენ
მის თესვას და ,იმის მკასა.
გულში ამბობს—ამდენ ვირებს
რათ უყრიდნენ აქ თავსაო!
ქვეყანას სხვას რას უზამდნენ,
თუ არ ცუდსა და ავსაო.
ზოგი გაყარ-გამოყარა,
ზოგს კუდს უქნევს, როგორც მელა,
ერთნაირად მოატყუა
ახალი და ძველი ყველა.
სათვალთმაქცო რამ წამალი
ძველსაც მოსცხო,-ახალსაც სცხო,
მაგრამ თავისი საქმე კი
უფრო კარგად გამოაცხო.
რუსეთი დროით ამშვიდა
მერე სთქვა ნურას ელითო,
ტყვილი იმედი ნუ გაქვსთო
რომ გამოვიდეთ ჯანსაღითო!
რაც რო მინდოდა, ის მომცეს
გრაფობა გამოვსტყუეო,
მთელი რუსეთი, ევროპა
მე, კინტომ, მოვატყუეო.

ასეთია აკაკის ამ სახუმარო ლექსის ავანჩავანი. 1934 წ.

აკაკის მუხამბაზისათვის „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე"

•

ამას წინათ სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პოეტი გიორგი შატბერაშვილი შემეკითხა აკაკის ცნობილი „მუხამბაზის" შესახებ. მისი აზრით, იქ, სადაც რითმაა „სამნაირად", უნდა იყოსო—„სხვანაირად". აი ეს შეკითხვაც:

„მე ქართულ ლიტერატურას ვასწავლი და ბავშვები აკ. წერეთლის „მუხამბაზის" („ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე") შესწავლის დროს ხშირად მთხოვენ განმემარტა, რა არის „სამნაირი" სიცილი („მაგრამ მაინც ვიცინი სამნაირად"). მე აკაკის ხელთნაწერებს არ ვიცნობ, მაგრამ აქ „სამნაირად" არაფერ შუაშია, აქ უთუოდ იქნება „სხვანაირი" სიცილი და ტექსტიც მაშინ გასაგები გახდება"...

ეს აზრი არა ერთხელ მსმენია და თუმცა მე აკაკის მარტო პოემებს (მესამე ტომს) და დრამატულ ნაწერებს (მეხუთე ტომს) ვრედაქტორობდი, მაგრამ მაინც მოვალედ ვრაცხ თავს, ამ ლირიკულ ლექსზედაც ჩამოვაგდო სიტყვა და გავარკვიო, რომელია სწორი: „სამნაირი სიცილი" თუ „სხვანაირი სიცილი"?

საქმე ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება ამ ლექსს იცნობს ნაწყვეტის სახით. პირველი რედაქცია შეიცავს 36 სტრიქონს. ამჟამად ცნობილია მხოლოდ 20 სტრიქონი. ასე რომ, ამ „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიეს" მოგლეჯილი აქვს თითქმის ნახევარი (16 სტრიქონი). ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ ლექსს მთლიანად, როგორც ის პირველად გამოქვეყნდა და მერე ჩვენი დანასკვიც გამოირკვევა.

მუხამბაზი

ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის.
გრ. ორბელიანი

ნახევარი ცხოვრების გზა გავლილი,
სიტკბოზედა მწარე ბეერი დაელიე,
არ მშორდება მწუხარება და პირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი!
რას მიქვიან პირადი მწუხარება?
— მოჰკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება?!
ვილას აბსოვს თავისი სატკივარი,
თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი!
მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქ-მოხდილი,
უგრძნობლად ჰხდის საწყალს საღათას ძილი!..
თავს ვადგიეარ მისი პირისუფალი,
თუმცა გულს მწვავს მწუხარების შე ალი,
მაგრამ მაინც ვიცინი ს ა მ ნ ა ი რ ა დ
და მპვრეტელთაც ესა აქვთ გასაკვირად:
„პირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო!
ეს იცინის? როგორ არა რცხვენისო!“
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია!..
რომ სიცილი ბეერჯერ უფრო მწარია!..
მე ვიცინი იმის გამო ხამგვარად,
რომ ხატრფოზედ ვფიქრობ უხუხტრად, მარად:
მის წ ა რ ხ ულ ხ ა ვოგონებ და გულსა მწყვეტს,
ა წ მ ყ ო მტანჯავს და გულს მიწვავს ვით აბედს!
მ ო მ ა ვ ა ლ ი კი მპირდება მე იმედს
და ხამგვარად მით დავსცინი ამის ბედს!
თორემ ჩემთვის ტკუილია სიცილი.
პირად ვნებას არა აქვს ჩემთან ხელი. [?]
მხოლოდ ამის გაღვიძებას მე ვუიდი,
თუ ლოდინში უდროვოდ არ მოვხუცდი!
მოვეხვრები, რომ განიფრთხოს მან ძილი
და მიმღეროს ისი ტურფა ქორწილი!
როდის იქნეს ხვიმონიით მეცა ვსთქვა:
„განმიტევე!“ და მღვიძარი მივარქვა!
მაშინ მხოლოდ მე გულით გავიცინებ,
მოხვენებით ხაფლავშიც დავიძინებ.

აკაკი

მკითხველი შეამჩნევს, რომ ხაზგასმული სიტყვები უცნობია მისთვის. უცნობს იმიტომ ვამბობ, რომ ეს ლექსი გამოქვეყნების დღიდან („კრებული“, 1872-3 წ., № 10-11-12, გვ. 189) აკაკის

არც ერთ ტომში აღარ შესულა (გადაიბეჭდა მხოლოდ „ჯიბის კალენდარში“ 1882 წ., გვ. 59).

საკითხავია: რატომ მოხდა ეს?

აშკარაა, აქ უპირველეს ყოვლისა ცენზორს მიუძღვის ბრალი,— ამ ლექსის პირი ცენტრ. არქივშიც ინახება, მხოლოდ თვით ჟურნალ „კრებულიდან“ ცენზორს ამოუხევია ამ ლექსის მთელი ფურცელი და „კრებულის“ რედაქციას არც სარჩევში აქვს ნაჩვენები, მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი გადარჩენილა გამოუშიგნავი (ერთი ასეთი ეგზემპლარი ჩვენც გვაქვს), საიდანაც გადმოვიწერეთ ეს მუხამბაზი. აკაკის ეს ლექსი გაელენთილია პატრიოტული ლირიზმით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აქ მოხსენებული „სატრფო“ ნართაულად იმდროინდელი საქართველოა ნაგულისხმევი,— „ძველი ტურფა დღეს მკვდარიეთ მძინარი“, — რომელსაც პირისუფალიეთ დასტრიალებდა თავს ჩვენი დიდებული მგოსანი.

მე მგონი, ამ ლექსის მთლიანად გაცნობის შემდეგ, გასაგები გახდება, თუ რატომ ამბობს პოეტი: „მაგრამ მაინც ვიცინი ს ა მ ნ ა ი რ ა დ“. ამ სამნაირ სიცილში მგოსანი გულისხმობს თავის სამშობლოს „წარსულს“, „აწმყოს“ და „მომავალს“.

ყური დაუგდეთ:

მე ვიცინი იმის გამო სამგვარად,
რომ სატრფოზედ ვფიქრობ უსუსტრად, მარად,
მის წ ა რ ს უ ლ ს ა ვიგონებ და გულსა მწყვეტს,
ა წ მ ყ ო მტანჯავს და გულს მიწვავს, ვით ბებერს,
მ ო მ ა ვ ა ლ ი კი მპირდება მე იმედს
და სამგვარად მით დავსცინი ამის ბედს...

როგორ უნდა მოიქცეთ ჩვენ, აკაკი წერეთლის ნაწერების რედაქტორები? ჩემი პირადი აზრი ასეთია: თუ ეს ლექსი მთლიანად (ე. ი. 36 სტრიქონი) შევა აკაკის ტომებში, მაშინ უნდა დარჩეს სიტყვა „ს ა მ ნ ა ი რ ა დ“. ხოლო თუ ამ ლექსს მეორე ნახევარი (ე. ი. 16 სტრიქონი) მოვარდება, როგორც ეს ამჟამადაა გავრცელებული, მაშინ უნდა გაკეთდეს „ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ“. სწორედ ასე მოიქცა თვით აკაკი, როცა მან ეს ლექსი შეიტანა თავისი ლექსების პირველ კრებულ „სალამურში“, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

აი როგორი რედაქციითაა დაბეჭდილი ეს ლექსი აკაკის სიცოცხლის დროს და ჩვენ რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს ვარიანტიც—ავტორის ბრწყინვალე გასწორება? (მთლიანი შთაბეჭდილებისათვის მოგვყავს ეს ლექსიც)—

მუხამბაზი

ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ,
სიტკბოზედა მწარე მეტი დავლიე;
არ მშორდება მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი არ ვსტირი!
რას მიქვიან პირადი მწუხარება?
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება!
ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი,
თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალმკვდარი?
მაგრამ, იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველი, თავზე-ლეჩაქ-მოხდილი,
უგრძნობლად ჰხდის საწყალს საღათას ძილი!
თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი;
თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი,
მაგრამ მაინც ვიცინი ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ
და მკვრეტელთაც ესა აქვსთ გასაკვირად:
ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შეენისო!
ეს იცინის, როგორ არა რცხვენისო?
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია..
რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარია?

(„სალამური“, 1893 წ., გვ. 15).

აკაკიმ ამ ლექსს სამართლიანად მოაცილა მეორე ნახევარი... თუმცა შინაარსობრივად ამ ლექსის გაგრძელებაში (სადაც პოეტი სახავს „მომავლის დიდ იმედს“) უფრო გაღრმავებულია ლექსის დედააზრი, მაგრამ ლექსიკური აღნაგობის თვალსაზრისით იგი გაჭიანურებულია, აკლია მას დახვეწილობა და სინათლე. ამ ოპერაციის დროს აკაკის, რასაკვირველია, არ დავიწყებია ერთი სიტყვის შეცვლაც, რომელიც ტექსტს აღარ ეფარდებოდა. ეს სიტყვა იყო „სამნაირად“. და რომ პოეტს რითმისათვის აზრი არ შეეწირა, „სამნაირი“ შესცვალა სიტყვით „სხვანაირად“. აქ, ჯერ ერთი, „სამნაირად“ უკვე ზედმეტობდა და მეორეც — „სალამურში“ დაბეჭდილი ახალი რედაქცია ერთი მთლიანი ჩუქურთმა გამოვიდა. მას მიეცა უფრო მეტი სიმტკიცე ფოლადისა და აბრეშუმის სილბო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აკაკის არც ერთ ტომში (როგორც ძველ, ისე ახალ გამოცემებში) ამ ლექსის არც მეორე ნახევარზეა ლაპარაკი და არც კრებულ „სალამურის“ რედაქციაა გამოყენებული...

ასეთია ამ ლექსის ბედი და, მე მგონია, ამის შემდეგ ჩვენი ნიჭიერი პოეტი და პედაგოგი აღარ შემესიტყვება—რომელია სწორი: „სხვანაირი“ სიცილი თუ „სამნაირი“ სიცილი.

1942 წ.

ილია და „მებრვე"

(ენობრივი შენიშვნა)

ილიამ ბევრი ახალი სიტყვა შესძინა ქართულ ლიტერატურას. იონა მეუნარგიას ცნობით, „სულთა სწრაფვა" და „თვალთა ხედვის ისარი" პირველად ილიამ იხმარა თავის ნაწერებში. გარდა ამისა, ილია როგორც რედაქტორი, თავის გაზეთში ასე ასწორებდა სხვათა წერილებს: „ვიღებ" ნაცვლად „ვღებულობ" და „ამგვარად" ნაცვლად „ამნაირად". ილიას შემოღებულია აგრეთვე შემდეგი სიტყვები: „ნაკვესი", „დამაკვირდი", „სრა-სასახლე", „მიმართულება", „შინაარსი", „ლიანდაგი", „ულელტეხილი", „მებრვე" და სხვ.

ჩვენს ხელთაა დ. ერისთავის კერძო წერილების პირი, სადაც შემდეგია ნათქვამი: „ილია ძალიან ჰაპანწყვეტაშია,—სწერს დავით ერისთავი 1886 წელს თავის ერთ მეგობარს,—დილის ექვს საათზედ დგება. გაზეთი ძალიან კარგად მიჰყავს. წარმოიდგინე, მეც „ივერიის" თანამშრომელი ვარ... უნდა ნახო, რამდენი სიტყვები შემოიღო ილიამ. მაგ., и тому подобный—„და მებრვე", Дворец—სრასასახლე, перевал—უღელტეხილი" და სხვ.

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს სიტყვა „მებრვეს" ბედიღბალი.

აი, როგორ სწერდნენ გაზეთები ამ სიტყვას:

1. „ჩვენის ფიქრით, ძალიან შესაფერია ვიხმაროთ გენიოსურის მაგიერ „გენიოსებური", სოციალურის მაგიერ „სოციალებური", „ადმინისტრატებური", „დრამატებური", „დემოკრატებური" და მ ე ბ რ ვ ე სხვანი" (იხ. „ივერია", 1886 წ. № 22, მეთაური).

2. „ცირკში ყველაფერი ჩვეულებრივი იყო; ცხენების ჭენება, მასხრები, ჯამბაზები და მ ე ბ რ ვ ე სხვანი" („ივერია", 1886. № 46).

3. „ხალხის აზრით, ლამაზი ქალის აუცილებელ კუთვნილებას უნდა შეადგენდეს ზომიერი და მოყვანილი ცხვირი, ასეთივე ყურები, მარგალიტის კბილები, სიმღერა, ცეკვა და მ ე ბ რ ვ ე სხვა" („ივერია", 1886 წ. № 112, ალ. მირიანაშვილის წერილი).

4. „დაკარგულ ფელეტონს ეუძღვნი დავით ერისთავს, პეტრე მირიანოვს და მ ე ბ რ ვ ე სხვათა" („ივერია", 1886 წ., № 174).

5. „ტფილისში შემდგარა ძველი მწერლობის მოყვარეთა პატარა წრე, რომელსაც განუზრახავს ბეჭდვა თეიმურაზის ლექსებისა, რუსუდანიანისა, როსტომიანისა და მ ე ბ რ ე ე სხვა ნაწერთა“ („ივერია“ 1886 წ. № 204).

6. „კომიტეტს არ ეურჩევ თამარცბიერის და მ ე ბ რ ე ე სხვის დადგმას (იხ. „თეატრი“, 1885 წ. № 5):

7. „ლერმონტოვის მასკარადის და მ ე ბ რ ე ე სხვა პიესების დასახიჩრება მისატევებელი არ არის“ („თეატრი“, 1885 წ. № 13).

8. „ერეკლემ თავის სიცოცხლეშივე შვილებს გაუყო საუფლისწულოები: ვახტანგს მისცა არაგვი, იულონს გორი და მ ე ბ რ ე ე სხვა ბატონიშვილებსაც“ (მ. ჯანაშვილი: „ერეკლე II“, 1898. გვ. 6).

9. „...შეუდგენია მოხსენება სოხუმის ეპისკოპოსებთან და ამტკიცებს, მეგრელთათვის ქართული ენა უფრო ძნელი გასაგები და შესათვისებელია, ვიდრე რუსულიო, მარტო ქართველები ამბობენ, რომ მეგრელსა და ქართველსა გასაყოფი არა აქვსთ-რაო და მ ე ბ რ ი სხვ.“ (თ. სახოკია: „პროვინციის ცხოვრება“ „მოამბე“, 1896, № 4).

კმარა!

საინტერესოა ერთი რამ: „მებრვე“ დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში თუ არა? ილიას გამოსროლილ სიტყვას ჩვენი მწერლები მაშინვე იტაცებდნენ და ხელწაყრით აწვდიდნენ თავიანთ მკითხველებს. ისე როგორც რუსმა მწერლებმა პირველად შემოიტანეს და ხალხში ფეხი მოაკიდებინეს ქვემორე მოყვანილ სიტყვებს: Нигилист (ტურგენევმა), Стушеваться (დოსტოევსკიმ), Интеллегенция (ბობორიკინმა) და სხვ. ილიას ახალმა სიტყვებმაც „სრა-სასახლე“—Дворец, „უღელტეხილი“—Перевал და სხვა უკვე მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება და ახლაც ჭარბად იხმარება, მაგრამ „მ ე ბ რ ე ე მ“ კი ვერ მოიკიდა ფეხი.

სიტყვა „მებრვე“ თავისთავად ძველი სიტყვაა და უნდა აღნიშნავდეს მზგავსს, თანაგვარს. ზოგიერთ სიტყვაში ახლაც უცვლელად არის დატოვებული (მაგ., „ჩვეულებისამებრ“, „დანიშნულებისამებრ“ და სხვა). აქედან მისი პარალელი ფორმაა „ებრი“ (მაგ., „სიმაღლით ცებრი“ და სხვ.) ეს ფორმა დღესაც ცოცხლობს; ჩუბინიშვილიც ასე განმარტავს: „მებრვე მზგავსადვე—также“. ილიამ კი ეს სიტყვა „მებრვე“ იხმარა „и тому подобный“-ს საბადლოდ, მაგრამ იგი ქართულმა მწერლობამ არ მიიღო და შემდეგში „ივერიაც“ იძულებული იყო მ ე ბ რ ე ს ნაცვლად შემოეღო საბა სულხან-ორბელიანის „და მ ი ს თ ა ნ ა თ ა“.

1937 წ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შვცროსი ქალის— სოფიოს აკლდამა ქ. ვიბორგში

ჩვენის რედაქციით ალექსანდრე ჭავჭავაძის „თხზულებანის“ გამოცემის შემდეგ (1940 წ.), ბევრ საკითხს მოეფინა ნათელი: ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკების მიერ დაიწერა რამდენიმე დისერტაცია, სახელმძღვანელოებში ახლებულად იქნა გაშუქებული პოეტის პიროვნება თუ შემოქმედება და სხვ. ამას წინათ ქ. ვიბორგიდან ერთი პატარა წერილი მივიღე ჯარისკაც რევაზ ანანიაშვილისაგან, რომელიც მატყობინებს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალის— სოფიოს ნეშტი ქ. ვიბორგში არის დასაფლავებულიო!

პასუხი მაშინვე მიეწერე და ვთხოვე, რომ საფლავის ქვის წარწერა ზედმიწევნით გადმოეწერა და გამოეგზავნა. პატივცემულმა ანანიაშვილმა თხოვნა შემისრულა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

აი ეს წარწერაც: „Софья Александровна Чавчавадзе, род. в Тифлисе 22 сентября 1833, сконч. в Киеве 18 марта 1862“.

მეორე ძეგლის მხარეზე ეს სიტყვები ყოფილა ამოკვრილი: „Барон Александр Павлович Николай, род. в Копенгагене 25 февр. 1821, сконч. 3 июля 1899“.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე ჭავჭავაძეს სამი ასული ჰყავდა: ნინო (1812—1857), ეკატერინე (1816—1882) და სოფიო (1833—1862). პირველი იყო ა. ს. გრიბოედოვის მეუღლე, მეორე სამეგრელოს დედოფალი გახდა, ხოლო მესამე—სოფიო, რომლის შესახებაც აქ სიტყვა ჩამოვაგდეთ, ბარონ ა. პ. ნიკოლაის მისთხოვდა.

ბარონ ნიკოლაი 1848 წელს მსახურობდა თბილისში კავკასიის მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორად; 1852-59 წლებში იგი იყო, ეგრეთ წოდებული, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი; 1861 წ. გადავიდა კიევში, სადაც მოღვაწეობდა განათლების დარგში... შემდეგ ისევ თბილისი და სხვ. მისი მოგონებანი

გაბნეულია „რუსკაია სტარინაში“, „რუსკი არხივში“, „ვაენი სბორნიკებში“; გამოცემული აქვს თავისი სტატიების კრებული ცალკე წიგნად (1870). ერთი სიტყვით, აი ეს „მოლიბერალო“ ბარონი შეიქნა ჩვენი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის მესამე სიძე.

საკითხავია, საიდან გაჩნდა სოფიოს საფლავი ქ. ვიბორგში? როგორც მარმარილოს ქვის წარწერიდან ჩანს, სოფიო გარდაცვლილა და დაუმარხავთ კიევში, სადაც მისი მეუღლე ბარონ ნიკოლაი მსახურობდა. შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, ბარონ ნიკოლაის თავისი მეუღლის ნეშტი გადაუსვენებია ვიბორგს, სადაც მას, ალბათ, საკუთარი აგარაკი და საგვარეულო სასაფლაო ჰქონდა.

რ. ანანიაშვილის სიტყვით, სოფიოს და ნიკოლაის საფლავი მშვენიერ ადგილას მდებარეობს, ვიბორგის განაპირას, ტყეში, კურორტების ახლოს, შუა ტბაში, პატარა მომაღლო კუნძულზე. სოფიოს და ნიკოლაის აკლდამა აგებულია მომხიბლავ და პოეტურ ადგილზე.

სოფიო ჭავჭავაძეზე ძალიან ცოტა რამ ვიცით, შეიძლება იმიტომ, რომ იგი მეტად ახალგაზრდა გარდაიცვალა (29 წლისა!). მამა რომ მოუკვდა, სოფიო 13 წლისა იყო. ქმრის ხელშიც მცირე ხანს იბედნიერა...

ალექსანდრე ჭავჭავაძის მესამე ქალი, სხვა მისი დებივით არ გაბნირჩეოდა რაიმე განსაკუთრებული თვისებებით. იგი ყოფილა მეტად ჩუმი, მოკრძალებული, წელწაზი და თვალსხივანა.

გრიგოლ ორბელიანი (რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძალიან „შელაზღანდარებული“ იყო ალ. ჭავჭავაძის ოჯახში) ვილნოში ყოფნის დროს (1834) თავისებური სახუმარო ლექსით ესიტყვება სოფიოს დაბადებას...

ვიდრე ამ ლექსზე გადავიდოდეთ, საჭიროა გრიგოლ ორბელიანის წერილის ერთ ნაწყვეტს გავეცნოთ, რომელიც ჭავჭავაძეების ქალთა სილამაზის გაფენობას შეიცავს:

„ეს მესამე დღეა რა ნოველ რიღიდამ აქა,—სწერს ორბელიანი ა. ჭავჭავაძის მეუღლეს სალომეს,—სადაცა დამხვდა წერილი თქვენი, რომელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას, ესე იგი მესამე გრაციას,—მოგილოცავთ; მაგრამ, რა გინდა სალომევ! აქამდის ორი ქალი გყვანდა და თითქმის პეტერბურღითგან ისპაანამდის გაგიჟებულნი იყვნენ ხალხნი, ახლა ეს მესაძეც!—ნუ გამიწყრები კი, სალომევ, და მგონია ეშვი იყოს ანგარიშში, მაგ ახალ შობილზე ბეჭანამ მკერავლმა რაღაცა მითხრა ყურში, რომლისა თქმა არ შემიძლიან; ამიტომ რომ საიდუმლოა და ამისათვის ეს ლექსი ბეჭანასაგან ნათქვამი ახალს სოფიკოს ძეობისათვის მომირთმევია.—

სახელი დიახ კარგი დაგირჩმევიათ, ყველა სოფიები, რამდენსაც ვიცნობ. ლამაზნი არიან... ძალიან არ ვიცი, რომ ნინო ეხლა პატარა სოფიკოს გამდელი შეიქნება, და დაუწყებს თანადეენას, თქვენი სიყვარულიც იმისკენ იქნება, რადგან ნაბოლარი არის, ამაში საბრალო ეკატირინა, ანუ კატინა, არა კეკელა, არის მართლაც შესაბრალისი, რომ კიდევ დარჩება დედმამის უსიყვარულოდ, აქამდის დავით იყო თაიგულად, ახლა სოფიკო გაუჩნდა! იი! მეხი კი დაეცა, რა მოუწერიაო, ვიცი იტყვის... ყოველთვის ახალ სიამოვნებით ვიგონებ დღეს მას, როდესაც ეკატირინა ქუდ-ჩაკეცილი დაღისტნელ ლეკსავით ლეკურს თამაშობდა და იმღერიდა: „ბროლის ფიცარი, აფიცარი გულს დაგეკონოს“.

ამ ნაბოლარა სოფიოზე ისე ცოტაა დაწერილი (ამ მხრივ არა ჰგავს ნინოს და ეკატერინეს!), რომ გრიგოლ ორბელიანის ლექსი აქ მთლიანად მოგვყაეს:

საღომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ

სიხარულო შვებავ, ლხინო,
ახლისა აკვნის გუშაგნო!
მზევ, შინ შემოდიო!
თქვენ, სულსა აღნაგსა ახლად,
დაჰფრინვეთ თვალ მოულულად!
მზევ, შინ შემოდიო!
მე, მისსა მშობელს ვენერას
დაუმღერ ტკბილსა „მზე შინას“!
მზევ, შინ შემოდიო!
გიმღერ, გალხენ,—განისვენო,
ჩემო მაკრატლის გვირგვინო!
მზევ, შინ შემოდიო!
ეგვი ვის აქვს, მამა ვინც არს?
ჩემს ნაკერსა ვსცნობ ფრიად შორს!
მზევ, შინ შემოდიო!
ნუ გწყინს, ვარდო, ყვავილთ მეფავ,
რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ!
მზევ, შინ შემოდიო!
რა გქნა, გულს ვერ ვეტყვი უარს:
ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს!
მზევ, შინ შემოდიო!
მაგრამ რაყიფთ ემზერ შენთან როს,
მწვენ, გულს მისმენ ცეცხლის უთოს!
მზევ, შინ შემოდიო!
შენ სანთელი, მე ფარვანა!
დაე, დაიწვას ბეჟანა!
მზევ, შინ შემოდიო!

სიყვარულმა მათქმევინა;
თორემ მე ვინ,—ლექსი ვინა?
მზეე, შინ შემოდიო!

ვილნო, 1834 წ.

ამ ლექსის საპასუხოდ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე შემდეგსა სწერს გრ. ორბელიანს, სადაც თავისი ქალის — „პატარა სონიჩკას“ ნატიფობა ასე პოეტურად აქვს აწერილი:

„...ახლა უნდა ჩემი სოფიოს ქება მოგწეროთ, რომელსაც შორიდან ლექსებით ეხუმრებით, საკვირველი შავი თმა აქვს, ლამაზი შუბლი, ამასთან უცხო შავი წარბები, თვალებიც აგრეთვე შავის წამწამით საესე, თეთრი და წითელი ლამაზი პატარა ტუჩები, თეთრის წვრილის კბილებით გაწყობილი. ამის გაღიმება კაცს გრძნობაში მოიყვანს, ტანად ხომ სწორედ — ჩინარი. მართლათ თავის ხანზე საკვირველი გონიერი... საწყალ ბეჟანას მკვდარს მაინც დაეხსენ, ერთი წელიწადი არის მოშორდა ყოველ თავის ვენერებს“...

ასეთი ყოფილა ალექსანდრე ჭავჭავაძის მესამე ქალი სოფიო, რომელიც უმურაზოდ გარდაიცვალა საქართველოს გარეთ.

მისი სამარე, როგორც ვიბორგიდან რევაზ ანანიაშვილი იწერება, მთლად გაძარცული ყოფილა! „ეტყობაო, — ასკვნის ჩვენი თანამემამულე,—თეთრფინელებმა გაქცევის დროს, გაძარცვეს, რადგან ორივე საფლავი ახლად ამოთხრილი იყო და ქალის ტანსაცმლის ნაგლეჯები აქეთ-იქით ეყარაო. ამჟამად მოსჩანს აშენებული აკლდამა უკარებო. მარმარილოს ქვა დაუზიანებელიაო“.

უეჭველია ჩვენს საბჭოთა მიწაზე—ვიბორგის მიდამოებში, დაცული და მოვლილი იქნება აკლდამა სოფიო ჭავჭავაძისა, რომელიც იყო ჩვენი დიდი ქართველი რომანტიკოსის ალ. ჭავჭავაძის უმრწემესი ასული და გრ. ორბელიანის მუზის ერთ-ერთი ძვირფასი შთამგონებელი.

1941 წ.

„ბულბულის ყეფა“ ქართულ პოეზიაში

ყეფა წარმოშობით ხმის გამოცემასთ ნიშნავს. იგი ქართული ზმნის შინაარსის პირვანდელი ვარიანტი უნდა იყოს. ტერმინი „ყეფა“ მრავალი მნიშვნელობის შემცველია. შოთა ამბობს: „უმცროსმან ძმამან შორიშორ სალამი დავიყეფეო“ (1318). თუ შოთას „დავიყეფე“ კარგი მნიშვნელობით არის ნახმარი, სამაგიეროდ ხალხურ „აბესალომ და ეთერის“ ხევსურულ ვარიანტში „ყეფა“ ყორნის ყრანტალს გამოხატავს:

ჩაელა უნდა ჩაუვალსა
ჩანაყეფსა ყორნისასა;
ქვებსა ციხით გადმოჰყრიან
ნამტვრევებსა ლოდისასა (გ. ჭ. წერეთლის ჩანაწერი).

ყეფა, რუსთაველის შემდეგ, პირველად თეიმურაზ პირველის პოემაში გვხვდება, აქ მეფე თეიმურაზის „ყეფას“ სიმღერის მნიშვნელობა ეძლევა. ნიკ. ბარათაშვილის ბულბული კი „მსტვინავია“, მაგრამ მაინც ერთ ადგილას ჩვენი დიდებული პოეტი ამ საწყალ ფრინველსაც „აყეფებს“:

ბულბული ვარდხედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტვინავი:
„ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი,
მაღირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავი,
მწუხრსა აქეთ აქ ვხივარ ფურცლებზედა მკონავი!“
ასე ყეფდა ბულბული, ოდესცა ღამე ბნელი... და სხვ.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი მწერალი, რომელსაც „ბულბულის ყეფა“ არა ჰქონდეს მოხსენებული. აი, ეს უსრული სიაც:

თეიმურაზ პირველი: „ბულბულისა რაღა გითხრა მრავალგვარად ყეფა, მღერა“ („თხზულებანი“, 1934 წ. გვ. 6, ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით).

თეიმურაზ მეორე: „ხმა ნარნარ დიაღ უხდების ბულბულსა პიკპიკობანი, სად უყეფს, ნახეთ, მუდამად, ვისაც სჭირს მუსიკობანი“ (თეიმურაზ მეორე, გ. ჯაკობიას რედაქციით, 1939 წ., გვ. 13).

ამირან-დარეჯანიანი: „ენახე გაჭრა ბულბულისა, შემებრალა, მოვეხმარე, მეც დავიწყე მასთან ყეფა“ (გალექსილი „ამირან-დარეჯანიანი“, 1941 წ., გვ. 4).

სულხან საბა-ორბელიანი: „მივიდა წალკოტსა ერთსა დიდად შვენიერსა, მრავალი კარგი ინახებოდა, შევიდა, ნახა კორდი, ზედან ყვავილნი, ბულბულთ ყეფა, იადონთა სტვენა, შაშვთა მღერა, მერცხალთა ჭიკჭიკი“ („სიბრძნე-სიცრუისა“, 1928. გვ. 37).

ქილილა და დამანა: „ვარდი ვამზგავსო ბაგეთა, წყლად უკვდავებად ცხებული, მაზე ბულბული მყეფარე, სალხინოდ გაშმაგებული“ (ილ. ჭყონიას გამოცემა, გვ. 135);

დიმიტრი ბაგრატიონი: „ვით ბულბული სტვენითა, ყეფა მოუწყენითა“ („ცისკარი“, 1853 წ. № 1, გვ. 12).

დავით ბატონიშვილი: (თუ პეტრე ლარაძე?) „დრო ცვლილო ბულბულო, იგლოვე მწარედ, ყეფა განამრავლე ვისა და ვისა“ (კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, 1943 წ. ტ. I, გვ. 140. ტრ. რუხაძის ნარკვევში. შდრ „სალხინო საზანდარი“, 1912 წ. გვ. 293).

პეტრე ყარიბი-ლარაძე: „მოვიდა გაზაფხულისა დრო გულთ სიხარულისა, ვარდის ტრფიალებით ყეფა გლახ ბულბულისა“ (საქ. მუზ. ხელთ. № 1512, გვ. 1232).

გიორგი თუმანიშვილი: „ვარდო ამაყო, დამწვარ ვარ, ახ, სურვილითა სრულითა, ბულბულებრ დაგყეფ ცრემლითა, სიცოცხლე განწირულითა“ (საქ. მუზეუმის ხელთ. № 101—H).

ალექსანდრე ჭავჭავაძე: „და ბულბულსა, რად ეძრახეის. რომ შენს გამო ვარდს შეჰყეფდეს“ („თეზულებანი“, 1940. 10, 27).

ნ. ბარათაშვილი: „ასე ჰყეფდა ბულბული, ოდესცა ღამე ბნელი“... (ლექსი „ბულბული ვარდზედ“);

გ. ერისთავის „ცისკრიდან“: „ვარდზე მყეფელი ბულბული გაუშვი ჩიტთა მდეველმან“ („ცისკარი“, 1853 წ., № 4, გვ. 58);

გრიგოლ ორბელიანი: „ბულბულიც ბუჩქში ფარულად ვარდსა შეჰყეფდა, შეჰსტრფოდა“ (იხ. ლექსი „ღამე“).

ივანე კერესელიძის „ცისკრიდან“: „იმ დროს, როდესაც იღვიძებს მყეფარე ბულბული და მოჰყვება გალობასა“ („ცისკარი“, 1870 წ., სექტ.); „გათენებამდე დამყეფს ბულბული“ (იხ. ი. კერესელიძის „ლექსნი“, გვ. 80).

შილერიდან: შუა ღაწის დროს ვარდის კოკორსა ახლაც ზედ დაჰყეფს გრძნობით ბულბული" („ჩანგი", 1900 წ. გვ. 258).

აკაკი წერეთელი: „ბულბული ვარდს მაშინ დაჰყეფს, როცა ეშხით მთვრალია" („დროება", 1875 წ. № 42;), „რა გულსაკლავად დასტვენს, რა უცნაურად ჰყეფს ბულბული" (ტ. V, გვ. 187). გარდა ამისა, აკაკის ერთი ლექსის ავტოგრაფი გვამცნობს, რომ ჰოეტს „ყეფა" შეუცვლია „გალობად" (ხელთ. № 1489).

ილია ჭავჭავაძე: „გაფითრებულ ბაგეთაგან გამოისმოდა სევდიანი ოხვრა, როგორც ყეფა ბულბულისა, რომელიც ღამეში დაჭკნესის დაქცეულ ბუდეს" (ტ. III, 1892 წ. გვ. 267), „ხან ბუჩქებში მიმალული ზის მარტო ვით იადონი, შეჰყეფს სატრფოს გულსაკლავად ტრფობის ოსრით განაწონი" (ალ. ჭ—ძისადმი).

რაფ. ერისთავი: „ყვავილნი ფერადობითა ერთმანეთს ეჭიშპებიან, ბულბულნი ჰყეფენ უწყალოდ..." (ლექსი „მაისი").

ალ. ყაზბეგი: „ვარდო კოკობო ნამცვრევო, ფურჩქნილო, რას ნაზობ დი კეკლუცობ, ბულბული დაგყეფს და გეტრფის გაშმაგებული" (დ. ბენაშვილი: „ალ. ყაზბეგი", 1939 წ. გვ. 200).

ბარბარე ჯორჯაძე: „გაიქარვებ გულიდან დარდს, როს ბულბული დაჰყეფს ტკბილად (ლექსი „საქართველო").

დავით ლეონიძე: „ზამთარშია გაშლის ვარდებს, აყეფებს ბულბულებსა" (იხ. „წულუკიძის სახელობის სახ. პედაგოგიური ინსტიტ. შრომები", 1949 წ. ტ. IX, გვ. 349. კ. მეძველიას ნარკვევი).

დიმ. ბერიევი: „შენ ხარ ბულბული. აი ვარდიცა—ზედან დაჰყეფე, ქებულო შტვენით" („ცისკარი", 1858 წ. № 8); „ვეღარც ბულბულის ცრემლითა ყეფას" (იხ. ზ. ჭიჭინაძის. „საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს", 1876 წ. გვ. 25; „ცისკარი", 1860 წ. № 7).

ერთი რუსული მოთხრობაა („ოჯახის ბედნიერება"). არც ავტორია გამოცხადებული და არც მთარგმნელი. აქ ბულბულის ყეფა სამჯერ გეხვდება: „ბულბულმა დაიწყო ახლოს ბუჩქნარში ყეფა"; „მესმოდა ბულბულის ყეფის ხმა"; „ოთხკუთხივ გაჰყეფდნენ ბულბულები" (იხ. „ცისკარი", 1872 წ., № 1. გვ. 44, 46, 49).

თედო რაზიკაშვილი: ,,რაღა დროს ტკბილი ხმებია და ან მყეფარე ბულბული'', (,,ივერია'', 1905 წ. № 173).

ივანე ერისთავი: ,,ვარდზე ჰყეფს ბულბულ—პოეტი, ჭავჭავაძე ფრანცუცთ მეტი'' (ჩემთან დაცულ ივანგულას დავთრიდან).

ივანე ციციშვილი: ,,როს ენახე სუმბული, გულს დამესხა სურვილი, თავის ტრფობით ბულბული ჰყეფს აღრეევით ურვილი''

შიო მღვიმელი: ,,მოვა დაჰყეფს ბულბული მრავალ ჰანგებიანი'' (,,ნაკადული'', 1911 წ., № 8).

დ. თომაშვილი: 1. ,,ბულბული ჰყეფდა, კვნესოდა კილო-ხმა აკაკურითა'' (ლექსი აკაკისადმი); 2. ,,ტურფა ვარდსა ეპვრეტ გადაშლილს, მასზე ბულბულსა მყეფარეს'' (,,კვალი'', 1898 წ № 14).

ი. მჭედლიშვილი: ,,იადონი ხმას არაკრაკებს; ვით მეტოქე ბულბულიცა ყვავილთ შორის გაჰყეფს'' (,,ერი'', 1910 წ. № 10).

დავით ერისთავი წერს: ,,რაც ქართული ენა გაჩენილა, არ ყოფილა ისეთი კაცი, როძ ლექსი არ დაეწეროს. ლექსს წერდა მეფე, სახლთუხუცესი, სარდალი, მოლაშქრე, მდივანი, თავადი, აზნაური, გლეხი! ლექსი და სიმღერა,—ეს იყო ჩვენი დევიზი! ვარდ-ზამბახი, ია-ვარდი, ბულბულთ ყეფა, სევდის ბაღი. აი, ჩვენი ნაღვაწი! ერთი მითხარით, განა დრო ჰქონდათ, სხვა რამეზე ეფიქრათ? რომ შემეძლოს, კანონს გამოვცემდი და ლექსის დამწერს ციმბირში გავაგზანინებდი'' (კომედია ,,საზოგადო საქმე'').

უცნობი ავტორი: ,,საწყალსა ბესარიონსა კვლავ ეთქვა სიტყვა მკვლელისა... აშუღსა მართებს თხრობანი, ბულბულთ ყეფანი ყელისა'' (წ. კ. ს. ხელთ. № 1088; შდრ ჩემი ,,საიათნოვა'' გვ. 48).

არტ. ახნაზაროვი: ,,ბულბული გიყეფს ქებასა, შენს ხოტბას ამბობს შროშანი'' (იხ.ჭმისი ,,ლექსები და სცენები'', 1912 წ. გვ. 2).

ნოე ჩხიკვაძე: ,,იქვე, საამოდ ჰყეფდა ბულბული, ვარდი ჰყვაოდა ნაზი, ნარნარი'' (,,ლექსები'', 1930 წ., გვ. 205).

გალაკტიონ ტაბიძე: ,,მარტო ბულბული სევდის მომგვრელად ისევ დაჰყეფდა მდუმარ მთაბარსა'' (ე. ,,ფასკუნჯი'', 1909 წ. № 9); ,,ბულბული ისე საამოდ ყეფდა'' (ლექსი ,,მთვარის ლანდები''—იხ. კრებული ,,სხივი'').

ს. გუგუნავა: ,,ზედ ბულბული დამღეროდა ხშირად სცელიდა ხმების კილოს, დღედაღამე მოუსვენარს მყეფიარეს და უძილოს'' (,,თამარიანი'', 1893 წ. გვ. 159).

პოლა ლომთათიძე: ,,შეუდარებელ მაისის თვეში ბაღში აყეფდა მთვრალი ბულბული'' (იხ. ,,ჰეინეს ლექსები'', 1913 წ., გვ. 40);

ვ. გაფრინდაშვილი: ,,ისევე აყეფდა ბულბული მარდად''. (,,ლექსები'', 1944 წ. გვ. 44).

კ. ჰიპინაძე: ,,იადონმა გულის ძგერით ვარდს დაჰყეფა'' (,,ჩანგი'', 1917 წ., გვ. 261).

ვარლამ რუხაძე: ,,და განუყრელი ვარდის მიჯნური ნაზი ბულბული ჰყეფს მომხიბლავად'' (იხ. პუშკინის ,,ბაღჩისარაის შადრევანი'',—,,მნათობი'', 1935 წ. № 5).

კონ. ლორთქიფანიძე: ,,შუაღამე გადავიდა, ასკილაზე ბულბული ჰყეფს'' (იხ. შევჩენკოს ,,ვერხვი'', ,,ჩვენი თაობა'', 1938. № 3).

სიმონ ჩიქოვანი: ,,ბულბული დაჯდა წარსულის ძელებზე და იწყო ყეფა ინდუსტრიაზე'' (,,მხოლოდ ლექსები'', 1929 გვ. 106).

შ. გონაშვილი: ,,და ხან ისმენდა თვალდახუჭული ბულბულის ყეფას'' (გაზ. ,,კოლმეურნე''—სიღნაღი—1940 წ. № 101).

დ. შენგელაია: ,,ისმოდა ყეფა შირვანის ბულბულისა'' (მოთხრობა—,,ცისკარი'', 1940 წ. გვ. 5).

მ. გარიყული: ,,გამოჩნდა კაცი, ვინც მიყვავებდა, ვინც მპირდებოდა სამოთხეს და მეც ვუგდებდი ყურს ბულბულის ყეფას'' (,,მოთხრობები'', სახელგამი, 1932 წ., გვ. 47).

ი. გრიშაშვილი: ,,მხოლოდ შენთვის ჰყეფს ნაზად ბულბული'' (ლექსები, I ტომი, 1914 წ. გვ. 32, 77).

გრიგოლ ცეცხლაძეს ხომ ლექსების მთელი კრებული აქვს სათაურით—,,პოეტის ყეფა''.

რა ამბავია! რა მოხდა! ამ ,,ყეფას'' შეგნებულად ხმარობდნენ ჩვენი პოეტები, თუ მიბაძვით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს? საკითხავია, რატომ არ იხმარებოდა ,,ყეფის'' შემცველი სხვა სინონიმი: მაგ., სტვენა, მღერა, ძახილი (ხალხი ამბობს: ,,ბულბულმა გასძახაო''), რაკრაკი, გალობა, ჭიკჭიკი, ჭუკჭუკი, ჭახჭახი, ღღურტული და, რა ვიცი, კიდევ რამდენი ამისთანა სიტყვაა! შეიძლება იმიტომ, რომ საბას განმარტებით: სტვენა იადონმა იცის, მღერა—შაშვმა, მერცხალმა—ჭიკჭიკი, ხოლო ბულბულმა კი—ყეფა? (იხ. „სიბრძნე-სიცრუისა'', 1928, გვ. 37). მღერას ძველად შეორე შესატყვისიც ჰქონია. იგივე საბა თავის ლექსიკონში ,,მღერას'' ნარდისა და ჭადრაკის თამაშობას უწოდებს. ერთადერთი დავით გურამიშვილია, რომელიც ბულბულზე ამბობს „გალობსო''.

ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახიც ოფოფს გუგული,
შაშვი ამბობს ხილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
დვრინავს ქედანი.

(1931 წ. გამოც. გვ. 210).

სოსელოს ლექსიც აცილებულია ,,ყეფას'' და ნაცვლად ნახმარია, ,,სტვენა''—,,ოდეს ბულბულის სტვენა-სიმღერა ჰაერში ნაზად გაიწკრიალებს'' (,,ივერია'', 1895 წ., № 203).

ბაჩანას განმარტებით: ,,ყეფა ხშირად კაი სიტყვის და ოხუნჯობის ნიშანია'' (იხ. მისი ,,ლექსები და პოემები'', ს. ყუბანეი-

შვილის რედ. 1938 წ. გვ. 476). აშკარაა, ეს განმარტება ,,ყეფა'' და ,,ოხუნჯობა'' ერთი და იგივეაო, ძცდარია. ამ სიტყვის ასახსნელად ახლანდელი თვალსაზრისი არ გამოდგება...

ვაჟა-ფშაველას თქმით, არამცთუ ბულბული, „არწივიც ჰყეფს", ასე ამბობენ ფშაველებიო. მას ლექსიც აქვს (ინიციალებით:— ლ. რ—ზ): ,,ერთხელც იქნება ცა დაიჭექებს, ზვავი გრიალით დაიწყებს დენას, შავად ხეები აღელვდებიან, არწივი მთაზედ დაიწყებს ყეფას'' (იხ. ე. ,,იმედი'', 1883 წ., № 3. გვ. 28).

ჩვენის აზრით, ყეფა ძველის ძველი ფორმაა და ჩვენი პოეტები მას შეგნებულად ხმარობდნენ. ყეფა წმინდა ქართული მოვლენაა და ნიშნავს: შეძახებას, შეკვნესას, შელაპარაკებას, შესიტყვებას. ჩვენს მწერლობაში ბულბული—ალეგორიულად თითქოს ვაჟს ნიშნავს (და ისიც შეყვარებულ ვაჟს!), ვარდი—ქალიშვილს. ვაჟი (ბულბული) ყოველთვის თამამია და პირველი ხმა მას ეკუთვნის, ვარდი (ქალი) მოკრძალებულია, თავდახრილი (გაიხსენეთ, ალ. ჭავჭავაძის ლექსი: „ვარდო, რად ხარ თავდახრილი, რად მარიდებ პირსა შენსა''). ქალს შეყვარებულის ყეფა (კვნესა, გოდება) უფრო ესალბუნება. უნუგეშო ბულბულიც ერთბაშად კი არ „ჩააბულბულებს" თავის სათქმელს, იგი გაბმით შეჰკვნესის თავის ამაყ აშიკს, რომელიც ეკეკლუცება ბულბულს, რომ უფრო მეტის ეშხით დაიმღეროს (გაიხსენეთ ისევე ალ. ჭავჭავაძის ლექსი: „არ გესმის ოხერა, ოხერის მიზეზო!"). ყეფა წმინდა მხატვრული სახეა და ამ შემთხვევაში ნიშნავს მჯახე, მაღალ ტემბრს. რუსულ მწერლობაშიაც ხომ არის ასეთი გამოთქმა „Гром Соловея", „Гремит Соловей" და სხვ. (გოგოლი ამბობს თავის „მაისის ღამეში:" гром украинского соловья", რაც ქართულად „ჭექასა და გრგვინვას" ნიშნავს). პროფ. ალექსანდრე ბარამიძის სიტყვით „ბულბულის ყეფა" გაბედული პოეტური ლიცენციაა (იხ. „ლიტერატურული ძიებანი", III. გვ. 60).

ამრიგად, „ჩვენი პოეტების მიერ ეს ფიგურალური გამოთქმა სრულიად არ ჯრის საჩოთირო. ბულბულის ყეფას ქართული მწერლობის დიდი ტრადიცია მოსდგამს. ის ძველებური სპეციფიკური პოეტური გამოთქმაა, სცილდება დღეანდელ გაგებას და მოკლებულია ჩვეულებრივ მნიშვნელობას.

1940 წ./

ნიკოლოზ გარათაშვილის მშობლების წერილები

I

15 აპრილს [1844 წ.]


ქრისტე აღდგა![1]

ჩემო სიცოცხლეო ძმაო ზაქარიავ[2] მომილოცამს წარსული დღესასწაულები, ღმერთმა მრავალს წელიწადებს დაგასწროს. შენი წიგნი მივიღე, რომელმაც დიდად მასიამოვნა. მწერ, ძმაო, ჯიღების ანგარიშს,[3] შვიდი წელიწადი და ხუთი თვეა, თავნი ხომ რვა თუმანია, სარგებელი არის რვა თუმანი, ოთხი მანეთი და ერთი აბაზი. ძმაო, ძალიან კარგი ფიქრი არის ჯიღების დახსნა. მეც ილაჯი აღარა მაქვს ამ გირაოების პატრონისაგან, შენც იფიქრე, როგორც უჯობდეს ისე გადავწყვიტოთ ამის საქმე; მაინც შენს მეტი არვინ იფიქრებს, შენი ვალებისათვის ისევ შენ უნდა იზრუნო. ჩემო სიცოცხლეო ძმაო! ვიცი ჩემს ამბავს იკითხამ, ჩვენი საქმე ასე არის, რომელიც შენთვისაც სასიამოვნო იქნება: ჩემი ქალი კატო გავათხოვე,[4] შენი დისწული მიეცი რევაზ ერისთავისშვილს,[5] აპრილის ექვს დავწინდე როგორც რიგი არის, თუმცა ქორწილიც უნდოდათ, მაგრამ მე მზათ არ ვიყავ და ამისათვის დარჩა, რომელიც უნდა მიეცე ასი თუმანი ფულად და ასი თუმნის მზითევი[ს]ამაღლებოთ მაშურებენ ჯვარის წერას, როგორც ღმერთი შეგვეწევა ისე უნდა მოვახერხოთ ჩვენი საქმე.

ხომ იცი, ძმაო, ჩვენი მდგომარეობა და ახლა შენც იფიქრე ჩემთვის. ძმაო, ამ ჩემი წიგნის დასამტკიცებლად წიგნებს გიგზავნი ჩემი სიძის რევაზისას და იმის ძმის დავითისას. შენ გენაცვალე, ძმაო, თუმცა ეს ამბავი იყო ჩემს სახლში, მაგრამ რომ არც შენ და არც გრიგოლი,[6] არ შემესწარით ამ შემთხვევაში დიდად ვწუხდი. ძმაო, ჩემი დაბრკოლება მოუმზადებლობა არის,

რასადროს მზათ ვიქნები ჯვარს დაიწერს. ეხლა შენ იცი, ძმაო, რაღა ჩემი მოწერა გინდა, უნდა შემეწიო. ეგების გრიგოლს მანდედამ შენ შეატყობინო ეს ამბავი,[1] თუ რომ ყმაწვილებს ამ წიგნის პასუხი მოსწერო, აქ გამოგზავნე ჩემს სახელზე. შენმა გარდამ, ზაქარიავ, დიახ კარგი საქმე მოხდა. ყველას უკვირს. მაინც მიზეზი შენა ხარ ამ საქმისა თუ ღმერთიც შემეწია და ჩქარა დავაბოლოვე. ამ წიგნის პასუხს ჩქარა მოველი შენგან.


შენი დ ე ფ ე მ ი ა კნეინა ბარათოვისა



II

ძმაო ზაქარიავ, ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობით ცხოვრებას. ახლა ძმაო, კატუა გავათხოვეთ და ჯვარსაც საამაღლებოდ ვწერთ, რევაზს, ლევანის ძმას ერისთავს მივეცით. აბა ხომ ჰპირდებოდი, დროც ეს არის თუ მოგვაშველებ რასმეს. ხომ იცი ჩემი მდგომარეობა როგორც არის, შენმა გაზდამ დიდად გაჰირვებაში ვარ ეხლა ამ შემთხვევისთვის, შენგან ტყუილი არ მწამდა და ეხლა ჩემზედ აღასრულე, წასვლის დროს დამპირდი გამოგიგზავნი სახარჯოსაო და ასე წახველ რომ ჯერაც მოდის; ახლა მშვიდობით, თუ დროზედ მომეშველები კატუას მზითვისთვის შენ იცი, თუ არა და გაჰირდება საქმე და მარტო ჩემთვის არ იქნება — თქვენთვისაც სირცხვილია რომ ასე დავრჩე.

შენი მ ე ლ ი ტ ო ნ ბარათოვი



[აშიაზე მინაწერი]

ბატონიშვილმა* და იმისმა ქალმა სიყვარულით მოგიკითხეს და ღმერთსა სთხოვეს შენი მშვიდობა. აგრეთვე ჩემ[მ]ა ქალებმა სიყვარულით მოგიკითხეს.

შენიშვნები

1. ამ ორ ბარათს, რომელიც ერთ ქაღალდზეა დაწერილი, თარიღი არ უზის. იგი დაწერილი უნდა იყოს 1844 წელს.

2. ზ ა ქ ა რ ი ა — ზაქარია ორბელიანი (1806 — 1847) — გ. ორბელიანის უმცროსი ძმა, ნიკო ბარათაშვილის ბიძა—დედის მხრივ. ამ დროს (1844 წ.) ზაქარია ორბელიანი პოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა ყოფ. სამურის ოლქში (სამხრეთ დაღესტანში). გენერალ მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვთან (იხ. გრ. ორბელიანის წერილები. ტ. I, აკ. გაწერელიას რედაქციით). 1842—1846 წლებში ზაქარიას მუდმივი სამყოფელი ადგილი იყო გამაგრებული სოფელი ახტა. ძმებს—გრიგოლს, ილიას, ზაქარიას—ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდათ თავის დასთან, ეფემიასთან. ზაქარია ორბელიანი გარდაიცვალა 1847 წელს ხოლერით.

3. ჯ ი ღ ა—შუბლის ქინძისთავი; მარგალიტის ხოირი; თავდახურული მანდილოსნების ჩიხტზე გასაკეთებელი სამკაული.

4. კ ა ტ ო—ნიკოლოზ ბარათაშვილის დაჲ.

ეფემია 15 წლისა იყო და მელიტონი 18-სა ჯვარი რომ დაიწერეს. პირველი შვილი ნიკო იყო. სულ მელიტონს 14 შვილი ჰყავდა: 8 ქალი და 6 ვაჟი, მაგრამ გარდა ნიკოსა და ოთხი ქალისა სუყველანი პატარები დაიხოცნენ—სამ წლამდის. ქალები გათხოვილი იყვნენ, კატო—რევაზ ერისთავზე, ბარბალე—დიმიტრი ვეზირიშვილზე, ნინო—ლეონიდ ბარათაშვილზე და სოფიო—ვასილ სუმბათაშვილზე.

5. რ ე ვ ა ზ ე რ ი ს თ ა ვ ი (— კაზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელი არავის ეგონოს) თავის დროის შეძლებულ თავადად ითვლებოდა. რევაზი ზაქარია ორბელიანის ბაღლობის მეკობარი იყო. მიუხედავად მელიტონის დავალიანებისა, იმ დროის მიხედვით, ბარათაშვილის ოჯახმა ორასი თუმნის მზითევი გაატანა კატოს. ნიკო ბარათაშვილს თავისი დის ქორწილი ასე აქვს აწერილი: „...კარგი ქორწილი გადავიხადეთ. მეორე დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილათ ქაიხოსრო მუხრანსკისას ვიყავით. კარგად დაგვიხვედა.—იქიდან ახალგორს წავედით. ოძისს რომ მივახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი დგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება; ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაიკო, უაფლან,

მიხაკო, ალექსანდრე სუმბათოვი—მეჯვარე. რომ დაბინდდა შეეედით ახალგორს, სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული, მეიდანი—მაშხალებით. ამ დროს ახალი არქიერი, წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა, აქ იყო და მგალობლები იმისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჯვარით მოგვეგება გალავნის კარებში; დაჰკრეს ზურნას, სათარას სიმღერა (თანა გყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ჰდევა და ყვირილი საუცხოო სანახავს წარმოადგენდა; ამასთან მთვარიანი ღამე და წშვენიერი მდებარეობა. სასახლეში რომ შეეედით და ყაფლანამ ქუდი მოიხადა და შეხედა ზალას, ერთი გულით წამოიძახა: Фу, е—м—это дворец! ბევრი გვიცინია".

6. გრიგოლი—პოეტი გრიგოლ ორბელიანი (1804—1883), ნიკო ბარათაშვილის ბიძა—დედის მხრივ. საერთოდ დისწულსა და ბიძას ზედმიწევნით ინტიმური მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან მათი ასაკის განსხვავების მიუხედავად. ამ მიწერ-მოწერიდან ნათლად ჩანს, რომ გრ. ორბელიანი დიდი აზრისა იყო ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე. ნიკოც გრძნობდა ამას და ბიძისადმი მინაწერ წერილებს ავსებს შეთამამებული კილოთი, ხუმრობით, ლაზღანდარობით და ამხანაგური ლათაიებით.

7. ამ დროს გრიგოლი იმყოფებოდა დაღესტანში, იგი დანიშნეს 1844 წლის დასაწყისს, ყოფ. მეხთულის სახანოს მმართველად და ამ პოსტს 1848 წლამდე შერჩა. მისი შუდმივი რეზიდენცია იყო სოფ. ჯუნგუთაი (იხ. გრ. ორბელიანის წერილება, ტ. I, ა. გაწერელიას რედაქციით, გვ. 267; შდრ. „Кавказский сборник" ტ. VI, გვ. 40).

8. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ მეფე ირაკლის ქალიშვილის თეკლეს ოჯახი, რომელიც მელიტონის მეზობლად ბინადრობდა. ნიკო ბარათაშვილი დაიბადა ერეკლეს მოედანზე (ძველად „სალაყბო") ორბელიანების ნამზითევ სახლში, სახლი ერთსართულიანი იყო, ბანიანი, რვა ოთახისაგან შესდგებოდა. უკან პატარა ეზო ჰქონდა, წინ პირდაპირ ქუჩაზე გამოდიოდა. ეს ადგილი მერე სოვდაგარმა მანთაშევმა შეისყიდა. ეხლა იქ სხვა სახლია აშენებული. ნიკო ბარათაშვილის გამდელი იყო გორელი მაია, რომელსაც ყველა დიდ პატივსა სცემდა (ნ. ბარათაშვილის „ლექსები" 1922 წ., გვ. 241).

ეს წერილები ინახებოდა ნიკოლოზ ერისთავის ოჯახში, ასლი გადამაწერინა მისმა მეუღლემ ეკატერინემ. ამჟამად ორივე გარდაცვლილია. ნიკოლოზი (ანუ კოლა) ნ. ბარათაშვილის დის, კატოს ვაჟია (კატომ თავის პირმშოს ძმის სახელი უწოდა). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოეტის ოთხივე დაჲ წარჩინებულ პირებზე გათხოვდნენ, მაინც ნაკლებად ზრუნავდნენ უდროოდ დაღუპულ თავიანთი ძმისთვის. კ. ყიფიანის სიტყვით, „ამ დებმა არც ერთი ლექსი თავიანთი ძმისა არ იცოდნენ და როდესაც ჭჩვენ ვაქებდით და ვადიდებდით ჩვენს პოეტს — განაგრძობს ყიფიანი — ისინი როგორღაც უნდობლად იღიმებოდნენ ხოლმეო“. ნიკო ბარათაშვილის სიძე მწერალი იყო, ლეონიდ ბარათაშვილი (იხ. მისი ნაწერები 1867 წლის „ცისკრებში“, ხელნაწერად დარჩა „ათას ერთი ღამის“ თარგმანი—წ. კ. ს. ხელთ. 3227), მაგრამ ვერც ეს სიძე გამოდგა თავისი ცოლის ძმის ნაწერების მეურვეთ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლობლებმა ერთი ფოტოგრაფიული სურათიც კი არ შეგვინახეს ჩვენი დიდებული პოეტისა... ნიკოს ჰყავდა ერთი დისწული მიხეილ ვეზირიშვილი, რომელმაც თავისი ბიძა გაარჩია „იერიაში“ („ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია“ — „იერია“ 1889 წ. № 247, 249, 250 და 251), მაგრამ მაშინდელმა დუხჭირმა პირობებმა მიხ. ვეზირიშვილი სამშობლოს გარეთ გასტყორცნეს სამსახურის საძებნელად და მის ახლადშლილ კრიტიკულ ნიჭს ფრთები მოეკვეცა. მეტად საინტერესო მოღვაწე იყო ბარათაშვილის მეორე დისწული ნიკოლოზ ერისთავი, ან როგორც მისმა მეგობრებმა ხუმრობით შეარქვეს: „ცუნცულაძე“. იგი არ იყო მწერალი, მაგრამ თავისებურ საზოგადო მოღვაწედ ითვლებოდა, იცოდა გატაცებული ბაასი, ეხმაურებოდა ყოველგვარ ქართულ საქმეს, კამათობდა, ბობოქრობდა, პატრიოტობდა. მან სომხის მდიდარი ქალი შეირთო (შვილი არა ჰყავდა) და ფულითაც ეხმარებოდა ქართულ კულტურულ საქმიანობას. მან 1909 წელს კარგი ნაწარმოებისთვის პრემიაც დანიშნა და მეთვალყურეობა სიტყვაკაზმულ საზოგადოებას მიანდო. იგი, სხვათა შორის, გავლენიანი პირი იყო მაშინდელი მაღალი მოხელეების წრეში და ძალიან დიდი მეგობარი—დავით ერისთავისა და განსაკუთრებით ილიაჭავჭავაძისა. ამას ხათლად ამტკიცებს დავით ერისთავის გამოუქვეყნებელი ბარათები და ილიას კერძო წერილები... აი ეს კოლა ერისთავი,—არც ეს არიოთ დეკლამატორ კოლა ერისთავთან,— იყო ინიციატორი ბარათაშვილის ლექსების გამოცემისა. მისი მოუ-

ლოდნელი სიკვდილის გამო, ეს საქმე მისმა მეუღლემ განაგრძო საკუთარი საფასით. ამ მუშაობის შედეგი იყო 1916 წელს დაბეჭდილი „ბედი ქართლისა“ (მთელი წიგნი პოეტის ავტოგრაფისაგან შესდგებოდა, დაურიგდა მხოლოდ ხელისმომწერლებს, გასაყიდად არ გამოსულა) და ნ. ბარათაშვილის ნაწერების პირველი აკადემიური გამოცემა, რომელსაც ექვსი წლის ბეჭდვის შემდეგ, მხოლოდ 1922 წელს ელირსა გამოსვლა.

ი. გ.

1939 წ.

ილია ჭავჭავაძის ორი კერძო წერილი

I

კოლავ, ძლივს გავათავე მარია ვახტანგის ასულისაგან შემოკვეთილი ბიოგრაფია. მე დღეს შენთან ვარ სადილად და დიდ სიკეთეს მიზამ, თუ კნეინა მარია ვახტანგოვნას შეატყობინებ და შემთხვევას მომცემ შენის თანდასწრებით წაუკითხო. ნუ შეშინდები, ბევრს დროს არ დაჰკარგავ იმის წაკითხვაში და ჩემთვის კი ძალიან მოსახერხებელია სხვა ქართულის მცოდნესთან კნეინას თავისი მამის ბიოგრაფია წავუკითხო. თუმცა შენზედ უკეთესი მცოდნე ქართულისა ბევრია, მაგრამ იმათში შენზე უკეთესი ნაცნობი არავინ არის მარია ვახტანგოვნისა. თუ ეს საქმე დღეს არ მოხერხდა, დიდიმარხვის სამშაბათამდე ამისათვის მე აღარ შეცლება და მარია ვახტანგოვნა კი ჩქარობს. შემატყობინე ამისი პასუხი ბანკში.

ორშაბათი.

შენი ილია ჭავჭავაძე

II

კოლავ! დღეს არ შემიძლიან არქიელთან წასვლა: სულ უძილო ვარ, ძალიან დამალოკეს და აბა, იფიქრე, ამ უძილობასთან რა კარგს ქეიფზე ვიქნები. ეს სულ შენგანა მჭირს. რა მრჯოდა? ჩემთვის ვეგდე, ველიკოკნიაზებთან რა ჩემი საქმე იყო. შენ სწორედ ჩემი მეფისტოფელი ხარ, თუ სულის არა, ჯიბის წამწყმედი მაინც. ვენაცვალე შენს დამბადებელს ღმერთსა (უხაროდეს კარგი რამ გაგაჩინა), რომ შენც წააგე, თორემ გულშემატკივარი ვინ მეყოლებოდა ამ უმადურსა და უბადრუკს ქვეყანაში.

შენი ილია ჭავჭავაძე

შენიშვნები

I

ილია ჭავჭავაძის ეს კერძო წერილი, რომელიც გადმოგვცა ანეტა დიასამიძემ, მიწერილია ნიკოლოზ რევაზის-ძე ერისთავისადმი (ამ უკანასკნელის შესახებ იხ. წინა წერილის შენიშვნები: „ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები“). ილიას წერილი ეხება მის მიერ დაწერილ ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიას, რომელიც დართული აქვს ვ. ორბელიანის ლექსთა კრებულს. მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი იყო პოეტის ქალიშვილი. მან საკუთარი ხარჯით პ. უმიკაშვილის, ი. გოგებაშვილის და ი. ჭავჭავაძის რჩევით დაბეჭდა თავისი მამის ლექსთა კრებული 1894 წელს (დაცენზორებულია 1892 წლით). მარიამი ცარიზმის დროინდელ საქართველოში ერთადერთი ქალი იყო, რომელიც მრავალი კულტურული და საზოგადოებრივი დაწესებულებათა შექმნის ინიციატორად ითვლებოდა. იგი ნამდვილი ქველმოქმედი იყო, ჰყავდა თავისი სტიპენდიანტები, ეხმარებოდა გლეხის შვილებს სათავადაზნაურო სკოლაში შესასვლელად. სოფ. ლამისყანასა და ატენში გლეხებს დაუარსა პირველდაწყებითი სკოლა, თავმჯდომარეობდა: ქართ. სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტს, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სკოლის დამხმარე კომიტეტს, ქართული ფილარმონიის საზოგადოებას, იყო წ. კ. საზ. საპატიო წევრი. მშობლიური ლიტერატურის გარდა, იცოდა უცხო ენებიც: ნათარგმნი აქვს შექსპირის კომედია: „ვინძორის ცელქი ქალები“. მარიამ ვახტანგის ასული დაიბადა 1852 წელს 7 ივლისს (ძვ. სტ.), გარდაიცვალა 1941 წელს 23 აგვისტოს, 89 წლის ასაკში.

II

მეორე წერილი გადმოგვცემს ერთ მომენტს ილიას ცხოვრებიდან, როცა ჩვენი დიდბუნებოვანი პოეტი, ხანგრძლივი შრომის შემდეგ, ხანდახან თავს ბანქოს თამაშით ირთობდა ხოლმე.

წერილები უთარიღოა.

ო. ჯ.

1937 წ.

პეტრე უმიკაშვილის წერილი „კვალის“ რედაქციისადმი

პეტრე უმიკაშვილის „ბალხური სიტყვიერების“ გამოსველამ (რედაქტორი ფილიპე გოგიჩაიშვილი, „ფედერაცია“, 1937 წ.) გამახსენა მისი ერთი კერძო წერილი, რომელიც რახანია გადავიწერე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისაგან და სათუთად მქონდა შენახული.

ვბეჭდავთ ამ საყურადღებო წერილს ჩვენი შენიშვნებით.

„ბატონო ანასტასიავ მიხეილის ასულო
და ძმაო გიორგი!

მოდის ახალი წელიწადი, მეორე წელი „კვალისა“[1] და თქვენთან ერთად მეც მოზიარე ვარ მომავლის წლის ხელის მოწერის შესახებ. როგორ მიდის საქმე? აქ ზესტაფონში ეკითხულობ ფოჩტაში და აქედამ ჯერჯერობით გვარიანად მიდის საქმე. ამასთანავე მესმის, რომ იმერეთში ხელის მოწერა კარგა წავაო. ვნახოთ. აგრეთვე „მოამბეზე“[2] კარგი ხმა ისმის და ხელის მომწერლები ჩანან.

რაც იქნება ხომ ვნახავთ და არ უნდა შეშინდეთ, თუ წელს ცოტათი იკლო ხელის მოწერამ. სურათებიანი გამოცემა ყოველად საჭიროა ჩვენში და მომავალს კარგს უნდა მოველოდეთ, ამიტომ რომ ერთადერთი ილუსტრაციული ჟურნალია. მხოლოდ საწადელი არის, უფრო მომატებულად შინაარსით მდიდარი შეიქნეს, მრავალფეროვან (разнообразный) ნაწერით შემკული და კარგის ნახატებით მორთული. ეხლანდელი სურათები არ აკმაყოფილებს ესტეტიურს გემოვნებას და არ შეუძლია გემოვნების გახსნა, წინ წაყვანა. ამისათვის წინათაც გექონდა ლაპარაკი, რომ პეტებურგში ან მოსკოვში უნდა გყვანდეთ ვინმე მოხერხებული სტუდენტებში, მოსკოვში იქნება ხახანაშვილმა[3] იკისროს, თუ გინდათ მე მოველაპარაკები. კარგა ვიცნობ. პეტერბურგში სტუდენტი ჯორჯაძეა და იქნება მარიც დაგეხმაროთ. თქვენი შუაკაცი მოურიგდეს ვისმე და პოლიტიპაჟები ეგებ გათხოვონ დროებით და ისევ და-

უბრუნებთ აკკურატად. შეიძლება ილუსტრატიულ ჟურნალებში კეთილსვინდისიანი თანაშრომელნი იყვნენ, რომელთაც აცნობონ თქვენმა აგენტებმა გაპირვებული მდგომარეობა ქართულის ჟურნალისა და მიიღონ მხედველობაშიაც. არაფერს არ დააშავებს „კვალი“ თუ რუსულ „ნივას“ წაჰბაძავს. უნდა მისცეთ მრავალფერობა და მრავალფერობა. ნუ ატანთ ძალას ერთგვაროვნებას, შეამოკლეთ რამდენათაც შეიძლება ერთგვაროვნება ნაწერებისა, იშვიათ შემთხვევას გარდა, როგორც მაგალითად უკანასკნელი ნომერი ყაზბეგის გამო (მაგრამ მაინც სისრულე არ ეტყობა), ბიოგრაფიული წერილი არც ერთ გაზეთში არ იყო, საჭირო კია, გიორგი, შენ ამას გეტყვი, რომ თავი დაანებო ფილოლოგიას. ნუ ახირდები!—ვინ მუშაობს რედაქციაში, ვინ გეხმარებათ? უნდა გაიჩინოთ ვინმე, თორემ მალე მოიღლებით და გაგიძნელდებათ. მე მინდოდა რამე გამომეგზავნა, მაგრამ დრო ვეღარ შემხვდა. მოვიფიქრებ პირველ ნომრებში რამე გამოგიგზავნოთ. გიორგის ამას ვეტყვი, რომ სტუდენტებისაგან თუ ვინმე მონაწილეობას იღებს, მიწერ-მოწერა იქონიოს, დიდი მნიშვნელობა აქვს ამას და დიდათ მოქმედებს. მხოლოდ ყოველი სიტყვის მიწერ-მოწერაში სიმართლე და სიმართლეა საჭირო. რამდენიმე ახალ მწერლის გამოჩენამ „კვალში“ მასიამოვნა, მაგალითად ა. ჯ.[3] უნდა როგორმე დაიახლოვო ქუთაისში რატიშვილი ივანე, ვეზირიშვილი მიხეილ[7] (ადრესი: (Игдир, судебный следователь მიხეილ ნიკოლოზის-ძე ვეზიროვს). ეს ორნი ლიტერატურის ტემპერამენტისანი არიან, ჩემი მოწაფეები, ქართული კარგად იციან და უყვართ, ზნეობა-ხასიათით პატიოსნები. ბედმა უმუხთლა. ტფილისში ვერ დარჩნენ. ვეზირიშვილმა მშვენიერი წერილი დასწერა ბარათაშვილზე (ივერიაში), ამ რამდენიმე წლის წინათ, არის კიდევ გედევანოვი ექიმი. მეორე ძმა ტფილისის თავადაზნაურთა სკოლის ექიმისა. ამათ როგორმე უნდა დაუახლოვდეთ, გაიცნოთ და შემთხვევა არ დაჰკარგოთ მათის ნახვისა, თუ ამ უქმეებში მანდ იყვნენ ან როდისმე. ბატონი ანასტასიას იმედი მაქვს, გულმავიწყი არ არის გიორგისავით. მაგრამ ეს უნდა ვთქვათ, კარგა ხანმა გაიარა მას აქეთ, რაც მწერლობაში მუშაობა დავიწყეთ, მაგრამ გარემოება ისევე ძველი დარჩა, როგორც მაშინ პირველ ხანებში, დღესაც საჭიროა, ძებნა თანამშრომლებისა და მათი წახალისება, მოწვევა, დაახლოება, მიწერ-მოწერა, თუ საჭიროდ დაინახავთ, მეც დაგეხმარებით და მოხსენებულ კაცებთან წერილებს გავგზავნი, მიიღონ მონაწილეობა „კვალში“. ერთის სიტყვით „კვალი“ უნდა გამაგრდეს და სიმტკიცე მოიპოვოს.

თქვენს რედაქციას ვთხოვ მომავალ წელსაც „კვალი“ და „ჯეჯილი“ ტფილისში მიგზავნოთ ჩემს სახელზე. ამ წლის ხვედრი ფული გიორგის გადავეცი. მომავალი 1894 წლის ხვედრსაც გადავიხდი ან ფულით, ან წერილებით, თუ შეიძლება. ადრესი ჩემი იგივეა ტფილისში, სანამ გამოვიცვლიდე. თუ შეიძლოთ პასუხი მომწერეთ (Квириллы в контору Гоголеридзе).

თქვენი პეტრე უმიკაშვილი.

P. S. ვაჟა-ფშაველა მანდ თუა, მომიკითხეთ. მისი ადრესი მაცოდინეთ. მინდა მოვწერო. მოუარეთ, ღვთის გულისთვის, ძვირფასია, მაგრამ შეცდომას უფრთხილდით.

სალიტერატურო ფონდის დაფუძნებაზე მოვწერე კატოს ₰, ითავეთ კარგი საქმეა, საჭიროა.

ზუსტაფონი
25 დეკემბერი, 1893 წ.“

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. „კვალი“ გამოვიდა 1893 წ. იბეჭდებოდა თერთმეტი წლის განმავლობაში—1903 წლამდე.

2. იგულისხმება ჟურნალი „მოამბე“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1894 წ. „მოამბე“ დაიხურა 1905 წელს.

3. პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი დაიბადა 1866 წელს გორში, გარდაიცვალა 1912 წელს, 25 ივლისს (ძვ. სტ.) ქ. სამარაში.

4. ა. ყაზბეგი გარდაიცვალა 1893 წ. პ. უმიკაშვილი გულისხმობს „კვალის“ იმ ნომერს, რომელიც განსვენებულ ბელეტრისტს ეძღვნა—„კვალი“ 1893 წ. № 52.

5. წერილი, რომელსაც მოწერილი აქვს ა. ჯ. (არჩილ ჯორჯაძეა?), დაიბეჭდა 1893 წ. „კვალის“ № 44 და 45-ში. ამ წერილს ორი სათაური აქვს: სამეცნიერო კვლევა. ქვესათაურია: დაფარული ხენი. პირველი სათაური რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს, მეორე—წერილის ავტორს. ქვეშ, ინიციალების გარდა, მოწერილი აქვს დაწერის დრო და ადგილი: „ვარშავა. 1893 წ.“

6. ივანე გიორგის-ძე რატიშვილი—პედაგოგი.

7. მიხ. ვეზირიშვილი, პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის დისწული იყო (ბარბარეს ვაჟი). წერდა კრიტიკულ წერილებს.

8. მ. ვეზირიშვილის წერილი დაიბეჭდა „ივერიაში", 1889 წ. № 247, 249, 250, 251—შემდეგი სათაურით: „ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია".

9. აქ იგულისხმება ექიმი მიხ. გედევანიშვილი, რომელმაც, 1914 წ. ილიას თხზულებანი გამოსცა. მიხ. გედევანიშვილი გარდაიცვალა 1922 წ.

10. კატო—ეკატერინე გაბაშვილი (1851—1938).

ი. გ.

1937 წ.

ა. ცაგარლის წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი

კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხატვრეთმცოდნეობის კაბინეტის ფონდში დაცულია ნიკო ნიკოლაძის (1843—1928) არქივი, რომელიც გადასცა მისმა ასულმა პროფ. რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვმა.

სხვა მრავალ საყურადღებო წერილებს შორის, ნიკო ნიკოლაძეს შემოუნახავს დრამატურგ ავქსენტი ცაგარლის (1857—1902) წერილებიც... მართალია ეს წერილები შეეხებიან ა. ცაგარლის პირად ცხოვრებას, მაგრამ მათ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვთ. ამ წერილებში ნათლად არის გადმოცემული ის მძიმე და დუხჭირი პირობები, რომლებშიაც უხდებოდათ ცხოვრება მრავალ ჩვენს გამორჩენილ მწერალსა და მოღვაწეს.

ახალგაზრდა ა. ცაგარელი მაშინაც კი, როდესაც სახელმოხვეჭილი დრამატურგი და თეატრის უანგარო მუშაკი იყო, ოჯახისა და თავის სარჩენად იძულებული იყო გარეშე სამსახური ეძებნა, უარიყარ ეთქვა, ისეთ უბრალო სამუშაოზედაც კი, რომელიც მის მოწოდებას არ შეეფერებოდა. ლიტერატურასა და თეატრს ა. ცაგარელი თავდადებით ემსახურებოდა. მართალია, თეატრი არაფერს არ აძლევდა, მაგრამ ის ერთი წუთითაც არ მოშორებია მას (წერდა პიესებს, სცენებს, ლექსებს; მსახიობობდა, სუფლიორობდა, გაზეთებში თანამშრომლობდა და სხვ.). ამას ზედ დაერთო უფროსი ძმის, პროფ. ალექსანდრე ცაგარლის საყვედურები; მაშინ, როცა ა. ცაგარლის პიესებს აღტაცებით ეგებებოდა საზოგადოება, ამ დროს მისი ძმა ასეთ წერილს უგზავნიდა პეტერბურგიდან შინაურებს: „...ასიკოს უთხარით ჩემს მაგივრად, რომ რასაკვირველია. მიხარიან, რომ ნიჭი აქვს, მაგრამ თვითონაც კარგად იცის, ჩვენი ოჯახის ამბავი და უნდა ეყურებოდეს, რომ მაგის თეატრში ყოფნას საბოლოო არაფერი მოსდევს"... ბოლოს დასძენს, რომ სამსახური მოძებნოს, თუ გინდ ეს სამსახური სხვა ქალაქშიაც ყო-

ფილიყო. და ასიკოც ეძებს სამსახურს. მეგობრებმა ჩვენს დრამატურგს ერთი ხეირიანი, ჯამაგირიანი ადგილი ვერ მოუხერხეს, ბოლოს თვით გაახსენდა ნიკო ნიკოლაძე, იცოდა, რომ ნიკოლაძეს მოსწონდა მისი ნაწერები; ამან გააბედვინა ცაგარელს წერილი მიეწერა ნიკოლაძისათვის და სამსახური ეთხოვა: ნიკოს იმ დროს კარგი ადგილი ეჭირა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, მას თავისი ავტორიტეტით და საქმის ცოდნით დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ამ დაწესებულებაში, მას ენდობოდნენ. და, აი, 1884 წელს ა. ცაგარელი წერილსა სწერს ნიკოლაძეს, გამოსთქვამს თავის გაჭირვებასა და რკინიგზის სამმართველოში რაიმე ადგილსა სთხოვს... ნ. ნიკოლაძე გულისხმიერი აღმოჩნდა, მან მაშინვე უპასუხა ასიკოს და რეკომენდაციის ქაღალდიც გაგზავნა ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველის პრესნიაკოვის სახელზე...

ვინც წაიკითხავს ა. ცაგარლის წერილებს, გული ბოლმით აევსება: რამდენი ტანჯვა და დამცირება გადაუტანია ამ უნიჭიერეს ადამიანს, ჩვენს „ქართველ ოსტროვსკის“ ერთი ლუკმა პურის საშოვნელად. ჰეშმარიტად მასზე ითქმის, „იყო სოფელში და სოფელმა იგი ვერ იცნო“.

ყველაფერ ამაზე მკაფიოდ მოგვითხრობს ა. ცაგარლის პირადი წერილები (მიგვითითა საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერმა მუშაკმა თამარ მაჭავარიანმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ).

ა. ცაგარელს ამიერკავკასიის რკინიგზის სამსახურში თერთმეტი წელი გაუტარებია; შემოქმედებისათვის კი რა მცირე დრო ჰქონდა და რამდენი რამ გააკეთა! მისი უკანასკნელი სამსახურის ადგილი—სადგური ჭალადიდი იყო, სადანაც ჯანგატეხილი, გაწამებული და გაუხარელი ასიკო დაბრუნდა თბილისში და აქ ჰპოვა უკანასკნელი სავანე (1902 წ.).

აქვე უნდა ითქვას, რომ ა. ცაგარელს მაინცადამაინც არ დარჩენია მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, და, ეს წერილები ცოტათი მაინც ავსებს ამ ხარვეზს.

წერილები იბეჭდება ჩვენი შენიშვნებით.

ლ. ხ

1

თბილისი, 4 აპრილი. [1884 წ.]

უძვირფასესო ნიკო!

დიდი ხანია, წერილის მოწერას ვაპირებდი, მაგრამ არ მომიხდა, რადგანაც ქალაქში გელოდით.[1] ნიკო, შენი ჭირიმე, ერთი

სათხოვარი მაქვს შენთან და იმ იმედით და სასოებით გეტყვი, როგორც იესო ნაზარეველის წინ დაჩოქილი მართლმადიდებელი. გთხოვ. გამიხდე სახსარი და წინამძღომელი მომავალის ჩემის ცხოვრებისა და წარმატებისა. მე სხვა არავის აღარ მივენდობი შენს მეტს, ამას გულწრფელად გეუბნები. მრავალჯერ და მრავალგვარ მომატყუილეს ცრუ იმედებით და დაპირებით, ამას მე შემდეგ დაწვრილებით მოგწერ. ხომ იცი, რა ხალხიც მახვევია, რა ხალხშიაც ვტრიალებ:—ლაჩარი გმირები, ტყუილად მყვირალი ჩოჩრები, უანბანონი, გამოტვინებულნი, უბაშპორტო ლიტერატორები, ჰკუის ლილიპუტები, თუ შეიძლება, ასე ვსთქვა, ცრუ და მატყუარნი, რომელთაც ჰკუა კონდრაბანდად მიაჩნიათ — აი, ეს ხალხი მახვევია, და რა კეთილს უნდა მოველოდე ამათგან.

მესამე წელიწადია, უალაგოდ დავდივარ. ბევრნი დამპირდნენ, ბევრი მაიმედეს, ბევრი მალოდინეს და ბოლოს კიდევ უსაშველოდ დამტოვეს. რომელი ერთი შემოგჩივლო? გთხოვ, ნიკო, ოღონდ რამე ალაგი გამომიძებნე, რომ ცხოვრების სახსარი მქონდეს და როგორიც და სადაც უნდა იყოს, სრული თანახმა ვარ და მოგენდობი. დარწმუნებული იყავი, ჯოჯოხეთში რომ წამიყვანო, სიხარულით წამოგყვები. თუ რამე გარეშე ალაგის შოვნა გეძნელება, ეს მაინც ჩაიდინე, რომ წერილით სთხოვო ჩემი გულისთვის აქაურს რკინიგზის უფროსებს, იმედი მაქვს ყველას იცნობ, რომ დროებამდის პოეზდის კონტროლიორის ალაგი მაინც მომცენ. ამას მე საუკუნოდ დამავალებ და დამიხსნი. სასოწარკვეთილებისაგან. გწერ სრულის იმედით, რომ ამ ალაგს გამირიგებ. დარწმუნებული იყავი, რომ ჩემს სამსახურს მტკიცედ მოვეკიდები და იმედს არ გაგიცუდებ. ეს ხომ იცი, რომ ჩემზე უხეიროებს ვეჯობივარ და გაჰირვებაში შეჰიძლიან, თოხარიკი გამოვიჩინო.

ნიკოჯან, იმედი მექნება, შენი ჰირიმე, რომ ძალიან მალე მომწერ პასუხს და ზემოხსენებულ ალაგსაც მითხოვ. გაიმეორებ, ამითი ძალიან დამავალებ. თუნდა სხვაც რამე ალაგი იყოს, ოღონდ შენთან ვიყო და გეუბნები, სადაც გინდა, წამიყვანე. მგონია, საკმაოდ მიცნობ, რომ ცოტა საქმის გაკეთება მეც შემიძლიან და არ შეგარცხვენ. პასუხს ველი დიდის იმედით, გახსოვდეს, შენს იქით არავითარი სახსარი და გზა არა მაქვს.

შენი დღეგრძელობის მონატრე

ახიკო ცაგარელი.

P. S. ოლიკო და დათიკო მოგვიკითხეთ,[1] როგორც ჩემ მაგივრათ, ისე ნატოს[2] მაგივრადაც.

ჩემი ადრესი: Солодаки, садовая, № 43.

2

თბილისი, 3 მაისი. [1884 წ.].

უძვირფასესო ძმაო ნიკო!

მე დიდიხანია დარწმუნებული ვიყავი, რომ შენი სიტყვა და კალამი წმ. გიორგის მახვილზედ არა ნაკლებ სჭრიდა, და ეხლაც რომ იმავე ძალას გამოიჩენდა,—ამას რაღა კოდელი ნინო უნდა![1] ჩემს შენდამი მადლობას ჯერ ასე ადვილად ვერ გადაგიხდი და, სწორე გითხრა, ვერცკი მოვახერხებ ჯერჯერობით მადლობის გადახდას, ისე აღძრული ვარ ამ დაუვიწყარის დავალებით; სჯობს, ისევ საქმის წარმოება გიამბო...

პრესნიაკოვთან[2] მივედი, მიმილო თავის კაბინეტში, ჩვეულებრივი მოკლე გაცნობის შემდეგ გადავეცი წერილი. გახსნა წერილი, თვალებთან ახლოს მიიტანა, კისერი მარჯვნივ დახარა და გულმოდგინეთ და თანაგრძნობის გამომხატველის სახით გადაათვალიერა პირველი გვერდი წერილისა; მე მაშინვე ვიფიქრე, ეხლაკი არდაგანი ავიღეთ მე და ჩემმა წინამძღოლმა მეთქი... იმ ალაგთან რომ მივიდა, სადაც იმის სახლობას მოკითხვას უძღვნიდი, მდაბლად თავი დაუხარა წერილს, მომიბრუნდა და მითხრა: „Можно! я слишком дорожу мнением г. Николадзе“, წაიბუტბუტა თავისთვის. შემდეგ მითხრა, რომ პირდაპირ კონტროლიორობის მოცემა არ შეიძლებაო: ჯერ ის საქმე უნდა გაიცნო, რას აკეთებს კონტროლიორიო და მერე შემიძლიან ეგ ალაგი მოგცეო: ამისათვის დროებით დაგნიშნავო запасным агентом, ხან დვიჟენიის კონტორაში იქნები, ხან კონტროლისაო, რომ საქმე შეისწავლოო. შემდეგ ბოდიში მოიხადა, დღეს ბევრი საქმე მაქვს და გთხოვ, ხვალ ამ დროს მოხვიდე, დაწვრილებით მოგელაპარაკებიო. მეორე დღეს ჩამისვა ფაიტონში და უპრავლენიეში წამიყვანა. გზაზედ ბევრი იყბედა. (მგონია გადაკრულში იყო), მე თქვენს სამსახურზედ სხვანაირად ვფიქრობო, ნიკოს პატივისცემისთვის, მინდა იმისთანა საფუძვლიან საქმეზედ დაგაყენოვო, რომ შეგეძლოს თანდათან წინ წასვლაო („Я, говорит, для Николая Яковлевича хочу сделать что нибудь путное“). მხოლოდ უნდა იმეცადინოთო. აი ეხლა გორნიჩს[3] გაგაცნობ, დვიჟენიის უფროსიაო: ამ კაცს, არამც თუ არავითარი სპეციალური განათლება არ მიუღიაო, თითქმის არსადაც არ უსწავლიაო, მხოლოდ თავის მეცადინეობით ამ ალაგამდის მიახწიაო... როგორც ლაპარაკში შევამჩნიე იმას, გორნიჩი ძალიან არ უნდა ეპიტნავებოდეს... მიმიყვანა უპრავლენიეში; გორნიჩი დაიბარა, ცალკე რაღაც უთხრა, გამაცნო და იმას ჩამაბარა.

პირველ მაისიდგან დვიჟენიის კანტორაში დავდივარ. რაღაცა რაპორტებს მაწერინებენ და მოსამსახურეებისათვის—უფასო ბილეთებს. ეს არის ჩემი საქმე. არ ვიცი შემდეგში რას მიპირებენ. ოღონდ სტანციის უფროსად ნუ კი დამნიშნავენ და სხვა რაც უნდათ ის თანამდებობა მომცენ.

ნიკოჯან, პირველი ნაბიჯი კარგად გადამადგმევინე და შემდეგშიაც თუ თან მომყევები, სიკვდილ-სიცოცხლით დამავალებ. ეხლა შენ იცი, როგორც შეუკეთებ პრესნიაკოვს და ჩემზედ ყურადღებას მოაქცევინებ. ჩემი ნუ გეფიქრება-რა, არ შეგარცხვენ. მე რომ ამ ხალხს ვხედავ, ღმერთს გეფიცები, პროფესორი ვარ ამათში: ოღონდ ნუიდამივიწყებენ და არა უშავს-რა, რამდენიმე თვე უფასოთ ვემსახურები, მხოლოდ ბოლოს დროს კი სტანციის უფროსობა არ მომცენ. დასწყევლოს ღმერთმა, როგორღაც გული მეთანაღრება და არ მეხერხება ეს თანამდებობა. ნიკო, თუ მადლს მარილსაც მოაყრი, არ დამივიწყებ და პრესნიაკოვს მალე მოაგონებ დანაპირს, სახეში იქონიე, რამდენი გვარი თანამდებობა აქვთ, რომლებითაც კაცს შეუძლიან საქმე შეისწავლოს: Контролер поездов, Контролер касс или счетоводства, ревизор топлива და კიდევ რამდენი რამე. აი ესენი მოაგონე. საქმე ახლა ფეხის გამაგრებაა. ილიამ მითხრა (ჭავჭავაძემ), თუ საპირო არის შენი საქმისთვისო (ჩემი საქმისთვის), გორნიჩს ვნახამო, ჩემი კარგი ნაცნობიაო, აბა ნიკოს მისწერე, ამაზე რას იტყვისო? ამ დღეებში მანდაური Министерства путей Сообщений-ის სეკრეტრის წერილით ერთს მესამე კლასის გემნაზისტს, ამილახვარს კონტროლიორობა მისცეს. გეუბნები, ქვეყნის ოხრობაა მეთქი. ეს ოხერი მე შვიდი კლასი მაინც გავათავე, ღმერთი არ არის?! მართლა, მწერდი, ნურას[4] მიებარე, რუსული გასწავლოსო! შეიძლება რუსულს სიტყვიერებაში მჭერმეტყველი და განვითარებული არ ვიყო (ამ ენის იშვიათად ხმარების გამო), მაგრამ მართლწერაში ნურას კი არა, თვით იესო ნაზარეველსაც კი ხმას არ ამოვაღებინებ. ჯერ ისე არ მოვხუცებულვარ, რომ ნურასთანა შეგირდები ვერ გამოვზარდო. ესეც არ იყოს, ის წყეული ქუთაისში გაგვიფრინდა, გემნაზიაში მისცეს მასწავლებლის ადგილი. როგორც გვაუწყებს საღმთო ჟურნალი „მწყემსი“, ნურასთვის უკვე მიუკაკუნებიათ სასუფეველში. ვაი ჩვენი ბრალიცა. აფსუს, რა დეპარტამენტის პატრონი იყო! აქ რომ ყოფილიყო, როგორ დაგიმტკიცებდი ჩემს შენდამი ერთგულებას, როგორ კანონიერად ჩავპროშტამდი... მაგრამ რეებს მალაპარაკებ, რა მაგისი მცხელა. ახალი ამბები აქ არაფერი არ არის. ახირებული ციცი მაისი დაგვიდგა: გახშირებული

სეტყვაა და მთებში თოვლიც ჩამოყარა. როცა დამშვიდებული მექნება გული, მაშინ ბევრს სასიამო სიბრძნე-სიცრუეს მოგწერ. ეხლაკი უმდაბლესის თავის დაკერით მომიკითხე ოლგა ალექსანდროვნა. ნატომ ყველანი მოგიკითხათ და მალე წერილს მოსწერს ოლგა ალექსანდროვნას. დათიკოს უთხარი, რატომ წერილს არ იწერები, შე ჩუნესავ[3], შენა-თქო.

თქვენები კარგად არიან, ყოველ დღე ეხედავ, მოგიკითხეს სიყვარულით და კნეინა[4] მადლობასაც გიძღვნის ჩემ მაგივრად ჩემი საქმის გაკეთებისათვის.

შენი გულითადი პატივისმცემელი,

საუკუნოდ ერთგული და დავალებული უმცროსი

ასიკო ცაგარელი.

P. S. დღეს, 3 მაისს, სოლომონ ივანიჩი[7] ენახე ხალხში და საიდუმლოთ მეკითხება: „ნიკოსი ხომ არაფერი იცი?“ მე დაუყვირე, ძალიან კარგათ არის მეთქი.—ახლა ტუტუცი[5]ნუ კი ხარ, რა გაყვირებს. სხვა ხომ... არ გაათავა. მე ხელი გაუქნიე: ჩეე, ახპერ, ჩე[6].

3

თბილისი, 23 თებერვალი, [1885 წ.]

ძმაო ნიკო!

ისე ვერ მოგწერე წიგნი, რომ არაფერი არ შემოგწუწუნო; რა ვქნა, საქმე რომ თავს არ მოდის. სანამ შენ აქ იყავი, კიდევ იმედს მაძლევდნენ ჩემი სამსახურის შესახებ, წახვედი და სულ გადავეიწყდი და გაუწყრათ ჩემი გამჩენი. ამ მამაძაღლებმა მითხრან მაინც, რას ითხოვენ ჩემგან, რომ პატარა რიგიანი ალაგი მომცენ! ეს ათი თვე შესრულდა, ტყავს ვიძრობ ამ უმადურ სამსახურში, დღე და ღამ არა მძინავს, მაგრამ მაინც მე არაფერი არ მეშველა. ღმერთს გეფიცები, ნიკო, თვალში ჩინი დაეკარგე, საშინლად დამიწყო თვალებმა ტკივილი. რომ დამსახურება უნდოდეს რამე ცოტა რიგიან ალაგს, მე მაშინ უკან დავიხევდი და ასე თამამად თხოვნას ვერ გავბედავდი, მაგრამ აქ რომ ესენი არ არიან: ერთ ვისმეს ოხერს იპოვნიან პროტექციანს და მისცემენ ალაგს. ამ ერთი თვის წინათ გორნიჩმა მითხრა, კონტროლიორის ალაგი თავისუფალი რომ მქონდესო, დიდის სიამოვნებით მოგცემო, რადგანაც ძალიან კმაყოფილი ვარო... გაიარა ერთმა კვირამ და ენახოთ, ერთი ვიღაც ხლესტაკოვი დაუნიშნავს—ლოთი, უცოდინარი, უს-

წავლელი. ჩვენი საქმის უმეცარი... რაღა ბევრი თავი შევაწყინო. შენ თითონ დაგპირდა, თბილისში პომოშნიკობას მიეცემო; ორჯერ დაიცალა ალაგი და ორჯელვე სხვა დანიშნა. ერთი სიტყვით, ჩემთვის არაფრის მოცემა არ უნდა. რა ვქნა, შენი პირიმე, ნიკო, ცეთაკილება. ათი თვეა კანტორშჩიკათა ვარ. თუ პისრობა მდომოდა, ის ოხერი ბიძა ჩემი მთელი დამოენის მმართველი იყო, ერთ ალაგს როგორ ვერ მიშოვიდა[1]. მე ხომ მოწყალებას არა ვსთხოვ ამ ყოვლად უზნეო ხალხს: მომცენ ალაგი და თუ არ გამოედგე, სულ კინწის კვრით გამაგდონ.

რადგანაც არ შინდა უშენოდ ერთი ნაბიჯი გადავდგა და ამასთანავე ამ საქმეში შენითა ვარ ჩაყენებული, ამისათვის ერთი უკანასკნელი რჩევა უნდა გკითხო: კიდევ მოვითმინო, როგორც ადრე მითხარი, თუ თავი დავანებო? ალაგს ბევრი მპირდება, გიშოვითო. უშენოდ საქმის დაკერა შენ საწყინოდ მიმაჩნია და ამისათვის მოგმართე ამ კითხვით. თუ საქმეს დაატყობ, რომ შეიძლება რამე ალაგი ვიშოვო ან თუ პრესნიაკოეს მოსწერ რასმე, ხომ ძალიან კარგი; მე დიდი სიამოვნებით დავრჩები იმ სამსახურში, რომლის საზმართველოშიაც შენ ურევიხარ, და თუ გრძნობ, რომ ამ უსვინდისო ხალხთან, ამ ჩვენ გორნიჩებთან სამსახური არა ღირს. რა დღესაც შენი წერილი მომივა, იმავ დღეს თავს დავანებებ აქ სამსახურს. ვეცდები, ნაცნობები ბევრი მყავს, რამე ჩემი შესაფერი სამსახური ვიშოვო.

ამის პასუხს რაც მალე შემატყობინებ, ის ემჯობინება. სანამ კი ისევ ისე კატორღელად ვიმუშავებ, როგორც აქამდის მიმუშავია.

ნატომ მოგიკითხათ შენც და ყველა თქვენებიც. დათიკო მოგიკითხე და ერთი ჩენმაგივრად ლოთიანათ თავში ჩააფარე[2].

აქ არაფერი ახალი ამბავი არ არის. წრეულ თოვლი არ გვინახავს. ვისაც შენგან ბილეთები მოუვიდათ, ყველა დიდ მადლობას და ქება-დიდებას გიძღვნიან[3]. ნიკო, ნატომ შემოგითვალა, როგორც ვიცით, შენ ძველის მოყვარე ხარო, სადაც რამ ძველი შეგხვდება უნდა იყიდოო, თუ მაღლიერი დამირჩებიო, ახალციხის მაზრაში ერთი 140 წლის დიდედა გამოჩენილა, იმასა და მამიჩემის მუნდირს ორიევს ფეშქაშად გამოგიგზავნიო[4].

ჩვენი გეურჭა ეთიმიჩი[5] პრესნიაკოვის კანცელარიაში გადიყვანეს და 3000 მანეთი დაუნიშნეს, გუშინწინ ამაზე ცირკულიარი იყო.

შენი ერთგული უმცროსი **ახიკო ცაგარელი.**

ჩემი ადრესი: **Станция Тифлис. З. Ж. Д. Ав. Цагарели.**

4

თბილისი. 21 ივნისი [1889 წ.]

ნიკოჯან!

ეს ძალიან კარგად იცი, რომ შენს იქით გზა არა მაქვს. მაგრამ ის კი არ იცი, როგორ არის ეხლა ჩემი საქმე. თუ ეხლავე არ მომეშველე, ამ ექვსი წლის საქმე ფუჭად ჩამივლის. დღეს დაბრუნდა მოსკოვიდან ეისიმონტი[1] (начальник движения) და როგორც ამბობენ, თან მოუყვანია რამდენიმე სტანციის უფროსები; ამის შემდეგ ჩვენ ვიღა შემოგვხედავს. ეს კიდევ არაფერი. ამ მამაძაღლს ხაჩატუროვს დღეს „ლისტოკში" დაუბეჭდია, რომ პოეზდი № 6 გაუშვეს მომავალ პრობნი პარავოზებზედაო და კინაღამ ხალხი არ დაიღუპაო[2]. ეს შემთხვევა, სულ სხვანაირად იყო, მერე გიამბობ. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ დეჟურნი მე ვიყავი. შეიძლება უკითხავად და გამოუძიებლად სამსახურიდანაც დამითხოვონ, ხომ იცი ჩვენთვის თავს არავინ არ გაიცხელებს. კიდევ გიმეორებ, შენ კარგად იცი, რომ შენს იქით გზა არა მაქვს, და ერთადერთი დედაბოძი ჩემი შენი ხარ, სხვა ვერავის ვერ შემიძლიან მივმართო გაჭირვებაში,—ამისათვის ურიგოს არ იზამ, რომ გაბედო და შენის ნაკურთხი წვერებით ჩამოხვიდე, ვიდრე საქმე გაცივდება. ალხაზოვის[3] შუამავლობით შეგიძლიან ყველაფერი მოახერხო და ხიფათს ამაცდინო, საქმეს აქ დაწვრილებით გიამბობ, მოუთმენლად გელი, ვიდრე ბეწვი არ გაწყვეტილა.

ალხაზოვს თუ ათხოვნინებ, უნდა უთხრათ, რომ ან პოეზდნოი კონტროლიორობა მომცენ, ან უპრავლენიაში გადამიყვანონ შესაფერ ალაგზე. მეექვსე წელიწადია ვმსახურობ უნაკლულოდ, უწუნოდ... უაზრობა მაპატიე, ჩქარა ვწერ და აღელვებულიცა ვარ.

შენი საკუთარი ასიკო ცაგარელი.

* * *

5

ქურდამჭრი, 10 აპრილი, 91 წ.

საყვარელო ნიკო!

გიგზავნი ორ კონას აქაური გამოჩენილი ბროწეულის ძირებს: მაგეებში მეავეც არის, ტკბილიც და მეავე და ტკბილიც ერთად. როგორც მიიღო, იმწამსვე დაარგევინე. აქაური თათრები ამბო-

ბენ, რომ ძირები (ფესვები) უნდა დაეჭრას და ისე დაირგოსო: მე სწორე მოგახსენო, არაფერი არ ვიცი, სჯობიან, მანდაურ მებაღეებს ჰკითხო, როგორ გირჩევენ.

ნატომ სიყვარულით მოგიკითხათ ყველანი, ჩემმაგივრად ყველას უმდაბლესი თავის დაკვრა.

შენი ასიკო ცაგარელი.

6

ქურდამირი, 28 ივლისი [1891 წ.]

საყვარელო ნიკო!

ამ წერილის მომტანი, ანტონ ანტონიჩ რადციხ[1] (Радцих), არის Коммерческий агент Временного Управления казенных железных дорог, присланный из Петербурга по делу проведения предполагаемой телефонной железнодорожной ветви. როცა ეს ჩემთან მოვიდა (წინათ ამის მოსელა ზოლოტნიცკიმ[2] მაცნობა დეპეშით), ის იყო გაზეთი მივიღე და ეკითხულობდი შენს სტატიას „Шемахинская ветвь“,[3] ამას ძალიან მოეწონა და მთხოვა, ბატ. ნიკოლაძე გამაცანიო. ამის გამო გწერ ამ წერილს. გაიცანი და რაც გინდა, იმას გააკეთებინებ. უფლება დიდი აქვს მინისტრისაგან. ძალიან ტუტუცი არ გეგონოს, ცოტათი არის ტუტუცი. მაგრამ თავის საქმე კარგად იცის—შენთან უნდა ლაპარაკი вообще о проведении железнодорожных ветвей у нас, რომლებიც სულ ამასა აქვს მინდობილი. ნახვამდის.

შენი ასიკო ცაგარელი.

7

ქურდამირი, 13 სექტემბერი, 94 წ.

საყვარელო ნიკო!

შენ რომ გაგშორდი და დავბრუნდი ჩემს სადგურზე, ისე ავად გავხდი, რომ მორჩენის იმედი აღარა მქონდა. ნიკოჯან, თუ ეხლა არაფერი მეშველა, სამსახურს თავი უნდა დავანებო. მერწმუნე თუ კიდევ ასე გავხდი ავად (და რომ გავხდები, ნამდვილია), ვიცი, რომ ველარ გადაურჩები სენს.

ხომ იცი. რომ შენს მეტი არავინა მყავს გულშემატკივარი, და თუნდა მყავდეს. საშველად არავის არ მიემართავ. ჩემი თხოვნა ეს არის. რადგანაც თავისუფალი საშუალო სადგური ჯერ არ არის, ამისათვის ცოტას დავსჯერდები და გთხოვ, როგორმე რიონში გადამაყვანინო. რიონი ჩემს სადგურზედ ბევრით მცირეა, მაგრამ რას იზამ. რომ აქ ყოფნა არ შეიძლება. მე სრული თანახმა ვიქნები, ოღონდ ჩემი ჯამაგირი (100 მან.) დამიტოვონ, ექიმები დაჟინებით ითხოვენ. რომ მე დავტოვო ბაქოს უჩასტკა და გადავიდე ბათუმისკენ. თუ სიცოცხლე მინდა. ამაზედ, რამდენიც გინდა, იმდენს მოწმობებს წარმოგიდგენ. თერთმეტი წელიწადია ვმსახურებ და შენიშნული არაფერში (ურიგობაში) არა ვარ... ჩემი ზნეობითი თვისება შენ კარგად იცი, და რა გელაპარაკო. ქურდამირში გამგზავნეს სამი-ოთხის თვით (დროებით), და აი ოთხი წელიწადია, რაც აქა ვარ, არც ერთი უფროსი სადგურისა აქ წელიწად-ნახევარზედ მეტი არა ყოფილა, ცუდი ჰავის გამო გადაჰყავდათ ხოლმე, და მე რალა დავაშავე?! რაზე ვირთმევ სულს. ყველა მირჩევს და მეც მინდა რიონში გადავიდე. თუმცა რიონში ჯამაგირი ჩემზედ მცირეა, მაგრამ ჩემსას ვერ მომიკლებენ, რადგანაც იგი დამსახურებული მაქას (лично присвоенное) ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გზა საზოგადოებისა იყო.

ჩემი თხოვნა ეს არის: რიონი უთუოთ უნდა გამირიგო, უკეთესს არ მოგვცემენ. ჩემი სახარბიელო ის არის, რომ ჰავა კარგია და მეორეც ის, რომ სამი თანაშემწე ჰყავს უფროსს. ასე რომ ღამის თევა აღარ მოუნდება. ველი, ნიკოჯან. შენს პასუხს, ამას კი განმეორებით გეტყვი. რომ ჩემი აქ დარჩენა შეუძლებელია...

შენი სამუდამოდ **ასიკო.**

P. S. რიონის უფროსს, თითონ იციან, რასაც მისცემენ. თუნდ არხიმანდრიტობა მისცენ.

ასიკო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

პირველი წერილი:

დრამატურგ ასიკო ცაგარლის პირველი და მეორე წერილი, მიწერილია ნ. ნიკოლაძისადმი პეტერბურგს. ეს წერილები დაწერილია 1884 წელს. ამ დროს ნიკო პეტერბურგში იმყოფებოდა. მას საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა ლიბავა-რომენის რკინიგზის სამმართველოში. გარდა ამისა, იგი ირიცხებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს

წევრად და ერთ-ერთი აქტიური მუშაკთაგანი იყო. მისი მონაწილეობით იწერებოდა პროექტები და სხვ. იგი დაჯილდოებული იყო ოქროს ფეტონით და უფლება ჰქონდა უფასოდ ემოგზაურა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე.

1. „ქალაქში გელოდით“, — ე. ი. თბილისში გელოდით. ძველად, რომ იტყოდნენ „ქალაქში ვიყავი“, „ქალაქში მივდივარ“—იგულისხმებოდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ამის შესახებ პეტრე მირიანაშვილსაც აქვს წერილი: „ქალაქმა რა დააშავა?“ („ივერია“, 1900 წ. № 208).

2. „ოლიკო და დათიკო მოგვიკითხეთ“. ოლიკო — ოლგა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი, მეუღლე ნიკო ნიკოლაძისა. დათიკო—დავით ალექსანდრეს-ძე გურამიშვილი, ნიკოს ცოლის ძმა, მხატვარი (გარდაიცვალა 1926 წ.).

3. „ნატოს მაგივრადაც“, ნატო—ქართული თეატრის გამოჩენილი უნიჭიერესი მსახიობი ქალი ნატალია მერაბის ასული გაბუნია (1859 — 1910). მეუღლე ასიკო ცაგარლისა (ჯვარი დაიწერეს 1882 წელს („საქართველოს მოამბე“, 1909 წ. № 5).

ამ წერილს ნ. ნიკოლაძის ხელით აწერია: „პასუხი და რეკომენდაციის წიგნი გაუგზავნე 12 აპრილს, 1884 წ.“

ასიკოს ამ წერილის დასასრულს თავისი ბინის მისამართს უგზავნის ნიკოს: Солодаки, садовая, № 43. ხოლო ბოლო წლებში ასიკო ბინადრობდა ავჭალის ქ., № 4 (ავჭალის და ნიკოლოზის ქუჩების კუთხე) გაგნიძის სახლში, საიდანაც გაასვენეს 18 აგვისტოს (1902 წელს) კუკიის სასაფლაოზე.

* * *

მეორე წერილი:

1. „კოდელი ნინო“—განთქმული მკითხავი იყო ავლაბარში, ილია ჭავჭავაძე თავის საპოლემიკო წერილებში ამ სახელს ხშირად იხსენიებს.

2. პრესნიაკოვი—ე. ლ. პრესნიაკოვი, ინჟენერი, ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველი.

3. გორნიჩი—იოსებ გერასიმეს-ძე გორნიჩი,—ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის (მიმოსვლის) უფროსი.

4. ნურა—ჩვენთვის უცნობი პიროვნებაა.

5. „ჩუნესა“—ქალაქური თქმაა: ჩუნესა—უნარმოკლებული, უქნარა, უნდილი, ჩანჩურა, უხეირო. ასიკო თავის პიესებში, ბუჩავი კაცის დასახასიათებლად ამ სიტყვას ხშირად იშველიებს.

6. კნეინა—აქ იგულისხმება ნ. ნიკოლაძის სიდედრი ქეთევან თუმანიშვილის ასული, ალექსანდრე გურამიშვილის მეუღლე.

7. სოლომონ ივანიჩი—ეს იყო სოლომონ ივანეს-ძე შაბუროვი, ძველი მოქალაქე, ტყიბულის ქვანახშირის მრეწველი, ქველმოქმედი. იგი ხშირად ეხმარებოდა ქართულ საზოგადო საქმეებს. ძმები სოლომონ და ივანე შაბუროვები ტყიბულის ქვანახშირის სააქციონერო საზოგადოებაში ირიცხებოდნენ. შაბუროვებს ქართველ ინტელიგენციასთან დიდი მეგობრობა ჰქონდათ. სოლომონ შაბუროვის მიერ წმინდა ქართულით დაწერილი ბარათები ტყიბულის ქვანახშირის საქმეებზე ინახება ნიკო ნიკოლაძის ქაღალდებში.

8. „ჩე, ახპერ, ჩე!“ (სომხ.) „არა, ძმაო, არა!“

მეხამე წერილი:

1. „ბიძაჩემი მთელი დამოუნის მმართველი იყო, ერთ ალაგს როგორ ვერ მიშოვიდა“... ასიკოს ბიძა მელიტონ თომას-ძე ფომინ-ცაგარელი, მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას, ის თავის ნაწერებს მხოლოდ „ფომინს“ აწერდა. ცაგარლების მეორე გვარი „ფომინი“ წარმოებულია პაპის სახელიდან: „თომა“—ფომინი—ე. ი. „თომას შვილი“. ასიკო ცაგარელი თავის ბიძას ხშირად ასეც იხსენიებს: „მელიტონ ფომიჩი“. როგორც ვიცით, თომას შვილები და შვილიშვილები ამ ფომინის გვარითაც იყვნენ ცნობილნი, ვიდრე საშუდამოდ არ დაიმკვიდრეს ქართული გვარი: „ცაგარელი“.

2. „დათიკოს ერთი ლოთიანათ თავში ჩააფარე“. ეს ქალაქურ ყაიდაზე შექმნილი გამოთქმა ა. ცაგარელს თავის პიესა „ხანუმაშიც“ აქვს. ჩართული—აკოფა ამბობს: „ერთი სიძე მითხარით, სიძე, რომ ლოთიანათ თავში ჩავაფარო“ (იხ. „კომედიები“ 1936, გვ. 34, ი. გრიშაშვილის რედაქცია).

3. „ვისაც შენგან ბილეთები მოუვიდათ, ყველა დიდ მადლობას და ქება-დიდებას გიძღვნიან“... საქმე ის არის რომ ნიკო ნიკოლაძე მსახურობდა რკინიგზის სამმართველოში (1882 წლიდან 1886 წლამდე—პეტერბურგი. თბილისი). ჩვენი მოღვაწენი ნიკოს ხშირად მიმართავდნენ რკინიგზით სამოგზაურო უფასო ბილეთებისათვის. ნიკო ყველას ეხმარებოდა.

მის არქივში დაცული მასალებით ირკვევა, რომ რკინიგზის მუქთი ბილეთებით უმოგზაურიათ: აკაკი წერეთელს, გ. წერეთელს, დავით ერისთავს, დიმიტრი დადიანს (ქუთათურ გაზეთ „შრომის“ რედაქტორს), დეკ. დ. ღამბაშიძეს, ილია ბახტაძეს, ივ. თხორჟევსკის და სხვ. წარმოიდგინეთ, გლებ უსპენსკისაც მიუმართავს ნიკოსთვის უფასო ბილეთისათვის. ხოლო ნ. ჩერნიშევსკის 1884 წლის 27 აგვისტოს, ასტრახანიდან პეტერბურგში გაუგზავნია წერილი ნ. ნიკოლაძისთვის, რომელშიაც სთხოვდა თავისი უმცროსი ვაჟის მიხეილისათვის სამსახურის შოვნას რკინის გზათა სამმართველოში. ნიკოლაძეს თავისი „მასწავლებლისათვის“ შეუსრულებია ეს თხოვნა და მიხეილ ჩერნიშევსკი მოუწყვია ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველოში.

4. „ნატომ შემოგითვალა, მამიჩემის მუნდირს ფეშქაშად გამოგიგზავნიო.“ უნდა ვიცოდეთ ნატო გაბუნიას ბიოგრაფიიდან, რომ იგი შეილი იყო ნადიამბეგარ (შემდეგ გორის საპატიმროს უფროსის) მერაბ გაბუნიასი, რომელიც გორში იყო ჩასიძებული.

5. „გეურქ ეფიმიჩი“—ასე უწოდებდნენ ხუმრობით გიორგი წერეთელს. გ. წერეთელი იმ ხანებში საკომერციო საქმეებში იყო გაბმული... მისი მოხსენებითი ბარათების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ მას სურდა ჭალის მთის (საჩხერისაკენაა) ექსპლოატაცია და რკინისგზის პატარა შტოების გაყვანა სოფლებისა და ქალაქების დაახლოების მიზნით (ჭიათურისკენ, ხონისკენ და სხვ.).

მეოთხე წერილი:

ა. ცაგარელი ამ წერილს თბილისიდან უგზავნის ჯიხაიშში ნ. ნიკოლაძეს, რომელიც ამ დროს თავისი მეურნეობის საქმით იყო გართული.

როგორც ამ უთარიღო ბარათის დაწერის დრო გამოვარკვიეთ, 1889 წელს ასიკო თბილისში უნდა მსახურობდეს სადგურის მორიგის თანამდებობაზე. ადგილის მაძიებელი ასიკო, სულ იმას ეხვეწებოდა ნ. ნიკოლაძეს, რომ მისთვის არ მიეცათ სადგურის უფროსის ან მისი თანაშემწის საპასუხისგებლო ადგილი: „ოღონდ სტანციის უფროსად ნუ დამნიშნავენ და სხვა რაც უნდათ, ის თანამდებობა მომცე-

ნო"—სწერს ნიკოლაძეს ასიკო (იხ. წერილი 2) ალბათ გული უთქვამდა, რომ იგი ფათერაკს ვერ აცდებოდა და როგორც მეორე ბარათიდან ირკვევა, ასეც მომხდარა.

1. ეისიმონტი—ანტონ ივანეს-ძე ეისიმონტი, ინჟენერი. ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის უფროსი.

2. ეს შემთხვევა აწერილია გაზ. „ტიფლისკი ლისტოკში" 1889 წ. №—138 და № 139.

3. „ალხაზოვის შუამდგომლობით შეგიძლიან ყველაფერი მოახერხო". ალხაზოვი—პეტრე ლაზარეს ძე ალხაზოვი, ამიერკავკასიის რკინიგზის ინჟენერი იყო, ნიკო ნიკოლაძის ნაცნობი.

მეხუთე წერილი:

როგორც ირკვევა, ნიკო ნიკოლაძეს თავის ჯიხაიშის ბალისთვის ასიკოსთვის უთხოვნია აზერბაიჯანული ჯიშის ბროწეულის ნერგები,—ასიკოს ეს თხოვნა შეუსრულებია.

წინა წერილში მოხსენებული „მარცხის" გამო, ასიკო შიშს გამოსთქვამს, რომ ის „უკითხავად და გამოუძიებლად" შეიძლება სამსახურიდან დაითხოვონ, ამიტომ ემუდარება ნ. ნიკოლაძეს ჯიხაიშიდან თბილისში ჩამოსვლას და დახმარებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ნ. ნიკოლაძის საქმეში ჩარევით, ასიკო სამსახურიდან არ დაუთხოვნიათ, მაგრამ, ვითომ დროებით („სამი-ოთხი თვით") ციებიან და გამოყრუებულ ადგილას—სადგურ ქურდამირში გაუმწესებიათ. ასიკო იქ ოთხ წელიწადს მსახურობდა; მისიეე თქმით ცუდი ჰავის გამო, არც ერთი სადგურის უფროსი ქურდამირში წელიწადნახევარზედ მეტს ვერა სძლებდა. ქურდამირში ასიკო ხშირად ავადმყოფობდა. ნატო, მისი მეუღლე, მთელი წლობით იყო იმასთან და სეზონის განმავლობაში თბილისში ვერ ჩამოდიოდა, თეატრს ვერ ეწსახურებოდა. ასიკოს თავისი საყვარელი დედა ქურდამირში გარდაეცვალა და იქვეა დასაფლაგებული.

მეექვსე წერილი:

1. ანტონ ანტონიჩ რადციხ — რკინიგზის მოხელე (ამ კაცის თანამდებობა თვით ასიკოს აქვს შეექვსე წერილში მოხსენებული).

2. ზოლოტნიცკი, ესეც რკინიგზის მოხელეა (Э. Д. Злотницкий).

3. ნიკო ნიკოლაძის სტატია „Шемахинская ветвь", დაბეჭდილი იყო გაზ. „Новое обозрение"-ში, 1891 წ. № 2611.

ამ წერილს ნიკო ნიკოლაძის ხელით აწერია: „ასიკო ცაგარლისაგან". წერილს თარიღი არა ჰქონდა.

* * *

მეშვიდე წერილი:

ეს წერილი, რომელიც დაწერილია 1894 წელს, 13 სექტემბერს ქურდამირიდან, ასიკოს უკანასკნელი წერილია. ნიკოლაძე ამ წელს ფოთის ქალაქის თავად იყო არჩეული, მაგრამ, როგორც ჩანს, ნიკოს მოუხერხებია ასიკოს გადმოყვანა ქურდამირიდან საქართველოში, მხოლოდ რიონის მაგივრად, როგორც ამას ითხოვდა ასიკო, ჭალადიდში დაუნიშნავთ სადგურის უფროსად. ტანში გამჯდარი ქურდამირის „ციება", ჭალადიდში უფრო გაუცხოველდა... დაუძლურებული ასიკო, როგორც იყო, მეგობრებმა გამოიწვიეს ჭალადიდიდან და „ცნობის ფურცელის" რედაქციაში უშოვეს მცირე ადგილი (დეპეშების მთარგმნელად მსახურობდა). ამის შემდეგ ასიკოს დიდხანს არ უცოცხლია (გარდაიცვალა 1902 წ. 12 აგვისტოს (ძვ. სტ.) 45 წლის ასაკში.

ე. ბ.
1956 წ.

შინაარსი

ქართული რომანტიზმის სათავეებთან

ცხოვრება აღექსანდრე ჭავჭავაძისა 9
ოდოევსკის „ეარდი და ბულბული“ ჭავჭავაძისეული თარგმანი 99
ვიქტორ ჰიუგოს ერთი ლექსის გარშემო 105
ნ. ბარათაშვილის „ცისა ფერს“ და ა. ჭავჭავაძის „ფერსა ბნელს“ . 109
გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღი . 115

ქართველ და მოძმე ხალხთა ლიტერატ. ურთიერთობანი

პუშკინის პირველი მთარგმნელები . . 123
ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში . . 133
კრილოვი და აკაკი წერეთელი . . . 147
ა. ნ. ოსტროვსკი საქართველოში . 162
შევჩენკო და ქართული მწერლობა 183
მაქსიმ გორკის „ნაძირალნი“ 196
გოგოლის „რევიზორი“ ქართულ სცენაზე 201
საიათნოვას მოსაგონრად (გარდაცვალებიდან 150 წლის გამო) . . 220
გაბრიელ სუნდუკიანცი და ქართული საზოგადოებრიობა . . 224
მირზა ფათალი ახუნდოვი . 252

ძველ თეატრში

იღია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი . . 265
აღექსანდრე ყაზბეგი, როგორც მსახიობი . 308
ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი . . 329
ანტონ ცაგარელი 350

დავიწყებულნი და გამორჩენილნი

შიო მღვიმელის რეფორმაციური ლექსები . 375
გუგუნავას „თამარიანი“ 386
დიმიტრი ერისთავი 390
სოლო გოშაძე . . . 393
„დიდა“ დვანაძეს ეკუთვნის . 398

მოგონებანი

მე და ქუჩიშვილი . 405
აკაკი წერეთელი ჩემს სალამოზე 409
სუფლიორის ნიჭარიდან (გახსენება დადო მესხიშვილზე) . 413
კოტე მარჯანიშვილი 428
მოგონების ერთი ფოთოლი (ვერიკო ანჯაფარიძე) . 433

თბილისის ისტორიისათვის

ლენინის მოედანი (ისტორიული მიმოხ. ლეა) . 440
პუშკინის ძეგლი თბილისში . 451
ბარათაშვილის ალმართი . 455

დოკუმენტები და შენიშვნები

აკაკი, ვაჟა და... აშინოვი 461
პირველი იუმორისტული ჟურნალი „ხუმარა“ . 465
„ჩვენი მიხაკა“ (აკაკის უცნობი ლექსი) 471
აკაკის ერთი მუხამბაზისათვის . 475
იღია და „მებრვე“ (ენობრივი შენიშვნა) 479
აღექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალის აკდამა ეიბორგში . 481
„ბუღბუღის ყეფა“ ქართულ პოეზიაში . . . 485
ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები . 491
იღია ჭავჭავაძის ორი კერძო წერილი 497
პეტრე უმიკაშვილის წერილი „კვალის“ რედაქციისადმი . 499
ა. ცაგარლის კერძო წერილები (მასალა ბიოგრაფიისათვის) . 503